

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
„ვეფხისტყაოსნის“ აკადემური გამოცემისა და ქართული ენის თესაურუსის კომიტეტი

რუსთველოლოგიური ლიტერატურა

V

1981 – 2000 წწ.

ანოტირებული ბიბლიოგრაფია

შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა
გიორგი არაბულმა

RUSTVELOLOGICAL LITERATURE

V

1981 – 2000

Annotated Bibliography

Compiled and prepared for publication

by
George Arabuli

თბილისი Tbilisi
2012

რედაქტორი – აკად. თამაზ გამყრელიძე

რეცენზენტი – პროფ. მიხეილ ქავთარია

ტექნიკური რედაქცია – ირმა ალასანია

ნინო ციხისთავი

იბეჭდება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის

სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით

ISBN №978-9941-0-1465-9 (ყველა კრებულის)

ISBN №978-9941-0-4498-4 (V კრებული)

წინასიტყვა

წინამდებარე წიგნი გაგრძელებაა რუსთველოლოგიური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფიის სერიისა და შედგენილია იმავე პრინციპით, რომლითაც მომზადდა I (1957 წ.), II (2002 წ.) და IV (2009 წ.) კრებულები. წიგნში შედის ანოტაციები 1981-2000 წლებში, ძირითადად – საქართველოში, გამოქვეყნებული მეცნიერული, ტექსტოლოგიური, მეთოდიკური, ბიბლიოგრაფიული და საცნობარო ლიტერატურისა, რომელიც შოთა რუსთაველსა და მის თხზულებას შეეხება.

მუშაობისას გამოვიყენეთ „რუსთაველის კომიტეტის“ არქივში არსებული ბიბლიოგრაფია და „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის საკომენტარო მასალა, რომელსაც გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩვენთან ერთად ამზადებდნენ მეცნიერი თანამშრომლები: ნ. გურაშვილი, ი. კობიძე, ნ. მაქაძე, თ. ტაბიძე და ე. ქვათაძე. დასამუშავებელი ლიტერატურის უმეტესობა (წიგნები, გამოკვლევები, წერილები და სხვ.), განსაკუთრებით 1990-2000 წლებისა, მოძიებული და ანოტირებულია ჩვენ მიერ.

ორ ათწლეულში, რომელსაც V წიგნი მოიცავს, რუსთველოლოგიას მნიშვნელოვანი ახალი ლიტერატურა შეემატა როგორც მონოგრაფიული გამოკვლევების, ისე სხვადასხვა კრებულებსა და პერიოდიკაში დაბეჭდილი ტექსტოლოგიური მასალის სახით. გრძელდებოდა მუშაობა „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის დადგენასა და მისი აკადემიური გამოცემის მომზადებაზე. ტექსტის დამდგენი კომისიის მთავარი რედაქციის სხდომათა ოქმები იბეჭდებოდა ჟურნალ „მაცნეში“ (ენისა და ლიტერატურის სერია).

1988 წელს დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ მომზადებული გამოცემა, რომელიც იყო რუსთველოლოგთა ჯგუფის ხანგრძლივი შრომის შედეგის ერთგვარი პრეზენტაცია, თუმცა თავისთავად ნაკლები, ვინაიდან მას არ ახლავს პოემის ტექსტის ვარიანტები და კომენტარები. ეს გახდა მიზეზი გაუგებრობისა და საბაზი არაობიექტური კრიტიკისა ამ გამოცემის მთავარი რედაქციის მისამართით.

წინამდებარე კრებულში არ შევიტანეთ ანოტაციები პოემის რიგით გამოცემებზე (არც ქართულსა და არც უცხოურზე), ვინაიდან ამგვარი სამიებლები უკვე გამოქვეყნებულია (იხ. „ვეფხისტყაოსნის გამოცემები“, რედ. ლ. მენაბდე, თბ., 1992; მ. ჩხეიძე, ლ. თაქთაქიშვილი, „ვეფხისტყაოსნის გამოცემათა ბიბლიოგრაფია“, 1712-2008, თბ., 2009).

კრებულში მასალა დალაგებულია ქრონოლოგიური თანამიმდევრობით, ხოლო თითოეული წლისა – ავტორთა გვარების ანბანური რიგით. ანოტაციებთან მიწერილია მათი შემსრულებლების ინიციალები. „**დამატებაში**“ იბეჭდება წინა წლების პუბლიკაციების ანოტაციები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით გამოგვრჩა და ვერ მოხვდა ბიბლიოგრაფიის მეოთხე ტომში. ამ ნაწილში სტატიები დალაგებულია ანბანურად, ნაშრომების ავტორთა გვარების მიხედვით, ამიტომაც წყაროების პუბლიკაციის ქრონოლოგია დაცული არაა.

წიგნს ერთვის ავტორთა და საგნობრივი სამიებლები, რაც დაინტერესებულ მკითხველს გაუადვილებს საჭირო მასალის მოძებნასა და გამოყენებას.

ბუნებრივია, ეს კრებული უნაკლო ვერ იქნება, თუნდაც მოცემული პერიოდის რუსთველოლოგიური ლიტერატურის სრულად წარმოდგენის მხრივ. ამის გათვალისწინებით, ყველა საქმიან შენიშვნასა და წინადადებას მადლობით მივიღებთ.

გ. არაბული 15. 03. 2012.

ანოტაციების შემსრულებელთა
ინიციალები

- გ. ა. – გიორგი არაბული
- ნ. გ. – ნანა გურაშვილი
- ი. კ. – ირაკლი კობიძე
- ნ. მ. – ნინო მაქაძე
- თ. ტ. – თამარ ტაბიძე
- ე. ქ. – ეკა ქვათაძე

წიგნში გამოყენებული შემოკლებანი

- ალმ. – ალმანახი
- ანოტ. – ანოტაცია
- გაზ. – გაზეთი
- დამ. – დამატება
- ელს – ენისა და ლიტერატურის სერია
- ვტ. – „ვეფხისტყაოსანი“
- ვტ-ის – „ვეფხისტყაოსნის“
- იხ. – იხილე
- კრებ. – კრებული
- ლიტ. – ლიტერატურის, ლიტერატურული

- მაცნე – საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის საზოგადოებრივ მეცნ.
განყოფილების მაცნე
- ჟურ. – ჟურნალი
- რედ. – რედაქტორი
- საბა – სულხან - საბა ორბელიანი
- სახ. – სახელი, სახელობის, სახელმწიფო
- ფფს – ფილოსოფიისა და ფსიქ. სერია
- ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი
ლექსიკონი

1. **В. И. Абаев****Миф и история в поэме Руставели „Verxistqaosani“***კრებულში – „აკაკი შანიძეს“, თსუ, თბ., 1981, გვ. 87–94.*

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ჩანს კვალი მისი წარმომავლობითი კავშირისა ხალხურ მითოსურ წარმოდგენებთან და ზეპირ პოეტურ შემოქმედებასთან. ამის დამადასტურებლად მიაჩნია პოემაში არსებული სამი ეპიზოდი, ანუ მოტივი:

1) სიუჟეტური კვანძი – ნესტან-დარეჯანის მოტაცება ქაჯების მიერ და პოემის გმირების ბრძოლა მისი გამოხსნისათვის;

2) ტარიელის შემოსვა ვეფხის ტყავით;

3) ავთანდილის სიმღერა, რომელსაც ჯადოსნური ზემოქმედების ძალა აქვს.

ამ მოტივებს მკვლევარი უძებნის სათანადო ფოლკლორულ და ლიტერატურულ პარალელებს. იქვე წერს, რომ გამოწვინისა და ფანტასტიკის გვერდით თხზულებაში შემოდის ისტორია, ანუ პოეტის თანადროული სინამდვილე, რომლის შესახებ საკმაოდ ბევრია დაწერილი ქართველი მკვლევრების მიერ. **გ. ა.**

2. **სერგი ავალიანი****რუსთაველის ნატურფილოსოფიური შეხედულებანი***ჟურ. „მნათობი“, 1981, № 7, გვ. 159–167.*

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველი იზიარებს მატერიის მარადიულობის იდეას. პოემის შესავალში რუსთაველი წერს, რომ ყველაფერს აქვს ფორმა, სახე („ჰე, ღმერთო, ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა...“). აქ **სახე** ფორმის სასრულოს, გარკვეულის მნიშვნელობით არის ნახმარი, ხოლო **უსახო** უფორმოს, უსასრულოს, გაურკვეველს ნიშნავს. ეს თვალსაზრისი არისტოტელურია.

რუსთაველი ერთმანეთისაგან ასხვავებს „სამყაროს“ და „ქვეყანას“. სამყარო, პოემის მიხედვით, არის მთელი მატერიალური სინამდვილე, ციური სხეულების ჩათვლით. ქვეყანა კი სამყაროს ის ნაწილია, რომელსაც დედამიწა წარმოადგენს.

რუსთაველის გაგებით, ღმერთი ქმნის სამყაროს საგანთა და მოვლენათა მრავალფეროვნებას. სამყაროში მკაცრი ღვთაებრივი დეტერმინაცია არსებობს. პოეტის მსოფლმხედველობაში ნატურალისტური დეტერმინიზმი ფატალიზმის სახეს იღებს („არ გარდავა გარდუვალად მომავალი საქმე ზენა, ... არვის ძალუც ხორციელსა განგებისა გარდავლენა“, 795).

ს. ავალიანი არ ეთანხმება შ. ხიდაშელს, თითქოს მნათობთა რიგი პოემაში შეესაბამებოდეს პტოლომეოსის სისტემას. მკვლევარი მიუთითებს, რომ პოემაში მზეს უჭირავს პირველი ადგილი და მას რუსთაველი ღმერთისაგან შექმნილად თვლის („ღმერთმან მზედ დაგბადა“, 135₁).

ს. ავალიანი თვლის, რომ რუსთაველი იზიარებს არისტოტელეს კონცეფციას ციური მოძრაობის წრიულობის, ე. ი. მარადიულობის შესახებ. რუსთაველი არაა ასკეტი მოაზროვნე და არ იზიარებს თვალსაზრისს ბუნების არარაობის შესახებ. მის მსოფლმხედველობაში შენარჩუნებულია ანტიკური მეტაფიზიკური ნატურფილოსოფიის ძირითადი იდეები ბუნების მოძრაობა-ცვალებადობის, მისი დროში არსებობის, არამარადიულობის შესახებ. პოეტის მსოფლმხედველობაზე ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობის გავლენა განსაკუთრებით აშკარად ჩანს, სადაც ლაპარაკია სამყაროს ელემენტებზე.

ს. ავალიანი არ იზიარებს პ. ინგოროყვას ჰიპოთეზას რუსთაველის მანიქველობის შესახებ და აღნიშნავს: „რუსთაველი არ იყო მანიქველი და არც მეტაფიზიკოსის თეორიას იზიარებდა. პირველ ყოვლისა, რუსთაველი პოეტია და არა ფილოსოფოსი. ჩვენ შეიძლება ვილაპარაკოთ მის ფილოსოფიურ იდეებზე და არა ფილოსოფიურ სისტემაზე“. გ. ა.

3. ალექსანდრე ბარამიძე

აკაკი შანიძე – ქართული მწერლობის მკვლევარი

კრებ. – „აკაკი შანიძეს“, თსუ, თბ., 1981, გვ. 17–23.

ავტორი აღნიშნავს ა. შანიძის თვალსაჩინო დავალებას რუსთაველოლოგიაში, რაც გამოიხატა მის აქტიურ მონაწილეობაში „ვეფხისტყაოსნის“ 1937 წლის საიუბილეო გამოცემის ტექსტის მომზადებაში, პოემის პირველი (1712 წ.) გამოცემის კრიტიკულ განხილვასა და ხელახლა დაბეჭდვაში, 1951, 1957 და 1966 წლების მეცნიერული გამოცემების მომზადებაში, აგრეთვე იმ გულმოდგინე კვლევით მუშაობაში, რომლის შედეგად წარმოდგენილია მის წიგნში „ვეფხისტყაოსნის საკითხები“, I (თბ., 1966). გ. ა.

4. ლადო ბახტრიონელი

ფიქრები „ვეფხისტყაოსანზე“

(ზოგიერთი სტრიქონის ახლებურად წაკითხვის ცდა)

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1981, 30, X, № 249.

წერილის ავტორის მიზანია „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის თარიღის დაზუსტება. იგი ყურადღებას მიაქცევს დავით სოსლანის ისტორიული როლის პოეტურ ანარეკლს პოემის ეპილოგში, რომელშიც „ქართველთა ღმერთად“ არის ხსენებული: „ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა მარებლად, ორგულთა მათთა დამწველად, ერთგულთა გამახარებლად“. დავითს განსაკუთრებით დიდი წვლილი მიუძღოდა გიორგი რუსისა და დასავლეთ საქართველოს დიდებულთა აჯანყების განადგურებაში, რასაც წერილის ავტორი ვარაუდობს 1188 წელს (და არა 1191 წელს, როგორც აქამდე მიაჩნდათ).

თამარისა და დავითის ქორწინების თარიღად ავტორს უფრო სარწმუნოდ მიაჩნია 1187 წელი (იმოწმებს „ქართულ ენციკლოპედიას“, ტ. 3, 341), ხოლო დავითის გარდაცვალების თარიღად 1204 წელს თვლის.

„ვეფხისტყაოსნის“ დაწერას ლ. ბახტრიონელი ვარაუდობს 1188–1204 წლებში, აჯანყებულთა დამარცხებიდან დავითის გარდაცვალებამდე. გ. ა.

5. მიხეილ ბინიაშვილი

ქართული მწერლობის გვირგვინი

საერთაშორისო ასპარეზზე

ლიტ. აღმანახი „განთიადი“, ქუთაისი, 1981, № 3, გვ. 174–183.

წერილში მოცემულია ვრცელი მიმოხილვა „ვეფხისტყაოსნის“ უცხო ენებზე შესრულებული და გამოქვეყნებული თარგმანებისა XIX ს-ის დასაწყისიდან XX ს-ის 60–იან წლებამდე. წარმოდგენილია მათი ზოგადი დახასიათება და ზოგიერთი მათგანის შესახებ გამოქვეყნებული გამოხმაურება და შეფასება.

როგორც ავტორი წერს, რუსთაველის პოემა საერთაშორისო თანამშრომლობის, ძმობა–მეგობრობისა და სოლიდარობის მაღალი პრინციპების ქადაგებაა. იგი უდიდეს როლს ასრულებს საქართველოს კულტურის ინტერნაციონალურ კონტაქტებში, უცხოეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის განმტკიცებასა და განვითარებაში. გ. ა.

6. აკაკი გაწერელია
„ვეფხისტყაოსნის“ ორი სტროფის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი
ჟურ. „მნათობი“, 1981, № 12, გვ. 128–136.

ავტორი განიხილავს პოემის ორ სტროფს: 804 – „თუ საწუთრომან დამამხოს, ყოველთა დამამხოხებელმან...“ და 1184 – „ანუ არის ბრძენი ვინმე, მაღალი და მაღლად მხედი...“ მათი სტრუქტურული და სემანტიკური ანალიზის შედეგად დაასკვნის, რომ საანალიზო სტროფებში შეუდარებელი მხატვრული სრულყოფით გადმოცემულია რუსთაველის პოემის გმირების მსჯელობა ბედზე, საწუთროზე, ამ უკანასკნელისადმი ადამიანის დამოკიდებულებაზე და ა. შ.

ამასთან, ეს სტროფები სტრუქტურულად და სემანტიკურად იმდენად უნაკლო და ღრმაა, რომ შეიცავენ პოემის სტილისა და რიტმის ყველა ძირითად ნიშანს. ავტორი საგულისხმოდ მიიჩნევს იმასაც, რომ ამ ნიშანთა ექვს გადმოსცემენ რუსთაველის შემდეგდროინდელი პოეზიის ბრწყინვალე მხატვრული ქმნილებები. **გ. ა.**

7. ა. გაწერელია

რჩეული ნაწერები

ტ. III (2), ვერსიფიკაცია, თბ., 1981.

წიგნის 7-240 გვერდებზე დაბეჭდილია „ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკის ზოგიერთი საკითხი“, რომელიც პირველად 1974 წელს გამოქვეყნდა (იხ. რუსთვ. ლიტ. ბიბლიოგრაფიის IV ტ., ანოტ. № 576).

წინამდებარე გამოცემაში მას ერთვის „აუცილებელი განმარტებანი“ (გვ. 241-288), დათარიღებული 1975 წლით, რომელიც პასუხია ს. ყაუხჩიშვილის, ს. ჯიქიას, თ. გამყრელიძისა და კ. წერეთლის წერილისა – „მეცნიერული კამათი თუ ცილისწამება“ („ლიტ. საქ.“, 1974, 18, X). **გ. ა.**

8. ბორის გურგულია

მთარგმნელის ღვაწლი

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1981, 6 ივნისი, № 20, გვ. 11.

ავტორი წერს, რომ სოხუმში აფხაზურ ენაზე დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ მეორე სრული თარგმანი, რომელსაც პოეტმა მუშნი ლასურამ თითქმის ათი წელი მოანდომა. თარგმანს მაღალი შეფასება მისცეს პროფ. ქ. ლომთათიძემ და აფხაზმა მწერლებმა. აფხაზური ტექსტი ორიგინალის რიტმიკას არ შორდება და მის პათოსსაც ზედმიწევნით უახლოვდება.

რეცენზენტის თქმით, „ვეფხისტყაოსნის“ მ. ლასურისეული თარგმანი დიდი და საინტერესო ძეგლია აფხაზური სიტყვაკაზმული ხელოვნებისა. ის წარდგენილია რუსთაველის სახელობის პრემიაზე. **გ. ა.**

9. ციალა კარბელაშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის მითოლოგიური ძირები

*შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი,
IV რესპ. სამეცნიერო კონფ. ლიტ. თეორიისა და ესთეტიკის საკითხებზე,
მობს. თეზისები, თბ., 1981, გვ. 31.*

1. „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი გენეტიკურად ფოლკლორულ ჯადოსნურ ზღაპართან არის დაკავშირებული, რომელიც, თავის მხრივ, უძველესი საკრალური რიტუალებიდან და მითოსიდან იღებს დასაბამს.

2. პოემის სიუჟეტურ ბირთვში აშკარად ჩანს სოლარული და კალენდარული მითის კომპოზიციური სქემა. ქაჯთაგან დატყვევებული ნესტან-დარეჯანის მეტაფორა „მზე წარხდომილი“ მითოლოგიურ დონეზე პირდაპირ (და არა მეტაფორულ) შინაარსს შეიცავს მზებუდობის ციკლის შესაბამისად.

3. ამ ასპექტში ტარიელის „ტირილი“ მისტერიული, რიტუალური ტირილია მზის (ნაყოფიერების ღვთაების) წასვლის (გაუჩინარების) გამო.

10. [გ. კარტოზია]

„ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1981, № 3, გვ. 183-192.

ჟურნალში დაბეჭდილია გაგრძელება „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემის მთავარი რედაქციის სამუშაო სხდომების ოქმებისა, რომლის გამოქვეყნება დაიწყო 1974 წლიდან. ოქმებს წერდა და დასაბეჭდად ამზადებდა კომისიის სწავლული მდივანი გურამ კარტოზია (იხ. აქვე, „დამატება“, ანოტ. № 7).

ამ ნომერში დაბეჭდილია 1978 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში ჩატარებული სხდომების ოქმები. განხილული და დადგენილია პოემის 1004 – 1037 სტროფების ტექსტი. შემდეგი სხდომების ოქმები გამოქვეყნებულია: „მაცნე“, 1981, № 4; 1982, №№ 1, 2, 3, 4; 1983, № 2; 1984, № 2; 1985, №№ 2, 3; 1986 № 4; 1987, № 1; 1988, № 3; 1994, № 1-4.

ამჟამად ეს ოქმები წიგნებადაც არის გამოცემული: „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის სხდომათა ოქმები, წიგნი I, 2011 წ.; წიგნი II, 2012 წ. **გ. ა.**

11. მიხეილ კეკელია

იურიდიულ ტერმინ „სისხლის“ შემცველი ერთი სტროფის გაგებისათვის „ვეფხისტყაოსანში“

ჟურ. „მაცნე“, 1981, № 4, გვ. 106-110.

მ. კეკელია განიხილავს სისხლს, როგორც სამართლებრივ ტერმინს 550-ე სტროფში. ტარიელის მიერ ხვარაზმელი სასიძოს მოკვლის ეპიზოდი ასეა გადმოცემული: „... უსისხლოდ მოკვალ იგი, გლახ, თუცა ხმდა სისხლისა დენით“.

სამეცნიერო ლიტერატურაში ამ სტროფის მეოთხე ტაეპის შინაარსი ძირითადად ისეა გაგებული, რომ ტარიელმა სისხლის დენის გარეშე (უსისხლოდ), ბოძზე თავს შეტაკებით მოკლა სასიძო. ავტორი საანალიზო ტაეპის შინაარსთან დაკავშირებით გვამცნობს თავის შეხედულებას: ძველ ქართულ სამართალში „სისხლის დენა“ სოციალური შინაარსის მატარებელი, სისხლის ფასთან დაკავშირებული იურიდიული ტერმინია (სოციალურად ტოლთ ერთნაირი ფასის „სისხლი სდით“), მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს გამოთქმა სალაპარაკო ენაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ სისხლის დაღვრას უფრო ნიშნავს. ამ მოსაზრებას ვახტანგ VI სამართლის წიგნიც მხარს უჭერს (მუხ. 265). ამავე შინაარსითაა გამოყენებული „სისხლის დენა“ „ვეფხისტყაოსნის“ 284-ე („სისხლისა კი დენით“) და 949-ე („სისხლისა დენით“) სტროფებში.

მ. კეკელიას მოსაზრებით, – „უსისხლოდ მოკვალ იგი, გლახ, თუცა ხმდა სისხლისა დენით“ – ასე უნდა იქნას გაგებული: ტარიელი ამბობს, რომ შურისძიების საბაზის გარეშე, ისე, რომ ჩემი სისხლი არ ემართა, ჩემ მიმართ დანაშაული არა მიუძღოდა რა, მოკვალი ის მოყმეო („უსისხლოდ მოკვალ იგი ყმა...“), საბრალოა („გლახ“), თუმცა მართებული, საჭირო იყო მისი სისხლის დაღვრაო („ხმდა სისხლისა დენით“). **ი. კ.**

12. ლევან მენაბდე

**რუსთაველი ბალტიისპირეთის
რესპუბლიკებში**
ალმანახი „მწიგნობარი“, 1981, გვ. 24-39.

ავტორი მიმოიხილავს შოთა რუსთაველისა და მისი თხზულების შესახებ ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში გამოქვეყნებულ სამეცნიერო და პოპულარულ ლიტერატურას, „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანებს, საქართველოსადმი მიძღვნილ წიგნებსა და პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილ ნარკვევებს. მათ შორის საგანგებოდ აღნიშნავს ე. მეჟელაიტისის, ა. სპრინდისის, ი. სკლიუტაუსკასის, ე. ანდერსონეს, ა. იანსონის, ი. რუმიტის, ნ. ბასელის, უ. უსისოს დვაწლს. **გ. ა.**

12a. არჩილ შშველიძე

ივანე ევლახიშვილი
გაზ. „ლიტ. საქ.“, 1981, 5 ივნისი, № 23, გვ.12.

წერილში საუბარია ჟურნალისტისა და მწერლის ი. ევლახიშვილის (ევლახოვის) ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, აღნიშნულია, რომ მისი ოჯახი თბილისშიც და თელავშიც ნამდვილ ლიტერატურულ-სამუსიკო სალონს წარმოადგენდა. ი. ევლახიშვილი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც შეუდგა „ვეფხისტყაოსნის“ რუსულად თარგმნას. სამწუხაროდ, მან მხოლოდ პოემის დასაწყისისა და პირველი თავის თარგმნა მოასწრო.

განსაკუთრებით ბევრს წერდა იგი და სისტემატურად აქვეყნებდა წერილებს ქართული მუსიკისა და სიმღერის შესახებ. ამიტომ ითვლება ქართული მუსიკალური ფოლკლორის ისტორიის დამწყებად.

ი. ევლახიშვილი გარდაიცვალა 1888 წელს თბილისში. **გ. ა.**

13. გიორგი მჭედლიძე

**რუსთაველის მეჭურჭლეთუხუცესობის
თარიღის განსაზღვრისათვის**
ჟურ. „ჭიროხი“, 1981, № 1, ბათუმი, გვ. 78-85.

ავტორი მიმოიხილავს სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს აღნიშნულ საკითხზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში შოთა რუსთაველის მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობაზე ყოფნის სხვადასხვა თარიღს ასახელებენ, მაგ.: 1207-1220 / 21 წლები (ნ. შოშიაშვილი); 1212-1224 წლების ახლოს (სარგის კაკაბაძე).

ავტორი შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა და პოეტ რუსთაველის იდენტურობას სავსებით რეალურად მიიჩნევს და არ ეთანხმება შ. მესხიას რუსთაველის მეჭურჭლეთუხუცესობის უარყოფაში. იგი შოთა რუსთაველის ყოფნას აღნიშნულ თანამდებობაზე 1189-1220 წლებში ვარაუდობს. მისი აზრით, შოთამ ეს სახელო აბულასანის შემდეგ დაიკავა, ხოლო 1220 წლისთვის ამ თანამდებობაზე ისტორიული წყარო ივანე (ყვარყვარე) ჯაყელ-ციხისჯვარელს მოიხსენიებს.

რუსთაველის მოუხსენებლობას მის თანადროულ საისტორიო წყაროებში ავტორი იმით ხსნის, რომ თანამედროვეებმა რაღაც მიზეზით ტაბუ დაადეს გენიალური პოეტის როგორც ვინაობას, ისე მის მოხელეობასაც. **გ. ა.**

14 გ. მჭედლიძე

საყურადღებო ჰიპოთეზა სამეფო ხელისუფლების შეზღუდვის
არსის შესახებ რუსთველის ეპოქის საქართველოში

გაზ. „მნათობი“, 1981, № 6, გვ. 174–179.

ავტორი რუსთველის ეპოქის საქართველოს ისტორიის კვლევის საქმეში დიდმნიშვნელოვან ფაქტად მიიჩნევს შოთა მესხიას მონოგრაფიის – „სამინაო-პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში“ (თბ., 1979) – გამოცემას.

ავტორი მონოგრაფიის მხოლოდ ერთ საკითხზე ჩერდება, ესაა მეფის ხელისუფლების შეზღუდვის საკითხი, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით, ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის (1185 წ.) შემდეგ საქართველოში შეიზღუდა.

წერილის ავტორი შ. მესხიას მონოგრაფიის ერთ-ერთ დიდ ღირსებად მიიჩნევს სწორედ იმას, რომ მან საისტორიო წყაროთა დაწვრილებითი და დასაბუთებული განხილვის შედეგად გამოიტანა დასკვნა, რომლის მიხედვითაც, თამარის ხელისუფლება დიდებულთა „ერთნებობით და თანადგომით“ ანდა „მეფობის თანაზიარობით“ არ ყოფილა შეზღუდული.

რეცენზიის ავტორი თუმცა იზიარებს შ. მესხიას ამ შეხედულებას, მაგრამ ამ თვალსაზრისს ყველა დეტალში აბსოლუტურად მაინც არ ეთანხმება. ის თვლის, რომ ზოგიერთ მომენტში თამარს უხდებოდა დათმობაზე წასვლა, მაგალითად: გიორგი ანდრიას ძეზე დაქორწინება, ივანე მხარგრძელისათვის ათაბაგობის ბოძება. მაგრამ აქვე დასძენს, რომ ეს იყო ეპიზოდური უკანდახევა და არა ძირითადი პრინციპების უარყოფა, დავითისა და გიორგი III-ის პოლიტიკურ კურსზე უარის თქმა. **ნ. მ.**

15. გიორგი პაიჭაძე

ვახტანგის ადგილი რუსთველოლოგიაში

წიგნიდან – გ. პაიჭაძე, ვახტანგ მეექვსე,
თბ., „მეცნიერება“, 1981, გვ. 70–81.

ავტორი მსჯელობს ვახტანგ VI-ის დეაწლზე „ვეფხისტყაოსნის“ 1712 წლის ბეჭდური გამოცემის ტექსტის მომზადებაში, ვახტანგისეულ კომენტარებზე და მის თვალსაზრისზე პოემის ავტორის მიზანდასახულობასა და თხზულების თემატურ-იდეურ საკითხებზე.

დასკვნის სახით მკვლევარი წერს: „ვახტანგის რუსთველოლოგიური ნააზრევი არის ორიგინალური თვალსაზრისი, დამყარებული პოემის იდეური შინაარსის მეცნიერულ შესწავლაზე“. **გ. ა.**

16. რამაზ პატარიძე

მხატვრული მზე „ვეფხისტყაოსანში“

ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1981, № 7, გვ. 72–80.

ავტორის მიზანია გაარკვიოს „ვეფხისტყაოსნის“ ამა თუ იმ სტროფში ზეციერი მზე იგულისხმება თუ მზე – პიროვნება და რა მხატვრულ-შინაარსეული მნიშვნელობა აქვს მას. მაგალითად:

„მზე აღარ მზეობს ჩვენთანა, დარი არ დარობს დარულად“ (8114)

მკვლევრის აზრით, ასე უნდა იკითხებოდეს:

„მზე აღარ მზეობს ჩვენზედა, დარი არ დარობს დარულად“.

პოეტი ამ ტაეპში მზე-ავთანდილს კი არ გულისხმობს, არამედ ზეციერ მზეს, „რადგანაც დიდი მწუხარების გამო ზეციერი მზეც ვეღარ მზეობს..., ისევ მათი დიდი მწუხარების გამო“.

„თქვეს: ბნელი გვმართებს დღე-კრულთა, რადგან მზე მიგვიდრკა ცისა“ – ავტორი იზიარებს იუსტ. აბულაძის განმარტებას („მიდრეკა – მიფარვა, მიმალვა, ჩასვენება“) და აღნიშნავს, რომ რუსთველის თქმული „მზე მიგვიდრკა ცისა“ რეალური მზის ჩასვლას უნდა

ნიშნავდეს. ავთანდილის წასვლა მხატვრულად გააზრებულია, როგორც ზეციერი მზის ჩასვლა და ბნელის ჩამოდგომა.

„ვაზირმან ცნა, გაეგება: ჩემსა მზეა ამოსრული“ (720,1) – ე. ი. დილით ავთანდილი ვაზირის სახლს ამომავალ მზესავით ეწვია.

„გაიყარნეს, ყმა წავიდა, სახლად ჩადგეს მზისა წვერნი“ (761,4) – წამავალი ავთანდილი მკვლევარს კვლავ ჩამავალ ზეციერ მზედ მიაჩნია, ხოლო მზის უკანასკნელ სხივებს, მისი აზრით, „მზისა წვერნი“ რქმევია.

„მათ კიდობანი მოიღეს..., მას შიგან ჩასვეს იგი მზე, ჰგავს, იქმნა დარაჯებითა“ (573,4) – მკვლევარს სიტყვა „დარაჯა“ აქ მეტაფორული შინაარსის მქონედ მიაჩნია: „სტროფში ნესტანის დაკარგვის ამბავი მხატვრულად არის გააზრებული: კიდობანში ნესტანის ჩასმა მზის დამალვასთან შედარებულია და, შესაბამისად, შებინდებისა და მწუხრის სურათია გადმოცემული, ხოლო ორნი მონანი, დამეული ჟამის დადგომის აღსანიშნავად, მკვილავთ ანუ ღამის დარაჯებთან არიან შედარებულნი და ამგვარად შებინდების სრული სურათია დახატული“.

584-ე სტროფი – „მან უთხრა: წადით, დაკარგეთ მუნ, სადა ზღვისა ჭიპია“ – რ. პატარიძეს გვიანდელ ჩანართად მიაჩნია.

631,1: „ცხენი გავქუსლე, იქმოდეს შამბნი ხმასა და ხრიალსა“ – მკვლევარი ასე ასწორებს: ... იქმოდეს შამბნი ხმასა და ფრტიალსა. ასეთი კონიექტურა, მისი აზრით, გამართლებულია „სტროფის სწორუპოვარი ჟღერადობის თვალსაზრისით“.

მესამე ტაქტში ფრაზა: „ჩნდა ოდენ მზისა ტიალსა“, რ. პატარიძის ვარაუდით, გულისხმობს ცის კიდეზე, ცის დასალიერზე ჩამავალ მზე-ნესტან-დარეჯანს და არა ზეციერ მზეს: „ნესტან-დარეჯანი მხოლოდლა იქ (იმ ადგილას) სჩანდა, სადაც მზე ჩადის, სადაც მზე ტიალდება (სადაც მზის გატიალებისას მზის ნასახი, ნატამალილა რჩება)“. გ. ა.

17. გურამ პეტრიაშვილი

გვაქვს უთვალავი ფერითა

ჟურ. „საბჭოთა საქართველო“, 1981, № 6, გვ. 69–87.

გ. პეტრიაშვილი განიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებას და აღნიშნავს, რომ თანამედროვე მხატვრები მიხაი ზიჩის ილუსტრაციების გავლენის ქვეშ არიან. მიხაი ზიჩიმ არ იცოდა ქართული და მისთვის ბევრი რამ ეგზოტიკურად მოჩანდა საქართველოში და, კერძოდ, „ვეფხისტყაოსანში“. გ. პეტრიაშვილი აღნიშნავს, რომ მხატვარ-ილუსტრატორებს (ლ. გუდიაშვილი, თ. აბაკელია, ს. ქობულაძე, ი. თოიძე, ლ. ცუცქერიძე, ნ. იანქოშვილი, ს. მაისაშვილი) პოემაში უნდა მოეძებნათ ახალი მომენტები, მათ კი ძირითადად გაიმეორეს ზიჩის მიერ არჩეული ეპიზოდები. გ. პეტრიაშვილი იზიარებს მ. ქვლივიძის შენიშვნას იმის შესახებ, რომ ლ. გუდიაშვილის ილუსტრაციები ვერ გამოდგება „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა ხასიათებისა და ფსიქოლოგიის გადმოსაცემად.

რეცენზენტის აზრით, ს. ქობულაძის ილუსტრაციებში გმირები ზედმეტად მონუმენტურნი არიან და ცივ ქანდაკებებს ჰგვანან.

გ. პეტრიაშვილი წერს, რომ მხატვარს აქვს უფლება, აირჩიოს ნებისმიერი მანერა; ლ. ცუცქერიძემ პოემა დაინახა, როგორც წმინდად ზოგადკაცობრიული ამბავი და, ცხადია, ასეთი თვალსაზრისით შესრულებული ილუსტრაციები ვერ გვიჩვენებენ პოემის მხატვრულ ღირსებათა მთელ სიმდიდრეს. ნ. იანქოშვილის მიერ შესრულებულ ილუსტრაციებში აღსანიშნავია გმირთა პორტრეტები. ს. მაისაშვილის ილუსტრაციები რეცენზენტს მიაჩნია თოჯინებად და მანკეებად თავიანთი მოძრაობითა და გამომეტყველებით. იგი თვლის, რომ ს. მაისაშვილი ეყრდნობოდა იტალიელ მხატვარ ფულვიო ბიანკონის დასურათებას და არა პოემის ტექსტს, ამიტომ არ უცდია დაენახა პოემაში სხვა რაიმე, გარდა ეგზოტიკისა.

მიხაი ზიჩიმ ვეფხის მთლიანი ტყავი მოასხა ტარიელს, ქართველ მხატვრებს ეს არ უნდა გაემეორებინათ. ზიჩიმ დაინახა ავთანდილის სიმღერა და ტირილი ვერ შეამჩნია, ქართველმა ილუსტრატორებმაც (ლ. გუდიაშვილი, ირ. თოიძე, ლ. ცუცქერიძე) ასევე შეცდომით დახატეს ეს მომენტი. გ. პეტრიაშვილი მოითხოვს ილუსტრაციებში დაიხატონ გმირები არა მოღუმული

სახეებით, არამედ ლაღად და ხალისიანად. პოემის გმირთა ამგვარი დახატვა ვაჟკაცობას, სიძლიერესა და უძლეველობას სულაც არ ეწინააღმდეგება. საჭიროა შევხედოთ „ვეფხისტყაოსანს“, როგორც ფსიქოლოგიურ ნაწარმოებს, რომლის გმირები ჩვეულებრივი ცოცხალი ადამიანები არიან თავიანთი ადამიანური განცდებით, ფიქრებით, ღირსებითა და სისუსტეებით. ილუსტრატორ-მხატვრებიდან გ. პეტრიაშვილს ყველაზე მეტად მოსწონს ნ. იანქოშვილი და ლ. ცუცქირიძე და აღნიშნავს, რომ მათ დახატეს პირველი ილუსტრაციები დეტალიზაციის გარეშე. **თ. ტ.**

**18. სულხან ჟორდანიას
ცენტრალური სიმბოლოს პრობლემა „ვეფხისტყაოსანში“**
ჟურ. „მაცნე“, ელს, 1981, № 2, გვ. 60–72.

როგორც ავტორი წერს, „ვეფხისტყაოსნის“ ტროპების ანალიზი გვიჩვენებს, რომ პოემაში ყველაზე ხშირად იხმარება სიტყვა „მზე“, რომელიც გამოიყენება პერსონაჟთა დახასიათებისათვის მეტაფორის ან შედარების სახით. შშვენიერება ასოცირდება მზესთან. ტროპის „ადამიანი = მზე“ გამოვლენის სიხშირე ძალიან ხშირია.

„ვეფხისტყაოსნის“ პლასტიკურობა აიძულებს მკითხველს, არა მხოლოდ ისმინოს გმირის სილამაზის შესახებ, არამედ დაინახოს ეს სილამაზე. ამგვარი მიზანი ზოგჯერ მიიღწევა იმ ეფექტის აღწერით, რომელსაც გმირის გარეგნობა ახდენს მნახველზე.

„მზე-ადამიანის“ აზრობრივ სტრუქტურას რუსთველი ამდიდრებს თვისებით, რომელიც გარკვეულწილად დაკავშირებულია სინათლესთან, ღვთაებრივ ნათებასთან. სინათლის გამომასხვიებელ საგანთაგან პოემაში გვხვდება აგრეთვე მთვარე და ვარსკვლავები.

„ვეფხისტყაოსანში“ სამყაროს ნათელი ადამიანშია გადატანილი. ბიბლიური ღმერთიდან და ადამიანი-ღმერთიდან რუსთველი მიდის ახალ მოვლენამდე – „მზე-ადამიანამდე“, რომლისთვისაც არაფერი ადამიანური უცხო არ არის. რუსთველის რწმენა ასეთია: სილამაზე იხსნის სამყაროს. მზეს, ნათებას პოემაში აქვს არა მარტო ფიზიკური, არამედ სულიერი, გონებრივი, ინტელექტუალური თვისებები. მზეს ახლავს აგრეთვე სამართლიანობის ნიშანი, მას შეუძლია გათბობაც და დაწვაც, მაშასადამე – კეთილქმედებაც და დასჯაც. **გ. ა.**

19. ივანე სტოგბუნი
შოთა რუსთაველი ფრესკა
თბ., 1981, 62 გვ. (რუსულიდან თარგმნა ჯანა გელაშვილმა)

წიგნის ქართული თარგმანი პირველად დაიბეჭდა 1979 წ. (თბ., გამ. „ხელოვნება“). იხ. „რუსთვ. ლიტ. ბიბლიოგრაფიის“ IV ტ., ანოტ. № 848.

20. ალექსანდრე ფოცხიშვილი
წერილები ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებზე
თბ., 1981.

წიგნში დაბეჭდილია ნარკვევები:

1) ქალისა და სიყვარულის პრობლემა „ვეფხისტყაოსანში“. პირველად გამოქვეყნდა 1966 წ., (იხ. ანოტაცია ბიბლიოგრაფიის III ტომში).

2) კვლავ „ვეფხისტყაოსნის“ „ქალის კულტისა“ და სიყვარულის პრობლემის გარშემო, – დაიბეჭდა 1972 წ. სათაურით „საჭირო განმარტება“ (იხ. ბიბლიოგრ. IV ტ., ანოტ. № 504).

3) ჩვეულებრივ სიტუაციურისა და ქართველკაცური ფენომენის გაცხადებისათვის „ვეფხისტყაოსანში“, – გამოქვეყნდა 1980 წელს (იხ. IV ტ., ანოტ. № 903). **გ. ა.**

21. ვენორ ქვაჩახია

„ჯდა მტირალი წყლისა პირსა“, ანუ რუსთაველის ხელოვნება

ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, თბ., 1981, № 5, გვ. 79–84.

ავტორი ცდილობს ახსნას პოემის ზოგიერთი ეპიზოდის ქვეტექსტი, დაფარული აზრი, რის შესახებაც რუსთაველი არაფერს წერს.

მკვლევარი სვამს კითხვას: რატომ იჯდა ტარიელი წყლისა პირსა და არა, ვთქვათ, გზისა პირსა? მისი აზრით, „წყლის პირსა მტირალი იმიტომ იჯდა გაოგნებული, დარეტიანებული, რომ იმ წყლის ჭავლში ხედავდა მიჯნურის სახეს. ამიტომაც არაფერი ესმოდა, მისთვის ასეთ უნეტარეს ჟამს, ბუნებრივია, არაფერი სხვა არ არსებობდა...“

მკვლევარი ღრმა ფსიქოლოგიზმს ხედავს ავთანდილისა და ფატმანის ურთიერთობაშიც და დაასკვნის, რომ „ფატმანი ტრაგიკული პიროვნებაა და არა ნაკლოვანი“. **გ. ა.**

22. გურამ შარაძე

თეიმურაზ ბაგრატიონი და მარი ბროსე

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1981, 12 ივნისი, № 24, გვ. 10.

წერილი ეძღვნება თ. გ. ბაგრატიონისა და ფრანგი მეცნიერის მარი ბროსეს ურთიერთობას, მათ მოღვაწეობას ქართველოლოგიის სხვადასხვა დარგში, მათ შორის, „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლასა და გამოცემაში, ავტორი აღნიშნავს, რომ თ. ბაგრატიონი ბროსეს პარიზში ამარაგებდა ქართული წიგნებით, ხელნაწერებით, ისტორიულ-ფილოლოგიური ხასიათის ცნობებით. მ. ბროსე საქართველოში ჩამოვიდა 1847 წელს და ერთი წლის განმავლობაში ფეხით მოიარა სხვადასხვა მხარე. აქ მას მეგზურობასა და მასპინძლობას უწევდნენ პლ. იოსელიანი, გ. ერისთავი, დ. დადიანი, რ. ერისთავი, თ. გურამიშვილი, ი. ჭავჭავაძე და სხვანი.

მ. ბროსე ქართველოლოგიის აღიარებული მეთაური გახდა. მის ღვაწლს დიდად აფასებდნენ: ზ. ფალავანიშვილი, დ. ჩუბინაშვილი, ალ. ცაგარელი, დ. ბაქრაძე, თ. ჟორდანიას, ე. თაყაიშვილი და სხვები. **გ. ა.**

23. გ. შარაძე

მასალები ბელა ვიკარის არქივიდან

თბ., 1981.

წიგნის ერთ-ერთ თავში – „ვეფხისტყაოსნის“ ბელა ვიკარისეული თარგმანის ისტორიისათვის“ (გვ. 9–51) – გადმოცემულია უნგრელი მეცნიერისა და მთარგმნელის, პროფ. ბელა ვიკარის მუშაობა „ვეფხისტყაოსნის“ უნგრულ თარგმანზე, მისი ურთიერთობა მხატვარ მიხაი ზიჩისთან და ქართველ კონსულტანტებთან – გრიგოლ წერეთელთან, დავით თოლორაიასა და გიორგი ცისკარაულთან. **გ. ა.**

24. სარგის ცაიშვილი

მარადიული სახეები

(თანამედროვენი და წინამორბედნი) თბ., 1981;

სხვა გამოკვლევებსა და წერილებთან ერთად წიგნში დაბეჭდილია რუსთაველოლოგიური ნარკვევები:

1. დიდი პოეტი და ჰუმანისტი (გვ. 25–47).
2. შოთა რუსთაველი (ბიოგრაფიული ესკიზი), (გვ. 48–66).
3. რუსთაველის პოეტიკა (გვ. 67–80).

ისინი გამოქვეყნებული იყო 1966 წელს (ანოტაციები იხ. „რუსთაველი“ ლიტ.–ის ბიბლიოგრაფიის III ტომში“).

25. აპოლონ ცანავა

**ქართული კოსმოგონიური წარმოდგენების მეტაფორიზება
შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“**

*ლიტმცოდნეობის რესპ. საკოორდინაციო საბჭო, შოთა რუსთაველის
სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, XVI სამეცნ. სესია,
მოხს.თეზისები, თბ., 1981, გვ. 8–11 (მოგვაქვს შემოკლებით).*

„ვეფხისტყაოსანის“ გმირების ბრძოლა დევებთან და ქაჯებთან, მკვლევრის აზრით, მეტაფორიზებული ასახვაა ქართული კოსმოგონიური მითების პერსონაჟების (წარმართულ ღვთაებათა და მითიური გმირების) მიერ დევების დამარცხებისა და განდევნისა ხმელეთის საარსებო სივრციდან, რის შემდეგაც ისინი თვალთ უხილავ არსებებად გადაიქცნენ; აგრეთვე – ღვთაებათა ლაშქრობისა „ქაჯავეთში“, საიდანაც მათ ძვირფასი განძი წამოიღეს.

ნესტანის გათავისუფლება ქაჯეთის ციხიდან ასოცირდება „ქაჯავეთიდან“ სამძიმარის (იგივე საშხვეარის) ან ზღვის გაღმა მდგარი სასახლიდან თუ ციური კოშკიდან ყმარის მოტაცებასთან.

მითიური გმირები, კოპალა და იახსარი, ხთონურ ძალებს (დევებს) ამარცხებენ საგანგებო იარაღით, მორიგე ღმერთისაგან ზომეული ლახტით („საგმირო“), როგორც პოემის გმირები – ქაჯებს დევთა ქვაბში ნაპოვნი იშვიათი აბჯრით. **გ. ა.**

26. შალვა ხიდაშელი

რენესანსული ჰუმანიზმი

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1981, 28 აგვ., № 35, გვ. 13.

ავრ. წიგნში: შ. ხიდაშელი, ფიქრები საქართველოზე, თბ., 1993.

წერილში მოცემულია ნეოპლატონიზმის საქართველოში გავრცელების კვლევის ეტაპები და ამ მოძღვრების გამოხატულება „ვეფხისტყაოსანში“. ავტორი აღნიშნავს, რომ ჰუმანიზმის ძირითად იდეას ხილული სამყაროს ღირებულების (ონტოლოგიური, ეთიკური და ესთეტიკური) აღიარება შეადგენს. ქართული ნეოპლატონიზმიც ამ იდეის თავისებურ დასაბუთებას წარმოადგენს.

შუა საუკუნეების მსოფლმხედველობის მიხედვით, ღმერთი და სამყარო გათიშულია, მათ შორის დაპირისპირებაა.

რენესანსის ეპოქის მოაზროვნეებისა და რუსთაველისათვის უზენაესის სრულყოფილების აღიარება არ გამორიცხავს ხილული სამყაროს ღირებულებას... ნეოპლატონისტური მოძღვრება ღმერთის სამყაროში ემანაციის შესახებ იძლევა საფუძველს დასკვნისათვის, რომ სამყარო „იგივე ღმერთია, ოღონდ მისი განვითარების გარკვეულ საფეხურზე“.

რუსთაველი ნეოპლატონიზმს ემყარება ღმერთის აპოფატიკური (ღმერთი – „უცნაური და უთქმელი...“) და კატაფატიკური (ღმერთი – „სავსება ყოველთა“) მოაზრებისა, ღმერთის სამყაროსადმი მიმართებისა და არსის წყობის გაგების საკითხებში.

„ვეფხისტყაოსანში“ განსახიერებული სიკეთის მიერ ბოროტების ძლევის იდეას თავისი ფილოსოფიური საფუძველი აქვს; სიკეთის მონიზმი პროკლეს მიერ იყო დასაბუთებული, აქედან ფსევდო-დიონისეს მოძღვრებაში გადმოვიდა, ხოლო ამ უკანასკნელს უკვე რუსთაველი იმოწმებს.

ავტორის აზრით, „ვეფხისტყაოსანში“ ორი სააზროვნო ნაკადი – ჰუმანიზმი და ნეოპლატონიზმი შეერთდა და ერთმანეთს შეერწყა. **გ. ა.**

27. **III. В. Хидашели**

**Основные особенности гуманизма и
творчество Руставели**

*Ж. „Вопросы философии“, М., 1981, №6, с. 131-141.
იხ. აქვე ანოტ. № 28.*

28. **შ. ხიდაშელი**

რუსთაველის მსოფლმხედველობის საკითხები

თბ., 1981, გამ. „მეცნიერება“. 174 გვ.

წიგნი შედგება 4 თავისაგან:

I – რუსთაველი, როგორც ჰუმანისტი;

II – რუსთაველის ფილოსოფიური გარემო;

III – რუსთაველის ფილოსოფიური შეხედულებების წყაროები;

IV – რუსთაველის პანთეიზმის საკითხისათვის.

წიგნს ახლავს შენიშვნები (გვ. 152–164) და რეზიუმე რუსულ და გერმანულ ენებზე (გვ. 165–174).

ამ შრომის ნაწილი დაბეჭდილი იყო ჟურ. „ცისკარში“ 1972 წ. № 8, სათაურით: „რუსთაველის ფილოსოფიური წყაროს საკითხისათვის“, ხოლო „მზიანი ღამისა“ და „უჟამო ჟამის“ შესახებ – 1965 წელს – „მაცნე“ № 6 („ვეფხისტყაოსნის“ ერთი ადგილი არეოპაგეტიკის თვალსაზრისით).

წიგნში განხილულია ნეოპლატონიზმის ისტორიული მნიშვნელობის საკითხი. მოტანილია პლოტინის, პროკლეს, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის და პეტრიწის შეხედულებები. ავტორი იმ აზრისაა, რომ ნეოპლატონიზმის შუქზე არის გასაგები კოსმიური ჰარმონიის იდეა, რაც გამოხატულია რუსთაველის სტროფებში (ავთანდილის მიმართვა ციური მნათობებისადმი).

არეოპაგეტიკა ცნობილი იყო საქართველოში არაუგვიანეს XI ს-ისა (როდესაც ის ქართულად ითარგმნა ეფრემ მცირის მიერ). ეს მოძღვრება, ნეოპლატონიზმთან ერთად, წარმოადგენს რუსთაველის დროის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანს, გავრცელებულს და მოწინავე ფილოსოფიურ მიმდინარეობას საქართველოში.

არეოპაგეტიკაში „მზე“ ღმერთის კანონზომიერი და გავრცელებული სახეა, რაც მომდინარეობს ნეოპლატონიზმიდან და დადასტურებულია პეტრიწთან. მხოლოდ არეოპაგეტიკა იძლევა საფუძველს, დადგინდეს ტექსტობრივი პარალელები და წარმომავლობა რუსთაველის „მზიანი ღამისა“ და „უჟამო ჟამისა“, აგრეთვე, აიხსნას და დასაბუთდეს ამ გამოთქმების რთული და თავისებური აზრი და მნიშვნელობა. გ. ა.

29. **აკაკი ხინთიბიძე**

„ვეფხისტყაოსნის“ რიტმული ვარიაციებიდან

ჟურ. „ცისკარი“, 1981, № 3, გვ. 150–154.

ავტორი წერს: „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონში (202,4) – „ასრე სულთქმით და ვაებით მით ვართ ცრემლისაგა დენით“ – მეორე ნახევარი მეტრული სქემითა და რიტმული დინებით არ ეთანხმება პირველს. უფრო მეტიც: მეორე ნახევარტაეპის სქემა 2+4+2 ერთადერთია მთელ პოემაში. რ. ბერიძის აზრით, ასეთი დაყოფა ეწინააღმდეგება დაბალშაირულ ტაეპთა სეგმენტურ დაყოფას და ამის საფუძველზე გამოაქვს დასკვნა, რომ ეჭვქვეშ დგება გ. წერეთლის მიერ წარმოდგენილი რუსთაველური შაირის სილაბურობის თეორია.

ა. ხინთიბიძე ამტკიცებს, რომ აღნიშნული სტრიქონი მოცემული სქემით (2+4+2) რუსთველისეული არ არის. მას უფრო სანდოდ მიაჩნია ერთ-ერთი ხელნაწერის წაკითხვა: **მისთვის ვართ ცრემლთაცა დენით** (3+5).

მკვლევრის აზრით, დაბალი შაირისთვის მიუღებელი სქემა ავთენტიკურად რომ იყოს, ამ ერთადერთი მაგალითის საფუძველზე „ვეფხისტყაოსნის“ ლექსის სილაბურ-ტონურობის მტკიცება მიზანშეწონილი ვერ იქნება.

იხ. აქვე ანოტ. № 31. **ნ. გ.**

30. ა. ხინთიბიძე

ძველი და ახალი რითმა

წიგნში – „პოეტიკური ძიებანი“, თბ. 1981, გვ. 77-89.

ავტორი აღნიშნავს – რითმის სხვადასხვა განმარტება არსებობს, მაგრამ ყველა ამ განმარტებას ერთი საერთო ნაკლი აქვს: რითმის ცნებიდან გამოთიშულია **სიტყვა**, როგორც სემანტიკური ერთეული... ქართულში რითმა და კლაუზულა ერთმანეთს არ ემთხვევა, რითმა მთლიან სიტყვათა აკუსტიკური მსგავსების შედეგია. მაგ.: „ვეფხისტყაოსნის“ 1186-ე სტროფში სარიტმო სიტყვებში **რ ლ** ბგერები მონაცვლეობენ: **გულმოკლულნი – ფერნაკლულნი – არ საპყრულნი – მხიარულნი** (შდრ. გ. წერეთელი „მეტრი და რითმა“, რომელშიც რითმად მიჩნეულია მხოლოდ **ულნი**):

219-ე სტროფის რითმა ასონანსურია: **იდექს, იდექს, იმდექს**, მაგრამ კლაუზულისწინა ბგერათა (ცვ, წვ, წმ) გარეშე ეს რითმა დიდად გაღარბდებოდა: **ჩაგვიცვიდექს – გვწვიდექს – გარდმოსწვიმდექს – სწმიდექს**.

573-ე სტროფის რითმად უჩვენებენ **ჯებითა**: დალურჯებითა – მით ქაჯებითა – არ აჯებითა – დარაჯებითა. მაგრამ ხომ დაიკარგა სარიტმო წყვილი: **არ აჯებითა – დარაჯებითა?**

რითმათა სიმფონიაში (1973) ვერ ასახა: კიდ ენით – კი დენით (205), დასადობლად – დასანდობლად (243), ნაუბარი – ნაგუბარი (87), რა ვაჯობინო – გავაბრჭობინო (226) და სხვ.

ავტორის აზრით, საცილობელია პრინციპი რითმის ბუდეში სარიტმო სიტყვების განაწილებისა... რუსთველის რითმა, რომელიც გულისხმობს ოთხი სარიტმო ერთეულის ურთიერთშეწყობა-შეთანხმებას, „სიმფონიაში“ ფაქტობრივად ასახული არ არის (გვ. 83). **გ. ა.**

31. ა. ხინთიბიძე

შეფარდება 2-4-2 „ვეფხისტყაოსანში“

წიგნში – „პოეტიკური ძიებანი“, თბ., 1981, გვ. 153-161;

ავტორი ეხება ერთ არაორდინალური სტრუქტურული აგებულების სტრიქონს: „ასრე სულთქმით და ვაებით მით ვართ ცრემლისაცა დენით“ (2024).

სტრიქონის მეორე ნახევარში პროსოდიული სიდიდეებია 2-4-2, რაც შეუფერებელია დაბალი შაირით გაწყობილი სტროფისათვის.

ავტორი არ ეთანხმება რ. ბერიძის თვალსაზრისს, რომლის მიხედვით მახვილი მოდის - ცა ნაწილაკზე და ამის გამო მიიღება სამმარცვლიანი რითმა (ცადენით), რაც თითქოს ადასტურებს რუსთველის ლექსის სილაბურ-ტონურობას (რ. ბერიძე, შოთა რუსთაველის „რიტმული სვლა“. კრებ. „რუსთავის ჩირაღდნები“, V, 1978).

ა. ხინთიბიძის აზრით, -ცა ნაწილაკი მახვილმა კი არ მოსწყვიტა სიტყვას **ცრემლისაცა**, იგი რითმად მოსწყვიტა მას და მომდევნო სიტყვასთან შეაერთა. ამის გარდა, ხელნაწერებში გვაქვს სხვადასხვა ვარიანტი, მაგ.: „მით ვართ ცრემლისა დადენით“ ან „მისთვის ვართ ცრემლთაცა დენით“, რომელთა მეტრული წყობა დაბალ შაირს შეეფერება (5+3; 3+5). ბოლო ვარიანტს, ავტორის აზრით, უდავო უპირატესობა აქვს (**ცა დენით** რითმის შენარჩუნებით), თუმცა საბოლოო დასკვნისაგან თავს იკავებს, რადგან ეს წაკითხვა მხოლოდ ერთ ხელნაწერშია.

გ. ა.

32. ელგუჯა ხინთიბიძე

მეგობრობის რუსთველისეული კონცეფცია და მისი მიმართება არისტოტელეს „ეთიკასთან“

ლიტმცოდნეობის რესპ. საკოორდინაციო საბჭო, შოთა რუსთაველის
სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, XVI სამეცნ. სესია,
მოხს. თეზისები, თბ., 1981, გვ. 5-6.

მეგობრობის კონცეფცია „ვეფხისტყაოსანში“ ქართული მმადნაფიცობის ინსტიტუტსა და ქრისტიანული ეთიკის ტრადიციას ემყარება. ამასთან ერთად, რუსთაველი ითვალისწინებს ანტიკურ ფილოსოფიას, კერძოდ, არისტოტელეს მოძღვრებას მეგობრობაზე („ნიკომაქეს ეთიკა“, თ. VIII-IX): „მეგობრებს ახასიათებთ ერთად ყოფნა, ერთმანეთის გახარება და ერთმანეთისათვის სიკეთის ქმნა“, შდრ. რუსთაველი (779): „სამი არის მოყვრისაგან მოყვრობისა გამოჩენა...“

1982

33. ნელი ანდრონიკაშვილი

ტიპოლოგიური ნიშნები „ვეფხისტყაოსანსა“ და სარაინდო რომანში

ლიტმცოდნეობის რესპ. საკოორდინაციო საბჭო, შოთა რუსთაველის
სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, XVII სამეცნ. სესია,
მოხს. თეზისები, თბ., 1982, 23-24.

„ვეფხისტყაოსანსა“ და ევროპულ სარაინდო რომანებს, პირველ რიგში, ანათესავებს ადამიანის პიროვნებისათვის მანამდე უცნობი მასშტაბისა და მნიშვნელობის მინიჭება. თუმცა ისინი სოციალურ-პოლიტიკური ასპექტებით განსხვავდებიან, ლიტერატურული თემები, მოტივები და სახეები საერთო აქვთ. ორივეში არსებითი და თვალსაჩინოა სიყვარულის კულტი. სიყვარულის ემანსიპაციის გზა განსხვავებულად წყდება: რუსთაველური სიყვარული რეალური ადამიანის განცდა – ვნების გამოხატულებაა და საფუძველი მას ქართულ ეროვნულ სინამდვილეში აქვს, ევროპულ სარაინდო რომანში კი სიყვარული პირობითია და მხოლოდ საშეხდრო არისტოკრატის პრივილეგიაა.

34. მანუჩარ ანთაძე

რუსთველური საღმრთო მიჯნურობა და „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული სახეები

შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის
XVII სამეცნიერო სესია, მოხს. თეზისები, თბ., 1982, გვ. 14-15.

თამარ მეფის გაღმრთობა, რაც აისახა საისტორიო და მხატვრულ მწერლობაში, გამოვლენილია „ვეფხისტყაოსანშიც“ მხატვრულ სახეთა საღმრთო სიმბოლიკით („ჯიქი“, „ვეფხი“, „მზე“, „განკურნება“, „სულთა ლხენა“).

პოემის პროლოგში აღიარებულია პოეტის მიერ თამარისადმი, როგორც უფლის „შუალობისადმი“, საღმრთო მიჯნურობა, რაც აღსრულდება „ლექსთა ვლენით“ და სამიჯნურო ექსტაზში „ხორციელად უნათლო“ და სულიერად „განათლებული“ თვალებით თამარის, როგორც ღვთაების, ჭვრეტა.

„სამთა ფერთა საქებელთა – ლამის – ლექსთა უნდა ვლენა“ (10,4) ასე განიმარტება: სამი ურთიერთმესაფერი (გმირის) საქებელ ლექსებს გამოთქმა ესაჭიროება. „ლამის“ აქ ნიშნავს: „ნებავს“ (თამარს) – ამ თხზულების შექმნა თვით თამარს ნებავს.

35. ზვიად გამსახურდია
„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის სტივენსონისეული თარგმანი
ჟურ. „მაცნე“, ელს, 1982, № 2, გვ. 137-149.

ავტორი განიხილავს პოემის რ. სტივენსონისეულ ინგლისურ თარგმანს, რომელიც 1977 წელს ამერიკაში „იუნესკომ“ გამოსცა მსოფლიო კლასიკოსთა თარგმანების სერიაში. რეცენზენტი მსჯელობს ძირითადად „დასაწყისში“ გამოყენებულ რელიგიურ-ფილოსოფიურ ტერმინებზე და თარგმანში მათი არაადეკვატური შესატყვისებით გადმოცემის შემთხვევებზე.

რეცენზენტის აზრით, პოემის პირველ სტროფში ნახსენებია სამება – ღმერთი („რომელმან“), ძე, ლოგოსი, ქრისტე („ძალი“) და სული („ზეგარდმო არსნი სულით ყვნა...“). თარგმანში ვერ აისახა რუსთველის კრეაციონისტული კრედო; აქ „სული“ საერთოდ არ არის ნახსენები. რეცენზიაში განხილულია ტერმინები და ფრაზები: „სახე ყოვლისა ტანისა“, „ყანდისა ... შერისა“ (= ლომის თავლი), „სულთა ლხენა“ (= პატიება, შენდობა), „სადვთოდ გასაგონი“ (გულისხმობს გონებით წვდომას, სპირიტუალურ შემეცნებას სულისას); „შერთვა“, „მიჯნურობა პირველი“, „გვარი“, „ტომი“, „ბაძვა“, „მიჯნურთ ზნეობა“ და სხვ. „სადმრთო სიახლის“ მქონებლად იგულისხმებიან ის მიჯნურები, რომელთაც უკვე გაიარეს ეროსის სუბლიმაციის გზა (განდეგილები, ბრძენნი და სალოსნი). „ვეფხისტყაოსნის“ გმირები მიეკუთვნებიან მეორე კატეგორიას, რომელთაც „ქვე უც ბუნება“. ისინი დგანან „სადმრთო სიახლის“ გზაზე, მაგრამ ის ბოლომდე გავლილი არა აქვთ.

რეცენზენტს მიაჩნია, რომ სტივენსონმა ღრმად ვერ გაიაზრა ამ ცნებების შინაარსი, რაც არასწორი ინტერპრეტაციების მიზეზი გახდა. **გ. ა.**

35a. ზ. გამსახურდია
„ვეფხისტყაოსნის“ სტივენსონისეული თარგმანი
ჟურ. „მაცნე“, ელს, 1982, № 4, გვ. 157-167.

ავტორის მიზანია გაარკვიოს, პოემის ახალ ინგლისურ თარგმანში რამდენადაა შენარჩუნებული დედნის სტილი, აზრობრივი შინაარსი, ფილოსოფიურ-სადვთისმეტყველო ტერმინოლოგია და ტროპული მეტყველების სპეციფიკა.

მკვლევარი განიხილავს სხვადასხვა კონტექსტს და მიუთითებს კონკრეტულ ტერმინებზე, ფრაზებსა და წინადადებებზე, რომელთაც თარგმანში არ ეძებნება სათანადო შესატყვისები ინგლისურ ენაზე, ან მათი აზრი და მნიშვნელობა არასწორად არის გადმოცემული. ზ. გამსახურდიას ასეთებად მიაჩნია: „ენა ბევრად ასული“, „უხვი ახსნილსა დააბამს“, „გამატანე მოწყალეა ღმრთეებრისად“, „ძალი უხილავი“, „მამაცი“, „ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს“, „ზიანი ღამე“, „ერთარსება ერთი“, „უჟამო ჟამი“, „არსთა მხადი“, „ძალნი ზეციერნი“ და სხვ.

რეცენზენტი აუცილებლად თვლის, რომ დაიწყო მეცნიერულ-კრიტიკული ყოველმხრივი შესწავლა უკვე არსებული თარგმანებისა, შეიქმნას მუდმივმოქმედი საკონტროლო-საკოორდინაციო კომისია, რომელიც წინასწარ შეისწავლის ახალ თარგმანებს და წარმოადგენს დასკვნებს მათ შესახებ. **გ. ა.**

36. ზ. გამსახურდია
„ვეფხისტყაოსნის“ „შერთვა“ და სუფიზმი
*შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის
XVII სამეცნიერო სესია, მოხს. თეზისები, თბ., 1982, გვ. 10-12.*

რუსთველოლოგიაში გამოთქმულია მოსაზრება სუფიზმის გავლენის შესახებ რუსთველის მსოფლმხედველობაზე.

„ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებულია ტერმინი „შერთვა“ (790⁴), რომელიც სუფიზმშიც იხმარება. ორივეგან იგულისხმება ღვთაებასთან შერთვა, როგორც უზენაესი მიზანი პიროვნებისა. მაგრამ მათ შორის ძირეული შინაარსობრივი განსხვავებაა: სუფისტურ „შერთვას“ უფრო ნეოპლატონისეული აზრი აქვს. მის მიხედვით, ხდება პიროვნების განზავება ღვთაებაში, იგი შერთვის უზენაეს მსოფლიო სულს და კარგავს პიროვნულობას.

რუსთველისეული „შერთვა“ კი ქრისტიანული გაგების შერთვაა, როდესაც ხდება პიროვნული ყოფის შენარჩუნება. ეს არის „საღმრთო სიახლე“ და არა ღმერთში განზავება პიროვნებისა. **გ. ა.**

37. ნინო გაფრინდაშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი უცნობი ბელორუსული თარგმანის გამო

ახალგაზრდა მეცნიერ-ფილოლოგთა რესპ. კონფერენცია, ბათუმი, 1982, 11-13 მარტი.

მოხს. თეზისები, გვ. 22-24.

მოხსენება ეძღვნება მიკოლა ხვედოროვიჩის (ჩარნუშევიჩის) მუშაობას „ვეფხისტყაოსანზე“. მას ეკუთვნის პოემის პირველი სრული თარგმანი ბელორუსულ ენაზე. 1937 წელს ბელორუსულ ჟურნალ-გაზეთებში გამოაქვეყნა პროლოგისა და ხუთი თავის თარგმანი. 1938 წელს დაასრულა თარგმანზე მუშაობა და გამოცემლობას გადასცა დასაბეჭდად, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დროს დაიკარგა ის ცალი და სხვა ხელნაწერებიც. 1966 წელს მ. ხვედოროვიჩი კიდევ დაუბრუნდა „ვეფხისტყაოსანს“ და პოეტ ალეს ზვონაკთან ერთად მოამზადა ახალი თარგმანი.

37a. მანანა გოცირიძე

სიტყვათწარმოების ძირითადი ტიპები „ვეფხისტყაოსნის“ ებრაულ თარგმანში

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. 107, № 3, 1982, გვ. 645-648.

ნაშრომის მიზანია გაარკვიოს მორფოლოგიური სიტყვათწარმოების თავისებურებანი „ვეფხისტყაოსნის“ ბორის გაპონოვისეულ ებრაულ თარგმანში. განხილულია მხოლოდ ის ლექსიკური ერთეულები (სახელები და ზმნები), რომლებიც შექმნილია მთარგმნელის მიერ.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ ებრაულში ნაწარმოები სახელების უმრავლესობა ზმნურ ძირებსა უკავშირდება, სახელებისაგან წარმოქმნილი სახელები მცირე პროცენტს შეადგენს. თარგმანის ანალიზიდან ჩანს, რომ ბ. გაპონოვისეული ლექსემები, როგორც წესი, ბიბლიისა და მიშნის ებრაულში ცნობილი სიტყვათწარმოების მოდელების მიხედვითაა აგებული.

ნარკვევს ახლავს რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე. **გ. ა.**

38. მერი გუგუშვილი

ალ. სარაჯიშვილის საარქივო მემკვიდრეობიდან

შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის

XVII სამეცნიერო სესია, მოხს. თეზისები, თბ., 1982, გვ. 9-10.

მომხსენებელი გვაცნობს ალ. სარაჯიშვილის არქივში (კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში) დაცულ გამოუქვეყნებელ რუსთველოლოგიურ ნაშრომებს. ამ ნარკვევებსა და ჩანაწერებში „ვეფხისტყაოსანი“ შედარებულია ევროპულ სარაინდო რომანებთან, დადასტურებულია რუსთველის პოემაში ევროპული რომანის აუცილებელი ნიშნები (ქალისადმი სამსახური, არშიყოზის წესი, მიჯნურის ხელობა) და ახსნილია ამ მსგავსების მიზეზები.

ჟანრობრივად „ვეფხისტყაოსანი“ ალ. სარაჯიშვილს რაინდულ რომანად მიაჩნდა და მას ორიგინალურ თხზულებად თვლიდა.

39. ბორის დარჩია

„ვეფხისტყაოსნის“ გამოცემები მშობლიურ ენაზე

ალმანახი „მწიგნობარი“, 1982, გვ. 21-39.

ნარკვევში განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ ქართული გამოცემები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეცნიერულ-კრიტიკულ გამოცემებს, როგორებიცაა 1712 წლის (ვახტანგ VI-ის), 1841 წ. (მ. ბროსეს), 1888 წ. (ქართველიშვილის), 1913 და 1927 წწ. (ს. კაკაბაძის), 1914 და 1926 წწ. (ი. აბულაძის), 1934 წ. (კ. ჭიჭინაძის), 1937 წ. (საიუბილო), 1953 და 1970 წწ. (პ. ინგოროყვას), 1956 წ. (ს. ყუბანიშვილის), 1957 წ. (ა. ბარამიძის, კ. კეკელიძისა და ა. შანიძის), 1966 წ. („ვეფხისტყაოსნის“ კომისიის, საიუბილო და ა. ბარამიძისა და ა. შანიძის მიერ მომზადებული ტექსტები), 1974 წ. (ნ. ნათაძის).

ავტორი წერს, რომ ამჟამად მოქმედი „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია აგრძელებს მუშაობას, რომლის მიზანია სრული აკადემიური გამოცემის მომზადება. გ.ა.

40. ვალერი ზუხბაია

ძვირფასი ქვები „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ თარგმანებში

ჟურ. „მაცნე“, 1982 წ. № 3, გვ. 47-52.

ვ. ზუხბაია აკრიტიკებს პოემის მთარგმნელებს (პ. პეტრენკო, კ. ბალმონტი, გ. ცაგარელი, ნ. ზაბოლოცკი, შ. ნუცუბიძე) და აღნიშნავს, რომ მათ მიერ არასწორად არის თარგმნილი ან სრულიად გამოტოვებულია „ვეფხისტყაოსანში“ მოცემული ძვირფასი ქვების სახელწოდებანი, რომლებიც ამკობენ პოემის გმირების ტანისამოსს, იარაღს, გამოყენებულია საჩუქრებისათვის, პოეტური შედარებებისა და მეტაფორებისათვის. **ბადახშუს** (ბალახშუს) რუსთაველი იყენებს წითელი ფერის აღმნიშვნელად, რუსულ თარგმანებში კი წარმოდგენილია, როგორც ლალი, იშვიათად агат-ადაა მოხსენიებული.

იაგუნდის შესატყვისად ვ. ზუხბაიას სწორად მიაჩნია: гранат ან яхонт. შ. ნუცუბიძის თარგმანშია: ხან рубин, ხან бирюза, ხან изумруд. კ. ბალმონტი სხვადასხვა სტროფში სხვადასხვანაირად თარგმნის (гиацинт, рубин); ნ. ზაბოლოცკი – яхонт, кристалл, лал, гиацинт; პ. პეტრენკო – рубин, гиацинт, яхонт; გ. ცაგარელი – гиацинт, яхонт, рубин, самоцвет.

ამარტა (სტრ. 263) – კ. ბალმონტს თარგმნილი არა აქვს; შ. ნუცუბიძე და გ. ცაგარელი თარგმნიან ზაფრანად; პ. პეტრენკო და ზაბოლოცკი – როგორც ქარვას. ვ. ზუხბაია არც ერთს არ ეთანხმება და აღნიშნავს, რომ ამარტა ეშმასა ჰქვია, ე. ი. яшма камень – ასე უნდა ითარგმნოს.

ზურმუხტი (სტრ. 1356) მხოლოდ კ. ბალმონტს აქვს სწორად თარგმნილი.

შენიშვნები ეხება აგრეთვე ტერმინებს: ბროლი, გიშერი, სათი, აღმასი, ძოწი, აყიყი, ლალი, ფეროზი, მარგალიტი, სადაფი, ფაზარი, ქარვა, ლაჟვარდი.

ავტორი აღნიშნავს, რომ ძვირფასი ქვების არასწორად თარგმნა ცვლის პოემის მხატვრული სახეების (ტროპების) შინაარსს და მთლიანად თარგმანი არასრულფასოვანი ხდება.

თ. ტ.

41. რევაზ თვარაძე

ერისკაცის სადიდებელი

ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1982, № 2, გვ. 129-137.

ავტორი განიხილავს პავლე ინგოროყვას „რუსთველიანას“ ძირითად დებულებებს (პოემის დაწერის თარიღი, ავტორის საგვარეულო სახელწოდება, პოეტის შთამომავლობა, მისი დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები).

პ. ინგოროყვას დასკვნებს რ. თვარაძე ადარებს დღევანდელ რუსთველოლოგიაში აღიარებულად მიჩნეულ შეხედულებებს და წერს: „მეცნიერებამ არ გაიზიარა, თუ ცალკეულმა

სწავლულებმა არ ისურვეს გაეზიარებინათ და მერმე თავ-თავიანთ ასაბიასაც მოახვიეს თავს ამგვარი შეხედულება“.

ავტორის დასკვნით, „პავლე ინგოროყვას უზარმაზარი სამეცნიერო მემკვიდრეობის („რუსთველიანასა“ და „რუსთველიანას ეპილოგის“) საბოლოო შეფასება მომავლის საქმეა“. გ. ა.

42. ბორის კანდელაკი

შოთა რუსთაველის ასი პორტრეტი

თბ., „ხელოვნება“, 1982, 115 გვ.

ალბომში დაბეჭდილია (შავ-თეთრად) მინიატურების, ფრესკების, სურათების, ქანდაკებების,

ბარელიეფების – ასი ცალი რეპროდუქცია.

ალბომს წინ უძღვის წინასიტყვაობა ქართულ და რუსულ ენებზე (გვ. 3-8), ბოლოში ერთვის ცნობები დაბეჭდილი რეპროდუქციების შესახებ ქართულ და რუსულ ენებზე (გვ. 107-115). ცნობებში ბევრი ფაქტობრივი შეცდომაა (იხ. გ. შარაძე, „პოეტი, შაჰი თუ წმინდანი?!“ აქვე, ანოტ. № 98). გ. ა.

43. მარიამ კარბელაშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის მითოლოგიური ძირები (გენეზისი და სემანტიკა)

საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, 105, № 3, 1982, გვ. 649-652.

ავტორი წერს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიცია გენეტიკურად ფოლკლორულ ჯადოსნურ ზღაპართან არის დაკავშირებული და მის სიუჟეტს ჯადოსნური ზღაპრის ინვარიანტი უდევს საფუძვლად. რუსთველისეული ნესტან-დარეჯანის მხატვრული სახე სემანტიკურად ფოლკლორულ მზეთუნახავს უკავშირდება (ზღაპრული „მეფის ასული“ ან „მზეთუნახავი“). მისი სახე მითოლოგიური წარმომავლობისაა, მის მიღმა მზე და მისი მთავარი იპოსტასი – ნაყოფიერების ქალღვთაება ივარება.

ავტორის დასკვნით, ჯადოსნური ზღაპრისა და, შესაბამისად, „ვეფხისტყაოსნის“ საფუძველში გარკვეული მითოლოგიკა დაშიფრული, რომლის სტრუქტურა: „დაკარგვა – ძებნა – პოვნა“ საერთოა სოლარული, კალენდარული და ესქატოლოგიური მითოსებისათვის, რომელთა შორის განსხვავება მხოლოდ ფუნქციონალურია, ე. ი. „ვეფხისტყაოსნის“ ამ ასპექტით განხილვისას მის სიუჟეტურ ბირთვში – ნესტან-ტარიელის ციკლში – გამოვლენილია ყველა ხალხთა უძველესი ეპოსისათვის ნიშანდობლივი კალენდარული მითის კომპოზიციური სქემა.

გ. ა.

44. თამარ ლომიძე

მახვილი ძველ ქართულში და რითმის პრობლემა

ლიტმცოდნეობის რესპ. საკოორდინაციო საბჭო, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, XVII სამეცნიერო სესია, მოხს. თეზისები, თბ., 1982, გვ. 28.

1. ქართული რითმის კვლევისას უნდა გავითვალისწინოთ ენის განვითარების ფაქტი. ძველ ქართულში დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო მოძრავი მახვილი. საგულისხმოა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სარიტმო ზმნებში ბუნებრივი (მოძრავი) და მეტრული (ქორეული) მახვილები თანხვედნილია. დაბალი შაირის სარიტმო ზმნებში ეს დამთხვევა არ ხდება.

2. მაღალი შაირის სარიტმო ზმნათა ანალიზი საშუალებას იძლევა, ადვადგინოთ მიახლოებითი სურათი უძველესი ბუნებრივი აქცენტუაციისა, როდესაც მახვილს ფონოლოგიური დანიშნულება ჰქონდა.

45. შოთა ნიჟარაძე

აჭარული დიალექტიზმები „ვეფხისტყაოსანში“

მის წიგნში – „ლიტერატურულ-ენათმეცნიერული ნარკვევები“, ბათუმი, 1982, გვ. 46–49 (სტატია დათარიღებულია 1966 წლით).

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ენას ორგვარი ორიენტირი გააჩნია: სამწერლობო ტრადიცია და ცოცხალ მეტყველებასთან მჭიდრო კავშირი. წერილობითი ტრადიციის კვლევისას უნდა გამოიყოს რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო ენის ფუძედიალექტი.

ამ პრობლემაზე აკად. არნ. ჩიქოვას შემდეგი დასკვნა აქვს წარმოდგენილი: „არსებობს არაერთი გარემოება, რომლებიც გვაფიქრებინებს, რომ უნდა არსებულიყო სხვა დიალექტური წრე, რომლისგანაც ეს მოვლენები (დიალექტიზმები) შეითვისა სალიტერატურო ქართულმა. შეიძლება ეს კილო აჭარის სამხრეთით გვევარაუდებინა – ტაოსა და კლარჯეთში“.

როგორც ნარკვევის ავტორი წერს, ფონეტიკურ-გრამატიკული პროცესებით, და განსაკუთრებით – ლექსიკით, აჭარულს, კერძოდ, ზემოაჭარულს, ბევრი რამ აქვს საერთო მომიჯნავე მესხურ-ჯავახურთან. ამიტომაც აჭარული კილო ერთობ საყურადღებოა სამხრეთ საქართველოს მეტყველების პროფილის რესტავირებისათვის. ნარკვევში დამოწმებულია სიტყვები და გამოთქმები აჭარულიდან, რომლებიც ფონეტიკურ-მორფოლოგიური წარმოებით ახლოს დგას „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკასთან, მაგალითად: დავასხევდით, მოვზილევდით, შესტირნა, ოკოდგა, მორჩვი, კაპანი, შეთხზნა, გამფრინვალე, აქვან, ღაზვი, მოშორვება.

მკვლევრის დასკვნით, შოთა რუსთაველის მშობლიური დიალექტი უნდა ვეძიოთ ისტორიულ „ზემოქართლში“ – მესხეთ-ჯავახეთ-აჭარა-შავშეთ-კლარჯეთში. გ. ა.

46. შ. ონიანი

ინდო-ხატაელთა ამბავი

„ვეფხისტყაოსანში“

თბ., „მეცნიერება“, 1982, 270 გვ.

წიგნში მონოგრაფიულად არის შესწავლილი „ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოება, ე. წ. „ინდო-ხატაელთა ამბავი“, რომელიც შედგება სამი თავისაგან და შეიცავს 88 სტროფს. ავტორის აზრით, ეს ეპიზოდი „ვეფხისტყაოსნის“ ორგანული ნაწილია და წარმოადგენს მის დაბოლოებას.

ამ დებულების მთავარ არგუმენტად ავტორი თვლის:

1. ამ ეპიზოდს „ვეფხისტყაოსნის“ ნაწილად მიიჩნევენ არჩილ მეფე და სულხან-საბა ორბელიანი.

2. ქსნის ერისთავთა გვარის ისტორიაში „მეფლი ერისთავთა“ მიწერილია ინდო-ხატაელთა ამბის ორი სტროფი. მინაწერი XV ს-ის დასაწყისისაა, რაც იმას ადასტურებს, რომ ინდო-ხატაელთა გალექსილი ვერსია ამ დროს უკვე არსებობდა.

3. ინდო-ხატაელთა ამბის პოეტური ტექსტის გავლენას ხედავს ავტორი ჟამთააღმწერლის საისტორიო თხზულებაში (XIV ს-ის I ნახევარი) და ბექა მანდატურთუხუცესის „სამართლის წიგნში“ (XIII-XIV სს.).

4. ამ ეპიზოდის ტექსტი დამახინჯებულია გადამწერთა მიერ, რაც ხელს უწყობდა მის მიჩნევას გვიანდელ დანამატად. წიგნის ავტორი ასწორებს ტექსტს და ამის შემდეგ თვლის, რომ „მხატვრული თვალსაზრისითაც „ინდო-ხატაელთა ამბავი“ „ვეფხისტყაოსნის“ დონეზეა შესრულებული, დაწერილი რუსთაველური სტილით“.

წიგნს ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე (გვ. 257–263) და რედაქტორის – ს. ცაიშვილის წინასიტყვაობა, რომელშიც ნაშრომი დადებითად არის შეფასებული. გ. ა.

47. რამაზ პატარიძე

„დღისაღა ჩანს ნასამალი“

(თავი წიგნიდან „მატერული მზე „ვეფხისტყაოსანში“)

ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1982, № 7, გვ. 100-113.

წინამდებარე წერილში ავტორი იკვლევს „ვეფხისტყაოსნის“ 699-ე სტროფს და უპირატესობას ანიჭებს სტროფის ივანე გიგინეიშვილისეულ წაკითხვას მცირეოდენი განსხვავებით. ავტორის მტკიცებით, სტროფის მხატვრული შინაარსობრივი მნიშვნელობის გაგების მიზნით ის ამიერიდან ასე უნდა იკითხებოდეს:

ვაჟ, თუ გავიჭრა, გაჭრილსა სადა, გლახ, დამწვავს ამალი!

გული ძეს საგნად ისრისა, მესვრის საკრავად სამალი!

მალვა მწადს, მაგრა გარდახდა ჟამი პატიჟთა სამალი:

დრო სიცოცხლისა ჩემისა დღისაღა ჩანს ნასამალი.

ამ სტროფის მე-4 ტაქს ასე განმარტავს მკვლევარი: „ავთანდილის თინათინთან (მზესთან) გაყრის ჟამი ახლოვდება. ავთანდილის სიცოცხლის ჟამი მიწურულ დღესა ჰგავს, მზეს რომ უნდა გაეყაროს“.

რუსთველის გამონათქვამი: „დრო სიცოცხლისა ჩემისა დღისაღა ჩანს ნასამალი“ – მკვლევარს ერთ-ერთ უბრწყინვალეს მხატვრულ-მეტაფორულ სახედ მიაჩნია. მისი აზრით, ეს თქმა ლიტოტა კი არ არის, არამედ მეტაფორული გამოხატვა ავთანდილის თინათინთან გაყრისა, რამდენადაც ლიტოტა შებრუნებული ჰიპერბოლაა, რომელიც საგანს, მოვლენას კი არ აზვიადებს, არამედ ამცრობს. ხოლო აკად. ტექსტის დამდგენი კომისიის განმარტებას ის მეტაფორაზად მიიჩნევს და არა განმარტებად. ნ. მ.

48. რ. პატარიძე

მატერული მზე „ვეფხისტყაოსნისა“

ჟურ. „მნათობი“, 1982, № 7, გვ. 161-168; № 9, გვ. 166-175; შდრ. „მნათობი“, 1991, № 1.

ნარკვევი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველში ავტორი ცდილობს დააზუსტოს 698-ე სტროფის მესამე სტრიქონის შინაარსი: „ცუდი არის სიყვარული, ქვეით კოცნა, მზისა წვერვა“. მკვლევრის აზრით, „**მზის წვერვა**“ არის საშუადღეო მზის ამალღება, მზის კულმინაცია, ანუ მზის ზენიტში დგომა. მასში თინათინის მეფური ბრწყინვალეობა იგულისხმება. ხოლო „**ქვეით კოცნა**“ მიწის კოცნაა ყმისა პატრონის წინაშე, სრული მორჩილების ნიშნად (გვ. 167-168).

მეორე ნაწილში განხილულია მომდევნო სტროფი, რომელიც მკვლევარს უფრო მისაღებად მიაჩნია ივ. გიგინეიშვილისეული წაკითხვით:

ვაჟ, თუ გავიჭრა, გაჭრილსა სადა, გლახ, დამწვავს ამალი!

გული ძეს საგნად ისრისა, მესვრის საკრავად სამალი!

მალვა მწადს, მაგრა გარდახდა ჟამი პატიჟთა სამალი:

დრო სიცოცხლისა ჩემისა დღისაღა ჩანს ნასამალი.

ეს სტროფი აზრობრივი გაგრძელებაა წინა სტროფისა. პირველი სტრიქონის შინაარსს რ. პატარიძე ასე გადმოსცემს: ვა, თუ გაგყარე, შენგან განშორებულს, ვინ იცის, სად დამწვავს (დამდაგავს) შენი სურვილი (სიყვარული)!

მესამე და მეოთხე სტრიქონები ხელნაწერებში, ერთის გარდა (H-599), ადგილშენაცვლებით წერია, თუმცა ივ. გიგინეიშვილსა და რ. პატარიძეს ეს ერთადერთი გამონაკლისი უფრო ლოგიკურად მიაჩნიათ: ჩემი ტანჯვის მალვის (არგამხელის) დრო გავიდა, რადგან ჩემი სიცოცხლე ერთი დღის მესამედამდე შემცირდაო. ამ წინადადებას რ. პატარიძე მეტაფორად მიიჩნევს და ასეთ განმარტებას ურთავს: „ავთანდილი მზე-თინათინს ეყრება. მზესთან გაყრა კი, მხატვრული თვალსაზრისით, სიცოცხლესთან გაყრაა“. მათი განშორება შეიძლება შეედაროს მიწურული დღის გაყრას მზესთან. ავთანდილის იმჟამინდელი ყოფა მიწურულ დღესა ჰგავს, რომელიც მზეს უნდა გაეყაროს (გვ. 172).

ამავე წერილში განმარტებულია „სიცოცხლის საიმედო ნიშნის“ – მარგალიტის (სტრ. 701) სიმბოლური მნიშვნელობა. მკვლევრის აზრით, მარგალიტის მძივი „მზესთან“ (თინათინთან) შეყრისა და შეუღლების იმედის მომცემი ნიშანია. ადრე მიცემულ პირობას თინათინი ახლა ნივთიერი ნიშნით, შეუღლების აღთქმის სიმბოლოთი განამტკიცებს. გ. ა.

49. Сулхан Жордания

Творческое развитие символа

(От „мученичества Шушаник“ до Галактиона Табидзе),
Тб., 1982.

წიგნის ერთ ნაკვეთში – „შოთა რუსთაველი და მისი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ (გვ. 63-93) – განხილულია რუსთაველის მიერ გამოყენებული მხატვრული სიმბოლოები. ნარკვევი პირველად 1981 წელს გამოქვეყნდა („ცენტრალური სიმბოლოს პრობლემა „ვეფხისტყაოსანში“, „მაცნე“, №2) იხ. აქვე, ანოტ. № 18.

49a. პროკოფი რატიანი

წმინდანები ფრესკებიდან ჩამოდიან

(შოთა რუსთაველის ვინაობის გარკვევისათვის)
გაზ. „თბილისი“, 1982, 10 თებ. № 34, გვ. 3.

ავტორი წერს: ქ. რუსთავის ღვთაების ეკლესიის წიგნსაცავის კატალოგში (რომელიც საქ. ცენტრალურ საისტორიო არქივში ინახება) შეტანილია იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებლის თხზულებები. მკვლევრის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი, შოთა, საეკლესიო პირი იყო, ეპისკოპოსი ან მთავარეპისკოპოსი რუსთავის ეპარქიაში და ამიტომ იწოდებოდა რუსთველად. იგი იცნობდა იოანე დამასკელისა და მაქსიმეს შრომების ქართულ თარგმანებს და, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც იზიარებდა მათ შეხედულებებს. ქართველ მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებული ცნებები და გამოთქმები: „ნათელი“, „უცნაური და უთქმელი“, „უსახო სახე“, „უჟამო ჟამი“, „ბუნებაზიარი“ და სხვ. იოანე დამასკელის „ცოდნის წყაროდან“ მომდინარეობს.

აღნიშნული ფაქტების შემდეგ პ. რატიანს ბუნებრივად და კანონზომიერად მიაჩნია რუსთველის სურათის მოთავსება დასახელებული წმიდა მამების ფრესკებთან ჯვარის მონასტრის მთავარ ტაძარში. გ. ა.

50. რუსთველოლოგიური რჩეული ლიტერატურა, III

შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო იოსებ მეგრელიძემ.
რედ. სარგის ცაიშვილი. თბ., „მეცნიერება“, 1982, 178 გვ.

კრებულში შეტანილია XX ს-ის I ნახევარში გამოქვეყნებული გამოკვლევები: იუსტ. აბულაძის, ს. კაკაბაძის, ივ. ჯავახიშვილის, სილ. ხუნდაძის, მოსე ჯანაშვილის, მიხ. წერეთლის და ხომლეღისა (რ. ფანცხავა).

წიგნს ერთვის კომენტარები და შენიშვნები (გვ. 170-174) და საკუთარ სახელთა საძიებელი (გვ. 175-178). გ. ა.

51. ვაჟა სამსონიძე

გუნბათიანი მონასტერი და მოსე ხონელი

ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1982, № 8, გვ. 51-59.

წერილში გამოთქმულია ვარაუდი, რომ ავტორი „ამირანდარეჯანიანისა“ მოსე, თუ ის მართლა ხომელია (და არა ხონელი), წარმოშობით უნდა იყოს ხომას ხეობიდან (სამცხე,

ახალციხის რაიონი). ამ სახელწოდებას – ხომა – გარდა ხეობისა, ატარებს ორი ნასოფლარი, „აბანო“ (მინერალური სააბაზანე წყალი), გამოქვაბულები და მონასტერი. სწორედ ამ მონასტერში უნდა იყოს დაწერილი „ამირანდარეჯანიანი“, ხოლო თვითონ მოსე საეკლესიო მოღვაწე იქნებოდა. პოემის ხელნაწერებში და ნაბეჭდ გამოცემებში მისი **ხონელად** მოხსენიება „ხომას“ სახელდების გეოგრაფიული ადგილის არცოდნის შედეგია.

ტოპონიმი „ხომა“, ავტორის აზრით, მომდინარეობს სიტყვიდან **ხომი**, რაც ხომლს, თანავარსკვლავედს ნიშნავს. **გ. ა.**

52. რევაზ სირაძე

რუსთაველის ესთეტიკა

წიგნიდან – „სახისმეტყველება“, თბ., 1982; აგრ. ჟურ. „ქართული ენა და ლიტ. სკოლაში“, 1982, № 4, გვ. 91-106.

ავტორი თვლის, რომ რუსთაველის ესთეტიკას ორმხრივი გაგება აქვს: რუსთაველის ესთეტიკური შეხედულებანი და პოეტის მხატვრული სამყარო. ამათგან პირველი „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგშიამოცემული, მხატვრული სამყარო კი მთელი პოემაა. რუსთაველმა, რენესანსული გაგების კვალობაზე, პოეზია სიბრძნის დარგად გამოაცხადა. მისი აზრით, ნამდვილ პოეტად მხოლოდ ვრცელ ეპიკურ ნაწარმოებთა შემქმნელი ჩაითვლება. მკვლევარი თვლის, რომ რუსთაველი აქ აშკარა ცალმხრივობით სცოდავს, ვინაიდან ფაქტობრივად უგულვებლყოფს ლირიკის მნიშვნელობას. რუსთაველის მიერ პოეზიის უმთავრეს ღირსებად მიჩნეული სინათლე და მონუმენტურობა იმდროინდელი ეპოქის საერთო ესთეტიკური მრწამსია, – დასძენს ავტორი.

რ. სირაძე აღნიშნავს, რომ სათაურშივეა გაცხადებული პოემის მთავარი მოტივი და მთავარი პერსონაჟები. **ვეფხისტყაოსნი** ნესტან-დარეჯანს განასახოვნებს, ამასთან, იგი გმირის განწყობილების სიმბოლოა. პოემის სიუჟეტურ ხაზს მხატვრული სახე – ვეფხისტყაოსანი ამთლიანებს.

ავტორი გვაუწყებს, რომ იმხანად სიტყვა „**სპარსული**“ აღნიშნავდა არა მხოლოდ წარმოშობით სპარსულს, არამედ გამოწარმოვს, შესაბამისად, „სპარსული ამბავი“ – გამოწარმოვს ამბავს, შეთხზულ ფაბულას. ამის კვალობაზე პოემაში ხსენებული „...ქართულად ნათარგმანები“ ავტორს ამგვარად ესმის: ეს ამბავი გამოწარმოვია, „სპარსულია“ თავისი ლიტერატურული ბუნებით, მაგრამ გააზრებულია ქართული თვალსაზრისით. რ. სირაძე იქვე დასძენს, რომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიახლე, რომელიც რენესანსულმა ესთეტიკამ დაამკვიდრა, იყო ნაწარმოებში გამოწარმოვნი სინამდვილის შეტანა. შუა საუკუნეების ესთეტიკისაგან განსხვავებით, რენესანსის ეპოქის ხელოვანი თავად ქმნის ახალ სინამდვილეს. ამგვარ ესთეტიკურ პრინციპს მიჰყვება რუსთაველიც და ამგვარია „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულაც.

მკვლევრის აზრით, პოემის ერთ-ერთი ესთეტიკური კანონზომიერება – ეს ერთფეროვნების დაძლევის ტენდენციაა. ეს მომენტი ლექსთწყობაში ხორციელდება მაღალი და დაბალი შაირის მონაცვლეობით. „ვეფხისტყაოსანში“ მოცემულია დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურათა სინთეზი. ეს ვლინდება მის მხატვრულ სამყაროში და მის ესთეტიკაშიც. პოემის მხატვრული სამყაროს ცენტრი ადამიანია. რუსთაველის უმთავრესი ესთეტიკური მრწამსი გამოხატულია იდეალურ გმირებში. მაგრამ ეს ქვეყანა მხოლოდ იდეალურ გმირთა სამყოფელი არაა. პოეტი ხედავს ადამიანის მრავალგვარობას და მის ნაკლოვან მხარეებსაც. **გ. ა.**

53. გურამ შარაძე

დავით ჩუბინაშვილი – რუსთაველოლოგი

თბ., „მეცნიერება“, 1982, 77 გვ. რედაქტორი ს. ცაიშვილი

შინაარსი:

თ. I. დავით ჩუბინაშვილი (ბიოგრაფიული ეტიუდი).

თ. II. დავით ჩუბინაშვილი და „ვეფხისტყაოსნის“ ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები.

დ. ჩუბინაშვილი – „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენ-გამომცემელი.

დ. ჩუბინაშვილი და რუსთველის სახელით ცნობილი ლექსები.

დ. ჩუბინაშვილი და „ვეფხისტყაოსნის“ პირველი რუსული პოეტური თარგმანი. დასკვნა. რეზიუმე (რუსულ ენაზე). პირთა საძიებელი.

ავტორის აზრით, დ. ჩუბინაშვილი არის ახალი საფეხურის შემქმნელი „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერული შესწავლის საქმეში (თ. ბაგრატიონთან და მ. ბროსესთან ერთად). მის რუსთველოლოგიურ ნაშრომებში მოცემულია რუსთველის ეპოქის საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივ-კულტურული მდგომარეობის მეცნიერული დახასიათება, რომლის საფუძველზეც დასაბუთებულია „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის ისტორიული კანონზომიერება. **გ. ა.**

54. გიორგი შატბერაშვილი

თვალადური ქართულის ჭაშნიკი

მის წიგნში – „რჩეული“, თბ., 1982.

565-ე გვერდზე სიტყვა **ალქატის** გამო იმოწმებს „ვეფხისტყაოსანს“: „...ფრიდონის არ ალქატისა“ (1465); „ლხინი ჩემი ვაალქატე“ (251) და აღნიშნავს: ეს სიტყვა თვალადურ მეტყველებაში დღესაც ცოცხალია: **ალქატი სახე** – გამხდარი; **ალქატი მიწა** – მწირი, მოუსავლიანი მიწა; **ალქატი მარცვალი** – მსუბუქი, ბჟიტი, მოუსვლეელი მარცვალი. ხალხურ „ამირანში“ გვხვდება **ალქატი ფერი**.

590-ე გვერდზე ავტორი წერს: **დაცარვა** ეწოდება დაგრეხილი (დამახული) ძაფის მოშვებას, გაცალცალებას. თითისტარით ან ჯარაზე რამდენიმე წვერ ერთად შეგრეხილ ძაფს „დამახული“ ჰქვია. ძაფის დროს მარჯვნიდან მარცხნივ ტრიალებს თითისტარი, დაცარვის, ანუ დათართვისას – მარცხნიდან მარჯვნივ.

დაცარვა ეწოდება აგრეთვე თოკის, ნართის დამკვლევა-დაშლას, თოკის გაწყვეტამდე მისვლას, ქსოვილის დაფხავებას. „დაცარვასთან“ უნდა იყოს დაკავშირებული „ხელის მოცარვა“, საქმის უკუღმა წასვლა. შდრ. „ვეფხისტყაოსნის“ „უკუნაცარი“. **გ. ა.**

55. სარგის ცაიშვილი

ერთი რუსთველოლოგიური ნაშრომისა და მისი

ავტორის უიღბლო ისტორია

გაზ. „კომუნისტი“, 1982, 10 იანვარი, № 7.

წერილი ზოგადად ეხება აფხაზი საზოგადო მოღვაწის – დავით ჩქოტუას (გიორგი შერვაშიძის ძიძიშვილისა და მეგობრის) ცხოვრებას. აქვე აღნიშნულია, რომ მას ჰქონია მონოგრაფიული ნაშრომი (800 გვერდი) „ვეფხისტყაოსანზე“, რომელიც 1920 წელს გადაუცია მსახიობთა კავშირისათვის თბილისში. გადაწყვეტილი ყოფილა მისი დაბეჭდვა, მაგრამ ნაშრომი დაკარგულა. გადარჩენილია ამ ნაშრომის ორი მცირე ფრაგმენტი რუსულ ენაზე, რომლებიც მოხსენებებად ყოფილა წაკითხული 1917 წელს ზუგდიდში.

ეს ფრაგმენტები გამოქვეყნებულია სიმონ ჯანაშიას მიერ (კრებ. უნივერსიტეტის შრომები, 1936, I, გვ. 164–189). დ. ჩქოტუას მოხსენების ანოტაცია იხილეთ გ. იმედაშვილის წიგნში, გვ. 500 (№ 1332). **გ. ა.**

56. აპოლონ ცანავა

მითოსური ასპექტები შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ სტრუქტურაში *ჟურ. „მაცნე“, ელს, 1982, № 2, გვ. 77-90.*

ნარკვევში აღნიშნულია, რომ რუსთაველი მიზანდასახულად იყენებს უძველეს მითოლოგიურ წარმოდგენებს, მითოლოგიებსა და მითოლოგიური პანთეონის პერსონაჟებს. მათ ყველას გადატანითი, მეტაფორული მნიშვნელობა გააჩნიათ და ორგანულად ერწყმიან „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ სტრუქტურას.

თვით პოემის სათაური – „ვეფხისტყაოსანი“ – თავისებური მითოლოგიკა და მიუთითებს მთავარი პერსონაჟის ხასიათზე. წმინდა, ღვთაებრივი ცხოველის ტყავის ტარება გულისხმობს გმირის ამაღლებულ ნატურასა და ზებუნებრივ ძალმოსილებას.

ქართული მითოლოგიური წარმოდგენების თანახმად, ქაჯეთის ქვეყანა („ქაჯავეთი“) ხთონური სამყაროა და მისი მკვიდრნი განსახიერებენ აბსოლუტურ ბოროტებას. ქაჯეთის დამორჩილება ან გადმობირება შეუძლებელია. „ღვთის შვილები“ და გმირები (კოპალა, ამირანი, იახსარი, პირქუში, ბერი ზაადური და სხვ.) მთლიანად ანადგურებენ ქაჯებსა და დევებს. ისინი განდევნილ იქნენ მიწის ზედაპირიდან. მათი ერთი ნაწილი მიწაში შთაინთქა, ხოლო მეორე ნაწილი უხილავ არსებებად გარდაიქმნა. ეს მითოლოგიური მოდელი გამოყენებულია სხვადასხვა ასპექტით პოემის მხატვრულ სტრუქტურაში.

გველის მიერ შთანთქმული მთვარე (ნესტანი) და მისი „გველისაგან“ დახსნა – პოემის ფინალური მითოლოგიკა. აბსოლუტური ბოროტება ითრგუნება მაშინ, როდესაც აბსოლუტური სიკეთე – მზე (ტარიელი) და მთვარე (ნესტანი) – გამარჯვებას ზეიმობს.

შიოური (ან მთვარული) ღვთაების მოტაცება ხთონური ძალების მიერ მატრიარქატიდან პატრიარქატზე გადასვლის ეპოქის მითოლოგიაა, რომელიც „ვეფხისტყაოსანში“ გააზრებულია მეტაფორულ-სიმბოლურ პლანში. **გ. ა.**

57. ჯემალ ცერცვაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ტაჯიკური თარგმანები

*შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის
XVII სამეცნიერო სესია, მოხს. თეზისები, თბ., 1982, გვ. 15–16.*

1938 წელს გამოიცა „ვეფხისტყაოსნის“ არასრული ტაჯიკური თარგმანი, რომელიც კ. ბალმონტის რუსული თარგმანის მიხედვით მოამზადეს პოეტმა მირზო ტურსუნზადემ და ლიტერატორებმა: ს. ჯავაზარიზადემ, გ. ამინზადემ, ა. დეჰოთმა და რ. ჯალილმა.

1966 წელს პერიოდულ პრესაში დაიბეჭდა წერილები რუსთაველზე და გამოქვეყნდა პოემის უფრო სრული თარგმანი.

1979 წელს დაიბეჭდა ასლამ ადჰამისეული სრული პოეტური თარგმანი, რომლისთვისაც გამოყენებულია ს. იორდანიშვილის რუსული პწკარედი, აგრეთვე რუსული და ყაზახური პოეტური თარგმანები.

58. რევაზ ძნელაძე

ერთი საინტერესო ენობრივი მოვლენა „ვეფხისტყაოსანში“

ჟურ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1982, № 1, გვ. 106-112.

ავტორი აღნიშნავს, რომ ე. წ. **ტმესი** (განკვეთა) ჩვეულებრივი მოვლენაა ძველ ქართულში. ის გვხვდება ზმნის როგორც პირიან, ისე უპირო ფორმებში. ჩასართავ ელემენტად, გამყოფად, გამოიყენება ნაწილაკები (-ლა, -ვე, -ცა, -რე, -მე...), ნაცვალსახელები (ვინ, ვინმე, რადმე, ნუვინ, იგი...), ზმნიზედები (ესრეთ, სადა, უკუე, ოდენ...), კავშირები (რად, თუ, ხოლო...) და შორისდებული (გლახ).

მკვლევარი განიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში ისეთ შემთხვევებს, როდესაც ზმნისწინსა და საკუთრივ ზმნას შორის ჩართულია ერთი ან რამდენიმე ელემენტი. მისი დაკვირვებით, პოემის მეცნიერულ გამოცემაში (ა. შანიძე, ა. ბარამიძე, 1966 წ.) დადასტურებულია ტმესის 70 შემთხვევა, ხოლო სასკოლო გამოცემაში (ნ. ნათაძე, 1974 წ.) – 80.

გავრცელებულია ერთელემენტური ტმესები: და-მცა-ვფარე, შე-ლა-გცოდო, მო-ცა-კვდა, შე-ვინ-ვიდოდეს, შე-ვით-ვატყევ, შე-რა-შენდა და სხვ. პოემაში მხოლოდ ოთხი მაგალითია იმისა, როცა ჩასართავი ორი ელემენტი: მო-ცა-ვინ-მკლას, მო-ვითმე-თუ-ჰკალ იგი ყმა, არ ვიცი და-გლახ-რას-ები.

ნარკვევში ახსნილია ტმესიანი ფორმების აზრობრივი ნიუანსი და პოეტიკური დანიშნულება. ავტორის თქმით, ისინი მონაწილეობენ ალიტერაციაში, მეტაფორულ სახეთა შექმნაში, მოვლენა ჰიპერბოლიზაციაში და ხელს უწყობენ აზრის მოკლედ და სხარტად გადმოცემას. **გ. ა.**

59. ალექსი ჭინჭარაული

„ვეფხისტყაოსნის“ ენისა და ტექსტის საკითხები *წიგნი I, თბ., გამ. „განათლება“, 1982, 277 გვ.*

წიგნში განხილულია ფონეტიკა-მორფოლოგიისა და სიტყვათწარმოების საკითხები „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გამართვა-დაზუსტების მიზნით. ავტორი ახლებურად კითხულობს და ხსნის პოემის ტრადიციული ტექსტის ზოგ ადგილს. ცალკეული გამოკვლევები ეძღვნება შემდეგ საკითხებს: ხმოვანფუძიან სახელთა ბრუნება; ტმესი და მისგან გამოწვეული ზოგი გაუგებრობა; ფისტიკაური სტროფის რუსთველისეულობის საკითხი; „ჭერი“, „გიშრის ჭერი“, „ბროლის ჭერი“; „სიკრეხე“... თუ „სიხარკე“? „წავსწვდი“ თუ „წავსწყდი“? „კიდეგანთა“ თუ „კიდეგანი“? „ჰრომელი“, „მსწრომელი“ თუ „მსტრომელი“? და სხვ.

ავტორი მსჯელობის დროს ემყარება „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების მონაცემებს, ძველ ქართულ წერილობით ძეგლებსა და ქართული ენის დიალექტოლოგიურ მასალებს. მისი მოსაზრებები და კონიექტურები ყოველთვის უხვად დასაბუთებულია და უმრავლეს შემთხვევაში – ანგარიშგასაწევი.

წიგნს ახლავს გამოყენებული ლიტერატურის სია და განხილული სტროფებისა და სიტყვა-ფორმების საძიებელი. **გ. ა.**

60. ალ. ჭინჭარაული

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფის დასაცავად *მის წიგნში – „ვეფხისტყაოსნის“ ენისა და ტექსტის საკითხები“;* *თბ., 1982, გვ. 53–55.*

ავტორის მსჯელობა ეხება პოემის 584-ე სტროფს:

მან უთხრა: „წადით, დაკარგეთ მუნ, სადა ზღვისა ჭიპია;

წმიდისა წყლისა ვერ ნახოს მყინვარე, ვერცა ლიპია...“

მას ამ სტროფის სიყალბის დასამტკიცებლად იუსტ. აბულაძის, ა. ბარამიძისა და ს. იორდანიშვილის მიერ მოტანილი არგუმენტები საკმარისად არ მიაჩნია.

მკვლევრის ვარაუდით, „ზღვის ჭიპი“ ქაჯეთის სამეფოა, ხოლო ორი მონა, რომელთაც ნესტანი მიჰყავთ კიდობნით, დავარის მიერ ქაჯეთის სამეფოდან მოყვანილი „ქაჯები“ უნდა იყვნენ. მათ უხარიათ სამშობლოში დაბრუნება, რასაც გამოხატავენ შემახილით – „იპი, იპი!“

მისი აზრით, თუ არ მოიძებნება სხვა, უფრო მყარი არგუმენტი ამ სტროფის საწინააღმდეგოდ, ის უნდა დარჩეს პოემის ძირითად ტექსტში. **გ. ა.**

61. ალ. ჭინჭარაული

„უტურფესი სალხინოსა“?

მის წიგნში – „ვეფხისტყაოსნის“ ენისა და ტექსტის საკითხები, I, თბ., 1982, გვ. 58-62.

ავტორს მიაჩნია, რომ სტროფი 341 („ბაღა ვნახე უტურფესი...“) გვიანდელი ჩანართია. ამის დასამტკიცებლად მოაქვს შემდეგი არგუმენტები: ფრაზები – „უტურფესი ყოვლისავე სალხინოსა“ და „მფრინველთაგან ხმა ისმოდა“ – არარუსთველურია. აქ „სალხინო“ გვიანდელი მნიშვნელობით არის ნახმარი, როგორც ფანჩატური, ტალავური. რუსთაველმა „სალხინოს“ ეს მნიშვნელობა არ იცის.

წინა ეპიზოდში (სტრ. 329) ნათქვამია, რომ ბაღაში იყო „საბანლად სარაჯი ვარდის წყლისა“. 341-ში ჩნდება „სარაჯები“ და „აბანო“.

„კარსა ზედა მოჰფარვიდა ფარდაგები...“ „მოჰფარვიდა“ პოემაში ერთადერთი და ამ კონტექსტისათვის შეუფერებელი გამოთქმაა. ამავე დროს მომდევნო სტროფები მხოლოდ ერთი ფარდაგის არსებობას ადასტურებს (343, 344, 394, 408, 521, 520).

მკვლევრის დასკვნით, „შინაარსის თვალსაზრისით, ეს სტროფი საჭირო არ არის; მისი ენობრივი ქსოვილი არარუსთველურია, პოეტურ-გამომსახველობითი ხერხები კი სუსტია“. გ. ა.

62. ალ. ჭინჭარაული

„არს აღვსებისა“ თუ „არ აღვსებისა“? „ჰგვანდა“ თუ „უგავს“?

მის წიგნში – „ვეფხისტყაოსნის“ ენისა და ტექსტის საკითხები, თბ., 1982, გვ. 212-216.

ავტორი წერს: სტრიქონში „მოვიდა სიძე, გარდახდა, დღე ჰგვანდა არს აღვსებისა“ (552,2) – ზმნა **არს** კონიექტურაა და მისი გაზიარება არ შეიძლება იმ მიზეზის გამო, რომ „დღე ჰგვანდა არს აღვსებისა“ სრულიად გასაგებია და აქედან შეუძლებელია, ვინმეს „არ აღვსებისა“ გაეკეთებინა, რაც გამოუკლებლივ ყველა ხელნაწერში დასტურდება.

აქ გამოყენებული უნდა იყოს უარყოფითი შედარების ხერხი: „ის ამას არ ჰგავს“, რაც ნიშნავს: ის ამას ვერ შეედრება, ან: ეს მასზე უკეთესია, მეტია (მაგ., „არა მგავს არცა სიპია“, 584).

„დღე ჰგვანდა არს აღვსებისა“ ნიშნავს: (ამ დღეს) აღვსების დღე არ ჰგვანდა, ანუ ეს დღე აღვსების დღეზე უკეთესი იყო. ირიბი ობიექტი („დღეს“) გამოტოვებულია, იგულისხმება.

ეს დღე სასიხარულო იყო, პირველ რიგში, სასიძოსთვის (ამ სტრიქონშიც სულ სასიძოზეა საუბარი), ამიტომ სწორი უნდა იყოს E ნუსხის წაკითხვა: „მოვიდა სიძე, გარდახდა, დღე **უგავს არს აღვსებისა**“. (= ეს დღე მას აღდგომის დღეს ურჩევნია).

მკვლევარი იმოწმებს ხალხური ლექსიდან ასეთივე ხერხით შედგენილ სტრიქონს: შეთემ თქვა ქუმელაურმა: „დღეს დღე არ მირჩევ ცდისაო“, რაც ნიშნავს: (დღევანდელ) დღეს (სხვა) დღე არ მირჩევნია საბრძოლველად. გ. ა.

1983

63. დილარა ალიევა

ქალი – მთავარი მოქმედი გმირი

(ესთეტიკური იდეალის გამოხატულება ნიზამისა და რუსთაველის შემოქმედებაში)
ჟურ. „მნათობი“, 1983, № 9, გვ. 151-155.

წერილში ერთმანეთთანაა შედარებული რუსთაველისა და ნიზამი განჯელის ესთეტიკური იდეალები და ფილოსოფიური შეხედულებანი. როგორც ნიზამის, ასევე რუსთაველის პოემები გვევლინება ორი კულტურის ურთიერთკავშირის გამოვლენად. ნიზამისა

და რუსთაველის შემოქმედებას ბევრი საერთო აქვს. უპირველესად ეს ეხება ჰუმანიზმის არსს, გმირთა ხასიათებსა და მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ რუსთაველმა და ნიზამმა თავიანთ პოემებში გადმოგვცეს გამოჩენილ ბრძენ ქალთა ნათელი, ძალმოსილი სახეები, ისინი არიან საოცრად ერთგულნი სიყვარულში, უყვართ სამშობლო, მებრძოლებს მოუწოდებენ გმირობისა და მამაცობისაკენ. ასეთები არიან, მაგალითად, ბარდის მბრძანებელი ნუშაბე და თინათინი, შირინი და ნესტან-დარეჯანი, ფიტნე, ასმათი და სხვ. ეს პერსონაჟები, ერთი მხრივ, ავტორთა შემოქმედების ნაყოფნი არიან, მეორე მხრივ, ისინი ალორმინების ეპოქისათვის ნიშანდობლივი სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გავლენით არიან შექმნილნი.

რუსთაველის აფორიზმის – „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“ – პარალელს წარმოადგენს ხაყანი შირვანის შემდეგი გამონათქვამი:

„ქალი და კაცი – ძუ და ხვადი რამ განასხვავა,
სამეფო გვირგვინს ლომებივით შეჭიდებულნი“.

შდრ. ნიზამიც:

„შენ თუ ხვადი ხარ, მე ძუ ვიქნები,
რა ბედენაა მოპაექრე ლომებისათვის!“

დ. ალიევას აზრით, „ის, რომ ერთი და იგივე აზრი სამივე პოეტმა თავისებურად გამოხატა, დასტურია ჩვენი ხალხების თვით ცხოვრებისეული რეალობისა და, კერძოდ, ქალთა ყოფის მსგავსებისა“.

ქალის კულტი, რენესანსისათვის დამახასიათებელი ჰუმანიზმი, ორივე პოეტთან უპირველესად ქალთა სახეებშია წარმოჩენილი.

ნიზამის ქალები ჭკვიანები, გონიერები, ინტელექტუალები არიან. „ნიზამამდე მსოფლიო ლიტერატურაში არც კი იყვნენ ცნობილი ასეთი ქალები“.

რუსთაველის ქალები ბევრად მაღლა დგანან მამაკაცებზე როგორც ინტელექტუალური შესაძლებლობებით, ასევე ხასიათების სიძლიერითა და ნებისყოფით.

წერილში ავტორი სწორად გადმოგვცემს, რომ „ნიზამი და რუსთაველი ერთნაირი პატივისცემითა და მოწიწებით ეკიდებიან ქალებს, ხოლო მათი მოსაზრებანი და შეხედულებანი დაფუძნებულია ქალის როლის სწორ გაგებაზე როგორც ოჯახში, ასევე საზოგადოებაში“. **თ. ტ.**

64. გიორგი არაბული

ნარკვევები „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შესახებ

თბ., „მეცნიერება“, 1983, 90 გვ. რედაქტორი – სარგის ცაიშვილი

წიგნში განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ შედგენილობისა და პოემის ძირითად ტექსტთან ჩანართების (ინტერპოლაციების) მიმართების ზოგიერთი მხარე. აქ დაბეჭდილი გამოკვლევებიდან ზოგი ადრე გამოქვეყნდა. სხვა ნარკვევები ან პირველად იბეჭდება, ან – გასწორებული და შევსებული სახით. „ტარიელის ბავშვობაში“ (გვ. 32–40) ავტორი ეხება პოემის მთავარი პერსონაჟის ფიზიკური ზრდა-განვითარების აღწერის მხატვრულ სტილს და აყენებს 320-ე სტროფის („ასმათ, მითხრობდი რაცა სცნა...“) არარუსთაველურობის საკითხს. მისი აზრით, ამ სტროფის ფაქტობრივი ინფორმაცია ალოგიკურია ეპიზოდის სხვა მონაცემებისა და რუსთაველის შემოქმედებითი მეთოდის მიმართ.

ნარკვევში „დღისით ვლეს“... (გვ. 40–48) ნაჩვენებია 215-ე სტროფის („წინა-უკანა იარნეს ორნი დღენი და ღამენი...“) ენობრივი და სტილური გაუმართაობა და მოცემულ ეპიზოდთან მისი აზრობრივი შეუსაბამობა.

„ერთი სტროფის კომენტარისათვის“ (გვ. 54–62) ეხება 698-ე სტროფის („ყმამან ჰკადრა: „სიახლითა შევრთე ჭირი შვიდსა მე რვა...“) მეტაფორული შინაარსის გახსნასა და უცხო ენებზე მისი თარგმნის სიძნელეს.

ნარკვევში „რა დაავიწყდა ტარიელს?“ (გვ. 62–75) წარმოდგენილია 462-ე სტროფის („ადარა ვიცი, დამვიწყდეს...“) სიყალბის მაჩვენებელი არგუმენტები; აქვე დასაბუთებულია მის ადგილზე ხელნაწერებიდან სხვა, ჩანართად მიჩნეული სტროფის („პატრონობა ინდოთა...“) შეტანის მიზანშეწონილობა.

„ეპიკურ განმეორებათა შესახებ“ (გვ. 78-88) საუბარია რუსთველის მიერ ცნობილი სტილური და კომპოზიციური ხერხის გამოყენებაზე. იქვე აღნიშნულია, რომ შინაარსობრივი გამეორების ყველა შემთხვევის მხატვრულ ხერხად მიჩნევა მართებული არაა. საგანგებოდ განხილულია 71-ე სტროფი („კვლავ ბრძანა: მონა თორმეტი...“), რომელიც 75-ე სტროფის პარაფრაზს წარმოადგენს და თანაც არასწორ ინფორმაციას შეიცავს ნადირობაში შერმადინის მონაწილეობის შესახებ.

ასეთივე კომპილაციური გამეორების ნიმუშია 909-ე სტროფი („ქედსა გარდავდეგ...“), რომელიც რუსთველის მიერ აღწერილი სურათის ახალ, განსხვავებულ ვარიანტს წარმოადგენს, შუაზე კვეთს ავტორის მხატვრულ თხრობას და ეპიზოდის შინაარსს აზუნდოვანებს.

წიგნს ერთვის „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი ხელნაწერების ძველი და ახალი ლიტერების ნუსხა (გვ. 89) და რეზიუმე რუსულ ენაზე (გვ. 90). **თ. ტ.**

65. გ. არაბული

ერთი სტროფის კომენტარისათვის

კრებ. „ლიტერატურული ძიებანი“ (ედღვნება აკად. ალ. ბარამიძის დაბადების 80 წლისთავს), თბ., 1983, გვ. 53-60; აგრ. წიგნში – ნარკვევები „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შესახებ, თბ., 1983, გვ. 54-62.

მსჯელობა ეხება „ვეფხისტყაოსნის“ 698-ე სტროფს (1966 წ. საიუბილეო გამოცემით):

ყმამან ჰკადრა: „სიახლითა შვერთე ჭირი შვიდსა მე რვა,
ცული არის დამზრალისა გასათბობლად წყლისა ბერვა,
ცული არის სიყვარული, ქვეით კოცნა, მზისა წვერვა,
თუ გეახლო ერთხელ ვა და, რა მოგმორდე, ათასჯერ ვა!“

ნარკვევში განხილულია ვახტანგ მეექვსის, თ. ბაგრატიონის, ვ. ჭიჭინაძის, ვ. ნოზაძის, მიხ. შენგელიას მოსაზრებანი, აგრეთვე უცხო ენებზე მთარგმნელების – გ. ცაგარლის, შ. ნუცუბიძის, ს. იორდანიშვილის, ნ. ზაბოლოცკის, ვ. ურუშაძის, ს. წულაძის მიერ გადმოცემული შინაარსი, განსაკუთრებით მეორე და მესამე სტრიქონებისა, რომელთა მეტაფორულობა სხვადასხვაგვარი გააზრების საბაზს იძლევა.

ნარკვევის ავტორის აზრით, მეორე სტრიქონში საუბარია შეციებული, ყინვისგან გათოშილი კაცის გათბობაზე; ასეთად ავთანდილი თავის თავს მიიჩნევს. მესამე სტრიქონში „ქვეით კოცნა“ მიწაზე დაფენილი მზის შუქის კოცნაა, ხოლო „მზისა წვერვა“ ფიქრითა და ოცნებით მზესთან სიახლოვის განცდას გულისხმობს. **გ. ა.**

66. ალექსანდრე ბარამიძე

ბორის გაპონოვის გახსენება

ავტორის წიგნში – „ახლო წარსულიდან“ (მოგონებანი), თბ., 1983, გვ. 323-331
(პირველად დაიბეჭდა ჟურ. „მნათობში“, 1978, № 9).

ავტორი წერს, რომ 1968 წელს ბ. გაპონოვმა ბ. ჟღენტის მეშვეობით სთხოვა მას შესავალი წერილი დაეწერა „ვეფხისტყაოსნის“ ებრაული თარგმანისათვის, რომელიც ისრაელში უნდა დაბეჭდილიყო. მკვლევარმა თხოვნა შეასრულა, რისთვისაც მიიღო მადლობის წერილი ბ. გაპონოვისაგან. ის ატყობინებდა, რომ განზრახული აქვს დაწეროს წიგნი „რუსთაველი და ბიბლია“, აგრეთვე – თარგმნოს თანამედროვე ქართველი პოეტების ლექსები ებრაულ ენაზე.

„ვეფხისტყაოსნის“ გაპონოვისეული თარგმანი 1969 წელს დაიბეჭდა თელ-ავივში. მან დიდი მოწონება დაიმსახურა და მთარგმნელმა ცნობილი ისრაელი პოეტის შაულ ჩერნიხოვსკის სახელობის პრემიაც მიიღო. იმავე წელს ბ. გაპონოვმა ლენინგრადში, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში წაიკითხა მოხსენება „ვეფხისტყაოსნის“ ბიბლიური მოტივები“, რომელიც შემდეგ თბილისში გამოქვეყნდა (იხ. „მაცნე“, ელს, 1979, № 2). მეტის გაკეთება ბ. გაპონოვმა ვეღარ მოასწრო, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ისრაელში 1972 წელს. **გ. ა.**

67. ალ. ბარამიძე

**„ვეფხისტყაოსნის“
ტექსტის დამდგენი კომისიების მუშაობის შესახებ**
წიგნში – „ახლო წარსულიდან“ (მოგონებანი), თბ., 1983, გვ. 121–142.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკული გამოცემის ტრადიციას საფუძველი დაუდო ვახტანგ მეექვსემ (იხ. 1712 წლის გამოცემა). მცირე კომისიამ მოამზადა და გამოაქვეყნა პოემის მეორე გამოცემა (პეტერბურგი, 1841 წ.). მწერალთა და მეცნიერთა უფრო დიდი კოლექტივის მუშაობის ნაყოფია 1888 წლის გამოცემა.

მკვლევარი ვრცლად მიმოიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ 1937 წლის საიუბილეო გამოცემის ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობის მიმდინარეობას და იმ ხელისშემშლელ პირობებს, რომლებმაც შეუძლებელი გახადა კომპეტენტური კომისიის თვალსაზრისის განხორციელება. როგორც ავტორი წერს, საქ. მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის, მ. ტოროშელიძის, და შემდეგ კ. ჩარკვიანის მხარდაჭერით ოფიციალური სანქცია მიეცა კ. ჭიჭინაძის თვალსაზრისის და უხეში ადმინისტრირების შედეგად დაიბეჭდა კომისიის მიერ დადგენილისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული ტექსტი. ცვლილება უმთავრესად პოემის სტროფულ შედგენილობაში მოხდა, ძირითად ტექსტს დაემატა ე. წ. „ინდო-ხატაელთა ამბავი“ და ოცამდე სხვა სტროფი, რომლებიც კომისიის მიერ ინტერპოლაციებად იყო მიჩნეული. ამის შემდეგ დამკვიდრდა დოგმატიზმი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მიმართ. მხოლოდ 1951, 1953 და 1957 წლების გამოცემებში გახდა შესაძლებელი ზოგიერთი ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომის გასწორება.

1959 წელს საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში შეიქმნა კომისია „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის მომზადებისათვის, 1962 წლიდან კი კომისია დაექვემდებარა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს და შეივსო ახალი წევრებით. 1966 წელს, შოთა რუსთველის დაბადებიდან 800 წლისთავის საიუბილეოდ კომისიაში მომზადდა და დაიბეჭდა პოემის რამდენიმე გამოცემა, შემდეგ კი დაიწყო მუშაობა რუსთველის თხზულების აკადემიური ტექსტის დადგენისა და ვარიანტებისა და კომენტარების დართვით გამოსაცემად მომზადებისათვის.

(ნარკვევი დათარიღებულია 1979 წლით). გ. ა.

68. **Р. Н. Барбакадзе**

**Художественная функция цвета
в поэме Руставели**

*Автореф. дисс. на соиск. уч. степ. кандидата филол. наук,
Тб., 1983, 28 გვ.*

დისერტაცია შედგება შესავლისა და სამი თავისაგან. მასში განხილულია ფერის ფუნქციური თავისებურებანი ლიტერატურულ ნაწარმოებში. აღნიშნულია, რომ ფერი წარმოადგენს ნაწარმოების მხატვრული სისტემის სრულფასოვან ელემენტს. მოცემულია ანალიზი მეტაფორული ფერწერის იმ ფორმებისა, რომლებიც ხშირად გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“.

იხ. ამავე ავტორის:

1. ფერთა კომბინაციები რუსთველის პოემაში, – თსუ სტუდენტთა XXXV სამეცნ. კონფ. თეზისები, თბ., 1975;

2. „ვეფხისტყაოსანი“ და ფერთი სისტემის გააზრება შუა საუკუნეების ლიტერატურულ ტრადიციაში, – საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მაცნე, ელს, 1978, № 3;

3. ფერი – მხატვრული აზროვნების ელემენტი, – მაცნე, ელს, 1979, № 2; გ. ა.

69. აკაკი გაწერელია

ძიებანი და მოსაზრებანი

ჟურ. „განთიადი“, 1983, № 6, გვ. 108–121.

ნარკვევის ქვესათაურებია: I. „ბოროტისა“ და „კეთილის“ ცნებებისათვის ფსევდო-დიონისესთან და რუსთაველთან.

ავტორი აღნიშნავს, რომ ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში არსად არაა მოცემული ბოროტის „არარაობა“, არასუბსტანციალობა. ფსევდო-დიონისეს ამ აზრის დასაბუთება დასჭირდა ღმერთი-სამების, როგორც ტრანსცენდენტური „სახიერების“ (კეთილის) უკიდურესი აპოლოგიის მიზნით.

II. როგორ უნდა გავიგოთ რუსთაველის „სავსება“? ეს ცნება („შენ ხარ სავსება ყოველთა, აღგვავეს მზეებრ ფენითა“, 918,2) მიემართება ღმერთს, როგორც პიროვნულ აბსოლუტს და წარმოადგენს მისი სისრულის დახასიათებას. სახარების „სავსებაში“ იგულისხმება ღმერთი – ქრისტე, რომელიც მზეებრ ავესებს ყოველივეს.

... IV. რუსთაველის „**ჰე, ღმერთო ერთო**“-ს გაგებისათვის. რუსთაველის „ერთი“ გულისხმობს სამებას წმინდა მართლმადიდებლური გაგებით, რადგან მისთვის მიუღებელია ტრინიტატის კათოლიკური დასაბუთება, ანუ დაშვება სუბორდინაციისა, როცა სამების მესამე იპოსტასი (სულიწმინდა) არაა გათანაბრებული პირველ ორ იპოსტასთან. **გ. ა.**

70. ალექსანდრე გვახარია

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან (დარიჯაგი)

თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 241, 1983, გვ. 73–77.

ავტორი განმარტავს 1208-ე სტროფში ნახმარ სიტყვას – „დარიჯაგს“, რომელიც 1966 წლამდე გამოცემებში იბეჭდებოდა „დარაჯაგის“ სახით და განიმარტებოდა როგორც „საყარაულო ანუ ნეობახტი“ (თეიმურაზ ბაგრატიონი).

პოემის ხელნაწერებში დაცულ წაკითხვას – „დარიჯაგი“ მკვლევარი მიიჩნევს სიტყვა „დარიჩას“ საშუალოსპარსული ფორმის ექვივალენტად, რის საფუძველზეც დაასკვნის, რომ სიტყვა „დარიჯაგი“ ნიშნავს არა საყარაულოს, არამედ ფანჯარას, მცირე სარკმელს.

„ვეფხისტყაოსნის“ ტაეპს:

„წავდეგ წინა დარიჯაგთა, კარი მიჩნდა ხანაგისა“, – მკვლევარი ასე განმარტავს: დავდექი დარიჯაგის (ფანჯრის, მცირე სარკმლის) წინ და დავინახე ხანაგის (სასტუმრო სახლის) კარები. **გ. ა.**

71. მერი გუგუშვილი

ა. სარაჯიშვილი „ვეფხისტყაოსნის“ ჟანრული სპეციფიკისა და ორიგინალობის შესახებ

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1983, № 1, გვ. 54–62.

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველის თხზულება შინაარსობრივ-ჟანრობრივად პირველმა პლატონ იოსელიანმა მიამსგავსა რაინდულ რომანს, რომლის სამშობლოდ არაბული ლიტერატურა მიაჩნდა. არტურ ზუტენერმა რუსთველი შეუპირისპირა შუა საუკუნეების ევროპელ მწერლებს და ვალტერ ფონ დერ ფოგელვაიდესა და ვოლფრამ ფონ ეშენბახის გვერდით მიუჩინა საპატიო ადგილი. „ვეფხისტყაოსნისა“ და დასავლეთ ევროპის რაინდულ პოეზიას შორის არსებულ რიგ საერთო მოტივებზე მიუთითა ნ. მარმაც.

აღ. სარაჯიშვილმა „ვეფხისტყაოსნის“ ჟანრისა და ორიგინალობის კვლევა დააფუძნა ევროპულ სარაინდო რომანებთან მსგავსებაზე. ასეთებად მას მიაჩნდა არიოსტოს „გამშაგებული ორლანდო“, ტორკვადო ტასოს „გამოხსნილი იერუსალიმი“ და სერვანტესის „დონ-კიხოტი“.

მკვლევრის აზრით, აღ. სარაჯიშვილმა საკმარისი საბუთიანობითა და დამაჯერებლობით გააანალიზა განსახილველ ნაწარმოებთა შორის არსებული მსგავსება-

განსხვავებანი, დაიმოწმა ნიშანდობლივი თვისებები (ქალისადმი მსახურება, სასიყვარულო ურთიერთობათა კულტი, „შმაგ მიჯნურთა“ წრეგადასული ვნებები) და ახსნა ამ მსგავსებათა წარმოშობის მიზეზები.

იმ განსხვავების საფუძველზე, რომელიც ალ. სარაჯიშვილმა დაადგინა რუსთაველის პოემისა და ევროპული რომანის შეპირისპირებისას, მან „ვეფხისტყაოსანი“ აღიარა ორიგინალურ სარაინდო რომანად, ხოლო მისი ავტორი – ეროვნულ გენიად. **გ. ა.**

72. მ. გუგუშვილი

ალექსანდრე სარაჯიშვილი „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი საკითხის შესახებ

კრებ. „ლიტერატურული ძიებანი“, თბ., „მეცნიერება“, 1983, გვ. 79-96.

წერილი ეხება ცნობილი რუსთველოლოგის ალ. სარაჯიშვილის ღვაწლსა და დამსახურებას „ვეფხისტყაოსნის“ კვლევის საქმეში.

ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის“ ყალბი ადგილები“ ალ. სარაჯიშვილმა მიზნად დაისახა პოემის ტექსტის გაცხრილვა შემდეგდროინდელი ჩანართებისაგან და პოემის აღდგენა იმ სახით, როგორითაც ავტორის ხელიდან გამოვიდოდა. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დასადგენად და მისი ჩანართების მოსაცილებლად აუცილებელი იყო პოემის ღრმა შესწავლა, მისი აზრისა და იდეის შეგნება, ენისა და სტილის ჩაწვდომა. მ. გუგუშვილი წერს, რომ ეს წამოწყება მარცხით დამთავრდა, რამდენადაც მკვლევარი არ ემყარებოდა სწორ მეთოდოლოგიურ საფუძველს. მ. გუგუშვილის აზრით, ამ გარემოებამ განსაზღვრა, რომ ჩრდილში დარჩა და რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში საკმარისი ასახვა ვერ პოვა ამ ნაშრომში გზადაგზა გამოთქმულმა საყურადღებო მოსაზრებებმა „ვეფხისტყაოსნის“ ამა თუ იმ საკითხზე. მათ შორის აღსანიშნავია მკვლევრის შეხედულებები რუსთაველის პიროვნებაზე, მის მსოფლმხედველობაზე, თამარ მეფის ეპოქაზე. ალ. სარაჯიშვილმა პირველმა აღნიშნა ორგანული კავშირი პოემასა და პროლოგს შორის, მოგვცა პროლოგის სწორი განმარტება. მას პროლოგი სამართლიანად მიაჩნდა პოემის უცილობელ ნაწილად. მკვლევარმა სწორად განმარტა მთელი რიგი მეტაფორები, ხაზი გაუსვა პოემის მხატვრული ენის თავისებურებას, გამოთქვა სწორი მოსაზრებანი „ვეფხისტყაოსნის“ სტილის შესახებ, რომლის აუცილებელ პირობად იგი თვლიდა სინათლესა და კომპაქტურობას, ხოლო დამახასიათებელ ნიშნად – ზმნების მოჭარბებულ ხმარებას მოქმედების ან განწყობის გამოსახატავად.

მ. გუგუშვილის ნაშრომში განხილულია ალ. სარაჯიშვილის მოსაზრებანი პოემის პერსონაჟების შესახებ, სიყვარულისა და მეგობრობის პრობლემა, რუსთაველის რელიგიური შეხედულებანი.

მკვლევარს გამოაქვს დასკვნა, რომ ალ. სარაჯიშვილი ანგარიშგასაწევი რუსთველოლოგია და მისი მოსაზრებანი რუსთაველის პოემის გარშემო საყურადღებო და მნიშვნელოვანია. **თ. ტ.**

73. მურმან თავდიშვილი

აქა ამბავი, თუ როგორ ტიროდა უსენი თავისი ცოლის საყვარლის გამო

ალმანახი „კრიტიკა“, 1983, № 3, გვ. 149-152.

ავტორი წერს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ 1335-ე სტროფის (ნ. ნათაძის გამოცემით) პირველ სტრიქონში – „ვატმან, უსენ და მონანი ტირან ცრემლითა ცხელითა“ – ეჭვს იწვევს **უსენის** ხსენება შემდეგი მიზეზების გამო:

1. რუსთველი არ დაუშვებდა, ისეთ კომიკურ სიტუაციაში მოექცია უსენი, რომ იგი ავთანდილის გამგზავრების გამო ატირებულყო;

2. დავიწყებულია ის გარემოება, რომ ავთანდილის გულანშაროში ყოფნისას უსენი ქალაქში არ იმყოფებოდა.

წერილის ავტორის აზრით, აქ ტექსტი დამახინჯებულია. ეპიზოდის შინაარსის მიხედვით სავარაუდოა, რომ ავთანდილის გამცილებელთა შორის ყოფილიყო ბაღდადელი ვაჭრების მეთაური **უსამი** და სახელების ორთოგრაფიული მსგავსების გამო მოხდა მათი შენაცვლება პოემის ნუსხებში.

აღნიშნულია, რომ ეს საჩოთირო შეცდომა გასწორებულია 1966 წლის და შემდგომ გამოცემებში. **თ. ტ.**

74. მაგალი თოდუა

კვალი იმედიანი

ალმან. „კრიტიკა“, 1983, № 2, გვ. 100–102.

მკვლევარი ეხება „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგის ფინალურ სტროფს – „ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა“. რადგან ბოლო სიტყვის კლაუზულა ზუსტად არ ემთხვევა სტროფის საერთო რიტმას („-ომელსა“), ავტორი თვლის, რომ „ხონელსა“ არასწორი ფორმაა და უნდა იკითხებოდეს „ხომელსა“, როგორც დაცულია ერთ (H-54) ხელნაწერში.

ამავე მოსაზრების არაპირდაპირ არგუმენტად მკვლევარს მიაჩნია ფრანგი პოეტისა და მთარგმნელის ტუსენის წიგნში „სიყვარულისა და ომის ისლამური სიმღერები“ ქართველ პოეტად მოხსენიებული ვინმე „ზუმალის“ არსებობა. მ. თოდუას „ზუმალიც“ ხომელის დამახინჯებულ ფორმად მიაჩნია და აუცილებლად თვლის არაბული ლექსების იმ კრებულის მოძებნასა და გასინჯვას, რომლიდანაც ტუსენმა აღნიშნული სიმღერები თარგმნა.

თუ დადასტურდება, რომ „ამირანდარეჯანიანის“ ავტორი გვარ-წოდებით ხომელი ყოფილა, მკვლევრის ვარაუდით, ის წარმოშობით მესხეთის სოფელ **ხომადან** იქნებოდა. ასეთი სოფელი მდებარეობდა ახალციხის რაიონში, რაც აღნიშნულია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“. **გ. ა.**

75. დალი ინწირველი

დანტე ქართულ ლიტერატურაში

თბ., 1983, 80 გვ.

ანოტაციაში ვკითხულობთ: „ნაშრომში გაანალიზებულია დანტეს „ღვთაებრივი კომედიისა“ და „ახალი ცხოვრების“ ქართული თარგმანები. შრომის ავტორის მიზანია ქართული დანტოლოგიის მიღწევებზე დაყრდნობით, აგრეთვე, ქართველ, საბჭოთა და ევროპელ რუსთველოლოგთა მოსაზრებების გათვალისწინებით, აჩვენოს შინაგანი კავშირი ორ გრანდიოზულ ქმნილებას – რუსთაველის „ვეფხისტყაოსანსა“ და დანტეს „ღვთაებრივ კომედიას“ – შორის.

წიგნში ცალკე სათაურებით არის გამოყოფილი და განხილული: რუსთაველი და დანტე ქართულ, რუსულ და უცხოურ სამეცნიერო და კრიტიკულ მწერლობაში (გვ. 39–53); რუსთაველისა და დანტეს რომანტიკული სამყარო (გვ. 54–69).

წიგნს ახლავს რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე. **გ. ა.**

76. მანანა კაკაბაძე

„ვეფხისტყაოსანი“ და ქართული რომანტიზმის საკითხები

ავტორის წიგნში: ქართული რომანტიზმის ეროვნული საფუძვლები,

თბ., „მეცნიერება“, 1983, გვ. 133–156.

ავტორი აღნიშნავს, რომ XIX ს-ის რომანტიკული მწერლობის ქართველმა მესვეურებმა შუასაუკუნეების ქართული ლიტერატურა და, განსაკუთრებით, „ვეფხისტყაოსანი“ გამოაცხადეს თავიანთი შემოქმედების საფუძვლად. რუსთაველის თხოულება იქცა მათი ინტერესისა და

შესწავლის საგნად. „ქართული რომანტიზმი ქართული შუა საუკუნეებით იკვებება, მისი ეტიკურ-ესთეტიკური იდეალებით, მისი მსოფლმხედველობრივ-მორალური კრედოთი, რომელიც მისი რელიგიისაგან გამომდინარეობს“ (გვ. 140).

ნარკვევში საუბარია „ვეფხისტყაოსნის“ ძირითად მოტივებსა და სიმბოლურ სახეებზე, რომელთაც გარკვეული გამოძახილი აქვთ რომანტიკოსების შემოქმედებაში. ასეთია, მაგ., მიჯნურობის რუსთველური გაგება, სატრფოს უბიწობის მოტივი და მისი გამოძახილი ნ. ბარათაშვილის ლირიკაში („არ უკიჟინო, სატრფოო...“); ტარიელის შავი რაში და ნ. ბარათაშვილის მერანი; მიჯნურის „ველად გაჭრის“ მოტივი და რომანტიკოსების მარტოობის, საზოგადოებისგან განდგომის სურვილი და სხვ. **გ. ა.**

77. ციალა კარბელაშვილი

ვეფხის სიმბოლიკისათვის „ვეფხისტყაოსანში“

(გენეზისი, სემანტიკა, ინტერპრეტაცია)

ლიტერატურის მცოდნეობის რესპ. საკოორდინაციო საბჭო; შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, XVIII სამეცნიერო სესია, 1983, თეზისები, გვ. 23–24 (მოგვაქვს შემოკლებით).

ვეფხი, როგორც სახე-სიმბოლო, მეტაფორულია არა მხოლოდ მთავარი გმირის – ტარიელის, არამედ მთელი პოემის იდეურ-მხატვრული კონცეფციის მიმართ. ცხოველის ტყავით შემოსვისა და გაჭრის მოტივის გენეზისის მხრივ საყურადღებოა ელინური მითოლოგიის გმირის – ჰერაკლეს მიერ ნემესის ლომის მოკვლა და მისი ტყავით შემოსვა, აგრეთვე ქართული ეთნოგრაფიული მასალა – სვანური დროშა „ლემ“ (ლომი) და მასთან დაკავშირებული საზაფხულო რიტუალური სამხედრო-სპორტული შეჯიბრებანი.

გილგამეშის ეპოსში დაღუპული მეგობრის გლოვის უმთავრეს ელემენტად ლომის ტყავით შემოსვა და ველად გაჭრაა მიჩნეული. ამ საზიარო მოტივის არსებობა აიხსნება ამ თქმულებათა საერთო კომპოზიციური საფუძვლით – კალენდარული მითის კლასიკური მოდელით (დაკარგვა, ძებნა, პოვნა). მითოლოგიურ დონეზე ესაა **ნაყოფიერების ღვთაების დაკარგვით გამოწვეული გლოვა და მისი ძებნა.**

რუსთაველთან „ვეფხი“ („ჯიქი“) ძლიერი ვნების სიმბოლოა. იგი მშვენიერია მანამ, ვიდრე გონებას ემორჩილება. ტარიელის მიერ ლომ-ვეფხვის დახოცვა გონიერი, ადამიანური საწყისის გამარჯვებაა. **გ. ა.**

78. ც. კარბელაშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის მითოლოგიური

ინტერპრეტაციისათვის

კრებ. „ლიტერატურული ძიებანი“, თბ., მეცნიერება, 1983, გვ. 111-118.

მკვლევრის აზრით, რუსთაველის პოემას საფუძვლად უდევს კალენდარული მითის კომპოზიცია. ნესტან-დარეჯანის სახე მითოლოგიური წარმოშობისაა. ტრადიციულ ფოლკლორულ ინტერპრეტაციაში ის „მზეთუნახავია“, მის მიღმა მზე და მისი მთავარი იპოსტასი – ნაყოფიერების ქალღვთაება – იფარება. სემანტიკური მწკრივით: მზე /ნაყოფიერების ქალღვთაება/ – მზეთუნახავი (ჯადოსნური ზღაპრის ინვარიანტში). გველი იტაცებს მეფის ასულს; მითოსის დონეზე, სადაც გველი იტაცებს მზეს, მზის სადღელამისო თუ სეზონური მზებრუნვის ციკლია ასახული: მზის „წასვლა“ და „დაბრუნება“ იგივეა, რაც მცენარეულობის „სიკვდილი“ და „აღდგომა“. მითის სემანტიკამ მასზე დაფუძნებულ მხატვრულ ნაწარმოებთა კომპოზიციურ აღნაგობაში პოვა პრაქტიკული გამოხატულება – ესაა კალენდარული მითის კლასიკური სქემა: დაკარგვა – ძებნა – პოვნა. ეს სქემა უდევს საფუძვლად ძველი დროის ყველა ეპიკურ თხზულებას („ილიადა“, „მაჰაბჰარატა“).

ც. კარბელაშვილის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ ამ ასპექტით განხილვისას მის სიუჟეტურ ბირთვში – ნესტან-ტარიელის ციკლში – აშკარად იჩენს თავს ყველა ხალხის უძველესი

ეპოსისათვის დამახასიათებელი კალენდარული მითის კომპოზიციური სქემა. ამ მითოლოგიის ფონზე ნესტან-დარეჯანის ქაჯეთში ყოფნა სემანტიკურად „ქვესკნელში ჩასვლას“, ანუ სიკვდილს ნიშნავს. ქაჯეთის ციხის მითოლოგიური არსი სიკვდილის სამეფოა (ქაჯი გველის ტოლფარდია). რუსთაველის ქაჯეთი და დანტეს ჯოჯოხეთი არა პოეტური ჰიპოთეზაა, არამედ კანონზომიერი ტიპოლოგიური პარალელია. მკვლევრის შეხედულებით, ამ მითოლოგიის ასპექტში ტარიელის „ტირილი“ ნესტანის დაკარგვის გამო სხვა სემანტიკურ დატვირთვას იღებს: ესაა რიტუალური ტირილი – ნაყოფიერების ღვთაების „წასვლის“, ანუ მისი „სიკვდილის“ საკულტო დატირება – გლოვა.

ნაყოფიერების ღვთაება (აქ: ნესტანი) ამწვანებული ბუნების მითოსური სიმბოლოა (ნესტან-დარეჯანის სამოსის ფერი მწვანეა). ამდენად, მითოლოგიურ ასპექტში ქაჯეთის ციხის დამხობა „სიკვდილის“ დამარცხება და სიცოცხლის „აღდგომა“, „მზე წარხდომილის“ განთავისუფლებაა ხოთონური სამყაროს ტყვეობიდან. მათი (ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის) ქორწილი „მკვდრეთის აღმდგარ“ ღვთაებათა ქორწინებაა, ნაყოფიერების მითოსური ანუ ფოლკლორული სიმბოლოა.

მკვლევრის შეხედულებით, კალენდარული მითი მცენარეულობის მოკვდავ და მკვდრეთით აღმდგარ ღვთაებათა ციკლს მიეკუთვნება, იგი ძველ სამიწათმოქმედო კულტურის მქონე ხალხთა საერთო მონაპოვარია, მაგრამ ქართულ ეთნიკურ ლოკალს პირვანდელ წარმოდგენათა შერწყმის ისეთი უნიკალური არქაული ძირები ახასიათებს (ნატირალეზი, „ნაწილიანი“ და სხვ.), რომელნიც ამ უნივერსალური გავრცელების მქონე მოდელის „ქართული ინტერპრეტაციის“ უხვ შესამღებლობებს ფლობენ. **თ. ტ.**

79. ნიკოლოზ კენჭოშვილი

სიტყვა „ინდოეთი“

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1983,
2 სექტ., № 36, გვ. 11.

წერილის ავტორი წამოჭრის ორი ტერმინის – „ინდოეთი“ და „ინდოელი“ – მოდიფიკაციის მართლწერისა და ინტერპრეტაციის საკითხს. აღნიშნულია, რომ „ინდოეთი“ (ძველ ქართულში და ამჟამადაც) მეტად ზოგადი, განყენებული ცნებაა და თავისთავად კონკრეტულს არაფერს გვეუბნება. ინდოეთის მოსახლეობა იყოფა როგორც საცხოვრებელი ადგილის (ხეობების, შტატების), ასევე აღმსარებლობის მიხედვით (ჰინდუ, მუსლიმანი, ვიშნუიტი, ბუდისტი, ჯაინი, ქრისტიანი...). ცნობილია, რომ ძველ ქართულში „ინდო“ იყო შავკანიანის, ზანგის, მავრის, ეთიოპელის აღმნიშვნელიც. ამ ტერმინების გამოყენების დროს უნდა გავითვალისწინოთ, თუ რომელი ისტორიული ეპოქის „ინდოეთზე“ ან „ინდოელზე“ ვსაუბრობთ. **გ. ა.**

80. ვასილ კიკნაძე

რუსთაველიდან გალაკტიონამდე

თბ., 1983.

ანოტაციაში ვკითხულობთ: „წიგნში ნაჩვენებია ქართველ მწერალთა ღვაწლი და ამაგი ეროვნული თეატრის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიაში“. ერთ-ერთ ნარკვევში – „ქართული მწერლობა და სანახაობითი კულტურა“ (გვ. 7-11) – ავტორი წერს: „ვეფხისტყაოსანი“ საინტერესოა ძველი ქართული თეატრისა და დრამატურგიის ისტორიის შესწავლისთვისაც. პოემის სიღრმეებში ქართული ეროვნული თეატრალური წარსულისა და მომავლის ბევრი პრობლემაა განფენილი. პოემის დასაწყისში ხსენებული „მესამე ლექსი“ მკვლევარს კომედიური ჟანრის აღმნიშვნელად მიაჩნია. იმოწმებს აგრეთვე სტრიქონებს: „ბაღსა შიგან თამაშობად სადამოსა გავე ჟამსა...“, „მომყვებოდეს მომღერალნი, იტყოდინ ტკბილსა ხმასა..“

სანახაობითი წარმოდგენის არსებობის დასამოწმებლად მოყვანილია სტროფი: „ჩემსა სიმცროსა გამზრდელნი სამუშაითოდ მზრდიდნან...“ მკვლევრის თქმით, „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული კითხვა და ინსცენირება მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ინტენსიური ხდება. 1805 წელს გ. ფირალიშვილს რუსთაველის პოემა პიესად გადაუკეთებია რუსულ ენაზე. 1853 წ. მოსკოვში გამოვიდა ო. ბაგრატიონის ტრაგედია „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც რომანტიკული ხასიათის გამორეული დრამაა.

პოემის ინსცენირების პარალელურად იწერებოდა პიესები თვით რუსთაველზე. ასეთია, მაგ., კ. მესხის „რუსთაველი“ („ივერიის“ 1903, № 259-ის ცნობა). **გ. ა.**

81. ზურაბ კვიციანი

ავთანდილის ანდერძი

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1983, 16 სექტ., გვ. 13–14.

ამ წერილის ძირითადი აზრი ის არის, რომ ავთანდილის ანდერძში გადმოცემულია ის სიბრძნე, რომლითაც არაბეთის სახელმწიფოს მართავენ. იგი „მამათა ანდერძია, ანდაზურ თქმაში ჩაწნეხილი. ეს სიბრძნე, ცხადია, მას არ ეკუთვნის. ის არსებობდა არაბეთის კარზე, დღიდან მისი დაფუძნებისა და წარმართავდა მის ისტორიას...“ პოემაში ავთანდილს „აკისრია სიბრძნის გაცემის მისია და ამიტომაც ის ერთადერთი გამირია, რომელიც წერს ანდერძს... ის თითქოს გადაასწრებს როსტევანს, თავის გამზრდელს, და დგება მამათა რიგში...“ (გვ. 14).

„ტარიელის ხსნა, რომ მან აღადგინოს დროთა კავშირი (დაიკავოს მისი კუთვნილი სამეფო ტახტი), არაბეთიდან მოდის, რადგან არაბეთი მაგალითია, ის წესიერი ქვეყანაა... თაობათა ცვლა არაბეთში, რაკი ეს ქვეყანა წესიერი ქვეყანაა, უმტკივნეულოდ ხდება, არავისი უფლება არ იბღალღება...“ „ინდოეთი კი დანგრეულია, რადგან ფარსადანს არ აღუსრულებია მეფური ვალი ტახტის გადაცემისა და გაცემისა. მან თავის თავში დააკავა მისთვის გადმოცემული სიბრძნე, დაამუნჯა მამათა ანდერძი“ (გვ. 13). **გ. ა.**

82. დავით კობიძე

რუსთაველისა და საადის ზოგიერთი სენტენციის შესახებ

კრებული „აღმოსავლური ფილოლოგია“, V, 1983, გვ. 119–136.

საადი შირაზელს, XII-XIII საუკუნეთა მწერალს, შეუძლებელია სცოდნოდა „ვეფხისტყაოსანი“; საერთო აზრები რუსთაველსა და საადი შირაზელს სხვადასხვა წყაროდან უნდა ჰქონდეთ შეთვისებული. მიუხედავად ამისა, ამ ნაწარმოებებში არის საერთო დიდაქტიკური აზრები.

„გოლესთანის“ VIII კარი თხზულებაში წარმოდგენილი დიდაქტიკური აზრების ერთგვარი შეჯამებაა. ერთ შეგონებაში „არაბი ამბობს: გაეცი, მაგრამ ნუ დააყვედრებ, რადგან სარგებელი უკანვე დაგიბრუნდება!“ ეს დარიგება ჰგავს როსტევან მეფის მიერ თინათინისადმი მიცემული დარიგების უკანასკნელ სტრიქონს: „რასაცა გასცემ, შენია, რაც არა, დაკარგულია“. სპარსული ლიტერატურის მთელი რიგი ძეგლები ყველაფერზე უფრო სახელის მოპოვებას, მის შენახვას, მის უკვდავებას ამჯობინებენ. რუსთაველიც ამბობს: „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“.

„გოლესთანის“ მერვე კარშივე ვკითხულობთ:

„დედამიწას ციდან მადლი ჩამოუდის, ცას დედამიწიდან კი მტვერი მიუდის: ჭურჭლიდან ის გამოდინდება, რაც შიგა დგას“. ეს სენტენცია გვხვდება „ვეფხისტყაოსანშიც“:

„ბინდის გვარია სოფელი, ეს თურე ამაღ ბინდების,
კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინდების!“

მეორე კარის ოცდამეშვიდე ამბავში გვითხულობთ: „... როცა ბანუ ჰილალის სადგომს მივადწიეთ, არაბთა ტომიდან ერთი შავი ბიჭი გამოვიდა და ისე იმღერა, რომ ფრინველები მაღლიდან დაბლა დაემშენ. მე დავინახე, რომ ღვთისმოსავის აქლემმაც როკვა დაიწყო, პატრონი გადმოაგდო და გაიქცა“. შდრ. „ვეფხისტყაოსანში“ ავთანდილის სიმღერის ძალა (სტრ. 966-968). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავთანდილის სიმღერის ძალა უფრო დიდია და უფრო მეტ გავლენას ახდენს ყოველ სულიერზე, ვიდრე „გოლესთანის“ არაბი ბიჭის სიმღერა. საანალიზო ეპიზოდის ცალკეულ სურათს სხვა თხზულებებშიც ვაწყდებით. მაგალითად, ნ. მარმა შენიშნა „ვისრამიანში“ ადგილი, რომელშიც ნათქვამია სიმღერის სიტკბოსაგან წყლიდან ქვების გამოსხდომის შესახებ; შდრ. დედანი: „როდესაც რამინი დროდადრო ჩანგს დაუკრავდა, სიხარულის გამო წყლის ზედაპირზე ქვები ამოდიოდა“ (ვისრ. მაჰჯუბის გამოცემა, გვ. 160).

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ამბობს:

„დავჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულს ლახვარსობილი,
აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი“.

საადის „გოლესთანში“ გვითხულობთ:

„აქ ნატიფ სიტყვათა ძაფზე სასარგებლო შეგონებათა მარგალიტებია აცმული“.

მკვლევარი შენიშნავს: „ძაფზე აცმული მარგალიტები“ საადისა და „მარგალიტი წყობილი“ რუსთველისა ერთი და იმავე აზრის გამომხატველია, ორივეს ერთნაირ პოეტურ სახედ აქვს წარმოდგენილი მხატვრული სიტყვის გაწყობა. **თ. ტ.**

83. „კომუნისტის“ კორ.

„ვეფხისტყაოსნის“ არაბულად წაიკითხავენ

გაზ. „კომუნისტი“, 1983, 13 ოქტ., № 235, გვ. 4.

გაზეთში დაბეჭდილია მოკლე ცნობა, რომ თბილისში იმყოფება არაბი მწერალი ნიზარ ხალილი. მისი ჩამოსვლის მიზანია „ვეფხისტყაოსნის“ არაბული თარგმანის შეჯერება ქართულ ტექსტთან. კარგა ხანია იგი მუშაობს ამ თარგმანზე და თითქმის გაასრულა კიდევ. როგორც ნიზარ ხალილიმ აღნიშნა, იგი ყოველნაირად ცდილობს მკითხველს მიაწოდოს მსოფლიო ლიტერატურის ამ ერთ-ერთი შედეგის სრულყოფილი თარგმანი. **გ. ა.**

84. პარმენ მარგველაშვილი

პროლოგი და ძირითადი ტექსტი

ჟურ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“,
1983, № 2, გვ. 89-110.

ნაშრომის ავტორის აზრით, შოთა რუსთველმა განიზრახა, საღმრთო შაირით არგოს მსმენელს, სურს დაეხმაროს, რწმენა განუმტკიცოს და „საზეო მიჯნურობისათვის“ მოამზადოს იგი. პოემაში შეფარვით შექცეულია პიროვნება, რომელიც საზეო გამიჯნურებულისა და შემწის სამაგალითო სახეა. ასეთი სახე საქართველოში მთავარმოწამე წმიდა გიორგია.

„დასაწყისის“ მესამე სტროფში პოეტი ამბობს: „ვის ჰმევენის, – ლომსა, – ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა...“ **ლომი** წმიდა გიორგის ერთ-ერთი ეპითეტი იყო. მისი იკონოგრაფიული ატრიბუტებია: შუბი, ფარი და ხმალი. მკვლევარს მიაჩნია, რომ „მესამე სტროფში წმიდა გიორგი შეფარვითი, მაგრამ მეტად მაღალი ქებაა ნათქვამი“ (გვ. 103); „რუსთველმა საზეოდ გამიჯნურებულისა და შემწეს სამაგალითო სახე – წმიდა გიორგი შეაქო. წმიდა გიორგის კი დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში დაჟინებით უკავშირებენ წარმართულ პანთეონს“. (...) „წმიდა გიორგის წარმართობასთან კავშირის პოვნა იყო რუსთველისათვის ღრმად დაფიქრების მიზეზი და ამ აღმოჩენის ლექსად გარდათქმის გამო ჭოჭმანის საფუძველი. ვფიქრობთ, ეს გარემოებაა წმიდა გიორგის შეფარვით ქების ძირითადი მიზეზი“ (გვ. 108-109).

სტატიის დასასრულს ავტორი აღნიშნავს, რომ წმიდა გიორგისა და „ვეფხისტყაოსნის“ ურთიერთმიმართების საკითხი აქამდე არავის დაუყენებია და არ გამოუკვლევია; რომ მან განხილვის წესით წარმოადგინა ცდა რუსთველის პოემის ახალი კუთხით წაკითხვისა. **გ. ა.**

85. მიხეილ მახათაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი სიუჟეტური წერტილების ლოკალიზაციისათვის

ჟურ. „მაცნე“, ენისა და ლიტ. სერია,

1983, № 2, გვ. 71–80. ავტორი მიუღებლად თვლის დ. ქუმსიშვილის მსჯელობას „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტური წერტილების ლოკალიზაციის შესახებ. დ. ქუმსიშვილს მიაჩნია, რომ ამ პოემაში ძირითადია არაბეთის ამბავი და, ამ კონცეფციიდან გამომდინარე, ადგენს იგი მოქმედების განვითარების ძირითად ეტაპებს, რასაც მ. მახათაძე მის მთავარ შეცდომად თვლის.

ასევე მცდარად მიაჩნია ავტორს ა. სლოვინსკისა და ა. ჭილაიას მოსაზრებები ამ საკითხზე.

მ. მახათაძე თვლის, რომ კვანძის შევკრა, კულმინაცია და კვანძის გახსნა პოემაში ერთგვარი მოქმედებით, **მკვლევლობებით**, არის გამოხატული და ნაწარმოების კომპოზიციას ასე წარმოგვიდგენს:

1. ექსპოზიცია – თინათინის გამეფების სამზადისი და გამეფების სურათი.
2. მოქმედების განვითარება (მომდევნო ამბები).
3. **კვანძს** კრავს ხვარაზმელი უფლისწულის (სასიმოს) მოკვლა.
4. **კულმინაცია** – ნესტანის დაკარგვა და დავარის თვითმკვლელობა.
5. მოქმედების განვითარება.
6. **კვანძი იხსნება** ჭაშნაგირის მკვლელობით.
7. მოქმედების განვითარება.
8. ფინალი – ქაჯეთის დაცემა და ნესტანის განთავისუფლება.
9. „ფინალის მომდევნო ამბები, დასასრული“.

ავტორის აზრით, ძირითადი საკომუნიკაციო მომენტები პოემაში თვით რუსთაველის მიერ არის აქცენტირებული, რასაც რუსთაველოლოგები სათანადო ანგარიშს არ უწევენ. **გ. ა.**

86. იოსებ მეგრელიძე

მოსე გოგობერიძე – რუსთაველოლოგი

კრებ. „ლიტერატურული ძიებანი“, თბ., „მეცნიერება“, 1983, გვ. 160-170.

სტატიაში აღნიშნულია, რომ პროფ. მ. გოგობერიძემ ახალი კუთხით და თვალსაზრისით განიხილა „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემები და ახლებურად წარმოადგინა რუსთაველის ეპოქის რეალიები (ტანსაცმელი, თავსაბურავი), ფეოდალური საზოგადოების სხვადასხვა ფენის ურთიერთდამოკიდებულება და სხვ.

ავტორი გამოყოფს რამდენიმე საკითხს მ. გოგობერიძის ნაშრომებიდან:

1. რუსთაველის ზოგადსაკაცობრიო აზრები. მან ევროპელ ჰუმანისტებამდე რამდენიმე საუკუნით ადრე გაათავისუფლა ადამიანი „ღმერთის მონობისაგან“ და იქადაგა ადამიანის ამქვეყნიური უფლება. იგი პირველი ჰუმანისტი და ახალი დროის დამწყებია.

2. მსოფლმხედველობით რუსთაველი არ იყო არც ნეოპლატონიზმის მიმდევარი, არც წმინდა ქრისტიანი და არც წარმართი. მ. გოგობერიძე ამტკიცებდა, რომ რუსთაველმა ქრისტიანობის გადამუშავების ნიადაგზე შექმნა უზენაესი არსების ახალი ცნება. იგი უპირატეს მნიშვნელობას გონებას ანიჭებს. რუსთაველის მიერ აღმოჩენილი ადამიანური ბედნიერება შედეგი იყო XII ს-ის საქართველოს სახელმწიფოში მომხდარი სოციალურ-პოლიტიკური ძვრებისა.

3. მ. გოგობერიძის ნაშრომების სიახლეა რუსთაველის მსოფლმხედველობის ერთ-ერთ საფუძვლად არისტოტელიზმის მიჩნევა. პოეტის ასტრონომიული განსწავლულობა არაბული საბუნებისმეტყველო განათლების შედეგია. არაბების მიერ ნატურალისტურად ინტერპრეტირებული არისტოტელე აურჩევია მას თავისი მსოფლმხედველობის სათავედ.

4. მკვლევრის აზრით, პოეტის ხელოვნებაში რუსთაველი სამ დარგს აერთიანებს: მელექსეობას, მუსიკოსობასა და მხატვრობას.

5. რუსთაველმა მოგვცა მიჯნურობის ორიგინალური ინტერპრეტაცია; იგი ემიჯნება სიყვარულის პლატონურ გაგებას და არისტოტელეს უახლოვდება.

6. მ. გოგიბერიძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რუსთაველისეულ ფერთა სიმბოლიკას. აღნიშნავს, რომ პოეტი ფერებს იყენებს საგნის ან სხეულის ფორმის მშვენიერების გამოსახატავად. **თ. ტ.**

87. ლევან მენაბდე

რუსთაველი შუა აზიის რესპუბლიკებში

კრებულში – „ლიტერატურული ძიებანი“ (ედვინება აკად. აღ. ბარამიძის დაბადების 80 წლისთავს), თბ., 1983, გვ. 172-181.

ავტორი მიმოიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნისა და პოპულარიზაციის ისტორიას უზბეკეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთისა და თურქმენეთის რესპუბლიკებში. აღნიშნავს, რომ რუსთაველი და მისი თხზულება ამ რეგიონში ცნობილი გახდა მისი 750 წლისთავის იუბილეს მეშვეობით 1937-38 წლებში. ამ პერიოდში რესპუბლიკების დიდ ქალაქებში ტარდებოდა საიუბილეო ღონისძიებები, ეწყობოდა გამოფენები, იბეჭდებოდა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები.

შოთა რუსთაველის მეორე იუბილეს სამზადისში რესპუბლიკებს შორის კულტურული და ლიტერატურული კონტაქტები უფრო გაფართოვდა და „ვეფხისტყაოსანიც“ უფრო პოპულარული გახდა. ხელახლა გამოქვეყნდა პოემის თარგმანები, ზოგან კი მათ საფუძველზე დაწერეს პიესები, რომლებიც სცენებზე იდგმებოდა. **გ. ა.**

88. ლ. მენაბდე

რუსთაველი ირანში

ოსუ შრომები, ტ. 241, აღმოსავლეთმცოდნეობა, თბ., 1983, გვ. 129-134.

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველსა და მის პოემას აღმოსავლეთის ქვეყნებში პირველად ირანელი მოღვაწენი გამოეხმაურნენ. ძველი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ ვიცით, რომ 1930-იან წლებში თეირანის უნივერსიტეტის პროფესორი საიდ ნაფისი მაღალ შეფასებას აძლევდა „ვეფხისტყაოსანს“ და განზრახული ჰქონდა მისი თარგმნა სპარსულ ენაზე.

ირანელი მწერალი აბულ-ყასემ ლაჰუთი 1937 წელს მონაწილეობდა რუსთაველის პოემის 750 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო დღესასწაულში. მან რამდენიმე წერილი გამოაქვეყნა საბჭოთა პრესაში.

1970 წელს გამოქვეყნდა ირანელი ფილოლოგის ჰამიდ ზარინქუბის ვრცელი წერილი „ვეფხისტყაოსანი“ (მეშვედის უნივერსიტეტის შრომები).

ირანელი მკითხველისათვის რუსთაველის შემოქმედების გაცნობაში გარკვეული წვლილი შეიტანეს ქართველმა მეცნიერებმა: აღ. ბარამიძემ, დ. კობიძემ, ვ. ფუთურაძემ, ჯ. გიუნაშვილმა. 1966 წელს გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე თავის სპარსული თარგმანი, შესრულებული მორთეზა ფათემის მიერ. **გ. ა.**

89. შერმადინ ონიანი

არჩილ მეფე „ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოების შესახებ

კრებ. „ლიტერატურული ძიებანი“, 1983, თბ., გვ. 205-208.

იმის დასამტკიცებლად, რომ არჩილ მეფეს ე. წ. ინდო-ხატაელთა ამბავი „ვეფხისტყაოსნის“ ორგანულ ნაწილად მიაჩნდა, მკვლევარს მოაქვს ერთი ეპიზოდი არჩილის თხზულებიდან „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“. საუბარია იმაზე, რომ ქართლის გამგებელმა როსტომ-ხანმა დაამარცხა ბრძოლაში თეიმურაზ I. როსტომს შეეძლო მისი შეპყრობა და დასჯა ან სპარსეთის შაჰისათვის გადაცემა. როსტომმა ეს არ გააკეთა, თეიმურაზს გზა გაუხსნა და იმერეთში გახიზვნის საშუალება მისცა.

შ. ონიანის აზრით, ეს ჰგავს ინდო-ხატაელთა ამბავში აღწერილ მოქმედებას, როდესაც ტარიელმა რამაზ მეფე შეიწყალა და უვნებლად გაუშვა.

მკვლევარი იქვე იმოწმებს ინდო-ხატაელთა ეპიზოდებიდან შემდეგ სენტენციას: „ოდეს მტერსა მოერიო, ნულა მოჰკლავ, დაიყოვნე; გინდეს სრული მამაცობა, ესე სიტყვა დაიხსოვნე“.

ავტორის დასკვნით, ინდო-ხატაელთა ამბის ტექსტი არჩილ მეფეს რუსთველისეულად მიაჩნდა. გ. ა.

90. სერგეი პოტაპოვი

ყოველი სტრიქონი აფორიზმია

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1983, 18 თებ., № 8, გვ. 2.

სტატია გადმობეჭდილია გაზ. „სოვეტსკაია კულტურადან“ (№ 5), რომლის რედაქციამ და წიგნის მოყვარულთა საკავშირო საზოგადოებამ მოაწყვეს კონკურსი თემაზე „ჩემი სამშობლო“. მისი მიზანი იყო წიგნისა და მკითხველის ურთიერთობის გამოვლენა. ამ კონკურსს ეხმაურება მუშა ს. პოტაპოვი, რომელსაც წაუკითხავს „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანი, მოხიბლულა მისი ჰუმანური იდეებით, პერსონაჟების კეთილშობილებით. ამ წიგნით მან შეიყვარა საქართველო და მისგან შთაგონებული კითხულობს ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ნ. დუმბაძის ნაწარმოებებს. გ. ა.

91. შოთა რუსთაველი

აფორიზმები

ესპერანტოს ენაზე,

თბ., 1983, 80 გვ. მთარგმნელი ზურაბ მაყაშვილი, რედაქტორები:

პეტრას ჩელაუსკასი და შოთა ძიძიგური, რეცენზენტი – გიორგი კოროტკევიჩი.

წიგნი გამოცემულია საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გრიფით. მასში დაბეჭდილია აფორიზმები ქართულ და ესპერანტოს ენებზე (პარალელურად). წინ უძღვის სამი წინასიტყვაობა: გ. კოროტკევიჩის (გვ. 5-8), შ. ძიძიგურის (გვ. 9-11) – ქართულად; გ. ტყეშელაშვილისა (გვ. 12-13) – ესპერანტოს ენაზე.

ბოლოს (გვ. 74-77) ერთვის ესპერანტოთი გადმოცემული ზოგიერთი სიტყვის განმარტება. გ. ა.

92. ზურაბ სარჯველაძე

ერთი რუსთველური ფრაზა

(„სხვაგან ქნის მისი გონება...“)

გაზ. „ლიტ. საქ.“ 1983, 25 თებერვ., № 9.

ავტორის აზრით, მთელი სტრიქონი წარმოადგენს, მარტივ წინადადებას, სადაც ქნის შემასმენლის ქვემდებარეა წონამან. ამ ტაეპის აზრი ასე უნდა გავიგოთ: „მისი თავის დახრა, ჩალუნვა, მის გონებას სხვაგან მიმართავდა“. აქ მეტაფორა გვაქვს, რაც ამას ნიშნავს: „ტარიელი ფრიად დამწუხრებული იყო“. გ. ა.

93. გურამ ფანჯიკიძე

რუსთაველის კოსმოლოგია

ჟურ. „განთიადი“, 1983, № 1, გვ. 129-147.

ავტორი აღნიშნავს, რომ ცნობილი მეცნიერის, ასტრონომის, პროფ. გიორგი თევზაძის ნაშრომში „რუსთაველის კოსმოლოგია“ მოცემულია იმ ასტრალურ მოვლენათა ანალიზი, რომლებიც რუსთაველის კოსმოლოგიური წარმოდგენების გამოკვლევა-შესწავლაში გვეხმარება.

ავტორს აღნიშნული გამოკვლევა აინტერესებს იმ თვალსაზრისით, თუ რა კოსმოლოგიური პრობლემებია მასში აღძრული და რა სიმაღლითა და კუთხით წარმოდგება რუსთაველი ჩვენ წინაშე.

გ. ფანჯიკიძის თქმით, გ. თევზაძემ „ვეფხისტყაოსნის“ სათანადო ადგილების განხილვა-განმარტების შედეგად დაადგინა, რომ ასტრალური შინაარსის შემცველი ყოველი სტროფი თუ სტრიქონი პოემისა ციურ მოვლენებზე დაკვირვებისა და მათი თვისების ჭეშმარიტი ცოდნის შედეგია, ამიტომ შესაძლებელი გახდა, თვით პოეტური თქმების გარჩევით დადგენილიყო, ერთი მხრივ, ის, თუ მოცემულ სტროფში რომელ ციურ მოვლენაზეა საუბარი, ხოლო, მეორე მხრივ, ისიც, თუ როგორ ესმის პოეტს ეს ასტრონომიული მოვლენები.

რეცენზენტის აზრით, გ. თევზაძემ დაამტკიცა, რომ რუსთაველს სამყარო წარმოდგენილი ჰქონდა როგორც გეო-ჰელიოცენტრული სისტემა, ზუსტად ისეთი, ტიხო დე ბრაჰემ რომ ივარაუდა 400 წლის შემდეგ.

გ. ფანჯიკიძე ახსენებს ამ ნაშრომისადმი მიძღვნილ როგორც დადებით, ისე უარყოფით რეცენზიებს, თავის მხრივ კი დაასკვნის, რომ გ. თევზაძის გამოკვლევის სახით რუსთაველოლოგიამ გადადგა ახალი და მნიშვნელოვანი ნაბიჯი. გ. ა.

94. ჯანსუღ დვინჯილია

რუსთაველი – „ვეფხისტყაოსანი“

*ამავე ავტორის წიგნში „პოეტური ენერგია“,
თბ., 1983, გვ. 27-80.*

ავტორი ზოგადად განიხილავს „ვეფხისტყაოსანს“, მის ოპტიმისტურ პათოსს, როგორც საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ძლიერების ეპოქაში შექმნილ ძეგლს და ამ ძლევათმოსილების ამსახველს. „რუსთაველის პოემაში ძლევათმოსილი საქართველოს ფსიქოლოგია იკითხება. გალადებული ენერგიის სისხლმა და მარღვებმა არ იცის შიში, არ აფრთხობს უშორესი ქვეყნების გადალახვა. გმირები გამუდმებით მოძრაობენ... მათი ფიქრები, ვნებები მოდებულია ვეებერთელა მანძილს...“ (31).

ავტორი საგანგებოდ ეხება პოემის პროლოგში ჩამოყალიბებულ მიჯნურობის თეორიას და მას „სიყვარულის კონსტიტუციას“ უწოდებს. იგი წერს: „სიყვარული რუსთაველთან თითქოს უფრო დიდი რამ არის, ვიდრე ადამიანური გრძნობა, ტრადიციულად და მარტივად გაგებულ. ამ გრძნობას აქვს ურთულესი თვისებები ისევე, როგორც ადამიანს“ (47). „რუსთაველთან სიყვარულის გრძნობა აბსოლუტურად მთლიანია... გრძნობის მთლიანობა პიროვნების მთლიანობის წყაროა...“ (48).

„ქვეყნის მდგომარეობა პატრიოტიზმის გაგებასაც განსაზღვრავს. რუსთაველის პატრიოტიზმი ზომიერების კალაპოტში მიედინება, პატრიოტიზმის უკეთეს ფორმას ნიშნავს თუ გულისხმობს იგი. მწერლობაში პატრიოტიზმი მეტი დოზით არც არის სასურველი, რადგან მეტი ხვედრითი წონა იმას ნიშნავს, რომ ქვეყანას ძალზე უჭირს...“ (64).

„ავთანდილი–ტარიელი–ფრიდონი: ისინი განსხვავებული ხასიათები არიან, საკუთარი სტილი, სახე, პრინციპი და პოზიციები აქვთ. ცოცხალი ხატები არიან. მაგრამ... სამივე ერთად არის შესაკრებელი ქართველი კაცის თვისებისა. ქართველი კაცი არ განსახიერებულა მხოლოდ ავთანდილში...“ (68). გ. ა.

95. [ვ. შადური]

Сквозь столетия

*(მხატვრული ნაწარმოებები, დოკუმენტები, სტატიები, ნარკვევები...),
თბ., „მერანი“, 1983, შემდგენელი – ვანო შადური.*

კრებული წარმოადგენს „ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობის მატთანის“ პირველი ტომის (თბ., 1961 წ., რუსულ ენაზე) განახლებულ და გავრცობილ გამოცემას. მის ერთ-ერთ ნაკვეთში – „რევოლუციამდელი რუსი მწერლები რუსთაველისა და მისი ეპოქის შესახებ“

(გვ. 7-17) დაბეჭდილია ევგ. ბოლხოვიტინოვის, ნ. მ. კარამზინის, ა. ა. შიშკოვის, ე. ს. სტალინსკის, ა. ნ. ვესელოვსკის, კ. დ. ბალმონტის წერილები ან ნაწყვეტები მათი წიგნებიდან და ი. პ. პოლონსკის ლექსი „თამარი და მისი მეხოტბე შოთა რუსთაველი“. (ყველა ანოტირებულია გ. იმედაშვილის წიგნში – „რუსთველოლოგიური ლიტერატურა“, თბ., 1957 წ.). გ. ა.

96. აკაკი შანიძე

ესე ამბავი სპარსული...

გაზ. „შოთაობა“, [იყალბო – თელავი],
1983, № 11, გვ. 3.

ავტორი წერს: „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვის მე-9 შაირი ასე იკითხება: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,... ვპოვე და ლექსად გარდავთქვი...“

აქ გარკვევით არის ნათქვამი, რომ შოთა რუსთველმა გალექსა სპარსული ამბავი, რომელიც ქართულად ყოფილა ნათარგმნი... მე ბევრი მიმუშავებია „ვეფხისტყაოსანზე“,... მიუხედავად ამისა, არსად დამიბეჭდავს ჩემი აზრი პოემის სიუჟეტის წარმომავლობის შესახებ. მე იმ აზრისა ვიყავი და ვარ ახლაც, რომ შოთა რუსთველი მართლაც ამბობს, როცა გულახდილად გვეუბნება, რომ მან თავის ნაშრომს სპარსული ამბავი დაუდო საფუძვლად... ეს არავითარი გასაკიცხი ან სასაყვედურო საქციელი არ არის. მთავარია არა ის, თუ საიდან მოდის სიუჟეტი, არამედ ის, თუ რა საბოლოო სახე მიიღო მან მწერლის ხელში, რა ღირებულების მქონეა მისგან შექმნილი ახალი ნაწარმოები... გ. ა.

97. ა. შანიძე

„ვეფხისტყაოსნის“ საკითხები

(იგ ნაცვალსახელი პოემაში)

კრებ. „აღმოსავლური ფილოლოგია“, V, 1983, გვ. 5-9.

„იგ“ ნაცვალსახელი ოთხჯერ გვხვდება პოემის ბოლო თავებში (1957 წლის გამოცემით):

„თვარე მე ჩემდა, იგ მისდა, დია სჯობს კიდის-კიდობა“ (1488,4);

„არ იტყვიან, არა გვაქვსო“, იგ ამისთვის გულ-ნაკლულნი“ (1498,4);

„ტარიელ მოტკბა, ღმრთისავე მსგავსად იგ წაღმართულია“ (1615,1);

„უბრძანეს: „მმანო, რას გიკვირს? ჩვენ ვართო იგ წარხდომილნი“ (ჭიჭ. 1669,4).

იგ არის მე-3 პირის ნაცვალსახელის (იგი) შემოკლებული ფორმა, როგორც ეგ – ეგესი. ეგ ახლაც იხმარება ლიტერატურულსა და სასაუბრო ენაში. ძვ. ქართულში მე-3 პირის ნაცვალსახელი იყო იგი, რომელიც გამოიყენებოდა ჩვენებით ნაცვალსახელადაც და ნაწილაკადაც ცა-ს მნიშვნელობით: რომელი-იგი (რომელიც), რომელმან-იგი (რომელმაც), რაჟამს-იგი (როდესაც), სადა-იგი (სადაც) და სხვ. ოთხთავისა და ფსალმუნის ენამ მხოლოდ იგი იცის, რომელიც მრავალჯერ გვხვდება ამ ძეგლებში, რომლებიც ყველაზე უფრო ადრე ითარგმნა ქართულად (მე-4, მე-5 საუკუნეებში), შემდეგ ხანებში კი იგი-ს პარალელურად ისი ჩნდება, რომელიც საკმაოდ ხშირად გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“: „ისი დიაცი აქა ზის“ (1092,1), „მოიყვანეთ ისი მთვარე“ (1134₂) და სხვ. ძველ ქართულში ნაწილაკად მხოლოდ იგი იხმარება, რომლის გადმონაშთი „ვეფხისტყაოსანში“ მხოლოდ ერთია: „მუნ მოვიდა, სადა-იგი მისნი სპანი დაეყარნეს“ (673₁).

დღევანდელ სალიტერატურო ქართულში მე-3 პირის ნაცვალსახელად იხმარება როგორც იგი, ისე ის; სრული ისი კი შემონახულია ც(ა) ნაწილაკის დართვისას: ისიც.

იგ ფორმის ხმარება ჩვეულებრივია მე-16 და მე-17 საუკუნეების ძეგლებში, მაგ., „შაჰნამეში“, „ბარამ-გურიაში“, თეიმურაზ I-ის, არჩილის ნაწარმოებებში, „დიდმოურავიანში“ და სხვ.

იგ ნაცვალსახელი რუსთაველის პოემის ძირითად ნაწილში არ გვხვდება. ხშირია, სამაგიეროდ, მისი ხმარება ჩანართ-დანართებში, რომლებიც ცალკე წიგნაკად გამოსცა ს.

იორდანიშვილმა. აღნიშნულია **26 შემთხვევა**, 26-ვე ჩანართი და დანართი სტროფებიდან. რუსთაველის პოემა არ იცნობს მე-3 პირის ნაცვალსახელს ამ ფორმით, ხოლო თუ პოემის ბოლო თავებში იგი 4-ჯერ გვხვდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს თავები რუსთაველს არ ეკუთვნის. ეს თავები შემდეგდროინდელი მიმატებულია და ამ შევსების დროს გამოიყენეს იგი ნაცვალსახელი.

ეს შეცვლილი ფორმა ნაცვალსახელისა უფრო ადრე მეხოტბებთანაც გვხვდება:

„იტყვის იგავსა, არ თუ იგ ავსა,

ზარაქის მსგავსსა გულისხმიერებად“ (60) (აბდ., ს. კაკაბაძის გამოცემა, 1937);

„ამანს მივიდის, თავი იდიდის,

რა ხამდის (!) მუნცა, ქმნის იგ ნაქნარი“ (62). (თამარიანი, პლ. იოსელიანის გამოცემა, 1838

წ.).

მაგრამ მასობრივად მისი ხმარება, რა თქმა უნდა, მე-16 და მე-17 საუკუნეების პოეტურ ნაწერებშია დადასტურებული. **თ. ტ.**

98. გურამ შარაძე

პოეტი, შაჰი თუ წმინდანი?!

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1983, 4 თებ., № 6, გვ. 12–13.

ავტორი განიხილავს ბორის კანდელაკის მიერ შედგენილ წიგნს „შოთა რუსთაველის 100 პორტრეტი“ (თბ., „ხელოვნება“, 1982), აღნიშნავს, რომ „ძნელი წარმოსადგენია ჩვენს დროში შოთა რუსთაველზე ამაზე უფრო ხელაღებით და საშინელი უმეცრებით წერა, ვიდრე ამას ბ. კანდელაკის წინამდებარე წიგნში ვხვდებით“.

წიგნის წინასიტყვაობასა და სურათებზე დართულ კომენტარებში არის, რეცენზენტის თქმით, „ფანტასტიკური ხასიათის შეცდომები“. იგი ვრცლად მსჯელობს ე. წ. „გერბიან პორტრეტზე“, რომლის შესახებ ბ. კანდელაკმა 1973 წელს გამოაქვეყნა პირველი წერილი. მაშინ რუსთველოლოგებმა მას მიუთითეს იმ სიყალბეზე, რომელიც ჩადენილი იყო ამ „პორტრეტის“ პირველი პუბლიკაციის დროს (1872 წელს). ამ საკითხზე რამდენიმე სტატია დაიწერა და 1977 წლისათვის საბოლოოდ დასაბუთებული და გარკვეული იყო, რომ სადავო პორტრეტზე გამოსახულია ირანის შაჰი სულთან-ჰუსეინი (იხ. „მაცნე“, № 2). ბ. კანდელაკი ჯიუტად და დაჟინებით იმეორებს განგებ ჩადენილ ფალსიფიკაციაზე დამყარებულ ვარაუდს და მის ტირაჟირებას ახდენს სხვადასხვა პერიოდულ ორგანოში. მანვე „აღმოაჩინა“ ვარძიის მონასტერში ვითომდა შოთა რუსთაველის „უცნობი პორტრეტი“, რომელზეც სინამდვილეში გამოსახულია ერთ-ერთი საეკლესიო მამა, წმინდა კირილე.

რეცენზენტის დასკვნით, ასეთ უმეცრულ პუბლიკაციებს მკითხველი შეცდომაში შეჰყავს და რუსთველოლოგიასაც ზიანს აყენებს. **გ. ა.**

99. გ. ჩიქოვანი

„ვეფხისტყაოსანი“ – არაბულად

გაზ. „კომუნისტი“, 1983, 16 ოქტ., № 283, გვ. 4.

წერილში აღნიშნულია, რომ სირიელი მწერალი ნიზარ ხალილი 1966 წელს იმყოფებოდა საქართველოში. მაშინ დაინტერესდა იგი ქართული მწერლობით, კერძოდ, „ვეფხისტყაოსნით“ და გადაწყვიტა მისი თარგმნა არაბულ ენაზე.

1980 წელს თბილისში, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, კ. წერეთლის ხელმძღვანელობით შეიქმნა ნ. ხალილის მიერ შესრულებული თარგმანის შემსწავლელი კომისია. მასში მონაწილეობდნენ: ნ. ფურცელაძე, ლ. რუხაძე და გ. ჩიქოვანი.

ამჟამად ნ. ხალილი თბილისში იმყოფება და ქართველი მეცნიერების დახმარებით საბოლოოდ აზუსტებს თარგმანის ტექსტს. **გ. ა.**

100. სარგის ცაიშვილი

ალექსანდრე ბარამიძე

კრებულში – „ლიტერატურული ძიებანი“ (ეძღვნება აკად. ალ. ბარამიძის დაბადების 80 წლისთავს), თბ., 1983, გვ. 3-16.

ალ. ბარამიძის მრავალმხრივი მოღვაწეობიდან ავტორი საგანგებოდ გამოყოფს მის მუშაობას რუსთველოლოგიაში. აღნიშნავს, რომ მეცნიერი თანაბარი ინტერესითა და წარმატებით იკვლევს როგორც რუსთველის ბიოგრაფიის საკითხებს, ისე „ვეფხისტყაოსნის“ სოციალურ გარემოს, ტიპაჟს, იდეურ მოტივებს, დაწერის თარიღს, ჟანრის პრობლემას და სხვ. ალ. ბარამიძის მრავალწლიანი კვლევის შეჯამებაა მონოგრაფია „შოთა რუსთაველი“ (1958 წ.), რომლის შევსებული ბოლო გამოცემა 1975 წელს გამოქვეყნდა. იგი ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომია და ამ ეტაპზე რუსთველოლოგიის მეცნიერულ კურსს წარმოადგენს.

უკანასკნელ წლებში ალ. ბარამიძე ხელმძღვანელობს მთავარ რედაქციას, რომლის მიზანია „ვეფხისტყაოსნის“ სრული კორპუსის, ანუ აკადემიური ტექსტის გამოცემა. გ. ა.

101. აპოლონ ცანავა

მითოსური განძისა და სასწაულმოქმედი საბრძოლო

იარაღების მეტაფორიზება „ვეფხისტყაოსანში“

ლიტერატურისმცოდნეობის რესპ. საკოორდინაციო საბჭო; შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტ. ინსტიტუტი, XVIII სამეცნ. სესია, თბ., 1983, თეზისები. გვ. 24-26.

1. მითოსური მოდელის მიხედვით, განძი და საბრძოლო იარაღი „კულტურულმა გმირებმა“ ეშმაკულთა ქვეყნიდან, ხთონური სამყაროდან წამოიღეს და ადამიანებს ასწავლეს მათი მოხმარება და გამოყენება.

2. „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილ დევთა გამოქვაბულებში და ქაჯეთის ციხე-კოშკებში აურაცხელი განძია შენახული. დევთა ქვაბში, გარდა განძისა, ინახება სასწაულმოქმედი აბჯარი, რითაც პოემის გმირები ქაჯებს ამარცხებენ.

3. პოემაში აღწერილი მითოსური განძი და საბრძოლო იარაღი ქართულ მითოლოგიაში წარმოდგენილია სხვადასხვა ასპექტით: ამირანს საგანგებოდ ნაწრთობი ხმალი აქვს; კოპალას, იახსარს, თერგვაულს, თორღვას აქვთ არაჩვეულებრივი ჯაჭვი, ლახტი, დელამფარი და სხვ., რომელთა გამოყენებით ამარცხებენ ხთონურ ძალებს – დევებსა და ქაჯებს.

4. ტარიელი დევების ამოწყვეტით ასრულებს ისეთ ქმედებას, რომელიც ღმერთებს ან ღმერთ-კაცებს შეეფერებათ. გ. ა.

102. თამაზ ჭილაძე

„ვარდის ფურცლობის ნიშანი“

ჟურ. „მნათობი“, 1983, № 10,11.

ნაშრომში მოცემულია „ვეფხისტყაოსნის“ ახლებური წაკითხვის, ავტორის სიტყვით, პოეტური წაკითხვის ცდა. ტექსტის თვითნებური გააზრების საფუძველზე ნაშრომის ავტორი წარმოადგენს შემდეგ დებულებებს:

1) პროლოგი იდეურად უპირისპირდება საკუთრივ პოემას, ის დაწერილია პოემის დამთავრების შემდეგ;

2) პოემის დაწერა თამარის საქებად რუსთველს დაავალა გიორგი III-მ;

3) რუსთველი აქებს არა თამარს და მის საზოგადო საქმიანობას, არამედ დავით აღმაშენებლისა და გიორგი III-ის სახელმწიფო პოლიტიკას;

4) ფატმანი ერთ-ერთი მთავარი დადებითი პერსონაჟია, ის ნესტანისა და თინათინის „ცალია“. ფატმანისა და ავთანდილის ურთიერთობა არის ნამდვილი, ორმხრივი სიყვარული;

5) თ. ჭილაძე მოგონილად თვლის რუსთველის მეჭურჭლეთუხუცესობას. მისი აზრით, რუსთველი იყო პროფესიონალი კარის პოეტი და ის არ მონაწილეობდა ქვეყნის მმართველობასა და პოლიტიკურ საქმიანობაში;

6) როსტევეანი ისეთივე უარყოფითი, სასტიკი და დაუნდობელი მეფეა, როგორცაა ფარსადანი. რუსთველი როსტევეანსა და ფარსადანს აერთიანებს საერთო – დესპოტიზმის ნიშნით. როსტევეანი შურითა და ბრაზით აივსო, ავთანდილმა ნადირობაში რომ აჯობა და ამის გამო დასაჯა მან თავისი სპასპეტი – სამი წლით გააძევა – გაგზავნა უცხო მოყმის სამეზნად;

7) „ვისრამიანმა“ აშკარად მოახდინა გავლენა „ვეფხისტყაოსანზე“. თ. ჭილაძეს შესაძლებლად მიაჩნია, რომ „ვისრამიანი“ ქართულად რუსთაველის თარგმნილი იყოს. **გ. ა.**

103. ალ. ჭინჭარაული

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან

„საენათმეცნიერო მიეზანი“, თბ. უნივ. გამომც., 1983, გვ. 162-167.

განხილულია ორი წაკითხვა:

I. „მუნა გასლვა მომნდომოდა...“ (602).

მკვლევრის აზრით, უფრო ლოგიკურია მეორე ვარიანტი: „ქორის დევნა მომნდომოდა“. ამას ამართლებს სტროფის შინაარსი:

1. ფრიდონს მარეკები არ მიჰყავს თან, ე. ი. ცხოველებზე ნადირობას არ აპირებს;

2. მიჰყავს ხუთი ბაზიერი, რომელნიც აუცილებელნი არიან „ქორის (ან ქორით) დევნისათვის“;

3. „მუნა გასლვა მომნდომოდა“ ლოგიკურად ვერ ხსნის გამოთქმას: „მით მრეკალი არ ვახშირე“;

4. „მუნა“ „ვეფხისტყაოსანში“ იშვიათად იხმარება, ამასთან, მასდართან – არასოდეს.

II. „მჩქეფრად სისხლისა ნაკადი მოსდის ალვისა ხისაგან“ (1147).

აქ იგულისხმება, რომ ნესტანს მოსდის სისხლის ნაკადი (სისხლნარევი ცრემლი). გაუგებრობას იწვევს ორპირიანი ზმნა „მოსდის“, რადგან ალვის ხე თვით ნესტანის მეტაფორაა. უნდა დაიბეჭდოს ერთპირიანი ფორმა „მოდის“. **გ. ა.**

104. ზურაბ ჭუმბურიძე

ხელიხელ საგოგმანები...

ავტორის წიგნში – „ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ“, თბ., 1983, გვ. 253-292.

მკვლევარი მოგვითხრობს „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებზე, მათ გადამწერებსა და პატრონებზე. ვრცლად არის გადმოცემული უძველესი თარიღიანი (1646 წ.) ნუსხის, 1680 წლის ბეგთაბეგ მარტიროზაშვილის გადაწერილი, ე. წ. პელაგია წერეთლისეული, ზაზა ციციშვილისეული, ერთ-ერთი უძველესი (H 2074) და სხვა ნუსხების თავგადასავალი, აგრეთვე ისტორია „ზაზასეულ“ ნუსხაში არსებული შოთას სურათის დაკარგვისა და კვლავ დაბრუნებისა, რომელიც ამჟამად საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ინახება. **გ. ა.**

104ა. შალვა ღიდაშელი

С древних времён до гуманизма Руставели

Мировоззренческие основы средневековой грузинской культуры

с аксиологической точки зрения,

Жур. «Лит. Грузия», 1983, № 4, с. 195-215.

ჟურნალის 210-212 გვერდებზე ავტორი განიხილავს შოთას რუსთაველის მსოფლმხედველობის მიმართებას ნეოპლატონიზმთან. იხ. მისივე – რენესანსული ჰუმანიზმი (1981), აქვე, ანოტ. № 29.

105. გიორგი ჯავახიშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ ორი ხელნაწერის ირგვლივ

ლიტმცოდნეობის რესპ. საკოორდინაციო საბჭო, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, XVIII სამეცნიერო სესია, მოხს. თეზისები, თბ., 1983, გვ. 26-27.

1. ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი, გადაწერილი მე-18 ს-ის ბოლოს ან მე-19 ს-ის მეორე ნახევარში, იაროსლავის ლიტერიან ქალაქში.

ამავე მუზეუმშია პოემის მეორე ხელნაწერი, შესრულებული მე-19 ს-ის მეორე ნახევარში. ის 303 სტროფს შეიცავს.

2. ორივე ხელნაწერის წყაროდ ჩანს უცნობი ხელნაწერები და პოემის ვახტანგისეული, 1712 წლის გამოცემა.

1984

106. Дилара Алиева

Низами и Руставели о роли и назначении художественного слова

Ж. „Лит. Грузия“, 1984, № 9, с. 168-174.

სტატია გვიჩვენებს, რომ ნიზამი და რუსთაველი თანამოაზრეები იყვნენ პოეტური შემოქმედების სარბიელზე, მათ ერთნაირი ფილოსოფიური და ესთეტიკური თვალსაზრისი ჰქონდათ.

ავტორი წარმოგვიდგენს ამ ორი შემოქმედის საერთო ლიტერატურულ მოტივებს და შეხედულებათა მსგავსებას მხატვრული სიტყვის დანიშნულების თაობაზე ადამიანის აღზრდასა და მის ეთიკურ-ზნეობრივი თვისებების ჩამოყალიბებაში.

სტატიაში პარალელურად განხილულია ნიზამის პოემის „საიდუმლოებათა საგანძურის“ ერთი თავი და რუსთაველის პოემის „დასწყისი“ (პროლოგი) პოეზიის რაობისა და დანიშნულების თვალსაზრისით. **გ. ა.**

107. Д. Алиева

Низами и грузинская литература

Автореферат дис. на соиск. уч. степени доктора филологических наук, Баку, 1984.

დისერტაციის მესამე თავი (გვ. 29-45) ეძღვნება ნიზამი განჯელისა და შოთა რუსთაველის შემოქმედებათა ურთიერთკავშირს. მასში განხილულია შემდეგი პრობლემები: ადამიანი – ნიზამისა და რუსთაველის ჰუმანისტური კონცეფციის საფუძველი; ნიზამი და რუსთაველი მხატვრული სიტყვის როლისა და დანიშნულების შესახებ; სიყვარულის კონცეფცია ორივე პოეტის შემოქმედებაში; ქალი – მთავარი გმირი და პოეტების ესთეტიკური იდეალის გამომხატველი; სრულყოფილი პიროვნების პრობლემა. **გ. ა.**

108. ნელი ანდრონიკაშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანები

თბ., 1984, გვ. 74.

წიგნში განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ ოთხი ინგლისური თარგმანი – მ. უორდროპის, ვ. ურუშაძის, რ. სტივენსონისა და ქ. ვივიანისა. ნაჩვენებია თითოეული თარგმანის დედანთან

შინაარსობრივი და მხატვრული მიმართება; განაალიზებულია მთარგმნელთა თეორიული შეხედულებანი „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ ენაზე თარგმნის შესახებ.

ავტორი ვრცლად განიხილავს ბოლოდროს შესრულებულ და ნაკლებად შესწავლილ ვ. ურუშაძის პოეტურ და რ. სტივენსონის პროზაულ თარგმანებს და ორივეს ახალ, წარმატებულ ცდად მიიჩნევს ამ პოემის უცხო ენებზე თარგმნის საქმეში.

ნაშრომს ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე (გვ. 73). **გ. ა.**

109. ალექსანდრე ბარამიძე

მესხი მელექის გარშემო

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1984, № 1, გვ. 69-74.

წერილი პოლემიკური შინაარსისაა. ავტორი ეკამათება მკვლევარ ციალა კახაბრიშვილს, რომელიც ამტკიცებდა, რომ „ვინმე მესხი მელექსე“ მხოლოდ გადამწერია და არა რუსთაველის პოემის ინტერპოლატორი („მრავალთავი“, X წიგნი).

ც. კახაბრიშვილი ფიქრობდა, რომ სიტყვა „ვწერ“ არ უნდა იყოს ნახმარი „თხზვის“ სინონიმად, ვინაიდან ამ შინაარსით ძველ ქართულში სხვა ტერმინი – „თქმა“ – იყო მიღებული.

ალ. ბარამიძე შენიშნავს, რომ „ვწერ“ „ვეფხისტყაოსანშიც“ გვხვდება „ვთხზავ“ სიტყვის მნიშვნელობით, ხოლო აღორძინების ხანაში „ვწერ“ სიტყვით ჩვეულებრივ აღინიშნება – **ვთხზავ, ვქმნი**. ამ მნიშვნელობით ხმარობენ ამ სიტყვას ხოსრო თურმანისძე, არჩილ მეფე, ვემანგი, თეიმურაზ პირველი, იოსებ ტფილელი და სხვები. **გ. ა.**

110. ალ. ბარამიძე

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი ახლებური წაკითხვის გამო

ჟურ. „მნათობი“, 1984, № 2, გვ. 119-137.

წერილი ეხება თ. ჭილაძის ნაშრომს „ვარდის ფურცლობის ნიშანი“ („მნათობი“, 1983, № 10,11). ავტორი კრიტიკულად განიხილავს თ. ჭილაძის ძირითად დებულებებს „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგისა და ძირითადი ტექსტის ურთიერთობის, რუსთაველის პოლიტიკური ორიენტაციის, პოემის მიზანდასახულების (მისი ქების ობიექტის), ფატმანის ზნეობრივი შეფასების, დავარის ნესტანთან დამოკიდებულების, როსტევანის პიროვნების გაგების, აგრეთვე პოემის ცალკეული სტროფების ჩანართობის შესახებ.

ავტორი აღნიშნავს, რომ თ. ჭილაძე თავის შეხედულებებს უმეტესწილად შთაბეჭდილებების სახით გადმოგვცემს და ნაკლებად იყენებს დასაბუთების ჩვეულებრივ წესს, პოემის ტექსტს კითხულობს ტენდენციურად და იმის საწინააღმდეგო აზრს ეძებს შიგ, რასაც პოემის ავტორი პირდაპირ და გარკვევით ამბობს. **გ. ა.**

111. ალ. ბარამიძე

შოთა რუსთაველი

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. VIII, თბ., 1984, გვ. 506-508.

სტატიაში მოცემულია ცნობები რუსთაველის ვინაობის შესახებ, „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის სავარაუდო თარიღი (1189-1207 წწ.), პოემის თემატიკა და პერსონაჟების დახასიათება.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ უშუალოდ აირეკლა მისი ეპოქის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური სინამდვილე. რუსთაველმა დაიცვა ქალის, მეფის ასულის, გამეფების კანონზომიერება, მხატვრული ენით დაასაბუთა მისი თანასწორობა მამაკაც უფლისწულთან. რუსთაველი იცავს ერთმეფობის, ცენტრალიზებული მმართველობის სისტემას, იდეალად თვლის ჰუმანურ საფუძველზე აგებულ პატრონყმურ ურთიერთობას.

სტატიაში მოცემულია აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლისა და უცხო ენებზე მისი თარგმნის ისტორია. ნარკვევს ერთვის ბიბლიოგრაფია ქართულ და უცხოურ ენებზე. **გ. ა.**

112. გურამ ბარნოვი

ისევ ზოგიერთი რუსთველოლოგიური საკითხის გამო

ჟურ. „მნათობი“, 1984, № 10, გვ. 143-156.

ავტორი აღნიშნავს, რომ მე-19 საუკუნის 80-90-იან წლებში „ვეფხისტყაოსნის“ კვლევა მიდიოდა ორი მიმართულებით: „მეცნიერულ-კრიტიკულით“ (ნ. მარი) და „ნაციონალურ-კრიტიკულით“ (ილია, აკაკი). ასეთი პარალელიზმი დღესაც გრძელდება. მათი „მორიგება“ არ შეიძლება მოხდეს მექანიკურად, რადგან ეს ეკლექტიზმის წინაშე დაგვაყენებს.

ავტორის თქმით, თუკი რუსთველოლოგია ლიტერატურათმცოდნეობის დარგია, მისი ძირითადი ამოცანა პოემის მხატვრული თავისებურებების წარმოჩენა უნდა იყოს. ეს კი არ ხდება.

მკვლევარი ეხება აკად. ალ. ბარამიდის მონოგრაფიას „შოთა რუსთაველი“ (თბ., 1975) და მისივე კრიტიკულ წერილს – „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ახლებური წაკითხვის გამო“ („მნათობი“, 1984, № 2).

წიგნში, რომელიც „განმაზოგადებელ-შემაჯამებელი ხასიათის სამეცნიერო ნაშრომად“ არის წარმოდგენილი, დასახელებული არაა რამდენადმე მნიშვნელოვანი გამოკვლევა, რომელიც საგანგებოდ იყოს გამიზნული, ანდა გულისხმობდეს მაინც პოემის მხატვრული თავისებურებების შესწავლას, ხოლო წერილში („მნათობი“, 1984, № 2). ალ. ბარამიდემ მკაცრად გააკრიტიკა პოემის „ლიტერატურულად წაკითხვის“ ერთ-ერთი ცდა (თ. ჭილაძის „ვარდის ფურცლობის ნიშანი“).

გ. ბარნოვი დაასკვნის: მარტო მეცნიერული ობიექტურობით შეუძლებელია სათანადოდ გაგება და შეფასება იმისა, რასაც ძირითადად პოეტური ფანტაზია დასდებია საფუძვლად. გ. ა.

113. ანაიდა ბესტავაშვილი

პოეტური წაკითხვის ლოგიკა

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1984, 2 ნომბერი.

წერილი ეხება თამაზ ჭილაძის წიგნს „ვარდის ფურცლობის ნიშანი“ (თბ., 1984 წ.), რომელშიც მოცემულია „ვეფხისტყაოსნის“ ახლებურად გაგება.

თ. ჭილაძის აზრით, „ვეფხისტყაოსანში“ ფორმულირებულია პოეზიის უმაღლესი და უმთავრესი მიზანი – დაეხმაროს ადამიანს თავისი თავის შეცნობაში, დააკავშიროს იგი სხვა ადამიანებთან. თ. ჭილაძე, იმოწმებს რა ბახტინს, აღნიშნავს, რომ მეცნიერული ტექსტი ერთი უნდა იყოს, ხოლო პოეტური კი იმდენი, რამდენიც მკითხველია.

თ. ჭილაძე კატეგორიულად უარყოფს ვარაუდს, თითქოს პოემა თამარ მეფის ქებას წარმოადგენს, რადგან, მისი აზრით, პოემა არათუ უმღერს მეფეს, არამედ ერთთავად გამსჭვალულია ანტიდესპოტური განწყობილებებით და განადიდებს თავისუფალ ნებას. სწორედ ამიტომ არის იგი რენესანსის იდეების მატარებელი. რუსთაველი დესპოტებად წარმოგვიდგენს ფარსადანსა და როსტევეანს.

მწერალი შენიშნავს, რომ სიყვარული რუსთაველთან სულ სხვაგვარად გაიაზრება, ვიდრე ეს აღმოსავლურ პოეზიაშია და ცოტა რამით ჰგავს დასავლეთის კურტუზაიული ლიტერატურისაგან დეკლამირებულ გრძნობას. „ვეფხისტყაოსნის“ სიყვარული გმირების პიროვნული ხასიათის, მისწრაფებების, სურვილთა გამოვლენის სტიმულია. რუსთაველის გმირები ჩვეულებრივი ადამიანები არიან, პოეტი არ ახდენს მათ იდეალიზაციას. თ. ჭილაძე თვლის, რომ პოემა არის XII ს-ის საქართველოს ცხოვრების თავისებური ენციკლოპედია. წიგნში განხილულია რუსთაველის ენის, ლექსიკის, მისი მხატვრული სისტემის საკითხები. ავტორი აყენებს ჰიპოთეზას, რომ რუსთაველი შეიძლება იყოს „ვისრამიანის“ ქართულად მთარგმნელი.

თ. ჭილაძე ეკამათება მკვლევართ, რომელთა აზრით, რუსთაველს სძულდა ვაჭართა ფენა. იგი თვლის, რომ ამ მკვლევარებზე გავლენა მოუხდენია XIX ს-ის ქართულ პროზასა და დრამატურგიას, რომელიც ვაჭართა წრეს სატირისა და გროტესკის მეშვეობით წარმოსახავდა.

თ. ჭილაძეს თავისებურად ჰყავს წარმოდგენილი ფატმანის პიროვნება, რომელიც, მისი აზრით, მეტად რთული სახეა პოემაში და რომელიც უდავოდ დიდ სიმპათიას იმსახურებს, რადგანაც ფატმანი ემახურება ერთადერთ მსაჯულს – სიყვარულს.

რეცენზენტი თ. ჭილაძის წიგნს თვლის პოეტური წაკითხვის ლოგიკის ბრჭყინვალე ნიმუშად. **თ. ტ.**

114. კიტა ბუაჩიძე

რუსთაველი!

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1984, 8 მარტი.

სტატია-რეპლიკა ეხმაურება ვ. კუპრავას წერილს – „რუსთაველი თუ რუსთველი?“ („ლიტ. საქართველო“, 1983, 9. XII).

კ. ბუაჩიძე მიიჩნევს, რომ ერთადერთი სწორი ფორმაა „რუსთაველი“ და არა „რუსთველი“. მას საბუთად მოჰყავს ანტონ კათალიკოსის „წყობილსიტყვაობა“, რომელში პოეტი მოხსენებულა „რუსთაველად“.

კ. ბუაჩიძეს მიიჩნია, რომ „რუსთველის“ ხმარება გაუგებრობას გამოიწვევს, რადგან მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში პოეტს „რუსთაველად“ იცნობენ. **გ. ა.**

115. ზვიად გამსახურდია

„ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურ ენაზე

თბ., „მეცნიერება“, 1984, გვ. 222.

წიგნი შედგება შესავლისა და 6 თავისაგან. მასში არის ცდა რუსთაველის მსოფლმხედველობის ზოგი საკითხის გარკვევისა. ამ მიზნით განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ მ. უორდროპისეული, ვ. ურუმადისეული, რ. სტივენსონისეული და კ. ვივიენისეული ინგლისური თარგმანები. მკვლევრის მიერ დადგენილ იქნა რუსთაველის ქრისტიანული, თეისტური მსოფლმხედველობის ნიშნები, აღნიშნულია, რომ მისთვის უცხოა პანთეისტური და ნეოპლატონური მსოფლგაგებანი. „ვეფხისტყაოსნის“ შესაქმნის გაგება ბიბლიურ-კრეაციონისტულია, იგი ემყარება ეკლესიის მამათა ნააზრევს, მათ წარმოდგენას სამების მიერ სამყაროს შექმნაზე.

მეორე თავში – „რუსთველის ანთროპოლოგიის ერთი პრობლემა“ – ახსნილია, თუ რას გულისხმობს პოეტი სტრიქონში : „ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა“. მკვლევრის აზრით, აქ იგულისხმება ცნობილი გაგება ადამიანის პირველქმნილი სხეულისა, რომელიც არის „სახე“, ანუ პირველდედანი მთელი კაცობრიობის სხეულებისა, ანუ ტანებისა (იხ. აგრ. „ბიბლიოგრაფიის“ IV ტ. ანოტაცია № 695).

მესამე თავში – „მიჯნურობისა და შაირობის გაგებისათვის“ – მკვლევარი ამტკიცებს, რომ რუსთველისეული გაგება მიჯნურობისა ემყარება სიყვარულის ქრისტიანულ გაგებას, ღვთისა და მოყვასის სიყვარულის ერთიანობის, განუყოფლობის იდეას, რომელიც მოცემულია საღვთო წერილში, აგრეთვე დიონისე არეოპაგელის, მაქსიმე აღმსარებლის და სხვა მამათა შრომებში.

მეოთხე თავი ეძღვნება ტერმინების „ერთარსება“ და „მზე ხატი ღვთისა“ შინაარსის გარკვევას. მკვლევარი დაასკვნის, რომ „ერთარსება“ არის ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში გავრცელებული ტერმინი სამების აღსანიშნავად. „მზე ხატი ღვთისა“ კი ნიშნავს სულიერ მზეს, ლოგოსს, ქრისტეს, რომელიც არის ხატი „ღმრთისა უხილავისა“, ანუ მზიანი ღამისა, უყამო ჟამისა (იხ. აგრ. „ბიბლიოგრაფიის“ IV ტ., ანოტაცია № 634).

მეხუთე და მეექვსე თავებში განხილულია პოემის ინგლისური თარგმანები რ. სტივენსონისა, კ. ვივიენისა და ვ. ურუმადისა. აღნიშნულია, რომ დასახელებულ საკითხებთან მიმართებით ისინი ვერ აკმაყოფილებენ მეცნიერული კრიტიკის მოთხოვნილებებს.

წიგნს ახლავს რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე, აგრ. გამოყენებული ლიტერატურისა და წყაროების ნუსხა. **გ. ა.**

116. ზვიად გამსახურდია

რუსთველი და ანტონ I

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1984, №1, გვ. 1, 3, 4.

1. ღვთისმეტყველება და სახისმეტყველება (პარალელები „მაცნე“, № 1, გვ. 75-87).

წერილის მიზანია გაარკვიოს, თუ რა მიმართებაში იყო რუსთველთან XVIII ს-ის ქართული საღვთისმეტყველო აზროვნების ლიდერი ანტონ I. იგი ისევე, როგორც შოთა რუსთაველი, პოეზიასა და მითოლოგიას ღვთისმეტყველებასთან ღრმა ურთიერთკავშირში განიხილავდა. ანტონის თქმით, „ზღაპარ-მეტალოლიკა“, რომელიც ყვაოდა „სტიხის მოქმედთა“, ე.ი. პოეტთა შორის, ღვთისმეტყველების ერთ-ერთი დარგი იყო ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში, ხოლო „მწერალ-მეტყველებას“ ქრისტიანული თვალსაზრისით, ანტონი თავისი საღვთისმეტყველო მოღვაწეობის განუყრელ ნაწილად თვლიდა. ამრიგად, ნათელია რუსთველისა და ანტონ I-ის შეხედულებათა ერთობა პოეზიის საღვთო წარმოშობისა და დანიშნულებაზე, ღვთისმეტყველებისა და პოეზიის განუყრელ ერთობაზე, რაც შუასაუკუნეთა იდეოლოგიის დამახასიათებელი ტენდენცია იყო.

დიონისე არეოპაგელის შრომებიდან შესაბამისი ადგილების დამოწმებით, სიყვარულის მისეულ ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით ზ. გამსახურდია იმ დასკვნამდე მიდის, რომ სიყვარულის არეოპაგიტული კონცეფციის ნაირგვარ ვარიაციებს ვხვდებით როგორც რუსთველის პოემაში, ისე ანტონის საღვთისმეტყველო ნააზრევსა და პოეტურ შემოქმედებაში.

ანტონ I-ის „ღვთისმეტყველების“ III ტომში შედის ტრაქტატი „მეგობრობისათვის“, რომელიც საღვთო წერილში და წმიდა მამების ნაწერებში მეგობრობის შესახებ გამოთქმული აზრების სუმირებას წარმოადგენს. რუსთველის „ავთანდილის ანდერძიც“ აგებულია საღვთო წერილისა და ეკლესიის მამების კონცეფციებზე მეგობრობის თაობაზე.

2. „ვეფხისტყაოსანი“ და „წყობილსიტყვაობა“ („მაცნე“, № 3, გვ. 95-107).

ავტორი განიხილავს ანტონ I-ის „წყობილსიტყვაობას“ მთლიანობაში და დაასკვნის, რომ იგი ეკლესიის საერთო თვალსაზრისის გამომხატველია. ამ ნაშრომში მოცემულია როგორც დოგმატური, ასევე მისტიკური ღვთისმეტყველების ერთგვარი შეჯამება. დოგმატურ ღვთისმეტყველებას ანტონი უწოდებს „დადებითს“, ხოლო მისტიკურს – „ზესთაბუნებითს“. ბუნებითი („დადებითი“) ღვთისმეტყველება გონებას ეყრდნობა, ხოლო ზესთაბუნებითი – გამოცხადებასა და ღვთაებრივ გონებას.

ზ. გამსახურდია განიხილავს ანტონის სიტყვებს, მიმართულს დავით აღმაშენებლისადმი: „ღამისა მიმართ მზისა აღიცისკრებდი მწუხრით უმწუხროთ, ჟამით გარეგან ჟამის“ და მიაწინებს რუსთველთან იდეურ-აზრობრივ ერთობაზე: „უმწუხრო მწუხრი“ რომ რუსთველის „მზიანი ღამის“ სინონიმია, ეს თავისთავად ცხადია. სულიერ სამყაროში გადასვლა კი ხდება დროისა და სივრცის კატეგორიების დამღვევით; გამოთქმა „ჟამით გარეგან ჟამის“ რუსთველისეული „უჟამო ჟამის“ პერიფრაზაა. ავტორი დაასკვნის, რომ „მზიანი ღამე“ მრავალმნიშვნელოვანი ალუზიაა, რომელიც შეიცავს როგორც საღვთისმეტყველო, ისე ეზოთერულ-ოკულტურ შინაარსს და მიგვანიშნებს ანტიკურ მისტერიებში ინიციაციის გზით „ღამის მზის“ ხილვის პრაქტიკაზე. „მზიანი ღამის“ ხილვა პარადიგმაა სულეთში გარდასრულთა მიერ მზის ნათელის ხილვისა, რაც ანტიკურ მისტერიებსა და ქართულ მითოლოგიაში ერთნაირად წარმოდგინდება. ეს წარმოდგენა აირეკლა „ვეფხისტყაოსანში“, რომლის ავტორი იცნობდა როგორც ანტიკური მისტერიების ინიციაციურ სიბრძნეს, ასევე ქრისტიანულ თეოსოფიას და შუასაუკუნეების თეოლოგიას.

3. რუსთველის სარწმუნოებრივი იდეალი („მაცნე“, № 4, გვ. 42-51).

ქართული მეცნიერების ორი სოლიდური ავტორიტეტი – ნ. მარი და იუსტ. აბულაძე „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს მუსლიმანად მიიჩნევდნენ, რასაც ზ. გამსახურდია უმართებულოდ

თვლის. მას არც ის მოსაზრება მიაჩნია სწორად, თითქოს რუსთველი იძულებული იყო ისლამური რელიგიისთვის დამახასიათებელი ტერმინები და რიტუალები ეხსენებინა მხოლოდ იმიტომ, რომ პოემის მოქმედება პირობითად ისლამურ ქვეყნებშია გადატანილი. ავტორის თქმით, „ვეფხისტყაოსანში“ სუფევს ისლამის სული და ამავე დროს – ქრისტიანული სული. იგრძნობა, რომ პოეტი ღრმად მორწმუნე ქრისტიანია, ოღონდ არა იმ გაგებით, რომელიც ყველა სხვა რელიგიას და თვით ქრისტიანობის სხვა კონფესიურ ნიუანსებს გმობს და ემოჯნება, არამედ ისეთი, რომელიც ცდილობს რელიგიათა შერიგებას ერთი ჰარმონიული, საყოველთაო რელიგიის ნიადაგზე (ეზოთერულ ქრისტიანობას სწორედ ამგვარი ეკუმენიზმი ახასიათებდა შუასაუკუნეებში).

მკვლევრის აზრით, „ვეფხისტყაოსანში“ აირეკლა ქრისტიანობის ეთიკური მხარე და ისლამის ესთეტიკური მხარე საოცარ ერთიანობაში. სწორედ ეს აძლევდა დასახელებულ ქართველ მეცნიერებს პოემის ავტორის მუსლიმანობის მტკიცების საბაზს. **ი. კ.**

117. აკაკი გელოვანი

„ვეფხისტყაოსნის“ პროზაული თარგმანი

გაზ. „წიგნის სამყარო“, 1984, № 10, 23 მაისი.

ავტორი მიესალმება გერმანიის ქალაქ იტცეკოედან „ვეფხისტყაოსნის“ მოკლე პროზაული თარგმანის მიღებას. თარგმანი შეასრულეს ცნობილმა მთარგნელ-გამომცემელმა, შვაიცერის მშვიდობის პრემიის ლაურეატმა ნიკოლოზ ჯანელიძემ და მისმა მეუღლემ ლილი გეგელაშვილმა. გამომცემას ერთვის მეცნიერ ჰანს-ჰაინრიხ ნიმანის და თვით ჯანელიძის წინასიტყვაობები, ირ. თოიძის და მ. ზიჩის ბრწყინვალედ დაბეჭდილი 17 ილუსტრაცია. **გ. ა.**

118. [ო. გიგინეიშვილი]

ამბავი ჩამოგვიტანე ...

გაზ. „კომუნისტი“, 1984, 12 ივნისი, № 135, გვ. 4.

ესაა ინტერვიუ უცხოეთში მცხოვრებ ქართველებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან, ოთარ გიგინეიშვილთან, რომელშიც მოკლედ აღნიშნულია, რომ სირიელმა პოეტმა ნიზარ ხალილიმ უკვე დაამთავრა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი არაბულ ენაზე. მისი ბწყარედი მოამზადა გურამ ჩიქოვანმა. თარგმანს გამოსცემს სირიაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე ლევან საღარაძე.

„ვეფხისტყაოსნის“ თურქულ თარგმანზე მუშაობს თურქი პოეტი თაჰსინ სარაჩი. იგი გაისად დაამთავრებს პოემის მთლიანად თარგმნას. **გ. ა.**

119. მანანა გოცირიძე

„ვეფხისტყაოსნის“ ებრაული თარგმანი როგორც თანამედროვე

ებრაული ენის ლექსიკის გამდიდრების წყარო

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1984, № 3, გვ. 133-140.

წერილში განხილულია მორფოლოგიურ და სემანტიკურ სიტყვათწარმოებათა მეთოდები, რომლებსაც იყენებს „ვეფხისტყაოსნის“ ებრაულ ენაზე მთარგმნელი ბორის გაპონოვი.

მშობლიური ენის მორფოლოგიურ კანონზომიერებათა გათვალისწინებით მთარგმნელი ქმნის ლექსიკურ ერთეულთა რამდენიმე ახალ რიგს, რომლებიც ებრაული ენის სალექსიკონო ფონდშია შესული.

ავტორი აღნიშნავს, რომ თარგმანში შემავალი სიტყვები ხშირად ახალ მნიშვნელობასა და ჟღერადობას იძენენ, რაც ხელს უწყობს მათი სემანტიკური სტრუქტურის გამდიდრებასა და კომბინაციების შესაძლებლობათა გაფართოებას.

წერილში მოცემულია აგრეთვე „ოკაზიონალური ფრაზეოლოგიის“ მაგალითები, ასევე სიტყვათხმარების ინდივიდუალური გადატანითი მნიშვნელობები. გ. ა.

119ა. ნოდარ დუმბაძე

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის შესახებ

ავტორის წიგნში – „შთაბეჭდილებები, წერილები, გამოსვლები“, თბ., 1984.

პირველად გამოქვეყნდა 1976 წელს (ჟურ. „ცისკარი“, № 7), სათაურით – „ჩემი რუსთაველი“. იხ. „ბიბლიოგრაფიის“ IV ტ., ანოტ. № 700.

120. ქეთრინ ვივიენი

„ვეფხისტყაოსანი“: ელემენტები აღმოსავლური და დასავლური კულტურიდან“

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1984, 2 ნომბერი.

წერილი ეხება „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის საკითხს, კერძოდ, თუ რას ნიშნავს „სპარსული ამბავი“?

ქ. ვივიენს მიაჩნია, რომ თავისი დროის სხვა მწერლების მსგავსად, რუსთაველმა უცნობი წყაროს სახელი გამოიყენა, როგორც საფარი ეკლესიისა და სახელმწიფოს თავდასხმისაგან თავის დასაცავად. ეს იყო ხერხი, რომელიც პოეტს საშუალებას აძლევდა, თავისუფლად გამოეხატა თავისი მოწინავე იდეები. „ვეფხისტყაოსნის“ არავითარი წყარო არ არის ნაპოვნი.

„ორიგინალური ნაწარმოების“ ცნებას მაშინ მცირე მნიშვნელობა ჰქონდა; თქმულებები ითარგმნებოდა, შემდეგ გადაკეთდებოდა, გადამუშავდებოდა ხოლმე საჭიროების შესაბამისად. (შდრ. „პანჩატანტრა“ და ქართული „ქილილა და დამანა“, „სიბრძნე-ბალავარისა“ და სხვ.). გ. იმედაშვილი თვლის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ დაშერის შთაგონების წყარო უფრო დასავლეთშია საძიებელი.

მკვლევარს წერილში მოჰყავს მაგალითები, სადაც ხაზგასმულია აღმოსავლური მწერლობის გავლენა „ვეფხისტყაოსანზე“. კერძოდ კი, ორი პოეტი იდგა რუსთაველთან ახლოს – ფირდოუსი და ნიზამი განჯელი. „შაჰ-ნამეს“ გმირის, როსტომის – თავგადასავლის ზოგიერთი მომენტი ემსგავსება ტარიელის ამბავს (ვეფხისტყაოსნი, ერთგული მსახური ქალი, ვაჭრის ტანსაცმლის გადაცმა). სავარაუდოა, რომ რუსთაველი იცნობდა ნიზამის „ლეილ-მაჯნუნის“ „ვეფხისტყაოსანში“, „ლეილ-მაჯნუნისა“ და „ვისრამიანში“ – სამივეგან გმირები, ე.ი. ტარიელი, მაჯნუნი და რამიანი, კარვის კალთის ქვეშ თვალს მოჰკრავენ თავიანთ სატრფოებს, რის შედეგადაც ისინი გონებას კარგავენ.

წერილის ავტორი თვლის, რომ რუსთაველი უნდა იცნობდეს სიყვარულით გახელებული გმირის ამბავს (რაც იმდროინდელ აღმოსავლურ ლირიკაში მეტად გავრცელებული იყო), რომელიც გაიჭრება უდაბნოში და მხეცებთან ცხოვრობს.

ქ. ვივიენი მსგავსებას პოულობს „ვეფხისტყაოსანსა“ და ძველ ინდურ, რელიგიურ, ეპიკურ პოემა „რამაიანას“ შორის. „რამაიანას“ გმირის – რამას ცოლი, სიტა, ეშმაკებმა მოიტაცეს. რამა მიდის მის გამოსახსნელად თავის ერთგული ძმის, ლაშკმანის, თანხლებით. ისინი ტყეში ცხოვრობენ, მათ არც ამაღლა გააჩნიათ და არც ქონება. მათ დახმარებას უწევს მაიმუნების მეფე ხანუმანი, რომელსაც ჰყავს კარგი მაიმუნების ჯარი. რამა დაეხმარა მაიმუნების მეფეს თავისი სამეფოს დაბრუნებაში და ნაცვლად დაიმსახურა მისი ერთგულება. ეს ამბავი ძალიან ჰგავს ფრიდონის, ტარიელის და ავთანდილის ამბავს.

ავტორი წერს: მიუხედავად ამისა, არ არსებობს არავითარი დამადასტურებელი საბუთი, რომ რუსთაველი იცნობდა რამას ამბავს. ორივე ნაწარმოებაში არის ადამიანის ცხოვრების ღრმა გაგებაზე დაფუძნებული ალეგორია.

რუსთაველი სარგებლობდა საქართველოს ისტორიის წყაროებით, ტრადიციებით და, ამავე დროს, მისი ქვეყნის გარეთ არსებული ისტორიული მასალებით... შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ არის შუა საუკუნეების ლიტერატურის განუყოფელი ნაწილი. თ. ტ.

121. ნესტან იორდანიშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ ბორენისეული ფრანგული ვერსია

შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, ახალგაზრდა მცნიერთა და ასპირანტთა რესპ. სამეცნიერო კონფერენცია, მოხს. თეზისები, თბ., 1984, გვ. 27-28 (მოგვაქვს შემოკლებით).

1885 წელს თბილისში დაიბეჭდა ალექსანდრ ბობრინსკის (ა. ბორენი) მიერ ფრანგულად გარდათქმული „ვეფხისტყაოსანი“. ერთი წლის შემდეგ ის პარიზშიც გამოქვეყნდა. ამ გამოცემის ტექსტი საგრძნობლად განსხვავდება პირველისაგან. სიტყვიერი მასალა აქ უფრო ფაქიზად არის დამუშავებული. წინასიტყვაობაში მთარგმნელი აღიარებს: ჩემი ნაღვაწი ორიგინალის კანვაზე აგებული მიბამვავაო.

„ვეფხისტყაოსნის“ ა. ბორენისეულმა ვერსიამ თავისი წვლილი შეიტანა რუსთაველის სახელის ევროპაში გატანის საქმეში. გ. ა.

122. ინგა კალაძე

„ვეფხისტყაოსნის“ „ქაჯთა“ სემანტიკის დაზუსტებისათვის

საქ. სსრ მეცნ. აკადემია, ლიტმცოდნეობის რესპ. საკოორდინაციო საბჭო, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტ. XIX სამეცნ. სესია, თბ., 1984, 25-27, XII (მოგვაქვს შემოკლებით).

1. „ვეფხისტყაოსანში“ მოქმედი ეთნიკური ჯგუფის – ქაჯთა – სახელწოდება არ არის ცალსახა, კონკრეტული ცნება. ამიტომ იწვევს იგი სპეციალისტთა ინტერესს. არსებობს ხსენებული ცნებისა და მისი აღმნიშვნელი სიტყვის როგორც ფონეტიკურ-ეტიმოლოგიური პარალელების ძიების, ასევე მისი სიმბოლურ-მხატვრული ფუნქციის გარკვევის ცდები. მკვლევართა უმეტესობა ამ ცნების შინაარსს მთლიანად ხსნის ქართული ფოლკლორისა და მითოლოგიის მონაცემებით, რაც პოემის ტექსტში წინააღმდეგობას აწყდება. რუსთაველის მიერ შემოთავაზებული იერსახე ქაჯებისა აშკარად სცილდება იმ ცოდნას, რომელიც პოემის პოტენციურ მკითხველს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ მშობლიური ფოლკლორის დონეზე. ამის დასტურია ავთანდილის გაცემა – დაეჭვება ქაჯთა იმ თვისებების მიმართ, რომლითაც ისინი წარმოდგენილნი არიან ფატმანის დახასიათებით.

2. „ვეფხისტყაოსნის“ „ქაჯნი“ რამდენადმე არათანმიმდევრულ, ავტორისაგან მოდელირებულ ცნებად წარმოგვიდგება, რომელიც ფოლკლორული მონაცემების გარდა გარკვეული ისტორიულ-გეოგრაფიული ფაქტითაც უნდა იყოს ინსპირირებული.

ამ ასპექტში ყურადღებას იპყრობს შუა საუკუნეების სპარსულ ისტორიოგრაფიასა, ლექსიკოგრაფიასა და მხატვრულ მწერლობაში კარგად ცნობილი ეთნიკური სახელი „ქუჯი“ – ქერმანსა და ისფაჰანს შორის მდებარე მიუვალ მთებში მცხოვრები ტომი, განთქმული მეკობრეობითა და ბრძოლაში უძლეველობით. ზემოხსენებულ სპარსულ ეთნიკურ ცნებას „ვეფხისტყაოსნის“ „ქაჯებთან“ თვალში საცემად აახლოებს ფონეტიკური და სემანტიკური ანალოგიები. გამორიცხული არ არის, რომ რუსთაველი ისტორიულ ლიტერატურაში ან ფოლკლორის დონეზე იცნობდა ლეგენდადქცეულ ამ ისტორიას მეზობელი ხალხის ცხოვრებიდან.

3. წარმოდგენილი მასალა არ უპირისპირდება ხსენებული ცნების ფოლკლორულ ასპექტში ინტერპრეტაციის მონაპოვარს, იგი მხოლოდ აზუსტებს ამ არაერთგვაროვანი ცნების სემანტიკურ შინაარსს. გ. ა.

123. ბორის კანდელაკი

სად არის რუსთაველის საფლავი ?

გაზ. „წიგნის სამყარო“, 1984, 8 თებერვალი

ჯვრის მონასტერში შოთა რუსთაველის დაკრძალვის ვარაუდს კიდევ ერთი ცნობა მიემატა 1976 წელს ისრაელში გამოცემული დოქტ. ი. დავიდის (დავითაშვილის) ნაწერების პირველი ტომის სახით, რომელიც გამოსცა გაპონოვის სახელობის სამეცნიერო კავკასიოლოგიურმა კომიტეტმა თელ-ავივში.

ქ. იერუშალიმის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს ებრაელთა ადგილობრივი გაერთიანების ჩარევითა და შუამდგომლობით მკვლევართა ჯგუფი: იცხაკ დავიდი, რ. ბალუაშვილი და მ. დანილოვი – 1976 წლის 24 დეკემბერს ჩასულან იერუსალიმში ჯვრის მონასტის მოსანახულებლად. ი. დავიდს ბერძნებისათვის გაუცნია მის მიერ ჩატარებული შოთა რუსთაველის საფლავის ძიების შედეგები და მისი ვარაუდი ეკლესიის იატაკქვეშა განყოფილებაში სამარხ-ნეკროპოლის არსებობის თაობაზე. დავიდს ბერძნებისათვის უთხოვია ნებართვა ჩასულიყვნენ და დაეთვალიერებინათ ტაძრის ქვედა სივარცლე. მამა დანიელს უთქვამს, რომ იგი ნამყოფია ტაძრის ქვედა სივარცლეში და, რომ იქ არაფერი არის. შემდეგ, იცხაკ დავიდის თხოვნით, მას მოუხაზავს ქვედა განყოფილების სქემა და უთქვამს, რომ იატაკის მოზაიკურ ფენასა და ქვედა ტალღისებრ კლდოვან ზედაპირს შორის არის 60-90 სმ. სიმაღლის სარდალი, რომელიც ამოუვსიათ ქვებით და ღორღით, რათა ზედა მოზაიკური ფენა გაემარგებინათ. ი. დავიდის დაჟინებული თხოვნით, ახადეს მარმარილოს 2 ფილა და ნახეს, რომ ძველი ფენის ნაშთი ამოლესილი იყო ახალი სალესი ფენით, ჩასასვლელი სივრცე ამოშენებული იყო ქვებით.

მკვლევართა ჯგუფს გადაუღია მოზაიკური ნაშთი, გარედან დაუთვალიერებიათ ქვის იატაკის ფენობრივი შედგენილობა-შემცველობა.

ი. დავიდი თვლის, რომ ეკლესიის იატაკქვეშა განყოფილებაში ჩასვლა და მისი გულდასმით შესწავლა მომავლის საქმეა. მისი აზრით, რუსთველი უთუოდ ჯვრის მონასტერშია დაკრძალული, მისივე სურათის ქვემოთ. **თ. ტ.**

124. ციალა კარბელაშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიცია

ლიტმცოდნეობის რესპ. საკოორდინაციო საბჭო, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტ. XIX სამეცნ. სესია, მოხს თეზისები, თბ., 1984, 25-27. XII (მოგვაქვს შემოკლებით).

1. „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული სტრუქტურის შესწავლის მიზნით პოემის კომპოზიციის საკითხი უნდა გამოიყოს სიუჟეტის საკითხისაგან. ფოლკლორული საწყისი რუსთაველის შემოქმედებაში, უპირველეს ყოვლისა, კომპოზიციის სფეროშია საძიებელი. სწორედ ამიტომ „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსება ნებისმიერ ანალოგიურ ძეგლთან მხოლოდ გარეგნულია და საერთო კომპოზიციური სისტემიდან წარმომავლობით აიხსნება.

2. სარაინდო რომანი კომპოზიციურად ჯადოსნური ზღაპრის (resp. კალენდარული მითი) დერივატია.

3. პოემის კომპოზიცია პრინციპულად სცილდება ჯადოსნური ზღაპრის სტრუქტურას, რამდენადაც მასში არა მხოლოდ იასახა კომპოზიციური ხელოვნების ყველა ის მიღწევა, რომელიც რუსთაველის ეპოქამ მიიღო ლიტერატურული მემკვიდრეობის სახით, არამედ თავი იჩინა სრულიად ახალმა კომპოზიციურმა ელემენტებმაც.

4. ეპიკურ ნაწარმოებთა ძირითად სემანტიკურ კატეგორიებს მიზეზ-შედეგობრივი წესით დაკავშირებული დინამიკური ერთეულები (ფუნქციები) წარმოადგენენ. ამრიგად, „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიცია არის მოქმედ პირთა ფუნქციების თანმიმდევრობა იმ რიგით, რომელიც პოემაშია მოცემული. ამ დებულების თანახმად, „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიცია

ტარიელისა და ავთანდილის ფუნქციათა მონაცვლეობაზეა დამყარებული, მათი შეხვედრისას კი ეს ორი ღერძი ერთმანეთს ერწყმის.

5. ფუნქციათა განაწილების მიხედვით აშკარად გამოიკვეთება ტოლფარდი კომპოზიციური ღერძი – ტარიელისა და ავთანდილის. პოემაში ორი სიუჟეტური რკალის არსებობა აღნიშნულია რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში, მაგრამ მისი მნიშვნელობა, სათანადოდ არ არის შეფასებული.

6. სპეციალურ მედიევისტურ ლიტერატურაში უდავოდ ითვლება დებულება, რომ სარაინდო რომანი **ერთგმირიანი ნაწარმოებია**: ამის საპირისპიროდ „ვეფხისტყაოსანი“ **ორგმირიანი რომანია** (მხატვრულ დონეზე – ახალი ლიტერატურული გმირის კონსტრუირება).

7. რუსთაველის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის დამსახურებამ მიგვაჩინა ის, რომ მან **პირველმა მსოფლიო ლიტერატურაში შექმნა ორგმირიანი რომანის კომპოზიცია** (შდრ. კრეტიენ დე ტრუას დაუმთავრებელი რომანი „პერსევალი“; ვოლფრამ ფონ ემენბახის „პარცივალი“ (1200-1210 წწ.), რაც სრულიად ახალ საფეხურს წარმოადგენს რომანის ჟანრის განვითარებაში. **გ. ა.**

125. ბეჟან კილანავა

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ

გაზ. „წიგნის სამყარო“, 1984, 26 სექტ.

წერილი ეხება „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ უცნობ ხელნაწერს, რომელიც წერილის ავტორს უნახავს 1966 წელს თბილისელი მოქალაქის ანიკო ჭრელაშვილის ოჯახში. წერილის ავტორის დაკვირვებით, ხელნაწერი მომდინარეობს ვახტანგისეული გამოცემის ტექსტიდან, დართული აქვს ვახტანგის განმარტებები. შეიცავს 140 ფურცელს, რომელთაგან ორი დაზიანებულია. ხელნაწერი შესრულებულია სპეციალურად დამზადებულ ორად გაკეცილ ქაღალდზე. აქვს მინაწერები, მათში მოხსენებულნი არიან ვინმე ცაგარელი, პლატონ დიდებულიძე, მე-19 საუკუნეში ცნობილი ქალები: მაიკო, ეფემია, ნინო, ეკატერინე, სოფიო და სხვ.

წიგნი დაწერილია შავი მელნით და სინგურით.

ბ. კილანავას აზრით, ლექსიკითა და ასოთა მოხაზულობით დასტურდება, რომ იგი გადაწერილი უნდა იყოს XIX საუკუნის პირველ ნახევარში. **გ. ა.**

126. ივანე ლოლაშვილი

ჰომეროსი, შავთელი, რუსთაველი

წიგნში: „მრავალკარედი“, თბ., 1984, გვ. 146-159.

ავტორის მიზანია გაარკვიოს, იცნობდნენ თუ არა იოანე შავთელი და შოთა რუსთაველი ჰომეროსის ეპოსს? მისი დასკვნით, ორივე პოეტი იცნობდა ჰომეროსის თხზულებას. ლეგენდა „**მოლის**“ შესახებ, რომელიც ჰომეროსის შემდეგ ანტიკურ ქვეყნებში ფართოდ გავრცელდა, ქართულ კლასიკურ მწერლობაში შუალობით (თუ უშუალოდ) შემოსულია „ოდისეა“-დან.

„ოდისეაში“ მოლი ეწოდება მაგიური თვისების მქონე მცენარეს და ამ მცენარისაგან დამზადებულ წამალს, რომელსაც შეუძლია გრძნეულების გაბათილება. ის გამოითქმის და იწერება, როგორც „მოლი“ (არ ითარგმნება). ევროპულ და რუსულ თარგმანებში წერია: – Moly; Моли. თვისებით მას ჰგავს „პრომეთეოსის წვენი“, – წამალი დამზადებული იმ ბალახისაგან, რომელიც პრომეთეს სისხლზე იზრდება (იხ. აპ. როდოსელი).

ეს „მოლი“ იგულისხმება „აბდულმესინასა“ და „ვეფხისტყაოსანში“. სტრიქონი: „მან გრძნეულმან **მოლი რამე** წამოისხა ზედა ტანსა“ (1276) ნიშნავს: გრძნეულმა (მონამ) ტანზე წამოისხა (დაისხა თუ მოისხურა) ჯადოსნური მცენარის ფესვებიდან დამზადებული რაღაც წამალი (მოლი). **გ. ა.**

126a. **ჯიბო ლომაშვილი**

ეტიუდები
თბ., 1984.

წიგნში დაბეჭდილია ორი რუსთველოლოგიური ნარკვევი:

1. „კუპარისა“ და „კუპრის“ შესახებ (გვ. 95-109), პირველად გამოქვეყნდა 1976 წელს (იხ. „რუსთვ. ბიბლიოგრაფიის“ IV ტ., ანოტ. № 708).

2. Тигр – ქართულად ვეფხია თუ ჯიქი? (გვ. 139-144). გამოქვეყნდა 1974 წ. (იხ. IV ტ., ანოტ. № 591). **გ. ა.**

127. **ნოდარ ლომოური**

არაპროფესიონალიზმისა და არაკომპეტენტურობის შესახებ
ისტორიული პრობლემების კვლევაში
გაზ. „კომუნისტი“, 1984, 4 აგვ., № 179, გვ. 3.

სტატია, რომელშიც კრიტიკულადაა განხილული აკაკი ბაქრაძის („სევდა ისტორიისა“, „მკვახე შეძახილი“ და სხვ.); ბ. მჭედლიშვილსა და თ. მირზაშვილის წერილები (ბოლნისის სიონის დათარიღების თაობაზე); აკაკი გელოვანის „მითოლოგიური ლექსიკონი“, ავტორი ეხება თამაზ ჭილაძის ნარკვევსაც „ვარდის ფურცლობის ნიშანი“ და აღნიშნავს, რომ თ. ჭილაძე ვერ გაერკვა XI-XIII საუკუნეების საქართველოს ისტორიის ძირითად საკითხებში და ამ ეპოქის განმაპირობებელ პრობლემებში; უმართებულოდ დაუპირიპირა ერთმანეთს დავით აღმაშენებლის რაღაც განსაკუთრებული **პროვეროპული** და თამარის ასევე არარეალური **პროადმოსავლური** ორიენტაცია. მცდარია თ. ჭილაძის მიერ თამარის პოლიტიკის „სიბევედ“ გამოცხადება და იმის მტკიცება, რომ ამ პოლიტიკამ მიიყვანა საქართველო დამარცხებამდე ხვარაზმელებთან და მონღოლებთან ბრძოლებში. **გ. ა.**

128. **მიხეილ მამულაშვილი**

ტირილი „ვეფხისტყაოსანში“
(მცირე მოგონება)

ჟურ. „ჭოროხი“, 1984, № 3, გვ. 81-82.

ავტორი გადმოგვცემს „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულად მთარგმნელის, ფრანგულ-ინგლისური ენების შესანიშნავი მცოდნის, პოეტ ელისაბედ ორბელიანის ნაამბობს. იმ პერიოდში, როდესაც (1912 წელს) მარჯორი უორდროპის მიერ ნათარგმნი „ვეფხისტყაოსანი“ გამოვიდა, ელისაბედ ორბელიანი პარიზში ცხოვრობდა. იგი შეხვედრია ალფონს დოდეს ვაჟს, ცნობილ მწერალსა და ჟურნალისტს, შემდგომში სალიტერატურო გაზეთ „კანდიდის“ რედაქტორს, ლეონ დოდეს და უკითხავს, თუ როგორ მოეწონა „ვეფხისტყაოსანი“. ლეონ დოდეს აღფრთოვანება გადმოუცია, მხოლოდ აღუნიშნავს, რომ პოემის გმირები ძალიან ბევრს ტირიან, მაშინაც კი, როცა სატირელი არაფერია.

ელისაბედ ორბელიანს ქართულის სუსტი ცოდნის გამო პოემა დედანში წაკითხული არ ჰქონია. იგი მას უორდროპის სიტყვასიტყვით თარგმანით იცნობდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, განუმარტავს დოდესათვის, რომ ტირილს პოემაში სიმბოლური მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან იგი ახასიათებს მხოლოდ სულით ძლიერი გმირების ბუნებას. მსოფლიო ლიტერატურაში ტირიან მხოლოდ ტრაგედიის გმირები. მაგალითისათვის მოუყვანია ჰომეროსის „ოდისეა“ და „გილგამეშიანი“. აღუნიშნავს, რომ ტირილი რუსთაველისათვის საშუალებაა გმირთა დიდბუნებოვანების გადმოსაცემად. იგი არავითარ შემთხვევაში სისუსტეს არ გამოხატავს. ტარიელს, რომელსაც ლომისა და ვეფხის ძლევა შეუძლია, ამავე დროს, ტირილიც ეხერხება, რადგან თავისი ჭარბი გრძნობების გამოხატვა სხვანაირად არ ძალუძს. **თ. ტ.**

129. ლევან მენაბდე

ერთხელ კიდევ რუსთაველის ე.წ. არაბული ლექსების გამო

ლიტმცოდნეობის რესპ. საკოორდინაციო საბჭო, შოთა რუსთაველის სახ. ლიტერატურის ინსტიტუტი, XIX სამეცნიერო სესია, მოხს. თეზისები, თბ., 1984, გვ. 7.

1920-იან წლებში ათენის ბერძნულ გაზეთში დაიბეჭდა შოთა რუსთაველის ბიოგრაფია და მისი ორი ლექსი, ვითომ არაბულიდან ნათარგმნი.

ბერძენი მთარგმნელის, ტრიკოგლიდისის განცხადების საფუძველზე ამ მასალის წყაროდ ვარაუდობდნენ ქაიროსა და ალექსანდრიის ბიბლიოთეკიდან მომდინარე არაბულ ტექსტს.

მოხსენებაში გარკვეულია ტრიკოგლიდისის წყაროს რაობა და დადგენილია, რომ მან ვალსიფიცირება ჩაიდინა და საკუთარი ლექსები გამოაქვეყნა რუსთაველის სახელით.

ლ. მენაბდის დასკვნით, ბერძნულ გაზეთში დაბეჭდილი „ქართული“ მასალა თარგმნილია არა არაბულიდან, არამედ ფრანგულიდან, კერძოდ, ა. თალასოს ანთოლოგიიდან (პარიზი, 1906წ.), რომელიც, თავის მხრივ, მ. ბროსეს შრომებითაა დავალებული. **გ. ა.**

130. შერმადინ ონიანი მ

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი ქრისტიანული რეალია და ვახტანგ VI-ის კომენტარი

ლიტმცოდნეობის რესპ. საკოორდინაციო საბჭო, შოთა რუსთაველის სახ. ლიტერატურის ინსტიტუტი, XIX სამეცნიერო სესია, მოხს. თეზისები, თბ., 1984, გვ. 41-42.

როსტევეან მეფე ასე არიგებს თინათინს: „მამა ყოველი ძისაგან ითავსებოდა“. ასეა ტექსტი ბეჭდურ გამოცემებში.

ვახტანგ VI-ის კომენტარში სხვა ვარიანტია დამოწმებული: „მეფე სწვრთის: „მამა ყოველთა ძისაგან ითავსებოდა“. ვახტანგ VI-ის აზრით, აქ საუბარია მამა-ღმერთზე და ძე-ღმერთზე, იესო ქრისტეზე. ხელნაწერების მიხედვით, სწორია ვახტანგის მიერ დამოწმებული ვარიანტი, რაც იმით არის საყურადღებო, რომ მასში პირდაპირ დასახელებული არიან მამა-ღმერთი და ძე-ღმერთი, რაც სხვაგან პოემაში არსად გვხვდება.

131. რევაზ სირაძე

О Возрожденческой эстетике

(Эстетика Возрождения А.Ф. Лосева и некоторые вопросы грузинского Ренессанса)

Ж. „Лит. Грузия“, 1984, № 3, с. 149-165. об. აქვე ანოტ. № 52.

132. რობერტ სტივენსონი

პასუხი „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანის კრიტიკაზე

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1984, № 2, გვ. 177-187.

ავტორი უპასუხებს ზვიად გამსახურდიას ორ რეცენზიას, რომლებიც დაიბეჭდა ჟურ. „მაცნეში“ – 1982 წ. № 2-სა და № 4-ში.

სტივენსონი შენიშნავს, რომ ზ. გამსახურდია თავის რეცენზიებში არ იძლევა თარგმანის მთლიან შეფასებას; მეტიც, – აქ გამოძღვანებულია მხოლოდ პირადი ანტიპათია და დემონსტრირებული ლიტონი განცხადებები.

წერილის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ დასახელებულ რეცენზიებში გამოთქმულია კრიტიკოსის საკუთარი თვალსაზრისი რუსთაველის თეოლოგიურ და ფილოსოფიურ შეხედულებათა შესახებ. სტივენსონს მიაჩნია, რომ საკუთარი შეხედულებების ამგვარად გადმოცემა არ არის მიზანშეწონილი. მთავარი კი ის არის, რომ რეცენზიებში თარგმანი მხოლოდ

გაკვრითაა მოხსენიებული და მისი განხილვა ან აღრეულია, ან მთლიანად დაკარგული საკუთარ შეხედულებათა გადმოცემაში, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო თარგმანის ტექსტთან.

„პასუხის“ ავტორი ფიქრობს, რომ რეცენზენტი კადნიერდება როდესაც მთარგმნელს ურჩევს და მიუთითებს, თუ რა სიტყვები „უნდა“ ყოფილიყო გამოყენებული. მისი აზრით, რეცენზენტის ბრალდება ზოგჯერ იმ მიზეზითაა გამოწვეული, რომ მას წარმოდგენა არა აქვს ამა თუ იმ სიტყვის ელფერზე. რ. სტივენსონს მიაჩნია, რომ თავისუფალი შესატყვისით თარგმნა ნაკლად არ უნდა ჩაითვალოს. გ. ა.

133. [უავეტორო]

რუსთაველი შოთა

კრებ. „ქართული მწერლობა“ ლექსიკონი-ცნობარი,
წიგნი I, თბ., 1984, გვ. 207-219.

სტატიაში მოცემულია მოკლე ცნობები შოთა რუსთაველის ვინაობის შესახებ. შემდეგ წარმოდგენილია „ვეფხისტყაოსნის“ ანალიზი სხვადასხვა ასპექტით, განხილულია თემატიკა, სიუჟეტურ-კომპოზიციური აგებულება, პერსონაჟების ხატვის თავისებურება. აღნიშნულია, რომ მკვეთრად განსხვავდებიან, ერთი მხრივ, რეალისტური სტილით შექმნილი პერსონაჟები (ფატმანი, უსენი, ვეზირები, ვაჭრები, მსახურები) და, მეორე მხრივ, იდეალური გმირები, რომელთა სახით უშუალოდ კი არ გადმოიცემა სინამდვილე, არამედ იქმნება ახალი რეალობა, პოეტისეული სამყარო.

რუსთაველმა გარემოსთან გმირის ფიზიკური ძალით შეჭიდების თემა შეცვალა თემით გმირის შინაგანი ბრძოლისა, სულიერ ძალებს რომ მოითხოვს. სულის მხატვრობისადმი გაზრდილ იზრდება ფსიქოლოლოგიური სიუჟეტური ქსოვილის მოცულობა და მნიშვნელობა. ადამიანის შინაგანი „მე“-სადმი ინტერესის გაძლიერებამ თან მოიყოლა გვარეობრივი სიახლე: ლირიკული აღსარებანი, ანდერძები, წერილები, ლოცვები, მონოლოგები.

სტატიაში დახასიათებულია რუსთაველის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა და რელიგიური მრწამსი; ნათქვამია, რომ მისი რელიგია ქრისტიანობაა, თუმცა ბიბლია და სასულიერო მწერლობა არ არის რუსთაველის ერთადერთი სააზროვნო წყარო, იგი იცნობს ანტიკურ ფილოსოფიასაც, აგრეთვე – არეოპაგიტულ და ნეოპლატონურ მოძღვრებებს.

სტატიაში აღნიშნულია რუსთაველის მხატვრული მეტყველებისა და ვერსიფიკაციის თავისებურებანი. გ. ა.

134. რიმა ფირცხალაიშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი მბეჭდავი მიქელ

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1984, № 2-3.

შრომში, ისტორიული დოკუმენტური მასალების საფუძველზე, განხილულია მიქელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საკითხები. „ვეფხისტყაოსნის“ პირველ გამოცემაში მიქელი მოხსენიებულია, როგორც „ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილი“. ირკვევა, რომ მას ჰყოლია ძმები: გაბრიელი და დიმიტრი. გაბრიელი (ერისკაცობაში გარსევანი) სასულიერო პირი ყოფილა. მისი სახელი როგორც მესტამბისა და ტექსტის „გამმართველისა“, შემოუნახავს ვახტანგ VI-ის მიერ დაარსებულ სტამბაში 1716-1722 წლებში გამოცემულ ხუთ წიგნს.

დიმიტრი კი ცნობილია, როგორც გადამწერი წიგნებისა: „მართლმადიდებელი აღსარება“ (1702 წ.), „დავითნი“ და „სამოციქულო“ (1703 წ.).

ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილნი გვარად კავკასიძენი ყოფილან. თვით მიქელი მესტამბეთუფროსი ყოფილა 1712 წელს. ის არის რუსთაველის თხზულების პირველი ნაბეჭდი გამოცემის „გამმართველი“, ე. ი. რედაქტორი. გ. ა.

135. აკაკი შანიძე

„ღმრთისა სწორნი“ „ვეფხისტყაოსანში“

გაზ. „შოთაობა“ (იყოლო), 1984, № 12; „დროშა“, 1985, № 6; აგრ. წიგნში – თხზულებანი, ტ. V, თბ., 1986, გვ. 461-463.

ავტორი აღნიშნავს, რომ პოემის 857-ე სტროფის მესამე ტაეპში – „გამოპარვით წამოსლვითა ღმრთისა სწორნი მოვიმდურვენ“ – ღმრთის სწორად უთუოდ როსტევან მეფე იგულისხმება (და არა ორივენი – როსტევანი და თინათინი). აქ თუმცა მრავლობითის ფორმაა გამოყენებული (ღმრთისა სწორნი), მაგრამ როცა მეფეზეა საუბარი, ასე მოხსენიება ჩვეულებრივია. მეფის გაღმერთება, მისი ღვთის სწორად დაყენება ჩვენში ბიზანტიის მიბაძვით შემოვიდა და ხშირად გვხვდება XII-XIII საუკუნეების ისტორიულ და სამართლებრივ ძეგლებში. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ მეფის ღმერთთან გათანასწოების იდეამ შოთა რუსთაველის პოემაშიც იჩინა თავი. **გ. ა.**

136. Рауль Чилачава

Эта чудная закавказская Илиада

Из истории перевода „Витязя в тигровой шкуре“ на русский язык

Жур. „Литературная Грузия“, 1984, № 2, с. 117-135.

ნარკვევში გადმოცემულია „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმნის ისტორია XIX ს-ის დასაწყისიდან XX ს-ის 50-იან წლებამდე. ავტორი გვაცნობს რუსთაველის შემოქმედების შესწავლისა და მისი თარგმნის ადრეულ ცდებს ე. ბოლხოვიტინოვის, პ. დუბროვსკის, ი. ბარტდინსკის, ი. ევლახოვის, ი. გულაკის, ა. ნავროცკის მიერ. შემდეგ განხილულია სრული პოეტური თარგმანები: კ. ბალმონტის, გ. ცაგარლის, პ. პეტრენკოს, შ. ნუცუბიძის და ნ. ზაბოლოცკისა, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციის საქმეში. **გ. ა.**

136ა. Р. Чилачава

Пантелеймон Петренко –

переводчик „Витязя в тигровой шкуре“

Тб., 1984, 126 с.

წიგნი შედგება შესავლის, ორი თავისა და დასკვნისაგან. ბოლოს ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა (103 ერთეული).

პირველ თავში (გვ. 9-34) გადმოცემულია „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმნის ისტორია. მეორე თავში მოცემულია პოემის პეტრენკოსეული თარგმანის დეტალური ანალიზი (გვ. 35-117).

როგორც ავტორი წერს, ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც ბალმონტის შემდეგ რუსულ ენაზე აითვისა შოთა რუსთაველის უდიდესი პოეტური სამყარო, იყო ახალგაზრდა უკრაინელი პოეტი პ. პეტრენკო. კოლეგებს შორის მას ეკუთვნის საპატიო ადგილი არა მარტო ქრონოლოგიით, არამედ მისგან შესრულებული თარგმანის ღირსებითაც.

პ. პეტრენკოს თარგმანს საუკეთესოდ მიიჩნევდნენ კ. ჭიჭინაძე, ვ. წულუკიძე და სხვები. მან შეძლო შეენარჩუნებინა თხზულების იდეურ-მხატვრული საწყისები, გადაეტანა სამყაროს ჰარმონიულობის ავტორისეული მოდელი, მიჰყოლოდა დედნის მკაცრ ლოგიკურ წყობას, მისი მთლიანი მხატვრული ფონის დაურღვევლად.

წიგნის ავტორის დასკვნით, პ. პეტრენკომ, რომელმაც ორ წელიწადში თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, ჩაიდინა ლიტერატურული გმირობა და ღირსია დაფასებისა და მადლობისა.

გ. ა.

137. სარგის ცაიშვილი

**წერილები და გამოკვლევები, I,
„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები და პოემის ტექსტის ისტორია**
რედ. ალ. ბარამიძე, თბ., „მეცნიერება“, 1984, 550 გვ.

ესაა ხელახალი გამოცემა 1970 წელს ორ ტომად დაბეჭდილი მონოგრაფიებისა: „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორია, ტ. I, „ვეფხისტყაოსნის“ რედაქციები, და ტ. II, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები.

ახალ გამოცემაში შეტანილია რამდენიმე გასწორება წინა გამოცემის შემდეგ გამოქვეყნებული ნაშრომების გათვალისწინებით, გაერთიანებულია I და II ტომის პირთა საძიებლები და დამატებულია „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ახალი ლიტერები, რომლებიც დადგენილია ხელნაწერების რედაქციულ ჯგუფებად დაყოფის საფუძველზე.

სრული ინფორმაციისათვის იხ. ბიბლიოგრაფიის, IV ტ., ანოტაციები № 403-404.

138. **С. Цаишвили**

Великий поэт и гуманист

წიგნში – Шота Руставели, „Витязь в тигровой шкуре“, Перевод с грузинского П. Петренко, при участии и под редакцией К. Чичинадзе, Тб., изд. „Мерани“, 1984, с. 5-34.

ნარკვევში წარმოდგენილია რუსთაველის შემოქმედების ზოგადი დახასიათება, განხილულია პოეტის მსოფლმხედველობა, თხზულების მთავარი მოტივები, პოეტიკა და ვერსიფიკაცია. 30-34-ე გვერდებზე მოცემულია „ვეფხისტყაოსნის“ ევროპულ ენებზე თარგმანების მოკლე მიმოხილვა. გ. ა.

139. **სოლომონ ცაიშვილი**

ღვთაებრივი „ნათელი“ რუსთაველთან და დანტესთან

შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა რესპ. სამეცნიერო კონფერენცია, მოხს. თეზისები, თბ., 1984, გვ. 26-27.

საკლესიო-თეოლოგიური ტრადიციით საღმრთო ეპითეტად მიჩნეულია „მზე – ნათელი“. ამ ტრადიციამ გამოხატულება ჰპოვა საერო მწერლობაშიც, კერძოდ – „ვეფხისტყაოსანსა“ და „ღვთაებრივი კომედიაში“.

შემხვედრი მომენტები „მზე – ნათელის“ რუსთაველისეულ და დანტესეულ მხატვრულ-ფილოსოფიურ ინტერპრეტაციაში მომდინარეობს ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თეოლოგიური მოძღვრების შემოქმედებითი დაუფლებიდან .

მოხსენებაში განხილულია ორივე თხზულების შესაბამისი ადგილები ტიპოლოგიურ ასპექტში.

140. **სოლ. ცაიშვილი**

დანტე და რუსთაველი

(რამდენიმე ლიტერატურულ-მსოფლმხედველობრივი პარალელი)

ალმ. „კრიტიკა“, 1984, № 2, გვ. 145-169.

ავტორი ეხება ზეციური იერარქიისა და ღვთაებრივი ნათელის ქრისტიანულ კონცეფციას, რომელიც დანტესა და რუსთაველის შემოქმედებაში აისახა და რაც, თავის მხრივ, აეროპაგეტიკასთან ურთიერთობაში განხილდება.

ავტორს მოჰყავს დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედიის“ მესამე კანტიკის, ანუ „სამოთხის“ ოცდამეგრევე ქეზის ტექსტი. აქ ვეცნობით ანგელოზთა იერარქიულ წყობას, რომელიც აბსოლუტურად იდენტურია დიონისე არეოპაგელის იერარქიული წყობისა.

სოლ. ცაიშვილი მიანიშნებს რამდენიმე საგულისხმო დეტალზე, კერძოდ, პავლეს მიერ დიონისეს შთაგონებაში უნდა იგულისხმებოდეს ქრისტიანული ხელდასხმის მისტერია, რომლის გარეშეც, ქრისტიანული წარმოდგენით, შეუძლებელია ღვთაებრივი ჭეშმარიტების წვდომა. ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ტრაქტატებს დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა რუსთაველის ქრისტიანული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. ეს გავლენა ჩანს სტროფებში, რომლებშიც იხსენიებიან: „ზეგარდმო არსნი“ (1); „ცისა ძალთა დასი“ (164); „ძალნი ზეციერი“ (1050) და სხვ.

ავორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი ე. წ. „ნათლის ტროპიკა“. მაგ., გამოთქმა „ღმერთმან, ნათელთა მსახემან“ (738) იდენტურია ქრისტოლოგიაში ცნობილი განსაზღვრებისა „ნათლის დამსახველი“. რუსთველისეული „უჟამო ჟამი“ ეხმაურება ფსევდო-დიონისეს სიტყვებს: „განვრცელებაი ჟამიერი მიიღო უჟამომან“. „მზიანი ღამის“ (836) აზრობრივი კონტექსტი პარალელს პოულობს დანტესთან (ოცდამეგრევე ქება), სადაც აქცენტირებულია ღვთაებრივი ნათლის უხილავობა. გ. ა.

141. იზოლდა წაქაძე

გიორგი ათონელის ჰიმნების პოეტური ენა და „ვეფხისტყაოსანი“ (პარაკლიტონის მიხედვით)

შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა რესპ. სამეცნიერო კონფერენცია, მოხს. თეზისები, თბ., 1984, გვ. 26.

„ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული მეტყველების ერთ-ერთ წყაროდ ითვლება ქართული სასულიერო პოეზია, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა როგორც პოემის იდეოლოგიაზე, ისე მის პოეტურ ენაზე.

გიორგი ათონელის „პარაკლიტონი“ ბერძნულიდან ნათარგმნი ძეგლია, მაგრამ მასში ჩანს ქართული პოეტური მეტყველების ტრადიცია და მისი სიმდიდრე.

მოხსენებაში გამოვლენილია საყურადღებო პარალელები „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მიმართებაში „პარაკლიტონთან“.

142. ზურაბ ჭავჭავაძე

„ღვირე და წული“ *ალმან. „კრიტიკა“, 1984, № 1, გვ. 91-113.*

ავტორი აკრიტიკებს თამაზ ჭილაძის ნარკვევს „ვარდის ფურცლობის ნიშანი“ (მნათობი, 1983, № 10-11), აღნიშნავს მისი მეთოდის მცდარობას, რუსთველოლოგთა ღვაწლის გაზიარების ცდას და, საერთოდ, მთელი ნაშრომის არაკვალიფიციურ, არაპროფესიულ ხასიათს.

კრიტიკოსი წერს, რომ ნარკვევში არაერთი ორიგინალური მსჯელობა და ახლებური დასკვნაა, პერსონაჟებიც სრულიად ახლებურად არიან წარმოჩენილნი. მაგ., ნარკვევში **დავარი** წამოდგენილია დემოკრატიული იდეალების მატარებელ და სათნოებით შემოსილ მბრძანებლად; **ფატმანი** – სიკეთის განსახიერებად, თინათინის რანგის პერსონაჟად, **როსტევანი** – სასტიკ და დაუნდობელ მმართველად. მაგრამ ამ სიახლეებს არაფერი აქვთ საერთო რუსთაველის პოემასთან. გ. ა.

143. ფრიდონ ხალვაში

ხალხისთვის ანთებული გული

გაზ. „კომუნისტი“, 1984, 15 ივლისი, № 162, გვ. 3.

წერილში აღნიშნულია, რომ მემედ აბაშიძე ფლობდა თურქულ, არაბულ და სპარსულ ენებს. ქართულ ენაზე მის მიერ თარგმნილი აზერბაიჯანული, თურქული და ირანული პიესები ჩვენს თეატრებში იდგმებოდა. ბეჭდავდა საკუთარ პროზაულ ნაწარმოებებს. მ. აბაშიძის არქივში არის ასეთი ჩანაწერი: „ვთარგმნი უკვდავი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ თურქულ ენაზე...“ **გ. ა.**

144. შალვა ხიდაშელი

„ვეფხისტყაოსანი“ და ჩვენ, ანუ „საქმის უცოდინარი მკითხველები“

ალმ. „კრიტიკა“, 1984, № 2, გვ. 128-144.

სტატია არის საპასუხო გამოხმაურება თამაზ ჭილაძის ნაშრომზე „ვარდის ფურცლობის ნიშანი“ („მნათობი“, 1983, № 10, 11). თ. ჭილაძის აზრით, „არც ერთ ფილოსოფიურ აზრს, სენტენციას პოეზიაში მნიშვნელობა არა აქვს“, და საერთოდ, „რაც ამდღებს ფილოსოფოსს, ამდებლეს პოეტს...; რუსთველი ფილოსოფოსი კი არა, პოეტია; რომ პოეზიაც „სიბრძნისაა ერთი დარგი“.

შ. ხიდაშელი არ ეთანხმება თ. ჭილაძეს. მისი აზრით, რუსთაველს აქვს ჩამოყალიბებული ფილოსოფიური მსოფლმხედველობა და მისი გარკვევის ამოცანა არა თუ კანონზომიერია, არამედ აუცილებელიც არის, რადგან ნამდვილი შემოქმედება წარმოდგენილია მსოფლმხედველობის გარეშე. ფილოსოფია ხომ მსოფლმხედველობაა, მისი ერთ-ერთი, აზროვნების განვითარების მაღალ საფეხურზე წარმოქმნილი ფორმა, ამდენად, შეუძლებელია ფილოსოფია „ავიწროვებდეს“ პოეზიას, ზღუდავდეს პოეტს.

თ. ჭილაძეს მოჰყავს ცნობილი აფორიზმი „ბოროტსა სძლია კეთილმან“ და წერს, რომ ეს თავისთავად ბოროტების არსებობის აღიარებაა, რადგან მხოლოდ მისი დამღევაა შესაძლებელი, რაც არსებობს. ეს არისო „კამათი ფსევდო-დიონისე არეოპაგელთან“ (გვ.150-151). შ. ხიდაშელი უარყოფს ამ შეხედულებას, რადგან ფსევდო-დიონისემ რუსთაველზე ადრე გამოთქვა და დაასაბუთა სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების შეხედულება, რომელიც რუსთაველმა მოგვიანებით დაიმოწმა. ფსევდო-დიონისეს აზრით, ბოროტება არსებობს, მგრამ არ არის **არსი** და, ამდენად, არსად არსებობს, თვით ეშმაკთა შორისაც კი. რუსთაველთანაც – ბოროტება არსებობს, მაგრამ ის არაა დაბადებული ღმერთისაგან (ღმერთი „ბოროტს არ დაბადებს“, 1492), ბოროტი არ არის მყოფი („თქვეს ბოროტსა – უმყოფო“). „მყოფი“ და „არსი“ კი მხოლოდ ტერმინოლოგიურად განსხვავდებიან, შინაარსით – იდენტური წარმოდგენებია. სხვადასხვაა სუბსტანციურად (საწყისეულად) არსებული და „შემთხვევით“ არსებული. პირველი – მყარი, მარადიული არსია, მეორე – ცვალებადი და წარმავალი. **სიკეთე** ფსევდო-დიონისესთან, პროკლესთან, პეტრიწთან და რუსთაველთან სუბსტანციურად არსებობს, ბოროტება კი წარმავალი არსებობისაა, ამიტომ მნიშვნელობით ის **არსი** არ არის, ამიტომაცაა სიკეთე მძლე, ბოროტება – ძლევადი. სიკეთე ბოროტებაზე იმარჯვებს.

აქვე შ. ხიდაშელს მოჰყავს რამდენიმე საკამათო მოსაზრება, რომელნიც წარმოაჩენენ თ. ჭილაძის სტატიაში მოცემული დებულებების უმართებულობას. **თ. ტ.**

145. **Ш. В. Хидашели**

Вопроси грузинского ренесанса

Тბ., 1984

წიგნის ორ თავში – I. რუსთაველი, როგორც მსოფლმხედველობის გენეტიკური კავშირი ნეოპლატონურ და არეოპაგოტიკულ მოძღვრებებთან.

იხ. მისი წიგნის – „რუსთაველის მსოფლმხედველობის საკითხები“ – ანოტაცია აქვე, № 28.

146. **Элгуджа Хинтибидзе**

Восточный Ренесанс и Руставели

„Лит. Грузия“ 1984, № 3, с. 166-173.

პრობლემის განხილვის შედეგად ავტორი მიდის დასკვნამდე, რომ შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობა ისევე, როგორც მსოფლმხედველობა ევროპის ადრეული რენესანსის ეპოქის მოღვაწეებისა, მომდინარეობს არსებითად სამი საწყისიდან: ქრისტიანული ლიტერატურიდან, არისტოტელეს ლოგიკურ-მეტაფიზიკური აზროვნებიდან და ნეოპლატონური, კერძოდ, არეოპაგოტიკული ფილოსოფიიდან. აღმოსავლური გავლენა რუსთაველის მსოფლმხედველობასა და მის შემოქმედებაზე უდავოა, მაგრამ ის შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ფაქტორად, რომელმაც გარკვეული როლი შეასრულა მთელი ევროპული ადრეული რენესანსის აზროვნებაში.

იხ. აქვე ანოტ. № 328ა.

147. **[ბ. ჯიდალაევი] Н. С. Джидалаев**

„Витязь в барсовой шкуре“ на лакском языке

Ж. „Лит. Грузия“, 1984, № 9, с. 174.

ავტორი წერს, რომ დადესტნის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა – დაიბეჭდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ლაკურ ენაზე (ამ ენაზე საუბრობს ასიათასი ადამიანი და წერილობით ძეგლები აქვთ XVII საუკუნიდან). პოემა თარგმნა დადესტნის სახალხო პოეტმა იუსუფ ხაპალაევმა, რომელიც თითქმის 50 წელიწადს მუშაობდა ამ თარგმანზე. მან შეძლო შეენარჩუნებინა რუსთაველის აფორისტული სტილი და კოლორიტი.

გ. ა.

1985

148. **გივი ალხაზიშვილი**

აბრეშუმის შრიალი

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1985, 22 ნოემბ., № 47, გვ. 13.

ავტორი იგონებს ქუთაისში ბორის გაპონოვის გაცნობისა და ხანმოკლე საუბრის ეპიზოდს, საუბრისა, რომელიც ქართულ პოეზიას შეეხებოდა. „მე მაშინ არ ვიცოდი, ვინ იყო ბორის გაპონოვი, ვიცოდი, რომ იგი ცხოვრობდა ჯაფარიძის ქუჩაზე ქირით, მუშაობდა გაზეთ „კუტაისკაია პრავდას“ კორექტორად თუ სტილისტად, ჰქონდა ბევრი ძველი წიგნი – ეს იყო და ეს. მოგვიანებით გახდა ცნობილი, რომ მან გენიალურად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ ივრიტზე“.

გ. ა.

149. ალექსანდრე ბარამიძე

ახალი ნაშრომი ინდო-ხატაელთა ამბავზე

ალმ. „კრიტიკა“, 1985, № 1, გვ. 130-141.

რეცენზიაში განხილულია შერმადინ ონიანის წიგნი „ინდო-ხატაელთა ამბავი „ვეფხისტყაოსანში“ (თბ., 1982). ალ. ბარამიძე არ ეთანხმება მკვლევარს სადავო ტექსტში შეტანილი გასწორებების თაობაზე. მაგ. 1795-ე სტროფში:

„ავთანდილ და ფრიდონ ტირან გულ-სადაგად, არ თუ ჭრელად,
მაგრა ექმნეს სულის მღებლად, კათალიკოს-მაწვევერელად“...

შ. ონიანი მხარს უჭერს წაკითხვას „მაწვეველად“, რომელსაც ასწორებს რითმისათვის „მაწვევერელად“. სიტყვა „კათალიკოსი“ ვითომ არასწორი ფორმაა და მომდინარეობსო სიტყვიდან „კათოლიკე“ (ოღონდ არა რელიგიური მნიშვნელობით, არამედ სამედიცინო ძეგლებში ხმარებული შინაარსით – მთავარი, „კათოლიკე ძარღვი“ – მთავარი ძარღვი). მკვლევარი ქმნის კონიექტურას: „კათოლიკე მაწვევერელად“. ალ. ბარამიძე წერს, რომ აღნიშნული კონიექტურა დაუსაბუთებელი და ხელოვნურია. სიტყვა „მაწვევერელს“ ხელნაწერებში აქვს ვარიანტები, მაგრამ შ. ონიანის წაკითხვა მაინც მიუღებელია.

ალ. ბარამიძე განიხილავს 1819-ე სტროფს („ბრძენმან ვინმე მოსწავლემან საკითხავნი ესე ჰპოვნენ...“). შ. ონიანი სიტყვას „მოსწავლემან“ ცვლის ფორმით „მასწავლელმან“. მაგრამ, რეცენზენტის აზრით, ეს სტროფი რუსთველისა არაა და სიტყვის შეცვლაც ვერაფერს უშველის მას.

ალ. ბარამიძე არ იზიარებს შ. ონიანის მსჯელობას ინდო-ხატაელთა ეპიზოდის ტექსტის მხატვრული სრულყოფილების შესახებ, თითქოს ის რუსთველის პოემის ძირითად ტექსტს უტოლდებოდეს. **გ. ა.**

150. ალ. ბარამიძე

„ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის ისტორიიდან

წიგნში – „ნარკვევები...“, თბ., VIII, 1985, გვ. 25-62.

ნარკვევში განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი. ავტორი ეხება ვახტანგ VI-ის მუშაობას პოემის პირველ გამოცემაზე; განიხილავს თ. ბაგრატიონის, ა. წერეთლის, ი. ჭავჭავაძის, ნ. მარის მოსაზრებებს პოემის სიუჟეტისა და პერსონაჟების შესახებ; მოკლედ აჯამებს 1937 და 1966 წლების საიუბილეო გამოცემებისათვის გაწეულ მუშაობას. ცალ-ცალკეა განხილული საკითხები: „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის თარიღი, ავტორის ვინაობა, „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის წყაროს საკითხი, პოემის კომპოზიცია, „ვეფხისტყაოსნის“ სოციალური გარემო, რუსთველის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი, ჰუმანისტური მსოფლმხედველობა, „ვეფხისტყაოსნის“ ადგილისათვის მსოფლიო პოეზიის პანთეონში, ბრძოლა რუსთველის გარშემო. **გ. ა.**

151. ალ. ბარამიძე

აკრძალული ილეთებით პაექრობის გამო

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1985, № 2, გვ. 164-179; აგრ. წიგნში „ნარკვევები...“, IX, თბ., 1997, გვ. 43-61.

სტატია არის გამოხმაურება გ. ბარნოვის წერილზე („მნათობი“, 1984, № 10), რომელშიც ავტორი ტენდენციურად მიიჩნევს ალ. ბარამიძის რეცენზიას თამაზ ჭილაძის ნაშრომზე „ვარდის ფურცლობის ნიშანი“. როგორც ალ. ბარამიძე წერს, „გ. ბარნოვი ქომაგობს თ. ჭილაძეს... და გამოლმა გამოდავების პოზიციიდან თავს გვესხმის, ძირითადად ნიკო მარისა და ილია ჭავჭავაძისადმი ჩვენი დამოკიდებულების საკითხში, [...] გ. ბარნოვი გვაბეზებს მკითხველის

წინაშე, ვითომ გადაჭარბებით ვაფასებთ ნიკო მარის ღვაწლს და, შესაბამისად, ვაკნინებთ დიდი ილია ჭავჭავაძის როლს“ („ვეფხისტყაოსნის“ შესწავლასა და შეფასებაში).

იხ. აქვე, ანოტ. № 151ა. გ. ა.

151ა. ალ. ბარამიძე

აუცილებელი განმარტება

ჟურ. „მნათობი“, 1985, № 9, გვ. 142-150.

წერილი წარმოადგენს მეცნიერის პასუხს ამავე ჟურნალის 1984 წლის მეათე ნომერში დაბეჭდილი გურამ ბარნოვის პოლემიკურ წერილზე „ისევ ზოგიერთი რუსთველოლოგიური საკითხის გამო“, რომლის საბაზიცი გამხდარა ალ. ბარამიძის რეცენზია თამაზ ჭილაძის ნაშრომზე („მნათობი“, 1984, № 2).

როგორც ალ. ბარამიძე აღნიშნავს, თ. ჭილაძემ არსებითად მცდარად მიიჩნია რუსთველოლოგიაში არსებული თითქმის ყველა შეხედულება, ტექსტოლოგიური კვლევის ზოგიერთი შედეგის გარდა, რაზედაც მეცნიერმა სათანადო პასუხი გასცა და შეეცადა დაემტკიცებინა თ. ჭილაძის პრეტენზიის უსაფუძვლობა.

წინამდებარე წერილში ავტორი, სათანადო მეცნიერული არგუმენტების საფუძველზე, განუმარტავს გ. ბარნოვს თავის პოზიციებს ნიკო მარისა და ილია ჭავჭავაძისადმი მისი დამოკიდებულების საკითხში. ნ. მ.

152. როლანდ ბერიძე

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი ტაეპის ტექსტი და პროსოდია

კრებ. „რუსთავის ჩირაღდნები“, 1985, გვ. 269-290.

ეს წერილი პასუხია „ცისკრის“ 1981 წ. № 3-ში დაბეჭდილი აკაკი ხინთიბიძის რეცენზიისა: „ვეფხისტყაოსნის“ რიტმული ვარიაციებიდან.

რ. ბერიძის აზრით, რეცენზიაში ბევრი თეორიული და ფაქტობრივი შეცდომაა. პოლემიკა ეხება „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონს: „ასრე სულთქმით და ვაებით მით ვართ ცრემლისაგა დენით“ (202,4). რ. ბერიძე ამტკიცებს, რომ ქართული ლექსის სილაბურ-ტონურობის პოზიციებიდან ეს ტაეპი დაბალშაირის ერთ-ერთ რიტმულ ვარიაციას ეფუძნება, კერძოდ, ქორეულ-დაქტილური მახვილების არსებობის კანონზომიერებას. სადავო ტაეპი უნდა დაემორჩილოს დაბალშაირის სეგმენტურ დაყოფას, როგორც ამას გ. წერეთელი აკეთებს (იხ. მისი „მეტრი და რითმა“...). არ არსებობს უმახვილო და მახვილთა მხრივ მოუწესრიგებელი „პროსოდიული სიდიდე“. აქედან გამომდინარე, წერილის ავტორის დასკვნით, განსახილველ ტაეპში სილაბურ-ტონურობის პოზიციებიდან, რიტმული მოძრაობა არ ირღვევა. „რეცენზენტის მთავარი შეცდომა ის არის, რომ სიტყვას სასაუბრო ენის სფეროში ტოვებს, არ ითვალისწინებს, კერძოდ, ქართულ წყობილსიტყვაობაში რიტმისმიერი იმპულსის შედეგად სიტყვათმახვილის გადაადგილების კანონს“. გ. ა.

152ა. რ. ბერიძე

„ვეფხისტყაოსნის“ 417-ე სტროფის გამო (დიდი ცეზურის ინტონაციური ძალდატანება)

შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატ. ინსტ.

XX სამეცნ. სესია, 1985, 25-27 დეკ., მოხს. თეზისები, გვ. 21.

1. მეორე ტაეპი „ვეფხისტყაოსნის“ 417-ე სტროფისა, რომელშიც სამხედრო მრჩეველები ტარიელს ეთათბირებიან, უწინ ასე იბეჭდებოდა ხოლმე: „მითხრეს, თუ: „ხარო ყმაწვილი, ბრძენნი მით გკადრებთ, გლახ, ენით“. ახლა კი ასე ისტამბება: „მითხრეს, თუ: „ხარო ყმაწვილი, ბერნი მით გკადრებთ, გლახ, ენით“.

2. ორივე ვარიანტი საეჭვოა და უარსაყოფიც. სააღბათო ინვარიანტი იმ ხელნაწერებშია საძიებელი, რომლებშიც არც „ბრძენნი“ სწერია, არც „ბერნი“, არამედ „ბრძენი“ იკითხება. ეს ეპითეტი ვაზირებს კი არა, ტარიელს მიემართება, ტარიელს უკავშირდება: „მითხრეს, თუ: „ხარო ყმაწვილი ბრძენი, მით გკადრებთ, გლახ, ენით“.

3. საკამათო ტაევში, ისე როგორც რუსთაველის პოემის ბევრ ადგილას, გამოყენებულია ერთ-ერთი სინტაქსურ-ინტონაციური ხერხი – ცეზურის ინტონაციური ძალდატანება.

153. ილია გაგულაშვილი

მადლი სიყვარულისა

ქუთაისი, 1985, 28 გვ.: აგრ. ჟურ. „განთიადი“, 1985, № 1, გვ. 183–190, სათაურით: „სიტყვა წიგნზე და მის მთარგმნელზე“.

ესაა ნარკვევი „ვეფხისტყაოსნის“ კლასიკურ ებრაულ ენაზე მთარგმნელის – ბორის გაპონოვის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. მასში თავმოყრილია თითქმის ყველა მასალა, რომლებიც მის შესახებ საბჭოთა პერიოდიკაში იბეჭდებოდა. ბ. გაპონოვის თარგმანი ეტაპობრივი მოვლენა გახდა არა მარტო „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის ისტორიაში, არამედ თვით ებრაულენოვან სამყაროშიც. მისი ძალადი ხელოვნება აღინიშნა ისრაელის ორი სახელმწიფო პრემიით (1969 და 1971 წწ.).

წიგნაკს ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია (გვ. 25-27). გ. ა.

154. ზვიად გამსახურდია

ქალის კულტი „თამარიანსა“ და „ვეფხისტყაოსანში“

ჟურ. საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, 1985, ტ. 119, № 2, გვ. 429–431.

ავტორი წერს, რომ შუა საუკუნეთა ქალის კულტის საღვთისმეტყველო წანამდღვრებია ღვთისმშობლის (ქალწული მარიამის) და ქალწულ სოფიას (საღვთო სიბრძნის) კულტი. „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში თამარ მეფე ღმერთთან არის იდენტიფიცირებული. პოემა მიძღვნილია სულიწმინდა-თამარისადმი და მიზნად ისახავს მის შექმნას ალეგორიულად (შეფარვით), მიწიერი მიჯნურობის შესახებ მოთხრობით.

პოეტის „მიჯნურობა“ თამარ მეფისადმი არ არის მხოლოდ ადამიანური მიჯნურობა, ეს არის, ამავე დროს, საღვთო მიჯნურობაც, ვინაიდან თამარი განკაცებული ღმერთია, სულიწმიდაა, რომელიც იძლევა „სულთა ლხენას“, ე. ი. შენდობას, ხოლო „განკურნება“ ამ მიჯნურობისაგან სულის ხსნაა და აღზევება და არა ამსოფლიური, ხორციელი რამ.

ნარკვევს ახლავს რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე. გ. ა.

155. М. А. Гоциридзе

Лексика перевода „Витязя в барсовой шкуре“ на язык иврит

Автореферат дисс. на соиск. уч. степ. кандидата филологических наук, Тб., 1985.

ხელნაწერის უფლებით. სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფ. კ. გ. წერეთელი.

ავტორეფერატი შეიცავს 20 გვერდს, შედგება ოთხი თავისა და დასკვნებისაგან.

I თ. – ლექსიკური ინოვაციები „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანში ივრიტზე.

II თ. – სიტყვათხმარების თავისებურებანი „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანში.

III თ. – სტილისტიკური და ქრონოლოგიური პლასტები „ვეფხისტყაოსნის“ ივრიტზე თარგმანის ლექსიკაში.

IV თ. – ლიცენცია პოეტიკა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანში ივრიტზე.

ნაშრომის ძირითადი დასკვნები ასეთია:

1. ლექსიკური ინოვაციების მნიშვნელოვანი ნაწილი შექმნილია მთარგმნელის, ბ. გაპონოვის მიერ, რითმისა და ლექსწყობის მოთხოვნის მიხედვით.

2. სახელების აღმნიშვნელი და ზმნური ლექსემები ძირითადად შექმნილია თანამედროვე ებრაულში ფართოდ გავრცელებული მოდელების მიხედვით და შეიძლება მიეკუთვნოს პოტენციური სიტყვების რიგს.

3. ბ. გაპონოვს შეაქვს გარკვეული წვლილი თანამედროვე ებრაული ენის ფონდის გამდიდრებაში ახალი ლექსიკური ერთეულების შექმნით, აგრეთვე უკვე არსებული სიტყვების სემანტიკის შეცვლით.

4. ენობრივ საშუალებათა შერჩევა განხილულ თარგმანში ხდება არა მხოლოდ თანამედროვე ებრაულის ცოცხალი სისტემიდან, არამედ მოძველებული, დავიწყებული ენობრივი მასალიდანაც. ლექსიკაში ეს ვლინდება არქაული, ამჟამად გამოუყენებელი სიტყვებისა და მნიშვნელობების ხმარებაში, რომელთა ნაწილი რესტავრირებულია მთარგმნელის მიერ.

5. „პოეტური ნების“ უფლება მთარგმნელს საშუალებას აძლევს, გამოიყენოს არა მარტო ძველი ლექსიკური მასალა, არამედ ზოგიერთი გრამატიკული არქაიზმიც, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც უკვე ბიბლიურ ეპოქაში განასხვავებდნენ პოეზიის ენას პროზის ენისაგან.

იხ. ამავე ავტორის: К вопросу о передаче собственных имен в переводе „Витязя...“ на язык иврит. „Семитологические штудии“, сб. II, Тб., 1985; აგრ. ანოტაცია აქვე, № 119. გ. ა.

156. ბორის დარჩია

„მარგალიტის“ ერთი სიმბოლური მნიშვნელობა „ვეფხისტყაოსანში“

შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატ. ინსტ. XX სამეცნ. სესია, 1985, გვ. 25–27. XII, მოხს. თეზისები, გვ. 17.

1. „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმი – „მარგალიტი არვის მიხვდეს უსასყიდლოდ, უვაჭრელად“ (სტრ. 163 / 162) სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენჯერმეა განხილული. ცილობას იწვევს ტექსტის როგორც დადგენის, ისე გაგების საკითხები.

2. სანდო უნდა იყოს აქ დამოწმებული, ტრადიციული ვარიანტი.

3. ვახტანგ მეექვსე, თანახმად პოემის სიყვარულის მისეული ინტერპრეტაციისა, ამ სტროფსაც ქრისტიანულ–მისტიკური ალეგორიის გამომხატველად თვლის, რომელშიც „მარგალიტი“ **სასუფევლის** მნიშვნელობით ესმის.

თანამედროვე რუსთაველოლოგები (ილ. აბულაძე, გ. წერეთელი, ი. გიგინეიშვილი) ამ სტრიქონის შინაარსის გარკვევისას ამოდიან რეალური ვითარებიდან, რომელიც მარგალიტის მოპოვებას უკავშირდება.

4. ვახტანგის თვალსაზრისი ამ სტროფის მეორე სტრიქონში ნახსენები მიჯნურობის მისტიკური გაგების შესახებ მიუღებელია, მაგრამ გასაზიარებელი უნდა იყოს „მარგალიტის“ მისეული ახსნა. დამოწმებული აფორიზმი მართლაც უნდა ასახავდეს სახარებას (მათე, 13, 45–46) და სხვა ქრისტიანულ თეოლოგიურ ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებულ „მარგალიტის“ ერთ ალეგორიულ მნიშვნელობას, რომელიც ნართაულად **სასუფევლს, სამოთხეს** გამოხატავს. დასაშვებია ისიც, საძიებელი მხატვრული სახე ეყრდნობოდეს დასახელებულ ალეგორიას, მაგრამ დაცლილი იყოს რელიგიური შინაარსისაგან და პოეტი იყენებდეს გადატანითი აზრით, – ზოგადად, **ბედნიერების, ნეტარების** მნიშვნელობით.

157. შიო ვასაძე

„მიღწვიან, მომიგონებენ...“

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1985, 8 მარტი, № 10, გვ. 7.

წერილის ავტორი გადმოგვცემს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ ქართველი ფილოლოგების – რევაზ მირიანაშვილისა და გურამ ჩიქოვანის დახმარებით სირიელმა პოეტმა ნიზარ ჰალილემ როგორ განაახლა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე მუშაობა და დაასრულა სხვა

ქართველ მეცნიერებთან თანამშრომლობით. წიგნის გამოცემისათვის მთელი ხარჯი გაიღო ლევან საღარაძემ. გ. ა.

158. ხეთისო ზარიძე

„ვინცა ჩემსა დამეცილოს...“

(ეროვნული თვითშეგნების გამჟღავნების დინამიკა ქართულ ლიტერატურაში ცურტაველიდან რუსთაველამდე).

თსუ, ფილოლოგიის ფაკ. და უმაღლესი სასწ. რესპ. სამეცნ. კონფ.,
ლიტმცოდნეობა, I, 1985, 23–25 ოქტ., თეზისები, გვ. 17–18, (მოგვაქვს შემოკლებით).

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ არაბობაზე კულტურული შეტევის ნიშნითაც იქცევის ყურადღებას... ამოტ კურაპალატი ქვეყნის ოთხივე კუთხის მფლობელად ცხადდება, ხოლო ქართული ენა – ერთიან ეროვნულ ენად.

მეხოტბენი და რუსთაველი ამ საკითხს გადაჭრილად წარმოგვიდგენენ; „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები ეროვნულ შეუვალლობაში დარწმუნებულნი არიან. ამ რწმენის თავდაჯერებული გამჟღავნება („ვინცა ჩემსა დამეცილოს, მას მისგანცა აღმოვფხვრიდე!“) შეესაბამება საქართველოს მაშინდელ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ სიძლიერეს.

გ. ა.

159. რევაზ თვარაძე

არეოპაგელი და რუსთაველი

წიგნში – „თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა“, თბ., 1985, გვ. 255–286. ნარკვევი პირველად გამოქვეყნდა 1971 წელს. იხ. „რუსთვ. ლიტ-ის ბიბლიოგრაფია“, IV ტ., ანოტ. № 427.

160. რ. თვარაძე

პლატონი ქართულ ნააზრევში

წიგნში – „თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა“,
თბ., 1985, გვ. 235-254.

ნარკვევი პირველად 1978 წელს გამოქვეყნდა. იხ. „რუსთვ. ლიტ-ის ბიბლიოგრაფია“, IV ტ., ანოტ. № 792.

161. გივი კარბელაშვილი

„ქმნა მართლისა...“

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1985, 22 ნოემბ., № 47, გვ. 12–13.

წერილი შეეხება მარია პრიტვიცის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულად თარგმნის ისტორიას და მის მიმართ ჰუგო ჰუპერტის დამოკიდებულებას. როგორც მკვლევარი წერს, მ. პრიტვიცი ამ თარგმანზე მუშაობდა 1936–1948 წლებში ქ. უფაში, სადაც ის იმ ხანებში ცხოვრობდა. საქართველოს უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოებაში 1950 წელს აღნიშნული თარგმანის განხილვაში მონაწილეობდნენ რუსთველოლოგები და გერმანისტები. განხილვის დროს გამოითქვა აზრი, რომ მისი გამოცემის საკითხის გადაწყვეტამდე თარგმანი წასაკითხად და სარეცენზიოდ გადაეცათ რომელიმე გერმანელი პოეტისათვის. მ. კვესელავას წინადადებით, ასეთად დასახელდა ჰუგო ჰუპერტი. ჰუგო ჰუპერტმა უარი თქვა მის რედაქტირებაზე და თვითონ შეუდგა ახალი თარგმანის მომზადებას. მას კონსულტაციას უწევდა შ. ნუცუბიძე (იხ. ჟურ. „დროშა“, 1953, № 4). ჰ. ჰუპერტი თარგმანზე მუშაობდა ჯერ მოსკოვში, 1953 წლის ზაფხულის შემდეგ კი – თბილისში (ცხოვრობდა სასტუმრო „თბილისში“ და კრწანისში, სამთავრობო აგარაკის ერთ-ერთ კოტეჯში). პრიტვიცისეულ თარგმანს ჰ.

ჰუმბერტი იყენებდა „პწკარედად“ (მისი თქმით). პოემის მთელი ტექსტის თარგმნა მან დაასრულა 1954 წელს.

არსებობს „ვეფხისტყაოსნის“ პრიტვიცისეული თარგმანის ორი ვარიანტი:

1) ხელნაწერი (დედანი) მ. კვესელავას გადაუცია თსუ-ს რუსთველის კაბინეტისათვის და ამჟამად იქ უნდა ინახებოდეს.

2) მანქანაზე გადაბეჭდილი და მთარგმნელის მიერ ჩასწორებული ცალი 1952-1953 წლებიდან ჰქონდა ვახტანგ კუპრავას. ამ ვარიანტის ეგზემპლარები შესაძლებელია იყოს შ. ნუცუბიძისა და ჰ. ჰუმბერტის არქივებშიც.

გ. კარბელაშვილს სასურველად მიაჩნია, რომ რუსთველოლოგებმა და გერმანისტებმა შეისწავლონ პრიტვიცისეული თარგმანის ვარიანტები და გადაწყვიტონ, არის თუ არა მიზანშეწონილი მისი გამოცემა ჰუმბერტისა და ბუდენზიგის თარგმანების შემდეგ. **გ. ა.**

162. ციალა კარბელაშვილი

რუსთაველისეული „ქაჯის // ქაჯეთის“ ინტერპრეტაციისათვის

შოთა რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ. ინსტ. XX სამეცნ. სესია, 1985, 25-27. XII, მოხს. თეზისები, გვ. 19-20.

1. რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში მოცემულია „ქაჯის // ქაჯეთის“ (resp. „ბოროტი“) ორი ინტერპრეტაცია – ფოლკლორული და ეთნიკური. ორივე ინტერპრეტაცია, მეცნიერული თვალსაზრისით, უნაყოფო აღმოჩნდა და საკითხი ღიად დარჩა.

2. „ვეფხისტყაოსნის“ „ქაჯი“, როგორც სპეციფიკური ტერმინი, აღებულია ქართული მითოლოგიიდან და ფოლკლორიდან ისევე, როგორც მისი ზოგადი სემანტიკა – „ბოროტი“. რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში მიღებული განმარტება „ქაჯი – ბოროტი“ ლოგიკურად არის *idem per idem* („იგივე იგივეთი“), რაც, მეცნიერული თვალსაზრისით, არავითარ ღირებულებას არ შეიცავს.

3. ეჭვს გარეშეა, რომ რუსთაველი „კაცის“ და „ქაჯის“ ანტითეზაზე აგებს თავის ჰუმანისტურ მსოფლმხედველობას. ეს საკითხი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, რადგან უკავშირდება ჰუმანიზმის – როგორც რენესანსის იდეოლოგიური საფუძვლის, ხოლო შესაბამისად – რენესანსის პრობლემას.

4. ყოველი შემოქმედი – მით უმეტეს, გენიოსი – უპირველეს ყოვლისა, ეთიკოსია, ჩვენი აზრით, **რუსთაველისეული „ქაჯი“ ეთიკური შინაარსის შემცველი ცნებაა**. ყოველგვარი საფუძველი არსებობს (ლიტერატურის ისტორია და თეორია), რათა რუსთაველისეული „ქაჯი“ განვიხილოთ „ბოროტის“ იმავე რიგის ფენომენად, როგორც შექსპირთან – „მაკბეტის“ კუდიანები, გოეთესთან – „ფაუსტის“ მეფისტოფელი, დოსტოევსკისთან – ივან კარამაზოვის ორეული – ეშმაკი.

5. რუსთაველის „კაცი“ და „ქაჯი“ – ორივე ადამიანია, ე. ი. „ადამის მოდგმა“, მაგრამ ისინი დიამეტრულად უპირისპირდებიან ერთმანეთს, როგორც „კეთილი“ და „ბოროტი“. „კაცი // კეთილი“ გულისხმობს უმაღლესი მორალური აბსოლუტის (resp. „ღმერთი“) აღიარებას (*homo moralis* „კაცი // კეთილი // სიკეთისა ხელის მხდელი“), „ქაჯი“ კი – ამავე უმაღლესი მორალური აბსოლუტის უარყოფას (*homo amoralis* „ქაჯი // ბოროტი // ყოველთა კაცთა მავნენი // უღმერთო – „ხოლო გულნი მათნი შორს განშორებული არიან ჩემგან“). „ქაჯის“ რუსთაველური ენიგმატური ენით მოცემული დახასიათება, რომლის ჭეშმარიტი აზრი თავად პოემის მასალით ალბათ თანდათანობით აიხსნება, ასევე „დავარ-ქაჯის“ მხატვრული სახე („ბრძენი, ქაჯეთს გათხოვილი“) თავისი ზოგადი შინაარსით მოწმობს, რომ „ქაჯი“ არის მოაზროვნე, მაგრამ, ამავე დროს, მორალის უარყოფელი ადამიანი (*homo sapiens – homo amoralis*); დავარის სახე ცხადყოფს „ქაჯის“ უმთავრეს თვისებას – „ქაჯისთვის“ უცხოა სიყვარული, კაცთმოყვარეობა (გამზრდელის მიერ გაზრდილის დასალუპად განწირვა).

6. საგულისხმოა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ სინამდვილეში არაბულმა სამყარომ იცის „ქაჯი“ მხოლოდ ფოლკლორულ-მითოლოგიური გაგებით („ქაჯნი უხორცონი“) და მისთვის სრულიად უცნობია „ქაჯი“ ადამიანი. აქვეა გაცხადებული რუსთაველის პოლიტიკური იდეალიც („მეფე, ღმრთისაგან სვიანი“).

7. „კაცი // ქაჯის“ ამგვარი ანტითეზით ახალ განმარტებას იძენს ცნობილი რუსთველური პოლისემიური აფორიზმი – „ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს“. ანტროპოცენტრული ჰუმანისტური მსოფლმხედველობის უმაღლესი გამოვლენა, რწმენა, რომ ყოველი ადამიანი კეთილი იბადება.

8. ჭეშმარიტი კაცთმოყვარეობა – რენესანსული ჰუმანიზმის მრწამსი და მასთან დაკავშირებული იდეა პიროვნების ეთიკური სრულყოფისა („გადმრთობა“ // „ბუნება-ზიარი“) რუსთაველთან უკომპრომისო გადაწყვეტას იღებს აფორიზმით „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.

163. მიხეილ კეკელია

„სისხლის დენით“ შინაარსისათვის „ვეფხისტყაოსანში“

ქურ. „მაცნე“, 1985, № 1; გვ. 11–13.

ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ძველ ქართულ სამართალში „სისხლის დენა“ სოციალური შინაარსის მატარებელი, სისხლის ფასთან დაკავშირებული იურიდიული ტერმინია (სოციალურად ტოლთ ერთნაირი ფასის „სისხლი სდით“).

აქედან გამომდინარე, ავტორს მიაჩნია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ 550-ე სტროფის მეოთხე ტაეპის („უსისხლოდ მოვკალ, იგი, გლახ, თუცა ხმდა სისხლისა დენით“) შინაარსის ასე წარმოდგენა – „უსისხლოდ მოვკალი ის, თუმცა საჭირო იყო სისხლის დაღვრა“, – არ არის სწორი. მ. კეკელია ამგვარად განმარტავს ტაეპის შინაარსს: „სისხლი არ ემართა ჩემი, ისე მოვკალი საბრალო. თუმცა მართებული იყო, ასე მოვქეულიყავ, მოვკალი მისებრი ღირსების (= ფასის) სისხლის მქონემ (= მდებმა)“. ჩანს, ტარიელს, როგორც ტახტის მემკვიდრეობაზე პრეტენზიის მქონეს, ხვარაზმელი სასიძოს ტოლად მიაჩნია თავი. **ი. კ.**

164. გიული ლეჟავა

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი ჩეხურ თარგმანებში

ლიტმცოდნეობის რესპ. საკოორდინაციო საბჭო, შოთა რუსთაველის სახ.

ქართული ლიტერ. ინსტიტუტი, XX სამეცნიერო სესია, მოხს.

თეზისები, თბ., 1985, გვ. 41.

ჩეხურ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ პირველი მთარგმნელია ენათმეცნიერი იერომ იედლიჩკა. მისი თარგმანები, როგორც პროზაული, ასევე პოეტური, გამოვიდა 1958 წელს პრაღაში.

პოემის პროლოგის თარგმნა, საერთოდ, მიჩნეულია ე. წ. სასინჯ ქვად. ჩეხური ვარიანტიდან ჩანს, რომ მთარგმნელი ზედმეტად ცდილობდა ორიგინალის ყველა ნიუანსის დაცვას და მას არ ეყო შემოქმედებითი ნიჭი, რომ თარგმანი აეყვანა დედნისათვის შესაფერ პოეტურ სიმაღლეზე.

165. ვ. მარდალეიშვილი

სად წაიყვან სადაურსა...

გაზ. „კომუნისტი“, 1985, 13 თებ., № 37, გვ. 4.

წერილში აღნიშნულია, რომ საქართველოში სტუმრად ჩამოვიდა სირიაში მცხოვრები ბიზნესმენი და ქართული კულტურის მეცენატი ლევან საღარაძე. მან ჩამოიტანა თავისი ხარჯით გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“, არაბულ ენაზე თარგმნილი ნიზარ ხალილის მიერ.

ქართველ მეცნიერებთან, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლებთან ლ. საღარაძის შეხვედრისას აღინიშნა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანს დადებითი გამოხმაურება მოჰყვა სირიისა და ლიბანის ჟურნალ-გაზეთებში. **გ. ა.**

166. ნინო მაქაძე

ნიკო მარი და იუსტინე აბულაძე

ჟურ. „მნათობი“, 1985, № 11, გვ. 152–157.

იუსტ. აბულაძის პირადი არქივის გამოუქვეყნებელი მასალების მიხედვით, წერილის ავტორი განიხილავს ორი ცნობილი მეცნიერის ურთიერთობას, აღნიშნავს, რომ ნ. მარის დახმარებით იუსტ. აბულაძემ შეძლო პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე სწავლის გაგრძელება, სადაც იგი მუდამ გრძნობდა გამოჩენილი ენათმეცნიერის ყურადღებას. იქ ჩამოყალიბდა იუსტ. აბულაძე სპარსული და სომხური ენების ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტად და მკვლევარ ფილოლოგად. წარმატებული ტექსტოლოგიური მუშაობის შედეგებს იგი ყოველთვის აცნობდა თავის ყოფილ მასწავლებელს.

იუსტ. აბულაძის კვლევის მთავარი ობიექტები იყო „ვეფხისტყაოსანი“, „ვისრამიანი“, „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიები. მან მოამზადა რუსთველის პოემის ახალი ტექსტი, რომელსაც დაურთო ვარიანტული წაკითხვები ხელნაწერებიდან და ვრცელი ლექსიკონი. ეს ტექსტი ორჯერ გამოქვეყნდა (1914, 1926 წწ.). 1916 წელს დაბეჭდა იუსტ. აბულაძემ „შაჰ-ნამეს“ ვერსიების პირველი ტომი, შემდეგ კი სხვა მეცნიერებთან ერთად მოამზადა „შაჰ-ნამეს“ II ტომი ლექსიკონით, რომელიც 1934 წელს დაიბეჭდა.

მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა იუსტ. აბულაძეს ნიკო მარის შვილთან, იურისტთან, ეხმარებოდა და ამხნევებდა მას მძიმე ავადმყოფობის დროს. **გ.ა.**

167. მიხეილ მახარაძე

ისევ რუსთაველის ფილოსოფიური

მსოფლმხედველობის შესახებ

ჟურ. „მაცნე“ (ფფ.), 1985, № 1, გვ. 104–118; აგრ. ავტორის წიგნში:

„სუსხიანი ბარათები“, ბათუმი, 1992, გვ. 35–54.

ნაშრომი ეხება თ. ჭილაძის მოსაზრებებს ფილოსოფიისა და ფილოსოფიის ისტორიის, ქართული რენესანსის, ფსევდოდონისე არეოპაგელის მსოფლმხედველობისა და მისი მნიშვნელობის შესახებ საკაცობრიო და ქართული კულტურისათვის.

ავტორი აღნიშნავს, რომ თ. ჭილაძე წერილში „ვარდის ფურცლობის ნიშანი“ ზედმეტად თვლის „ვეფხისტყაოსნის“ ფილოსოფიურ კვლევას, რაც განპირობებულია იმით, რომ მას სწორად არ ესმის ფილოსოფიის არსი და უგულვებლყოფს შუა საუკუნეების ერთ-ერთ მთავარ თეოლოგიურ-ფილოსოფიურ მოძღვრებას – არეოპაგეტიკას.

თ. ჭილაძე თუმცა მხარს უჭერს „ქართული რენესანსის“ იდეას, იქვე უარყოფს მის თეორიულ წანამძღვრებს, რომელთა საფუძველზე შ. ნუცუბიძემ წამოაყენა „ქართული რენესანსის“ თეორია.

თ. ჭილაძე მსჯელობს არათანმიმდევრულად. მის წერილში გვხვდება ურთიერთგამომრიცხავი დებულებები, მცდარი გაგება შუა საუკუნეების (და საერთოდ) ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ძირითადი ტენდენციებისა, კაცობრიობის კულტურულ ცხოვრებაში ფილოსოფიისა და რელიგიის სპეციფიკური როლის შეუფასებლობა და სხვ. **გ.ა.**

168. ლევან მენაბდე

ისევ რუსთაველის ე. წ. „არაბული“ ლექსების გამო

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1985, 8 თებ., № 6, გვ. 5-6; 15 ნოემბ. № 46, გვ. 11–12;

აგრ. თსუ შრომები, ტ. 269 (1986 წ.), გვ. 5-21.

იხ. მოხსენების თეზისები XIX სამეცნ. სესიაზე, (თბ., 1984), აქვე ანოტაცია № 129.

169. ნინო მსუქნიშვილი

რუსთველის კოსმოლოგიური შეხედულებების შესახებ

ჟურ. „მნათობი“, 1985, № 10, გვ. 172-176.

ავტორი საფუძვლიანად მიმოიხილავს გიორგი თევზაძის მიერ 1984 წელს მეორედ გამოცემულ გამოკვლევას – „რუსთაველის კოსმოლოგია“. აღნიშნავს რა ნაშრომის მეცნიერული კეთილსინდისიერებით შესრულების ფაქტს, ამავე დროს იძლევა რამდენიმე შენიშვნას.

პირველ რიგში, რეცენზენტი, როგორც სარეცენზიო წიგნის პირველი გამოცემის (1979 წ.), ისე მეორე გამოცემის ნაკლად მიიჩნევს იმას, რომ გ. თევზაძე არ აზუსტებს, თუ როგორი მოსაზრებები მიიჩნევა ზუსტ მეცნიერებაში თეორიად და როგორი – შეხედულებად. ეს, რეცენზენტის აზრით, უფრო იმიტომ ხდება აუცილებელი, რომ გ. თევზაძის გამოკვლევის მნიშვნელობა არა მარტო ასტრონომიისა და ფიზიკის ისტორიის საზღვრებს სცილდება, არამედ ყველა პროფესიის მკითხველის დაინტერესებულობას იწვევს.

რეცენზენტი მიუთითებს, რომ გ. თევზაძე დამაჯერებლად ნათელყოფს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტიდან გეო-ჰელიოცენტრული მოდელის წაკითხვას, მაგრამ მის დასკვნებს აკლია ხაზგასმა იმისა, რომ ეს ასტრონომიული თეორია კი არ არის, არამედ რუსთველის შეხედულებაა.

რეცენზენტი აქვე იძლევა რამდენიმე კრიტიკულ შენიშვნასაც. მისი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ რუსთველის მიერ მზის მიზიდულობის ზოგიერთი თვისების დახასიათება ემთხვევა გრავიტაციული მიზიდულობის ზოგიერთ თვისებას, ეს მაინც არ იძლევა იმ დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, თითქოს „ვეფხისტყაოსანში“ მზის მიზიდულობა გრავიტაციული ბუნებისაა, რადგან პოემიდან მზის მიზიდულობა უფრო მზის „მზიურობის“ შედეგი ჩანს.

პოემის 995-ე სტროფის („ხმელთა მზეო, სამყაროსა მზისა ეტლთა გარდამხმელო“) „ხმელთა მზე“, რეცენზენტის აზრით, პოეტური შედარებაა. არა გვაქვს იმის მტკიცების საფუძველი, რომ რუსთველს სამყარო ესმის, როგორც მეცხრე ცა, ანუ ქრისტიანობის მიერ შემოღებული „წმინდათა ცა“, რომელიც ვარსკვლავიერი ცის გარე სფეროდ იგულისხმება. **ნ. მ.**

170. ნოდარ ნათაძე

„ვეფხისტყაოსნის“

ტექსტის მთლიანობისათვის

ჟურ. „მნათობი“, 1985, № 3, გვ. 163-173; აგრ. წიგნში: სიტყვა და სახე, თბ., 1986, გვ. 190-212.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის კვლევის უმთავრესი მიმართულება მისი სტროფული შემადგენლობის დადგენაა. ამ მხრივ გამომცემელნი ხშირად მიმართავენ ტექსტიდან სტროფების ამოყრას. ასეთი პრაქტიკის გამო შემოკლებული ტექსტით გამოირჩევა 1966 წლის საიუბილეო გამოცემა.

ავტორი განიხილავს ამ გამოცემაში გამოტოვებულ სტროფებს და მათ სამ კატეგორიად ყოფს: ა) უეჭველად რუსთველური სტროფები, ბ) საეჭვო სტროფები და გ) დიდად საეჭვო სტროფები.

ავტორს უეჭველად რუსთველურად მიაჩნია 310-ე (სასკოლო გამოცემით): „მაგრა ღმერთმან მოწყალემან...“; 327: „წიგნი წიგნსა ეწეოდა...“; 774: „მოახსენა კვლა ვაზირმან...“ და იქვე მოაქვს ამ სტროფების რუსთველურობის დამადასტურებელი არგუმენტები.

საეჭვო სტროფებად ნ. ნათაძე თვლის:

№№ 26: მას ცოცხალი ნუ ელევის...	589: უბრძანა: „წადით, დაკარგეთ...
140: თავი ჩემი სამსახურად...	729: ყმამან რაცა არვის
უთხრის...	
195: თავს უთხრა: „მოკვე, გიჯობსო...	812: ღმერთსა მვედრებდეს...
282: მისი მძებნელი იყომცა...	813: დამხსნას ბნელსა...
325: ასმათ, მითხრობდი...	917: ქედსა გარდავდეგ...

344: თავადობა ინდოთა...	977: მოვიდიან შესამკობლად...
ნ. ნათაძის აზრით, „უფრო საეჭვო“ სტროფებია:	
№№ 69: მეფე ლალი და წყლიანი...	118: როსტანს სიტყვა ასულისა...
72: კვლა ბრძანეს: „მონა თორმეტი...“	155: ესეა მონა შერმადინ...
88: მეფემან ბრძანა: „ვინ არის...“	1651: როსტანისთვის წაატანა...

აღნიშნული სტროფები დაბეჭდილია ნ. ნათაძის მიერ მომზადებულ სასკოლო გამოცემაში, „კომენტარში“ სათანადო შენიშვნებით. წერილის დასასრულს ავტორი შენიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკული გამოცემებიდან არც ერთი მათგანი დოგმად არ უნდა მივიღოთ. ამ თხზულების ტექსტის საბოლოო დადგენა მეტად ძნელი საქმეა და ეს შესაძლებელი გახდება მხოლოდ ფილოლოგიის, ისტორიის, ფილოსოფიისა და კულტურის ისტორიის საუკეთესო სპეციალისტთა ჯგუფის ხანგრძლივი მუშაობის შედეგად. **გ. ა.**

171. ნ. ნათაძე

რუსთველური ლექსის ახალი კონცეფცია

ჟურ. „მნათობი“, 1985, № 12, გვ. 150–158.

ავტორი განიხილავს აკად. გიორგი წერეთლის გამოკვლევას „მეტრი და რითმა „ვეფხისტყაოსანში“ (1973). აღნიშნავს, რომ გ. წერეთელმა დაადგინა 16-მარცვლიანი ლექსის მაღალი და დაბალი შაირის ახალი სტრუქტურული თავისებურებანი, მაგრამ ისინი არ აუქმებენ ტრადიციული შეხედულებით აღიარებულ კანონზომიერებას, კერძოდ, სტრიქონებში როლს მახვილისა, რომელიც „დაქტილებსა“ და „ქორებს“ ქმნის.

ვრცელი ანალიზის შედეგად მკვლევარი აკეთებს შემდეგ დასკვნებს:

ა) რუსთველის ლექსწყობაში არის ისეთი კანონზომიერებები, რომლებიც აიხსნება მარცვალთა რაოდენობისა და „სემენტების“ ტერმინებში, მაგრამ ვერ აიხსნება მახვილისა და „ტერფის“ ტერმინებში.

ბ) არის კანონზომიერებები, რომლებიც, პირიქით, აიხსნება მხოლოდ მახვილისა და „ტერფის“ ტერმინებში.

გ) არის კანონზომიერებები, რომლებიც აიხსნება ორივე რიგის ტერმინებში.

დ) არის კანონზომიერებები, რომლებიც ჯერჯერობით ვერც ერთი ხსენებული რიგის ტერმინებში ვერ აიხსნება (და დარღვევებად ჩაითვლება).

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს ზოგადი დებულება: რუსთველის ლექსწყობის აღწერისას აუცილებელია როგორც მარცვალთა რაოდენობის (სემენტების) ფაქტორის, ისე მათი მახვილიანობის გათვალისწინება. **გ. ა.**

172. ნ. ნათაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ფილოსოფიური მოტივები

თბ., „მეცნიერება“, 1985, 106 გვ. რედაქტორი შ. ხიდაშელი.

ავტორი ოთხ მთავარ საკითხს გამოყოფს, რომლებიც ცალკეულ თავებშია განხილული:

თ. I – ფილოსოფიურ მოძღვრებათა ანარეკლი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში;

თ. II – პანთეიზმის საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“;

თ. III – რუსთველის შეხედულებები ისტორიის ფილოსოფიის სფეროში;

თ. IV – ეთიკის საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“.

ავტორის თქმით, რუსთველის ფილოსოფიურ წყაროთა შორის ძირითადია ზოგადი ონტოლოგიური კონცეფცია ქრისტიანული ნეოპლატონიზმისა ფსევდო-დიონისე არეოპაგელის (იმავე პეტრე იბერის) ნააზრვის სახით. მაგრამ რუსთველის ფილოსოფიურ აზროვნებაში სხვა კონცეფციებიც შემოდის. ამიტომ აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ რუსთველის პოემის მთლიანობას მისი ფილოსოფიური მსოფლმხედველობის მთლიანობა არ ქმნის.

თხზულების ფილოსოფიური მოტივების კვლევა დასაშვებია მხოლოდ როგორც პოემაში შემავალი ცალკეული კომპონენტებისა და არა როგორც მისი საფუძვლისა ან შინაარსობრივი ჩონჩხისა.

პანთეიზმთან რუსთველის დამოკიდებულებაზე მსჯელობისას ავტორი ხაზს უსვამს, რომ აქ საუბარი შეიძლება მხოლოდ ნეოპლატონურ პანთეიზმზე და არა მის სხვა რომელიმე სახეზე. რუსთველის გამონათქვამები პირდაპირ მიგვითითებენ სამყაროს შემქმნელ პერსონალურ ღმერთზე, რითაც უარყოფენ პანთეისტურ ონტოლოგიას.

ისტორიისა და ისტორიული პროცესების რუსთველისეული გაგების თაობაზე ავტორი შენიშნავს, რომ პოეტი არ მისდევს არც ზოგად ქრისტიანულ კონცეფციებზე დაფუძნებულ აზროვნებას და არც საქართველოს „მესიანური“ როლის აღიარებას. რუსთველის მიდგომა ამ საკითხისადმი არ გულისხმობს რომელიმე კონკრეტულ სახელმწიფოს ან ხალხს.

ნ. ნათაძის აზრით, რუსთველის ეთიკური შეხედულებები განსხვავდება ქრისტიანული ეთიკისაგან, რომლის ერთ-ერთი საფუძველი სინანულის იდეაა, მაგრამ მაინც აზროვნებისა და განცდის ქრისტიანული წესის მიერაა განპირობებული ის უდიდესი ყურადღება ადამიანის შინაგანი ცხოვრებისადმი, მისი პიროვნული ნიშან-თვისებებისადმი, რომლებიც „ვეფხისტყაოსნის“ საფუძველთა საფუძველია.

წიგნს ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე (გვ. 104-106). **გ. ა.**

173. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, IV

თბ. უნივერსიტ. გამომცემლობა, 1985, 543 გვ.

შემდგენლები: ნ. ბართაია, ო. გოლიაძე, დ. დგებუაძე, ვ. კვაჭანტირაძე, ბ. კილანავა, ლ. მენაბდე, მ. რობაქიძე, უ. სახლთხუციშვილი, ვ. ტიმინსკაიტე, ა. ცალქალამანიძე, რ. ხვედელიძე, ვ. ჯანგიძე, გ. ჯინჯიხაშვილი.

სარედაქციო კოლეგია: ა. ბარამიძე, ო. ბაქანიძე, ვ. გამყრელიძე, ლ. მენაბდე (მთ. რედ.), ა. ურუშაძე, ვ. შადური.

კრებულში შეტანილია ყოფილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხალხთა ენებზე გამოქვეყნებული რუსთველოლოგიური ლიტერატურა (რუსეთის სფსრ-სა და საქართველის სსრ-ს გარდა). კრებულის შედგენილობა ასეთია:

წინასიტყვაობა (გვ. 11-13), შესავალი (ლ. მენაბდე, გვ. 14-57),

ბიბლიოგრაფია (გვ. 58-138), აქ მასალა წარმოდგენილია მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით, ცალ-ცალკე.

შემდეგ დაბეჭდილია ნარკვევები, სიტყვები, ნაწყვეტები:

უკრაინის სსრ-დან – 21 ავტორისა (გვ. 139-230),

ბელორუსიის სსრ-დან – 11 ავტორისა (გვ. 231-251),

უზბეკეთის სსრ-დან – 12 ავტორისა (გვ. 252-274),

ყაზახეთის სსრ-დან – 9 ავტორისა (გვ. 275-285),

აზერბაიჯანის სსრ-დან – 13 ავტორისა (გვ. 286-331),

ლიტვის სსრ-დან – 9 ავტორისა (გვ. 332-354),

მოლდავეთის სსრ-დან – 7 ავტორისა (გვ. 355-363),

ლატვიის სსრ-დან – 10 ავტორისა (გვ. 364-377),

ყირგიზეთის სსრ-დან – 8 ავტორისა (გვ. 378-385),

ტაჯიკეთის სსრ-დან – 8 ავტორისა (გვ. 386-398),

სომხეთის სსრ-დან – 27 ავტორისა (გვ. 399-468),

თურქმენეთის სსრ-დან – 4 ავტორისა (გვ. 469-473),

ესტონეთის სსრ-დან – 5 ავტორისა (გვ. 474-480).

წიგნს ერთვის შენიშვნები (ლ. მენაბდე, გვ. 481-528) და

პირთა საძიებელი (დ. მენაბდე, გვ. 529-543). **გ. ა.**

174. სერგი სერებრიაკოვი

სამ-სახეობა დროისა „ვეფხისტყაოსანში“

საქ. სსრ მეცნ. აკადემია, ლიტმცოდნეობის რესპ. საკოორდინაციო საბჭო, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერ. ინსტ., XX სამეცნიერო სესია, 1985, 25-27 XII, თბილისი, მოხს. თეზისები, გვ. 14-16 (მოგვაქვს შემოკლებით)

1. დროის აღმნიშვნელი სამი ტერმინი („ჟამი“, „ხანი“, „დრო“) გაანალიზებულია მათი გამოყენების ყველა შემთხვევის მიხედვით.

2. დადგენილია, რომ „**ჟამი**“ (ყველა თავის წარმონაქმნთან ერთად, როგორებიცაა „ჟამიერად“, „ჟამ-ჟამ“, „უმისჟამისოდ“, „უჟამოდ“, „უჟამობა“ და „უჟამო ჟამი“) „ვეფხისტყაოსანში“ 55-ჯერ გვხვდება, „**ხანი**“ (წარმონაქმნებთან, როგორებიცაა „დიდხან“, „ხან-დაზმული“, „ხან-გრძლად“, „ხანიერი“, „უხანო“, „უხანობა“) ნახმარია 59-ჯერ, ხოლო „**დრო**“ მხოლოდ 13-ჯერ გვხვდება, თანაც ყოველგვარი წარმონაქმნის გარეშე (ჩვენ ვერ ვნახავთ „ვეფხისტყაოსანში“ ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა „დროული“, „უდროო“ და სხვ.).

3. დადგენილია, რომ თავდაპირველად „**ჟამი**“ თავისი ხანგრძლივობით კი არა – ყოვლადობით, აბსოლუტურობით იყო მნიშვნელოვანი, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც „**ჟამი**“ დროის მონაკვეთს აღნიშნავს, მისი ფარგლების არამკაფიო გამოხატულება სწორედ ამაზე უნდა მიუთითებდეს. „**ჟამი**“ **აბსოლუტური დროა**, რომელსაც ადამიანი აწმყო დროის მომენტს უფარდებს, რათა იმსჯელოს ამა თუ იმ მოქმედების დროულობაზე.

„**ხანი**“, როგორც წესი, აღნიშნავს დროის მონაკვეთს, რომლის განმავლობაში რაღაცა ხდება (ან, პირიქით, არ ხდება); ეს, ასე რომ ვთქვათ, „ამბვისეული“ დროა. სწორედ ამის გამოა, რომ „**ხანიერი**“ მუდმივს ნიშნავს.

სიტყვა „**დრო**“ ალბათ უხსოვარი დროიდან ციკლური დროის ცნებას უკავშირდებოდა.

4. სიტყვა „**ჟამი**“ აშკარად სპარსული წარმოშობისაა; ქართველებსა და სომხებში იგი უძველესი დროიდან შემოვიდა. ქართული ოთხთავის ძველ რედაქციებში იგი „სათის“ მნიშვნელობით გვხვდება (სომხურ ენაში დღესაც ამ მნიშვნელობით იხმარება), მაგრამ ქართველმა ერმა, როგორც ეს თუნდაც „ვეფხისტყაოსნიდან“ ჩანს, მას სულ სხვა, გაცილებით უფრო ფართო გააზრება მისცა...

5. გაგრცელებულია მოსაზრება, რომ უძველესი დროიდან მსოფლიოს ხალხთა ენებში დროის შესახებ **ორმაგი წარმოდგენა** შემონახული: სწორხაზოვანი და ციკლური, წრიული. რომელი მათგანი უფრო ძველია? – ამაზე დავა უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ყველაზე ძველი წარმოდგენა შეიძლება შესასრულებელი მოქმედების ხანგრძლიობას ანდა ხანმოკლეობას უკავშირდებოდეს (ე. ი. ქართ. „ხანი“).

ქრისტიანულ ფილოსოფიურ აზრს შუა საუკუნეების ევროპაში სამი ტერმინი ჰქონდა დროის აღსანიშნავად: tempus, aevus და aeternitas, მაგრამ მათი შედარებაც კი არ შეიძლება ქართულ ტერმინოლოგიასთან, რომელსაც ფესვები აქვს გადგმული ადამიანის ცნობიერების განვითარების უძველეს ეპოქაში. **გ. ა.**

175. დიმიტრი სლივნიაკი

დაბალი და მაღალი შაირის დაპირისპირების ფუნქციისათვის

„ვეფხისტყაოსანში“

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1985, № 4, გვ. 43-53.

რუსთაველის პოემის ვერსიფიკაციული წყობის – დაბალი და მაღალი შაირის ფუნქციის გარკვევისათვის ავტორი იყენებს სტატისტიკურ მეთოდს, რაც, თავის მხრივ, ინტუიტურ დონეზე არსებული,

თითქოს ცნობილ დებულებათა შემოწმების შესაძლებლობას იძლევა.

ნარკვევის მიხედვით, სტატისტიკური მეთოდის გამოყენება ადასტურებს ორ ძირითად დებულებას:

- 1) მაღალი შაირი უფრო დინამიკურია, დაბალი – შედარებით სტატიკური.

2) მაღალი შაირი დაკავშირებულია მხიარულ განწყობილებასთან, დაბალი – სევდიან განწყობილებასთან.

ავტორი არკვევს აგრეთვე სემანტიკურ ტენდენციას, რომელიც ნაშრომში „ნარატიულ ფაქტორად“ არის წოდებული.

მკვლევრის ვარაუდით, პოემის ის თავები, რომლებშიც ჭარბობს მაღალი შაირი, მოდის მოქმედების ორივე ციკლის დასაწყისზე; ის თავები, რომლებშიც დაბალი შაირი ჭარბობს, მოდის ექსპოზიციასა და მოქმედების დასასრულზე.

ნარკვევში ნაჩვენებია, რომ ნარატიული ფაქტორი არაა დამოკიდებული ზემოთ აღნიშნულ ტენდენციებზე. ამიტომ გამოიყოფა დაბალი და მაღალი შაირის ხმარებასთან დაკავშირებული სამი ფაქტორი: 1. დინამიზმი, 2. განწყობილება, 3. ნარატიული ფაქტორი. გ. ა.

176. Мария Филина-Рамишвили

Рыцарь переводческого дела

Жур. „Лит. Грузия“, 1985, № 9, с. 191-195.

ავტორი მოგვითხრობს პოეტ ეჟი ზაგურსკის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ პოლონურ ენაზე თარგმნის ისტორიას. სტატიაში აღნიშნულია, რომ მან 1959 წელს ქ. კრაკოვის თეატრის დირექტორის თხოვნით დაიწყო ამ თარგმანზე მუშაობა. იყენებდა პ. პეტრენკოს, ნ. ზაბოლოცკისა და შ. ნუცუბიძის რუსულ თარგმანებს.

ე. ზაგურსკიმ პოემის შემოკლებული თარგმანი დაბეჭდა 1966 წელს. მისი მოცულობა დაახლოებით ორიგინალის მეოთხედს შეადგენდა. შემდეგ მან გადაწყვიტა მთლიანად ეთარგმნა პოემა და დახმარებისათვის მიმართა ქართველოლოგ იან ბრაუნს, ნაწილობრივ ქართული ენაც ისწავლა, რამდენჯერმე ჩამოვიდა საქართველოში და მიიღო აუცილებელი კონსულტაციები რუსთველოლოგებისაგან.

ხანგრძლივი და გულმოდგინე მუშაობის შედეგად მან შექმნა „ვეფხისტყაოსნის“ სრული პოეტური თარგმანი, რომელიც 1976 წელს გამოქვეყნდა. იგი აღიარებულია ერთ-ერთ საუკეთესო თარგმანად ევროპულ ენებზე შესრულებულ თარგმანებს შორის. გ. ა.

177. იზოლდა ქაფიაშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ სწავლების ზოგიერთი საკითხი

თსუ, უმაღლესი სასწავლებლების რესპ. სამეცნ. კონფ., ლიტმცოდნეობა, I, 1985, 23–25 ოქტ., თეზისები, გვ. 36–37 (მოგვაქვს შემოკლებით).

სასკოლო რეფორმის განხორციელებასთან დაკავშირებით, სასურველია დაიხვეწოს ქართული ლიტერატურის პროგრამები; პოემიდან გამომდინარე ლიტერატურულ-ისტორიული საკითხები შეესაბამებოდეს VIII კლასის მოსწავლის გონებრივ და ფსიქოლოგიურ შესაძლებლობებს..., უნდა გაიმიჯნოს სასკოლო მასალა საუნივერსიტეტო მასალისაგან, უნდა გამოირიცხოს ე. წ. „უნივერსალიზმი“. ქართული და ევროპული რენესანსის საკითხების სწავლებისას აუცილებელია ზომიერების დაცვა. გ. ა.

178. გურამ ჩიქოვანი

„ვეფხისტყაოსანი“ და სხვები

გაზ. „კომუნისტი“, 1985, 16 იანვ., № 13, გვ. 4.

წერილში აღნიშნულია, რომ სირიაში დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ არაბული თარგმანი, შესრულებული ნიზარ ხალილის მიერ. წიგნი გამოიცა დამასკოში მცხოვრები ქართველის – ლევან სადარაძის ხარჯით. მანვე შეიძინა სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურა არაბულ ენაზე. წიგნები საჩუქრად გამოგზავნა თბილისში, გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში.

ნ. ხალილიმ არაბულად თარგმნა აგრეთვე ნ. ბარათაშვილის რამდენიმე ლექსი და პოემა „ბედი ქართლისა“. გ. ა.

179. გ. ჩიქოვანი

„სადაც დახვდის ქვეყანა...“

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1985, 23 აგვ., № 34, გვ. 14-15.

წერილში გადმოცემულია „ვეფხისტყაოსნის“ არაბულ ენაზე თარგმნის ისტორია, რომელიც თხუთმეტ წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა. მთარგმნელს, სირიელ პოეტს – ნიზარ ხალილის კონსულტაციას უწევდნენ ქართველი ფილოლოგები: რ. მირიანაშვილი, გ. ჩიქოვანი, ლ. რუხაძე, ნ. ფურცელაძე. თარგმანი დაიბეჭდა 1984 წელს სირიაში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენის – ლევან საღარაძის ფინანსური დახმარებით, რასაც კეთილგანწყობილი, გულთბილი გამოხმაურება მოჰყვა სირიისა და ლიბანის ცენტრალურ ჟურნალ-გაზეთებში. გ. ა.

180. სარგის ცაიშვილი

წერილები და გამოკვლევები, II

(ძველი ქართული მწერლობა), თბ., 1985.

წიგნში დაბეჭდილია რუსთველოლოგიური ნაშრომები, რომლებშიც განხილულია შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის, მსოფლმხედველობის, მხატვრული ოსტატობის, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტოლოგიისა და ლექსიკოლოგიის საკითხები. ყველა ნარკვევი გამოქვეყნებული იყო ადრე, 60-70-იან წლებში.

1. დიდი პოეტი და ჰუმანისტი (1966 წ.).
2. შოთა რუსთაველი (ბიოგრაფიული ესკიზი), (1966).
3. რუსთაველის პოეტიკა (1966).
4. ვახტანგ VI რუსთველური მიჯნურობის შესახებ (1964).
5. ოლივერ უორდროპის წერილი „ვეფხისტყაოსანზე“ (1966).
6. ნაშრომები „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მსოფლმხედველობაზე (1974).
7. ფილოლოგიური შენიშვნები (პ. ინგოროყვას რუსთველოლოგიურ ნაშრომთა გამო) (1966).
8. „ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოების საკითხისათვის (1957).
9. ხალხური „ტარიელიანის“ პირველი ჩანაწერი (1957).
10. „ვეფხი“ და „ჯიქი“ „ვეფხისტყაოსანში“ (1965).
11. შოთას პორტრეტი ქვაბისხევის ბაზილიკაში (1965).
12. პირველი ლექსიკოგრაფიული შრომები „ვეფხისტყაოსანზე“ (1966).
13. „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული რედაქცია (1957).
14. რუსთაველის გავლენა XVI-XVII საუკუნეების მწერლობაზე (1966).

იხ. ანოტაციები რუსთველოლ. ბიბლიოგრაფიის II, III და IV ტომებში, ნარკვევების თარიღების მიხედვით. გ. ა.

181. სოლომონ ცაიშვილი

თეოლოგიური აზროვნების ნაკადი „ვეფხისტყაოსანში“

შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერ. ს ინსტ., ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთარესპ. სამეცნ. კონფ. VI, 1985 წ. 17-20 დეკ., მოხს. თეზისები, გვ. 7-8.

1. „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის მხატვრული ჩანაფიქრი წარმოადგენს ავტორის მსოფლმხედველობის უკუფენას.
2. ამავე თვალსაზრისით, პოემის გმირების მხატვრული გარდასახვის რუსთველისეული კონცეფცია ცხადყოფს პოეტის მხატვრული სამყაროს თავისებურებებს.
3. მცდარია ზოგი ავტორის მოსაზრება, თითქოს „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური სამყარო წარმოადგენს დაფარულ (ეზოტერულ) მოძღვრებათა სისტემის მხატვრულ რეალიზაციას.

181 a. ამირან გამციშვილი

ფრესკაზე რუსთველი თუ დავით ნარინი?

გაზ. „ქუთაისი“, 1985, 2 აგვისტო.

ავტორი წერს, რომ 1950-იან წლებში გელათის მონასტრის ცენტრალური ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთის ეკუდერის კედლების გასუფთავების შედეგად გამოჩნდა რამდენიმე პირის გამოსახულება. სამ მათგანს ხელოვნებამცოდნე რუსუდან მეფისაშვილი დავით ნარინის ფრესკებად მიიჩნევს. ორზე გამოსახული არიან საერო (სამეფო) სამოსით მორთული პირები, მესამეს აცვია ბერის სამოსი მუქი ანაფორა და კუნკული თავზე.

ა. გამციშვილის მტკიცებით, არც ერთი ფრესკა დავით ნარინისა არაა. განსაკუთრებით გამორიცხულია, რომ ბერის ტანსაცმელში ვიგულოვთ დავით ნარინი, რომელიც ბერი არასოდეს ყოფილა. ამ ფრესკასთან შემორჩენილ დაზიანებულ წარწერას ა. გამციშვილი აღადგენს ასე: „**მეუფე შოთა ტრუსთ-კულმანა**“, რაც ნიშნავს: მეუფე შოთა მტრუსველ-კვერელი, ანუ ოქრომჭედელი. მკვლევარი ასკვნის: ამრიგად „**რუსთველი**“ პერსონიფიცირებული, ანუ ტოპონიმიდან მიღებული ანთროპონიმი კი არაა, არამედ სამოხელეო, პროფესიული ზედწოდება, რომელიც პოეტის ფსევდონიმად იქცა და გვარის შესაბამისი იერსახე-ტრუსთ-კულა, რუსთ კუელ, რუსთუელ-რუსთველი მიიღო (გვ.24-25).

ავტორი იმოწმებს თავის 500 გვერდიან ხელნაწერ ნაშრომს და მის ძირითად დასკვნებს ასე გვამცნობს: **შოთა რუსთველი იყო იოანე ვარდანის ძე დადიანი**, კურაპალატოვან მარუშიანთა ჩამომავალი, დაბადებული მესხეთის სოფ. ალში 1160-61 წელს, მეფე გიორგი მესამის მოყმე და ალამდარი, 1178 წლიდან – ამირეჯიბი, ანუ მეჯინბეთუხუცესი. შემდეგ რაღაც მიზეზის გამო ბერად აღკვეცეს და დავით გარეჯის მონასტერში გაამწესეს შიოს სახელით. 1184-5 წელს, დადიანთა აღზევებისას, იგი ჭიაბერის სახელით მანდატურთუხუცეს-ამირსპასალარად იქმნა, ხოლო 1195 წელს ექსორიაქმნილი, საზღვარგარეთულ ქართულ სავანეებში მოღვაწეობდა, როგორც მწიგნობარი და მთარგმნელი. 1205 წელს ბრუნდება საქართველოში იოანე იერუსალიმელის სახელით. 1213 წლიდან იოანე ბერი და პატრონთა საფლავის მწირველია გელათში 1223 წლამდე. ამ პერიოდს განეკუთვნება მისი გელათური ფრესკა. იგი გარდაიცვალა 1250 წელს და დაკრძალული იყო იოანე ნათლისმცემლის ეკუდერში.

იხ. გამომხაურება, აქვე ანოტ. № 296. გ. ა.

182. თინათინ ცქიტიშვილი

ლექსიკოლოგიური ძიებანი (მოლი)

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1985, № 1, გვ. 67-77.

ავტორის მიზანია გარკვიოს სიტყვა „მოლის“ მნიშვნელობა „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონში: „მან გრძნეულმან მოლი რამე წამოისხა ზედა ტანსა“ (1276,3).

ავტორი აღნიშნავს, რომ „მოლი“ ძველ ქართულში იშვიათად ხმარებული სიტყვაა. იგი სამწერლო ენაში მე-12 საუკუნიდან ჩანს, მაგრამ უფრო ხშირად იხმარება აღორძინების ხანის ძეგლებში. ყველგან იგი გამოყენებულია თილისმური, სასწაულმოქმედი ბალახის მნიშვნელობით. სხვათა შორის, ასეა „ვეფხისტყაოსანში“, „აბდულ-მესიანსა“ და „შაჰნამეში“.

მოლი სამკურნალო მცენარის აღმნიშვნელია ზ. ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნში“.

იმისათვის, რომ გაირკვეს ქართულში ხმარებული „მოლის“ თავდაპირველი, ძირეული სემანტიკა, ავტორის აზრით, აუცილებელია დადგინდეს მისი მიმართება უცხოენოვან სამყაროში ხმარებულ mol-თან. ავტორი ვარაუდობს, რომ ქართული და უცხოენოვანი mol ფუძეების იგივეობა უდავო ფაქტია. ამაზე მეტყველებს მათი შინაარსობრივი იდენტურობა.

მკვლევარი მართებულად მიიჩნევს ივ. გიგინეიშვილისა და ივ. ლოლაშვილის მოსაზრებას, რომლის მიხედვით „ვეფხისტყაოსანში“ **მოლი** მაგიური ფუნქციით აღჭურვილი ბალახია. მას მიაჩნია, რომ სწორია წაკითხვა: „მოლი რამე წამოისვა ზედა ტანსა“, რომელშიც სიტყვა „წამოისვა“ გაგებული იქნება წასმის, წაცხების შინაარსით. გ. ა.

183. ალექსი ჭინჭარაული

**კიდევ ერთი სტროფის შესახებ
„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში**
ჟურ. „ცისკარი“, 1985, № 11, გვ. 145-148.

მკვლევარი ინტერპოლაციად მიიჩნევს პოემის 1326-ე სტროფს: „ფატმან, უსენ და მონანი ტირან ცრემლითა ცხელითა...“ შემდეგ გარემოებათა გამო:

1) მოქმედების მონაწილედ გამოყვანა უსენისა, რომელიც იმჟამად გულანშაროში არ იმყოფებოდა;

2) წინა სტროფებში ნათქვამის გამეორება;

3) წინა სტროფების სტრიქონისა და რითმის გამეორება;

4) სიტუაციის მიხედვით სტროფის შინაარსის ზედმეტობა;

5) სიტყვა „დამმარხველის“ უადგილოდ ხმარება (მისი ორივე მნიშვნელობა ამ კონტექსტისთვის შეუფერებელია).

სტროფი ყველა ძირითად ხელნაწერში დასტურდება ისევე, როგორც: „მოქარავენთა უბრძანა...“ ივარაუდება, რომ ორივე ძალიან ადრინდელია და ერთდროული, ერთი ავტორის შეთხზული, მაგრამ ორივე ზედმეტია რუსთველისეული ტექსტისათვის. **გ. ა.**

184. ალ. ჭინჭარაული

„ვეფხისტყაოსნის“ ენისა და ტექსტის ზოგი საკითხი
*საქ. სსრ მეცნ. აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტის
42-ე სამეცნიერო სესია, 1985 წ. 16-18 იანვარი, თეზისები, გვ. 48-49.*

I. მკვლევარი აუცილებლად მიიჩნევს პოემის 318,3 / 312,3 სტრიქონის – **„მეფედ რა დაჯდა, არა სჭირს ჳელისა მიუმწვდარობა“** – გასწორებას ხელნაწერთა უმეტესობაში არსებული წაკითხვის მიხედვით: **მეფე რა დაჯდეს...** შესწორების საფუძველი: ა) „მეფედ რა“ კონიექტურაა; ბ) სარიდანი ერთი სამეფოს განმკარგველად (და არა მეფედ) დაჯდა და მიიღო ამირბარისა და ამირსპასალარის თანამდებობები. იგი **ყოფილი მეფეა** და ამიტომ „არა სჭირს ჳელისა მიუმწვდარობა“.

II. 1177 / 1182-ე სტროფი: „არ ისმენდა მეფისასა, რასა გინდა უბრძანებდა...“ ინტერპოლაციაა. მასში პროზაულად იგეგვა ნათქვამი, რაც 1153 / 1158-ე სტროფში: „რაცა ვჰკითხეთ, არა ვიცი, ესმა ანუ არ ისმენდა...“ და მელიქ-სურხავის სიტყვებში: „... ან ვისიმე მოჯნურია, საყვარელი ეგონების..., სხვაგან არის, სხვაგან ფრინავს...“

185. ელგუჯა ხინთიბიძე

**„ვეფხისტყაოსნის“ უკანასკნელ გამოცემათა
ერთი კონიექტურა**

*თსუ ფილოლოგიის ფაკ. და სსრ უმაღლესისასწავლებლების რესპ. სამეცნიერო
კონფერენცია (ლიტერატურათმცოდნეობა, I), 1985, თეზისები, გვ. 42-45.*

მოხსენება ეხება „ვეფხისტყაოსნის“ 1951 და 1966 წლების გამოცემებში მიღებულ კონიექტურას „დღე ჰგვანდა, არს აღვსებისა“ (545,2).

ავტორი აღნიშნავს, რომ სიძის მოსვლასთან დაკავშირებით წითელი (საზეიმო) ფერისა და აღდგომის გახსენებით პოეტის ცნობიერებაში ქრისტიანულ სიმბოლურ სახეთა რემინისცენცია ხდება (სიძე ქრისტეს სიმბოლური სახელია). თუ ასეა, ეს სიმბოლოები ტარიელისათვის უარყოფითი ემოციების აღმძვრელი უნდა იყოს, მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ ზოგადი რელიგიური ფონი, რუსთველის მოკრძალებული დამოკიდებულება ქრისტიანული რწმენისა და მისი სიმბოლოებისადმი ტექსტში ასეთი შინაარსის ამოკითხვას არ ამართლებს.

ერთადერთი სწორი გააზრება ამ კონტექსტისა შეიძლება ამოკითხულ იქნეს ხელნაწერებში დაცულ წაკითხვაში (არ აღვსებთ), რომლის მიხედვით, ეს დღე აღდგომას არ ჰგავდა, ანუ ქორწილი, რომლისთვისაც ემზადებოდნენ, არ ჰგავდა კაცობრიობის მომავალ სიმბოლურ ქორწილს.

ტარიელის წარმოსახვაში ასოცირება კონტრასტის საფუძველზე ხდება. პოეტის წარმოდგენაში ჩანს ქრისტიანული სიმბოლიკის მწყობრი სისტემა და მისდამი არა ნეგატიური, არამედ პოზიტიური მიმართება.

186. ე. ხინთიბიძე

„დღესასწაულს კი ის დღე არ ჰგავდა“ („ვეფხისტყაოსნის“ უკანასკნელ გამოცემათა ერთი კონიექტურის თაობაზე) ალმანახი „კრიტიკა“, 1985, №5, გვ. 115-126.

ე. ხინთიბიძე უარყოფს კ. კეკელიძის კონიექტურას (არს) 545-ე სტროფში. მისი აზრით, რადგან „რუსთველი ამ ამბავს ტარიელის პირით გადმოგვცემს, მისთვის შექმნილი სიტუაცია არ არის საზეიმო...“ და საჭიროდ თვლის ხელნაწერთა წაკითხვის უცვლელად დატოვებას. ე. ხინთიბიძე სიძის მოსვლაში **სიმე-ქრისტეს** სიმბოლიკის რემინისცენციას ხედავს.
იხ. ანოტ. № 185. გ. ა.

187. ელიზბარ ჯაველიძე

„საქმე ვქმენ საჭოჭმანები“ მის წიგნში – „შტუდიები“, თბ., 1985, გვ. 166-200.

პოლემიკური წერილი ეხება თამაზ ჭილაძის ნაშრომს „ვარდის ფურცლობის ნიშანი“ (თბ., 1984). როგორც ავტორი წერს, მასში აღძრულია მეტად რთული სადღეისო პრობლემა ტექსტისა და მკითხველის ურთიერთმიმართებისა. თ. ჭილაძის აზრით, არსებობს ტექსტის ორგვარი წაკითხვა: „ფილოლოგიური“ (ანუ მეცნიერული) და „პოეტური“. იგი მართლაც „პოეტურად“ კითხულობს „ვეფხისტყაოსანს“, რაც წარმოადგენს თ. ჭილაძის ვარაუდებსა და ასოციაციებს და ძალიან ხშირად დაშორებულია თხზულების ნამდვილი შინაარსისაგან.

ე. ჯაველიძე აანალიზებს პოეტი-მკითხველის მსჯელობას პოემის პროლოგის რაობისა და ძირითად ტექსტთან მისი მიმართების თაობაზე, პერსონაჟების – როსტევანისა და ავთანდილის, ფატმანისა და ავთანდილის ურთიერთობაზე და აღნიშნავს, რომ თ. ჭილაძე, როგორც მკითხველი, არ „უჯერებს“ რუსთაველს და პერსონაჟების ხასიათის, მოქმედებისა და მიზნების საკუთარ ვერსიებს ქმნის.

როგორც ჩანს, თ. ჭილაძეს ამოძრავებს ერთი მთავარი მიზანი, მას სურს გაათანამედროვოს, „მოდერნიზებული“ ელემენტებით „გაალამაზოს“ „ვეფხისტყაოსანი“. მაგრამ რუსთაველის თხზულება არ მოითხოვს რაიმე ხელოვნურ სუნთქვას; იგი კლასიკური სილამაზისა და სრულყოფილების უნაკლო განსხეულებას წარმოადგენს და ასეთად დარჩება ქართველი კაცის ცნობიერებაში. გ. ა.

187ა. ნოშრევან ჯიშკარიანი

ახალი რუსთველოლოგიური ნაშრომი ჟურ. „მნათობი“, 1985, № 1, გვ 169-173.

ავტორი მიმოიხილავს შერმადინ ონიანის მონოგრაფიას, რომელიც ეხება „ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოების, ე. წ. „ინდო-ხატაელთა ამბის“, წარმოშობასა და ძირითად ტექსტთან მიმართებას.

რეცენზენტი აღნიშნავს, რომ მონოგრაფიის ავტორი მეთოდოლოგიურად სწორად იქცევა, როდესაც სათანადო ანგარიშს უწევს ლიტერატურულ ტრადიციას და არკვევს ალორმინების ხანის ქართველ მწერალთა დამოკიდებულებას ინდო-ხატაელთა ამბისადმი.

იმის გარკვევა, რომ ინდო-ხატაელთა ამბავი XIII-XIV საუკუნეების „ვეფხისტყაოსნის“ შემადგენელი ნაწილია, შ. ონიანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამსახურებაა პოემის სიუჟეტური დასარუზლის კვლევის საქმეში; აგრეთვე მან პირველმა სცადა გაერკვია რუსთველის ზეგავლენა მომდევნო ხანის არალიტერატურულ ძეგლებზე.

რეცენზენტის აზრით, დამაჯერებელია ავტორის მიერ 1814-18-ე სტროფების აღრევისა და გადანაცვლების მტკიცება.

ნ ჯიშკარიანი შენიშნავს, რომ აჯობებდა, უფრო სრული და ყოველმხრივი პასუხი გასცემოდა ისეთ საკვანძო საკითხებს, როგორებიცაა „კათალიკოს-მწყვერელის“ და „ნინველთა“ ხსენება განსახილველ ტექსტში. **ბ. ბ.**

1986

188. ა. ადამოვიჩოვა, ე. ხინთიბიძე

შოთა რუსთველისა და დანტე ალიგიერის სიყვარულის კონცეფციათა ტიპოლოგიური მიმართებისათვის

ოსუ, ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭო, შრომები, XII, ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია, თბ., 1986, გვ. 86-94.

ავტორები აღნიშნავენ: რუსთველის შემოქმედება არის ჰარმონია შუასაუკუნეობრივისა და რენესანსულისა; ჰარმონია, რომლის დონეზე არ შეინიშნება ის წინააღმდეგობრივი, რაც ამ ორ ელემენტს შორის მომავალში წარმოიჩნდება. ეს შერწყმა, როგორც დანტეს, ასევე რუსთველის შემოქმედებაში, უპირველეს ყოვლისა, სიყვარულის გაგებაში გამოვლინდა.

სიყვარულის დანტესეული კონცეფცია გამოიჩინა მის წიგნში „ახალი ცხოვრება“. ეს თხზულება, ფორმის მხრივ, დაგვირგვინებაა ტრუბადურების პოეზიისა, იდეური თვალსაზრისით კი განსხვავდება ტრუბადურების ლირიკისაგან და „ღვთაებრივი კომედიის“ წინამორბედა.

ტრუბადურები უმეტეს შემთხვევაში აიგივებდნენ სიყვარულსა და ვნებას. დანტე განასხვავებს ამ ორი გრძნობის გაგებას. მისი აზრით, სიყვარული არის ადამიანის ამამალღებელი, გამამხნეველი ძალა, რომელიც გადააღახვინებს ცხოვრებისეულ სიძნელეებს, ვნება კი დამარღვეველი, პიროვნების გამანადგურებელი ძალაა.

სიყვარული, როგორც დანტეს, ასევე რუსთველის წარმოდგენით, გადააღახავს სიკვდილ-სიცოცხლის საზღვარს. ამქვეყნიური, რეალური ქალის სიყვარული ორივე პოეტის მიერ გადატანილია იმქვეყნად, სიკვდილის შემდგომ სამყაროში.

დანტეს აზრით, მაღალი სიყვარული აბსოლუტურად სრულყოფილია, კეთილია; მას პიროვნება მიჰყავს სიბრძნისა და სიმშვიდისაკენ, ღმერთთან შეერთებისაკენ.

რუსთველის მიერ გაიდუღებული სახეობა სიყვარულისა არ არის არც ღმერთის სიყვარული და არც სიძვა. ის სიყვარულის სხვა სახეა, რომლის ღვთაებრივ სიდიადეს და მარადიულობას პოეტი ადამიანურ გრძნობაში მოიაზრებს. **გ. ა.**

188a. გიორგი ავალიანი

ერთი სიტყვის შესახებ „ვეფხისტყაოსანში“

გაზ. „ლიტერატურული საქართველო, 1986, 7 თებ. № 6, გვ. 15.

ავტორი მართებულად თვლის „ვეფხისტყაოსნის“ 54-ე სტროფის მეორე სტრიქონის პ. ინგოროყვასეულ გასწორებას: „ამილახორო, მოასხი რემა, ჯორო და ცხენია“ და სასურველად მიაჩნია მისი გაზიარება პოემის შემდგომ გამოცემებში. **გ. ა.**

189. ალექსანდრე ბარამიძე

„ვეფხისტყაოსნის“ მოლოდინში

გაზ. „თბილისი“, 1986, 24 იანვ. № 20, გვ. 6.

ვაზეთის კორესპონდენტ დ. იოვაშვილთან საუბარში მკვლევარი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დადგენა და გამოსაცემად მომზადება დასრულებულია. განზრახულია მისი ათ ტომად გამოცემა. დადგენილ ტექსტს თან ახლავს ყველა ჩანართი და გაგრძელება-დამატებანი. პირველი ტომი უკვე გადაეცა წარმოებას და 1987 წელს გამოვა. სარედაქციო კოლეგიამ გადაწყვიტა, მის პარალელურად მასობრივი სახით გამოაქვეყნოს მთელი დადგენილი ტექსტი ერთ წიგნად. ეს იქნება მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა, ოღონდ მხოლოდ ტექსტის შემცველი, ე. ი. მას არ ახლავს ვარიანტები, შენიშვნები და კომენტარები. გ. ა.

190. ალ. ბარამიძე

ისევ „ვეფხისტყაოსნის“ დევნის საკითხის გარშემო

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1986, № 3, გვ. 5-27.

საკვლევი პრობლემის ირგვლივ შექმნილი ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე სტატიის ავტორი მიდის დასკვნამდე, რომ რუსთველის პოემის დევნა გაძლიერებულია „ვეფხისტყაოსნის“ პირველი (ვახტანგისეული) ბეჭდვითი გამოცემის გამოსვლასთან დაკავშირებით. რუსთველის დევნის ორგანიზატორად დასახელებულია კათალიკოსი დომენტი.

ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ დომენტი კათალიკოსის თანამდგომი ყოფილან „ეპისკოპოსნი და სამღვდელონი“ – ისინი, ვინც ვახტანგმა აზილა მისეული „ვეფხისტყაოსნის“ კომენტარებში („უცოდინარობითა და სოფლის ნივთთა შემსჭვალვითა სამეძაოდ სთარგმნიდენ მის რიტორისა და ბრძენ-მეცნიერისა კეთილად ნამუშავევისა სამუშაკოსა“).

ალ. ბარამიძის შეხედულებით, შექმნილ სიტუაციაში თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანის გასაადვილებლად (გარკვეული იოდეოლოგიის კაპიტალის მოსახვეჭად) დომენტი კათალიკოსი მარჯვედ გამოიყენებდა ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ ხელყოფის შემთხვევას. ამას გარდა, ავტორი მიუთითებს ბოლხოვიტინოვის მონათხრობზე ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ მოსპობის თაობაზე. დომენტი კათალიკოსისა და სამღვდელოების ლაშქრობა ვახტანგის დასამხობად მომხდარა 1713 თუ 1714 წელს. მკვლევარი ჰიპოთეზის სახით სვამს კითხვას: ამას ხომ არ გულისხმობს გამოთქმა: „ВКОРЕ БЫЛА ИСТРЕВЛЕНА“? ი. კ.

191. სვიმონ გამსახურდია

„ვეფხისტყაოსნის“ ისტორიული გარემო

ჟურ. „სკოლა და ცხოვრება“, 1986, № 1, გვ. 53-56.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ მე-12 ს. საქართველოს პატრონყმური სოციალური გარემო და ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლება აღწერილი, როგორც გიორგი მესამისა და თამარის მეფობის პერიოდს ახასიათებდა. მკვლევრის აზრით, პოემის ავტორი „მსახურეული აზნაურობის“ სოციალური ფენის აღზევების შესაძლებლობას უშვებს, ეს ფაქტი რუსთაველის მოღვაწეობის დროის განსაზღვრის საშუალებას იძლევა. ასეთი შეხედულება არ შეიძლებოდა წარმოშობილიყო მონღოლთა ბატონობის დროს, რასაც ზოგი მკვლევარი ვარაუდობდა.

წერილში საუბარია აგრეთვე „ვეფხისტყაოსანში“ წარმოდგენილი განათლების, მოყმე ჭაბუკების აღზრდის სისტემაზე. გ. ა.

192. აკაკი გაწერელია

ლექსთწყობათა ტიპოლოგიის საკითხები

კრებ. „ლიტერატურული ძიებანი“ (ქართული ლიტერატურის ინსტ.),
I(XVI), თბ., 1986, გვ. 363-390.

ნაშრომის თემატიკა განსაზღვრულია ქვესათაურებით:

1. ისტორიული ექსკურსისათვის (გვ. 363-369);
2. ქართული ლექსის პროსოდიული და მეტრული თავისებურებანი (გვ. 369-377);
3. მახვილითა და ზოგიერთი ტერფის საკითხი სილაბურ და სილაბურ-ტონურ ლექსთწყობებში (გვ. 377-390).

ნარკვევის ავტორის მიზანია ქართული ვერსიფიკაციის ადგილის დადგენა ლექსთწყობის სხვა სისტემებს შორის. მკვლევარი განიხილავს კლასიკური პერიოდის ქართულ პროზას (IX-XVIII სს) და აყალიბებს შემდეგ დასკვნებს:

1. ქართული კლასიკური ლექსი ხასიათდება პროსოდიის მხრივ: სტაბილურობით და, ამასთან ერთად, მოძრავი მახვილით სიტყვებში, როგორც ლექსიკურ ერთეულებში;
2. აქცენტების კონფიგურაციით და სწორი დისტრიბუციით ლოგაედურ და არალოგაედურ სტრიქონებში;
3. რითმის ყველა ფორმის (ვაჟური, ქალური, დაქტილური და ჰიპერდაქტილური) რელიზაციის შესაძლებლობით. აქედან გამომდინარე, ქართული ლექსთწყობა ტიპოლოგიურად ეკუთვნის მხოლოდ და მხოლოდ ვერსიფიკაციის სილაბურ-ტონურ სისტემას. აზრი ქართული კლასიკური (კერძოდ XI-XII სს.) ვერსიფიკაციის სილაბურობისა უნდა მიეკუთვნოს „ცუდ ფილოლოგიურ ლეგენდებს“.

ავტორის თქმით, „უნდა დაესვას წერტილი ყოველგვარ „სეგმენტაციას“ თუ „მუხლედოვანებას“ ქართულ პოეტიკაში. რა საჭიროა დაბრუნება მარცვლების თვლისადმი, უაზრო „სიტყვათაგაყარების“ და ტაეპთა „მუხლებად“ თუ „სეგმენტებად“ დაყოფისადმი? ბოლოს და ბოლოს უნდა ვიკითხოთ: ლექსს ვიკვლევთ თუ პროზას?“ (გვ. 375). **გ. ა.**

193. რუბენ ენუქაშვილი

**ძველი ქართული ენის ლექსიკიდან
(გონება)**

ოსუ ფილოლ. ფაკ., ენათმეცნიერება I, თბ., 1986, 17-20 დევ., მოხს. თეზისები, გვ. 18-19.

ახალი აღთქმის წიგნთა ქართულ რედაქციებში დასტურდება სიტყვა **გონების** სხვადასხვა მნიშვნელობა და ნიუანსი:

- ა) **გონება** სწყისია ზმნებისა, რომელთაც აქვთ მნიშვნელობანი: 1. ფიქრი, მიჩნევა; 2. ვარაუდი, მიხვედრა; 3. იმედოვნება.
- ბ) **გონება**, როგორც სახელი: 1. გონება, ჭკუა, აზროვნება, უნარი; 2. აზრი, შემეცნება; 3. აზროვნება, ცნობიერება; 4. გონი, ცნობა; 5. სინდისი; 6. სული; 7. გული; 8. გრძნობა; 9. (გადატ.) – უგუნურება; 10. ზრახვა; 11. ზნე, ჩვეულება; 12. განწყობა.
- გ) **გონება** პირველი კომპონენტია კომპოზიტისა – გონება-მაცთური, რომლის მნიშვნელობაა: მატყუარა, შემაცდენელი. **გ. ა.**

194. ი. თევზაძე

„ვეფხისტყაოსნის“ მათემატიკური პორტრეტი

გაზ., „კომუნისტი“, 1986, 25 აპრილი, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ პირველი ქართული ლიტერატურული ძეგლია, რომელსაც კონტენტ-ანალიზი გაუკეთდა ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანის

მეშვეობით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტში. ამ საქმის ინიციატორია ინსტიტუტის დირექტორი ბ. გუგუშვილი.

მანქანამ გმოიანგარიშა, რომ პოემში 43400 სიტყვაა და მასში აქტიური ლექსიკის მარაგი თითქმის ნახევარს შეადგენს. გაირკვა, რომ სიტყვის საშუალო სიგრძე ამ თხზულებაში ექვსი ბგერაა.

საინტერესოა პოემის სხვადასხვა ნაწილის ანალიზი სტილისტური თვალსაზრისით. ნაწარმოები ოთხ თანაბარ ნაწილად დაყვეს. აღმოჩნდა, რომ ბოლო ნაწილის მათემატიკური პორტრეტი საგრძნობლად განსხვავდება პირველი სამისგან. კერძოდ, აქ რამდენჯერმე მატულობს პერსონაჟების სახელების მოხსენიება.

როგორც სპეციალისტები ამბობენ, რაიმე კატეგორიული დასკვნის გაკეთება ჯერჯერობით შეუძლებელია. მთავარია, რომ გაჩნდა კვლევის ახალი ინსტრუმენტი, რომელიც სათანადო მეთოდების გამოყენებით რთული ამოცანების გადაწყვეტას შეძლებს. გ. ა.

194ა. ნესტან იორდანიშვილი

ა. ბორენი და მისგან ფრანგულად გარდათქმული „ვეფხისტყაოსანი“

კრებ. „ლიტ. ძიებანი“, I(XVI), ქართული ლიტერ. ინსტ., თბ., 1986, გვ. 277-286.

ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე. იხ. იქვე ანოტ. № 121.

195. მარიამ კარბელაშვილი

ორი ბიბლიური პარალელი „ვეფხისტყაოსნის“

ერთი ეპიზოდისათვის

კრებ. „ლიტ. ძიებანი“, ტ. I(XVI), ქართული ლიტერ. ინსტ., თბ., 1986, გვ. 261-276.

ავტორი განიხილავს აფორიზმს: „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“, რომელსაც ნესტან-დარეჯანი ამბობს ზედსიძედ მოსული ხვარაზმშას მოკვლის გასამართლებლად.

აქ ხსენებული „მართალი სამართლის“ „საკითხს სპეციალური ნაშრომები უძღვნეს ფილოლოგმა ე. ხინთიბიძემ და იურისტმა ვ. აბაშმაძემ. მათი აზრით, ხვარაზმშას ძის „მიპარვით მოკვლა“ ტარიელის მიერ განხორციელდა „მართალი სამართლის“ კანონის საფუძველზე. ოღონდ მკვლევარნი ვერ შეთანხმებულან, სახელდობრ რა სახის კანონი იგულისხმება ამ გამოთქმაში. მათი მცდელობის მიუხედავად, ვერასგზით ხერხდება პოემის „დადებითი“, „იდეალური“ გმირებისა და მათივე „უარყოფითი“, „არაიდეალური“ საქციელის ერთმანეთთან შეთანხმება.

ნარკვევის ავტორი იმოწმებს ციტატებს ბიბლიიდან, რომლებიც შეიძლება დასახელებული ცნების წყარო იყოს: „მსაჯული სიმართლისა“ (ფსალმ. 9,5): „თავადმან განსაჯოს სოფელი სიმართლით“ (იქვე, 9,9). ქართულ იურიდიულ ძეგლებში ტერმინი „მართალი სამართალი“ დასტურდება XI ს-ის დასაწყისიდან (მასზე მიუთითა ივ. ჯავახიშვილმა). „მართალი სამართალი“, როგორც ქართული იურისპუდენციის ტერმინი, მხოლოდ ადამიანთა (და არა ღმერთის) კომპეტენციას განეკუთვნება.

სტრიქონის მეორე ნახევარი ბიბლიური აპრონის (მოსეს ძმის), მეუფის ნებით მღვდელმთავრად დადგენილის, კვერთხის განედლების ეპიზოდს (რიცხვთა 17,8) ემყარება. ეს სასწაული მხოლოდ ღმერთის „კომპეტენციას“ განეკუთვნება.

მკვლევრის აზრით, „მართალი სამართალი“ და „ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“ ურთიერთგამომრიცხავი სინტაგმებია. მთელი სტრიქონი, ფილოსოფიური თვალსაზრისით, სოფიზმია, იურიდიული თვალსაზრისით კი – კაზუსტიკა. ნესტანი სოფიზმით ცდილობს უდანაშაულო ადამიანის მოკვლის დასაბუთებას. იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ პოემის ამ ეპიზოდის განხილვა „მართალი სამართლის“ პრინციპის მიხედვით მკვლევრებს გამოუვალ მდგომარეობაში აყენებს და აუცილებელი ხდება მისი გადასინჯვა.

ნარკვევს ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე. გ. ა.

196. კორნელი კეკელიძე

შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“,

თბ., 1953, პ. ინგოროყვას რედაქციით (უთარილო)

პირველი პუბლიკაცია ავტორის წიგნში – ეტიუდები ძვ. ქართ. ლიტ-ის ისტორიიდან, XIV, ტომი შეადგინა ს. ყუბანეიშვილმა, თბ., 1986, გვ. 161-164.

ნაშრომში მოცემულია მოკლე შენიშვნები, რომლებიც შეეხება რედაქტორის, პ. ინგოროყვას, მუშაობის პრინციპებს, მის დამოკიდებულებას პოემის ტექსტთან და მის წყაროებთან, ხელნაწერთან. აღნიშნულია, რომ პ. ინგოროყვა ეყრდნობა ვახტანგის გამოცემას და 19 ხელნაწერს, მაგრამ დამოწმების დროს ნუსხებს კონკრეტულად არ უთითებს.

ტექსტის შესწორებისას რედაქტორი ხელმძღვანელობს კონტექსტით, სტილისტიკით, პროსოდიით, ფონეტიკით, თხრობის შინაარსის შესაბამისობით, რაც ფართო სარბიელს აძლევს მის სუბიექტურ გაქანებას.

ცუდი გასწორების ნიმუშად მოტანილია ორიოდ მაგალითი:

1) „ავთანდილ, პირ-მზემან, მაგარ-ვარდმან“ (1244,1), როგორც ჩანს, რედაქტორს არ სცოდნია ვადას მნიშვნელობა, ამიტომ აუღია ი. აბულაძის კონიექტურა: „**მაგრ ავადამან**“.

2) „ამან მართ ოდენ მორევენა გვითხრა, ვუალეთ ჩვენებით“ (306,3), რედაქტორი ასწორებს: „**ვუვალეთ ჩვენ ნებით**“. აქ ვალზე არ შეიძლება იყოს ლაპარაკი. ნამდვილი შინაარსის გასგებად საჭიროა ვიცოდეთ, რომ „ვუალეთ“ მიღებულია სიტყვიდან „ალეზა“, რაც ნიშნავს ნებართვას. ამ გამოთქმის აზრია: ჩვენ ნება დავრთეთ, ვანიშნეთ, შევბიო.

სქოლიოში ს. ყუბანეიშვილი შენიშნავს: „პოემის ტექსტში პლუსებით აღნიშნულია ნომრები სტროფებისა, რომელთა გასწორებაც კ. კეკელიძეს მისაღებად მიაჩნდა, ხოლო მინუსებით – ის ნომრები, რომელთა გასწორებასაც არ ეთანხმებოდა. გ. ა.

197. კ. კეკელიძე

**„ვეფხისტყაოსნის“ ერთი ადგილის
შესწორებისათვის**

ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, XIV, თბ., 1986, გვ. 166-167 (დაწერილია 1956 წლის შემდეგ. იბეჭდება პირველად).

ავტორის დაკვირვება ეხება პოემის შესავლის სტრიქონს: „ჩემმან ხელმქმნელმან დამმართოს ლაღმან და ლამაზმან ნები“ (9,4). იგი წერს: „ნები“ აუცილებლად „ნება“ არის. ასევე უცილობელია, რომ „დამმართოს“ წარყვნილია და უნდა გასწორდეს. აზრობრივად აქ უთუოდ გვაქვს: „დამართოს ნება“. „დამართოს“ არის გაკვეთილი ფორმა ზმნისა „და-მართოს“. ამ ორ ნაწილს შორის უნდა დაისვას ნაცვალსახელი „მე“: და-მე-მართოს, რაც ნიშნავს – დამართოს მე, ალიტერაციულად უფრო მისაღებია „მე“, ვიდრე „ვე“...

ნაცვალსახელი „გამკვეცელ“ ნაწილაკად სხვაგანაც გვხვდება: შე-ვინ-ვიდეს (741); მოცა-ვინ-მკლავს (1223) და თვით „მე“; „...ვხედავ პირსა თქვენსა, მზისა პირად მემეცნების“; (1064); „მემეცნების“ ნიშნავს: „მეცნების მე“. გ. ა.

198. К. Кекелидзе

**Шота Руставели, Носящий тигровую шкуру,
перевод Пант. Петренко, под ред. К. Чичинадзе**

ავტორის წიგნში – ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, XIV, თბ., 1986, გვ. 167-175 (დაიბეჭდა პირველად).

რეცენზენტის პირველი შენიშვნა ეხება თარგმნილი ტექსტის შედგენილობის საკითხს. მისი აზრით, რუსულ გამოცემაში არ იყო საჭირო შეტანა იმ სტროფებისა, რომელთა რუსთველურობის თაობაზე შეთანხმება მიღწეული არაა ქართველ მკვლევართა შორის.

თვით თარგმანის ღირებულების საზომად მკვლევარი იმას მიიჩნევს, თუ მთარგმნელი რამდენად ზუსტად გადმოსცემს ორიგინალის შინაარსს, განსაკუთრებით სენტენცია-აფორიზმებისა და მხატვრული გამოთქმების თარგმნისას. ამ თვალსაზრისით განხილულია თარგმანის 1-ლი, 165-ე 1667-ე, 1741-ე სტროფები, რომელთაც დედანთან სიახლოვის მხრივ სიზუსტე აკლია.

ზოგადი შეფასებით, მთლიანად პ. პეტრენკოს თარგმანს რეცენზენტი ერთ-ერთ საუკეთესო თარგმანად მიიჩნევს და სასურველად თვლის მის გამოქვეყნებას.

რეცენზიას დანართის სახით ერთვის რუსულ ენაზე 50-მდე სტროფის სიტყვასიტყვითი თარგმანი, რომელიც შეიძლება გამოიყენოს რედაქტორმა არსებულ უზუსტობათა გასასწორებლად. **გ. ა.**

199. **К. Кекелидзе**

Отзыв о руствелологических работах проф. В. М. Беридзе

წიგნში – ეტიუდები ძველი ქართულის ლიტერატურის ისტორიიდან, XIV, თბ., 1986, გვ. 185-1189 (ქვეყნდება პირველად).

ავტორი აღნიშნავს, რომ ვუკოლ ბერიძე ავტორიტეტული მკვლევარი-რუსთველოლოგია. მისი კვლევის თემატიკა მრავალმხრივია, ნაშრომები ეძღვნება პოემის ტექსტის შესწავლას, განმარტებასა და დადგენას, აგრეთვე პოეტიკის, ენისა და მსოფლმხედველობის საკითხებს. მკვლევარმა მოგვცა საფუძვლიანი კრიტიკა „ვეფხისტყაოსნის“ 1934 წლის გამოცემისა. მანვე დაადგინა მაღალი და დაბალი შაირის მონაცვლეობის კანონზომიერება პოემაში.

ნარკვევში „რუსთაველის პოემის დაბოლოების შესახებ“ ვ. ბერიძე გამოთქვამს თვალსაზრისს, რომ ბოლო სამი თავი წარმოადგენდა პოემის ორგანულ ნაწილს, მაგრამ დაზიანების შემდეგ ისინი აღდგენილი იქნა XVII-XVIII საუკუნეებში, რის გამოც მასში აისახა ალორძინების პერიოდის ინტერესები და განწყობილება, რაც დიამეტრულად საწინააღმდეგოა რუსთაველის ეპოქის ინტერესებისა და მსოფლმხედველობისა.

მის ერთ-ერთ შრომაში მოცემულია რუსთაველის მხატვრული ხერხების ანალიზი. ნარკვევში „ვეფხისტყაოსნის“ ხალხურობისათვის“ მკვლევარი უარყოფს პოემის სიუჟეტის ფოლკლორულ წარმომავლობას, ამასთან ერთად, განიხილავს თხზულების მოტივებს (დავალების მოტივი, ტირილის, გლოვის, გაქცევისა და ძებნის, ჯადოსნობის, დევებთან ბრძოლისა და სხვ.) და ანალიზის საფუძველზე დამაჯერებლად ამტკიცებს მათ ხალხურობას.

გ. ა.

200. **Нана Котетишвили**

Александр Хаханашвили –

Исследователь древнегрузинской литературы

Автореф. дис. на соиск. уч. степ. канд. филол. наук, Тб., 1986

(ხელნაწერის უფლებით)

დისერტაციის III თავში – „რუსთველოლოგიის საკითხები ა. ხახანაშვილის ნაშრომებში“ – ავტორი აღნიშნავს, რომ მკვლევარმა აღწერა და შეისწავლა „ვეფხისტყაოსნის“ ორი მნიშვნელოვანი ნუსხა:

1) პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში არსებული (1702 წლისა) და
2) მოსკოვის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული (შემდეგ H 2074 ლიტერით ცნობილი).

ა. ხახანაშვილი ცდილობდა დაედგინა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობა. მისი დასკვნით, რუსთაველი იყო მესხი აზნაური, რომელსაც თამარის დროს მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა ეკავა.

მკვლევარი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პოემის სიუჟეტის წყაროების შესწავლას. მისი აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი საფუძველი ქართული ზეპირსიტყვაობა, კერძოდ, ხალხური თქმულება „ტარიელიანი“ იყო. გ. ა.

201. მაია მამაცაშვილი

„მან პოვა სისხლი ლომისა...“

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1986, 7 მარტი, № 10.

წერილის მიზანია გამოავლინოს ანიმისტური წარმოდგენის კვალი, რომელიც აღბეჭდილია „ვეფხისტყაოსანში“. ნესტან-დარეჯანის წერილისა და მისი რიდის კიდის დანახვაზე ტარიელმა გონება დაკარგა. მის მოსაზრებლად ავთანდილმა წყლისათვის მამბნარს მიაშურა:

„ავთანდილ ადგა, გამოვლნა შამბნი საძებრად წყლისად,
მან პოვა სისხლი ლომისა, მოაქვს სავსებლად ალისად,
მკერდსა დაასხა, გა-ვე-ხდა ლაჟვარდი ფერად ლალისად“ (1332)

მკვლევარი ფიქრობს, რომ აქ წყალს სავსებით გააზრებულად ენაცვლება **ლომის სისხლი**, რომელსაც გარკვეული სემანტიკური დატვირთვა აქვს. სტროფის ქვეტექსტში ნაგულისხმები სისხლის მნიშვნელობა ეხმიანება უძველეს ანიმისტურ წარმოდგენას, რომლის მიხედვით, ადამიანის სული ლოკალიზებული იყო მისივე სხეულის სხვადასხვა ორგანოში: ღვიძლში, თირკმელში, თმაში, სისხლში და ა. შ.

რუსთაველმა კარგად იცოდა, რომ ტარიელის (დაბნედილი ლომის) მკერდზე ლომის სისხლის დაღვრა უფრო ეფექტური იქნებოდა, ვიდრე წყლისა, რადგან მასზე გადავიდოდა ლომის თვისებები: ძალა და სული, როგორც მოხდა, – ტარიელს „მიეცა ძალი ზე წამოჯდომისა“.

მ. მამაცაშვილის აზრით, ამგვარი პარციალური სულის მატარებელია პოემაში თვით **ვეფხისტყავე**, რომელიც ტარიელს „მისად კაბად მოუნახავს“. ანიმისტური წარმოდგენის თანახმად ცნობილია, რომ ტყავი ინარჩუნებს კავშირს ძველ მფლობელთან. პოემაში ვეფხისტყავეს სხვა გააზრებაც აქვს: იგი ნესტანის სიმბოლოა (შდრ. „ვეფხი პირგამეხებული“, „რომე ვეფხი მშვენიერი სახედ მისად დამისახავს, ამაღ მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომინახავს“). მკვლევარი თვლის, რომ პოეტურ-ესთეტიკური გააზრება არც ამ შემთხვევაში უშლის ხელს მეორე პლანის არსებობას, მისი ანიმისტური შინაარსის გაგებას.

წერილის ავტორს მიაჩნია, რომ მეტად საინტერესოა და შესასწავლი პოემის ქაჯეთის სამყარო, გრძნეულებანი და სხვ. „პოემაში ჩვენ ვხვდებით მაგიის დაახლოებით იმ სახეებს, რომელთაც „ვისრამიანში“ განსხვავება კი, ავტორის აზრით, ის არის, რომ „ვისრამიანში“ ასახულია ძვ. სპარსული რელიგიის ის საფეხური, როცა მაგია ჯერ კიდევ ცოცხალია, მოქმედია, კულტივირებულია ყოფაში, იგი გავლენას ახდენს ადამიანთა ცხოვრებაზე, „ვეფხისტყაოსანში“ კი იგი გარკვეული ცოდნა და მეორე პლანს ქმნის პოემაში. **თ. ტ.**

202. თ. მარგველაშვილი, ნ. წაქაძე

ისევ და ისევ რუსთაველის არაბული ლექსის სესახებ

გაზ. „კომუნისტი“, 1986, 13 თებერვალი

პუბლიკაცია ეხმაურება „ლიტ. საქართველოს“ 1985 წლის 15 ნოემბრის ამავე სათაურის სტატიას, რომლის ავტორი, ლ. მენაბდე, შეეხო ამ ბოლო დროს კვლავ ადრულ რუსთაველის არაბული ლექსის ავთენტურობის საკითხს.

ავტორები აღნიშნავენ, რომ მ. თოდუამ შეუდარა ფ. ტუსენის ფრანგული თარგმანები რელურად არსებულ ბევრ ორიგინალს (არაბულს, სპარსულს) და დაასკვნა, რომ პწკარედული თარგმანი ზედმიწევნით ზუსტად მიჰყვება ორიგინალის ტექსტს. ასეთია ფაქტი და არა ვარაუდი.

ლ. მენაბდეს ეჭვი შეაქვს ტუსენის გულწრფელობაში. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელთ არა გვაქვს „მტკიცე საბუთი, ტუსენი ყალბისმქნელად გამოვაცხადოთ და მისი კრებულის ქართული ლექსები მის შეთხზულად მივიჩნიოთ. გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით“.

თუ ტუსენის ზეპირ ნათქვამს დავუჯერებთ (არდაჯერებისთვის კი საფუძველი არ ჩანს), მან მხოლოდ ლექსის წყარო დაასახელა: აბუ-ლ-ფარაჯის კრებული. ის გარემოება, რომ ტუსენის ანთოლოგიაში თარგმნილი ნიმუშების წყაროები დასახელებული არ არის, სავსებით ლოგიკურია – ტუსენი იმჯერად მხოლოდ და მხოლოდ მთარგმნელი იყო და მას კრებულის სამეცნიერო აპარატზე არ უზრუნია.

არაფერი ვიცი აბუ-ლ-ფარაჯის თხზულებათა კრებულის ხასიათზე, რაობაზე. ამიტომ არც ის არის გარკვეული, ორიგინალი ლექსისა, რომელიც რუსთაველს მიეწერება, რომელ ენაზე შეიქმნა, ან, თუ ის თარგმნილია, ვის მიერ?

ავტორების დასკვნით, რუსთაველის ლექსის ავთენტიკურობაზე საბოლოო სიტყვა არაბულმა კრებულმა უნდა თქვას. **გ. ა.**

203. ლევან მენაბდე

ვიდრე სამიებელი არ მიკვლეულა

გაზ. „კომუნისტი“, 1986, 10 აგვისტო, გვ. 3.

წერილი წარმოადგენს პასუხს გაზეთ „კომუნისტი“ (1986 წ. 13.II) დაბეჭდილ თ. მარგველაშვილისა და ნ. წაქაძის სტატიაზე (იხ. ანოტ. № 202).

ქართველმა საზოგადოებრიობამ XX ს-ის 20-იან წლებში გაიცნო რუსთაველისთვის მიკუთვნებული რამდენიმე არაბული ლექსის ბერძნული თარგმანი, რომელიც ათენის პრესაში დიბეჭდა. 40-იან წლებში გამოჩნდა რუსთაველის კიდევ ერთი არაბული ლექსის ფრანგული თარგმანი, რომელიც ფ. ტუსენმა გამოაქვეყნა კრებულში – „სიყვარულისა და ომის ისლამური სიმღერები“. ამ თარგმანებს არაერთი მკვლევარი შეეხო. მას სპეციალური გამოკვლევა უძღვნა მ. თოდუამ („კრიტიკა“, 1983, № 2), სადაც აუცილებლად სცნო არაბული წყაროების დაძებნა.

ლ. მენაბდის მოსაზრებით, ბერძნულ გაზეთში დაბეჭდილი ქართული მასალა თარგმნილია არა არაბულიდან, არამედ – ფრანგულიდან, კერძოდ, ა. თალასოს ანთოლოგიიდან (1906), რომელიც, თავის მხრივ, მ. ბროსეს შრომებითაა დავალებული. ეჭვის ქვეშ იქნა დაყენებული ფ. ტუსენის პუბლიკაცია რუსთაველისა თუ სხვა ქართველი პოეტების ლექსთა არაბული წარმომავლობის შესახებ. საეჭვო იყო ქართული ქრისტიანული პოეზიის ნიმუშების ისლამური სიმღერების კრებულში შეტანა, რუსთაველის პოემის უჩვეულო სახელით მოხსენიება და სხვა.

ლ. მენაბდე აღნიშნავს, რომ მას ტუსენი არც ყალბისმქნელად გამოუცხადებია და არც კატეგორიული ტონით რამე უთქვამს. იგი ეთანხმება თ. მარგველაშვილსა და ნ. წაქაძეს იმაში, „რომ რუსთაველის არაბული ლექსის ავთენტიკურობაზე საბოლოო სიტყვა არაბულმა კრებულმა უნდა თქვას“, კერძოდ, აბუ-ლ-ფარაჯის კრებულმა, რომელიც თავის წყაროდ აქვს დასახელებული ფ. ტუსენს.

ლ. მენაბდეს მიაჩნია, რომ არ არის სწორი ორი ავტორის – მ. თოდუასა და ლ. მენაბდის ერთმანეთთან დაპირისპირება (არაბული ლექსის არსებობის სასარგებლოდ და საწინააღმდეგოდ). წერილში არ ჩანს სხვა ავტორთა მოსაზრებანი ამ საკითხთან დაკავშირებით.

ლ. მენაბდე აღნიშნავს: თუ ტუსენის კრებულის არაბული წყარო აღმოჩნდება, იგი მეტად მოხარული იქნება. **თ. ტ.**

204. გიორგი ნადარეიშვილი

შოთა რუსთაველი და ჩინური კულტურა

მის წიგნში – „ნარკვევები სამართლის ისტორიიდან“, თბ., 1986, გვ. 183-196.

ავტორი ცდილობს გაარკვიოს რუსთაველის შთამაგონებელი წყარო მისი ერთ-ერთი აფორიზმისათვის:

„ესე არაკი მართალი ჩინს ქვასა ზედა სწერია:
ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“ (854).

მკვლევარი აღნიშნავს, რომ „ჩინ“ სპარსულად ერქვა ჩინეთს. ეს ტერმინი რუსთაველის ეპოქის საქართველოშიც იხმარებოდა, სავარაუდოდ, ცენტრალური ჩინეთის აღსანიშნავად, ხოლო „ხატაიასა“ და „ხატაეთში“ ჩრდილოეთი ჩინეთი უნდა იგულისხმებოდეს.

ჩინეთში უძველესი ტრადიცია ყოფილა წარწერებიანი ქვის სტელეების დადგმა საჯარო თავშეყრის ადგილებზე. ძველი წარწერა განეკუთვნება ძვ. წ. მესამე საუკუნეს. ახ. წ. 174 წელს ქვის სტელეზე ამოკვეთეს მთელი წიგნი, რომელსაც „ში-ძინ“ ერქვა. ეს იყო ხალხური პოეტური ქმნილებების რჩული კრებული. მასში 305 ლექსი შედიოდა. ერთ-ერთს ჰქვია „მცირე ოდა მეგობრობაზე“, სადაც ასეთი სტრიქონებია: თუ ჩიტები ერთმანეთს უხმობენ სამეგობროდ, კაცმა როგორ არ უნდა ეძებოს მეგობარი?

„ვისრამიანშიც“ არის დადასტურებული ჩინეთში ქვაზე წერის ტრადიცია: „ჩინეთს ქვაზედა სწერია, ვითა: მიჯნურთა ჯოჯოხეთი სამოთხედ უჩს...“ (1962, გვ. 122).

ზემოთ დასახელებული „შინ-ძინ“, რომელიც მსოფლიო ისტორიაში პირველი გართიმული ლექსების კრებულია, ჩინეთში საუკუნეების განმავლობაში პოპულარული იყო. ნარკვევის ავტორი ვარაუდობს, რომ შოთა რუსთაველმა იცოდა ჩინეთზე ქვეზე ამოკვეთილი ლექსების თაობაზე და ჩვენთვის უცნობი წყაროს მეშვეობით გარკვეული წარმოდგენაც ჰქონდა მათი შინაარსის შესახებ. გ. ა.

205. ნოდარ ნათაძე

„ვეფხისტყაოსანი“

– ტექსტი და თარგმანი

მისავე წიგნში: „სიტყვა და სახე“, 1986,

თბ., „მეცნიერება“, გვ. 190-233.

წერილი ორი ნაწილისაგან შედგება:

I, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მთლიანობისათვის (დაბეჭდილი იყო 1985 წელს, „მნათობი“, № 3. ამ წიგნში ეს ნარკვევი დაბეჭდილია უცვლელად).

II ნაწილი, „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გერმანული თარგმანი (გვ. 213-233) წარმოადგენს ჰერმან ბუდენზიგისეული თარგმანის (1972 წ.) კრიტიკულ განხილვას. ავტორის სიტყვით, „პირველად ვნახეთ რუსთაველის პოემის ისეთი გერმანული თარგმანი, რომელიც მაღალი ტერატურას ეკუთვნის...; მთარგმნელმა „ვეფხისტყაოსნის“ ისეთი გერმანული ვერსია შექმნა, რომელშიც კითხვის ქვეშ შეიძლება დადგეს მხოლოდ გადმოცემის სისწორე (ცალკეულ შემთხვევებში), მაგრამ არა ხარისხი“ (გვ. 213). ავტორი აღნიშნავს თარგმანში არსებულ ზოგიერთ უზუსტობას, რაც შეიძლება შენიშნოს ორიგინალის მცოდნე მკითხველმა. თარგმანთან დაკავშირებული პრობლემები განხილულია ცალ-ცალკე:

1. ორიგინალისეული თხრობის რიტმის გადმოცემა (გვ. 214-217);
2. ისტორიული ფონის სიზუსტე თარგმანში (გვ. 217-219);
3. გრამატიკული ბარიერის დაძლევა თარგმანში (გვ. 219-221);
4. პოეტიკის გადმოტანა თარგმანში (გვ. 221-222);
5. ტექსტის ინტერპრეტაციის კულტურულ-ისტორიული მხარე (გვ. 222-225);
6. ტექსტის ინტერპრეტაციის ლინგვისტური მხარე (გვ. 225-233).

ავტორის დასკვნით, შესაძლოა ბუდენზიგის თარგმანი ვერ განგვაცდევინებს „ვეფხისტყაოსანს“, და თუ ასეა, მაშინ ამის კონკრეტული მიზეზია ორიგინალის თხრობის რიტმის გადმოუცემლობა. მაგრამ სრულებით უეჭველია, რომ თარგმანი გვიჩვენებს „ვეფხისტყაოსანს“, როგორც აზრის, ისე გამოსახვის წესის მხრივ (გვ. 233). გ. ა.

206. ვლადიმერ ნორაკიძე

„იგია საქმე სამზეო...“

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1986, 7, თებ., № 6, გვ. 14-15.

ავტორი განიხილავს მიჯნურობის რუსთაველისეულ კონცეფციას პოემის მონაცემების მხედვით. მისი აზრით, „მართებული იქნება პოემაში მიჯნურობა განვიხილოთ არა ნატურალისტურ-ფიზიკალურ ასპექტში, არამედ, როგორც განსაკუთრებული, უმაღლესი კატეგორიის სულიერი ფენომენი, რომელიც გულისხმობს კონკრეტულ მოქმედ და შემოქმედ ადამიანში გაშინაგანებული უმაღლესი სიკეთისაკენ, სრულყოფისაკენ სწრაფვის შესაძლებლობას, პიროვნების სტრუქტურაში აბსოლუტისაკენ მისი სწრაფვის უნარის არსებობას“. გ. ა.

207. არჩილ რუგოშელი

ჯარია? არა – ჯერია!

(„ვეფხისტყაოსნის“ ერთი დამახინჯებული ტაეპის გამო)

ჟურ. „ჭოროხი“, 1986, № 3, გვ. 76-78.

ავტორი აღნიშნავს, რომ პოემის 825-ე სტროფის მეორე სტრიქონი: „დარბაზს ხასთაგან ჯარია ხელითა წვერთა ტაცისა“ სინტაქსურად გაუმართავია (ჯარია ... ტაცისა) – დ. კარიჭაშვილს ასე გაუსწორებია: ჯარია ... **მტაცისა**, მაგრამ უზუსტობა მაინც რჩება, – „ხასთაგან ჯარია“ ყოვლად შეუძლებელი სინტაგმაა.

მკვლევრის აზრით, სტრიქონი ასე უნდა გაიმართოს: დარბაზს ხასთაგან ჯერია ხელითა წვერთა ტაცისა. **ჯერია** ნიშნავს: ჯერ – არს, მართებულია, საქმნელია, ხამს. გ. ა.

208. ა. რუგოშელი

რიტმული ვარიაცია კი არა, გადამწერის შეცდომა

ჟურ. „ჭოროხი“, ბათუმი, 1986, № 5, გვ. 88-92.

„ვეფხისტყაოსნის“ 205-ესტროფის მეოთხე სტრიქონი მკვლევარს არასწორად მიაჩნია მეტრული წყობის მხრივ: „ასრე სულთქმით და ვაებით მით ვართ, ცრემლისაცა დენით“. სტროფი დაბალი შაირის წყობისაა, მაგრამ სადავო სტრიქონის მეორე ნახევარში სიტყვების მარცვლობრივი შედგენილობაა: 1+1.4.2 ნაცვლად 3.5 ან 5.3-ისა. ეს ერთადერთი შემთხვევაა ამ პოემაში და თუნდაც ამიტომ საეჭვოა მისი რუსთაველისეულობა.

მოცემული წაკითხვა მკვლევარს გადამწერის შეცდომად მიაჩნია და გვთავაზობს ასეთ კონიერქტურას: „... **მით ვართო ცრემლისცა დენით**“. აქ ბოლო (სარიტმო) სიტყვა თუმცა ორმრცვლიანია, მაგრამ „ვეფხისტყაოსანში“ სხვა კონტექსტებიც გვხვდება, როდესაც დაბალი შაირის სტრიქონი ორმრცვლიანი სიტყვით თავდება (დმოწმებულია 19 მაგალითი). ასეთ შემთხვევებში მას წინა სიტყვის ბოლო მარცვალი ემატება და რითმა სამმრცვლიანი გამოდის. ასეა განხილულ სტროფშიც, მისი რითმაა „ცადენით“. გ. ა.

209. აპოლონ სილაგაძე

ქართული ლექსის მეტრისა და რიტმის შესახებ

ალმანახი „კრიტიკა“, 1986, № 3 გვ. 106-137.

ავტორი განიხილავს მეტრისა და რიტმის ურთიერთდამოკიდებულებას, მის ვარიაციებს ქართულ ლექსში. მსჯელობა ემყარება კლასიკური პოეზიიდან მაგალითების ანალიზს (რუსთაველი, თეიმურაზ I, ა. წერეთელი, გ. ტაბიძე, მ. ლეონიძე, ა. კალანდაძე). მკვლევარი იზიარებს აკად. გ. წერეთლის დასკვნებს, რომ:

1. საკითხი მეტრისა და რიტმის დონეების დამოკიდებულების შესახებ უნდა წყდებოდეს კონკრეტულად – სხვადასხვა სალექსო სისტემებისათვის სხვადასხვანაირად;
2. ქართულში მეტრი სავსებით რეალური სიდიდეა, რომელიც შეიძლება გაიზომოს მარცვალთა რაოდენობის მიხედვით (გვ. 125). **გ. ა.**

210. ა. სილაგამე

კვლავ რუსთველური ლექსის ახალი კონცეფციის შესახებ

ჟურ. „მნათობი“, 1986, № 4, გვ. 154-166.

წერილი ეხმაურება ნ. ნათამის სტატიას „რუსთველური ლექსის ახალი კონცეფცია“ (მნათობი, 1985, № 12), რომელშიც განხილულია აკად. გ. წერეთლის ვერსიფიკაციული გამოკვლევები. ავტორი აღნიშნავს, რომ ნ. ნათამის მსჯელობა ზოგჯერ მეთოდოლოგიურად ზუსტი არაა და ზოგიერთი მისი თეზისიც მცდარია. ავტორის აზრით, რუსთველის ლექსთწყობაში ჯერ კიდევ ყველაფერი ბოლომდე გარკვეული არაა. „საჭიროა, პირველ რიგში, პრინციპული და მეთოდოლოგიური ხასიათის იდეების განხილვა, მათი არგუმენტირებული მიღება ან არ მიღება“. „ჩვენთვის... საგულისხმო უნდა იყოს ორი იდეა: ერთი - ა. გაწერელისა - იმის შესახებ, რომ ქართულ ლექსში ერთზე მეტი ფაქტორი ჩანს. მეორე - გ. წერეთლისა - იმის შესახებ, რომ უნდა დადგინდეს ერთი მუდმივი ფაქტორი“. შემდგომი კვლევს მიზანი უნდა იყოს ყველა ფაქტორის გამოვლენა და მუდმივისა და მთავრის დადგენა. **გ. ა.**

210a. ა. სილაგამე

მახვილის საკითხისათვის ქართულ ენაში

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1986, № 4, გვ. 5-18.

პრობლემა განხილულია ძირითადად ახალი (XIX და XX სს.) პოეზიის მაგალითების მიხედვით და მიღებულია შემდეგი დასკვნები:

1. ქართული ლექსი არ „იკითხება“ ბუნებრივი ენობრივი მახვილებით, მათ გარდა არსებობს „სალექსო“ მახვილებიც.
2. სალექსო მეტყველებაში სტრუქტურული მონაკვეთების როლში მოქმედებენ არა სიტყვები, არამედ მათგან აგებული სალექსო მახასიათებლები: მარცვალთრაოდენობა, საზღვრები და ა. შ.
3. ამ მახასიათებლებს შორის არის მახვილიც. სალექსო მახვილები აქვთ არა სიტყვებს, არამედ იმ მონაკვეთებს, რომლებიც სტრუქტურულია ლექსში. სალექსო მახვილები ზოგჯერ ემთხვევა სიტყვათმახვილებს.

ნარკვევს ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე. **გ. ა.**

211. ჯემალ სილაგამე

აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ურთიერთმიმართების

საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“

*თსუ ფილოლოგიის ფაკ. და საქ. სსრ უმაღლესი სასწ. ენის კათედრების
რესპ. სამეცნ. კონფ., ენათმეცნიერება I, თბ., 1986, 17-20 დევ., მოხს. თეზისები, გვ., 46-48
(მოგვაქვს შემოკლებით).*

ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართების მხრივ ყურადღებას იქცევს რამდენიმე ლექსიკური ერთეული:

1. „გული“ პოლისემიური სიტყვაა; მისი ძირითადი მნიშვნელობაა **გრძნობა**: „გული კრულია კაცისა...“; „უგულო კაცი ვერ კაცობს“.

2. გრძნობა აზროვნებამ უნდა განსაჯოს. აზროვნების აღსანიშნავად პოემაში გამოიყენება „გონება“, „ცნობა“. **გრძნობა** და გონება ერთმანეთთან კავშირშია და ერთი მეორეს გულისხმობს: „გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიან...“

3. გრძნობისა და გონების ურთიერთმომართება აზროვნების პროცესია. მისი პროდუქტია აღსანიშნავი – „ამბავი“, „საქმე“.

4. „საქმის“, „ამბის“ აღმნიშვნელია „ენა“, „სიტყვა“. „სიტყვა“ აღნიშნავს: ა) გაბმულ ტექსტს („გრძელი სიტყვა საწყინოა...“); ბ) მცნებას, დებულებას („მე სიტყვასა ერთსა გკადრებ, პლატონისგან სწავლა-თქმულსა“).

5. მეტყველების აქტს პოემაში აღნიშნავს: „საუბარი“, „თხრობა“, „თქმა“, „კადრება“, „მბობა“, „გამოგება“, „ზრახვა“. **გ. ა.**

212. რევაზ სირაძე

ქართული რენესანსის პრობლემისათვის

გაზ. „კომუნისტი“, 1986, 24 ნოემბ. გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ კლასიკური ფორმით რენესანსი საკუთრივ იტალიური და დასავლეთევროპული მოვლენაა, მაგრამ ტიპოლოგიურად მისი მსგავსი მოვლენები სხვაგანაც შეიძლება იყოს. ქართული რენესანსის საკითხი პირველად შ. ნუცუბიძემ დააყენა (1941, 1947 წწ.). თავდაპირველი კრიტიკული და სკეპტიკური გამოხმაურების მიუხედავად, მეცნიერთა შორის მას თანდათან მეტი მომხრე გამოუჩნდა, ვიდრე მოწინააღმდეგე. შ. ნუცუბიძის თეორიის კვალობაზე ვ. ჟირმუნსკიმ ჩამოაყალიბა შუააზიური რენესანსის თეორია, რომელსაც ამჟამად ი. ბრაგინსკი ავითარებს. ამ თეორიის განვითარების ერთ-ერთი ცდაა ვ. ჩალოიანის მონოგრაფია „სომხური რენესანსი“, ხოლო აკად. ნ. კონრადმა „ადმოსავლური რენესანსის“ თეორია აქცია მსოფლიო რენესანსთა უწყვეტი მონაცვლეობის თეორიად. თუმცა ნ. კონრადის მსჯელობაში ბევრი რამ სადავოა, რაც არაერთხელ აღინიშნა ქართველ მეცნიერთა ნაშრომებში.

წერილის ავტორის აზრით, დასახელებული პრობლემების კვლევაში ერთ-ერთი საყურადღებოა ა. ლოსევის წიგნი „აღორძინების ესთეტიკა“, ა. ლოსევი შ. ნუცუბიძის კონცეფციას განვითარებად თეორიად მიიჩნევს და პერსპექტიულად სახავს. განვლილი 45 წლის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა მეცნიერებაში და ბუნებრივია, რომ საჭირო ხდება კორექტივების შეტანა შ. ნუცუბიძის თეორიაში, მაგალითად, ა. ლოსევი სამართლიანად აკრიტიკებს ნუცუბიძის მტკიცებას, თითქოს რუსთაველის მსოფლმხედველობა ეფუძნებოდეს პანთეიზმსა და ერესს. იგივე უფრო ადრე აღნიშნული ჰქონდა კ. კველიძეს. ავტორის დასკვნით, ქართული რენესანსის პრობლემა დღესაც აქტუალურია და უდავოდ პერსპექტიულიც. **გ. ა.**

213. ჯემალ სტეფნაძე

ულტურისა და აზროვნების საკითხისათვის XII-XIII სს. მიჯნის

ქართულ ისტორიოგრაფიასა და პოეზიაში

კრებ. „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები“,

თბ. „მეცნიერება“, 1986, გვ. 26-38.

გამოკვლევაში ავტორი ეხება „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლმხედველობრივ საკითხებს, იძლევა პოემის ტექსტის თვითნებურ ინტერპრეტაციას. მაგალითად, მკვლევრის აზრით, „მაჰმადიანი ავთანდილი ქრისტიანული სამების (ერთარსება ერთის) თაყვანისმცემელია“ (გვ.31) და ამის დასამტკიცებლად არასწორად იმოწმებს ე. ხინთიბიძის წერილს („მნათობი“, 1966, № 9).

გამოკვლევაში გვხვდება ასეთი ზოგადი განცხადებები: „შოთა რუსთაველი მორწმუნე პოეტია“; „შოთას სწამს ემმაკიც და საიქიოც“ და ა. შ.

ჯ. სტეფანაძე უარყოფს XII-XIII საუკუნეების ქართული კულტურის რენესანსულ ხასიათს, მაგრამ სათანადოდ არ ითვალისწინებს ამ პრობლემის შესახებ არსებულ მდიდარ ლიტერატურას.

იხ. გამოხმაურება წიგნში: „სუსხიანი ბარათები“ (ბათუმი, 1992, გვ. 55-60) და აქვე ანოტ. №489. გ. ა.

214. რიმა ფირცხალაიშვილი

„გაიმართა ხელითა...მიქელისათა“
ალმანახი „მწიგნობარი“ 84 (ნაწილი მეორე),
თბ. 1986, გვ. 81-101.

ნარკვევი ეძღვნება „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ბეჭდური გამოცემის რედაქტორ-კორექტორის – მიქელის ვინაობის დადგენას. მისი მონაწილეობით დაბეჭდილ წიგნებში მიქელი მოხსენიებულია ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილად. მკვლევარი იძიებს XVII-XVIII საუკუნეებში ამ თანამდებობის პირთა ვინაობას და წარმომავლობას. აზუსტებს, რომ მიქელის მამა-პაპანი სასახლის კარის ღვთისმშობლის ხატის (სიონის) დეკანოზები ყოფილან. თვით მიქელის გარდა, მწიგნობრულ ასპარეზზე დამსახურებულნი არიან მისი ძმები: აბელი, გაბრიელი, დიმიტრი, აგრეთვე – ძმისწული მელქისედეკი. მათ მიერ გადაწერილი წიგნებისა და საბუთების მინაწერებიდან ისიც დგინდება, რომ მათი გვარი **კავკასიძეა**, მესხეთის აზნაურთა ერთ-ერთი გვარი, რომელნიც შემდეგ ქართლში გადმოსულან.

მიქელი უკანასკნელად 1722-23 წლებით დათარიღებულ დოკუმენტში იხსენიება. მკვლევარი ვარაუდობს, რომ იგი ამ წლებში მომხდარ ტრაგედიას – ლეკთა და თურქთაგან თბილისის დაპყრობასა და აკლემას შეეწირა. გ. ა.

215. აკაკი შანიძე

თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. V, ვეფხისტყაოსნის საკითხები
თბ., 1986, 480 გვ.

წიგნში დაბეჭდილია რუსთველოლოგიური გამოკვლევები და წერილები, რომლებიც 1966 წელს გამოქვეყნდა ავტორის კრებულში „ვეფხისტყაოსნის საკითხები“. მათ გარდა წიგნში კიდევ 26 ნაშრომია, რომლებიც დაბეჭდილი იყო სხვადასხვა დროს. მათ შორის – „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონი, რომელიც ერთვოდა პოემის 1957 წლის გამოცემას. წიგნს ახლავს პირთა და საგნობრივი (ეტიმოლოგიების) საძიებლები. გ. ა.

216. გურამ შარაძე

მისტიფიკაცია თუ სინამდვილე?

(შოთა რუსთაველის ე. წ. არაბული ლექსების გამო)

მის წიგნში - „საქართველოს მზე და სიყვარული ალბიონის კუნძულზე“ თბ., 1986, გვ. 92-103.

ავტორს სრულად მოაქვს 1936 წელს პარიზში ჟურნალ „ქართლოსში“ (№11-12) დაბეჭდილი წერილები ნიკო დადიანისა და პროკოფი აბულაძისა ე. წ. რუსთაველის არაბული ლექსების თაობაზე. იქვე დაბეჭდილია ბერძნულიდან პ. აბულაძის მიერ ქართულად თარგმნილი ლექსები და მოკლე ბიოგრაფიული ცნობა რუსთაველზე, რომლებიც ჟურნალისტ ტრიკოვლიდის თქმით, მან ძველი არაბული კრებულიდან გადათარგმნა ბერძნულ ენაზე.

გ. შარაძე აღნიშნავს, რომ პრ. აბულაძე იყო პირველი, ვინც 1920 წლის ახლოს პირადად ნახა ტრიკოვლიდისი და ქართულ ენაზე გადმოიღო მისი „თარგმანები“. ბოლო წლებში პროფ. ლ. მენაბდის მიერ მოპოვებული მასალებით ამ საკითხს ახალი შუქი ეფინება და შოთა რუსთაველის ე. წ. არაბული ლექსების არსებობა უფრო მისტიფიკაციისკენ იხრება, თუმცა კითხვაზე საბოლოო პასუხი არ გვაქვს. გ. ა.

217. გ. შარაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ჩვენში უცნობი ლექსიკონი

მის წიგნში - „საქართველოს მზე და სიყვარული ალბიონის კუნძულზე“, თბ., 1986, გვ. 138-139.

ავტორი წერს: „გადავიღე და საქართველოში ჩამოვიტანე ჩვენში სრულიად უცნობი „ვეფხისტყაოსნის ლექსიკონის“ პირი, რომელიც ამ საუკუნის 30-იან წლებში შეუდგენია და 1937 წელს პარიზში დაუბეჭდავს ივ. გახოკიძეს (1883-1943).“

ლექსიკონის შედგენისას ივ. გახოკიძეს გამოუყენებია პოემის 1920 წლის დ. კარიჭაშვილის გამოცემა, უსარგებლია სხვა ლექსიკონებთან და მიხ. წერეთლის კონსულტაციით. ეს ლექსიკონი შედგენილია განსხვავებული პრინციპით: განსამარტი სიტყვები ანბანის რიგზე კი არ არის გაწყობილი, არამედ პოემის სტროფების თანამიმდევრობის მიხედვით არის ახსნილ-განმარტებული. **გ. ა.**

218. გ. შარაძე

**„ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე სტროფის უცნობი ნუსხა „ზატის“
1738 წლის გამოცემაში**

მის წიგნში - „საქართველოს მზე და სიყვარული ალბიონის კუნძულზე“, თბ. 1986, გვ. 211-219.

ავტორი წერს, რომ გურჯაანის რაიონის სოფელი შრომის (ძველი ვაჩნაძიანის) სამხარეთმცოდნეო მუზეუმში დაცული ერთ-ერთი წიგნის, 1738 წელს მოსკოვში გამოცემული „ზატის“ ყდის შიდა ორივე გვერდზე ჩაწერილია „ვეფხისტყაოსნის“ რვა სტროფი პოემის სხვადასხვა ეპიზოდებიდან.

ს. ცაიშვილის ვარაუდით, ეს სტროფები გადაწერილია ვრცელი რედაქციის შემცველი რომელიღაც ხელნაწერიდან. (ამჟამად ცნობილ ნუსხების ტექსტს სტროფების წაკითხვები ზუსტად არ ემთხვევა.) ამდენად, ეს ახლად აღმოჩენილი სტროფები ანგარიშგასაწევი ხელნაწერის მნიშვნელობას იძენს და XVIII საუკუნის ნუსხათა რიგში დგება.

გ. შარაძის წერილში დაბეჭდილია ეს სტროფებიც. **გ. ა.**

219. Раул Чилачава

**Проблемы перевода поэмы Ш.Руставели „Витязь в тигровой шкуре”
на русский язык**

*Автореферат дис. на соиск. учен. степ. канд. филол. наук,
Киев, 1986, 24 с.*

იხ. აქვე ანოტ. №136ა.

220. გურამ ჩიქოვანი

**პოეზიისა და სიბრძნის ანკარა წყარო
(არაბულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ გამოსვლასთან დაკავშირებით)
გაზ. „კომუნისტი“, 1986, 31 აგვისტო, გვ. 3.**

წერილში აღნიშნულია, რომ 1985 წელს სირიის დედაქალაქ დამასკოში გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის“ არაბულ თარგმანი. მთარგმნელია პოეტი ნიზარ ხალილი, გამომცემელი - ლევან საღარაძე. ამ გამოცემამ დიდი ინტერესი გამოიწვია არაბულენოვან ქვეყნებში. წერილის ავტორი გვაცნობს ლენინგრადელი აღმოსავლეთმცოდნის ა. ხალიდოვისა და სირიელი მწერლის ჰასან იუსუფის რეცენზიებს, რომლებიც ამ გამოცემას ეძღვნება. ისინი უმაღლეს შეფასებას

აძლევენ ნიზარ ხალილისეულ თარგმანს. ა. ხალიდოვის თქმით, „თარგმანის ენობრივი და ლიტერატურული ღირსებები ხელს შეუწყობს არაბული კულტურის ჰორიზონტების გაფართოებას“. ჰასან იუსუფი კი ამ თარგმანის მიმართ ხმარობს არაბულ ტერმინს „მუჰჰამუნს“-ს, რომელიც ყურანის ერთ-ერთი ეპითეტია და ნიშნავს სრულყოფილს, საუცხოოს, ნათელს, მაღალ დონეზე შესრულებულს.

რუსთაველის პოემის ამ გამოცემას გამოეხმაურნენ აგრეთვე ეგვიპტესა და აბუ დაბიში.

გ. ა.

221. სარგის ცაიშვილი

შოთა რუსთაველი და მისი პოემა

წინასიტყვაობა წიგნისა: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ. „მერანი“, 1986, გვ. 5-32.

ნარკვევში მოცემულია რუსთაველის ეპოქის საქართველოს სოციალ-პოლიტიკური და კულტურული მდომარეობის მოკლე მიმოხილვა, წარმოდგენილია პოეტის მსოფლმხედველობის, „ვეფხისტყაოსნის“ რენესანსული იდეალების, მისი პერსონაჟების დახასიათება, განხილულია თხზულების ჟანრის, თემატიკისა და პოეტიკის საკითხები, რომლებიც ავტორს გაშუქებული ჰქონდა 1966 წელს პერიოდიკაში გამოქვეყნებულ გამოკვლევებსა და წერილებში (იხ. ანოტაციები „რუსთვ. ლიტ.-ის ბიბლიოგრაფიის“ III ტომში).

ნარკვევი მეორდება „ვეფხისტყაოსნის“ 1988 წელის გამოცემაში - სერიით „ქართული მწერლობა ოცდაათ ტომად“, ტ. IV, თბ. „ნაკადული“, გვ. 329-373. გ. ა.

222. ს. ცაიშვილი

ძველი ლექსიკოგრაფიული ნაშრომი „ვეფხისტყაოსანზე“ და მისი უცნობი ავტორი

წიგნში: „წინამორბედი და თანამედროვენი“, თბ., 1986, გვ. 227-248.

ავტორი გვთავაზობს რამდენიმე დაკვირვებას მე-18 საუკუნის მიწურულის ერთ-ერთ ხელნაწერ ლექსიკონზე, რომლის ავტორიც აქამდე უცნობი იყო.

ავტორის შენიშვნით, საკვლევი ხელნაწერი ლექსიკონი წარმოადგენს A რედაქციის არქეტიპს და თარიღით უსწრებს ამჟამად ჩვენთვის ცნობილ „ვეფხისტყაოსნის“ ყველა ლექსიკონიან წესხას. თავისი მნიშვნელობით ის წინ დგას იმ ხელნაწერ ლექსიკონთა შორის, რომლებიც ამავე პერიოდშია შექმნილი.

ავტორს ამ ხელნაწერის ვრცელი მეცნიერული დახასიათება წარმოდგენილი აქვს ნაშრომში – „ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია“, ტ. II, 1970, სადაც ასევე დადგენილია ხელნაწერის შესრულების თარიღი (1790 წ.). წინამდებარე წერილში კი არკვევს ხელნაწერის ავტორის ვინაობასაც.

ავტორი აღნიშნავს, რომ ეს ხელნაწერი ყურადღებას იქცევს არა მარტო თარიღით, არამედ თავისი სისრულითაც, სადაც „ვეფხისტყაოსნის“ 700-მდე სიტყვაა განმარტებული და თვით ვახტანგის განმარტებასაც კი აღემატება.

A-885 ხელნაწერზე დართული ლექსიკონის უმთავრეს ღირსებად ავტორი მიიჩნევს იმას, რომ ლექსიკოგრაფი ხშირად საკუთარ კარგ განმარტებებს იძლევა, ზოგი სიტყვის განმარტება კი საერთოდ პირველი ცდაა ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიაში.

ავტორს ამის დასტურად მოჰყავს რამდენიმე სიტყვის მაგალითი. ეს სიტყვებია: „შეკვეთილი“, „მზმელი“, „მოვანება“, „გვირაბი“, „გაის ქუშობს“, „შეის ხასობს“, „ჟღერა“, „მიდია“.

ავტორი ადგენს, რომ A-855 ხელნაწერში მოთავსებული „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონის გადამწერისა და ავტორიც არის პეტრე ლარამის უფროსი ძმა **იოანე გიორგის ძე ლარამე**. **ნ. მ.**

223. ს. ცაიშვილი

„ნიშატნი საჩანგდაფენი“

წიგნში: „წინამორბედი და თანამედროვენი“ თბ., 1986, გვ. 422-425.

ავტორი აღნიშნავს, რომ ეს გამოთქმა „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ბეჭდური გამოცემიდან მოყოლებული იბეჭდებოდა ფორმით: „ნიშაგნი ნაჩანგდაფენი“. ივანე გიგინეიშვილმა სხვადასხვა მკვლევარების მიერ ამ ფრაზის ამოხსნისა და გამართვის უშედეგო მცდელობა სრულიად უბრალოდ გადაჭრა. მან აქამდე არსებული წაკითხვა ვახტანგისეული გამოცემის მექანიკურ შეცდომად მიიჩნია, რაც „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებითაც დადასტურდა.

ამდენად აღმოჩნდა, რომ „ნიშატი“ არაბულიდან ნასესხები სიტყვაა და ნიშნავს მხიარულსა და სიხარულს. ხოლო სიტყვა „საჩანგდაფე“ ,რომელიც **სა – ე** კონფიქსიტაა ნაწარმოები კომპოზიტის მრავლობითი ფორმაა (სა-ჩანგ-დაფე-ნი). სტრიქონი ასე განიმარტება: „უთქვენოდ მყოფთ საჩანგდაფო (ჩანგისა და დაფის დაკვრა რომ მართებს) ისეთი მხიარულება არ გვინდაო, ანუ: რა ფასი ექნება უთქვენოდ გადახდილ ზეიმსო“. **ნ. მ.**

224. Соломон Цаишвили

Специфические особенности художественного мышления

III. რუთაველი

Автореф. дисс. на соиск уч. степ. кандидата филол. наук,

Тб., 1986, 24 გვ.

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლისა და ოთხი თავისაგან. მასში მოცემულია თავისებური გააზრება ზოგიერთი მსოფლმხედველობითი ტერმინისა („ბამცა“, „ვალი“, „ცოდვა“, „ჭირთა თმენა“...) და რამდენიმე ეპიზოდისა, რომლებიც მნიშვნელოვანია მხატვრული თვალსაზრისით.

225. სოლ. ცაიშვილი

რუსთაველის მხატვრული აზროვნების

თავისებურებათა შემეცნებისათვის

ჟურ. „მნათობი“, 1986, № 3, გვ. 164-169.

წერილში განხილულია „ვეფხისტყაოსანში“ ნახმარი რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობა. მაგ., 21-ე სტროფში სიტყვა „**ჰამცენ**“, ნ. ნათამის განმარტებით, არის ზეციური იდეებისადმი ქვეყნიურ საგანთა მიმართების აღმნიშვნელი პლატონისეული ტერმინი „მიმეზის“-ი. ამავე აზრისაა რ. სირამეც. წერილის ავტორის აზრით, ტერმინმა „ბამცამ“ ქრისტიანულ ეპოქაში სრულიად გარკვეული კონკრეტული ეთიკური კონცეფციის მნიშვნელობა შეიძინა.

ტაეპში: „იგია ლხინი სოფლისა, იგია ნივთი და ვალი“(147-3) გამოთქმა „**ლხინი სოფლისა**“ აღნიშნავს, რომ ავთანდილი სოფლის (ქვეყნის) ბედნიერებაა, მისი სიხარულია. წერილის ავტორი ეთანხმება ვახტანგ VI-ს „**ნივთის**“ განმარტებაში (ნივთი ყოველსაფერს სახმარსა ჰქვინა“). მას მიაჩნია რომ ტერმინ „**ვალს**“ რუსთველი იდენტური შინაარსობრივი დატვირთვით ხმარობს კომპოზიციური თვალსაზრისით ერთგვაროვან სიტუაციებში (აქ ქვეყანა ავთანდილის მოვალეა). გამოთქმაში „**სახე** ყოვლისა ტანისა“ (2-1), ავტორის აზრით, „ყოველი ცოცხალი სხეული კი არ იგულისხმება, არამედ ყოველი ადამიანის არქეტიპის – ადამის შექმნა; „სახეში“ აქ იგულისხმება პირველსახე. **გ. ა.**

226. ძველი ქართული მწერლობის მკვლევარნი

თბ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1986, 389 გვ. რედაქტორები: ა. ბარამიძე, ლ. მენაბდე.
კრებული მომზადებულია ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე.
ავტორები არიან: ალ. ბარამიძე, ლ. მენაბდე, ბ. კილანავა, ქ. ცხადაძე, ი. ლოლაშვილი,
კ. კეკელიძე, გ. ფარულავა, ტ. რუხაძე, ლ. გრიგოლაშვილი, ე. ხინთიბიძე, რ. სირაძე,
ჯ. აფციაური, გ. შარაძე, ნ. მახათაძე და სხვ.

კრებულში დახასიათებულია ძველი ქართული ლიტერატურის კვლევაში გაწეული მუშაობა შემდეგი მეცნიერებისა და მწერლებისა: თ. ბაგრატიონი, მ. ბროსე, პ. იოსელიანი, დ. ჩუბინაშვილი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, გ. წერეთელი, ა. სარაჯიშვილი, მ. ჯანაშვილი, ვაჟა-ფშაველა, დ. კარიჭაშვილი, ა. ხახანაშვილი, ნ. მარი, იუსტ. აბულაძე, ილია აბულაძე, ი. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ვუკ. ბერიძე, ს. კაკაბაძე, შ. ნუცუბიძე, კ. ჭიჭინაძე, მ. გოგიბერიძე, ს. იორდანიშვილი, გ. ლეონიძე, ე. თაყაიშვილი, ს. გორგაძე. აქვე წარმოჩენილია დასახელებულ მკვლევართა რუსთველოლოგიური ნააზრევი, მათი დამსახურება რუსთველის ბიოგრაფიის კვლევის, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების შესწავლისა და ნაბეჭდ გამოცემათა ტექსტების მომზადებაში.

კრებულს უძღვის ა. ბარამიძის „წინასიტყვა“ (გვ.5-11). გ. ა.

227. ნანი წაქაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან (ხაფი-ჯაფი)

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1986, № 4, გვ. 32-38.

მკვლევარს მიაჩნია, რომ ამ სიტყვის ფონეტიკურად და სემანტიკურად იდენტური ლექსიკური ერთეული დასტურდება სემიტურ ენებში: იუდ.- არამ. – haifa; სირიული – hafai; არაბ. – haif – hafat.

სირიულსა და არაბულში მას ასეთი მნიშვნელობები აქვს:

1) ძალა, ძლიერება, უკანონობა, ტირანია, სიმკაცრე, სისასტიკე, ენერჯია, შემართება, თავშეუკავებლობა, მგზნებარება, დაუოკებლობა, მისწრაფება.

2) ძლიერი, მძლავრი, ენერგიული, მისწრაფებული, მოძალადე, ტირანი, უშიშარი, მეგრძოლი, ამპარტავანი. სიტყვის სემანტიკა ფართოა.

ქართულ წერილობით ძეგლებში დადასტურებული ხაფი-ჯაფი სწორედ ეს სემიტური სიტყვა უნდა იყოს. მისი სემანტიკური ნიუანსები, სემიტურის ანალოგიურად, ქართულშიც შესიტყვებებშია გამოვლენილი: „ხაფი ხმა“ – მაღალი ხმა, ყიჟინის ხმა; „ხაფი სიტყვა“ – მკაცრად თქმა, ბრძანება; „ხაფად თავდასხმა“ – ფიცხლად, მოულოდნელად თავდასხმა; „ხაფად წაკიდება“ – სასტიკად, დაუნდობლად შეგება.

„ვეფხისტყაოსნის“ ის სტრიქონები, სადაც „ხაფი“ „ხმასთან“ შესიტყვების გარეშე გვხვდება, ასე უნდა განიმარტოს: „ყოლა ვერას ვერ მეხაფნეს“ – (654-2) „ვერაფრით ვერ გამიძალიანდნენ, წინააღმდეგობა ვერ გამიწიეს“;

„ხმა ტარიელის ხაფისა“ – (1416-1) „გაფიცხებული ტარიელის ხმა“;

„დავითის ქნანი ვითა ვთქვენ, სიჩაღხე-სიხაფეთანი“ (1667-1) – „როგორ ვთქვა დავითის საქმეები, მისი სიმარდე და სიძლიერე“.

ხაფი – ჯაფი შემოსულია ან უშუალოდ არაბულიდან, ან სპარსულის მეშვეობით. რაც შეეხება ამ სიტყვის ორთოგრაფიას, პირველადი უნდა იყოს ხანიანი ფორმა – ხაფი და არა ჯაფი.

ნ. გ.

228. ალექსანდრე ბარამიძე

„ვეფხისტყაოსნის ღვთისმეტყველება“

გაზ. „ლიტ.საქართველო“, 1987, 7 აგვისტო, №32, გვ.10-11.

წერილში განხილულია ვიკტორ ნოზაძის წიგნი „ვეფხისტყაოსნის ღვთისმეტყველება“ (პარიზი, 1963). რეცენზენტი აღნიშნავს, რომ ვ. ნოზაძე ბრალს სდებს ქართველ მეცნიერებს პრობლემის შეუსწავლელად ნაჩქარევი და ზერეულ დასკვნების გამოტანაში, რის შედეგადაც შოთა რუსთაველი გამოცხადებულია სხვადასხვა ავტორის მიერ: ქრისტიანად, წარმართად, პანთეისტად, მანიქეველად, ერეტიკოს-მისტიკოსად, მუსლიმანად, ათეისტად, მატერიალისტად და ა. შ.

ვ. ნოზაძე საქმის ცოდნითა და ფართო ერუდიციით განიხილავს და აკრიტიკებს აღძრულ პრობლემაზე არსებულ კონცეფციებსა თუ ცალკეულ შეხედულებებს. მისი აზრით, „ვეფხისტყაოსანს“ თავიდან ბოლომდე მსჭვალავს მართლმადიდებლური ქრისტიანული თეოლოგიის თვალსაზრისი, რომ რუსთაველის რელიგია და ფილოსოფიაა „ხალასი ქრისტიანობა“. პოემის რელიგიურ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობა მთლიანად ემყარება დიონისე არეოპაგელის ქრიტოლოგიურ თეოლოგიას.

საინტერესო და ანგარიშგასაწევია მკვლევრის მოსაზრებები რენესანსისა და ჰუმანიზმის საკითხებზე. მას მიაჩნია, რომ ბიზანტიასა და საქართველოში მთლიანად არასოდეს შეწყვეტილა ანტიკური კულტურის ტრადიციები; ამით განსხვავდება ქართული რენესანსი ევროპულისაგან.

გ. ა.

229. ალ. ბარამიძე

აკადემიური „ვეფხისტყაოსანი“

ალმანახი „მწიგნობარი“ 86, თბ., 1987, გვ. 25-43.

წერილში საუბარია „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაზე 1969 წლიდან 1984 წლამდე. ამ პერიოდში პოემის მეცნიერული ტექსტის დადგენა, მისთვის ხელნაწერებსა და კრიტიკულ გამოცემებში არსებული ვარიანტული წაკითხვების, ენობრივი და პოეტიკური კომენტარების დართვა და გამოსაცემად მომზადება.

ავტორი მსჯელობს იმ რთულ, სადავო და ზოგჯერ ბუნდოვან წაკითხვებზე, რომლებიც მთავარმა რედაქციამ გაასწორა. ასეთებია, მაგ.: ვიხმარე ... კალმად **მინა** რხეული (4,3), შეიცვალა: **მე ნა** რხეული; თვალთა წინა გამოვექეც, მეტი არა **შევეზურახე** (294,3) – **შევეზურახე**; მისი რასმე მკადრებელი მოამდაბლა, **მოამიწა** (209,3) – **მოაწიწა**; ... სახლსა ჩემსა **მიმაწვინე!** (354,3) – **მიმაწინე**;

წამოვიხვენ საჭურჭლენი, სახელმწიფო **დავიავრე** (464,2), ბოლო სიტყვის ადრე მიღებული შინაარსი (აკლება, გამარცვა) შეიცვალა სხვა მნიშვნელობით – მოგვარება, წესრიგის დამყარება. ამილახორო, მოასხი **რემა, ჯოგი და ცხენია** (54,2) შეიცვალა: **რემა-ჯოგი** და ცხენია (რემა-ჯოგი“ გაუხედნავი ცხენების ჯოგს ნიშნავს).

მთავარმა რედაქციამ პოემის ძირითად ტექსტში შეიტანა მანამდე ინტერპოლაციად მიჩნეული სტროფები:

წიგნი წიგნსა ეცემოდა... (329)

კაცმან ვით ჰპოვოს... (304)

მაგრა ღმერთმან მოწყალემან... (305)

რა მინდორს შევჯდი... (335)

მან უთხრა: წადით, დაკარგეთ... (581)

მთავარი რედაქციის აზრით, ინდო-ხატაელთა ამბის ჩვენ დრომდე მოღწეული ტექსტი ვერ ჩაითვლება შოთა რუსთაველის ნაწარმოებად. ეს არის აღდგენილი, განახლებული, ანუ რესტავრირებული რედაქცია. ამის მიუხედავად ის მაინც დაიბეჭდება პოემის აკადემიურ

გამოცემაში, რამდენადაც ავსებს ნაწარმოების შინაარსობრივ ხარვეზს, ამოლიანებს და კომპოზიციურად კრავს პოემის სიუჟეტს. **გ. ა.**

230. ალ. ბარამიძე

რუსთველოლოგიური შენიშვნები

„ქალისა“ და „დიაცის“ მნიშვნელობათა გაგებისათვის კრებ. „აკაკი შანიძე – 100“, თბ., 1987, გვ. 261-266;

მკვლევარი აღნიშნავს, რომ დასახელებული ტერმინების შინაარსი „ვეფხისტყაოსანში“ განსხვავდება ამ სიტყვების უფრო გვიან მიღებულ (გაფართოებულ) მნიშვნელობათაგან (იხ.ს-ს ორბელიანი,ნ. ჩუბინაშვილი, ქეგელ და სხვ.). რუსთველის პოემაში **დიაცი** ნიშნავს გათხოვილ დედაკაცს,დიასახლისს, მანდილოსანს; **ქალი** კი – გაუთხოვარ ასულს, ქალიშვილს, ქალწულს.

გ. ა.

231. ვალერიან გაბაშვილი

მახლობელი აღმოსავლეთის ფეოდალური ეკონომიკა

„ვეფხისტყაოსნის“ მონაცემების მიხედვით

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1987, № 3, გვ., 146-169.

„ვეფხისტყაოსნის“ მონაცემების ანალიზის საფუძველზე ნარკვევში გამოთქმულია მოსაზრებანი XI-XII საუკუნეების ეკონომიკის შესახებ. დახასიათებულია ძირითადი დარგები: ხელოსნობა და ვაჭრობა, საექსპორტო და საიმპორტო საქონელი, მიმოქცევაში არსებული ფული, ძვირფასი ქვები და სხვ.

მკვლევრის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ ეკონომიკური მონაცემები თამამად შეიძლება გამოვიყენოთ როგორც ამიერკავკასიის ქვეყნების, ასევე მახლობელი და შუა აღმოსავლეთის სახელმწიფოების ეკონომიკის შესასწავლად. **გ. ა.**

232. ზვიად გამსახურდია

ვეფხისტყაოსანი და წმინდა გიორგის კულტი

კრებ. „ლიტერატურული ძიებანი“, 2 (XVII), 1987, გვ. 212-249.

ნაშრომში „ვეფხისტყაოსანი“ დაკავშირებულია საქართველოში არსებულ წმინდა გიორგის კულტთან. მასში მიმოხილულია საქართველოში წმინდა გიორგის კულტის სპეციფიკა (კერძოდ, მის კრებით სახეზეა საუბარი). ავტორის აზრით, პოემის სიუჟეტში, ასევე გმირთა (ტარიელის, ავთანდილის, ფრიდონის) სახეებში აირეკლა სამსახოვანი წმინდა გიორგისა და მისი არქეტიპის, მზიური გმირის სახე, რომელიც ყველა ხალხის მითოლოგიურ და რელიგიურ წარმოდგენებში განასახიერებს ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვებას, ბნელი ძალების (დრაკონის) კეთილის მიერ ძლევას.

ავტორის დაკვირვებით, პოემის სიუჟეტი მჭიდროდაა დაკავშირებული ქართულ მითოლოგიასთან, განსაკუთრებით კი, ლეგენდასთან წმინდა გიორგისა და ღვთისშვილთა მიერ ქაჯეთის დალაშქრის შესახებ, იქიდან ქალღვთაების – სამიმრის გამოსახსნელად. ეს ქალღვთაება ფოლკლორში ფიგურირებს როგორც ნაყოფიერების ქალღმერთი, „ვეფხისტყაოსანში“ კი გვევლინება ღვთიურობის, სიბრძნის, ანუ სოფიის ალეგორიულ პერსონიფიცირებულ სახედ (ნესტანი – სოფია, ღვთისმშობელი, მარადქალური საწყისი. ქაჯეთი – წმინდა გიორგის მიერ დამარცხებული გველი, ანუ ქვესკნელი, ბნელი საწყისი).

ნაშრომის ავტორი საუბრობს აგრეთვე ვეფხის, ლომის, ვეფხის ტყავის სიმბოლოებზე, სახელის „ტარიელის“ ეზოთერულ შინაარსზე. **ნ. გ.**

233. ზ. გამსახურდია

„თამარიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1987, № 4, გვ. 62-88.

ნაშრომი შედგება ორი ნაწილისაგან:

1. თამარ მეფე და სულიწმიდის ჰიპოსტაზი;
2. „თამარიანში“ ჩართული ელევია და „ვეფხისტყაოსანი“.

ავტორის აზრით, „თამარიანად“ წოდებული ოდები XII საუკუნისა, რომელთა ავტორად ჩაბრუნებამ ითვლება, ფილოსოფიურ-მხატვრული კონცეფციით შინაგანად უკავშირდება „ვეფხისტყაოსანს“. ოდებში შექმნილია თამარ მეფე, ის განდიდებულია როგორც ღვთაებრივი სიბრძნის, ღვთაების მესამე იპოსტაზის, სულიწმიდის, პერსონიფიკაცია, რომელიც ახორციელებს მესიურ და თეოკრატიულ იდეალს დედამიწაზე, უბრუნებს კაცობრიობას დაკარგულ სამოთხეს და ღმერთთან აახლოებს მას.

„ვეფხისტყაოსანი“ ალევორიულად აქვს იმავე პიროვნებას (თამარ მეფეს) თინათინისა და ნესტან-დარეჯანის სახით, რომელნიც სიმბოლურად გამოხატავენ ღვთაების ორ ასპექტს: კატაფათიკურს და აპოფათიკურს. გმირების გზა ალევორიულად გამოხატავს დაკარგული სამოთხის, სოფიის – ღვთაებრივი ცხოვრებისა და სიბრძნის ძებნას და დაბრუნებას. გ. ა.

234. ზ. გამსახურდია

„ვეფხისტყაოსნის“ სიმბოლური ონომატოლოგია

საქართველოს სსრ. მეცნ. აკადემიის მოამბე,

127, № 3, 1987, გვ. 657-660.

როგორც მკვლევარი წერს, შუასაუკუნეობრივი რომანის ნიმუშებს ახასიათებთ სიმბოლური ონომასტიკონი, გმირის სახელის სემანტიკის განსაზღვრა ავტორის იდეურ-მსოფლმხედველობრივი და მხატვრული ჩანაფიქრიდან გამომდინარე, ან შერჩევა ტრადიციით არსებული სიმბოლური სახელებისა. „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა სახელების წარმოებაშიც შეინიშნება ალევორიული ეტიმოლოგიზმი. მაგ., სახელი „ტარიელ“ ნაწარმოებია ორი ფუძიდან „ტარ“ და „ელ“. არაბულ ენაში და, კერძოდ, სუფიქსურ ტერმინოლოგიაში „ტარიქ“, „ტარიქა“ ნიშნავს ინიციაციის გზას, ხოლო „ელ“ სემიტურ სამყაროში გავრცელებული ერთ-ერთი საღმრთო სახელია. მათი შერწყმა გვაძლევს „საღვთო გზას“, ღვთაებრივი საწყისის პერსონიფიკაციას. ამასთან, ტარიელი განასახიერებს პირველქმნილ ადამს, არქეტიპულ კაცსა და ლოგოსს.

სახელი „ავთანდილ“, იუსტ. აბულამის გამოკვლევით, მოდის არაბ. „ვატან უდ დინ“-იდან, რაც ნიშნავს „სარწმუნოების ბინას, კერას, სამშობლოს“. ზ. გამსახურდიას აზრით, ავთანდილი წარმოადგენს ფილოსოფიური რწმენის პერსონიფიკაციას. შერმადინის სახელიც სარწმუნოებას უკავშირდება და ნიშნავს „სარწმუნოების კდემას, კრძალულებას“.

„ნურ“ სუფიური ნათელის სახელწოდებაა. „ნურადინ ფრიდონ“ ნიშნავს „სარწმუნოების ნათელს“.

„თინათინი“ განასახიერებს სპეკულატურ ფილოსოფიას, გონებისმიერ ჭვრეტაზე დამყარებულს. სახელი „ნესტანდარეჯან“ („ნესთ ანდარე ჯეჰან“) საღვთო სიბრძნის, სოფიას პერსონიფიკაციაა. „ფატმან“ მომდინარეობს არაბულ-სუფისტური ტერმინიდან „ფაჰმატ“ (ცოდნა).

მკვლევრის დასკვნით, „ვეფხისტყაოსანი“ ალუზიური, ენიგმატური პოემა-რომანია. მასში მითოპოეტური აზროვნება შერწყმულია შუასაუკუნეობრივ სიმბოლიზმთან და ალევორიზმთან. პოემაში გამოყენებულია სუფიზმის საიდუმლო ხატოვანი ენისათვის დამახასიათებელი ტერმინები. გ. ა.

235. ალექსანდრე გვახარია

„ვეფხისტყაოსნის“ ორი ადგილის განმარტებისათვის

მოხსენებათა თეზისები სამეცნ. კონფ. გიორგი ახვლედიანის დაბადების 100 წლისთავისადმი, თსუ 1987, გვ. 9.

ავტორი განმარტავს „ვეფხისტყაოსნის“ მე-3 სტროფის სტრიქონებს:

„მას, არა ვიცი, შევკადრო შესხმა **ხოტბისა შერისა,**

მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს, მართ **მიშერისა“.**

მკვლევარი აღნიშნავს, რომ „შერისა-მიშერისას“ გარშემო მთელი ლიტერატურაა შექმნილი, მაგრამ ეს ადგილი დღესაც ცილობას იწვევს. ავტორი მისაღებად მიიჩნევს გიორგი წერეთლის განმარტებას (ხუტბა შერ – რჩეული ლექსი; მიშერი – გოლეულის თაფლი), რომელიც მცირეოდენი დაზუსტებით უნდა ნიშნავდეს: „მას (თამარის ლომს) – დავითს, არ ვიცი, შევკადრო რჩეული, ბრწყინვალე ხოტბის შესხმა? მისმა მჭვრეტელებმა უნდა მიათვან თაფლის ყანდი (შაქარყინული), ე.ი. ტკბილი ლექსები.

2. სტროფი 424,3:

„მოციქულნი დავაყენენ, **ხარგა** დავდგი, არ **მაზრები“.**

ა. გვახარია მიუთითებს, რომ „მაზრები“ ლექსიკონებში ახსნილია, როგორც „მაზარას“ ან „მაზრას“ მრავლობითი რიცხვი და განიმარტება „ფაცხად, უბრალო ქსოვილისაგან გაკეთებულ კარვად“. ავტორი მას მიაჩნია, რომ აქ უნდა იყოს არაბული ტერმინის „მაზრებ“-ის მხოლოდობითი რიცხვი, რომლის მნიშვნელობაცაა: კარვის დასაცემი ადგილი, სამხედრო ბანაკი; დიდი კარავი. ამრიგად, ავტორის აზრით, ერთმანეთს უპირისპირდება „ხარგა“ (სპ. ხარგაკ – ვრცელი ადგილი; დიდი, მრგვალი სამეფო კარავი – და „მაზრები“, რაზედაც ტარიელის ნამშობივ მიუთითებს: „მოციქულები დავაბინავე, ხარგა დავუდგი და არა მაზრები“, ე. ი. სამეფო კარავი გავუშალე და არა სალაშქრო.

შდრ. აქვე ანოტ. № 339. **ბ. მ.**

236. М. А. Гоциридзе

**Об индивидуальном употреблении фразеологизмов в
еврейском переводе „Витязя в барсовой шкуре“**

კრებ. „სემიტოლოგიური ძიებანი“, III,

(გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნ. ინსტიტუტი)

თბ., 1987, გვ.13-17.

ნარკვევში მოცემულია „ვეფხისტყაოსნის“ ებრაულ თარგმანში დაფიქსირებული ოკაზიური ფრაზეოლოგიური ერთეულების გამოვლენის და კლასიფიკაციის ცდა. ასეთი განახლებული ფრაზეოლოგიზმები ქმნიან „მოულოდნელობის ეფექტს“ და ხასიათდებიან ინდივიდუალური პოეტიკის ნიშნით. **გ. ა.**

237. მერი გუგუშვილი

ალექსანდრე სარაჯიშვილი - რუსთველოლოგი

თბ., „მეცნიერება“, 1987, 110 გვ.

რედაქტორი ს. ცაიშვილი

წიგნში გადმოცემულია ალ. სარაჯიშვილის ბიოგრაფია, ნაჩვენებია მისი მოღვაწეობის ხასიათი და მუშაობის მეთოდი, გაანალიზებულია ალ. სარაჯიშვილის რუსთველოლოგიური მემკვიდრეობა როგორც გამოქვეყნებული, ისე საარქივო მასალების საფუძველზე. აქვე განხილულია ალ. სარაჯიშვილის მოსაზრებანი რუსთველის პიროვნებისა და თამარის დროის შესახებ, „ვეფხისტყაოსნის“ მოტივებსა და პერსონაჟებზე, პოეტის სარწმუნოებრივი აღმსარებლობაზე, პოემის ჟანრისა და ორიგინალობის თაობაზე.

ავტორის აზრით, ალ სარაჯიშვილი ანგარიშგასაწევი რუსთველოლოგია, მან მართებულად გაასწორა მთელი რიგი წაკითხვები, სწორად განმარტა მეტაფორები, საერთოდ, კარგად წარმოაჩინა „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენისა და სტილის თავისებურებანი.

წიგნს ერთვის რეზიუმე რუსულ ენაზე (გვ.105-106) და პირთა საძიებელი (გვ.107-110). გ. ა.

238. ნონა დარსაველიძე

სამკურნალო ქვის ფაზარის წარმომავლობისა და დანიშნულების შესახებ

*ოსუ, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, სამეცნიერო სესიის
მოხსენებათა თეზისები, თბ., 1987, გვ. 10-11.*

ქართული მწერლობის ძეგლებში **ფაზარის** ორი მნიშვნელობა დასტურდება:

ა) მინერალური წარმოშობის ძვირფასი ქვა, გამოიყენებოდა სამშენებლო მასალადაც.

ბ) უფრო გავრცელებულია ცხოველური წარმოშობის ფაზარი. ის სამკურნალო საშუალებად გამოიყენება. გვხვდება გველის და გველის მჭამელი ცხოველების – გარეული თხის, ირმის, მაიმუნის შინაგან ორგანოებში. ეს ფაზარი წარმომავლობითა და დანიშნულებით იგივეა, რაც ხუთო (ხვითო), ამიტომ გაჩენილა თხზული სახელი **ფაზარ-ხუთო**.

წარმოშობით ფაზარი სპარსული სიტყვაა (შდრ. ახ. სპ. badzahr) ბეზოარის ქვა, რომელიც ფრანგული ფორმით გავრცელდა სხვა ევროპულ ენებში.

239. ბორის დარჩია

ღვაწლი მამულიშვილური - განძი საშვილიშვილო

ალმანახი „მწიგნობარი“, თბ., 1987, გვ. 107-120.

წერილი ეძღვნება აკად. ალექსანდრე ბარამიძის პედაგოგიურ, სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მისი მრავალმხრივი ნაყოფიერი საქმიანობის აღწერისას ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს ალ. ბარამიძის დამსახურებას რუსთველოლოგიის დარგში; წერს, რომ იგი წვერი იყო „ვეფხისტყაოსნის“ 1937 წლის საიუბილეო ტექსტის დამდგენი კომისიისა, მონაწილეობდა 1951 და 1957 წლების გამოცემათა მომზადებაში. განსაკუთრებით ფასეულია ა. შანიძესთან ერთად განხორციელებული 1966 წლის გამოცემის ტექსტის დადგენა.

ალ. ბარამიძემ შექმნა ვრცელი, შემაჯამებელი მონოგრაფია რუსთაველზე, სადაც თავმოყრილია, სისტემურად დალაგებულია და განხილულია პოემასა და მის ავტორთან დაკავშირებული ყველა ძირითადი პრობლემა. ღვაწლმოსილი მეცნიერი კვლავ იღვწის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემის განხორციელებისათვის. გ. ა.

240. მარინე თუშიშვილი

ქართული „მზითვის წიგნების“ ლექსიკიდან (წერილი მეორე)

კრებ. სპარსულ-ქართული ცდანი, III, თბ. 1987, გვ. 47-59.

მკვლევარი განმარტავს „**ჩარყაფს**“, რაც „ვეფხისტყაოსნის“ ჩანართშიც გვხვდება – 314,2: „**ჩარყაფების ორხათა** გააკეთეთ ზოგან კელი“ (თუმცა ავტორი ამას არ იმოწმებს).

მისი განმარტებით, ჩარყაფი (ჩალყაფი) კერვის სახეობის აღმნიშვნელი ტერმინია. ზოგჯერ ის ტანსაცმელსაც ნიშნავს („მეფეთა და ამირათა შესამოსელი“). ჩარყაფი მოხსენებულია „ზააქიანში“ (შაჰნ. I, 193-1, 259-1). მზითვის წიგნებში გვხვდება ასეთ კონტექსტში: ჩარყაფად მუყაიშით ნაკერი კაბა. მძიმედ ჩარყაფად შეკერული სასთაული. ჩარყაფად შეკერული ახალი.

სხვა ძეგლებიდან: „შემიწირავს ერთი მძიმედ **ჩარყაფად შეკერული** სტიხარი“ (დას. საქ. საეკლ. საბ. I, 49,10.). „...**ჩარყაფად ნაქარგი** ენქერი“ (იქვე, I, 49,18).

„შაჰნამეში“ ჩარყავი ტანსაცმელია და არა ოქროქსოვილი (როგორც იუსტ. აბულაძეს ესმის). ამ სიტყვას ორთოგრაფიულად უახლოვდება **ჩალყათი** (ჩარღათი – ჩორღათი), რაც თავსაფარს, თავზე მოსახვევს ნიშნავს. ჩალყათი სხვადასხვა ქსოვილისაგან მზადდებოდა (ყალამქარი, მუშია, მარმაში), იყო ვარაყიანი და ვარაყის გარეშე („ჩალყავი, ოქროს ვარაყითა დაბასმული, ნათელი“. „ყალამქრის ჩაყლათი“). **გ. ა.**

241. მარიამ (ციალა) კარბელაშვილი

ვეფხისტყაოსნის პარიზული ხელნაწერი

ალმანახი „მწიგნობარი“, 86, თბ., 1987, გვ. 171-194.

წერილი ეხება პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცულ ხელნაწერს, რომლის შიფრია P-10. ის გადაწერილია 1702 წელს, ქ. შამახიაში „ყაზანთ ბეჟოას ქალის ალას“ მიერ. ტექსტი პოემის მეცხრე სტროფით იწყება; როგორც ჩანს, დედანი დაზიანებული ყოფილა.

მკვლევრის დაკვირვებით, ეს ნუსხა პოემის მოკლე რედაქციას შეიცავს, თუმცა, ამავე დროს, მასში თავმოყრილია სხვადასხვა რედაქციისათვის დამახასიათებელი ჩანართების ნაწილი. ამის მიზეზი ჯერჯერობით გასარკვევია. ტექსტის წაკითხვების მხრივ პარიზული ნუსხა ახლოს დგას ე. წ. სამეფო სახლის ხელნაწერებთან (H 757, Q 779, H 54, H 2074).

ნარკვევის ავტორის აზრით, „პარიზული ხელნაწერი სამეფო სახლის რედაქციის არქტიპის ნიშნების შემცველი ხელნაწერია“. **გ. ა.**

242. მ. კარბელაშვილი

ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის პრობლემისათვის

კრებ. „ლიტერატურული ძიებანი“, 2 (XII), 1987, გვ. 179-197.

წერილი წარმოადგენს „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტური და კომპოზიციური ინვარიანტის დადგენის ცდას. ავტორის დაკვირვებით, „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის ანალიზიდან ჩანს, რომ ფოლკლორული ჯადოსნური ზღაპრის (კერძოდ, მზეთუნახავის ზღაპრის) ინვარიანტი უდევს საფუძვლად და მისი სიუჟეტის კომპოზიცია ამ ინვარიანტის სინტაგმური სტრუქტურით არის განსაზღვრული.

ნესტანის მხატვრული სახის გამომხატველ მეტაფორაში „მთვარე ჩანთქმული გველისა“, მ. კარბელაშვილის აზრით, დაშიფრულია პოემის სიუჟეტური ინვარიანტი: „მთვარე ჩანთქმული გველისა“ (ნესტან-დარეჯანი ქაჯეთის ტყვე) და ჯადოსნური ზღაპრის გველის მიერ მზეთუნახავის მოტაცება სემანტიკურად ადექვატურნი არიან და მითოლოგიურ დერევატებს წარმოადგენენ. ავტორი მეტაფორას „ნახეს მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა“ მიიჩნევს მრავალი შრის ქვეშ დაფარული პირველადი კომპოზიციური ბირთვის გასაღებად. მისი განცხადებით, ეს არის ის მითოლოგემა, რომელზეც აგებულია „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი.

წერილის ავტორის მიერ მითოლოგიური ფესვების მაჩვენებელ ასტრალურ სიმბოლოებად არის მიჩნეული, აგრეთვე, ნესტან-დარეჯანის ატრიბუტები: „მზე“, „მთვარე“, „ცისკარი“, „დიდნი რამე სინათლენი“.

ავტორი აღნიშნავს, რომ ჯადოსნური ზღაპრის სიუჟეტური ინვარიანტი რუსთველის მიერ გადამუშავებულ იქნა პოეტის იდეურ-მხატვრული მიზანდასახულების შესაბამისად. **ნ. გ.**

243. ნიკოლოზ კენჭოშვილი

„ინდო“ სიტყვის გაგებისათვის

„ვეფხისტყაოსანში“

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1987, № 2, გვ. 92-97.

ავტორის აზრით, „ვეფხისტყაოსანში“ დასახელებული რეალური და ირეალური „ეთნოგეოგრაფიის“ გაგება დაკავშირებულია თხზულების ჟანრობრივ-სტილისტურ თავისე-

ბურებასთან და რუსთაველის პოეტიკასთან. აქედან გამომდინარე, პოემის „ეთნო-გეოგრაფიის“ ყოველი საკითხი განხილული უნდა იქნას რუსთაველის ტროპული აზროვნების მთლიანი სისტემის გათვალისწინებით. ზოგიერთი ეთნიკური და გეოგრაფიული დასახელება პოემაში კარგავს თავის პირდაპირ ტექნოლოგიურ-სემანტიკურ ფუნქციას და უფრო ესთეტიკურ კატეგორიას იძენს. ასეთია, მაგ., სიტყვა ინდო (ჰინდო), რაც ნაწარმოებში პირობითად აღნიშნავს „ინდოელს“ და აქვს აგრეთვე „შავის“ მნიშვნელობაც. მას აქვს მესამე მეტაფორული მნიშვნელობა – „უნივერსალური“, იდეალური ქვეყნის-ინდოეთის „იდეალური ადამიანისა“. „ზღაპრული ინდოეთი“ მკითხველის შემეცნებაში დროისა და სივრცის არაკონკრეტულ განზომილებაში რჩება. პოეტი მიგვანიშნებს თითქოსდა „მუსულმანურ ინდოეთზე“, რომელიც როგორც „ერთიანი სახელმწიფო“, რუსთაველის ეპოქაში არ არსებობდა.

რამდენადაც „ინდოეთი“ – შესაბამისად, ტარიელი, ნესტანი თუ სარიდანი – ასევე პირობითად არიან „ინდონი“. პოემაში მუსლიმანური „ინდოეთის“ ილუზიას ქმნის პირობითი ელემენტები: ყურანი, კუბო, მულიმი, ამირბარი, სპასალარი და მისთ.

გარეგნული დახასიათებითა და ქცევით პერსონაჟები ევროპელებს უფრო ჰგვანან, ვიდრე ინდოელებს ან არაბებს. ჩანს, რომ რუსთაველმა მოახდინა დასავლური და აღმოსავლური მსოფლშეგრძნების ესთეტიკური სინთეზირება.

მკვლევარის დასკვნით, სიტყვა „ინდო“ (ჰინდო) უნდა განვიხილოთ არა როგორც „ეთნო-გეოგრაფიული“ ტერმინი, არამედ როგორც „რთული მეტაფორა“, რომლის რეალური სემანტიკის ფუნქცია გაცილებით ნაკლებია მის პირობით მხატვრულ დანიშნულებაზე. გ. ა.

244. ბეჟან კილანავა

შენიშვნები „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის წყაროზე

ქურ., „მაცნე“, ელს, 1987, № 2, გვ. 53-70.

ავტორი განიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ პირველ ინტერპოლაციას: „პირველ თავი დასაწყისი, ნათქვამია იგ სპარსულად“. მის აზრობრივ და გენეტიკურ კავშირს პოემის პროლოგის მეცხრე სტროფთან: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები...“, აგრეთვე ზოგიერთ ხელნაწერში დაცულ სათაურთან: „დასაწყისი პირველი. ამბავი სპარსული, რუსთაველისაგან ქართულად ნათარგმანები...“.

ვრცელი მსჯელობის შემდეგ მკვლევარი ასეთ დასკვნებს აკეთებს:

1) ფრაზა „პირველ თავი“ იგივეა, რაც „პირველი თავი“, ანუ პოემის პროლოგი. ინტერპოლატორი ამბობს: „პირველი თავი“ იგივე „დასაწყისი“ არისო. ამის მთქმელი არ ამტკიცებს, „ვეფხისტყაოსანი“ სპარსული ნაწარმოებიაო, არამედ მხოლოდ იმას გულისხმობს, რომ პოემის პირველი თავი, ანუ „დასაწყისი“ არისო „სპარსულად ნათქვამი“.

2) სიტყვა „სპარსული“ ძველ ქართულ მწერლობაში პოლისემანტურია. ანტონ ბაგრატიონის გამოთქმა: „მეტყველი სპარსთა ენის“ ნიშნავს საერო მწერლობაში მოღვაწეობას. ანტონი მას „ღმრთისმეტყველების“ საპირისპიროდ ხმარობს. გ. ა.

245. ვახტანგ კუპრავა

როდის დაიბადა რუსთაველი?

ქურ., „კრიტიკა“, 1987, თბ., № 4, გვ. 204-210.

როგორც ავტორი აღნიშნავს, ქართულ მეცნიერებაში აღიარებულია, რომ შოთა რუსთაველი იყო თამარ მეფის თანამედროვე. მან „ვეფხისტყაოსანი“ დაწერა თამარისა და დავით სოსლანის ზეობის პერიოდში. მანამდე მას დაწერილი ჰქონია „ქებანი“, რომელიც თამარს ეძღვნებოდა.

ვარაუდობენ, რომ ოფიციალურად მეფედ კურთხევის დროს, 1184 წელს, თამარი უნდა ყოფილიყო 17-18 წლისა, ე.ი. დაბადებული 1166-1167 წლებში.

მკვლევარის აზრით, ნამდვილ ამბად შეიძლება იმის მიჩნევა, რომ რუსთაველი იყო თამარის მიჯნური, ხოლო თამარი – მისი „ხელმძღვანელი“ (თვით რუსთაველის აღიარებით, რაც

არაერთხელ აღნიშნულია პოემის „დასაწყისში“). რამდენადაც პოემის პერსონაჟის ნესტან-დარეჯანის პროტოტიპი თამარია, მათი ბიოგრაფიული დეტალებიც თითქმის ერთიმეორის მსგავსია. ნესტანის მიჯნური ტარიელი, მასზე ექვსი წლით უფროსია. ამ ცნობაში პოეტი ალეგორიულად გადმოგვცემს თამარისადმი საკუთარ დამოკიდებულებას, ანუ ისეთ დეტალზე მიანიშნებს, რომელიც თანამედროვეთათვის გასაგები, მით უმეტეს თამარისათვის ადვილად მისახვედრი იქნებოდა.

ამ ვარაუდის გათვალისწინებით, შოთა რუსთაველი დაბადებულა დაახლოებით 1160 - 1165 წლებში. **გ. ა.**

246. გიული ლეჟავა

„ვეფხისტყაოსნის“ ჩეხური თარგმანები

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1987, № 4, გვ. 87-105.

გამოკვლევა ეხება ი. იედლიჩკას მიერ თარგმნილი პოემის ტექსტს, რომელიც 1958 წელს გამოიცა პრადაში. მოცემულია ლიტერატურულ-სტილისტური ანალიზი ჩეხური თარგმანისა. საგანგებო ყურადღება ექცევა სათაურის თარგმნასა და ინტერპრეტაციას, ზოგიერთი სტროფის თეოლოგიური მხარის გააზრებას. მეტაფორულ სტრიქონების გადმოცემას ჩეხურად და სხვ.

გაკეთებულია დასკვნა, რომ მთარგმნელი კეთილსინდისიერად ეპყრობა ქართულ ტექსტს, ცდილობს სიზუსტის დაცვას თარგმანში. **გ. ა.**

247. ს. მახარაძე

ესე ამბავი...

გაზ. „წიგნის სამყარო“, 1987, 8 აპრ., № 7, გვ. 2.

სტატია წარმოადგენს მოკლე რეცენზიას პროკოფი რატანის წიგნზე „ვეფხისტყაოსანი და მისი ავტორი“, (მეორე ნაწილი, თბ., 1987). აღნიშნულია, რომ მკვლევარი განიხილავს პოემის შინაარსთან და შედგენილობასთან დაკავშირებულ სადავო საკითხებს, მათ შორის – „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი თემისა და ე. წ. „ინდო-ხატაელთა ამბის“ ავტორობის პრობლემებს. პოემის სიუჟეტის დასასრულის ეს სადავო მონაკვეთი მას რუსთაველის თხზულების აუცილებელ და მის დამაგვირგვინებელ ნაწილად მიაჩნია.

წიგნში შედის აგრეთვე წერილები ქვაბისხევის მონასტრის ფრესკასა და შოთა რუსთაველის კოსმოლოგიურ თავალსაზრისზე. **გ. ა.**

247a. დამანა მელიქიშვილი

დროის ცნება

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1987, 4 სექტ., № 36, გვ. 12-13.

სტატია ეხმარება ს. სერებრიაკოვის ნარკვევს „სამსახეობა დროისა ვეფხისტყაოსანში“ („ლ. ს.“ 1987, 3 ივლისი) და აზუსტებს ტერმინების „დრო“, „ჟამი“, „ხანის“ მნიშვნელობას, ქრონოლოგიასა და გამოყენების სიხშირეს ძველ და ახალ ქართულ მწერლობასა და მეტყველებაში. **გ. ა.**

248. ნინო მელიქიშვილი

ტარიელისა და ფარსადანის კონფლიქტი

ჟურ. „ქართული ენა და ლიტ. სკოლაში“, 1987, № 1-4, გვ. 304-309.

წერილის აზრი ისაა, რომ ფარსადანს არ მიუძღვის ბრალი ტარიელისა და ნესტანის უბედურებაში. სასახლეში თათბირის დროს „ფარსადან მეფემ მისცა ტარიელს საშუალება და

უფლება გაემყდარებინა თავისი გრძნობა ნესტან-დარეჯანის მიმართ. ტარიელმა... ეს შესაძლებლობა ხელიდან გაუშვა“. (გვ.306).

„მევემ, როგორც ჩანს, მართლა არაფერი იცოდა ტარიელის და ნესტანის ურთიერთობის შესახებ...“ (307).

„ტარიელი... განაწყენებული ფარსადანზე..., წინასწარ, დაუფიქრებლად იქმნის აზრს მის მომავალ გეგმებზე და, ნესტანის რჩევით, მძიმე ცოდვას ჩადის – კლავს უდანაშაულო ადამიანს (ხვარაზმას ძეს). გ. ა.

249. ლევან მენაბდე

რუსთაველი რუსულ ლიტერატურაში (XX ს.)

ალმანახი „მწიგნობარი 85“, თბ., 1987, გვ. 197-219.

ნარკვევში განხილულია XX ს-ში რუსულ ენაზე გამოქვეყნებული რუსთაველოლოგიური ლიტერატურა რუსეთსა და საქართველოში. ავტორი გამორჩევით მნიშვნელოვნად მიიჩნევს ნიკო მარის 1910, 1912 და 1917 დაბეჭდილ გამოკვლევებს, დ. გორდევის „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების მიმოხილვას (1918წ.); პოემის რუსულ თარგმანებს: ვ. ბალმონტის (1933, 1935, 1936, 1937წწ.), გ. ცაგარლის (1937წ.), ნ. ზაბოლოცკის (1937წ.), შ. ნუცუბიძისა (1941წ.), პ. პავლენკოს, ვ. კომაროვის, ვ. შიშმარიოვის, პ. ბერკოვის, ვ. გოლცევის, ნ. ტიხონოვის, ვ. ჟირმუნსკის, რ. სამარინის, თ. ვირსალაძის წერილებსა და გამოკვლევებს.

მკვლევარი აღნიშნავს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში რუსთაველის ფრესკის აღმოჩენის მნიშვნელობას და მასთან დაკავშირებულ პუბლიკაციებს. ნარკვევში აღნიშნულია, რომ 1961 წელს ვ. შადურმა და გ. ბებუთოვმა ორტომიან კრებულში – „ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობის მატრიანე ძველი დროიდან ჩვენს დღეებამდე“ – დაბეჭდეს ბევრი მასალა რუსთაველზე (განმეორებით, შევსებული სახით, დაიბეჭდა 1967 წელს). ს. ჯორბენაძის წიგნში – „საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებანი და თბილისის უნივერსიტეტი“ (1974 წ.) გამოქვეყნდა ვ. შიშმარიოვის, ი. მეშჩანინოვისა და ვ. სტრუვეს სიტყვები (1938 წ.). 1978 წ. „სასიტორიო მოამბეში“ დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო დღეების სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმის მასალები. გ. ა.

250. ლ. მენაბდე

რუსთაველი აღმოსავლეთის ქვეყნებში

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1987, № 2, გვ. 71-91.

ნარკვევში განალიზებულია რუსთაველისა და მისი თხზულების შესახებ აღმოსავლეთის ქვეყნებში გამოქვეყნებული მასალები. აღნიშნულია, რომ ჩინურ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა დაიწყო მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ემი სიაომ (სიაო სანი) 1930-იან წლებში. 1943 წელს გამოქვეყნდა მწერალ ლი ცი-ეს მიერ ინგლისური თარგმანიდან გაკეთებული ჩინური პროზაული თარგმანი, რომელიც შემდეგაც რამდენჯერმე დაიბეჭდა.

1955 წელს იპეი ფუკურომ გამოსცა პოემის იაპონური პროზაული თარგმანი, ხოლო 1972 წელს დაიბეჭდა მისივე პოეტური თარგმანი.

ვეფხისტყაოსნის პირველი თარგმანები ებრაულ ენაზე 1937 წელს გამოქვეყნდა. დიდი მოწონება დაიმსახურა ბორის გაპონოვის თარგმანმა (1969 წ.), რომელსაც ახლავს ალ. ბარამიძის ნარკვევი და რედაქტორის ა. შკლიონსკის წინასიტყვაობა.

1965 წელს გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის“ სრული პოეტური თარგმანი მონღოლურ ენაზე.

ინდოეთში „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციაში დიდი ღვაწლი მიუძღვის მწერლებს ამრიტა პრიტამსა და სუნიტ კუმარ ჩატერჯის.

ვიეტნამსა და თურქეთში ძალიან ცოტა რამ იციან შოთა რუსთაველსა და მის თხზულებაზე. მათ ენებზე პოემის თარგმანები ჯერ არ აქვთ.

არაბულ ენაზე „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნა სირიელმა მწერალმა ნიზარ ხალილმა. თარგმანი გამოიცა ლევან სალარაძის ფინანსური დახმარებით.
ნარკვევს ახლავს ვრცელი ბიბლიოგრაფია (გვ. 86-91). **გ. ა.**

251. ჯუნის ონიანი

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან

ჟურ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1987, №1-4, გვ. 310-312.

ავტორი განმარტავს სიტყვას „მემუქარე“ (345-2):

ჭმუნვით თქვეს: „მკლავნი ცუდ ქმნილან, ვა, გმირთა მემუქარენი“. მისი აზრით, „მემუქარე“ ახლანდელი გაგებით (მუქარა, ქადილი) კი არ არის ნახმარი, არამედ **გამუჯიბრებლის, ტოლის დამდების** გამომხატველია. სვანურში ჯიბრის, შეჯიბრების გამომხატველი ერთადერთი სიტყვაა „მუქარ“. სვანურად „მემქარ“ (ქართ.: მემუქარე) ის კაცია, რომელიც ტოლს არ უდებს სხვას, ეჯიბრება და ძლევის იმედი აქვს.

თუ ამ გაგებიდან ამოვალთ, სტრიქონს ასეთი შინაარსი ექნება: „შეწუხებულემა თქვეს, რომ გაცუდდა (უმოქმედოდ იქცენენ) გმირთა ტოლის დამდები, შემუჯიბრებელი მკლავები“ (გვ. 310-311).

ჯ. ონიანი აღნიშნავს, რომ „**მემაჯანს**“ სვანურში ორგვარი მნიშვნელობა აქვს:

1) ის არის მომრევი, დამამაბუნებელი (დამაჯნება სვანურად არის **ლიმჯანი**, ხოლო მემაჯანი სვანურადაც არის **მემაჯანი, მომჯანი**;

2) მემაჯანი **დამტყვევებელს**, სიყვარულით **მომაჯადოებელს** ჰქვია.

სტრიქონში: „ისი მინდორს არონინებს ტანსა მჭევრსა, მემაჯანსა“ (261-2) ეს სიტყვა ტარიელის ტანის **მომიზღავობას, მომაჯადოებლობას** გამოხატავს და არა მომრეგობას (გვ. 311-312). **გ. ა.**

252. ს. პავლიაშვილი

ფოტოალბომი შოთა რუსთაველზე

გაზ. „წიგნის სამყარო“, 1987, 12 აგვ., № 15, გვ. 4.

ავტორი იუწყება, რომ გამომცემლობა „განათლება“ გამოსცა ფოტოალბომი „შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი“. მისი შემდგენელია ბორის კანდელაკი.

ალბომში მასალა დალაგებულია თემატიკის მიხედვით: პოეტის ხალხური ბიოგრაფია, წინამორბედნი და თანამედროვენი, მკვლევრები, მთარგმნელები, იუბილეები, მხატვრები, თეატრის, კინოს, მუსიკის მოღვაწენი, რუსთაველის პრემიის ლაურეატები.

ავტორი მიუთითებს რამდენიმე ფაქტობრივ და ორთოგრაფიულ შეცდომაზე. **გ. ა.**

252a. პროკოფი რატიანი

„ვეფხისტყაოსანი“ და მისი ავტორი

ნაწილი II, თბ., 1987, 190 გვ.

როგორც ავტორი წერს, წიგნი „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსთან და შედგენილობასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს. იგი შედგება შესავლისა და სამი თავისაგან.

შესავალი – „ვეფხისტყაოსანი“, როგორც ეპოქალური ნაწარმოები (გვ. 5-29).

I თავი – „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი და მისი განმსაზღვრელი ძირითადი თემა, საქართველოს განახლების დიდი პროგრამა (გვ. 30-71).

II თავი – „ვეფხისტყაოსნის“ გმირები და მათი მოქმედების განმსაზღვრელი ძირითადი იდეა (გვ. 72-107).

III თავი – პოემის ფინალი და ინდო-ხატაელთა ამბავი, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი (გვ. 108-148).

წიგნში დაბეჭდილია აგრეთვე წერილები:

1. ვინ იყო ციხე-ქალაქ ჟინვალის მფლობელი შოთა? (იხ. პირველი პუბლიკაციის ანოტაცია, ბიბლიოგრაფია, IV ტ., № 754).
2. ქვაბისხევის მონასტრის ფრესკა და „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობის პრობლემა.
3. წმინდანები ფრესკიდან ჩამოდიან (იხ. აქვე, ანოტ. № 49a).
4. შოთა რუსთაველი მსოფლიო მეცნიერების დიდ გზაზე (ეხება გიორგი თევზაძის წიგნს „რუსთაველის კოსმოლოგია“; იხ. ბიბლიოგრაფიის IV ტ., ანოტ. № 840). **გ. ა.**

253. სერგი სერებრიაკოვი

სამსახეობა დროისა „ვეფხისტყაოსანში“

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1987, 3 ივლისი.

წერილში საუბარია სამ ტერმინზე: **ჟამი**, **ხანი** და **დრო**, რომელთაც ვხვდებით „ვეფხისტყაოსანში“. ამ ტერმინებს უძველესი დროიდან სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა, ამავე დროს ისინი ერთი მნიშვნელობითაც იხმარებოდა, „ვეფხისტყაოსანში“ არის 26 შემთხვევა, როცა „ჟამი“ იხმარება „დროის მონაკვეთის“, „დროის პერიოდის“ მნიშვნელობით. „ჟამს“ „ვეფხისტყაოსანში“ თითქმის ყველგან „მუდმივობის, აბსოლუტურობის“ შეგრძნება ახლავს.

„ხანი“ „ვეფხისტყაოსანში“ (17-ჯერ) გვხვდება „შეყოვნების“, მნიშვნელობით. (მაგ. სტრ. 829,1; 421,1).

„ხანდამული“ ნიშნავს: „ის ვინც დრო გაატარა“. **ხანისა** და **ჟამის** შედარებისას ს. სერებრიაკოვი ასკვნის: „ეჭვი არ არის, რომ ჟამი უფრო გრძელია, ვიდრე ხანი. „ხანს“ მკვეთრად გამოხატული დასაწყისი და ბოლო აქვს. ჟამის ძირითადი მნიშვნელობა ყველაზე კარგად ჩანს „უჟამო ჟამში“. (836, 1-2).

დღევანდელ ქართულში „ჟამისა და ხანის“ ადგილი თითქმის მთლიანად დაიკავა ტერმინმა „დრომ“. „ვეფხისტყაოსანში“ ჟამი 55-ჯერ არის ნახმარი, ხანი 59-ჯერ, ხოლო დრო – 13-ჯერ. სამივე ტერმინი დროის აღმნიშვნელია. მათ მიმართ ასეთი დიფერენცირებული მიდგომა მეტყველებს იმაზე, რომ რუსთაველს დროის საოცრად ნატიფი, ღრმად გააზრებული აღქმა ახასიათებდა. **ე. ქ.**

254. Аполон Силагадзе

Грузинский стих – на уровне постоянных величин

Автореф. дис. на соиск. уч. степ. доктора фидлол. наук. Тб., 1987, 57გვ.

დაცვის პროცედურა ჩატარდა 1988 წ. 11 მარტს, თსუ-ს სამეცნიერო საბჭოზე.

იხ. ამავე ავტორის: 1. კვლავ რუსთაველური ლექსის ახალი კონცეფციის შესახებ, – ჟურ. „მნათობი“, 1986, №4; 2. ქართული ლექსის მეტრისა და რიტმის თაობაზე, – აღმანახი „კრიტიკა“, 1986, № 3; 3. მახვილის საკითხისათვის ქართულ ლექსში, – საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის მაცნე, ელს, 1986, № 4.

255. აპოლონ სილაგაძე

უძველესი ქართული ლექსი

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1987, 17 აპრილი, გვ. 11-12.

როგორც ავტორი წერს, ქართულ მწერლობაში უძველესი პოეზიის ნიმუშები ფიქსირებულია მე-8 საუკუნიდან, მაგრამ ისინი ჰიმნოგრაფიული ტექსტებია, რომლებიც ან ურითმო იყო, ან რიტმიკაში ემყარებოდა ბიზანტიურ ეტალონებს, კერძოდ – იამბიკოს ფორმას. ის რაც ჩვენთვის აღქმადია, როგორც პოეზია, დამყარებული ქართული სალექსო რიტმიკის

პრინციპებზე, გვაქვს მე-10-11 საუკუნეებიდან. ევსები კესარიელის თხზულების „წამებად წმიდისა პროკოპისი“ ქართულ თარგმანში (არაუგვიანეს მე-7-ს.) გვაქვს ერთი ოცმარცვლიანი ფისტიკაურის სტრიქონი. ეგრემ მცირე დიონისე არეოპაგელის თხზულების თარგმანში წარმოადგენს ერთ სტრიქონს ჰომეროსიდან, ქართულად დაბალი შაირით გაწყობილს. მასვე ფისტიკაურის სტრიქონიც აქვს გამოყენებული „ელინთა მეზღაპრობაში“.

მკვლევარი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ვერსიფიკაციული ვითარება, რომელიც ახასიათებს ქართული ლექსთწყობის განვითარების პირველ ეტაპს, ჩამოყალიბდა მე-6-7 საუკუნეებამდე; შესაბამისად, ამავე მონაკვეთშია საძიებელი ქართული ლექსთწყობის სისტემაზე დამყარებული პოეტური ნიმუშები.

ფილიპეს საგალობელი („ფესვთა მათგან ოქროანთა...“) მაღალი შაირით არის გაწყობილი. ორსაზომიანი პოლიმეტროლობა რუსთველისეული მოდერნიზაცია ჩანს.

ა. სილაგაძე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მეგრული ლექსი „ირჩევს“ 4+4-ზე დამყარებულ საზომს და უარყოფს 5+3-ზე დამყარებულს, რაც იმას ნიშნავს, რომ მეგრული ლექსის რიტმული სახე ჩამოყალიბდა მანამდე, ვიდრე ჩამოყალიბდებოდა აღმოსავლურ ქართულში ის ვითარება, რომელიც 5+3 აგებულების დომინანტობაზეა დამყარებული.

256. ა. სილაგაძე

ლექსმცოდნეობითი ანალიზის პრინციპების შესახებ

(ქართული ლექსის მასალის მიხედვით)

თბ., 1987, 192 გვ.

ნაშრომი ეძღვნება ლექსის რიტმული ორგანიზაციის ზოგად-თეორიულ პრობლემებს. წარმოდგენილია ქართული ლექსთწყობის სისტემის ავტორისეული ანალიზის ძირითადი შედეგები, რომელთაც ემყარება თეორიული და მეთოდოლოგიური დებულებები. ავტორისათვის ამოსავალია აზრი, რომ ლექსთწყობის სისტემათა პრინციპული დახასიათება სამ ფუნდამენტურ გამოკვლევას უნდა ემყარებოდეს: სისტემის სტრუქტურული ანალიზი, დიაქრონიის ანალიზი, სისტემის კვალიფიკაცია.

წიგნში განხილულია: ლექსის სტრუქტურული ერთეულები (გვ.9-29); ლექსთწყობის სისტემა (გვ.30-57); ანალიზის პრინციპები (1. მასალის პრობლემა, 2. სისტემური ანალიზი, 3. ნეგატიური რეალიზაციისა და სისტემა-ეტალონის ცნებები, 4. უნივერსალური პრინციპების ცნება, გვ. 58-91); რეკონსტრუქციის პრობლემა (გვ. 92-113); კვალიფიკაციის პრობლემა (გვ.114-132). ანალიზისთვის ძირითადად XIX-XX სს. ქართული პოეზიის ნიმუშებია გამოყენებული.

კვლევის საფუძველზე მიღებული ერთ-ერთი ძირითადი თეზისია, რომ „ქართულ რიტმულ ლექსში მოქმედი მთავარი სტრუქტურული ფაქტორია რიტმული გასაყარი, რომელიც, კერძოდ, განაპირობებს ქართული ლექსის უნივერსალურ პრინციპს – ბინარულ გაკვეთას“ (გვ.129). წიგნს ახლავს ვრცელი რუსული (გვ.133-173) და მოკლე ინგლისური (გვ.174-176) რეზიუმე, აგრ. – შენიშვნები და გამოყენებული ლიტერატურის მითითება (გვ.177-192). გ. ა.

257. რიმა ფირცხალაიშვილი

ახალი მასალები შოთა რუსთაველის ბიოგრაფიისათვის

თბ. „მეცნიერება“, 1987, 85 გვ.

წიგნში შოთა რუსთაველის ბიოგრაფიასთან დაკავშირებით განხილულია შოთაძეთა გვარის ისტორია და გარკვეულია ამ გვარის წარმომავლობითი კავშირი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორთან.

მკვლევარი ძიებას იწყებს XV-XVII საუკუნეთა მიჯნის მოღვაწის დეკანოზ სვიმეონ შოთაძის ვინაობის, მისი თანამდებობისა და სადგერის წმიდა გიორგის ნაწილიანი ჯვრის მნიშვნელობის დადგენით. წიგნში მეცნიერულად გაანალიზებულია ყველა ცნობა როგორც წმ. გიორგის ჯვრის, ისე შოთაძეთა გვარის შესახებ. აღმოჩნდა რომ წმ. გიორგის ნაწილიანი ჯვარი,

რომელიც სხვადასხვა დროს დასვენებული იყო ყორანთას, ატოცის, წნისის, სადგერის და ჩხარის ეკლესიებში, ქართველ „მეფეთა წინამძღვარი“ ანუ „სეფე ჯვარი“ (სამეფო ჯვარი) ყოფილა. მეფეთა წინამძღვარი ჯვარი, ისევე როგორც კარის ხატი, ერთადერთი იყო. ორივე რელიქვია სამეფო ხელისუფლების სიმბოლურ ნიშნებს წარმოადგენდა.

წმ. გიორგის ნაწილიანი სამეფო ჯვრის მხლებლისა და მცველის მოვალეობა დაკისრებული ჰქონია შოთაძეთა გვარს, რომელიც წარმოშობით სამცხე-ჯავახეთის დიდი ნაწილის მფლობელთა – თორელთა საგვარეულოდან მომდინარეობს, ე.ი. შოთაძენი იმავე გვარს ეკუთვნიან, რომლის წარმომადგენლადაც შოთა რუსთველი ჩანს ადგილის მფლობელობის მიხედვით.

თვით გვარი შოთაძე და შოთაშვილი (როგორც შემდეგ ამ გვარის წევრები იწოდებიან), ავტორის მტკიცებით, დიდი პოეტის შოთა რუსთველის სახელიდან მომდინარეობს.

წიგნს ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე (გვ.84-85). **გ. ა.**

258. მარინა ქსოვრელი

ბარბარე ჯორჯაძის გამოუქვეყნებელი

რუსთველოლოგიური ნაშრომები

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1987 № 1, გვ. 16-30.

წერილში განხილულია საქ. მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ბ. ჯორჯაძის კრიტიკული ჩანაწერები „ვეფხისტყაოსანზე“. საარქივო მასალების ერთი ნაწილი ეხება „ვეფხისტყაოსნის“ უცხო ენებზე თარგმნის საკითხს. კერძოდ, ბ. ჯორჯაძე ეთანხმება რეცენზენტებს, რომლებიც არტურ ლაისტიყულ გერმანულ თარგმანს სრულყოფილად არ თვლიან.

ბ. ჯორჯაძე რუსთველის პოემა დაუყვია სურათებად, რაც წინასწარი სამუშაო უნდა ყოფილიყო „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათების დასადგმელად სცენაზე.

ჩანაწერების უფრო დიდი ნაწილი ეთმობა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შესწორებებს. ბ. ჯორჯაძეს ხელთ ჰქონია 1875 წლის არსენ კალანდაძისეული გამოცემა, რომლის ტექსტი გაუსწორებია პირადი თვალსაზრისისა და ლოგიკური შესაბამისობის მიხედვით. როგორც წერილის ავტორი აღნიშნავს, ბ. ჯორჯაძის 30 გასწორება მართებულია (ემთხვევა 1966 წ. საიუბილეო გამოცემაში მიღებულ ფორმებს); 59 წაკითხვა საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ემთხვევა ზოგიერთ ხელნაწერსა და გამოცემას.

ეს ნაშრომი ავლენს ბ. ჯორჯაძის განსაკუთრებულ ყურადღებას „ვეფხისტყაოსნისადმი“ და მის ტექსტოლოგიურ მიხვედრილობას. **გ. ა.**

259. გურამ შარაძე

მეცნიერის თვალსაწიერი

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1987, 17 ივლისი, № 29, გვ.13.

წერილი ეძღვნება ცნობილი მეცნიერი-რუსთველოლოგის ვიკტორ ნოზაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. აღნიშნულია, რომ თავისი ნიჭი და ენერჯია მან „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლას შესწირა, ქრთულ ფილოლოგიას დაუტოვა ექვსი გამოქვეყნებული ტომი და ბევრი დაუბეჭდავი ნაშრომი. ვ. ნოზაძის რედაქტორობით გამოვიდა ჟურნალ „კავკასიონის“ რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილი საგანგებო ტომი პარიზში 1966 წელს. მისი აქტიური დახმარებით გამოიცემოდა ქართულ-გერმანული ლექსიკონის რვეულები ციურისში.

ვ. ნოზაძე გულმოდგინედ ცდილობდა პატროლოგიის პროფესორის (ვარშავის უნივერსიტეტში) და მართლმადიდებლური ეკლესიის ატქიმანდრიტის გრიგოლ ფერაძის დაკარგული არქივის მოძებნას.

როგორც წერილის ავტორი ამბობს, ვ. ნოზაძის მეცნიერული ნაშრომები სამუდამოდ უკვდავყოფს მის სახელს ქართული მეცნიერებისა და კულტურის ისტორიაში. **გ. ა.**

260. სოლომონ ცაიშვილი

**სიკვდილისა სიცოცხლითა
დამთრგუნველი**

ჟურ. „ცისკარი“, 1987, № 3, გვ. 149-157.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ზოგიერთი ეპიზოდის (ავთანდილის ანდერძი, ტარიელისა და ავთანდილის მეორე შეხვედრა, ნესტანის წერილი ქაჯეთის ციხიდან) ანალიზის შედეგად წერილის ავტორი დაასკვნის, რომ გადმრთობის შუასაუკუნეობრივი იდეა, ანუ მარადიული ბედნიერების რწმენა, განუყოფელი ნაწილია პოემის გმირთა სულიერი სამყაროსი და ეს რწმენა განსაზღვრავს ამ გმირების სულიერ მდგომარეობას, მათ გადაწყვეტილებებსა და ცხოვრებისეულ ნაბიჯებს. **გ. ა.**

261. 181 a. Амиран Цамцишвили

Портрет Шота Руставели

ჟურ. „Советский музей“, 1987, № 6;

აგრ.: რუსთველის ვინაობა და ფრესკა გელათში, თბ., 1989.

იხ. აქვე ანოტ. № 181a.

262. ნოდარ ჭოლოკავა

მხატვრული პორტრეტი კლასიკურ ეპოსში

მის წიგნში – „ლიტერატურულ-თეორიული ნარკვევები“, თბ., 1987, გვ. 54-71.

ნაშრომში განხილულია „ვეფხისტყაოსანში“ პერსონაჟის დახასიათების ხერხები და საშუალებანი.

იხ. პირველი პუბლიკაციის ანოტაცია, „ბიბლიოგრაფიის“ IV ტ., № 351. გ. ა.

263. ზაზა ხინთიბიძე

იდეალურ გმირთა ინდივიდუალიზაციისათვის

„ვეფხისტყაოსანში“

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1987, № 4, გვ. 46-61.

პოემის ორი პერსონაჟის – ავთანდილისა და ტარიელის ურთიერთშედეგებისა და პოეტის მიერ მათი დახასიათების მიხედვით მკვლევარი აკეთებს ასეთ ზოგად დასკვნას: რუსთველის იდეალური გმირები, კერძოდ კი ავთანდილი და ტარიელი, არიან მოყმე-რაინდები, სოციალურად ერთგვაროვანი პერსონაჟები; ამდენად ხასიათის ზოგად-ტიპური ნიშნები მათ საერთო აქვთ. მაგრამ, ამავე დროს, მათ ახასიათებთ აშკარად გამოხატული ინდივიდუალური ნიშნებიც. სწორედ ეს არის საფუძველი და მიზეზი იმისა, რომ გმირები ერთსა და იმავე სიტუაციაში იქცევიან სხვადასხვაგვარად, აკეთებენ განსხვავებულ არჩევანს, ე.ი. ავლენენ სხვადასხვაგვარ ხასიათს.

ინდივიდუალიზაციის დონე აქ იმდენად მაღალია, რომ გამართლებულია საუბარი არა ხასიათების ცალკეულ ინდივიდუალურ ნიშნებზე, არამედ თვით ამ ხასიათების ინდივიდუალობაზე.

რუსთველი ერთი ტრადიციული მოდელის, ე. წ. გამიჯნურებული, გახელებული მოყმე-რაინდის მოდელის ფარგლებში ქმნის ორი გმირის სრულად განსხვავებულ ინდივიდუალურ ხასიათს. **გ. ა.**

264. ი. აბაშიძე, ალ. ბარამიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური

რამდენიმე საჭირო განმარტება

გაზ. „კომუნისტი“, 1988, 7 აგვ., № 182, გვ. 3.

წერილი გახლავთ გამოხმაურება ა. ნიკოლეიშვილის, რ. მიშველაძისა და თ. კვაჭანტირაძის წერილებზე „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის თაობაზე. ავტორების აზრით, დასახელებული ოპონენტები იმ საკითხებზე დაობენ, რომლებიც უკვე გარკვეულა. ამის გასაგებად საკმარისი იქნებოდა სათანადო ლიტერატურის გაცნობა. მაგ., პოემის პროლოგში – „მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს, მართ მიშერისა“ – საუბარია იმაზე, რომ თამარის ლომს (დავით სოსლანს) მნახველებმა ნამდვილად ყანდი (შაქარი) და მიშერი (გოლეული თაფლი) უნდა მიართვან.

გაუგებარია ტექსტის დამდგენი კომისიისადმი წაყენებული ბრალდებები, თითქოს აღმანახ „კრიტიკის“ შენიშვნების შემდგომ შეგვაქვს პოემაში „ინდო-ხატელთა ამბავი“ და ცნობილი სტროფი: „კარვის კალთა ჩახლართულ ჩავჭერ, ჩავაკარაბაკე“. კომისიას მომზადებული აქვს პოემის აკადემიური ტექსტი, რომელიც 1989 წლიდან გამოქვეყნდება ათ ტომად სათანადო მეცნიერული აპარატითა და სიმფონია-ლექსიკონით. ე. ქ.

265. შალვა ადეიშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემები**და რუსთველოლოგია**

ალმ. „კრიტიკა“, 1988, № 3, გვ. 19-22.

კრიტიკოსი შენიშნავს, რომ რუსთველოლოგიაში უნდა გადაწყდეს სხვადასხვა გამოცემათა სტაბილური ნუმერაციის პრობლემა. ყოველ გამოცემაში ტექსტს უნდა ჰქონდეს ორი ნომერი: ერთი – რიგითი, თავისი, და მეორე – სტაბილური, ხელნაწერების ფონდის მიხედვით. ი. კ.

266. გურამ ასათიანი

„ვეფხისტყაოსანი“ და ქართული კლასიკური პოეტიკა

წიგნში: „საუკუნის პოეტები“, თბ., „მერანი“ 1988, გვ. 536-572.

ავტორის მიზანია, გაარკვიოს შემოქმედების რა ფორმებში, რა ესთეტიკური ნაირსახეობით გამოვლინდა „ვეფხისტყაოსანში“ მისი ერისა და დროის სული? მისივე აზრით, მსოფლიო კულტურის საგანძურში რუსთაველის თხზულება თავის კუთვნილ ადგილს იკავებს, როგორც ორიგინალური პოეტური გენიის, აბსოლუტურად თვითმყოფი და, ამავე დროს, უნივერსალური ხასიათის მხატვრული მსოფლმხედველობის გამოვლინება.

რუსთაველის ესთეტიკურ სამყაროში გადაჯვარედინებულია ხელოვნების განვითარების სამი (ჰეგელისეული) სახეობა: სიმბოლური (ძველი აღმოსავლური), კლასიკური და რომანტიკული ფორმები.

ადმოსავლურია ასტრალური პლანი, ვარდისა და ბულბულის, ძვირფასი ქვების, მცენარეებისა და ცხოველების სიმბოლიკა. ასეთივეა მითოლოგიის ის ტრანსფორმირებული ნამსხვრევები, რომლებიც გამოყენებულია პოემის სიუჟეტში (539-542).

„ვეფხისტყაოსანი“ შუა საუკუნეების ის ერთადერთი მხატვრული ძეგლია, რომელშიც კლასიკური პოეტიკის სული შენარჩუნებულ იქნა ადმოსავლური სახით და ამავე ნაწარმოებში უკვე თვალნათლივ არის გამოხატული რომანტიკული ესთეტიკის არაერთი ძირითადი ნიშან-თვისებაც.

რომანტიკული იდეალიზაციის კვალი მკაფიოდ ჩანს პოემის მთავარი გმირების ხასიათებში. რუსთაველის გმირები, გარკვეული თვალსაზრისით, გაიდეალბულ სახეებს წარმოადგენენ. მათ მოქმედებაში სიმბოლურად გამოხატულია სიკეთის, ეთიკური სიწმინდისა და ამაღლების რაინდული იდეალები.

რომანტიკული აღსარების შედეგია – „წიგნი ნესტან-დარეჯანისა ქაჯეთის ციხიდან მიწერილი“. რომანტიკული სტილისათვის დამახასიათებელი პათეტიზმი, რიტორიკული ფიგურები, პლეონაზმები უხვად მოიპოვება ავთანდილის ანდერმსა და ლოცვებში (543-545). დასახელებული სამი პარალელური რიგი მხოლოდ პირობითად, ანალიზის შედეგად გამოირჩევა პოემაში. პრაქტიკულად კი მათი შემადგენელი ელემენტები ერთ განუყოფელ მთლიანობას ქმნიან.

„ვეფხისტყაოსანი“ სამყაროს მხატვრული დაპყრობისა და დაუფლების ნიმუშია. ეს „დაუფლება“ თანაბრად განვრცობილია ორ სიბრტყეში – ადამიანის გარემომცველი ობიექტური რეალობისა და მისი შინაგანი ცხოვრების სფეროებზე.

პოემაში საბოლოოდ აღდგენილია თანხმობა ადამიანის სუბიექტურ სამყაროსა და მის გარემომცველ ობიექტურ სინამდვილეს შორის. რუსთაველის გმირების ყველა ამაღლებული წადილი და რომანტიკული იდეალები აქ, ამქვეყნად პოვებენ განხორციელებას.

ეს ჰარმონია შესამჩნევად განსხვავდება ხელოვნების კლასიკური (ანტიკური) იდეალისაგან. ესაა თვისებრივად ახალი, განსაკუთრებული თანხმობა, რომელიც კლასიკური და რომანტიკული იდეალების ჰარმონიულ შეერთებას გულისხმობს (560-562). **გ. ა.**

267. ალექსანდრე ბარამიძე

ილია ჭავჭავაძე და ინდო-ხატაელთა ამბავი

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1988, № 3, გვ. 5-10; აგრ. წიგნში – „ნარკვევები ...“, IX, თბ., 1997, გვ. 129-136.;

ავტორი აღნიშნავს, რომ ი. ჭავჭავაძე იყო „ვეფხისტყაოსნის“ ღირსეული დამფასებელი და ქომაგი. როგორც ბელეტრისტი, ილია შთაგონებული იყო რუსთაველის წმინდა ზნეობრივი იდეალებით, ხშირად იყენებდა მის აფორიზმებს მხატვრულ და პუბლიცისტურ ნაწერებში. 1880 წელს „ივერიაში“ (№ 3) დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერული ვერსიების ბოლო თავები, ე. წ. ინდო-ხატაელთა, ინდო-ხვარაზმელთა და გმირების გარდაცვალების „ამბები“. პუბლიკაციას თან ახლავს სარედაქციო შენიშვნა: „ჩვენ კი გვგონია, რომ ეს გაგრძელება რუსთაველის კალამს არ დაუწერია“.

„ოთარაანთ ქერივში“ გიორგი ამბობს: „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა“. ეს აფორიზმი ინდო-ხატაელთა ეპიზოდთანაა, თუმცა ამის მიხედვით არ შეიძლება მტკიცება, რომ ი. ჭავჭავაძე ინდო-ხატაელთა ამბავს უცილობლად რუსთაველის კუთვნილად, მისგან შეთხზულად მიიჩნევდა. **გ. ა.**

268. ალ. ბარამიძე

ვიკტორ ნოზაძის რუსთველოლოგიური ნააზრევიდან

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1988, № 4, გვ. 5-20.

როგორც ავტორი წერს, ვიკტორ ნოზაძე იყო ფართო ინტერესებისა და დიდი დიაპაზონის მკვლევარი, თუმცა, უწინარეს ყოვლისა, სახელი გაითქვა როგორც რუსთველოლოგმა. საერთო სათაურით – „ვეფხისტყაოსანის“ განკითხვანი“ 1954-1963 წლებში გამოაქვეყნა ხუთი წიგნი. მეექვსე ტომი დაიბეჭდა მისი გარდაცვალების შემდეგ, 1975 წელს. ვ. ნოზაძე ხელმძღვანელობდა აგრეთვე წლიური ჟურნალის – „კავკასიონის“ – გამოცემას.

მისი წიგნების ძირითადი დებულებაა, რომ „ვეფხისტყაოსანს“ თავიდან ბოლომდე გასდევს მაღალი და წმინდა ეროვნულ სულისკვეთება. აღწერილი ქვეყნები გარეგნულად თუმცა ისლამურნი არიან, მათი ზნე-ჩვეულება და ცხოვრების წესი არ არის ისლამური, იგი ქართული, ქრისტიანულია. ვ. ნოზაძის რწმენით, რუსთველის მსოფლმხედველობის საფუძველია ქრისტიანული აღმსარებლობა. ქრისტიანობას ემყარება „ვეფხისტყაოსნის“ თეოლოგია და ფილოსოფია. ამ პრობლემის განხილვისას ვ. ნოზაძე მკაცრად აკრიტიკებს პ. იგოროყვასა და შ. ნუცუბიძეს.

ვ. ნოზაძემ მოგვცა საყურადღებო ინტერპრეტაციები „ვეფხისტყაოსნის“ ისეთი რთული გამოთქმებისა, როგორცაა: „ერთარსება ერთი“, „მზე – ხატი ღმრთისა“, „მზიანი ღამე“, „საზღვართა დასაზღვრება“, „სავსება ყოველთა“ და სხვ.

შ. რუსთაველის პიროვნების შესახებ არსებული ნაშრომებიდან ვ. ნოზაძეს სრულიად უსაფუძვლოდ მიაჩნდა პ. ინგოროყვას „რუსთველიანა“ და „რუსთველიანას ეპილოგი“, რომელთაც „ლამაზ ზღაპრებს“ უწოდებდა.

ნარკვევს ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე. **გ. ა.**

269. Ал. Барамидзе, С. Цаишвили

Великий поэт-гуманист

წინასიტყვაობა წიგნისა: Шота Руставели, «Витязь в тигровой шкуре»,

«Советский писатель», Ленинградское отделение, 1988, გვ. 5-36.

წიგნში დაბეჭდილია „ვეფხისტყაოსნის“ სამი თარგმანი რუსულ ენაზე – ვ. ბალმონტის, პ. პეტრენკოსი და ნ. ზაბოლოცკისა.

წინასიტყვაობაში მოცემულია რუსთაველის ეპოქის საქართველოს საზოგადოებრივი და კულტურული მდგომარეობის მიმოხილვა, მოკლე ბიოგრაფიული ცნობები პოეტის შესახებ, მისი რელიგიურ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, „ვეფხისტყაოსნის“ თემატიკის, ჟანრისა და პოეტიკის დახასიათება. ავტორები მსჯელობენ აგრეთვე თხზულების რუსული თარგმანების სტილურ და ვერსიფიკაციულ თავისებურებებზე. **გ. ა.**

269a. [ალ. ბარამიძე, გ. კარტოზია]

„ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემა

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1988, 21 ოქტ., № 43, გვ. 13.

გაზეთის რედაქცია იუწყება, რომ გამოვიდა „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემა (თბ., გამ. „მეცნიერება“, 1988 წ.). იგი მოამზადა შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის

ინსტიტუტთან არსებულმა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენმა კომისიამ (დასახელებულია მთავარი რედაქციის შემადგენლობა). ახლანდელი ტექსტი ფაქტობრივად წარმოადგენს მომავალი ვრცელი აკადემიური ტექსტის მასობრივ გამოცემას. გაზეთი მკითხველს სთავაზობს წიგნის წინასიტყვაობას, სადაც საუბარია გამოცემის თავისებურებაზე, მიზნებსა და პრინციპებზე. წიგნში წინასიტყვაობის სათაურია: „მთავარი რედაქციისაგან“, თუმცა, ფაქტობრივად, ის დაწერილია ალ. ბარამიძისა და გ. კარტოზიას მიერ. **გ. ა.**

270. როლანდ ბერიძე

რუსთაველის ერთი რითმის შეფასებისთვის

საქ. სსრ მეცნ. აკადემია, ლიტერატურათმცოდნეობის რესპ. საკოორდ. საბჭო, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის XXII სამეცნ. სესია, 1988, მოხს. თეზისები, გვ. 180.

1. „ვეფხისტყაოსნის“ 1966 წ. საიუბილეო გამოცემის 434-ე სტროფის კლავზულაა „აფითა“, რომელსაც ქმნის სარითმო სიტყვები: ხაფითა, ჯავშან-ქაფითა, სწრაფითა, დაფითა.
2. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ „დაფითა“ პოეტური ლიცენციაა, თითქოს „ლ“ ამოგდებულია ზუსტი რითმის შედგენის მიზნით.
3. სიტყვაში „დაფლითა“ ლ-ს გაჩენა გვიანდელი ფონეტიკური მოვლენაა, ხოლო „დაფითა“ (ფეთა) საშუალო ქართულის სწორი გრამატიკული ფორმაა. (იხ. აქვე ანოტ. № 271).

271. რ. ბერიძე

პოეტური ლიცენცია თუ ენობრივი ნორმა?

კრებული „რუსთავის ჩირაღდნები“, თბ., 1988, გვ. 305-319.

ავტორის მსჯელობა ეხება „ვეფხისტყაოსნის“ 434-ის გამოთქმას **დაფითა** (მას დღესა ჩემი მებრძოლი ჩემმანვე ხრმაღმან დაფითა“). მისივე მტკიცებით, ეს არაა პოეტური ლიცენცია (როგორც ივ. იმნაიშვილს მიაჩნდა), არამედ კანონიერი ფორმა, რაც, დღევანდელი გაგებით, დაფლეთას, დაჭრას ნიშნავს. მკვლევარი იმოწმებს ინდო-ხატაელთა ეპიზოდებიდან და „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებიდან მაგალითებს: „ერთხელ შემეზნეს, დავზოცენ, შევქმენ აბჯართა ფეთანი“ (1599); „ჰინდოთა და ტარიელის საქმისათვის გვინდა ფეთა“ (ყუბანეიშვილის გამოც. 1956, გვ. 294) აგრ. „შაჰ-ნამეს“, „შაჰნავაზიანის“, თანიაშვილის „ამირან-დარეჯანიანის“ სათანადო ადგილებს. ეს ფორმა მე-20 საუკუნემდე შემორჩა ხალხურ მეტყველებასაც: „ი შენი ჯაჭვის კალთები ოხერმა როგორ დაფითა!“ (ა. შანიძე, ქართ. ხალხ. პოეზია, I, გვ. 209). **გ. ა.**

272. ნიკო გოგოჭური

„ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის შესახებ

ალმანახი „კრიტიკა“, 1988, № 3, გვ. 23-33.

ავტორი ეხება „ვეფხისტყაოსნის“ სასკოლო გამოცემას (1986 წ.) განიხილავს ტექსტზე დართულ განმარტებებს. კრიტიკული შენიშვნები გამოთქმულია: მე-3 სტროფის

სარიტომო სიტყვის „შერისა“, „მიბრძანეს მათად საქებრად“ (51), „დამმართოს ნები“ (94) – ნ. ნათამისეულ კომენტარებზე. **ი. კ.**

273. თამარ დაუშვილი

ვიმოწმებ რუსთაველს

ალმანახი „კრიტიკა“, 1988, № 2, გვ. 23-34.

ავტორის მიზანია „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობის კრიტიკული შეფასება. რომელ გამოცემას განიხილავს, მითითებულა არაა (სადავო წაკითხები ემთხვევა 1966

წლის საიუბილეო გამოცემის ტექსტს).

მსჯელობა ეხება შემდეგ წაკითხვებს: „ზღვითვე გაავლნეს სარკმელნი“ (574₁); „შეჰიდება, შემოხვევა“ (539₄); „ჩვენ იგი გავანტენით“ (610₃); „ემა ქება ვარდისა, ბროლისა განაჰვირისა“ (682₃); „განგებაა, სწორად მოჰკლავს...“ (162₁); „მამასავე ხელთა მიმცეს...“ (321₃); „ქვად ფაზარი სხდა, კუბო დგა იაგუნდისა, ლალისა“ (322₂); „აწ ამბავი სხვა დავიწყო, – ყმასა წავჰყევ წამავალსა“ (804₁); „ტყვე, საკნით ნააზატები“ (264₁) და სხვა.

კრიტიკოსი უფრო მართებულად მიიჩნევს ძველი გამოცემების ვარიანტებს ან გვთავაზობს კონიექტურებს თავისი სურვილისა და გემოვნების მიხედვით. **გ. ა.**

274. მარინე დედაბრიშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ ევროპულ ენებზე თარგმნის საკითხები

„დროებასა“ და „ივერიაში“

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1988, № 1, გვ. 15-16.

ავტორი აღნიშნავს, რომ დასახელებული თემა ფართოდ აისახა XIX ს-ის ქართულ პერიოდულ გამოცემებში. ევროპელ მკვლევართაგან პირველი იყო მარი ბროსე, რომელმაც 1820-იან წლებში დაიწყო „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა ფრანგულ ენაზე. 1828-1830 წლებში მან პარიზში გამოაქვეყნა „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი, ზოგი სტროფის სიტყვასიტყვითი თარგმანი და მასთან დაკავშირებული ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების მიმოხილვა.

1880-იან წლებში „დროებასა“ და „ივერიაში“ იბეჭდებოდა ბარონ სუტნერისა და სხვათა წერილები შესახებ იონა მეუნარგიას პწკარედული ფრანგული თარგმანისა, რომლის თითო ეგზემპლარი გადაეცა მ. ზიჩის, იმპერატორ ალექსანდრე III-სა და პოეტ კ. ბალმონტს.

1885 წელს თბილისში დაიბეჭდა აკას ბორენის (ა. ბობრინსკის) ფრანგული პროზაული თარგმანი „ვეფხისტყაოსნისა“. 1887 წ. გაზ. „ივერია“ იტყობინებოდა, რომ არტურ ლაისტი გერმანულ ენაზე თარგმნიდა რუსთაველის პოემას.

ინგლისურენოვან მკითხველს ქართული კულტურა და „ვეფხისტყაოსანი“ გააცნეს უ. მორფილმა და ო. უორდროპმა. 1894 წ. გაზ. „ივერიაში“ დაიბეჭდა ცნობა, რომ მარჯორი უორდროპი ინგლისურად თარგმნიდა „ვეფხისტყაოსანს“. ეს თარგმანი 1912 წელს გამოსცა მისმა ძმამ ოლივერ უორდროპმა.

ნარკვევს ახლავს ანოტაცია რუსულ ენაზე. **გ. ა.**

275. თამარ ერისთავი

„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“, ანუ
„ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის მეორე განზომილება

ჟურ. „განთიადი“, 1988, № 1, გვ. 217-255.

ამ ნარკვევში ავტორი აყალიბებს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობის ახალ ვერსიას, თუმცა წინასწარ აცხადებს: „მეცნიერული რუსთველოლოგიური ნაშრომის პრეტენზიით არ ვთავაზობ მკითხველს ჩემს ნააზრევს. მე მხოლოდ იმ სიუჟეტის წარმოჩენა დავისახე მიზნად, რომელიც თავდაპირველად „ვეფხისტყაოსნის“ ნაცნობი ამბის მიღმა ცალკეულ ფრაგმენტებად დავინახე და, რომლის მთლიანობა ჩემს წინაშე თანდათან გამოიკვეთა მისი სტრუქტურის შეცნობის კვალდაკვალ“ (გვ. 218).

ავტორის აზრით, „ნაწარმოების წიაღში ნამდვილად დემნა უფლისწულის სიყვარულის ტრაგედიაა ჩამარხული, – მისი ტრაგედია და (...) მისი გადარჩენისა და რუსთველად გარდასახვის ამბავი“ (გვ. 228). „დემნა უფლისწულის იპოსტასია ტარიელი“ (გვ. 231). „ვეფხისტყაოსანში“ მოცემულია საქართველოს სამეფოს სამი პროექცია – ინდოეთისა, არაბეთისა და მულღაზანზარის სახით. (...) არაბეთის პროექციაში ავთანდილი წარმოგვიდგება, როგორც დემნა უფლისწულის მეორე „მე“ (გვ. 243); უსიყვარულოდ დარჩენილი ფრიდონიც დემნაა“ (გვ. 248).

„უცხო მოყმის ეპიზოდი (არაბეთში მისი გამოჩენა) დემნა უფლისწულის გადარჩენისა და მისი საქართველოდან გადაკარგვის ფაქტს გვაუწყებს. (...) როგორც ჩანს, ვერსია დემნა ბაგრატიონის დასჯისა თუ გარდაცვალების შესახებ მას შემდეგ გავრცელდა, რაც საქართველოდან გაქცეული უფლისწული „კვალწმინდად“ გაქრა“ (გვ. 244).

თ. ერისთავი აღნიშნავს, რომ პირდაპირი ცნობა დემნას დასჯის შესახებ ჩანს ლაშა-გიორგის დროინდელი მემატეანის თხზულებაში („დემეტრე კლდეკართა დასუეს, უკანის თუალნი დასწუნეს და მოკუდა და მცხეთას დამარხეს.“ ქ. ცხ. I, გვ. 367). ეს თხზულება 1177 წლის ამბოხებიდან, სულ ცოტა, 40 წლის შემდეგ დაიწერა. „ისტორიათა და აზმათა“ ავტორი კი ზოგადად წერს: მეფე გიორგიმ „ურჩთა და მტერთა მისთა შემსგავსებული საქმეთა მათთა მიაგო მისაგებელი“ (ქ. ცხ. II, გვ. 20). უფრო ვრცლად და დეტალურად ეს ამბავი აღწერილი აქვს სომეხ ისტორიკოსს, სტეფანოს ორბელიანს.

თ. ერისთავს სჯერა, რომ დემნა არ მომკვდარა ამბოხების მიზეზით. დემნასა და თამარს უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ ამის გამჟღავნება შეუძლებელი იყო, რადგან ისინი ბიძაშვილები იყვნენ. თ. ერისთავი ეყრდნობა რა ი. ლოლაშვილისა და კ. გრიგოლიას მტკიცებას, რომ თამარის ერთ-ერთი ისტორიის ავტორი შოთა რუსთველია, შემდეგს წერს: „უნდა ვიგულისხმოთ, რომ დემნა ბაგრატიონს სწორედ შოთა რუსთველის მატეანე წაუკითხავს, მისდამი უდიდესი მაღლიერების გრძნობით ავსებულა და, რადგან გასაგებ მიზეზთა გამო თავისი სახელის გამჟღავნება არ უნდოდა, – სწორედ მის სახელს ამოფარებია. მაგრამ (...) მან „შოთა რუსთველი“ კი არ დაირქვა, არამედ „რუსთველი“ ... რადგან სრული იდენტურობის შექმნა არ სურდა“ (გვ. 253). მისივე თქმით, „ვეფხისტყაოსნის“ მეორე განზომილების მიკვლევაში ისიც ცხადყო, რომ პოემა დემნა ბაგრატიონის მიერ არის დაწერილი რუსთველის სახელით („ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისა ამისა“); ხოლო ქართულ ისტორიოგრაფიაში აღიარებული ფაქტია, რომ ბაგრატიონები წარმოშობით სპერის ოლქიდან არიან და სპერი ისტორიულად მესხეთია“ (გვ. 255). გ. ა.

276. მურმან თავდიშვილი

„პირველსა სიტყვასა მოვიდეთ“

ალმანახი „კრიტიკა“, 1988, № 4, გვ. 5-13.

ავტორი უმართებულოდ მიიჩნევს ალ. ჭინჭარაულის მოსაზრებას „ვეფხისტყაოსანში“ არსებული ოცმარცვლიანი სტროფის (769) გვიანდელი ჩანართობის შესახებ. მ. თავდიშვილის აზრით, ეს სტროფი ძირითად ტექსტში აუცილებლად უნდა იყოს: „იგი ამ კარის აუცილებელი პასაჟია, აზრობრივად ლოგიკური, მხატვრულად დახვეწილი, მუსიკალურად სავსებით რუსთველური“. **გ. ა.**

277. მ. თავდიშვილი

„პირველსა სიტყვასა მოვიდეთ“

ჟურ. „სკოლა და ცხოვრება“, 1988, № 3, გვ. 48-55.

მწერალი უარყოფს სიტყვის „ასადაგეს“ (142) დ. ჩუბინაშვილისა და ალ. ფოცხიშვილის განმარტებას, თითქოს აქ კოცნა იგულისხმებოდეს. მიუთითებს, რომ ეს ავთანდილისა და თინათინის პირველი შეხვედრაა და აღნიშნული ვარაუდი წმინდა სიყვარულის რუსთველისეულ გაგებას არ შეეფერება.

ამავე წერილში ეხება გამოთქმას „უსისხლოდ მოვკალ“ (563+); ამბობს, რომ „სისხლის დენით“ ნიშნავს ბვერი სისხლის დაღვრას, აქ – ხვარაზმშას ძის ამალის შესაძლებელ ამოწყვეტას.

გ. ა.

278. მ. თავდიშვილი

მარგალიტი მტვერში

(ფიქრები „ვეფხისტყაოსნის“ ახალ აკადემიურ გამოცემასთან დაკავშირებით)

გაზ. „სახალხო განათლება“, 1988, 9. XII, № 99.

ავტორი დადებითად აფასებს „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის ნამუშევარს პოემის დადგენისათვის. ახალ გამოცემას (მეცნ. აკადემია, 1988 წ.) თვლის მნიშვნელოვან წინ წადგმულ ნაბიჯად. მართებულად მიიჩნევს „ინდო-ხატაელთა ამბის“ დაბეჭდვას პოემის ძირითად ტექსტთან ერთად.

იქვე აღნიშნავს, რომ ტექსტის დამდგენ მთავარ რედაქციას ძირითად ტექსტში არ შეუტანია აზრობრივად აუცილებლად საჭირო რამდენიმე სტროფი, რომლებიც პოემის ხელნაწერებშია დაცული. ამის მაგალითად მოჰყავს სტროფი: „საწოლს მჯდომმან პირსა ცემით ბროლი ბლუჯოს, ვარდი კონოს...“ (880), რომელიც წერილის ავტორის აზრით, შეტანილი უნდა იქნას 715-ე სტროფის („გული კრულია კაცისა“) წინ. აგრეთვე სტროფი: „იტყვის თუ: „ჩემი ხელმქმნელი, ღმერთო, მზეა და ცად არი“ (1139), მისი აზრით, აუცილებელია ციურ მნათობთადმი ავთანდილის მიმართვის წინ. აღნიშნულ სტროფებს ავტორი უწოდებს მტვერში გადაყრილ მარგალიტებს. **გ. ა.**

279. [ნ. თოგოშვილი] Н. Тогошвили

Сравнения в русских переводах поэмы Шота Руставели

« Витязь в тигровой шкуре»

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1988, № 1, გვ. 73 -79; 1989, № 1, გვ. 45 -50.

ნარკვევში განხილულია მხატვრული შედარების ხერხის გამოყენება პოემა „ვეფხისტყაოსნის“ კ. ბალმონტის, პ. პეტრენკოს, შ. ნუცუბიძისა და ნ. ზაბოლოცკის პოეტურ რუსულ თარგმანებში.

„მაცნე“ 1989, № 1-ში გამოყოფილია ორი ქვესათაური:

1. ასტრალური სახელწოდებანი შედარებებში;
2. გარეგნობის აღწერაში გამოყენებული შედარებები; გ. ა

280. მარიამ კარბელაშვილი

„ვეფხისტყაოსანი“ პლატონის „სახელმწიფოს“ და

არისტოტელეს „პოეტიკის“ ასპექტში

საქ. სსრ მეცნ. აკადემია, ლიტმცოდნეობის რესპ. საკოორდ. საბჭო, შ. რუსთაველის სახ.

ქართული ლიტერატურის ინსტ. XXII სამეცნიერო სესია, თბ., 1988. მოხს.

თეზისები, გვ. 22-24 (მოგვაქვს შემოკლებით)

ავტორი აღნიშნავს, რომ ბერძნულ პოლიტიკურ ლიტერატურაში საგანგებო ადგილი უჭირავს ე. წ. „იდეალური სახელმწიფოს“ თეორიას, როგორც „მცთარ“ სახელმწიფოებრივ წყობილებათა ანტიპოდს. მათი კონცეფციით, იდეალური სახელმწიფო დაპყრობით ომებს არ აწარმოებს.

ამ არსებითი ნიშნით, „ვეფხისტყაოსანში“ წარმოდგენილ სახელმწიფოთაგან არც ერთია იდეალური, გარდა არაბეთისა. იგივე ითქმის ამ ქვეყნების წარმომადგენლების შესახებ. ამ დებულებაში რუსთაველს კორექტივი შეაქვს: პოემაში არის ორი გმირი, რომელთა პიროვნებანი გარდაქმნას განიცდიან. პოეტის ერთ-ერთი უდიდესი დამსახურება ხასიათის დინამიკაში დახატვაა. ჩანს, „ვეფხისტყაოსანში“ აისახა პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიური იდეები და მათი ტერმინოლოგია ქართული შესატყვისებით. გ. ა.

281. მ. კარბელაშვილი

რუსთაველის პოეტური ენის საკითხისათვის

ჟურ. „განთიადი“, 1988, № 5, გვ. 204-213.

ავტორი ენიგმატურობას რუსთაველის პოემის არსთა არსად მიიჩნევს, რამეთუ რუსთაველთან არის ცხადი და ადვილად საწვდომი ჭეშმარიტებანი, ასევე ცხადი, მაგრამ ძნელად საწვდომი ჭეშმარიტებანი. სწორედ ამ კუთხით განიხილავს თინათინის გამეფების გრანდიოზულ სცენას, სადაც როსტევეანის მიერ ასულის „წვრთის“ ენიგმატურობა თავისი იდეური შინაარსით ტოლფასია ამ წვრთის მნიშვნელობისა პოემის მხატვრულ ქსოვილში შესამეცნებლად რუსთაველისეული იდეალური სახელმწიფოს კონცეფციისა, რომელშიც გადაწყვეტილია საერო და სასულიერო ხელისუფლებათა ურთიერთშეთავსების საკითხიც.

ავტორისათვის რუსთაველის პოემის შემეცნების აუცილებელი წინაპირობა შუასაუკუნეთა სპეციფიკური კოდის გახსნაა, რამეთუ ქრისტიანული რელიგიის ქართულ შუასაუკუნეებსაც საკუთარი სააზროვნო სისტემა ჰქონდა, რომლითაც უხვად ისარგებლა როგორც სასულიერო, ისე ქართულმა საისტორიო და საერო მწერლობამაც და შესაძლოა, ყველაზე უხვად „ვეფხისტყაოსანმა“. აღნიშნული წვრთის ტექსტიდან, ავტორი მხოლოდ ერთ ტაეპს ეხება: „სმა-ჰამა დიდად შესარგი, დება რა სავარგულია“ (სტრ. 50).

ამ ტაეპში, წინააღმდეგ თანამედროვე რუსთაველოლოგიაში მიღებული განმარტებისა, ავტორი პურადობისა და ხელგაშლილობის კულტის ქადაგებას კი არ გულისხმობს, არამედ ღმერთთან, ანუ უმაღლეს მორალურ აბსოლუტთან ზიარებას. ზიარება კი ქრისტიანული რელიგიის მესამე საიდუმლოა, რომელშიც პურისა და ღვინის სახით მორწმუნე მიიღებს ჭემმარტ ქრისტეს ხორცსა და სისხლს „საუკუნო საცხოვნებლად“. **ნ. მ.**

282. ბონდო კარტოზია

ჯოგი თუ ჯორი?

ალმ. „კრიტიკა“ 1988, № 4, გვ. 16.

წერილი წარმოადგენს „ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფის კომენტარს თინათინის გამეფების ეპიზოდში:

„უბრძანა: „წადით, გახსენით, რაცა სად საჭურჭლენია!
ამილახორო, მოასხი რემა – ჯოგი და ცხენია!“

ავტორის შეხედულებით, ამ სტროფის მეორე სტრიქონში ადგილი აქვს სიტყვების უაზრო გამეორებას. **ჯოგის** ნაცვლად უნდა იყოს **ჯორი**. რემა ზოგადი სახელია, რომელსაც მოსდევს განმარტება, თუ რისი რემა უნდა მორეკონ? ჯორისა და ცხენის და არა ჯოგისა და ცხენის. რემაში კი ცხენებთან ერთად ჯორებიც შეიძლება იყოს. ჯორი ცხენის გვერდით სხვა ადგილასაც გვხვდება. მაგ., 1027-ე, 1028-ე, 1029-ე, სტროფებში. **ი. კ.**

283. გურამ კარტოზია

დავიცვათ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტოლოგიური კვლევა

უსაფუძვლო შემოტევისაგან

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1988, 5 აგვისტო.

სტატია გახლავთ პასუხი ენათმეცნიერ ა. ლლონტის წერილზე: „ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფის დასაცავად“, რომელიც მიზნად ისახავს დაამტკიცოს „ვეფხისტყაოსნის“ 1937 წლის გამოცემის 968-ე სტროფის („მოვიდიან შესამკობლად ქვეყანით ყოვლნი სულიერნი“) რუსთველურობა და პოემის ძირითად ტექსტში მისი შეტანის აუცილებლობა.

გ. კარტოზია დაწვრილებით მოგვითხრობს 968-ე სტროფის ისტორიას. 968-ე სტროფი მხოლოდ სადირექტივო ორგანოების აქტიური ჩარევისა და ძალდატანების შედეგად მოხვდა 1937 წ. საიუბილეო გამოცემის ტექსტში. ამ ტექსტის დამდგენი კომისიისათვის იმის დაბრალება, 968-ე სტროფი კანონიკური ტექსტის კუთვნილებად მიიჩნიაო, დიდი უსამართლობაა.

გ. კარტოზიას თავის წერილში მოჰყავს არგუმენტები, რომლებიც ამტკიცებენ 968-ე სტროფის სიყალბეს:

1. სტროფის ჩანართობის ერთ-ერთი არგუმენტია მისი იგნორირება პოემის ძირითად ხელნაწერთა გარკვეულ ნაწილში.

2. მისი ენობრივი გაუმართაობა.

3. სტროფის ჩანართობის მაჩვენებელია ის გაზვიადება-გადაჭარბება, რაც ინტერპოლაციისათვის არის ნიშანდობლივი.

გ. კარტოზია ასკვნის, რომ რუსთაველზე ასე ზერელედ და ტენდენციურად წერა შეუფერებელი და საქმისთვის საზიანოა, რადგან დილექტანტების აქტივობას უწყობს ხელს. ე. ქ.

284. ციალა კახაბრიშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ განმარტებათა რედაქციები

S 3677 ხელნაწერის მიხედვით

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1988, გვ. 43 – 59.

ავტორი წერს: მიჩნეული იყო, რომ თ. ბაგრატიონის ნაშრომი „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა“ მოღწეულია ერთადერთი ხელნაწერით (კ. კველიძის სახ. ხელნაწ. ინსტ. S3716), რომელიც გამოქვეყნდა 1960 წელს. გაირკვა, რომ არსებობს ამ ნაშრომის ადრინდელი რედაქცია (იმავე ინსტ. – S 3677), რომლის ტექსტი გადაწერილია დავით ჩუბინაშვილის მიერ.

იმავე ნუსხაში (S3677) არის თვით დ. ჩუბინაშვილის მიერ შედგენილი „განმარტება ვეფხისტყაოსნისა“, რომელიც ემყარება ვახტანგ VI-ის „თარგმანსა“ და თ. ბაგრატიონის აღნიშნულ განმარტებას. ივარაუდება, რომ დ. ჩუბინაშვილი მას ამზადებდა ლექსიკონად „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემისათვის.

ნარკვევს ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე. გ. ა.

285. მედეა კახიძე

ჩვენი ვალია

ალმან. „კრიტიკა“, 1988, № 6, გვ. 7 – 8.

ავტორის აზრით, „კრიტიკის“ განგაში საფუძვლიანი აღმოჩნდა. ის მოუწოდებს ქართველ მწერლებს, რომ „ხმა აღიმადლონ „ვეფხისტყაოსნის“ ხელყოფის წინააღმდეგ“. ე. ქ.

286. თამაზ კვაჭანტირაძე

„არს უმჟავესი წმახისა“

გაზ. „კომუნისტი“ 1988, 13 ივლისი.

ავტორი ეხმაურება პროფ. ა. ნიკოლეიშვილის წერილს („კომუნისტი“, 1988, 12 ივნისი), რომლის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენ კომისიას დაუშვია მიუტყვევებელი შეცდომები, დაუმახინჯებია და გაუყალბებია პოემის ტექსტი.

თ. კვაჭანტირაძე აღნიშნულ სტატიას მიიჩნევს არაპროფესიულად. მისი თქმით, დიდ საქმეს შეჭიდებულ კომისიას შესაძლოა ჰქონდეს პრობლემები და შეცდომებიც, მაგრამ მას თავისი საქმე არ დაუსრულებია. ალმანახი „კრიტიკა“ და ა. ნიკოლეიშვილი კი მისი მუშაობის შედეგს უსამართლოდ სასტიკად აკრიტიკებენ. ე. ქ.

287. ცოტნე კიკვიძე

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისათვის

ჟურ. „ბალავერი“, 1988, № 1, გვ., 66-85.

მკვლევარი ტექსტოლოგიურად განიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე სტრიქონს.

81: „სხვაგან ქნის მისი გონება, მისმან თავისა წონამან“.

ავტორს მიაჩნია, რომ „თავის წონა“ თავის დახრას, დალუნვას ნიშნავს (გამოთქმა დასტურდება ფსევდო-მაკარის ქართულ ვერსიაში და „კლემაქსში“) და აქ ნახმარია მეტაფორად, დიდი მწუხარების მნიშვნელობით. ამავე დროს ის ფიცის ფორმულას წარმოადგენს. მთელი ტაეპის აზრია: (ის) სხვაგან ამყოფებს (ან მიმართავს) თავის ფიქრს (= სხვა რამეზე ფიქრობს), მისმა მწუხარებამ! (= ვფიცავ მის მწუხარებას!)

552 2: „მოვიდა სიძე, გარდახდა, დღე ჰგვანდა, არს აღვსებისა“.

ც. კიკვიძე მართებულად თვლის კ. კეკელიძის კონიექტურას (არს). ხელნაწერებში არსებული წაკითხვა „არ აღვსებისა“ მას გადამწერთა შეცდომად მიაჩნია. არ იზიარებს ე. ხინთიბიძის მტკიცებას, თითქოს ამ სტროფში სიძე ქრისტეს სიმბოლიკის რემინისცენცია იყოს. გ. ა.

288. ც. კიკვიძე

„ნუცა დაუგებთ მარგალიტსა თქვენსა...“

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1988, 15 ივლისი.

ავტორი ეხმაურება ალმანახ „კრიტიკის“ 1988 წ. № 2 სარედაქციო შესავალს („როგორ ვპატრონობთ მარგალიტს“) და იქვე დაბეჭდილ რევაზ მიშველაძის წერილს „გესმის ჩემი ნაუბარი?“ (გვ. 3-9), რომლებშიც დაგმობილია პროფესიული მეცნიერული მუშაობა, კერძოდ, გრამატიკოსობა, ტექსტოლოგობა და რუსთველოლოგობა, რადგან ამ მეცნიერ რუსთველოლოგებს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში შეუტანიათ თურმე ბევრი მიუღებელი შესწორება.

ც. კიკვიძე წერს: გრამატიკოსობა და „ვეფხისტყაოსნის“ სპეციალისტობა რ. მიშველაძეს სალანძღავ და აზურად ასაგდებ პროფესიებად რომ არ მიაჩნდეს, ისეთი კურიოზები არ მოუვიდოდა, როგორც მის წერილშია. მას პოემის ტექსტის დამახინჯება ჰგონია: „გონიერთა მწვრთელი უყვარს...“; „ქვე მკრდამდის გასაპოხელად“; „რასაცა გასცემ, შენია, რას არა – დაკარგულია“; „განგებაა, სწორად მოჰკლავს, ერთი იყო, თუნდა ასი“ და სხვ. ე. ქ.

289. ც. კიკვიძე

კვლავ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის თაობაზე

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1988, № 4, გვ. 181- 184.

ავტორი პასუხობს რ. მიშველაძის წერილს (ლიტ. საქართველო, 1988, №33), სადაც მწერალი იმეორებს ადრე გამოთქმულ მოსაზრებებს. ც. კიკვიძე აღნიშნავს, რომ კრიტიკოსს რაიმე ახალი და მყარი არგუმენტები ვერ მოჰყავს და მხოლოდ ამჟღავნებს ძველი ქართულის არცოდნასა და საპოლემიკო სფეროში – „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენაში – არაკომპეტენტურობას.

აქვე მკვლევარი ეხება ბონდო კარტოზიას წერილს „ჯოგი თუ ჯორი?“ („კრიტიკა“, 1988, № 4), სადაც ავტორი მოითხოვს, რომ პოემის სტრიქონი – „ამილოხორო, მოასხი რემა-ჯოგი და

ცხენია!“ გასწორდეს ასე: **რემა, ჯორი და ცხენია**, მაგრამ არაფერს ამბობს იმაზე, რომ ასეთი წაკითხვით ეს ადგილი უკვე დაბეჭდილია 1970 წლის გამოცემაში (პ. ინგოროყვას რედაქციით), თუმცა შემდგომ გამოცემებში (ნ. ნათაძის 1976 წ. და ტექსტის დამდგენი კომისიის 1988 წ.) ეს წაკითხვა გაზიარებული არაა. არსებობს დასაბუთებული მოსაზრება, გამოთქმა „რემა-ჯოგის“ უპირატესობის შესახებ (ალ. ჭინჭარაული და ალ. ბარამიძე), რომელსაც ბ. კარტოზია ან არ იცნობს, ან უგულვებელყოფს და არც ახსენებს. გ. ა.

290. ც. კიკვიძე

მხოლოდ რეპლიკა

ჟურ. „ბალავერი“, 1988, №4 -6, გვ. 145 -147.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ 1326-ე სტროფის პირველი სტრიქონი ყველა ხელნაწერსა და გამოცემაშიც (1966 წლამდე) ასე იკითხება: „ფატმან, უსენ და მონანი ტირან ცრემლითა ცხელითა“. ისინი ტირიან გულანშაროდან ავთანდილის წასვლის გამო, ამიტომ უსენის ხსენება ამ კონტექსტში შეუფერებელი ჩანს.

ეს საჩოთირო სიტუაცია შენიშნეს თ. ბაგრატიონმა, ალ. სარაჯიშვილმა და მიხ. წერეთელმა, თუმც მათ ტექსტის შესწორება არ უცდიათ. 1965 წელს ჟურნალისტმა დ. გონაშვილმა გამოთქვა ვარაუდი, რომ ავთენტური წაკითხვა უნდა ყოფილიყო „ფატმან ხათუნ და მონანი“ (გაზ. „კოლმეურნე“, წითელწყაროს რ. 17. IV). 1965წ. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტში“ (7, X) დაიბეჭდა გურამ კარტოზიას წერილი: „ერთი ფაქტობრივი უზუსტობა პოემის ტექსტში“, სადაც დასაბუთებული იყო, რომ აღნიშნულ კონტექსტში „უსენის“ ნაცვლად უნდა იკითხებოდეს „უსამ“ (ვაჭართა უზუცესის სახელი). ეს გასწორება გაზიარებული და მიღებული იქნა 1966 წლის გამოცემებში.

1983 წელს ალმანახ „კრიტიკაში“ (№ 3) მურმან თავდიშვილი იმავე კონიექტურას გვთავაზობს გ. კარტოზიასეული არგუმენტების გამოყენებითა და პოემის 1966 წლის გამოცემაზე დაყრდნობით, ოღონდ გ. კარტოზიას წერილზე მიუთითებლად. 1988 წელს იმავე ალმანახში (№ 5) მირიან როხაძის ხელმოწერით დაიბეჭდა წერილი „მართ ვითამცა ძალდი ყეფსა“, რომელშიც აღნიშნულია, რომ უსენის ხსენება გადამწერთა უნებლიე შეცდომაა და მის ადგილზე უსამი უნდა იყოს. გ. კარტოზიასეული კონიექტურა აქ მ. თავდიშვილის „აღმოჩენად“ არის წარმოდგენილი. ამ სიტუაციაში უცნაური ისაა, რომ „მირიან როხაძე“ მურმან თავდიშვილის ფსევდონიმაა... ე. ქ.

291. „კრიტიკის“ რედაქცია [რ. მიშველაძე]

როგორ ვპატრონობთ მარგალიტს

ალმანახი „კრიტიკა“, 1988, № 2, გვ. 3.

სარედაქციო წინასიტყვაში აღნიშნულია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ საქართველოს ეროვნული განძია და ერის კუთვნილებაა. ამიტომაც მიუღებელია აკადემიკოსური ამბიციები და სპეციალისტობის დაჩემება. ბოლო ათწლეულებში დაიბეჭდა საგანგებო კომისიის მიერ ხელდასხმული ტექსტი (იგულისხმება 1966 და 1986 წლების გამოცემები); მაგრამ ჩანს, „ვეფხისტყაოსნის“ საბოლოო ტექსტის დადგენა უფრო ძნელი საქმე ყოფილა, ვიდრე ზემოხსენებულ კომისიას ამის უნარი შესწევდა. ტექსტში შეტანილი შესწორებების მცირე ნაწილი სწორია, ერთი ნაწილი სადავოა და ბევრი – აშკარად მიუღებელი“.

ამ შესავლით აღმანახის რედაქცია იწყებს პოლემიკას რუსთველოლოგიის პრობლემებზე, მისივე სიტყვით – „ვეფხისტყაოსანის“ საბოლოო ტექსტის დადგენისათვის შემწეობის აღმოჩენის სურვილით“. გ. ა.

292. ვახტანგ კუპრავა

გვაქვს თუ არა ღირსეულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“?

ალმ. „კრიტიკა“, 1988, № 3, გვ. 5 – 14.

ავტორი წერს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სრულფასოვანი პოეტური თარგმანი უნდა განხორციელდეს შესაბამისი ენისათვის ბუნებრივი და დამახასიათებელი პოეტური ხერხებით. რუსულ ენაზე არსებობს რამდენიმე პოეტური თარგმანი (კ. ბალმონტის, პ. პეტრენკოს, შ. ნუცუბიძის, გ. ცაგარლის, ნ. ზაბოლოცკის), თუმცა დღემდე მაინც არ შექმნილა სრულყოფილი და დედნისადმი ადეკვატური თარგმანი. ამის მაგალითად მოტანილია 802-ე სტროფის („თუ საწუთრომან დამამხოს ...“) შალვა ნუცუბიძისეული თარგმანი და აღნიშნულია, რომ ქართული სალექსო რიტმის პირობითმა და ხელოვნურმა შენარჩუნებამ არასასურველი შედეგი მოგვცა; აზრობრივ შეუთავსებლობასა და გაყალბებას აქვს ადგილი სტროფის ყოველ სტრიქონში. ი. კ.

293. ანდრო ლეკიაშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფის გამო

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1988, 6 მაისი.

წერილის ავტორი ცდილობს წარმოადგინოს პოემის „დასაწყისის“ მერვე სტროფის პირველი ტაეპის ახალი გააზრება: „მე რუსთველი ხელობითა, ვიქმ საქმესა ამა დარი“.

ა. შანიძის ვარაუდით, **ამა დარი** შერყვნილი ფორმაა და მის ნაცვლად უნდა მივიღოთ **ამათ დარი**. კ. კველიძე გვთავაზობს კონიექტურას – **ალამდარი**, რაც მედროშეს ნიშნავს.

ა. ლეკიაშვილის აზრით, აქ უნდა ყოფილიყო **ამალდარი**, რაც წარმომდგარია არაბული სიტყვიდან **ამალ** (საქმე, მოქმედება) და მასზე დართულია სპარსული სუფიქსი **დარ**. ამ ტერმინში იგულისხმება პოეტის თანამდებობა – კუხეთის რუსთავის გამგებლობა – ამალდარობა. აქედან წარმოიშვა მისი ზედწოდებაც **რუსთველი**. მკვლევარის აზრით, სიტყვა **ხელობაც** ხელისუფლებას, თანამდებობის ქონებას ნიშნავს და უნდა დაიწეროს **ველობითა** ფორმით. გ. ა.

293ა. Соломон Лекишвили

Забыли ... Руставели?

ჟურ. «Лит. Грузия» Тб., 1988, № 10, с. 222-223.

ავტორი წერს, რომ გამოქვეყნდა „ფილოსოფიური ლექსიკონის მეხუთე გამოცემა, ი. ფროლოვის რედაქციით, მოსკოვი, 1987 წ. არც ამ 580-გვერდიან და არც ადრინდელ გამოცემებში არაფერია ნათქვამი ქართული ფილოსოფიური აზროვნების წარმომადგენლებზე, რის მიზეზიც არ შეიძლება ენობრივი ბარიერი იყოს, რამეთუ რუსულ ენაზე თარგმნილია შ. ნუცუბიძის „ქართული ფილოსოფიის ისტორია“ (1969 წ.) და იოანე პეტრიწის რჩეული თხზულებები (1942 და 1982 წწ.).

ადრე, 1954 და 1955 წლებში, ამავე გამომცემლობაში მომზადებულ „მოკლე ფილოსოფიურ ლექსიკონში“ იყო სტატიები შოთა რუსთაველსა და ი. ჭავჭავაძეზე. ისიც აღსანიშნავია, რომ ბერლინში 1987 წელს გამოცემულ „ფილოსოფიურ ლექსიკონში“ იოანე პეტრიწს ეძღვნება სათანადო სტატია (ავტორი გ. თევზაძე), ხოლო საბჭოთა მეცნიერთაგან დასახელებულია ჯ. გვიშიანი. გ. ა.

294. ლევან მენაბდე

დროზე უნდა დადგინდეს

ალმანახი „კრიტიკა“, 1988, № 2, გვ. 38-42.

წერილი ეხება „ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოების პრობლემას, ე.წ. „ინდო-ხატაელთა ამბის“ ავთენტიკურობას. ავტორი აღნიშნავს პოემის ტექსტის ამ მონაკვეთის შესახებ არსებულ სხვადასხვა თვალსაზრისს:

1. „ინდო-ხატაელთა ამბავი“ „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებაა, ის რუსთაველს არ ეკუთვნის;
2. ეს მონაკვეთი რუსთველისეული ტექსტის დასასრული და მისი ორგანული ნაწილია.
3. „ინდო-ხატაელთა ამბავი“ რუსთაველის პოემის დაბოლოების რესტავრირებული ტექსტია. თვითონ მკვლევარი მეორე თვალსაზრისს ემხრობა. მისი აზრით, „ინდო-ხატაელთა ამბავი“ შინაარსობრივ-თემატიკურად და კომპოზიციურად მჭიდროდაა დაკავშირებული პოემის ძირითად ნაწილთან, თუმცა მასში რამდენადმე რესტავრატორის მუშაობის კვალიც ჩანს. მისი ადგილი რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“, ამიტომაც პოემის ყოველ გამომცემაში უნდა იბეჭდებოდეს. ი. კ.

295. ლ. მენაბდე

რუსთაველი

საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურაში

თბ., 1988, 138 გვ.

წიგნში განხილულია საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების მწერლების, მეცნიერების რუსთველოლოგიური ნააზრევი XIX-ის დამდეგიდან XX-ის 80-იან წლებამდე. ნაჩვენებია, თუ რა წვლილი შეიტანეს მათ „ვეფხისტყაოსნის“ ზოგადსაკაცობრიო კულტურულ-ლიტერატურულ ასპარეზზე დამკვიდრებაში.

ცალ-ცალკე დახასიათებულია თხუთმეტ რესპუბლიკაში „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის, თარგმნისა და პოპულარიზაციის ისტორია მოცემულ პერიოდში. ნაშრომის ზოგიერთი ნაწილი ადრეც იყო გამოქვეყნებული, მაგ., „რუსთველი ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში“ – 1981 წ. (იხ. აქვე, ანოტ. № 12); „რუსთველი შუა აზიის ქვეყნებში“ – 1983 წ. (იხ. ანოტ. № 87); „რუსთველი რუსულ ლიტერატურაში“ – 1987 წ. (იხ. ანოტ. № 249).

უკრაინელების ღვაწლის აღწერა იწყება მიკოლა გულაკის წიგნის (1884 წ.) განხილვით და მთავრდება მ. ბაჟანის ნარკვევის „უკვდავი პოემა“ (1983 წ.) ანალიზით.

ბელორუსიიდან აღნიშნულია ი. კოლასის, ვ. ვოლსკის, პ. პანჩენკოს, პ. ბროვკას, მ. ხვედოროვიჩის და სხვა მკვლევართა და მთარგმნელთა წვლილი „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციაში.

წიგნში გადმოცემულია აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლისა და თარგმნის ისტორია აზერბაიჯანსა და სომხეთში, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. **გ. ა.**

296. რუსუდან მეფისაშვილი

არ დაუჯეროთ, მცდარია!

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1988, 5 თებ., № 6, გვ. 4.

ავტორი ეხმაურება ა. ცამციშვილის წერილს (ჟურ. „სოვეტსკი მუზეი“, 1987, № 6), რომელშიც გამოთქმული იყო ვარაუდი, რომ გელათის მთავარი ტაძრის სამხრეთის ეკვდერში ბერის სამოსელში დახატული მამაკაცი შოთა რუსთაველი უნდა იყოს. რ. მეფისაშვილი წერს, რომ ეს ვარაუდი მცდარია. ფრესკას აქვს წარწერა: „მეფე დ~თ ძე რუსუდნისი“, რაც ქარაგმების გახსნით ნიშნავს: „მეფე დავით ძე რუსუდნისი“. ე. ი. აქ დახატულია მეფე დავით VI, ნარინი, რომელიც გელათის მონასტერში ბერად შემდგარი ყოფილა. ა. ცამციშვილი წარწერას თვითნებურად კითხულობს „შოთა რუსთაველად“, რაც სრულიად უსაფუძვლოა. **გ. ა.**

297. რევაზ მიშველაძე

„გესმის ჩემი ნაუბარი?“

ალმ. „კრიტიკა“, 1988, № 2, გვ. 4-9.

ავტორი წერს, რომ 1966 წლის შემდეგ გამოცემულ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში ბევრი უმართებულო ცვლილება შეტანილი. ძველი გამოცემებიდან მას სანიმუშოდ მიაჩნია მწერალთა კომისიის მიერ დადგენილი 1888 წლისა და 1937 წლის საიუბილეო გამოცემის ტექსტები. მათთან მიმართებაში განიხილავს პოემის 1986 წლის გამოცემის ტექსტს. (რედაქტორი თ. დაუშვილი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“). ცუდი გასწორების, ანუ ტექსტის დამახინჯების მაგალითებად მოყვანილია შემდეგი წაკითხვები 1986 წლის გამოცემიდან:

„ნუვინ გარევთ ერთმანერთსა! **გესმის** ჩემი ნაუბარი?“ (24, 4)

„ზოგსა გადაჰკრის მათრახი **ქვე მკრდამდის** გასაპოხელად“ (93, 4)

„მესამე ლექსი **კარგი არს**“ (17, 1)

„**განგებაა**, სწორად მოჰკლავს, ერთი იყოს თუნდა ასი“ (162,1)

„რასაცა გასცემ შენია; **რაც არა**, დაკარგულია“ (50, 4)

„ერთსა **წავსწყდი** უტევანსა...“ (438, 3)

გონიერთა მწვრთელი უყვარს, **უგუნურთა** გულსა ჰგმირდეს (894, 2)

1937 წლის გამოცემაში იყო: „**გესმას** ჩემი ნაუბარი“. „**მკერდამდის** გასაპოხელად“. „მესამე ლექსი **კარგია**...“; „**რას არა**, დაკარგულია“. „**ფათერაკი** სწორად მოჰკლავს...“; „ერთსა **წავსწყდი** უტევანსა“; „**გონიერსა** მწვრთნელი უყვარს, **უგუნურსა** გულსა ჰგმირდეს“.

რ. მიშველაძის დასკვნით, „ვეფხისტყაოსნის ტექსტში ავად ჩარეულან და მართლაც რომ შეურყვნიათ“. **გ. ა.**

297a. რ. მიშველაძე

„ვის შევჩვილო...“

ალმანახი „კრიტიკა“, თბ. 1988, № 5, გვ. 5-9.

სტატია დაწერილია „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემის (1988წ.) რედაქციის წევრების – ი. აბაშიძის, ა. ბარამიძის, ე. მეტრეველის, ს. ცაიშვილისა და შ. ძიძიგურის კოლექტიური წერილის (გაზ. „კომუნისტი“, 1988, 7 აგვისტო) პასუხად. რ. მიშველაძე აღნიშნავს, რომ წერილის ავტორები გამოთქვამენ ზოგად დებულებებს კლასიკური ლიტერატურული ძეგლის მეცნიერული ტექსტის დადგენის თაობაზე, არ განიხილავენ ალმანახ „კრიტიკაში“ დაბეჭდილ შენიშვნებს და არ ცდილობენ მათ გაბათილებას. გ. ა.

298. გაი მურდულია

„ვეფხისტყაოსნის“ სწავლების ერთი ასპექტისათვის

ჟურ. „ბალავერი“, 1988, № 4-6, გვ. 137-144.

როგორც ავტორი წერს, რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში გარკვეულია, რომ რუსთაველის მსოფლმხედველობის ერთ-ერთი საფუძველია არეოპაგიტული მოძღვრება. მის თხზულებაში აისახა სიკეთის მონიშნისა და ბოროტების არასუბსტანციურობის თეორია. ეს თვალსაზრისი მთელს ნაწარმოებში განფენილია და რუსთაველის მრწამსს წარმოადგენს.

აგრეთვე ცნობილია, რომ ანტიკურ სამყაროში, პოლითეიზმის ზეობის დროს, არსებობდა ერთი ზეპერსონალური ცნება – მოირა (იგივე ბედისწერა), რომელიც ოლიმპიელ ღმერთებზე მაღლა იდგა და რომელსაც ემორჩილებოდა ყველა და ყოველივე კოსმოსში და მიწაზე. ქრისტიანულმა მსოფლმხედველობამ არ დაუშვა სამპიროვან ღმერთზე მაღლა მდგომი იდეა და ბედისწერაც ღვთაებრივ შემცველობად მოიაზრა. სწორედ ღვთაებისა და ბედისწერის ერთობად უნდა ვიგულისხმოთ რუსთველისეული განგება, რაც ასე ხშირადაა ნახსენები პოემაში.

„ვეფხისტყაოსანში“ დახატულია სრული ჰარმონიის სურათი. ესაა ამქვეყნიური ანტინომიურობის დაძლევა, სააქაოშივე სრულქმნილი არსებობის დასადგურება, სიკეთის ზეობა და ბოროტების საყოველთაო დათრგუნვა. გ. ა.

299. ნოდარ ნათაძე

კრიტიკის პასუხად

ჟურ. „კრიტიკა“, 1988, № 5, გვ. 10-18.

ავტორი პასუხობს „ვეფხისტყაოსნის“ სასკოლო გამოცემის მიმართ დ. ქუმსიშვილისა და ნ. გოგოჭურის მიერ გამოთქმულ შენიშვნებს („კრიტიკა“ 1988, № 3).

მსჯელობა შეეხება სიტყვა-ცნებების განმარტებებს: სიმდაბლე, სიყმე, შური, ყანდი, დამმართოს ნები, ბროლ-ბალახში შეხვეული, დავედრებული, მოაწინა, გამოსრულობა, გულნალმობარი, ხანიერი, განგება, ბედი, ეჯი და სხვ.

ავტორი ეხება აგრეთვე ასტრონომ გ. თევზაძის კონცეფციას „ვეფხისტყაოსანში“ გამოვლენილი რუსთაველის თითქოსდა გეო-ჰელიოცენტრისტული სისტემის შესახებ. აღნიშნავს, რომ გ. თევზაძის ზოგი დებულების მცდარობა გამოწვეულია პოემის ტექსტის ვერგაგებით, მაგრამ მის ნაშრომში მოცემულია უამრავი ღირებული მასალა ტექსტის ასტრონომიულ მინიშნებათა ინტერპრეტაციისათვის. გ. ა.

300. ა. ნიკოლეიშვილი

ახალ შეცდომათა თავიდან ასაცილებლად

გაზ. „კომუნისტი“, 1988, 12 ივნისი, № 137, გვ. 1.

ავტორი ეხმაურება აღმანახ „კრიტიკის“ მიერ დაწყებულ კამპანიას „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის წინააღმდეგ, რუბრიკით: „როგორ ვპატრონობთ მარგალიტს“. იგი მხარს უბამს დაბეჭდილი კრიტიკული წერილების შინაარსსა და მათ პათოსს და წერს, რომ კვლავ ჩნდება საფრთხე „ვეფხისტყაოსნის“ ახლებურად შერყვნილი ტექსტის დაკანონებისა. მისი აზრით, პოემის ტექსტის დადგენაში „უფრო აქტიურად უნდა ჩაერიონ და ავტორიტეტული სიტყვა თქვან რუსთაველის საზოგადოებამ, საქართველოს მწერალთა კავშირმა, მეცნიერებათა აკადემიამ, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა“.

გ. ა.

301. შოთა ნიშნიანიძე

ჩემი აზრი

ალმ. „კრიტიკა“, 1988, № 6, გვ. 6-7.

ავტორი მხარს უჭერს „კრიტიკაში“ დაბეჭდილი წერილების ავტორებს (საერთოდ „კრიტიკის“ მიერ წამოწყებულ დისკუსიას „ვეფხისტყაოსნის“ გასწორებათა შესახებ). კერძოდ, იწონებს „გესმას“ და „მკერდამდის“ ფორმებს.

ე. ქ.

302. მანანა ნუცუბიძე

ძვირფასი ქვები „ვეფხისტყაოსნისა“ და „შაჰ-ნამეს“ მხატვრულ სახეებში

ქურ. „მაცნე“, ელს, 1988, № 1, გვ. 80-84.

წერილში განხილულია მსგავსებისა და სხვაობის შემთხვევები ძვირფასი ქვების მოხსენიებისას შოთა რუსთაველისა და ფირდოუსის თხზულებებში. ძვირფასი ქვების აღმნიშვნელი ტერმინები ძირითადად გამოყენებულია შედარებებსა და მეტაფორებში. რაოდენობა საგნებისა, რომლებიც ძვირფას ქვებს ედრება, უფრო მეტია „შაჰ-ნამეში“, ვიდრე „ვეფხისტყაოსანში“. ეს იმით აიხსნება, რომ რუსთაველთან ძვირფასი ქვები ადამიანის გარეგნობის, ან მისი სხეულის ნაწილების გამომხატველია. ფირდოუსი კი მათ ბუნებრივი მოვლენებისა და იარაღის აღწერა-დახასიათებისთვისაც იყენებს.

ნარკვევს ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე.

გ. ა.

303. მირიან როხაძე

„მართ ვითამცა ძალდი ყვესა“

ალმ. „კრიტიკა“, 1988, № 5, გვ. 19-22.

ავტორი იზიარებს „კრიტიკის“ 1983 წ. მესამე ნომერში აღნიშნულ შენიშვნას იმის თაობაზე, რომ 1321-ე სტროფში უსენის მაგიერ უნდა იკითხებოდეს უსამი. სახელების აღრევა გამოწვეულია ტექსტის გადამწერთა უნებლიე შეცდომით.

კონტექსტის მიხედვით ლოგიკურია, რომ გულანშაროდან ავთანდილს აცილებენ: ფატმანი, ვაჭართა უხუცესი უსამი და ფრიდონის მონები.

მ. როხაძის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში, ამავე ეპიზოდში, უნდა შევიდეს ხელნაწერებში არსებული სტროფი:

მოქარავენეთა უბრძანა: „საქმე მიც, გითხრა განაო,
კარგად მომიხდა, მოყვრობა მე თქვენი მესვინაო,
რაცა მინდოდა, ყველაი ვქენ, ღმერთმან მაგულვანაო,
აწ აღარა მცალს ბადრაგად, სხვა წაიტანეთ თანაო“. გ. ა.

304. [შოთა რუსთაველი]

ვეფხისტყაოსანი

შოთა რუსთაველისა

გამოცემული გ. დ. ქართველიშვილის მიერ. ტფილისი, სტამბა ი. მარტიროსიანცისა, 1888, 360 გვ. აღდგენილი გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ (დირექტორი გურამ ფანჯიკიძე), თბილისი, 1988. მხატვრული რედაქტორები დავით დუნდუა, ვახტანგ მენტეშაშვილი.

პოემის სტროფები დაუნომრავია. ბოლოს ერთვის ანოტაცია „გამომცემლობისაგან“ (გვ. 360), გ. ფანჯიკიძის ხელმოწერით. გ. ა.

305. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი

თბ., გამ. „მეცნიერება“, 1988, 256 გვ. ტირაჟი 50 000. მთავარი რედაქცია:

ალ. ბარამიძე, (მთ. რედაქტორი), გ. წერეთელი (მთ. რედაქტორი), ს. ცაიშვილი (მთ. რედაქტორის მოადგილე), გ. კარტოზია (მთ. რედაქციის სწავლული მდივანი), ირ. აბაშიძე, ი. აბულაძე, ი. გიგინეიშვილი, ც. კიკვიძე, ელ. მეტრეველი, შ. მიძიგური.

წიგნში დაბეჭდილია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ მომზადებული ტექსტი, რომელშიც შედის 1666 სტროფი. მას ერთვის წინასიტყვაობა „მთავარი რედაქციისაგან“ (გვ. 3-7), რომელშიც წარმოდგენილია რუსთაველის თხზულების მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის დადგენის პრინციპები და პოემის აკადემიური გამოცემის მოსამზადებელი მუშაობის მიმდინარეობა. გ. ა.

306. [ლ. მენაბდე]

რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III

თბ., უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1988, 686 გვ.

შემდგენლები: ნ. ბეპიევა, ო. გოლიაძე, დ. დგებუაძე, დ. მენაბდე, ლ. მენაბდე, ვ. შადური, ო. ჭურლულია. სარედაქციო კოლეგია: ა. ბარამიძე, ო. ბაქანიძე, ვ. გამყრელიძე, ლ. მენაბდე (მთ. რედ.), ა. ურუშაძე, ვ. შადური.

კრებულში წარმოდგენილია რუსეთის სფსრ-ში, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ-სა და სამხრეთ ოსეთის აო-ში გამოქვეყნებული რუსთაველოლოგიური ლიტერატურა XIX ს-სა და XXს-ში (80-იან წლებამდე). კრებულის შედგენილობა ასეთია:

წინასიტყვაობა (გვ. 11-14);

შესავალი (გვ. 15-57);

ბიბლიოგრაფია (გვ. 16-184) მოიცავს რუსულ და ავტონომიური რესპუბლიკების ხალხთა ენებზე გამოქვეყნებულ მასალას. ცალკეა აფხაზეთის ასსრ-სა და სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქში დაბეჭდილი მასალის ბიბლიოგრაფია (გვ. 158-184).

შემდეგ წარმოდგენილია რუსეთის სფსრ-ში გამოქვეყნებული წიგნები, წერილები, სიტყვები 98 ავტორისა (გვ. 185-528), აფხაზეთის ასსრ-დან – 12 ავტორისა (გვ. 529-591) და სამხრეთ ოსეთის აო-დან – 6 ავტორისა (გვ. 592 -609);

შენიშვნები (ლ. მენაბდე, გვ. 610-658), შემოკლებათა განმარტება (გვ. 659-665), პირთა საძიებელი (დ. მენაბდე, გვ. 666- 686). **გ. ა.**

307. ლ. რუხაძე

ადამიანთა საკუთარი სახელები „ვეფხისტყაოსნის“

არაბულ თარგმანში

კრებ. „სემიტოლოგიური ძიებანი“, IV

(აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტ.),

თბ., 1988, გვ. 50-53.

ნარკვევში განხილულია არაბულ ენაზე ნიზარ ხალილის მიერ თარგმნილ „ვეფხისტყაოსანში“ (დამასკო, 1984წ.) პერსონაჟთა სახელების გადატანის საკითხი.

ავტორის თქმით, ამ მხრივ სიძნელეს ის ქმნის, რომ არაბულ დამწერლობას არ გააჩნია ასოები მოკლე ხმოვნების ა, ი, უ-ს აღსანიშნავად, საერთოდ არ მოეპოვება ე და ო ხმოვნები და ქართული გ, ვ, კ, პ, ჟ, ტ, ფ, ყ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ ასო-ბგერები.

მთარგმნელის მიერ საკუთარ სახელთა გადასატანად გამოყენებულია ოპტიმალური ბგერათმშენებლობები და, მცირე გამონაკლისის გარდა, ძირითადად სწორადაა გადაჭრილი უცხოური სახელების წარმოდგენის საკითხი არაბულ ენაში.

ნარკვევს ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე. **გ. ა.**

308. З. Ю. Сихарулидзе

Руставели и арабский мир

(К антропонимии «Вепхисткаосани»)

კრებ. „სემიტოლოგიური ძიებანი“, IV (აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტ.),

თბ., 1988, გვ. 60-63.

ნარკვევში დაყენებულია „ვეფხისტყაოსანში“ ხსენებული არაბული წარმოშობის საკუთარი (პიროვნებათა) სახელების შესწავლის საკითხი. გამოყოფილია ორი ჯგუფი:

1. სუფთა არაბული წარმომავლობის საკუთარი სახელები – ასმათი, ფატმანი, რამაზი, უსამი, უსენი;

2. არაბულ-სპარსული ანთროპონიმები – მელიქ-სურხავი, ნურადინ-ფრიდონი, შერმადინი, ავთანდილი, – და მოცემულია მათი სავარაუდო ეტიმოლოგიები. მაგ., სახელ ავთანდილის ასახსნელად წარმოდგენილია იუსტ. აბულამის განმარტება: „ვატანუდ-დინ||ავტანუდ-დინ“ (= სარწმუნოების ბინა, კერა, ბურჯი) – ქართულ ფონეტიკურ ბუნებას აუთვისებიაო „ავთანდილის“ სახით. **გ. ა.**

309. ალექსანდრე ფოცხიშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ ახალი სასკოლო გამოცემის გარშემო

(ლექსიკოლოგიური მივანი)

„სკოლა და ცხოვრება“, 1988, №1, გვ. 42-51. აგრ. წიგნში: ალ. ფოცხიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ზოგი სადავო საკითხის გარშემო“ თბ., 1991, გვ. 65-103.

მკვლევარი ეხება „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე ტაეპს. მას მცდარად მიაჩნია სასკოლო გამოცემის რედაქტორ-კომენტატორის ნ. ნათიძის განმარტებანი და გვთავაზობს საკუთარ ინტერპრეტაციებს. მაგ. 142-ე სტროფიდან: „ბროლ-ბალახში შეხვეული და გიშერი ასადაგეს“. ნ. ნათიძის განმარტებით „ბროლ-ბალახში ტუჩ-კბილის აღმნიშვნელი მეტაფორაა, **გიშერი** – ულვაში, სადაგი – მარტივი, დაუფარავი. **ასადაგეს** – გააშიშვლეს, გამოაჩინეს. ტაეპის აზრია: მხიარულ საუბარში ბაგეები გახსნეს. მათი ლაპარაკისას წითელი ტუჩების, თეთრი კბილებისა და შავი ულვაშის მოძრაობა ჩანდა“.

ალ. ფოცხიშვილი აღნიშნავს, რომ არ დასტურდება „სადაგი“ დაუფარავის მნიშვნელობით და „ასადაგეს“ ვერ იქნება: გააშიშვლეს, გამოაჩინეს. მისი აზრით, „სისადაგე“ იგივეა, რაც „სიწრფოება“ (ილ. აბულაძის ლექსიკონი), ხოლო „მისადაგება“ ნიშნავს მორგებას, მიყენებას. სადავო ტაეპში „ბროლ-ბალახში“ თინათინის კბილები და ტუჩებია, „გიშერი“ – ავთანდილის შავი ულვაში: ე. ი. „აქ კოცნაზე ლაპარაკი“ (გვ.45). მესამე ტაეპში „შენთა მჭვრეტთა“ ალ. ფოცხიშვილს შესაძლებლად მიაჩნია გავიგოთ: „შენმა თვალემა“, – „ემამ უთხრა: შენმა თვალემა გამახელეს და აი, რა მდგომარეობაში ჩამაგდეს“ (გვ.45).

563-4 „უსისხლოდ მოვკალ იგი, გლახ, თუცა ხმდა სისხლთა დადენით“, ნ. ნათიძის განმარტება:

1. ხვარაზმელს ჩემგან უარესი ეკუთვნოდა (სისხლის დადენით უნდა მომეკლა);
2. ჯობდა ღია ბროლაში სისხლის დადენით მომეკლა. (შდრ. კომისიის განმარტება, – მაცნე, 1977, №3).

ალ. ფოცხიშვილი იმოწმებს მ. კეკელიას, რომ „სისხლი“ იურიდიული ტერმინია (მაცნე, 1981, №4; 1985, № 1) და ნათქვამი ნიშნავს: „სისხლი არ ემართა ჩემი, ისე მოვკალი საბრალო, თუმცა მართებული იყო ასე მოვეცეულიყავი, მოვკალი მისებრი ღირსების (ფასის) სისხლის მქონემ (მდემა)“.

ალ. ფოცხიშვილს არც ეს განმარტება აკმაყოფილებს და ასეთ გააზრებას გვთავაზობს: „მოვკალი ისე, რომ დანაშაულისათვის პასუხი არ მიგია, სისხლი არ გადამიხდია, თუმცა, რადგან უდანაშაულო იყო, სისხლი მაინც უნდა მეზლო“. **გ. ა.**

310. ქართული რენესანსის საკითხები

ქლენება აკად. შალვა ნუცუბიძის დაბადებიდან 100 წლისთავს,
თბ., 1988, 132 გვ.

წიგნი გამოცემულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის გრიფით. მასში თავმოყრილია სხვადასხვა ჟურნალსა და კრებულში გამოქვეყნებული ნაშრომები, როგორც აღმოსავლური და ქართული რენესანსის თეორიის სასარგებლოდ, აგრეთვე საწინააღმდეგოდ, კერძოდ:

შ. ხიდაშელი, „ქართული შუა საუკუნეების კულტურის მსოფლმხედველობრივი საფუძვლები აქსიოლოგიის თვალსაზრისით“. **მისივე**, „რამდენიმე განმარტება ჩემს წიგნზე: „Вопросы грузинского ренессанса“ (1984) გამოთქმული შენიშვნების გამო“.

ზ. ვოლგასტი, „არსებობს თუ არა ქართული რენესანსი?“ („მაცნე“, ფფს., 1986, № 1).

ალ. ლოსვეი, „აღმოსავლური აღორძინება“ („Эст. Возрожд.“, 1978), **მისივე**, „სიტყვა ქართულ ნეოპლატონიზმზე“ („Лит. Гр.“ 1986, №6).

ი. ბრაგინსკი, „აღმოსავლური რენესანსის“ კონცეფცია, მომხრენი და მოწინააღმდეგენი“ (კრებ. „Ш. Нудундзე – 90“, 1980).

ნ. ნათაძე, „შალვა ნუცუბიძე და რენესანსის პრობლემა“.

წიგნს ერთვის რეზიუმე რუსულ ენაზე (გვ. 129-131). **გ. ა.**

311. ციცილო ქვათაძე

„ვეფხისტყაოსნის“ სასკოლო გამოცემის გამო

ალმან. „კრიტიკა“, 1988, № 6, გვ. 16-18.

წერილი ეხება „ვეფხისტყაოსნის“ სასკოლო (ნ. ნათაძის) 1986 წლის გამოცემას. ავტორს გაუმართლებლად მიაჩნია ამ გამოცემის ზოგიერთი წაკითხვა (საწოლის მეკრე (564), რუსთავის დამისა (1658), კაცსა მიჯნურობა გააფრდილებს (718), მცებნელი (1290), სილისა (328), ქურდთა (301) და სხვა).

მაგრამ ეს უარყოფა დასაბუთებული არაა და მხოლოდ ავტორის სურვილს და ლიტერატურულ გემოვნებას ემყარება. **გ. ა.**

312. დიმიტრი ქუშიშვილი

მივხედოთ „ვეფხისტყაოსანს“

ალმ. „კრიტიკა“, 1988, № 3, გვ. 15-19.

ავტორი აღნიშნავს, რომ 903-ე სტროფის მეოთხე ტაეპი ყველა არსებულ ხელნაწერში იკითხებოდა – „ბედი, ცდა და... გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მოცაგზვდების“, 1966 წლის შემდეგ კი ამ ტაეპმა ასეთი სახე მიიღო: „ბედი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა უნდეს მო-ცა-გზვდების“.

ამ გასწორების მიხედვით „ბედი“ გაიგივებულია „ცდა“-სთან. ავტორის შეხედულებით, 903-ე სტროფში ნახმარი სიტყვა „ცდა“ ნიშნავს განსაცდელს (испытание) და არა მოქმედებას ან ბრძოლას.

მისივე აზრით, 23-ე სტროფში **სიმდაბლის** მაგიერ უნდა იკითხებოდეს **სიმდიდრე**, ხოლო 27-ში უნდა იყოს: დათმოს წყრომა **მოყვრისაგან**.

მკვლევარი წერს, რომ ბოლო გამოცემებში მრავლად გვხვდება თვითნებური გასწორებები „ტექსტის დამდგენი კომისიის არაკომპეტენტურობის გამო“. **ი. კ.**

313. შოთა ქურდაძე

ტარიელისა და ფარსადანის

კონფლიქტის გაგებისათვის

ალმ. „კრიტიკა“, 1988, № 6, გვ. 12-15.

სტატია პოლემიკურია ნინო მელიქიშვილის მიმართ, რომლის წერილში იყო ასეთი თეზისი: „ფარსადანს თითქმის არ მიუძღვის ბრალი იმ უბედურებაში, რომელიც ნესტანს და ტარიელს დაატყდათ თავს“ (ქართული ენა და ლიტ. სკოლაში, 1987, № 1-4, გვ. 309).

ავტორი მხარს უჭერს ტრადიციულ გაგებას, რომ მეფემ და დედოფალმა თვითნებურად, ვაზირების აზრის მოუსმენლად გადაწყვიტეს ნესტანის გათხოვების საკითხი და მათ არასწორ მოქმედებას მოჰყვა სამწუხარო შედეგი. **გ. ა.**

313ა. შ. ქურდაძე

„ვეფხისტყაოსნის“ სწავლების შესახებ

გაზ. „სახალხო განათლება“, 1988, 28 იანვარი, № 9, გვ. 4.

სტატია ეხმაურება კ. იმედაშვილისა და გ. არაბულის წერილებს ქართული ლიტერატურის და, კერძოდ, „ვეფხისტყაოსნის“ სწავლების თაობაზე საშუალო სკოლაში. ავტორი არ ეთანხმება დასახელებული ოპონენტების მოსაზრებებს და საკუთარ თვალსაზრისს ასე წარმოადგენს დასკვნის სახით: გამართლებულად მიგვაჩნია „ვეფხისტყაოსნის“ სწავლება ქრონოლოგიური სისტემით. პოემა უნდა ისწავლებოდეს დაწყებითი კლასებიდან აფორიზმებისა და ზოგიერთი ეპიზოდის სახით, V-VIII კლასებში – შერეული ნაწყვეტებით, ხოლო IX კლასში – მთლიანად. **ნ. გ.**

314. ალექსანდრე ღლონტი

„ვეფხისტყაოსნის“

ერთი სტროფის დასაცავად

ალმ. „კრიტიკა“, 1988, № 2, გვ. 10-22.

წერილი ეხება პოემის ერთ სტროფს ავთანდილის მგზავრობიდან. იგი არის „ვეფხისტყაოსნის“ ვრცელ ხელნაწერებში და ზოგიერთ ნაბეჭდ გამოცემაშიც 968-ე ნომრით: „მოვიდიან შესამკობლად ქვეყნით ყოვლნი სულიერნი ...“

ამ სტროფს გვიანდელ ჩანართად მიიჩნევდნენ 1888 წლის გამოცემის რედაქცია და სხვა მეცნიერ-რედაქტორები: დ. კარიჭაშვილი, ს. კაკაბაძე, იუსტ. აბულაძე, კ. ჭიჭინაძე, პ. ინგოროყვა და 1996 წელს დაბეჭდილი გამოცემების ყველა რედაქცია. წერილის ავტორი განსაკუთრებით აღშფოთებულია იმის გამო, რომ დასახელებული სტროფი ყალბად მიიჩნია „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენმა კომისიამ. რუსთველოლოგების მიერ დასახელებულ არგუმენტებს, მათ შორის იმას, რომ სადავო სტროფი არ მოიპოვება A და D რედაქციების ხელნაწერებში, რომლებიც შედგენილობის მხრივ უფრო ახლო დგანან ავთენტურ ტექსტთან, ან იმას, რომ სტროფი ენობრივად გაუმართავია, ალ. ღლონტი საკმარის საბუთად არ თვლის ამ სტროფის სიყალბის მტკიცებისა და პოემის ძირითადი ტექსტიდან ამოღებისათვის.

(იხ. გამომხაურება აქვე, ანოტ. № 283; აგრ. გ. კარტოზიას წიგნში „ტექსტოლოგიური გამოკვლევები“, თბ., 2004, გვ. 101-128).

315. გ. შათირიშვილი

შოთაობა

იყალთო, თბ., 1988, 44 გვ. წიგნი-ალბომი ქართულ და რუსულ ენებზე.

ტექსტის ავტორი – გ. შათირიშვილი, ფოტოები – ედუარდ გოგილაშვილისა.

ალბომი ეძღვნება სახალხო დღესასწაულის, „შოთაობის“ 25 წლისთავს. მასში აღნიშნულია, რომ ყოველწლიურად (1963 წლიდან) თელავის რაიონის სოფ. იყალთოში, ძველი

აკადემიის ნაფუძარზე, ოქტომბრის მეორე ნახევარში ეწყობა შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი შეკრება, რომელშიც მონაწილეობენ საქართველოს ყველა კუთხიდან მწერლები და მეცნიერები, ხელოვნების მუშაკები, მშრომელები, მოსწავლეები....

იყალბოში გახსნილია სახალხო უნივერსიტეტი, რომელსაც ოთხი ფაკულტეტი აქვს: საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ლიტერატურისა და ხელოვნების, სასოფლო-სამეურნეო და მედიცინისა. აქ სამასზე მეტი კაცი სწავლობს, ძირითადად – თელავის რაიონიდან.

„შოთაობას“ ყოველწლიურად ეძღვნება ერთდროული გაზეთი, რომელშიც იბეჭდება მეცნიერული ნარკვევები და მხატვრული ნაწარმოებები. უნივერსიტეტთან შეიქმნა მუზეუმი. მასში წარმოდგენილია შოთა რუსთაველთან და მის თხზულებასთან დაკავშირებული მდიდარი მასალა, პოემის გამოცემები სხვადასხვა ენაზე.

ალბომში დაბეჭდილია „შოთაობის“ ზეიმის ამსახველი უხვი ფოტომასალა. **გ. ა.**

316. სანდრო შაიშმელაშვილი

**იქნებ ღირდეს დაფიქრებად
(„შეკაზმულნი“ თუ „შეკაფულნი“)**
ალმ. „კრიტიკა“, 1988, № 6, გვ. 8-10.

ავტორი უარყოფს 1966 წლის საიუბილეო და მის შემდგომ გამოცემებში არსებულ გამოთქმას: „გზანი დახვდეს შეკაზმულნი“ (1406 სტრ.) და მოითხოვს ადრე არსებული „შეკაფულნი“ სიტყვის აღდგენას. იმოწმებს მაგალითებს „ვეფხისტყაოსნიდან“: „...ქვანნი ... დევთა შეეკაფნეს“. შეკაზმული კი მხოლოდ ორი გაგებით იხმარება, – ერთია ცხენის შეკაზმვა, მეორე – საჭმლისა: „ფატმანს პური შეეკაზმა...“

ამავე წერილში ავტორი საჭიროდ თვლის, რომ **მიუქს** და **მითქს** ფორმები შეიცვალოს **მიუგს** და **მიდგს** ფორმებით, რადგან მსგავსი ფორმები სხვა შემთხვევებში წარმოდგენილია „დ“ და „გ“ ასო-ბგერებით. **გ. ა.**

317. თენგიზ ჩხაიძე

რა საზომით ვუდგებით?
ალმ. „კრიტიკა“, 1988, № 2, გვ. 35-38.

ავტორის შეხედულებით, სტროფი „კარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ, ჩავაკარბაკე“ (556), შინაარსობრივად აკავშირებს წინა და მომდევნო სტროფებს. წინა სტროფის ბოლო სტრიქონია – „უსისხლოდ მოვკალ იგი ყმა, თუცა ხმდა სისხლისა დენით“. მომდევნო სტროფი კი ასე იწყება: „ხმა დამივარდა, შეიქმნა ზახილი მოსაწევარი“. ტარიელის მიერ მიპარვით სასიძოს მოკვლის ფაქტი გასაგები ხდება მას შემდეგ, რაც „წინა მწოლთა დაიზახნეს“ (556-3), ასე რომ, ხსენებული სტროფი სიუჟეტურად დამაკავშირებელი ხდება წინა და მომდევნო სტროფებისა.

ამ წერილის დაწერის საბაზი გახდა ის, რომ ხსენებული სტროფი გვიანდელ დანამატად არის მიჩნეული პ. ინგოროყვას რედაქციით გამოცემულ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში (1970). **ი. კ.**

318. სარგის ცაიშვილი

ნიკო მარი როგორც რუსთველოლოგი

კრებ. „აკად. ნიკო მარი -120“, თბ., 1988, გვ. 71-80.

ავტორი აღნიშნავს, რომ ნ. მარმა „ვეფხისტყაოსანს“ და მის ავტორს რამდენიმე მონოგრაფია, აგრეთვე მრავალი წერილი და გამოკვლევა უძღვნა, რომელთა უმეტესობა XX ს-ის 10-იან – 20-იან წლებში გამოქვეყნდა, ნაწილი კი – 60-იან წლებში. ამ ნაშრომებიდან ყველა ერთი ღირებულებისა არ არის. ზოგს ატყვია თავისი დროის ბეჭედი: მაგ. ე. წ. ნასესხობის თეორიის გავლენა ჩანს ნ. მარის ვარაუდში „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულისა და სიუჟეტის შესახებ. აშკარად მცდარია 1917 წელს გამოქვეყნებული ნარკვევის ძირითადი დებულება შოთა რუსთაველის მუსლიმანობისა და მისი თხზულების XIV ს-ით დათარიღების თაობაზე.

მიუხედავად ამისა, ნ. მარმა მაინც წინ წასწია „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის საქმე. იგი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც ასაბუთებდა ქალის კულტისა და რაინდობა-მმადნაფიცობის ეროვნულ ძირებს. მანვე წამოაყენა თეზა რუსთაველური შაირის ეროვნულ საწყისებსა და ქართული პროსოდის სათავეებზე. გ. ა.

319. ნანი წაქაძე

„ადიმის“ მნიშვნელობისათვის ქართულში

კრებ. „სემიტოლოგიური ძიებანი“, IV, თბ., 1988, გვ. 82-84.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ადიმი“ სემიტური წარმოშობის სიტყვაა, რომელიც არაბულიდან შესულია სპარსულ და თურქულ ენებში. მისი მნიშვნელობებია: ზედაპირი, კარგად დამუშავებული ტყავი. მხატვრულ ტექსტებში მეტაფორად იხმარება და ნიშნავს: ღირსებას, პატივს, რეპუტაციას. ასევე გამოიყენება ქართულ ტექსტებშიც: „ქილილა და დამანა“, „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიები, I ტ; თანიაშვილის „ამირანდარეჯანიანი“. ს.ს. ორბელიანის განმარტებით „ადიმი“ არის „სხეპლას დებაგი“, რაც ოქრომკერდით ნაქსოვ ძვირფას ფარჩას ნიშნავს.

„ვეფხისტყაოსნის“ 773-ე სტროფში (სასკოლო გამოც.) გამოყენებული ფრაზა „შენ ადიმი გაგიმეშდა“ მეტაფორაა და ნიშნავს: შენ სახელი, ღირსება შეგელახა, მეშად (უხარისხო ტყავად) გაგიხდა. გ. ა.

320. ალექსი ჭინჭარაული

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის საკითხები

ჟურ. „განთიადი“, 1988, №3. გვ. 235-242.

წერილში განიხილულია „ვეფხისტყაოსნის“ სამი სტროფი:

1. 1305-ე სტროფის მესამე სტრიქონში: „მუნა გნახო, მადვე გსახო, გამინათლო გული ჩრდილი“, ავტორისათვის დავას იწვევს შესიტყვება „**მადვე გსახო**“ (= მანდვე გსახო). ავტორი რუსთაველის ენის მონაცემთა ანალიზის შედეგად აკეთებს კონიექტურას და სტრიქონის ასეთ წაკითხვას იძლევა:

„მუნა გნახო, მზედვე გსახო, გამინათლო გული ჩრდილი“.

2. 1456-ე სტროფი:

„მუნ ატირდეს ყველაკანი, რა ტირილად იგი ნახეს,
რაცა ვისცა დაჰკლებოდა, მათ ტირილით, სულთქემით ახეს,
დადუმდეს და მოახსენეს: „რათგან ბრძენთა მზეებერ გასახეს,
თქვენთა მჭვრეტთა მღერა ჰმართებს, რასათვისმცა ივაგლახეს!“

ეს სტროფი ავტორს შინაარსობრივი, მხატვრული და ენობრივი ანალიზის საფუძველზე ინტერპოლაციად მიაჩნია.

3. სახე - სიტყვასთან დაკავშირებით ავტორი განიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ 740-ე სტროფს, რომელშიც ავთანდილი ვაზირს გზავნის როსტევეანთან და აბარებს:

„ჰკადრე: „ვინ გაქოს ყოველმან პირმან არ მეუზრახემან?
ვითა ვიშიშვი, გაცნობოს ღმერთმან **თქვენმანვე სახემან!**
მაგრა მან ყმამან ცეცხლითა დამწვა, და -, **ალვისა ხემან“.**

ავტორი სავსებით იზიარებს ამ წაკითხვას, რომელიც 1966 წლის საიუბილეო გამოცემის ტექსტშია და დამაჯერებლად მიიჩნევს აკაკი შანიძისეულ კონიექტურასაც: „დამწვა, და-, ალვისა ხემან“.

რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის ამ სტროფის მეორე და მესამე სტრიქონების არსებითად განსხვავებულ წაკითხვას: „ვითა ვიშიშვი, გაცნობოს ღმერთმან, **ნათელთა სახემან!** მაგრა მან ყმამან ცეცხლითა დამწუა **ალვისა სახემან“** („მაცნე“, 1978, №3, გვ., 189). ავტორი არ იზიარებს, თუმცა აღნიშნავს ამ წაკითხვის ღირსებასაც და ნაკლსაც. ღირსება ის არის, რომ ვარაუდს, კონიექტურას არ უშვებს და ხელნაწერებს ეყრდნობა. ნაკლი კი – წაკითხვა ალვისა ხემან, რომელიც ზოგ გამოცემაში გვხვდება, კონიექტურაა, ყველა ხელნაწერში ალვისა სახემან იკითხება. **ნ. მ.**

321. ალ. ჭინჭარაული

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფის გაგებისათვის

ჟურ. „ცისკარი“ 1988, № 2, გვ. 153-155.

ავტორი ეხება „ვეფხისტყაოსნის“ 215 -ე სტროფს:

„ესე უთხრა და წავიდა, ცხენი გაქუსლა დეზითა,
ვითა გავაზი გაფრინდა, არ-გაშვებული ხეზითა,
ან მთვარე, მზისა შემყრელი, მზე სინათლითა ზეზითა“.

მკვლევარი არ იზიარებს კომისიის განმარტებას: **არ-გაშვებული** – „რომელიც მანამდე ხეზით იყო დაბმული“. არ-გაშვებული მას ავტოგრაფისეულ ფორმად მიაჩნია, მაგრამ იძლევა სხვაგვარ გააზრებას: ავთანდილი (ცხენიანად) ისე ფრენა-ფრენით წავიდა, როგორც ხეზე შემბული გავაზი აფრინდება და (იძულებით) ისევე დაეშვება ხოლმე მიწაზე. მისი აზრით, **მზე-სინათლითა** დეფიზით უნდა დაიწეროს. **ზეზი** კი ზესის ბგერაშეცვლილი ფორმაა. თუ **ზესთა** იცვლება **ზეშთა**, **ჟეჟთა** ფორმებად, ასევე შეიძლებოდა რუსთაველს გამოეყენებინა **ზესითა**-ს ფონეტიკური ვარიანტი **ზეზითა** სარიტმოდ სიტყვად. სტრიქონის აზრი ეს არის: გაფრინდა... (ისე), როგორც მთვარე მზეს შეყრილი გაფრინდება უზენაესი მზე – სინათლით (განდევნილი). მზესთან შემყრელი (შეხვედრილი) მნათობები „გარბიან“, „ქრებიან“, „უჩინარდებიან“ (989,3; 127,3; 1410,3.).

რუსთაველი ქმნის ვიზუალურ ხატს: ავთანდილი ისე უჩინარდება სივრცეში, როგორც აისისას მთვარე უჩინარდება, „მიფრინავს“. **გ. ა.**

322. ალ. ჭინჭარაული

„ვეფხისტყაოსნის“ ზოგი ადგილის წაკითხვისათვის

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. იბერიულ - კავკასიური ენათმეცნიერების
წელიწადი, XV, თბ., 1988, გვ. 132-140.

ავტორი პოემის ტექსტის რამდენიმე შესიტყვებას განიხილავს:

1. „თინათინს ღაწვთა ემატა ელვა შუქისა სამისა“ (1506,3). გამოყოფილი ფრაზა, მკვლევრის აზრით, შეუძლებელი შესიტყვებაა, რადგან:

ა) შუქი რადაცისგან (ელვა, მზე, მთვარე...) წარმოშობილი ფენომენია და არა წარმომშობი; ბ) შუქის დათვლა არ შეიძლება („ერთი შუქი“, „ორი შუქი“, ... საუხერხულოა), ელვის დათვლას კი ასეთი უხერხულობა არ ახლავს;

გ) ელვა თვითონაა შუქის წყარო: „ვუჭკვრიტეთ მისთა ელვათა შუქნი ძლივ გავიცადენით“ (206,1). ხელნაწერებში დაცული წაკითხვა მკვლევარს გადამწერის შეცდომად მიაჩნია და ვარაუდობს, რომ მისი ავთენტიკური წყობა ასეთი უნდა ყოფილიყო: „**შუქი ელვისა სამისა**“.

2. „მზისა შუქნი მოიცადენ, ვარდო, ადრე ნუ დასჭნები!“ (1279,4). მოიცადენ განმარტება როგორც **მოცდა**-ს პირიანი ფორმა: მოიხილე, ნახე (ა. შანიძე); ან – შუქს დაელოდე (ნ. ნათაძე), მზის შუქს მოუცადე (ტექსტის დამდგენი კომისია). მკვლევარისთვის ორივე განმარტება მიუღებელია, ვინაიდან:

ა) ხილვის, დანახვის მნიშვნელობა ამ ზმნის **-გან** პრეფიქსიან ფორმებს აქვს (განვიცადენ, განიცადის...);

ბ) „**შუქნი მოიცადენ** – შუქს დაელოდე“, ასეთი ახსნა სინტაქსურად არის შეუძლებელი. მისი აზრით, შეცდომა გადამწერისეული და მექანიკური ჩანს **გ** და **მ** ასოების მსგავსების გამო: ავტოგრაფში იქნებოდა: „**მზისა შუქნი გაიცადენ...**“

3. „ჩემთა მტერთა **დავაცადე** დასახოცლად ხრმალათა ქნევა“ (549,2). „ვეფხისტყაოსანში“ ეს ერთადერთი შემთხვევაა „დააცადებს“ ზმნის ხმარებისა, რაც თავისთავად იწვევს ეჭვს. ძველ ქართულში დააცადებს ნიშნავს: „დატოვებს, დააგდებს“, რაც ამ კონტექსტში მიუღებელია. პოემის ხელნაწერებში იკითხება ვარიანტი „**დავაქადე**“ (GHJKNDRTYA), „დავაქადო“ (E). ეს სიტყვა ზუსტად გამოხატავს ტარიელის მზაობას განზრახული მოქმედებისთვის, ამიტომ ის უნდა იქნას მიღებული შემდგომ გამოცემებში.

ნარკვევს ახლავს ანოტაცია რუსულ და ინგლისურ ენებზე. **გ. ა.**

323. ალ. ჭინჭარაული

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისათვის

გაზ. „ლიტ საქართველო“, 1988, 28 ოქტ. №44, გვ. 13.

ავტორის დაკვირვებით, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში გვხვდება მცდარი ფორმები, რომლებსაც შეიძლება ვიზუალური, ან აკუსტიკური ასიმილაცია ეწოდოს. ასეთია მაგ., „მაღვით ვუჭკვრეტდი, მიჭვრეტდა, **სხვად არად მეუბნებოდა**“ (485ა). ასეა ბევრ ხელნაწერსა და გამოცემაშიც. სტრიქონის მეორე ნახევარი ითარგმნება ასე: „სხვაფრივ არაფრად მეუბნებოდა“, რაც გაუმართავი წინადადებაა და უნდა შეიცვალოს ხელნაწერების ერთ ჯგუფში (მოკლე რედაქციაში) დაცული წაკითხვით: „**სხვად არას (არაფერს) მეუბნებოდა**“.

ამავე რიგისაა „მნახავის“ ჩანაცვლება „ნახულით“ შემდეგ კონტექსტებში: „ვერ ნახეს მისი მნახავი ღმრთისაგან დანაზადია“ (117₃). პოემის ნუსხათა დიდ უმეტესობაში იკითხება: „ვერცა თუ ნახეს ნახული...“; აგრეთვე: „ვერ ნახეს **შენი მნახავი** ვერცა ყმა, ვერცა ბერია“ (291₃). ხელნაწერთა უმეტესობაში იკითხება: „ვერ ნახეს შენი ნახული...“, რაც შეუსაბამოა ენობრივად და სემანტიკურად.

მკვლევარს არასაკმარისად მიაჩნია ის არგუმენტები, რითაც პოემის ტექსტის დამდგენი კომისიის მთავარი რედაქციის წევრები ცდილობენ „ნახულის“ ავთენტიკურობის დამტკიცებას („მაცნე“, 1975, № 3). მას აუცილებლად მიაჩნია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდურ გამოცემებში მიღებულ იქნას წაკითხვები:

- ა) ვერცა თუ ნახეს **მნახავი** ღმრთისაგან დანაზადია.
- ბ) ვერ ნახეს შენი **მნახავი** ვერცა ყმა, ვერცა ბერია. გ. ა.

324. ალ. ჭინჭარაული

კიდევ სამი ჩართული სტროფი „ვეფხისტყაოსანში“

ჟურ. „განთიადი“, 1988, № 6 (ნოემბ. - დეკემბერი), გვ. 217-226.

მკვლევარი ინტერპოლაციად თვლის „ვეფხისტყაოსნის“ 1005, 1006 და 1336 სტროფებს. 1005 (აწ ფრიდონ იწვის სიტყვითა....) და 1006 (ლაშქართა შიგან შეიქმნა...) სტროფები წარმოადგენს წინა სტროფების აზრობრივ და ფრაზეოლოგიურ გამეორებას და შინაარსობრივად ახალს არაფერს იძლევა. თუმცა ახალი ისაა, რომ „ორნივე სწორად მოსთქმიდეს“, რაც სიტუაციის მიხედვით გაუმართლებელია. ასეთივეა „გაყრილი წლისა შვიდისა“. არარუსთველურია გამოთქმები: „იწვის სიტყვითა“, „წყალი ცხელი“ (ცრემლის მნიშვნელობით), „ტევრთა“ (მრ. ფორმა), „სრევა რილისა“.

1336 (ტარიელ მოთქვა ტირილით) შეიცავს აზრობრივ წინააღმდეგობას. აგრეთვე შინაარსობრივად ზედმეტია, რადგან მასში მდარე დონეზეა ნათქვამი ის, რაც მომდევნო ორ სტროფშია და იქ ენობრივ-მხატვრული თვალსაზრისით ეჭვს არ იწვევს. გ. ა.

325. ალ. ჭინჭარაული

„რატომ? რატომ?“

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1988, 2 დეკ. № 49, გვ. 11-12.

ავტორი ეხმაურება ალმანახ „კრიტიკის“ 1988 წლის II, III და IV ნომრებში გამოქვეყნებულ წერილებს რუბრიკით – „როგორ ვპატრონობთ მარგალიტს“, რომლებიც შეიცავენ „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის (1988 წ.), ტექსტის კრიტიკას და პოემის დამახინჯებად მიაჩნია მთავარი რედაქციის მიერ შეტანილი ცვლილებები.

მკვლევარი განიხილავს წარმოდგენილ არგუმენტებს და აშხილებს მათი ავტორების (რ. მიშველაძე, თ. დაუშვილის, შ. ადგიშვილი, მ. თავდიშვილი, ქ. ჭილაშვილი) არამეცნიერულ და არაკომპეტენტურ მსჯელობას, რაც გამოწვეულია ძველი ქართული ენისა და ტექსტოლოგიის ელემენტარული წესების უცოდინარობით. გ. ა.

326. შალვა ხიდაშელი

შალვა ნუცუბიძე

გაზ. „კომუნისტი“, 1988, 17 აპრილი; აგრ. წიგნში: „ფიქრები საქართველოზე“,
თბ. 1993, გვ. 37-54.

ავტორი აღნიშნავს „ვეფხისტყაოსნის“ ნუცუბიძისეული რუსული თარგმანის ღირსებებს და საგანგებოდ მსჯელობს ნუცუბიძის მეცნიერულ მოღვაწეობაზე რუსთაველის მსოფმხედველობის შესწავლისა და მისი ფილოსოფიური საფუძვლების გარკვევისათვის.

ავტორის თქმით, შ. ნუცუბიძისათვის რუსთაველი მთლიანობაში განხილვის საგანს წარმოადგენს და უწინარესად პოემის ხალხური, ფილოსოფიური და ლიტერატურული წყაროების დადგენას გულისხმობს. შ. ნუცუბიძე უკომპრომისოდ იცავდა თვალსაზრისს რუსთაველის ფილოსოფიური შეხედულებების ნეოპლატონისტურ წარმომავლობაზე.

მისი მოწინააღმდეგენი იყენებდნენ ნეოპლატონიზმის „საბჭოურ“ გაგებას, რომლის მიხედვით ეს მიმართულება მონათმფლობელური არისტოკრატის იდეოლოგიის „ურეაქციონერეს სახესხვაობად“ და „მონათმფლობელური საზოგადოების დასასრულის“ დეგრადაციის გზაზე დამდგარ ფილოსოფიად ფასდებოდა.

ავტორის დასკვნით, „შალვა ნუცუბიძის უდავო დამსახურებაა, რომ მან გააფართოვა რუსთაველის პოემის იდეური შინაარსის შესწავლის საფუძველი და ქართული ფილოსოფიური აზროვნების ფარგლები“. **გ. ა.**

327. შ. ხიდაშელი

შოთა რუსთაველი

წიგნში – შ. ხიდაშელი, ქართული ფილოსოფიის ისტორია (IV – XIII სს.)
თბ., 1988, გვ. 216-309.

ნაშრომი მოიცავს თავებსა და სათაურებში დასახელებულ პრობლემებს:

1. რუსთაველი, როგორც ჰუმანისტი;
2. რუსთაველის მსოფლმხედველობის ფილოსოფიური წყაროები. წინასწარი შენიშვნები; ნეოპლატონიზმი საბჭოთა მეცნიერებაში; კვლევის მეთოდის შესახებ;
3. რუსთაველის ფილოსოფიური შეხედულებანი. ღმერთი, როგორც შეუცნობადი და გამოუთქმელი; შემოქმედი და ერთარსება ერთი; „სავსება ყოველთა“; სიკეთის მონიზმი; „სირაჲ“; „მზიანი ღამე“; „უჟამო ჟამი“;
4. რუსთაველის პანთეიზმის საკითხისათვის. ესაა ხელახალი პუბლიკაცია გამოკვლევისა (ზოგიერთი სტილისტური ცვლილებით), რომელიც გამოქვეყნებული იყო წიგნად სათაურით „რუსთაველის მსოფლმხედველობის საკითხები“, თბ., 1981 (იხ. აქვე ანოტ. № 28). **გ. ა.**

328. ელგუჯა ხინთიბიძე

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფის კომენტარებისათვის

ჟურ. „კრიტიკა“, 1988, № 1, 182-196.

სტატიაში განხილულია 148-ე სტროფი:

„გამომართა ავთანდილ, მოყმე მხნე, ლაღად მავალი,
ოც დღე იარა, ღამეცა დღეს ზედა წაჰრთო მრავალი,

იგია ლხინი სოფლისა, იგია ნივთი და ვალი,
არ მისცილდებინ თინათინ მისი მას, ვისგან სწვაგ ალი“.

მკვლევის ყურადღების ცენტრშია სიტყვები **ნივთი** და **ვალი**, რომლებიც სხვადასხვაგვარად აქვთ განმარტებული კომენტატორებს.

ე. ხინთიბიძის მოსაზრებით, **ნივთი** ნიშნავს მატერიას (ბერძ. ჰე ჰულე – მატერია, ნივთიერება). ასეა ძვ. ქართულ ფილოსოფიურ ძეგლებში (იხ.: იოანე პეტრიწის თარგმანი პროკლე დიოდოხოსის „კავშირნი ...“ და ეფრემ მცირის თარგმნილი ფსევდო დიონისე არეოპაგელის თხზულებანი).

„**ვალი**“ – მოვალეობის მნიშვნელობის შემცველი უნდა იყოს, რამდენადაც ლაპარაკია გმირის მიერ საწუთროს, „სოფლის“ წინაშე ლხინის, ჭირის და ვალის (მოვალეობის) გარდახდაზე (ატანაზე, შესრულებაზე). აქ არის მინიშნება არისტოტელეს ფილოსოფიიდან მომდინარე და შუა საუკუნეებში და რენესანსის ეპოქაში უაღრესად პოპულარულ არსებობის ოთხ მიზეზზე: „ნივთი“ ნიშნავს მატერიას და მიუთითებს მატერიალურ მიზეზზე, ხოლო „ვალი“ – მოვალეობას და მიუთითებს დანიშნულებით, მიზნობრივ მიზეზს.

ავთანდილის მიმართ თქმული სიტყვები – „იგია ლხინი სოფლისა, იგია ნივთი და ვალი“ – იმ ნიუანსის შემცველია, რომ ავთანდილია საზოგადოდ ყველაფერი, იგი არის სიკეთე, ნამდვილი სრულქმნილება, ქმნილი (ნივთიერი) რეალობა და ჭეშმარიტება.

ამგვარად, რუსთველის მიერ ავთანდილის სიდიადისადმი ქება-დიდების შესხმა – „იგია ლხინი სოფლისა, იგია ნივთი და ვალი“ – გვიანდელი შუასაუკუნეების ფილოსოფიური ტერმინოლოგიით გადმოსცემს რენესანსის ეპოქის უაღრესად პრინციპულ დებულებას ადამიანის ღირსებასა და უპირატესობაზე. **თ. ტ.**

329. ე. ხინთიბიძე

რუსთაველის ადგილისათვის შუა საუკუნეების აზროვნების პროცესში

ჟურ. „ბალავერი“, 1988, № 4-6, გვ. 112-136.

ე. ხინთიბიძე აყენებს საკითხს, თუ რა ადგილი უჭირავს რუსთაველს მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. ამის გასარკვევად, ნ. კონრადის აზრით, პირველ რიგში უნდა დავასახელოთ რიგი, რომელშიც შედის: ფირდოუსის „შაჰნამე“ (X ს), გურგანის „ვისი და რამინი“ (XI ს), ნიზამის „ხოსროვი და შირინი“ და „ლეილი და მეჯნუნი“ (XII ს), ნავოის „ფარხადი და შირინი“ და „ლეილი და მეჯნუნი“ (XV ს), არიოსტოს „შმაგი როლანდი“ (XVI ს), ტასოს „განთავისუფლებული იერუსალიმი“ (XVII ს).

ამრიგად, ნ. კონრადმა რუსთაველის აზროვნების სტრუქტურა გამოაცხადა აღმოსავლური რენესანსის მონათესავედ და მისი პოემა აღმოჩნდა ფირდოუსის, გურგანის, ნიზამისა და ნავოის თხზულებათა რიგში. წერილის ავტორის აზრით, ეს თეორია ქმნის მცდარ წარმოდგენას რუსთაველის შემოქმედებაზე. „ვეფხისტყაოსანი“ – ისევე, როგორც XII საუკუნის მთელი ქართული საერო ლიტერატურა, თავისებური სინთეზია აღმოსავლური და დასავლური კულტურულ-მსოფლმხედველობითი ტენდენციებისა, განხორციელებული ქართული ნაციონალური ლიტერატურის მრავალსაუკუნოვანი განვითარების ბაზაზე. რუსთაველის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეთიკური შეხედულებები ატარებს ნაციონალურ-ქართულ და ზოგადქრისტიანულ ხასიათს, რომელსაც ახასიათებს აგრეთვე ანტიკურ-ბერძნული ფილოსოფიის ერთგვარი გავლენა.

ცნობილი მედიევისტი ელეაზარ **მელეტინსკი** მონოგრაფიაში „შუა საუკუნეების რომანი“, განიხილავს XII საუკუნის ქართულ ეპოსს და კერძოდ, „ვეფხისტყაოსანს“. იგი

უარყოფს „აღმოსავლური რენესანსის“ თეორიას საზოგადოდ, კონკრეტულად კი – რუსთველის მიკუთვნებას რენესანსის ეპოქის მოღვაწეებისადმი.

ე. ხინთიბიძე ასკვნის, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არის არაჩვეულებრივი ჰარმონია შუასაუკუნეების და რენესანსული მსოფლალქმისა. რუსთაველის პოემაში არა მხოლოდ შეყვარებულია ახალი ტიპის, არამედ თვით სიყვარულის კონცეფციაა ნოვატორული, ახალი, განსხვავებული, როგორც აღმოსავლური სუფიზმის, ასევე დასავლური კურტუაზულობისაგან. ეს სიყვარული, ერთი მხრივ, იწარჩუნებს ღვთაებრივი სიყვარულის აღმაფრენას და ამავე დროს, მეორე მხრივ, არის რეალური ცხოვრებისეული, რომლის იდეალი ადამიანურ ბედნიერებაში, მეულეობაში მდგომარეობს. სწორედ ამ რეალურობაში და ადამიანურობაში მდგომარეობს ამ კონცეფციის რენესანსული ელემენტი. ე. ქ.

329ა. ე. ხინთიბიძე

Элементы средневековой науки в поэме Руставели

ჟურ. «Лит. Грузия», Тб., 1988, № 5, с. 137-141.

როგორც ავტორი წერს, საგმირო-რომანტიკული პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ერთგვარი სინთეზია აღმოსავლური, სპარსულ-არაბული ეპიკისა და დასავლეთის ქრისტიანული აზროვნებისა. გვიანი შუასაუკუნეების რაციონალისტური ტენდენციების შესაბამისად, რუსთაველი ახდენს ქრისტიანული დოგმატიკის გადასინჯვას (გადაფასებას) გონებისა და ლოგიკის პოზიციიდან. ამ პერიოდის ფილოსოფიური აზროვნება მოითხოვდა რელიგიური დოგმების დასაბუთებას (ავეროესი, თომა აქვინელი XIII ს., უფრო ადრე – ანსელმ კენტენბესელი XI ს.). რუსთაველის პოემა ღრმად თეოლოგიური ნაწარმოებია, მაგრამ მასში აისახა ქრისტიანული რელიგიის მხოლოდ ის დოგმატები, რომლებიც, გვიანი შუასაუკუნეების სქოლასტიკოსების გაგებით, მტკიცდებოდა გონებით (აზროვნებით) და ლოგიკით (მაგ., ღმერთის არსებობა, სულის უკვდავება).

რუსთაველი ასტროლოგიას მიიჩნევს მეცნიერების, აზროვნების სფეროდ. „ვეფხისტყაოსნის“ ფილოსოფიური ელემენტები ემყარება ნეოპლატონიზმსა და არისტოტელიზმს. რუსთველური მეგობრობის კონცეფციის ერთ-ერთი წყაროა არისტოტელეს შეხედულებანი მეგობრობაზე („ნოკომახის ეთიკა“).

რუსთაველი იზიარებს ემპიდოკლეს მოძღვრებას ოთხი საწყისი ელემენტის შესახებ (წყალი, ჰაერი, მიწა, ცეცხლი), რომელთა შემაერთებელ ან გამაცალკეველ ძალებად ითვლებიან სიყვარული და სიძულვილი.

(იხ. აგრ. ანოტ. № 557). გ. ა.

1989

330. ვახტანგ აბაშმაძე

ქართული ინტელექტუალური ფენომენები

ჟურ. „კრიტიკა“, 1989, № 1, გვ. 62-72; აგრ. წიგნში – „ქართული პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებები“, თბ., 1992.

ავტორი იკვლევს ქართული სამართლის ფილოსოფიის ინტელექტუალურ მოვლენას – ბუნებითი სამართლის მოძღვრებას. მისი აზრით, ანტიკურობიდან წარმომდგარი ბუნებითი სამართლის ახალი, რენესანსული ვარიანტი, კერძოდ ჰუმანისტური მოძღვრება მართალი

სამართლის შესახებ, საფუძვლად უდევს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“. ბუნებითი სამართლის მოთხოვნების მიხედვითაა დასაბუთებული პოემაში ფარსადანის წინააღმდეგ ტარიელისა და ნესტანის მიერ განზრახული აჯანყება. პოეტს იგი დაკავშირებული აქვს სამეფო ტახტის მემკვიდრეობის უფლების დაცვისათვის ტარიელის ბრძოლასთან. მართალი (ბუნებითი) სამართლის მიხედვით, სამეფო ტახტი ტარიელს ეკუთვნის, ამიტომ მის მიერ ხვარაზმშას ძის მოკვლა მართალი სამართლის ქმნაა. გ. ა.

331. ნელი ანდრონიკაშვილი

რობერტ სტივენსონი – ქართული ლიტერატურის მკვლევარი და მთარგმნელი

ალმანახი „მწიგნობარი“, თბ., 1989, გვ. 99-118.

სტატია წარმოადგენს ქართველოლოგიის დარგში რ. სტივენსონის მოღვაწეობის მიმოხილვას. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლასა და მის თარგმნაზე მუშაობას. აღნიშნულია, რომ რ. სტივენსონმა რუსთაველსა და მის თხზულებას მიუძღვნა შემდეგი გამოკვლევები: 1. ქართული რაინდული სიყვარული; 2. შენიშვნები რუსთაველის ვეფხის სიმბოლოს თაობაზე; 3. რუსთველი და არისტო; 4. რუსთაველის თარგმნის საკითხები; 5. „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანის წინასიტყვაობა.

ამ შრომებში მეცნიერმა სცადა აეხსნა რუსთაველის ეთიკურ-ესთეტიკური იდეალები, განემარტა მისი შემოქმედების თავისებურებანი, მხატვრული აზროვნების ლიტერატურულ-მსოფლმხედველობრივი წყაროები.

რ. სტივენსონმა ინგლისურ ენაზე პროზად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც 1977 წელს გამოქვეყნდა. წინასიტყვაობის გარდა, მას ერთვის მთარგმნელის ორი კომენტარი სათაურებით: „გარეგნული სილამაზე და მნათობთმეტყველება“; „უზომო ტირილი და გრძნობათა გამოხატვის უშუალობა“.

სტატიის ავტორის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურად აჟღერებასა და შეცნობას მოაწოდო მკვლევარმა მთელი თავისი ცოდნა და ენერგია. სტივენსონის თარგმანი ნიმუშია პიროვნების სულიერი ძალების დიდი მობილიზებისა და პასუხისმგებლობისა, „ვეფხისტყაოსნის“ ლიტერატურული სრულყოფილების შეგნებისა და ქართული ენის ღრმა ცოდნისა“. გ. ა.

332. ია ანთაძე

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების სახეთა ინტერპრეტაციისათვის

დროისა და სივრცის თვალსაზრისით

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1989, № 3, გვ. 5-15.

ავტორი აღნიშნავს, რომ მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტის განვითარება გვერდს ვერ აუვლის გარკვეულ დროსა და სივრცეს, რის გამოც ყოველი მორიგი სიუჟეტური კვანძი ქრონოტიპული ღირებულებით აღინიშნება. დრო და სივრცე, რომელსაც გადალახავენ „ვეფხისტყაოსნის“ გმირები სახლთან, სამშობლოსთან განშორების შემდეგ შინ დაბრუნებამდე, არსებითია მათ ცხოვრებაში.

ნარკვევში დახასიათებულია პოემის მთავარი პერსონაჟების – ტარიელის, ავთანდილის, ნესტან-დარეჯანის, თინათინის – სამოქმედო გარემო და მოქმედების ხანგრძლივობის მინიშნების სტილურ-მხატვრული საშუალებანი. ავტორი ცდილობს გმირების თავგადასავალში

გამოყოს განსაკუთრებით ღირებული, სიუჟეტის შემქმნელი კვანძები, რომლებიც განსაზღვრავენ თითოეული პერსონაჟის ფუნქციის არსს.

ნარკვევს ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე. გ. ა.

333. მადონა ზანცაძე

ექვთიმე თაყაიშვილი

ალმანახი „მწიგნობარი“, 1989, გვ. 238-243

წერილი დაბეჭდილია რუბრიკაში – „ძველი ქართული ხელნაწერების მოამაგენი“. ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს ე. თაყაიშვილის ზრუნვას „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების მოპოვებასა და მათ დაცვაზე „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ბიბლიოთეკის ფონდში. გადმოცემულია, თუ როგორ გადაარჩინა მან ე.წ. „წერეთლისეული“ ნუსხა საზღვარგარეთ გატანას. გ. ა.

334. ჰ. ვ. ბეილი

მულღაზანზარი

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1989, № 4, გვ. 56-58.

სტატიაში ეტიმოლოგიური თვალსაზრისით განხილულია რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ არსებული ორი ცნობილი ქალაქის – გულანშაროსა და მულღაზანზარის სახელწოდებანი.

გულანშაროს სახელწოდების დადგენისას ავტორი იზიარებს ნ. მარის ცნობილ ეტიმოლოგიას, რომლის მიხედვითაც გულანშარო იდენტიფიცირებული იყო ახალ სპარსულ გულან-შაჰრ-თან, ნაწარმოები ქართულში გავრცელებული ო სუფიქსით, რაც ნიშნავს „ყვავილების, ვარდების ქალაქს“.

მულღაზანზარის სახელწოდებას ავტორი განიხილავს, როგორც სამი კომპონენტისაგან შემდგარ კომპოზიტს: ძირეული მორფემა მურღ (ქართ. მულღ) და ორი სუფიქსური, ფუძისწარმომქმნელი ელემენტი – ზან ← ჩან ← ჩანა და სუფიქსი – ზარ ← ჩარ ← ჩარა. ძირი მურღაზან (ქართ. მულღაზან) ნიშნავს „სამოვარს, მინდორს, ნათესს“, ხოლო ქალაქის სახელწოდება წარმოქმნილია ზარ სუფიქსის საშუალებით < ჩარ < ჩარა – „სამოვრებითა და ნათესებით უხვი ადგილი“, ე. ი. „მდიდარი, ნაყოფიერი ქალაქი“. ნ. მ.

335. როლანდ ბერიძე

დიდი ცეზურის ინტონაციური ძალდატანება

გაზ. „სოციალისტური რუსთავი“, 1989, 12-15/ XII, (№ 237-240).

გამოკვლევა ეხება „ვეფხისტყაოსნის“ 422-ე სტროფის მეორე სტრიქონს: მითხრეს, თუ: „ხარო ყმაწვილი, ბერნი მით გკადრებთ, გლახ, ენით“. ავტორი ცდილობს დაასაბუთოს, რომ სიტყვის „ბერნი“ ადგილზე რუსთაველისეული წაკითხვა უნდა ყოფილიყო „ბრძენი“, როგორც ზოგიერთ ხელნაწერშია. რ. ბერიძის აზრით, ეს ზედსართავი ეკუთვნის ტარიელს (ხარო ყმაწვილი ბრძენი) და არა ვაზირებს.

თუმცა შესატყვისებას ყმაწვილი ბრძენი დიდი ცეზურა ყოფს და მათი გაერთიანებისთვის საჭირო ხდება ინტონაციური ძალდატანება, მაგრამ ასეთი შემთხვევები

ხშირია „ვეფხისტყაოსანში“. მაგ., „ვითა კაკაბი არწივსა ||ქვეშე მიდამო კრთებოდა“; „მე გარდასრულვარ, სიბერე ||მჭირს, ჭირთა უფრო ძნელია“.

მკვლევრის აზრით, ხელნაწერებში არსებული ვარიანტი „ბრძენნი“ ტექსტის აზრის არასწორად გაგების შედეგად შექმნილა, – გადამწერებმა აქ ვაზირები იგულისხმეს, ხოლო მის საფუძველზე ერთ ხელნაწერში გაჩენილა „ბერნი“, რაც აგრეთვე ვაზირებს მიემართება.

(ვრცელი ვარიანტი დაიბეჭდა გაზ. „კალმასობაში“, 1998, № 11, 12, 13, 14, 15). გ. ა.

336. შალვა გაბესკირია

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი ტერმინის გაგებისათვის

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1989, 8 სექტ., გვ. 12.

სტატიაში წარმოდგენილია კვლევა პატოიასანი თვალის, სათის რაობის შესახებ. მკვლევართა უმრავლესობის აზრით, ის შავი ფერისაა და იგივე გიშერია. ნ. მარმა სათი მუქი წითელი ფერის მარჯნად მიიჩნია. ამ მოსაზრებას 1966 წელს მხარი დაუჭირა გიორგი წერეთელმა. ვ. ნოზაძის აზრით, სათი გიშერია, ხოლო ნ. ქოიავა და დ. კობიძე მას შავ მარჯნად მიიჩნევენ. მათი მსჯელობა ემყარება „ვეფხისტყაოსნისა“ და „ვისსრამიანის“ მონაცემებს. ე. ქ.

337. ზვიად გამსახურდია

„ვეფხისტყაოსნის“ სრულყოფილი გამოცემისათვის

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1989, № 4, გვ. 39-55; აგრ. ალმ. „ქართული მწერლობა“, 1990, № 3, გვ. 99-114.

წერილში განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტოლოგიური პრობლემები, კრიტიკულად არის შეფასებული არსებული გამოცემები, განსაკუთრებით კი ვახტანგისეული და 1966 წ. საიუბილეო გამოცემა. ავტორი მიიჩნევს იმ დასკვნამდე, რომ ხსენებული გამოცემები არ არის სრულყოფილი მეცნიერული კრიტიკის თვალსაზრისით, მათში გამოვლინდა გამარტივებისა და პროფანაციის ტენდენციები. ავტორს ორივე გამოცემიდან უზვად მოჰყავს ენობრივი ფორმების გამარტივების, არასწორი წაკითხვის მაგალითები. არსებულ გამოცემებს შორის შედარებით სრულყოფილად თვლის 1957 წ. გამოცემას, მომზადებულს ა. შანიძის, კ. კვეციანი და ალ. ბარამიძის მიერ და 1966 წ. ვარიანტებიან გამოცემას (ა. შანიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით).

ზ. გამსახურდია 1957 წლის გამოცემასთან მიმართებით განიხილავს 1966 წ. საიუბილეო გამოცემას, რადგან, მისი აზრით, ამ ორ გამოცემაში თავი იჩინა ორმა პრინციპულად სხვადასხვა მიდგომამ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისადმი. ერთი მიმდინარეობა, რომლის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია ა. შანიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ენას განიხილავს მველ ქართულთან ორგანულ კავშირში, მეორე მიმდინარეობა კი თვლის, რომ რუსთაველის ქართული ახლოს არის ახალ ქართულთან და შესაძლებლადაც კი მიაჩნია ახალი ქართულის ენობრივი ნორმების მისადაგება „ვეფხისტყაოსნის“ ენისათვის. ზ. გამსახურდია მხარს უჭერს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისადმი ა. შანიძისეულ მიდგომას და მიაჩნია, რომ თანამედროვე ტექსტოლოგიური კვლევა უნდა დაეყრდნოს ა. შანიძის მეთოდს, მის გასწორებებსა და განმარტებებს. იგი აუცილებლად მიიჩნევს პირის ნიშნების (ჰ,ს) გამოყენებას ზმნებში: ჰნახო, ჰმილდები, დაჰხოცე, გაჰშმაგდე, ჰღვრიდე, ვჰგმობ, მიჰხვდები, ჰმატს, მიჰმატა, ჰკრთომია, გამოჰრიდნა, მიჰხვდომია, ვჰმონე, ჰშვენის, დაჰრიდოს, დაჰყო, ჰბადვენ და მისთ. ნ. გ.

338. ალექსანდრე გვახარია

**სამოცდამეთე „ვეფხისტყაოსანი“
(ახალი აკადემიური გამოცემის ტექსტის გამო)
გაზ. „კომუნისტი, 1989, 18 მარტი.**

ავტორი საუბრობს 1988 წელს გამოცემულ „ვეფხისტყაოსანზე“. მისი აზრით, ეს გამოცემა ახალი სიტყვა რუსთველოლოგიაში, ერთგვარი შეჯამებაა თითქმის სამსაუკუნოვანი კვლევა-ძიებისა რუსთველის პოემის ტექსტის გარშემო და წინ გადადგმული დიდი ნაბიჯია ამ რთულ გზაზე. მკვლევარი განიხილავს მთავარი რედაქციის მიერ შეტანილ ზოგიერთ გასწორებას.

რეცენზენტი წერს, რომ ეს არაა აკადემიური გამოცემა, რადგან არ ახლავს მეცნიერული აპარატი, ვარიანტული წაკითხვები და კომენტარები, მაგრამ მისთვის გაუგებარია კრიტიკული წერილების ავტორთა დამოკიდებულება, რომლებიც წარუმატებლად მიიჩნევენ ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობას. **გ. ა.**

339. ალ. გვახარია

**„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან (მაზრები)
კრებ. „ეტიმოლოგიური ძიებანი“, თბ., 1989, გვ. 28-34.**

ავტორი განიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ 434-ე სტროფის მესამე სტრიქონს:

„მოციქულნი დავაყენენ, ხარგა დავდგი, არ მაზრები“.

ავტორი შენიშნავს, რომ ქართულ ლექსიკოგრაფიაში „ხარგა“ განიმარტება, როგორც „ბეწვიანი ტყავის ან ნაბდის კარავი“, თუმცა „ვეფხისტყაოსანს“ უფრო მიესადაგება სპარსულ ლექსიკონთა განმარტება: „ხარგაკ“ – „დიდი, მრგვალი სამეფო კარავი“. მას კონტექსტით უპირისპირდება „მაზრები“, როგორც „მცირე, სალამქრო კარავი“.

ავტორის აზრით, „მაზრები“ მომდინარეობს არაბული ზმნიდან „დარაბა“ (დაარტყა, სცემა), მიღებული მადრიბ (მადრაბ)–იდან, რაც ნიშნავს როგორც კარვის დასაცემ, გასაშლელ ადგილს, ბანაკს, ისე – საკუთრივ კარავს, ნაბდის კარავს, დიდ ჩარდახს, კარვის გადასახურავ ქსოვილს ან სახელდახელო ნაჭრებით შემოზღუდულ ადგილს სახურავის გარეშე.

ავტორი თვლის, რომ სწორედ ეს სპარსული გზით შემოსული სიტყვა („მაზრები“) გვხვდება „ვეფხისტყაოსნის“ განსახილველ ტაეპში, სადაც ერთმანეთს უპირისპირდება „ხარგა“ და „მაზრები“ და ორივე მხოლოდობით რიცხვშია. **ბ. მ.**

340. ივანე გიგინეიშვილი

და კავშირი „ვეფხისტყაოსანში“

ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეცხრე, თბ., 1989, გვ. 294-303.

ცნობილია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სტროფებში მეოთხე ტაეპის წინ იწერებოდა „და“. ასე იყო ხელნაწერებში და ბეჭდურ გამოცემებშიც 1888 წლამდე. ამის შემდეგ გამოცემლები ხან ბეჭდავენ და ხან არა ამ „და“-ს. (მისი ამოღება პოემის ტექსტიდან დავით რექტორისაგან მომდინარეობს...). ამ საკითხზე გამოქვეყნებული წერილებიდან უდავო ჩანს დებულება, რომ ეს და არ შეიძლება იყოს კავშირი ჩვეულებრივი ფუნქციით, როგორც დამაკავშირებელი ერთგვარი სიტყვებისა ან წინადადებებისა. უდავოა მეორე დებულებაც და კავშირის ხალხური პოეზიიდან მომდინარეობის შესახებ (მასზე მსჯელობისას მკვლევარები მეტწილად „ვეფხისტყაოსანს“

ყერდნობიან. აღორძინების ხანის მწერლებთან და კავშირი რუსთველის პოემიდან მომდინარედ ითვლება).

ავტორი ყურადღებას მიაქცევს ხალხური პოეზიის უძველეს ნიმუშებს – „ხმით ნატირალებსა“ და „მთიბლურებს“, სადაც სტრიქონები ერთმანეთისაგან გამოყოფილია სხვათა სიტყვის ო-თი (ზედმეტი მარცვლით), აგრეთვე ხმოვანმოკვეცილი და კავშირის გამოყენებას რვამარცვლინ ლექსებში, მეორე ან მესამე სტრიქონის ბოლოში. მისი დასკვნით, სხვათა სიტყვის ნაწილაკი ო ალბათ სტრიქონის დასრულებას აღნიშნავდა ძველად. შემდეგ, როცა სტრიქონთა დაჯგუფება მოხდა აზრობრივად და რითმა გაჩნდა, ე.ი. სტროფი გაჩნდა, გამოყენებულ იქნა და კავშირიც. ამის გათვალისწინებით, და კავშირი „ვეფხისტყაოსანში“ უფუნქციო არაა და გამოცემებში უნდა იბეჭდებოდეს, ოღონდ დ-ონზე დასმული ა-ნის სახით. გ. ა.

341. ლუცინა გუგუშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ მოსე ჯანაშვილისეული ხელნაწერი ლექსიკონი

საქ. სსრ მეცნ. აკადემია, ლიტმცოდნ. რესპ. საკოორდ. საბჭო, ქართული ლიტ. ინსტ.,
XXIII სამეცნ. სესია, თბ., 1989, თეზისები, გვ. 22-23.

1. მ. ჯანაშვილის დასახელებული ლექსიკონი დათარიღებულია 1922 წლით და შეიცავს 7000 სალექსიკონო ერთეულს.

2. პირველად ამ ლექსიკონში არის მოცემული პოემის არაერთი სიტყვის სწორი განმარტება. ზოგიერთი სიტყვის ან ფრაზის შესახებ მ. ჯანაშვილი აკეთებს საყურადღებო კომენტარებს, რომლებიც დადასტურდა შემდგომი რუსთველოლოგიური კვლევა-ძიებით.

342. ლ. გუგუშვილი

მოსე ჯანაშვილის რუსთველოლოგიური ძიებანი

ქურ. „მაცნე“, ელს, 1989, № 2, გვ. 18-28.

ავტორი განიხილავს მ. ჯანაშვილის სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ წერილებს, რომლებიც შეეხება „ვეფხისტყაოსნის“ თემასა და იდეას, პოემის სიუჟეტის წარმომავლობას, ალეგორიებსა და პერსონაჟების პროტოტიპებს, ტექსტის შედგენილობას და მისი კვლევის მეთოდოლოგიას.

ავტორი ვრცლად მსჯელობს მ. ჯანაშვილის მიერ შედგენილ ლექსიკონზე, რომელიც შეიცავს 7000 სიტყვის განმარტებას, (ლექსიკონი არ დაბეჭდილა, ინახება ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილებაში).

ნარკვევს ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე. გ. ა.

343. მერი გუგუშვილი, ლალი ძოწენიძე

„ვეფხისტყაოსნის“ 122-ე სტროფის პირველი სტრიქონის გაგებისათვის

კრებ. „ლიტერატურული ძიებანი“, 1989, ტ. 3 (XVIII), გვ. 345-353.

მსჯელობა ეხება სტრიქონს: „გამრცვილსა ტანსა ემოსნეს ყარყუმნი უსაპირონი“. ტრადიციულად, „გამრცვილი“ განმარტებულია, როგორც შიშველი და აქედან მიღებულია დასკვნა, რომ თინათინს ავთანდილთან შეხვედრისას შიშველ ტანზე ეცვა ყარყუმის მოსასხამი, რომელსაც საპირე არ ჰქონდა.

სიტუაციის ასე წარმოდგენა სტატიის ავტორებს გაუმართლებლად მიაჩნიათ ეთიკური და მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით, ვინაიდან შუა საუკუნეების ჩაცმულობა მორალსა და სოციალურ სიტუაციასთან იყო დაკავშირებული. სადავო სიტყვის მნიშვნელობის დადგენისას ავტორები ეყრდნობიან ნ. მარის მოსაზრებას, რომელიც „გამრცვილს“ აიგივებს „გაწლობილთან“ და განმარტავს, როგორც ლერწამს (*ძრწ* ძირიდან – ძრწოლა, თრთოლა). ნ. მარი იქვე იმოწმებს დ. ჩუბინაშვილის განმარტებას: გამრცვილი – გალეული, გამხდარი.

ავტორების დასკვნით, ამ სტრიქონის შინაარსია: თინათინს ლერწამით ნაზ, მთრთოლვარე, გამხდარ ტანზე ეცვა ძვირფასი ყარყუმის ქსოვილის კაბა, რომელიც იყო „უსაპირო“, ანუ საპირეგაუწყობელი, რაიმე მოსართავით (ძვირფასი თვლებით, ოქრომკვდით) შეუმკობელი, საშინაო და არა ოფიციალურ, საზეიმო შეხვედრაზე ჩასაცმელი. **ნ. მ.**

344. მარინე დედაბრიშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის საკითხი

„დროებასა“ და „ივერიაში“

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1989, № 2, გვ. 5-17.

ნარკვევში განხილულია ბარონ სუტნერის, ივანე ჯაბადარის (ნარ-დონი), ნ. ნიკოლაძის, გ. წერეთლის, ი. მანსვეტაშვილის, სტ. ჭრელაშვილის, ლ. წულაძის, ი. ჭავჭავაძის, ალ. ხახანაშვილის, ვაჟა-ფშაველას, ნ. მარის, ი. მეუნარგიასა და სხვათა პოლემიკური წერილები, „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის წყაროსა და საფუძვლების შესახებ. ნაჩვენებია, რომ მე-19 საუკუნის ქართველი მოღვაწენი – მწერლები, მეცნიერები და პუბლიცისტები, ი. ჭავჭავაძის მეთაურობით, – „ივერიისა“ და „დროების“ ფურცლებზე გამოხატავდნენ თავიანთ მრწამსს რუსთველის პოემის ორიგინალობისა და მისი ჭეშმარიტი ეროვნულ სულისკვეთების თაობაზე.

ნარკვევს ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე. **გ. ა.**

345. მავა ელბაქიძე

„ვეფხისტყაოსნის“

პერსონაჟთა ინდივიდუალიზაციისათვის

თსუ, ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭო, შრომები, ტ. XVII, ჰუმანიტ. და საზოგ. მეცნ.

სერია, თბ., 1989, გვ. 41-50.

ავტორი აღნიშნავს, რომ მკვლევარები „ვეფხისტყაოსნის“ მთავარ პერსონაჟებს – ტარიელსა და ავთანდილს ურთიერთსაპირისპირო ტიპებად განიხილავენ გონებისა და გრძნობის მეტ-ნაკლებობის მიხედვით. იგი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ამ პერსონაჟების გამიჯნვა „გონიერ“ და „ემოციურ“ ადამიანებად საფუძველს მოკლებულია. მისი აზრით, ორივე მათგანი გონიერია, ბრძენია, მიჯნურობისაგან ორივე მათგანი გახელებული და სისხლის ცრემლით მტირალია. თუმცა მთლად იდენტური ტიპები არ არიან; ავთანდილი და ტარიელი განსხვავდებიან „ცნობის“ – შემეცნებისა და მოქმედების უნარის – ხარისხით. ტარიელი „ცნობაშმაგია“, ავთანდილი კი – „ცნობასრული“. სწორედ „ცნობის სიშმაგე“ უსვამს ხაზს ტარიელის „ვეფხისტყაოსნობას“. **გ. ა.**

346. **Н. В. Вадачкория**

Особенности поэтики Петренко и его перевод

«Витязя в тигровой шкуре»

ჟურ. „მაცნე“, 1989, № 1, გვ. 51-58.

ნაშრომი წარმოადგენს რეცენზიას რაულ ჩილაჩავას წიგნზე „პეტრენკო – „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი“ (თბ., 1984, რუსულ ენაზე).

რეცენზენტი ეთანხმება წიგნის ავტორის ძირითად დებულებას, რომ თარგმანის შინაგანი შინაარსი მჭიდრო კავშირშია პეტრენკოს ორიგინალურ ლირიკასთან, რომელიც სავსეა არაჩვეულებრივი სახეებით, ასოციაციებით, მისტიკური ხილვებით, სადაც კონცეფცია პოეტის ურთიერთობისა სამყაროსთან მეტწილად განპირობა პეტრენკოს მიმართებამ თარგმანთან. **გ. ა.**

347. **ლუარსაბ ვარდანაშვილი**

ჩემი მოსაზრება

ალმ. „კრიტიკა“, 1989, № 1, გვ. 16-17.

მკვლევარი ეხება „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის გვარის დაწერილობას. მისი აზრით, უნდა იწერებოდეს **რუსთაველი** და არა რუსთველი. ეს უკანასკნელი საეკლესიო პირთა წოდებაა. ცნობილია XVIII საუკუნის მოღვაწე ნიკოლოზ რუსთველი.

ამავე წერილში უმართებულოდაა მიჩნეული პოემის 1988 წლის გამოცემის წაკითხვა: „იგი **წახდების**, სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“. კრიტიკოსის აზრით, ამ კონტექსტში უკეთესია სიტყვა „წავა“, რადგან „მუსიკალობა ტაეპისა გამართული და ჰარმონიულია, ლაღია და სასიამოვნოდ სათქმელი“. **გ. ა.**

348. **ხვთისო ზარიძე**

დრო „ვეფხისტყაოსანში“

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქ. სსრ უმაღლესი სასწავლებლების რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, ლიტერატურათმცოდნეობა, III, მოხს. თეზისები, თბ., 1989, გვ. 23-234 (მოგვაქვს შემოკლებით).

1. მხატვრული ლიტერატურა ასახავს დროში მიმდინარე მოვლენებს. შუა საუკუნეებში დროს მოიაზრებდნენ ქრისტიანული რწმენის საფუძველზე, რომლის მიხედვით, დრო არსებობს ღვთის ნებით.

2. „ვეფხისტყაოსნის“ დრო, რომელშიც მოქმედებენ თვით ავტორი და მისი პერსონაჟები, ისტორიული დროა, თუმცა ის გააზრებულია სუბიექტურად და განსაზღვრულია მხატვრის ცნობიერებით. ამ დროში გამოიყოფა: ა) ავტორის დრო; ის ახლანდელი, მიმდინარე დროა, რომელშიც ცხოვრობს და მოქმედებს პოეტი. ბ) წარსული, ისტორიული, რომელიც უსწრებს ავტორის დროს. ეს დრო დახშულია, დასრულებული. იგი, სიტუაციის შესაბამისად, შეიძლება იყოს აჩქარებული ან შენელებული. ამას რუსთველი პერსონაჟთა განწყობილების მიხედვით აფიქსირებს.

3. დროის დინებას ადამიანის ცვალებადობა მოსდევს („მე გარდასრულვარ, სიბერე მჭირს ...“), მაგრამ ამ ცვალებადობას ავტორი მხატვრულად არ გვიჩვენებს, დროში არ ხდება პერსონაჟების ფსიქო-ფიზიკური გარდაქმნა... გ. ა.

349. ბ. ზარიძე

„ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული სივრცე

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1989, 2 ივნისი, გვ., 3-4.

მკვლევარს „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა სამოქმედო სივრცე რეალური გარემოს ანარეკლად მიაჩნია და მისი გაგება შეესაბამება შუა საუკუნეებში დამკვიდრებულ ესთეტიკას ქვეყნიერების რაობისა და მხატვრულად მისი განსახოვნების შესახებ.

პოემის ტექსტის ანალიზის საფუძველზე ავტორი შემდეგ დასკვნებს აკეთებს: 1) რუსთველის სამყაროს ქვეყნები ერთიმეორისაგან რეალურად არაფრით სხვაობენ. პოეტი ქვეყნიერებას თავისი სამშობლოს გადასახედიდან გაჰყურებდა და საქართველოს ფერებით წარმოედგინა იგი. 2) გარემოთა და ნაგებობათა ორგანიზებული ერთეულები ავსებენ რუსთველის თხზულების მხატვრული სივრცის განფენილობას, ხდიან მას თავისებურსა და ვიზუალურს. 3) გეოგრაფიული გარემო „ვეფხისტყაოსნის“ ყველა ქვეყანაში ერთნაირია და ამ ერთნაობის საყრდენ-განმსაზღვრელი პოეტის მშობლიური ქვეყნის სივრცეთა ანარეკლია, ამოტომაც იგი პირობითია. ნ. მ.

350. ნანა ზედგინიძე

საქართველო იყო მისი საოცნებო მხარე

ალმანახი „მწიგნობარი“, თბ., 1989, გვ. 119-133.

სტატია ეძღვნება ოლივერ უორდროპის დამოკიდებულებას საქართველოს, მისი მწერლობისა და კულტურისადმი. აღნიშნულია, რომ ახალგაზრდა ო. უორდროპი 1887 წელს ჩამოვიდა საქართველოში. იმყოფებოდა ბათუმში, თბილისში, თელავსა და სიღნაღში. იგი იწერდა ქართულ ლეგენდებს, ადათ-წესებს, სუფრულ სიმღერებს, ანდაზებს. საქართველოში მიღებული მრავალფეროვანი შთაბეჭდილებების საფუძველზე დაწერა წიგნი „საქართველოს სამეფო“, რომელიც 1888 წელს დაიბეჭდა ლონდონში. მასში წარმოჩენილია სხვადასხვა კუთხის ქართველების ჩაცმა-დახურვა, ხასიათი, ადათ-წესები, მუსიკალური კულტურა. დიდი ადგილი ეთმობა შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანს“. მის პოპულარობას ო. უორდროპი უკავშირებს მის ეროვნულ საფუძველს. იგი კლასიკური ლიტერატურის ფონზე ახალი კუთხით გვიჩვენებს პოემის გმირთა პორტრეტებს.

1892 წ. ო. უორდროპი დაინიშნა ბრიტანეთის ელჩის პირად მდივნად პეტერბურგში. ორი წლის შემდეგ დასთან, მარჯორისთან, ერთად ჩამოვიდა საქართველოში. ორივემ შეისწავლა ქართული ენა და დაიწყო მხატვრული ნაწარმოებების თარგმნა. ინგლისურად გადათარგმნეს და გამოსცეს „სიბრძნე სიცრუისა“ (1894 წ.), „წმინდა ნინოს ცხოვრება“ (1900 წ.), „ვისრამიანი“, „ვეფხისტყაოსანი“ და სხვა. მათ შექმნეს ქართული წიგნებისა და ხელნაწერების ფონდი, რომელიც შემდეგ გადასცეს ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლეის ბიბლიოთეკას. გ. ა.

351. მურმან თავდიშვილი

**„თავიანი სტროფის“ კანონზომიერება
და „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის პრობლემა**

*საქ. სსრ მეცნ. აკადემია, ლიტმცოდნეობის რესპ. საკოორდ. საბჭო, ქართული ლიტ. ინსტ.
XXIII სამეცნ. სესია, თბ., 1989, თეზისები, გვ. 14-17.*

ავტორი „თავიანს“ უწოდებს ისეთ სტროფებს, რომლებიც იწყება პოეტის რემარკით: „იტყვის“, „თავს უთხრა“, „თქვა“, „ამბობს“ და მისთ. მისი დაკვირვებით, პოემაში ასზე მეტი შემთხვევაა, სადაც დაფიქსირებულია კანონზომიერება **რემარკა-ფიქრი** (პერსონაჟის ფიქრს, მსჯელობას წინ უძღვის ავტორის რემარკა). ზოგჯერ პერსონაჟის ფიქრი კვლავ რემარკით სრულდება; ტექსტის ნაკვეთი აგებულია სქემაზე: რემარკა-ფიქრი-რემარკა.

მომხსენებლის აზრით, პოემის ნაბეჭდ ტექსტში ერთადერთი შემთხვევაა – (751-ე სტროფი: „გული კრულია კაცისა...“), სადაც პერსონაჟის (ავთანდილის) ფიქრს არ ახლავს ავტორისეული რემარკა. ამ ხარვეზის გამოსწორება შეიძლება ხელნაწერებში მის წინ არსებული სტროფის შეტანით ძირითად ტექსტში: „საწოლს მჯდომიან... ვარდი კონოს; გულსა იდებს, იტყვის: კაცმან ჭირი ლხინსა შეაწონოს...“). **გ. ა.**

352. მ. თავდიშვილი

სიტყვა „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგზე

ჟურ. „სკოლა და ცხოვრება“, 1989, № 1, გვ. 42-52; № 2, გვ. 64-75; № 3, გვ. 41-54.

ავტორი წერილის პირველ ნაწილში იკვლევს „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის მერვე სტროფს:

„მე, რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი,
ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი,
დავუძღვრდი, მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით არი,
ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე – სამარი“ –

და უპირისპირდება ყველა მკვლევარს, ვინც აქ ხედავს მიმართვას თამარ მეფისადმი, ასევე მისდამი სასიყვარულო განცდებს.

წერილში ავტორი ეხება სარგის კაკაბაძის, პავლე ინგოროყვას, ალ. ბარამიძის, ა. ლევიაშვილისა და თ. ერისთავის მოსაზრებებს პოემის პროლოგის თაობაზე და ძირითადად ეწინააღმდეგება ა. ლევიაშვილის და თ. ერისთავის დებულებებს.

ავტორს მიაჩნია, რომ პოემის მერვე სტროფი გამოხატავს რუსთველის მიმართებას ცენტრალური პერსონაჟისადმი, იმ გმირისადმი, რომლის ირგვლივაც იშლება მთელი პოემის ამბავი და მოქმედებანი. ეს გმირი კი ტარიელია.

სტრიქონის – „მომეც მიჯნურთა სურვილი სიკვდიდმდე გასატნისა“ – მკვლევარი ასეთ გააზრებას იძლევა: „ჩემი სიკვდილის მოსვლამდე მომეცი ტარიელისა და ნესტანის სურვილი და სიყვარული ... რუსთველი აქ გვაწვდის ერთი სიუჟეტის, ერთი პერსონაჟის ერთგულების პრინციპს. როგორც მიჯნურმა უნდა დააჯეროს გული ერთ სატრფოს, ისე მელექსემ უნდა უერთგულოს ერთ ამბავს.“

ჟურნალის მესამე ნომერში ავტორი ცდილობს გაარკვიოს პროლოგის მე-9 სტროფის („ესე ამბავი სპარსული...“) და ეპილოგის („ესე ამბავნი უცხონი, უცხოთა ხელმწიფეთანი, ვპოვენ და ლექსად გარდავთქვენ...“) ნამდვილი აზრი. მოჰყავს სიუჟეტური პარალელები „შაჰნამედან“.

მაგ.: ვეფხის ტყავით შემოსილი როსტომი მიჰქრის მერნით (რაშით). გზაში ქურციკი მოკლა, მწვადი შეწვა, ცხენი საბალახოდ მიუშვა (ფირდოუსი, ქეი-ქაუსი, 1987, გვ. 13, 18, 21, 23, 37).

მაგრამ „ამბავი“ გულისხმობს ვრცელ სიუჟეტს, მაგ.: ტარიელისა და ნესტანის თავგადასავალს. ასეთი ამბავი კი სპარსულ მწერლობაში არ იძებნება. ნამდვილად კი „ვეფხისტყაოსნში“ აღწერილია საქართველოს ისტორიის ერთი მონაკვეთი, კერძოდ, თამარის ორჯერ დაქორწინება. მოცემულია ამბის ორგვარი განვითარება: „ინდოეთის ამბავში ნაჩვენებია ის, რაც მოხდა თამარ მეფის კარზე, ხოლო არაბეთის ამბავში ნაჩვენებია, თუ რა მოხდებოდა თამარ მეფის კარზე ალბათობისა და აუცილებლობის ფარგლებში, თუკი ქართველები მეტ გონიერებას გამოიჩენდნენ“ (გვ.50).

მაგრამ დავით სოსლანსა და თამარს არ ესიამოვნებოდათ გიორგი რუსთან დაკავშირებული ამბის გახსენება და ამიტომ ამბობს პოეტი, ვითომ მან უცხო ამბავი გალექსა. ასე ხსნიდა ვაჟა-ფშაველა „სპარსული ამბის“ ხსენებას („ვიქრები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“, გვ.51).

მ. თავდიშვილის აზრით, მცდარია შეხედულება, თითქოს სტროფი „მე რუსთველი ხელობითა“, აგრეთვე ფრაზები: „მომეც მიჯნურთა სურვილი“, „ჩემმან ხელმქნელმან დამმართოს...“ ეხებოდეს თამარ მეფეს და ავლენდეს მისდამი ავტორის ინტიმურ განცდებს. ეს სიტყვები ეხება არა თამარს, არამედ პოემის ცენტრალურ პერსონაჟს – ტარიელს (გვ.53). მკვლევრის აზრით, პროლოგი ტარიელის (ინდოეთის) ამბის დასრულების შემდეგაა შეთხზული. აქედან გამომდინარე, ფრაზები; „მას ვაქებ, ვინცა მიქია“, „ვთქვენი ქებანი ვისნი მე“ გულისხმობს არა თამარს, არამედ ტარიელს (გვ.54). **ნ. მ.**

მ. თავდიშვილი

უცხოური ენის საკითხი

„ვეფხისტყაოსნში“

ქურ. „უცხო ენები სკოლაში“, 1989, № 2, გვ., 41-47.

ავტორი ეხება ინდო-ხატაელთა ამბის **1576** სტროფს: „უცხოურად ეუბნების... არ ესმოდა ინდოური, არაბულად ყვეს უბნობა“ და აღნიშნავს, რომ ეს არაა პიორველი შემთხვევა, სადაც რუსთველი ენის პრობლემას აყენებს. ჯერ კიდევ პროლოგშია:

„ესე ამბავი **სპარსული, ქართულად** ნათარგმანები ...“

აქ დაპირისპირებულია სპარსული და ქართული ენები. ამავე პროლოგშია:

„მიჯნური შმაგსა გვიქვიან **არაბულითა** ენითა ...“

კიდევ: ეთიოპელმა (ჰინდო) მონა-ზანგებმა ნესტანის მათთვის გადაცემით გაიხარეს და სიხარული თავიანთ ენაზე (ეთიოპურად) გამოხატეს: „... იყივლეს: „იპი, იპია“. დგინდება, რომ ეთიოპურად **იპი** აღტაცების გამომხატველი შორისდებულა. ქართულ ენაზე მას შეესატყვისება შორისდებული **იმ**.

ენობრივი ბარიერის საკითხი „ამირანდარეჯანიანშიც“ დგას: „... მით შავითა პირითა სპარსულად უბნობდა, და წითლისა ვერა გავიგონეთ რა...“ (ქ. პროზა, II, გვ. 55).

დასკვნა: რუსთველის დამოკიდებულება უცხოური ენისადმი ერთნაირი ჩანს, როგორც პოემაში, ისე „ინდო-ხატაელთა ამბავში“. გამოთქმა: „უცხოურად ეუბნების“ და „არ ესმოდა ინდოური, არაბულად ყვეს უბნობა“ არავითარ წინააღმდეგობაში არ მოდის პოემის ძირითად ტექსტთან.

შენიშვნა (სქოლიოში): პოემაში უნდა განვასხვავოთ **ინდოელი** (მაგ. ტარიელი) და **ჰინდო**, **ჰინდოელი** (ზანგი, ეთიოპელი, აბაში) მაგ. წერია: „...შეიძრა რაზმი ინდოთა ტომისა“. უნდა იკითხოვოდეს „ჰინდოთა ტომისა“ (გვ. 46). **ნ. გ.**

354. მ. თავდიშვილი

ახალი გამოცემა და ძველი პრობლემები

ალმ. „კრიტიკა“, 1989, № 1, გვ., 8-13.

წერილი ეხება „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ მომზადებულ გამოცემას („მეცნიერება“, 1988). ავტორი აღნიშნავს, რომ ეს გამოცემა წინ გადადგმული ნაბიჯია, აქამდე არსებულ გამოცემებთან შედარებით. უთითებს აგრეთვე შეცდომებზე, რომლებიც, მისი აზრით, ამ გამოცემაშია.

1). სტრ. 811: „აწ ამბავი სხვა დავიწყო, – ყმასა **წავჰყვე** წამავალსა“... რეცენზენტის აზრით, უნდა იკითხოვოდეს: ყმასა **წავჰყვე** და ეს „ყმა არის არა ავთანდილი (როგორც მთავარი რედაქცია ფიქრობს), არამედ შერმადინი, რომელიც როსტევან მეფესთან მიდის ავთანდილის ანდერძის მისართმევად. ავტორის აზრით, აქვე, 811-ის წინ უნდა აღდგენილ და ძირითად ტექსტში შეტანილ იქნას ჩანართად მიჩნეული სტროფი: „მოსთქვამს და იტყვის: „ვა, მზეო, შენი ადგილი ჩრდილდების...“

34-ე გვერდზე აშკარად ინტერპოლატორული სათაურია: „ავთანდილისაგან **ტარიელის** ძებნად წასლვა“. უნდა იყოს: „... მის ყმის ძებნად წასლვა“.

3). პირის ნიშნების ხმარებაში დაცული არაა საერთო პრინციპი. მაგ. არის: **ტირს** და აგრ.: **გასტებს, გასწირავს**.

4). მიუღებელია გასწორებები: ვინცა კაცმან იძმოს ანუ **და-ცა-იდოს** (303), იგი **წახდების**, სხვა მოვა (35), თქვენვე **გიაჯია** (1055). **გ. ა.**

355. მ. თავდიშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ დაფანტული სტროფები (რუსთველური კანონზომიერებანი და ტექსტის პრობლემა)

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1989, 11, თებ., № 18.

ავტორი წერს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში მან აღმოაჩინა რუსთველური კანონზომიერებანი, რომლებიც გამოცემებში ყოველთვის დაცული არაა. ასეთებია:

1). „ბრძანების კანონზომიერება“ ანუ „ბრძანების ეტიკეტი“, რომლის საფუძველზე საჭიროდ თვლის ორი სტროფის შეტანას პოემის ტექსტში: „მეფემან ბრძანა: „ვინ არის უცხო პირად და ტანადო“...“ (A 124); „ტარიელ ფრიდონ გაგზავნა მის ყმისა მოსაყვანელად...“ (A1726).

2). „დროის კანონზომიერება“, რომლის მიხედვით უნდა აღდგეს ჩანართად ჩათვლილი: „აწ ათია წელიწადი, ინდოეთით რა წასრულა“ (A 815).

3). „წასვლა-მოსვლის თანმიმდევრობის კანონზომიერება“, რაც, ავტორის აზრით, დარღვეულია ტექსტში სტროფების გამოტოვებით: „ყმამან რაცა არვის უთხრის...“ (A 888) და „თქვა თუ: ამ ჟამსა წუხელის...“ (A 889).

წერილის ავტორის აზრით, „მის მიერ დადგენილი“ კანონზომიერებანი „ახალ პერსპექტივას უშლის რუსთველოლოგიას საერთოდ და, კერძოდ, ავთენტუური ტექსტის დადგენის საქმეს“. **გ. ა.**

356. მ. თავდიშვილი

**თანალმობის ეტიკეტი ძველ საქართველოსა და
„ვეფხისტყაოსნში“**

ჟურ. „ისტორია და გეოგრაფია სკოლაში“, 1989, № 3, გვ. 50-64.

ავტორი აღნიშნავს: ძველი ქართული ლიტერატურის მრავალ ძეგლში დასტურდება, რომ შუა საუკუნეების საქართველოში ფართოდ იყო მიღებული თანალმობის ეტიკეტი. კერძოდ, პატრონის გლოვა უსათუოდ იწვევდა მონის (ყმის) გლოვასა და ტირილ-ვაებას. ეს ეტიკეტი ასახულია „ვეფხისტყაოსანშიც“ და, მკვლევრის აზრით, „ყველაზე საინტერესოა მის მიერ შენიშნულ ხუთ კანონზომიერებას შორის, რამეთუ ათასგვარი გზით უკავშირდება რუსთველის ჰუმანიზმის არსს“ (გვ.62).

ამ ეტიკეტის დადასტურებას ხედავს მკვლევარი „ვეფხისტყაოსნის“ 1001, 1002, 1451, 1331 სტროფებში (აწ ფრიდონ იწვის...; ლაშქართა შიგან...; მუნ ატირდეს ყველაკანი...; ტარიელ მოთქვა ტირილით...) და უმართებულოდ თვლის ალ. ჭინჭარაულის მსჯელობას ამ სტროფების გვიანდელი ჩანართობის შესახებ.

საერთოდ, სტატია დაწერილია სამეცნიერო ნაშრომისათვის შეუფერებელი სტილით, უხვადაა მასში ოპონენტის (ალ. ჭინჭარაულის) შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი გამოთქმები. **გ. ა.**

357. მ. თავდიშვილი

წამწამებს აფახულებს და ...

ყორანივით შავ წვერ-ულვაშს აფრთხობს?

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1889, 31 ოქტ. (№ 129).

მკვლევარი ეხება „ვეფხისტყაოსნის“ სასკოლო გამოცემის 1351₂ სტრიქონს: „ყორანსა გაჰგლეჯს ხშირ-ხშირად, აფრთხობს ბროლისა ჭერითა“ (1329₂ – 1966წ.). აღნიშნავს, რომ წიგნში მოცემული განმარტება (ა. ჭინჭარაულისა) არასწორია, რომ ტექსტში ნახსენებია **ბროლისა ჭერი**, ა. ჭინჭარაული კი განმარტავს „გიშრის ჭერს“ (როგორც წამწამების აღმნიშვნელ მეტაფორას). მ. თავდიშვილის აზრით, აქ „ყორანი“ შავი თმის მეტაფორული სახეა, ხოლო „ბროლი“ თეთრი თითებია, **ჭერითა** ნიშნავს დაჭერით, წავლებით. ე. ო. სტრიქონის აზრია: ბროლის თითებს ხშირ-ხშირად წაივლებდა ყორანზე (თმაზე) და ამით აფრთხობდა მას. **გ. ა.**

358. მ. თავდიშვილი

აბანოში რა გინდოდათ?

გაზ. „სახალხო განათლება“, 1989, 6 სექტ. (№ 40).

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ამჟამად მიღებული ტექსტის მიხედვით ტარიელს ნესტან-დარეჯანი პირველად აბანოში უნახავს, – ასეთი აზრი იქმნება 340-341 სტროფებით („ბაღჩა ვნახე უტურფესი...“ და „ვიცოდი სწადადა არვისგან ...“).

ეს შეუსაბამობა გასწორდება, თუ ტექსტში ჩავრთავთ ინტერპოლაციად მიჩნეულ სტროფს „ზღუდედ მოვლიდა ზურმუხტი...“ (340₁). აქ ნათქვამია, რომ ისინი მივიდნენ ნესტანის კოშკთან, მეფე იქ „გარდახდა“ (ცხენიდან ჩამოხდა), შევიდნენ შიგნით, სადაც „სრა დახვდა, მოცული ფარდაგებითა...“.

ამას უნდა მოსდევდეს სტროფი: „ვიცოდი სწადა არვისგან...“. იქვე აღნიშნავს, რომ ამ სტროფს ხელნაწერ H 757-ში ნა (= ნანუჩა) აწერია, მაგრამ ეს მინაწერი ყოველთვის სანდო არაა, რადგან ის გაკეთებულია არა პოემის გადამწერის მიერ, არამედ სხვა კალიგრაფიით. გ. ა.

359. სერგო თურნავა

შვეიცარიელი ქართველოლოგები

ალმანახი „მწიგნობარი“, თბ. 1989, გვ. 134-143.

წერილში აღნიშნულია, რომ 1937 წელს ჟენევის უნივერსიტეტში გაიმართა შოთა რუსთველის დაბადების 750 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი. ამ სხდომის მასალები წიგნად გამოიცა 1963 წელს სათაურით „შოთა რუსთველი ჟენევის უნივერსიტეტში“.

1950-იან წლებში პროფ. კიტა ჩხენკელი თავის მოწაფეებთან – ლეა ფლურსა, იოლანდა მარშევსა და რუთ ნოიკომთან ერთად მუშაობდა ქართულ-გერმანული ლექსიკონის შედგენაზე. 1958 წელს კ. ჩხენკელი და რ. ნოიკომი შეუდგნენ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნას გერმანულ ენაზე. კ. ჩხენკელის გადაცვალების (1963 წ.) შემდეგ რ. ნოიკომმა დაასრულა პოემის პროზაული თარგმანი და გამოაქვეყნა 1974 წელს. გ. ა.

360. გაიოზ იმედაშვილი

ვეფხისტყაოსანი და ძველი ქართული მწერლობა

თბ. 1989.

კრებულში დაბეჭდილია რუსთველოლოგიური გამოკვლევები:

ვეფხისტყაოსანი და ქართული სინამდვილე, გვ. 3-32 (უთარილო).

ვეფხისტყაოსნის პარალელები მეათე საუკუნის ქართულ ჰიმნოგრაფიაში (გვ.32-60), 1944 წ.

ძველი ქართული მხატვრული ენის სტილის მიჯნებზე (გვ.60-106), 1965 წ.

ვეფხისტყაოსნის „მოცალები“ (106-113), 1966 წ.

ზოგი რამ რუსთველის შვიდი მნათობის შესახებ (გვ 114-122), 1946 წ.

ორი მზე ვეფხისტყაოსნში (გვ.122-136), 1950 წ.

რუსთველის ლომი და მზე (გვ. 136-148), 1950 წ.

„მზიანი ღამე“ ვეფხისტყაოსნში (გვ. 149-163), 1953 წ.

ასტრალური სინამდვილე ვეფხისტყაოსანსა და „იგორის ლაშქრობის ამბავში“ (გვ.164-180), 1966 წ.

ყველა მათგანი ადრე იყო გამოქვეყნებული, ანოტაციები იხ. თარიღების მიხედვით „რუსთველიტი-ის ბიბლიოგრაფიის“ I, II და III ტომებში. გ. ა.

361. М. Каландаришвили

Шота Руставели

в русской критике послеоктябрьского периода

თსუ და საქ. სსრ უმაღლესი სასწავლებლების რესპ. სამეცნ. კონფ; ლიტერატურათმცოდნეობა, III, მოხს. თეზისები, თბ., 1989, 13-15 დეკ., გვ. 66-67, (მოგვაქვს შემოკლებით).

შოთა რუსთველის შემოქმედებამ რევოლუციის შემდგომ პერიოდში მიიქცია არა მარტო ცნობილი რუსთველოლოგების, არამედ საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეების ყურადღებაც.

საინტერესო მოსაზრება იყო გამოთქმული პ. ბერკოვის მიერ. მან პირველმა წარმოადგინა „ვეფხისტყაოსნის“ წაკითხვის არაორდინალური ვერსია.

ვ. გოლცევა გააკეთა პოემის მხატვრული ღირებულების ზუსტი, ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი.

ა. ლოსევი წიგნში „აღორძინების ესთეტიკა“ იძლევა შ. ნუცუბიძის დამსახურების კონკრეტულ დახასიათებას და მისი „აღმოსავლური რენესანსის“ თეორიის პოზიტიურ შეფასებას. გ. ა.

362. ზორის კანდელაკი

საჭირო განმარტება

შოთა რუსთაველის იერუსალიმური პორტრეტის შესახებ

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1989, 16 ივნისი

ავტორი პასუხობს მეცნიერთა ჯგუფის (გ. ჩუბინაშვილი, შ. ამირანაშვილი და სხვ.) მიერ 30 წლის წინათ გამოქვეყნებულ წერილს (გაზ. „კომუნისტი“, 1958, № 261), რომელშიც ზ. კანდელაკის განცხადება შოთა რუსთაველის პორტრეტის აღმოჩენის შესახებ „სინამდვილის დამახინჯებად“ არის სახელდებული (პოლემიკის საგანია ნიკო ჩუბინაშვილის მიერ 1845 წელს გადმოღებულ პირი რუსთაველის პორტრეტისა იერუსალიმის ჯვარის მონასტრის სვეტიდან).

ბ. კანდელაკი თვლის, რომ მეცნიერთა კრიტიკა მის მიმართ უსაფუძვლი იყო. გ. ა.

363. მარიამ კარბელაშვილი

კოსმოსი რუსთაველის ეპოქის სააზროვნო სისტემაში

და პლატონის „ტიმეოსი“

საქ. სსრ მეცნ. აკადემია, ლიტმცოდნ. რესპ. საკოორდინაციო საბჭო, ქართული

ლიტერატურის ინსტ. XXIII სამეცნიერო სესია, თბ., 1989, თეზისები, გვ. 7.

1. რუსთაველის ეპოქის ქართულ ისტორიოგრაფიაში საქართველოს სახელმწიფოებრივი ეთიკურ-პოლიტიკური არსი შვიდი მნათობის კოსმიური სიმბოლიკით არის განსაზღვრული (თამარმა „შვიდთა მათ სარტყელთა ცისათა... შეასახა სფერო მიწიერი“, ქ. ცხ., II, 27-28); იგივე იდეოლოგიური კონცეფციაა გატარებული მეხოტბეთა თხზულებებშიც.

2. წარმოდგენა კოსმოსზე, როგორც უმაღლეს მოწესრიგებულ ენერგიაზე, ანტიკური პოლიტიკურ-ფილოსოფიური აზროვნებიდან იღებს საწყისს (პითაგორას „სფეროთა მუსიკა“); პლატონის აზრით, იდეალური სახელმწიფო იდეალური კოსმოსის ანარეკლი და გაგრძელებაა („ტიმეოსი“).

3. XII საუკუნის ქართული ეპოქალური აზროვნება ანტიკური ფილოსოფიის ამ ეთიკურ-პოლიტიკური კონცეფციიდან მოდის.

4. შვიდი მნათობის სიმბოლიკა „ვეფხისტყაოსანშიც“ ამ სპექტრით არის ასახული; ავთანდილის კოსმიური ჰიმნი პლატონის „სახელმწიფოსა“ და „ტიმეოსის“ ეთიკურ-ფილოსოფიურ კონტექსტში უნდა იქნას გააზრებული და განმარტებული.

364. მ. კარბელაშვილი

**რუსთველისეული „ესე ამბავი სპარსულის“
ინერპრეტაციისათვის**

ჟურ. „მნათობი“, 1989, № 11, გვ. 167-176.

წერილის ავტორის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის მეცხრე სტროფში დადასტურებული „ესე ამბავი სპარსული“ არის გასაღები მთელი პოემის შესამეცნებლად. მისი განცხადებით, რუსთველისეული „სპარსული“ უნდა განიმარტოს როგორც ეთიკურ-პოლიტიკური ტერმინი, დამკვიდრებული ევროპული ტიპის აზროვნებში, რომელიც საწყისს ანტიკური ისტორიული, მხატვრული და ფილოსოფიურ-პოლიტიკური ლიტერატურიდან იღებს, სადაც „სპარსული“ ერთპიროვნული, ხელისუფალის შეუზღუდავი მმართველობის – დესპოტიკის სინონიმია, წინააღმდეგ ათენის სამართალზე დაფუძნებული დემოკრატიისა.

მკვლევარი რუსთველს მიიჩნევს ახალი დროის მსოფლიო ლიტერატურაში ანტიკური ტრადიციის პირველ გამგრძელებლად. მისი აზრით, რუსთველის იდეალი ათენის დემოკრატიული სახელმწიფო იყო: „შოთა რუსთაველმა არაბეთის სახით შექმნა დამოუკიდებელი სახელმწიფოს იდეალი, სახელმწიფოსი, რომელიც უპირველეს ყოვლისა სამართლიანობის პრინციპს ეფუძნება“... და რომელსაც „ათენს ბრძენთა საქებარი“, „ცნობითა ზე-მხედველითა“ აღჭურვილი ბრძენი მმართველი ჰყავს.

ავტორი სახელში „თინათინი“ ხედავს ელინური მითოლოგიის სიბრძნის ქალღმერთისა და ამ ქალღმერთის მფარველობის ქვეშ მყოფი ქალაქის სახელს. **ნ. გ.**

365. ბონდო კარტოზია

საჭირო განმარტება

ჟურ. „კრიტიკა“, 1989, № 3, გვ. 7-10.

ავტორი უპასუხებს ც. კიკვიძეს, რომელიც წერდა („მაცნე“, ელს, 1988, № 4), რომ კონიექტურა „რემა, ჯორი და ცხენია“ წარმოდგენილი ჰქონდათ მიხ. წერეთელს, პ. ინგოროყვას და გ. ავალიანს, მაგრამ იგი არ იქნა გაზიარებული ტექსტის დამდგენი კომისიის მთავარი რედაქციის მიერ, რომელმაც უფრო დასაბუთებულად მიიჩნია წაკითხვა: „რემა-ჯოგი და ცხენია“.

ბ. კარტოზია მიუთითებს, რომ „რემა“ არ ნიშნავს მხოლოდ ცხენების ჯოგს. პოემის ერთ-ერთ სტროფში იხსენიება „ფუტკრის რემა“. ეს სტროფი („რა მინდორს შევჯდით...“) კ. ჭიჭინაძის და შანიძე-ბარამიძის გამოცემებში რუსთველისეულად არის მიჩნეული. ირკვევა, რომ სიტყვა „რემა“ ქართულში არის ზოგადი სახელი, რომელსაც ყოველთვის მოსდევს განმარტება, თუ რისი რემაა. **გ. ა.**

366. ვახტანგ კუპრავა

ისევ ავტორისა და სათაურის შესახებ

ალმ. „კრიტიკა“, 1989, № 3, გვ. 10-11.

რეპლიკა ეხება „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის გვარის დაწერილობას (რუსთველი თუ რუსთაველი?) და პოემის სათაურის თარგმნას უცხო ენებზე, – რომელია „ვეფხის“ შესატყვისი: „ბარს“, „ტიგრ“ თუ „პანტერა“? ვ. კუპრავას აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის გვარ-სახელი და

სათაური ყველა ენაზე იდენტურად უნდა იწერებოდეს და იდენტური შინაარსის შემცველი უნდა იყოს. გ. ა.

367. ლევან მარუაშვილი

**სად ჰქონდა გააზრებული რუსთაველს
ტარიელის ქვაბოვანი?**

ჟურ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1989, № 7, გვ. 51-54.

ავთანდილის მგზავრობის მარშრუტების მიხედვით მკვლევარი მიახლოებით ადგენს პოემაში მოხსენიებული ზოგიერთი გეოგრაფიული ცნების შინაარსს. მისი ვარაუდით, „დიდი ზღვა“ ინდოეთის ოკეანედ უნდა მივიჩნიოთ, ხოლო „დიდი ხმელეთი“ შეესაბამება აფრიკას, კერძოდ – მის აღმოსავლეთ ნაპირს. ავტორის დასკვნით, ტარიელის ქვაბოვანი, როგორც ხელოვნური საცხოვრებელი ქვაბების კომპლექსი, „ვეფხისტყაოსანში“ გააზრებულია „სომალის რქის“ წვერის დასავლეთით 5-10 დღის სავალზე. ე. ქ.

368. იოსებ მეგრელიძე

„ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის გამო

ალმ. „კრიტიკა“, 1989, № 4, გვ. 5-7.

წერილში საუბარია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ მომზადებულ წიგნზე, რომელიც 1988 წელს გამოქვეყნდა. მას ავტორად **შოთა რუსთაველი** აწერია. სწორედ ამაზეა მსჯელობა, „რუსთაველი“ უნდა იყოს თუ „რუსთაველი“?

მკვლევრის აზრით, უნდა დამკვიდრდეს ფორმა „რუსთაველი“: ასე იცნობენ ამ მწერალს მსოფლიო მასშტაბით. ენათა საერთო თვისებაა სიტყვათა უკუმშველობისაკენ მიდრეკილება და აქაც სრულ, გაშლილ ფორმას უნდა მიეცეს უპირატესობა.

ავტორი უმართებულოდ მიიჩნევს აგრეთვე **„ხონელის“** შეცვლას „ხომელით“: „ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა“ (ასე იკითხება ხელნაწერებში, ერთის გარდა). ე. ქ.

369. რევაზ მიშველაძე

არ ენდოთ!

ალმ. „კრიტიკა“, 1989, № 1, გვ. 5-8.

ავტორი კრიტიკულად არის განწყობილი „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის მიმართ (1988, თბ., „მეცნიერება“). მისი თქმით, პოემის აკადემიური ტექსტის დამდგენმა კომისიამ „საბოლოოდ მოუთავა „ვეფხისტყაოსანს“ ხელი. წინა კომისიის შეცდომებიც გაიმეორა და თავის მხრივ ახალიც დაამატა. (...) პოემასთან მეცნიერის ლუპით მისულმა სწავლულებმა ..., აამდვრიეს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი და ასე მოსრილ-არეული წარმოგვიდგინეს“.

კრიტიკოსი განსაკუთრებით აღშფოთებულია ნაბეჭდ გამოცემებში დამკვიდრებული წაკითხვის: „კაცს შუბი ვვარ, ცხენი დავეც...“ შეცვლით ხელნაწერებისეული ვარიანტი: „კაცსა შევეც, ცხენი დავეც“. ასახელებს სხვა გასწორებებსაც, რომლებიც მას უმართებულოდ მიაჩნია: „იგი წახდების, სხვა მოვა...“; „სხვაგან ქნის მისი გონება...“; „ქვე მკრდამდის გასაპოზელად“; „განგებაა სწორად მოჰკლავს...“; „საწოლის მეკრე შემოდგა“.

კრიტიკოსის დასკვნით, ახალი გამოცემა სანდო არაა, იგი შერყვნილი, ცრუ „ვეფხისტყაოსანია“. გ. ა.

370. გიორგი მჭედლიშვილი

კვლავ „ვეფხისტყაოსნის“ დევნის შესახებ

ალმ. „კრიტიკა“, 1989, № გვ., 61-76.

ავტორი მიმოიხილავს იმ აზრთა სხვადასხვაობასა და პოლემიკას, რომელიც ხდებოდა XVII-XVIII საუკუნეებში. მისი თქმით, ამ დაპირისპირებაში არის ერთი საკითხი, რომელიც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. კერძოდ ის, რომ პოემის დევნისა და განადგურების ფაქტი უმრავლეს შემთხვევაში ვახტანგისეულ გამოცემას შეეხება. ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმას, საკუთრივ ვინ შეეცადა პოემის მოსპობას: დომენტი კათალიკოსი, ანტონი, თუ ვინმე სხვა. მთავარი მაინც ისაა, რომ შესაძლებელია ნამდვილად მომხდარიყო „ვეფხისტყაოსნის“ ხელყოფა. როგორც ჩანს, მაჰმადიანური სამყაროს საფრთხის ქვეშ მყოფი ქართველობა ქრისტიანული სარწმუნოების, და ამდენად, თავის გადარჩენისათვის არ ერიდებოდა არავითარ მსხვერპლშეწირვას. გ. ა.

371. პ. ნაცვლიშვილი

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მე-19-ე და 792-ე

სტროფების კომენტარისათვის

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქ. სსრ უმაღლესი სასწავლებლების რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, ლიტერატურათმცოდნეობა, III, მოხს. თეზისები, თბ., 1989, გვ. 32-34 (მოგაკვს შემოკლებით).

პოემის მე-9 სტროფის („ესე ამბავი სპარსული...“) გამოთქმები ზოგიერთ მკვლევარს პირდაპირი, სიტყვების დღევანდელი მნიშვნელობით ესმის, რაც შეცდომაა. „სპარსული ამბავი“ სპარსულად დაწერილი კონკრეტული ტექსტი კი არ არის, არამედ საერო, ფანტაზიით შეთხზული სამიჯნურო-სატრფიალო სიუჟეტი. საქართველოში ასეთ ვითარებაში რუსთაველის პოემა მართლაც „ობოლი მარგალიტია“, იშვიათი, სხვებისაგან გამორჩეული და ამდენადვე „საჭოჭმანებიც“ – სადავო, საკამათო.

რუსთაველი ღმერთს ხშირად ახსენებს, მაგრამ მისი ან პერსონაჟების გამოთქმების მიხედვით ნათლად არ ჩანს, თუ რომელ ღმერთზეა საუბარი. იგი რომ ქრისტიანულად გააზრებული ღმერთია, ეს დასტურდება პოემის 792-ე სტროფიდან, რომელშიც იგავურად, დაფარულად მითითებულია ქრისტიანულ სამებაზე (მკვლევარი ალბათ გულისხმობს ამ სტროფს: „ვინ დამბადა, შეძლებაცა მანვე მომცა ძლევად მტერთად, ვინ არს ძალი უხილავი შემწედ ყოვლთა მიწიერთად...“, მაგრამ სად ჩანს აქ „სამება“?). გ. ა.

372. ვლადიმერ ნორაკიძე

შოთა რუსთაველის ფსიქოლოგიური პორტრეტის დადგენისათვის („ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით)

ჟურ. „მაცნე“ ფილოსოფიის... სერია, 1989, № 1, გვ., 48-63.

ავტორი აღნიშნავს, რომ პრობლემის კვლევისათვის გამოყენებულია კომპლექსური მეთოდი, რომელიც გულისხმობს ნაწარმოების პერსონაჟების ქარაქტეროლოგიურ ანალიზს. გამოიყო ის თემები, რომლებიც ამოიკითხება „ნეიტრალურ სტროფებში“, სადაც პოეტი ავლენს თავის სუბიექტურ დამოკიდებულებას პერსონაჟების სოციალური ქცევისა და პიროვნული თავისებურებებისადმი. შემდეგ, ამავე ასპექტში განხილული არიან პოემის ძირითადი პერსონაჟები.

ანალიზის შედეგად ირკვევა: 1. პოეტის დამოკიდებულება აბსოლუტურისადმი; 2. შემოქმედი „მე“-ს ესთეტიკური იდეალი. რუსთაველისათვის სიცოცხლის მიზანია უმაღლესი ღირებულებებისადმი სამსახური; 3. რუსთაველი ტარიელში ახდენს საკუთარი ინტიმური განცდების, ღირებულებების პროექციას; 4. პოეტი მკაცრი დამცველია საზოგადოებაში ცალკეული ადამიანებისადმი მიკუთვნებული სოციალური სტატუსისა და როლისა; 5. რუსთაველისათვის პოეზია ადამიანის უმაღლესი ღირებულებებისადმი სწრაფვის გამოხატელობაა. იგი სიბრძნის ერთ-ერთი დარგია, რომელიც სწვდება სიცოცხლის საზრისს; 6. მიჯნურობა, რუსთაველის გაგებით, კონკრეტული, რეალური ადამიანისათვის დამახასიათებელი განცდაა; 7. პიროვნებების ურთიერთობა, მათი შინაგანი და გარეგანი კონფლიქტებით გამოწვეულ სულიერი მდგომარეობის დროს, აღბეჭდილია მათ შორის კეთილი დამოკიდებულების, ურთიერთდახმარების, უმაღლესი ჰუმანურობის ტენდენციით. ივარაუდება, რომ აქ პოეტი ახდენს თავისი, როგორც პიროვნების თავისებების პროექციას პერსონაჟების საქციელსა და განცდებში. გ. ა.

373. ედმონ ჟალუ

ქართველი პოეტი

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1989, № 1, გვ., 165-168. ფრანგი მწერლისა და კრიტიკოსის
ეს წერილი პირველად 1938 წელს გამოქვეყნდა პარიზში, გაზ. „Le Temps“ (17 ივლისი).
ქართულად თარგმნა მ. გიგინეიშვილმა.

ე. ჟალუს აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ ერთსა და იმავე დროს არის საგმიროც, რაინდულიც, სატრფიალოც. მასში არის რაღაც, რაც ხალხურ რომანს, უფრო სწორად, მითურ რომანს მოაგონებს კაცს. ტარიელი ისეთივე მოხეტიალე რაინდია, როგორც გვხვდება მე-12 საუკუნის ჩვენს პოემებში... იგი ლანცელოტს და მანფრედს წააგავს... გრაალის ძიებას აქ შეენაცვლა წმიდა მშვენიერების ძიება და ეს წმიდა მშვენიერება შეიძლება ჩაითვალოს ქართველ ქალთა სიმბოლოდ. გ. ა.

374. გრიგოლ რობაქიძე

შოთა რუსთაველი

*ესკიზი. წაკითხულია ლექციად 1910 წელს თბილისსა და ქუთაისში.
ჟურ. „ცისკარი“, 1989, № 3, გვ., 106-112 (პუბლიკაცია ა. ჩხიკვიშვილისა).*

ესკიზში გადმოცემულია შთაბეჭდილება, რომელსაც „ვეფხისტყაოსანი“ ახდენს მკითხველზე. გ. რობაქიძის თქმით, „მთელი ქმნილება რუსთაველისა სხეულის სილამაზით არის აღძრული, მაგრამ მასში არ მოიძებნება არც ერთი ხაზმოსმა, სადაც იჭრებოდეს ცხოველური გრძნობა“. შედარებულია ერთმანეთთან ხასიათები და სიყვარული ნესტან-ტარიელისა და თინათინ-ავთანდილისა.

მწერალი ეხება თხზულების ფაზულის წარმომავლობის საკითხსაც: „ამბობენ, შინაარსი გადმოღებულია, „ნათარგმანებით“. ამ შენიშვნით უნდათ მოსპონ რუსთაველის შემოქმედებითი ორიგინალობა. მაგრამ სცდებიან... არაკის აღება სრულებით არ სპობს მხატვრობის ორიგინალობას...“ **გ. ა.**

375. Э. Погава

Первые сведения о Шота Руставели в России

*თსუ და საქ. სსრ უმაღლესი სასწავლებლების რესპ. სამეცნ. კონფერენცია,
ლიტერატურათმცოდნეობა,
III, თბ., 1989, 13-15 დეკ., მოხს. თეზისები, გვ., 67-69 (მოგვაქვს შემოკლებით).*

რუსთაველოლოგიის ისტორია რუსეთში იწყება მიტროპოლიტ ევგენი ბოლხოვიტინოვის წიგნით (1802 წ.), რომლითაც რუსმა მკითხველმა მიიღო პირველი ცნობები შოთა რუსთაველსა და მის პოემაზე.

მოხსენებაში მოცემულია ამ წიგნის შექმნის ისტორია, დახასიათებულია შედგენილობა და თემატიკა (1. ისტორიულ-ლიტერატურული ცნობები „ვეფხისტყაოსანსა“ და მის ავტორზე; 2. პოემის ჟანრული სპეციფიკის განსაზღვრა; 3. ფრაგმენტების რუსულ ენაზე თარგმნის ცდა). ე. ბოლხოვიტინოვი პირველი იყო, ვინც „ვეფხისტყაოსანი“ შეუდარა არისტოსა და ოსიანის საგმირო-სარაინდო რომანებს.

გამოქვეყნებიდან მოკლე დროში (1804 წ.) წიგნი გერმანულ ენაზე ითარგმნა, რასაც მიეძღვნა ვრცელი რეცენზიები გერმანულ და ფრანგულ პრესაში. **გ. ა.**

376.

როგორ ვპატრონობთ მარგალიტს

ჟურ. „კრიტიკა“, 1989, №2, გვ., 5-9; №3, გვ., 5-7.

№ 2-ში ამ რუბრიკით დაბეჭდილია პოლემიკური წერილები: მიხეილ ქვლივიძის („გადავწყვიტე ჩავერიო...“), ლევან სანიკიძის („გვრცხვენის და გვეშინის...“) და გრიგოლ ჯულუხიძის („რა ხდება?“).

№ 3-ში: მორის ფოცხვილის („მაღალი გემოვნებით“), ლადო მრელაშვილის („თქვენ რას იტყვით, მკითხველო?“), მურმან ჯგუზურიასი („სიტყვა, რომელიც გეჩოთირება...“).

ავტორები „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომოსიის მთავარ რედაქციას საყვედურობენ პოემის ახალ გამოცემაში (1988 წ.) შეტანილი გასწორებების გამო. მათ რუსთაველისეული ტექსტის შერყვნად და დამხინჯებად მიაჩნიათ პოემის ბეჭდური

გამოცემებით დამკვიდრებული წაკითხვების შეცვლა ხელნაწერებში არსებული ვარიანტებით. ოპონენტებს ნიმუშებად მოჰყავთ ერთი და იგივე კონტექსტები. მათი აზრით, უნდა ყოფილიყო: „იგი წავა და სხვა მოვა...“ (არის: „იგი წახდების, სხვა მოვა...“); „გესმასთ ჩემი ნაუბარი“ (არის: „გესმის ჩემი ნაუბარი?“); „ფათერაკი სწორად მოჰკლავს...“ (არის: „განგებაა, სწორად მოკლავს...“); „საწოლს მეკარე შემოდგა“ (არის: საწოლის მეკრე შემოდგა“); „მკერდამდის“ (არის: „ქვემკრდამდის“); „კაცს შუბი ვკარ, ცხენი დავეც“ (არის: „კაცსა შევეც, ცხენი დავეც“); „სხვაგან ქრის მისი გონება“ (არის: სხვაგან ქნის მისი გონება“).

კრიტიკოსების აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენა არ შეიძლება „მარტო მეცნიერებს მივანდოთ“, მასში მწერლებიც უნდა მონაწილეობდნენ. გ. ა.

377. ლევან სანიკიძე

გვრცხვენის და გვეშინის

ალმ. „კრიტიკა“, თბ., 1989, № 2, გვ. 8.

ავტორი უკმაყოფილოა „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდურ გამოცემებში არსებული წაკითხვების შეცვლის გამო პოემის ახალ გამოცემაში (თბ, „მეცნიერება“, 1988 წ.). მისი აზრით, გაუგებარია, რატომ უნდა შეიცვალოს „საწოლს მეკარე შემოდგა“ ახალი ფორმით – „საწოლის მეკრე შემოდგა“? მეკარე საწოლის გარეშეც მეკარეა; დასაშვებია, „საწოლის მეკარეც“ არსებულიყო, მაგრამ ეს „მეკრე“ რაღაა? რუსთაველს ასეთი სიტყვა არსად არ აქვს და, თუ ძალიან არ ვცდები, საერთოდ ჩვენს სიტყვიერებაშიც არ უნდა იძებნებოდეს იგი“.

იხ. გამოხმაურება, ანოტ. № 394.

378. არჩილ სპარსიაშვილი, გიორგი კახაშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფის ფოლკლორული ბალავარი

ალმ. „კრიტიკა“, 1989, № 6, გვ., 47-50.

ავტორების აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ პირველ სტროფში („რომელმან შექმნა სამყარო...“) გამოყენებულია გამოცანის შედგენის ფოლკლორული ხერხი; „იქ გადატანითი მნიშვნელობითაა ნათქვამი ის, რაც ახსნას მოითხოვს“. გამოსაცნობია მნიშვნელობა სიტყვისა „რომელმან“, რაც უეჭველად მამა ღმერთს გულისხმობს. ავტორები იმოწმებენ ზ. გამსახურდიას, რომ პირველი ტაეპი ნიშნავს ზუსტად შემდეგს: “მამამ შექმნა სამყარო ძის მემშვეობით, თავისი ძალის მემშვეობით“ („ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურ ენაზე, თბ., 1984).

თუმცა ზეპირსიტყვიერებაში ღმერთის შესახებ გამოცანა არ გვაქვს, ცნობილია მხოლოდ ერთი გამოცანა ქრისტეზე (ჩაწერილი რ. ერისთავის მიერ 1870 წელს), ლიტერატურაში კი მამა ღმერთზე გამოცანები შექმნეს არჩილმა, თეიმურაზ მეორემ და მამუკა ბარათაშვილმა. გ. ა.

379. აკაკი სურგულაძე

ქართული კულტურის ისტორიის ნარკვევები,

წ. I, თბ., 1989.

წიგნის ერთ-ერთ თავში – „ქართული ლიტერატურა XI-XII საუკუნეებში“ – ავტორი განიხილავს ე. წ. აღმოსავლური რენესანსის პრობლემასა და რუსთველის შემოქმედების ადგილს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების კულტურათა ურთიერთობის ფონზე.

მკვლევრი ზოგადად ახასიათებს შ ნუცუბიძის, ნ. კონრადის, ვ. ჩალოიანის ნაშრომებს აღნიშნულ საკითხზე. განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენად მიიჩნევს ა. ლოსევის მონოგრაფიას „აღორძინების ესთეტიკა“ (1978 წ.), რომელმაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. ნარკვევში აღნიშნულია, რომ ა. ლოსევს მცდარად მიაჩნია არეოპაგატიკის წარმოდგენა ერეტიკულ, ანტისაეკლესიო მოძღვრებად. ასევე უმართებულოდ თვლის ევროპული რენესანსის გამოცხადებას ქრისტიანულ ერესად. დაუსაბუთებლად მიიჩნევს მატერიალიზმის ელემენტების ძიებას რუსთაველის შემოქმედებაში. ა. ლოსევის რწმენით, რუსთაველი არც ერეტიკოსი იყო, არც მატერიალისტი. უფრო მართებულია კ. კეკელიძისა და მ. გოგიბერიძის შეხედულებები, რომლებშიც რუსთაველის შემოქმედება ქრისტიანული თეოლოგიის საფუძველზეა განხილული.

ა. სურგულაძე წერს, რომ თვით ცნება „აღმოსავლური რენესანსი“ მეცნიერებაში სუსტადაა არგუმენტირებული. რენესანსი მაინც სპეციფიკური დასავლური მოვლენაა, იგი ქრისტიანული რელიგიური აზროვნების ბაზაზე განვითარდა. ქართული ფეოდალური კულტურაც ტიპოლოგიურად ევროპულია, ამდენად უმართებულო იქნებოდა მისი უმაღლესი ქმნილების – „ვეფხისტყაოსნის“ მიკუთვნება აღმოსავლეთისა და მისი რენესანსისათვის.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის აზროვნება წინ უსწრებს თანამედროვეობას. მისი წარმოდგენანი ღმერთზე, სამყაროს აგებულებაზე, ამქვეყნიური ცხოვრების დანიშნულებაზე ვერ უთავსდებოდა იმ რელიგიურ დოგმატიზმს, რომელსაც ქრისტიანული რელიგია ან ისლამი ქადაგებდა. მან ქრისტიანულ ჩარჩოებში საკუთარი რელიგია შეიმუშავა, რომელიც არა ბრმა რწმენას, არამედ ფილოსოფიურ განსჯას ეფუძნებოდა. გ. ა.

380. თამარ ტაბიძე

შავი (ლურჯი) ფერის სიმბოლიკა „ვისრამიანსა“ და კლასიკური ხანის ორიგინალურ ქართულ ძეგლებში

ქურ. „მაცნე“, ელს, 1989, № 2, გვ. 54-69.

ავტორის მიზანია, ფერთა სიმბოლიკის შესწავლა „ვისრამიანში“, „ამირანდარეჯანიანში“, „აბდულმესიანსა“ და „თამარიანში“.

აღნიშნულია, რომ დასახელებულ თხზულებებში შავი არის გლოვის, მწუხარების, უბედურების თანმხლები ფერი. ცალ-ცალკე განხილულია გამოთქმები, ცნებები და სიმბოლოები: შავი სამოსელი, შავი ბედი, შავი ღრუბელი, შავი დევი, შავი ეშმა, შავი – სილამაზის აღმნიშვნელი მეტაფორა, ლურჯი (სამგლოვიარო) სამოსი, ლურჯი ღრუბელი, ლურჯი ცა, ლურჯი ია, ლილისფერი ქვეყანა, იისფერი სამოსი.

გამოკვლევას ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე (გვ. 68-69). გ. ა.

381. თ. ტაბიძე

ყვითელი ფერის სიმბოლიკა „ვისრამიანსა“ და კლასიკური ხანის ორიგინალურ ქართულ ძეგლებში

„მაცნე“, ელს, 1989, №4, გვ. 25-32

წერილში მოცემულია ანალიზი ყვითელი ფერის სიმბოლიკისა, რომელიც გვხვდება „ვისრამიანსა“ და სხვა კლასიკური ხანის ორიგინალურ ქართულ ძეგლებში: „ვეფხისტყაოსანში“, „აბდულმესიანში“, „თამარიანსა“ და „ამირანდარეჯანიანში“.

წერილის ავტორის დაკვირვებით, ზემოხსენებულ ძეგლებში ყვითელი ფერის სიმბოლიკა რამდენიმე ასპექტით წარმოგვიდგება. მისი აზრით „ვეფხისტყაოსნისა“ და „ვისრამიანის“ ყვითელი ფერის სიმბოლიკაში არის განსხვავება: ყვითელი (ოქროსფერი) „ვისრამიანში“ ავადმყოფობის, უბედურების ფერია (იქ არ გვხვდება ყვითელი ფერის გრადაციები), „ვეფხისტყაოსანში“ კი ყვითელი ან მწუხარებას აღნიშნავს (მკრთალი ყვითელი, ყვითელ-მწვანე), ანდა პირიქით, მხიარულებას, ბედნიერებას (განსაკუთრებით წითელთან შეთანხმებული ყვითელი).

წერილის ავტორის აზრით „ვეფხისტყაოსნის“ ყვითელი ფერის სიმბოლიკას მეტი კავშირი აქვს დასავლურ სიმბოლიზმთან, სადაც ყვითლით და ოქროსფრით გადმოიცემა სიმდიდრე და დიდებულება, ვიდრე შუა საუკუნეების აღმოსავლურ მწერლობასთან (ამ შემთხვევაში ავტორი ეყრდნობა „ვისრამიანსა“ და სპარსულ „ვის ო რამინს“), სადაც ყვითელი და ოქროსფერი გამოხატავს მხოლოდ სევდასა და სნეულებას. **ნ. გ.**

382. ალექსანდრე ლლონტი

ვითომ ასეა?

ალმ. „კრიტიკა“, 1989, № 1, გვ. 92-100.

წერილი წარმოადგენს პასუხს გ. კარტოზიას კრიტიკულ შენიშვნებზე ალ. ლლონტის მსჯელობის მიმართ, რომელშიც იგი ცდილობდა „ვეფხისტყაოსნის“ 968-ე სტროფის („მოვიდიან შესამკობლად...“) რუსთველისეულობის დამტკიცებას და მოითხოვდა მის აღდგენას პოემის ძირითად ტექსტში.

მკვლევარი უმართებულოდ მიიჩნევს გ. კარტოზიას შენიშვნებს, საერთოდ უკმაყოფილოა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობის შედეგით და წერს, რომ „საქმე მთლად დამთავრებულად ჯერ კიდევ ვერ ჩაითვლება, ძიება უფრო საჯაროდ, მეტი საერთო ძალისხმევით უნდა გაგრძელდეს“. **გ. ა.**

383. სანდრო შაიშმელაშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისათვის

ალმ. „კრიტიკა“, 1989, № 1, გვ. 14-16.

წერილის ავტორს სადავოდ მიაჩნია „ვეფხისტყაოსნის“ ბოლო გამოცემების (1986 და 1988 წწ.) ზოგიერთი წაკითხვა და გვთავაზობს სავარაუდო შესწორებებს, მაგ.; 1563 სტროფში : „როსტევანს ეთქვა“, მისი აზრით უნდა შეიცვალოს ასე: „როსტევან ჰკადრა“ ; „ესე სიტყვები ორები“ – „ესე სიტყვები სწორები“; „მან უთხრა: გაე, ნუ უბნობ“ – „მან უთხრა: აგრე ნუ უბნობ.“

384. ს. შაიშმელაშვილი

რეპრესირებული სტროფისათვის

ალმ. „კრიტიკა“, 1989, №4, გვ. 7-9.

წერილში განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ 1988 წლის გამოცემის რამდენიმე წაკითხვა. მაგ., „ვგომო კაცსა უაუგოსა, ცრუსა და ღალატანსა“(796,2). რეცენზენტის აზრით, აუფი არასწორადაა გაგებული. ამ კონტექსტში „აუგიანის“ ნაცვლად „უაუგოს“ ხმარება მძიმე

შეცდომაა. აგრ., უნდა იკითხებოდეს „პაპმან ჩემმან“; ხმევა და არა „ხევა“ („ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა“, 13,3).

ამავე წერილში ავტორი ეხება 1937 წლის გამოცემის 191-ე სტროფს („თავს უთხრა: მოკვე, გიჯობსო სიცოცხლეს აუგანსა...“), რომელიც ახალ გამოცემაში ჩანართად არის მიჩნეული; წერს, რომ მისი ამოღება ძირითადი ტექსტიდან გაუმართლებელია. გ. ა.

385. **Саргис Цаишвили**

Некоторые особенности художественного мира Руставели

წინასიტყვაობად ერთვის წიგნს: შოთა რუსთაველი, „Витязь в барсовой шкуре“, перевод К. Бальмонта, Тб., Изд. „Мерани“, 1989, გვ. 5-32.

ნარკვევში მოცემულია რუსთაველის შემოქმედების, მისი თემატიკისა და პოეტიკის ზოგადი მიმოხილვა. შდრ. აქვე ანოტაცია № 221.

386. **ალექსი ჭინჭარაული**

რუსთველური კანონზომიერება?!

გაზ. „სახალხო განათლება“, 1989, 6 სექტემბერი, № 40.

წერილი ეხება მ. თავდიშვილის სტატიას „ვეფხისტყაოსნის დაფანტული სტროფები“ (რუსთველური კანონზომიერებანი და ტექსტის პრობლემა, „ახ. კომ“, 1989, 11 თებ.).

ავტორი არ ეთანხმება მ. თავდიშვილს, რომ მის მიერ სავალდებულოდ მიჩნეულ კანონზომიერებათა მიხედვით შეიძლება „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენა. მის მიერ რუსთველისეულად მიჩნეული სადავო სტროფების ძირითად ტექსტში შეტანას მართებულად არ თვლის. გ. ა.

387. **გოჩა ჯაფარიძე**

ქველმოქმედი

ალმ. „მწიგნობარი 89“, თბ., გვ. 39-48.

წერილი შეეხება სირიაში მცხოვრებ ბიზნესმენსა და მეცენატს ლევან საღარაძეს. როგორც ავტორი წერს, ლ. საღარაძე იყო ჭეშმარიტი ქველმოქმედი. 1970-80- იან წლებში მან დიდი სამსახური გაუწია ქართულ მეცნიერებას და ფართოდ გაიტანა ქართული კულტურა სირიაში. მან შეიძინა არაბულ ენაზე დაბეჭდილი სხვადასხვა დარგის ლიტერატურა და 1983-85 წლებში გამოგზავნა თბილისში, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. ლ. საღარაძის მიერ ნაჩუქარი წიგნების ფონდი მოიცავს 200-ზე მეტი არაბი ავტორის 400-მდე ტომს. მასში წარმოდგენილია განმარტებითი და დარგობრივი ლექსიკონები, გეოგრაფიული, ენათმეცნიერული, ისტორიული, ფილოსოფიური, ასტრონომიული და სხვა დარგების აღწერილობა და ცნობარები.

ლ. საღარაძის ფინანსური დახმარებით თარგმნა სირიელმა პოეტმა ნიზარ ხალილიმ „ვეფხისტყაოსანი“ არაბულ ენაზე, რომელიც ისევ საღარაძის ხარჯით დაიბეჭდა დამასკოში 1984 წელს. მანვე დააფინანსა 1987 წელს ილია ჭავჭავაძის პოეტური კრებულის „განდეგილის“ არაბულ ენაზე თარგმნა და გამოცემა. ლ. საღარაძის მეცენატობით მოეწყო ქართული გამოფენა 1988 წელს დამასკოს საერთაშორისო ბაზრობაზე, რის გამოც მან გადადო აუცილებელი

მკურნალობა. ლ. საღარაძე გარდაიცვალა 1989 წელს. დაკრძალულია თბილისში, საბურთალოს პანთეონში. გ. ა.

1990

388. ვახტანგ აბაშმაძე

**XII-XIII საუკუნეების საქართველოს ისტორიული სინამდვილე და
„ვეფხისტყაოსანი“**

კრებ. „ისტორია და გეოგრაფია სკოლაში“, 1990, N2, გვ. 30-47.

ავტორი აღნიშნავს, რომ XII ს-ის ფეოდალური საქართველოს გაბატონებული პოლიტიკური იდეოლოგია გადმოცემულია პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეების – დავით აღმაშენებლის, ყუთლუ არსლანისა და შოთა რუსთაველის პოლიტიკურ მოძღვრებებში. დავითი ქმნის ბუნებითი სამართლის („ბუნებითი სჯულის“) თანმიმდევრულ მოძღვრებას. ყველა ქვეყანაში, სადაც კი აღორძინების ეპოქა დაიწყო, ეს მოძღვრება რენესანსის პოლიტიკური იდეოლოგიის შინაარსის ძირითადი განმსაზღვრელი ნაწილი გახდა. მკვლევარი განიხილავს „ვეფხისტყაოსანში“ არსებულ ბრალისა და მართალი სამართლის ცნებებს და დაასკვნის, რომ შოთა რუსთაველმა შექმნა უზარმაზარი სულიერი სიმდიდრე, მისმა თხზულებამ საფუძველი ჩაუყარა ქართველი ხალხის პოლიტიკური ცხოვრების სინამდვილის რენესანსულ გააზრებას.

გ. ა.

389. ლელა ალექსიძე

„სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“

ჟურ. „ცისკარი“, 1990, №8, გვ.106-112.

ავტორი მსჯელობს იმის თაობაზე, ნამდვილად ეკუთვნის თუ არა ეს აფორიზმი პლატონს? იგი ითვალისწინებს ამ კითხვაზე ვ. ნოზაძის, შ. ნუცუბიძის, ნ. ნათაძის, რ. თვარაძის მოსაზრებებს და საკუთარ აზრს ასე გამოთქვამს: რუსთაველს ციტატა პლატონისეულად მიაჩნდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ციტატის შინაარსი გაუფასურდება. თუ სიცრუე მავნებელია, ავთანდილი შეგნებულად არ იცრუებს, პლატონს ტყულად არ დაიმოწმებს. ზუსტად ასეთი გამოთქმა პლატონის პროზაულ დიალოგებში არ მოიპოვება, მაგრამ რუსთაველისეული ციტატა არის პლატონის ეთიკური პრინციპის ლაკონური და უზუსტესი გამოხატვა.

მკვლევარი ცდილობს, პლატონის ნაწერებიდან სათანადო ადგილების დამოწმებით გაამყაროს აღნიშნული მოსაზრება. გ. ა.

390. ია ანთაძე

„ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული დროის ერთიანობის საკითხისათვის

საქ. სსრ მეცნ. აკადემია, ლიტმცოდნეობის რესპ. საკოორდ. საბჭო, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტ. XXIV სამეცნ. სესია, თბ., 1990, თეზისები, გვ. 20.

1. „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული დროის ერთიანობას განაპირობებს პოემის ავტორის ისტორიულ ცნობიერება.

2. პოემის მხატვრული დრო დიაქრონულ ჭრილში მოიცავს დროის ოთხ ნაკადს, რომელთა შეჯერება ქმნის თხზულების კომპოზიციას.

3. დახშული სიუჟეტის მქონე არაისტორიულ ნაწარმოებში მკითხველის ორიენტაციის წყაროა რუსთაველის ისტორიული ცნობიერება, სადაც ნებისმიერ ინფორმაციაში განჭვრეტილია დროის სამივე მოდალობის წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავმოყრის აუცილებლობა.

391. ი. ანთაძე

„ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული დრო-სივრცის სტრუქტურული ფუნქციონირების ზოგიერთი ასპექტი

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1990, 4, გვ. 43-53.

წერილში არის მცდელობა შ. რუსთაველის პოეტური ხელოვნების ზოგიერთი კანონის პოვნისა, პოემაში მათი სტრუქტურული ფუნქციონირების გარკვევისა, რუსთაველის მხატვრული სტილისა და ქრონოტიპის ურთიერთმიმართების ჩვენებისა. ავტორი გვთავაზობს საინტერესო დაკვირვებებს „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული დრო-სივრცის სტრუქტურული ფუნქციონირების ზოგიერთ ასპექტზე.

იხ. აგრ. ანოტ. № 425. ი. კ.

392. გიორგი არაბული

შოთა რუსთაველის მეჭურჭლეთუხუცესობის თარიღისათვის

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1990, №2, გვ. 5-14

გამოკვლევაში არის ცდა შოთა რუსთაველის მეჭურჭლეთუხუცესად ყოფნის თარიღის დაზუსტებისა. XII საუკუნის დასასრულისა და XIII საუკუნის I მეოთხედის საქართველოს ისტორულ-პოლიტიკური მოვლენებისა და მკვლევართა (ნ. ბერძენიშვილი, ვ. ცისკარიშვილი, შ. მესხია, ნ. შოშიაშვილი და სხვ.) მოსაზრებების ანალიზის შედეგად ავტორი დაასკვნის, რომ საქართველოს მეფის, თამარის კარზე შოთა რუსთაველს მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა სჭერია 1189 წლიდან 1210-იან წლებამდე (თამარის გარდაცვალებამდე). **ნ. გ.**

393. ალექსანდრე ბარამიძე

**„მადლიანი მჩხრეკელი“
(ვიქტორ ნოზაძე)**

ალმანახი „მწიგნობარი“, თბ., 1990, გვ. 147-159.

სტატია გვაცნობს ჟურნალისტისა და მკვლევრის ვ. ნოზაძის ცხოვრებასა და მეცნერულ მოღვაწეობას. ავტორი აღნიშნავს, რომ ვ. ნოზაძეს ემიგრანტის ცხოვრების მძიმე პირობებში უწევდა მუშაობა. იგი რედაქტორობდა და გამოსცემდა არა ერთ პერიოდულ ორგანოსა თუ ცალკეულ კრებულს, მათ შორის ჟურნალ „კავკასიონს“. გამოაქვეყნა „ვეფხისტყაოსნის განკითხვანი“ 6 წიგნად, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მონუმენტური

გამოკვლევები: „ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება“ (1963წ.) და „ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველება“ (1975წ.).

თავის ნაშრომებში ვ. ნოზაძე იმ აზრს იცავდა, რომ რუსთველის სარწმუნოებრივი აღმსარებლობა არის ქრისტიანობა, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ თეოლოგიისა და ფილოსოფიის საფუძველია. მისი აზრით, რუსთველის თხზულება არის ქართული ცხოვრების ამსახველი რომანი და გამოხატავს ქართველების ეროვნულ იდეალებს, როგორც პოლიტიკურ, ისე საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრების ასპექტებში. **გ. ა.**

394. ალ. ბარამიძე

მხოლოდ რეპლიკა

ალმ. „ქართული მწერლობა“, 1990, № 1, გვ. 75-77.

წერილი ეხება „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ ტაეპს (358,3), რომელიც პოემის გამოცემებში ორნაირად იკითხება: „საწოლის მეკრე შემოდგა“ (1966წ, 1970წ, „ვეფხისტყაოსნის“ სასკოლო და აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის გამოცემებში) და „საწოლს მეკარე შემოდგა“ (დანარჩენ გამოცემებში). ალ. ბარამიძე პასუხობს იმ ავტორებს, (მ. ფოცხიშვილი, მ. ქვლივიძე, ლ. სანიკიძე) რომელთაც ალმ. „კრიტიკის“ ფურცლებზე გააკრიტიკეს „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია „მეკრე“ ფორმის მიღების გამო და მართებულად მიიჩნიეს „საწოლს მეკარე შემოდგა“.

წერილის ავტორი განმარტავს, რომ „საწოლის მეკრე“ ძველი ქართული სამოხელეო ტერმინია, რომელიც დასტურდება ძველ ქართულ ძეგლებში („ხელმწიფის კარის გარიგება“, „ვისრამიანი“). იგი აცხადებს, რომ მართებული წაკითხვაა „საწოლის მეკრე შემოდგა“, რასაც, მისი აზრით, ადასტურებს ის ფაქტი, რომ „საწოლს მეკარე“ იკითხება მხოლოდ სამ გვიანდელ, ნაკლებად ღირებულ, XVIII-XIX საუკუნის ხელნაწერში, „საწოლის მეკრე“ კი „ვეფხისტყაოსნის“ უკლებრივ ყველა დანარჩენ დაუზიანებელ ხელნაწერში. **ნ. გ.**

395. ალ. ბარამიძე

აკაკი წერეთლის

რუსთველოლოგიური ნაფიქრ-ნააზრები

ჟურ. „მნათობი“, 1990, №12, გვ.110-114;

ავრ. ავტორის წიგნში- „ნარკვევები...“, IX, თბ., 1997, გვ. 136-144.

ავტორი აღნიშნავს, რომ ა. წერეთელი სათანადოდ აფასებდა „ვეფხისტყაოსანს“ და ყურადღებით ეკიდებოდა მას, როგორც მწერალი-შემოქმედი და როგორც მკვლევარი ფილოლოგი. მას პეტერბურგის უნივერსიტეტში დ. ჩუბინაშვილის ხელმძღვანელობით მოუშხადებია სადიპლომო შრომა, რომლის დედააზრი და მთავარი პათოსი „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის მტიცება იყო. ა. წერეთელი მონაწილეობდა პოემის დამდგენ კომისიაში XIX ს-ის 80-იან წლებში. ამავე დროს ის კითხულობდა საჯარო ლექციებს „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. შემდეგშიც აკაკი ყოველთვის ეხმაურებოდა რუსთველსა და მის შემოქმედებასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებს. **გ. ა.**

396. ზვიად გამსახურდია

საქართველოს სულიერი მისია

(ლექცია წაკითხული „იდრიარტის“ ფესტივალზე თბილისის ფილარმონიაში, 1990 წ. 2 მაისს),
დაბეჭდილია ამავე დასახელების კრებულში, თბ., 1990, გვ.7-41; აგრ. ავტორის წიგნში –
„წერილები, ესეები“, თბ., 1991, გვ.191-227.

ავტორი, სხვათა შორის, წერს: ისეთი ქმნილებები, როგორც არის „ვეფხისტყაოსანი“, დასავლეთ-ევროპული რაინდული რომანები, ვოლფრამ ფონ ეშენბახის პოემა – მინიშნებებს გვაძლევენ იმ ღრმა ურთიერთობებზე, რომელიც არსებობდა იმჟამინდელ საქართველოსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის. კერძოდ ის, რომ „ვეფხისტყაოსანი“ და „ამირან-დარეჯანიანი“ საოცრად ენათესავენ დასავლეთის რაინდულ რომანებს.... აქ იკვეთება ქართული კულტურის მისია. ამ ნაწარმოებებში აღმოსავლური და დასავლური ლიტერატურის ტრადიციები მოცემულია ერთ მთლიანობაში. ქართული კულტურისა და საქართველოს მისია, კულტურული თვალსაზრისით, არის სინთეზირება დასავლური და აღმოსავლური კულტურებისა და მათი მოცემა ერთ მთლიანობაში. ამიტომ არის, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ისევე შეგვიძლია ჩავთვალოთ დასავლური ლიტერატურის კუთვნილებად, როგორც აღმოსავლურისა.

იქვე, ერთ-ერთი შეკითხვის პასუხად ავტორი ამბობს: „ვეფხისტყაოსანი“ არის სინკრეტული ნაწარმოები, არა ეკლექტური, სხვადასხვა ელემენტების უკავშიროდ შერწყმა, არამედ ერთიანობაში მოცემა სხვადასხვაგვარი ელემენტებისა. „ვეფხისტყაოსანი“ არის ანტიკური სიბრძნისა და ქრისტიანული სიბრძნის სინთეზი, ეზოტერული სიბრძნის სინთეზი, ანტიკური ინიციაციის გზისა და ქრისტიანულ ინიციაციის გზის სინთეზი, ახალი მხატვრული მითოსის ენაზე მოცემული.

... ლოცვა ავთანდილისა ეს არის ქრისტიანული ლოცვა, მიუხედავად იმისა, რომ ის თითქოს მიზგითში ლოცულობს ... „არაბი“, „ინდოელი“ „ვეფხისტყაოსანში“ არ ნიშნავს ეროვნებას. ეს არის სიმბოლურად დასახელებული ქვეყნები, საერთოდ, გეოგრაფიული და ისტორიული სინამდვილე არ არის. ეს ალეგორიული გეოგრაფიაა, ალეგორიული ისტორიაა.

გ. ა.

397. ზ. გამსახურდია

რუსთველი ბურჯია ქართული პატრიოტიზმისა

გაზ. „სახ. განათლება“, 1990, 29 მარტი, გვ.4. (ინტერვიუ ჩაიწერა ოლეგ გოლიაძემ)

აქ საუბარია საზღვარგარეთ გამოქვეყნებულ გამოკვლევებსა და თარგმანებზე. ზ. გამსახურდია აღნიშნავს მ. უორდროპის, მ.ბაურას, რ.სტივენსონის, ჰ. ბუდენზიგის, ქ. ვივიენის წვლილს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნისა და პოპულარიზაციის საქმეში.

აქვე აღნიშნავს, რომ „ტარიელის სახე წმინდა გიორგის სახეა. გიორგი ქვეყნის სახეა, კოსმიური გველის ქაჯეთის მძლეველისა, კაცობრიობის ღვთაებრივი საწყისის, ნესტანის მხსნელისა“. გ. ა.

398. ომარ გოჩელაშვილი

ხამს მქმნელი სამართალისა...

ავტორის წიგნში „წერილები“, თბ., 1990, გვ. 199-212.

წერილი ეძღვნება „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი პერსონაჟის, ფარსადანის, დახასია-

თებას. ავტორის მიზანია ინდოეთის მეფის ნამდვილი სახის ჩვენება. მისი აზრით, ფარსადანსა და ტარიელს შორის ფარული დაპირისპირება არსებობს. ხატაეთში ლაშქრობიდან ბრწყინვალე გამარჯვებით დაბრუნებული ტარიელი მეფისთვის საშიში პიროვნება ხდება; მას შეუძლია ძალით დაიკავოს სამეფო ტახტი. საფრთხის თავიდან აცილების მიზნით ფარსადანს ზესიძედ მოჰყავს ხვარაზმშას შვილი, რათა ის დაუპირისპიროს ტარიელს და რეალური ძალაუფლება შეინარჩუნოს.

წერილის ავტორის თქმით, „აშკარაა, რომ ფარსადანი ტარიელის საწინააღმდეგოდ პოლიტიკური მოსაზრებით მოქმედებს, მაგრამ სწორედ ეს პოლიტიკაა მისთვის დამღუპველი; ამისთვის კი შორსმჭვრეტელობა არა ჰყოფნის“. წინდაუხედაობის გამო ფარსადანი ერთადერთ ასულს დაკარგავს, მის სამეფოს კი ხატაელები დაეპატრონებიან. **გ. ა.**

399. ო. გოჩელაშვილი

ხელნაქმი დიდოსტატისა

ავტორის წიგნში „წერილები“, თბ., 1990, გვ. 213-226.

წერილში ნაჩვენებია „ვეფხისტყაოსნის“ რითმული სტრუქტურის ერთ-ერთი თავისებურება. მკვლევრის ყურადღებას იპყრობს ისეთი სტროფები, რომელთა სარიტმო სიტყვები ერთი ფუძის კონსტრუქციებითაა აგებული, მაგრამ შინაარსობრივი დატვირთვა განსხვავებულია. წერილში გაანალიზებულია 16 სტროფი, რომელთა სარიტმო ერთეულებად გამოყენებულია **მეტ, რეტ და ჭვრეტ** ფუძეების მქონე სიტყვები. ეს სტროფებია (1957 წლის გამოცემიდან) : 216, 269, 409, 484, 489, 500, 592, 712, 821, 901, 1106, 1119, 1343, 1409, 1444 და 1501.

აღნიშნულ ფუძეებზე დამყარებული სიტყვების გამეორებანი სხვადასხვა სტროფში ახალი დატვირთვა-დანაშნულებისაა აზრობრივ კონტექსტში, განფენილია ბგერათა სტრუქტურაში. **გ. ა.**

400. მანანა გოცირიძე

Licentia poetica „ვეფხისტყაოსნის“ ებრაულ თარგმანში

კრებ. „კვანძმარდი“, IV (აღმოსავლეთმცოდნ. ინსტ.), თბ., 1990, გვ. 27-33.

ავტორის მიზანია გაარკვიოს „ვეფხისტყაოსნის“ ებრაულად მთარგმნელის ბ. გაპონოვის დამოკიდებულება თანამედროვე სალიტერატურო ებრაულის ნორმებთან და გამოავლინოს ამ ნორმების დარღვევის ტიპური შემთხვევები. მისი დაკვირვებით, მთარგმნელი იყენებს ძველი ებრაულიდან ფონეტიკურ და მორფოლოგიურ ფორმებს, რომლებიც თანამედროვე ებრაულში გრამატიკულ არქაიზმებად აღიქმება. ნარკვევში წარმოდგენილია პოეტური თავისუფლების ნიმუშები: 1) ბგერა წერია ხმოვნის ნიშნის გარეშე და არ იკითხება, ე.ი. მუნჯ გრაფემას წარმოადგენს. 2) მარცვლის დაკლება, ან ჩამატება რითმისა და ლექსთწყობის საჭიროების მიხედვით. 3) ლექსის კეთილხმოვანებას ემსახურება ზოგიერთი ცვლილება სიტყვათა გახმოვანებაში. 4) მახვილის გადასმა.

მორფოლოგიური გადახვევებიდან საყურადღებოა მდედრობითი და მამრობითი სქესის აღმნიშვნელი სუფიქსების არაზუსტად ხმარება, აგრეთვე თავისუფლება ზმნური ფორმების წარმოებაში. ასეთ შემთხვევებში მთარგმნელი ეყრდნობა ანალოგიურ დარღვევებს ბიბლიაში.

გ. ა.

401. ლუცინა გუგუშვილი

მოსე ჯანაშვილი და „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის პრობლემა

*საქ. სსრ. მეცნ. აკადემია. ლიტმცოდნეობის რესპ. საკოორდ. საბჭო,
შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტ. XXIV სამეცნ. სესია,
თბ., 1990, თეზისები, გვ. 58-59. (მოგვაქვს შემოკლებით).*

1. მ. ჯანაშვილი დაუპირისპირდა ნ. მარს „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის სპარსულიდან წარმომავლობის თაობაზე.

2. მ. ჯანაშვილი ამტკიცებდა, რომ პოემაში გამოხატულია ორი სამყარო: ქართული (არაბეთი) და გარმიანული (მაჰმადიანური-ინდოეთი).

3. რუსთველოლოგიაში პირველმა მ. ჯანაშვილმა შემოიტანა მოლიდ-ასასინების და ალამუთის ციხის პრობლემა (ალამუთი - ქაჯეთი; მოლიდები - ქაჯები).

4. თამარის ისტორიაში, „ამირანდარეჯანიანში“, „აბდუმესიასა“ და „თამარიანში“ პარალელების დაძებნის საფუძველზე მ. ჯანაშვილმა გააკეთა დასკვნა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ქართული კულტურის კუთვნილებაა. **გ. ა.**

402. მერი გუგუშვილი

წერილები ლიტერატურაზე

თბ., 1990.

კრებულში დაბეჭდილია შემდეგი რუსთველოლოგიური ნარკვევები: რუსთველი გალაკტიონის პოეზიაში; ილია ჭავჭავაძე და „ვეფხისტყაოსანი“; „ვეფხისტყაოსანი“ და მე-19 ს-ის ქართველი მოღვაწენი; „ვეფხისტყაოსანი“ და XV-XVIII საუკუნეების ქართული მწერლობა; „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის სპეციფიკა და ალორმინების ხანის ქართული მწერლობის ზოგი ტექსტოლოგიური საკითხი; რუსთველის გავლენა ნ. ციციშვილის „შვიდ მთიებზე“; „ვეფხისტყაოსანი“ და „იოსებ-ზილიხანიანის“ ანონიმური ვერსია; ალ. სარაჯიშვილი „ვეფხისტყაოსნის“ ჟანრული სპეციფიკისა და ორიგინალობის შესახებ.

იქვე დაბეჭდილია წერილები ვახტანგ VI-ზე, ნიკო მარზე, ე. თაყაიშვილზე, კ. კეკელიძეზე, ალ. ბარამიძეზე, რომლებიც ნაწილობრივ ეხება „ვეფხისტყაოსანს“, პოემის ტექსტის კრიტიკულ ანალიზსა და მის ბეჭდურად გამოცემას.

შდრ. მ. გუგუშვილის წიგნები: პოლემიკა რუსთველის გარშემო, თბ. 1966; ალექსანდრე სარაჯიშვილი – რუსთველოლოგი, თბ., 1987. **გ. ა.**

403. ვახტანგ გურგენიძე

წავიდეთ საძებნელადა ...

(სად ინახება „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი ხელნაწერი?)

გაზ. „კომუნისტი“, 1990, 22 აპრილი, გვ. 3.

როგორც ავტორი წერს, საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფონდებში დაცულია კ. მარტვილელის (ოდიშარიას) დოკუმენტი-განცხადება, გაგზავნილი 1935 წელს „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავის მომწეობი საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარისადმი. წერილში სხვა ცნობებთან ერთად აღნიშნულია დღევანდელი

თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები შარვაშიძეების ოჯახში 1436 წელს ეტრატზე გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ არსებობა.

გაზეთში დაბეჭდილია თვით ვ. მარტვილელის წერილი, სადაც წერს, რომ სოფ. **ორ-კიზი** ოთარ-ბეგ შარვაშიძემ აჩვენა „ვეფხისტყაოსანი“, დაწერილი პერგამენტზე **ჩულვ** (1436) წელს. იქვე მოცემულია მარშრუტი ამ სოფლამდე: ქ. არტაანი, ნასოფლარები: კარგი-სოფელი, ქვაბის ციხე, ოქროს ქოთანი და სოფლები: ვარდ-ციხე, ოჯახი, დუდუნა, თამამი, ურჩი და თვით ორ-კიზი.

წერილ-განცხადებას აქვს თარიღი: 14. XII, 1935 წ. **გ. ა.**

404. ბორის დარჩია

იოსებ მეგრელიძე – 80

ჟურ. „მაცნე“, ელს, თბ. 1990, №2, გვ. 153-157.

ი. მეგრელიძის მეცნიერული მოღვაწეობიდან ავტორი საგანგებოდ ჩერდება რუსთველოლოგიაში მისგან შეტანილ წვლილზე: „იგი, როგორც შოთა რუსთველის პირველი საიუბილეო აკადემიური კომიტეტის სწავლული მდივანი, 1936-1937 წლებში აქტიურად მონაწილეობდა ლენინგრადში, მოსკოვში, კიევში, ერევანში, ბაქოსა და შუაზიის ქალაქებში ჩატარებულ საიუბილეო ღონისძიებებში; გამოაქვეყნა გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენისა და ლექსიკის საკითხებზე“. აღნიშნულია, რომ ი. მეგრელიძემ განმარტა და დააზუსტა სიტყვების – საკურტაკე, კარაბაკი, ლაყფობა – მნიშვნელობანი; 1960 წელს ქართულ და რუსულ ენებზე გამოსცა წიგნი „რუსთაველი და ფოლკლორი“; 1970 წელს – წიგნი „რუსთველოლოგები“, რომელშიც დახასიათებულია ქართველ და უცხოელ მოღვაწეთა დამსახურება რუსთველისა და მისი პოემის შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში.

ი. მეგრელიძეს დიდი შრომა აქვს გაწეული ნიკო და იური მარების, იუსტ. აბულაძის, ვ. ბერიძის, მ. გოგიბერიძის, ს. იორდანიშვილის, ს. კაკაბაძის, ვ. მეგრელიძის და სხვა მკვლევართა ნაშრომების გამოქვეყნებაში. **გ. ა.**

405. მ. ევდოშვილი (კარბელაშვილი)

წერილი რედაქციას

ალმ. „ქართული მწერლობა“, 1990, № 1, გვ. 78-83.

წერილი ეხება „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ ტაეპში გამოყენებულ სიტყვას „შვეც“, („კაცსა შვეც, ცხენი დავეც, მართ ორნივე მიჰხდეს მზესა“, 444,3), რომელიც, ავტორის თქმით, უსამართლოდ იქნა რეპრესირებული აღმანახ „კრიტიკის“ ფურცლებზე.

მ. ევდოშვილის განცხადებით, ამ სიტყვის „კრიტიკისეული“ „ფრივოლური“ განმარტება „არც კომპეტენტურია, არც შესაძლებელი და არც საკადრისი“. იგი განმარტავს სადავო სიტყვის ჭეშმარიტ, ისტორიულ შინაარსს, მის კონკრეტულ მნიშვნელობას რუსთაველის ეპოქაში. მისი განმარტებით, „ფრივოლურ ზმნად“ შერაცხული სიტყვა არ შეიცავდა იმ მეორად, მდაბალ, უწმაწურ შინაარსს, რაც მის დღევანდელ ინტერპრეტატორთა მიერ ერთადერთ მნიშვნელობად არის მიჩნეული. „შუბის შეცემა“ ძველი ქართული სამხედრო ტერმინია, დადასტურებული თამარ მეფის ანონიმი ისტორიკოსის თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, საბას „სიტყვის კონაში“, დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონსა და ქეგლ-ში. წერილის ავტორის მითითებით, ეს სიტყვა, როგორც ძვ. ქართული სამხედრო ტერმინი, საგანგებოდ ჰქონია

მოხსენიებული ი. ჯავახიშვილს თავის გამოკვლევაში „საომარი საქურველი და სამხედრო საქმე“.

ნათელს ჰფენს რა სადავო სიტყვის ჭეშმარიტ შინაარსს, მ. ევდომვილი უსამართლობად თვლის მის მიჩნევას „ყალბისმქმნელის“ ნამოქმედარად. „შუბი ვკარ“, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ რიგ ხელნაწერებში დასტურდება, „შევეც“ ზმნის ლექსიკური განმარტებაა. იგი მართებულად მიიჩნევს „საჩოთირო ფრაზისთვის“ უპირატესობის მინიჭებას სარგის კაკაბაძისა (1927 წ. გამოცემაში) და „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ (1988 წ.). **ბ. გ.**

406. Мака Элбакидзе

**Композиционная специфика и индивидуализация персонажей
поэмы Руставели „Витязь в тигровой шкуре“ в типологическом
сопоставлении со средневековым западноевропейским
рыцарским романом**

Автореф. дис. на соиск. уч. степ. канд. филол. Наук, Тб. 1990, 28 გვ.

სადისერტაციო ნაშრომში მოცემულია „ვეფხისტყაოსნის“ თემატიკისა და პერსონაჟების ტიპოლოგიური შეპირისპირება კრეტიენ დე ტრუას რომანებთან და მათ პერსონაჟებთან.

იხ. ავტორის გამოქვეყნებული ნაშრომები: 1. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების ინდივიდუალიზაციის საკითხისათვის. ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები, ნაკვ. XVII (ჰუმანიტ. მეცნ. სერია), თბ., 1989.

2. „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიციური ელემენტები და ძირითადი მოტივები დასავლეთევროპის სარაინდო რომანთან ტიპოლოგიურ შეპირისპირებაში, კრებ. „ლიტერატურათმცოდნეობა“, თსუ, თბ., 1993. აქვე, ანოტ. № 345, 520.

407. მურმან თავდიშვილი

**მაწყვერელობის ინსტიტუტი ძველ საქართველოსა
და „ვეფხისტყაოსანში“**

კრებ. „ისტორია... გეოგრაფია სკოლაში“, 1990, № 1, გვ. 61-75.

ავტორს მიაჩნია, რომ მაწყვერელობის ინსტიტუტის ისტორიული კვალიფიკაცია დაგვეხმარება „ვეფხისტყაოსნის“ სადავო საკითხის–„ინდო– ხატაელთა ამბის“ პოემისადმი მიკუთვნების გადაწყვეტაში. იგი იმოწმებს პ. რატიანის ნაშრომს, აგრეთვე ბასილ ეზოსმოდვრის ქრონიკას და დაასკვნის, რომ მაწყვერელობა უკვე თამარის დროისათვის დიდად სასახელო და საპატიო სახელო, კათალიკოსის შემდეგ ყველაზე საჩინო თანამდებობა ყოფილა.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში ამ ცნება-ტერმინის ხმარებისათვის მკვლევარი დაბრკოლებას ვერ ხედავს. მისი თქმით, რუსთაველის პოემაში თანაბრად უფლებამოსილია როგორც მაჰმადიანური, ისე ქრისტიანული ან კიდევ სხვა რელიგიური ცნებები და ალუზიები.

გ. ა.

407a. მ. თავდიშვილი

რუსთაველის ორი სტროფის დასაცავად

საქ. სსრ. მეცნ. აკადემია. ლიტმცოდნეობის რესპ. საკოორდ. საბჭო, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტ., XXIV სამეცნ. სესია, თბ., 1990. მოხს. თეზისები, გვ. 53-55 (მოგვაქვს შემოკლებით).

მომხსენებელი ცდილობს „ვეფხისტყაოსნის“ ორი სტროფის ავთენტურობის დასაბუთებას. ისინი არ დაბეჭდილა ვახტანგისეულ (1712 წ.) და არც შემდგომ გამოცემებში. ამ ბოლოხანს პოემის ძირითად ტექსტში აღადგინა ნ. ნათამემ (1974 წ.). ესენია: „ყმამან უთხრა: შენი წყრომა მეცა დია დამიმძიმდა (774) და „მოახსენა კვლა ვაზირმან: მე რა გინდა წამეკიდოს... (775).

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ამ სტროფების გარეშე ტექსტი ხარვეზიანია, 773 და 776 სტროფებს შორის არაა ლოგიკური კავშირი. აღდგენილი სტროფები ავსებენ ამ ნაკლს, ვაზირისა და ავთანდილის დიალოგს აზრობრივად ამდიდრებენ, ენისა და სტილის მხრივაც შეეფერებიან რუსთაველისეულ ტექსტს. გ. ა.

408. ცირა ინწკირველი

ქრისტიანული მოტივები „ვეფხისტყაოსანში“

(საქართველოს ეროვნული დროშის ფერთა სიმბოლოზმისათვის)

ქურ. „განთიადი“, ქუთ., 1990, №6, გვ. 120-139; №7, გვ. 149-172; №8, გვ. 132-165.

იხ. მისივე – ამავე სათაურით, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1991, 269 გვ.;

ავრ. ავტორეფერატი (რუსულ ენაზე), ხელმძღვ. პროფ. რ. სირაძე.

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლისა და 4 თავისაგან,

თ. I: ბიბლიის ქართული თარგმანის ნიშან-თვისებათათვის;

თ. II: გველი – წინასწარმეტყველური „ჭრელობისა მეცნიერების“ – მისნობის კანონიკური რელიგიური სიმბოლო;

თ. III: სარწმუნოებით და სახელმწიფოს მართვის პრეროგატივებით (ინსიგნიებით) ძველი აღმოსავლეთის დესპოტიების მემკვიდრე;

თ. IV: გამოყენებული ლიტერატურა და დასახელებული წყაროები.

„განთიადში“ დაბეჭდილი გამოკვლევის რეცენზენტი თ. ნუცუბიძე წერს: „ნაშრომის დედააზრი შემდეგში მდგომარეობს: ქართულ სინამდვილეში, მის ყოფიერებასა და აზროვნებაში (ჰერალდიკა, სამეფო აღმის ფერთა სიმბოლოზმი, უძველესი მატრიანები, ლიტერატურისა და მატერიალური კულტურის ძეგლები) შემორჩენილია ეგვიპტულ-ქალდეველი მეფე-ქურუმების მოგვური მოძღვრება, „მაღალ საფლავებში“ გარკვეულ, საკრალურ დრომდე მძინარე მზე-მეფეთა თვითმეხსიერების საიდუმლო, რომელიც ძველი აღთქმის სახით შესანახად გადაეცათ სემიტებს და რომლებიც ელიან მესიის მეორედ მოსვლას და მისგან გაღვიძებას. ამ ცოდნის შექმნაში ქართველთა წინაპრების თანამონაწილეობა გენეტიკურია, რადგან ისინი, ჩვენი ეპონიმები, პირველმამები, იგივე „ტიტანიელები“, „შორიელნი“, „არიან-ქართველები“, არიან ეგვიპტულ-ქალდეველთა ეთნო-სოციალური ნათესავნი, „ტომნი“, რომელთაც „იქედან“, „უნაზარეველო სამშობლოდან“ ჩვენში მოიტანეს უძველესი საერთო-წარმართული „ფარული სიბრძნე“ და ისინი კოდის სახით, დაშიფრულად დამალეს თავიანთ ინტელექტუალურ თუ ესთეტიკურ „თვითგამოხატულებაში“, რისი უმაღლესი ეზოთერულ-ტაბუირებული განძი

„ვეფხისტყაოსანია“. ავტორის ამოსავალი დებულება და ძირითადი დასკვნა, პირადად მე, სრულიად გასაზიარებლად მეჩვენება, თუმცა იგი თავზარდამცემია, როგორც ყველა საკრალური საიდუმლო“ (№ 6, გვ. 120-121). **გ. ა.**

409. სოლომონ იორდანიშვილი

ქრისტიანული რწმენის კვალის ძიება

„ვეფხისტყაოსანში“

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1990, № 1, გვ. 5-16.

წერილის ავტორის მიზანია, დაასაბუთოს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მსოფლმხედველობა ქრისტიანულია. ამ მიზნით მას მოჰყავს „ვეფხისტყაოსნიდან“ ისეთი ადგილები, რომლებშიც რუსთაველი, „განმარტავს ... ღვთის თვისებებს... ღვთის განგებას და ბედს“ რუსთაველის მიერ ღვთის ბუნების განმარტება, მისი დამოკიდებულება კაცთან თუ ქვეყანასთან, ს. იორდანიშვილის აზრით, მის ქრისტიანულ მსოფლმხედველობაზე მიუთითებს.

ს. იორდანიშვილი ეწინააღმდეგება პ. მირიანაშვილის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას (გაზ. „სახალხო ფურცელი“ 1916, №589), რომლის თანახმადაც, ავთანდილი და ტარიელი ღრმად მორწმუნე მაჰმადიანები არიან და პრაქტიკაშიც მისდევენ ისლამის წესებს, ხოლო ნესტანი განათლებული ინდოელი ქალია. ს. იორდანიშვილი ცდილობს დაასაბუთოს, რომ პ. მირიანაშვილის მიერ მოყვანილი არგუმენტები არ გამოდგება „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა მაჰმადიანობის სამტკიცებლად. იგი ავლებს პარალელებს „ვეფხისტყაოსანს“ და ბიბლიას შორის. მისი აზრით, ეს პარალელები მიუთითებს რუსთაველისა და მისი გმირების ქრისტიანულ მსოფლმხედველობაზე. **ნ. გ.**

410. მარიამ კარბელაშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორი

„ოქროს ხანის“ საქართველოს ისტორიის კონტექსტში

(ქართული პარლამენტარიზმის სათავეებთან).

საქ. სსრ. მეცნ. აკად. მოამბე, 139, №2, 1990, გვ. 437-440.

ავტორი წერს: საქართველოს ისტორია XII ს- ის დასასრულს ორ ისეთ პიროვნებას იცნობს, რომელთაც „სპარსულისადმი“ მიკერძოება ედებათ ბრალად, ერთს, ყუთლუ-არსლანს, – „მოღება წესისა რასამე სპარსთა განაგისისა“, მეორეს, შოთა რუსთაველს – „სპარსულად თქმა.“

ყუთლუ-არსლანი ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში პარლამენტარიზმის იდეის ფუძემდებლად ითვლება, რაც იმ ეპოქისათვის უაღრესად პროგრესული მოვლენა იყო. არსებობს ვარაუდი, რომ მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუ-არსლანი სამძივართა გვარის წარმომადგენელი იყო.

გადმოცემის თანახმად, შოთა რუსთაველიც მეჭურჭლეთუხუცესი იყო, ხოლო მისი წარმომავლობის კვლევამ მეცნიერები მესხ სამძივარ-თორელთა საგვარეულოსთან მიიყვანა.

ამ მონაცემთა მიხედვით მკვლევარი აგებს ჰიპოთეზას, რომ პოლიტიკოსი ყუთლუ-არსლანი და პოეტი შოთა რუსთაველი ერთი და იგივე პიროვნებაა.

ნარკვევს ახლავს რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე. **გ. ა.**

411. მზია მარსაგიშვილი

თამარ მეფის მემკვიდრეობა და შოთა რუსთაველის მიმართებისათვის

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1990, № 4, გვ. 36-42.

ავტორი აღნიშნავს, რომ ანტონ კათალიკოსი თავის „ქართულ ღრამატიკაში“ შოთა რუსთაველს მოიხსენიებს, როგორც „გამომთქმელს მეფის თამარის ცხოვრებისა“, და მოჰყავს ციტატა თითქოსდა მისი თხზულებიდან. ამ ცნობაზე დაყრდნობით ილ. აბულაძე, ს. კაკაბაძე, კ. გრიგოლია და ი. ლოლაშვილი რუსთაველს მიიჩნევენ „ისტორიათა და აზმათა“ (მთლიანად ან მისი მეორე ნაწილის) ავტორად. ზოგი მკვლევარი რუსთაველს „თამარიანის“ ავტორადაც მიიჩნევს.

მ. მარსაგიშვილი „ვეფხისტყაოსნისა“ და დასახელებული ისტორიული თხზულებების ტერმინებისა და სტილისტური კონსტრუქციების ანალიზის საფუძველზე აკეთებს დასკვნას, რომ მათი ავტორების იდენტიფიკაცია არ დასტურდება. გარეგნული მსგავსება გამოწვეულია თხზულებათა შექმნის მხოლოდ საერთო ეპოქით და საერთო თემატიკით. ანტონ I-ის ცნობა კი კვლავ საკამათოდ რჩება. გ. ა.

411a. აპოლონ მახარაძე

ქართველი რომანტიკოსები და „ვეფხისტყაოსანი“

ავტორის წიგნში – „ქართული რომანტიკოსები“, თბ. 1990, გვ. 414-438.

ნარკვევში აღნიშნულია, რომ ქარველ რომანტიკოსთა ლიტერატურულ მემკვიდრეობაში შოთა რუსთაველი და მისი თხზულების გმირები არაერთგზის იხსენიებიან სხვადასხვა ასპექტით. მკვლევრის მიერ გაანალიზებულია სოლ. დოდაშვილის, ალ. ჭავჭავაძის, ალექსანდრე, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანების პოეტური და პუბლიცისტური ნაწერები.

(იხ. ამავე სათაურით „რუსთვ. ბიბლიოგრაფიის III კრებულში) გ. ა.

412. ლევან მენაბდე

რუსთველი საზღვარგარეთულ ლიტერატურაში

თბ., 1990, 278 გვ.

წიგნში განხილულია საზღვარგარეთელ მოღვაწეთა რუსთველოლოგიური ნააზრევი XIX და XX ს-ში, მოთხრობილია სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოებრიობის მიერ რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ გაცნობისა და შესწავლის ისტორია, ნაჩვენებია, რომ რუსთველის პოემის ლიტერატურულ-მხატვრული და კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის აღიარებამ განაპირობა უცხოეთში რუსთველოლოგიური ლიტერატურის ინტენსიური ზრდა და შექმნა წინაპირობა რუსთველისათვის კიდევ უფრო საპატიო ადგილის მისაჩენად მსოფლიო კულტურის საგანძურში.

წიგნში ცალ-ცალკე დახასიათებულია მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის ქვეყნებში რუსთველის შემოქმედების გაცნობის გზები და თანამედროვე მდგომარეობა.

დამატებად დაბეჭდილია ნარკვევები რუსთველის ე.წ. არაბული ლექსების გამო. იხ. აქვე, ანოტ. № № 129, 203. გ. ა.

413. გ. ნადარეიშვილი

გამოთქმა „ბედსა ნუ მიქცევ“ „ვეფხისტყაოსანში“

ალმ. „ქართული მწერლობა“, 1990, № 3, გვ. 115-110.

წერილის ავტორის აზრით, „ვეფხისტყაოსანში“ დადასტურებული გამოთქმა „ბედსა ნუ მიქცევ“ (ზოგ ხელნაწერში „ბედსა ნუ მიცვლი“) არის ასახვა ძველ სამყაროში (ძველ აღმოსავლეთში, ანტიკურ საბერძნეთში, ბიბლიაში) მიღებული შეხედულებისა, რომ ყოვლისშემძლე ღმერთს ბედის შეცვლაც შეუძლია. „ვეფხისტყაოსანის“ ღმერთი, ავტორის დაკვირვებით, „არ არის მონა მის მიერვე ერთხელ მიღებული გადაწყვეტილებისა“. მას ხელეწიფება ბედის შეცვლაც. ის მხედველობაში ღებულობს ადამიანის საქციელს. ავთანდილი ბედ-კეთილია, ბედით კმაყოფილია, მაგრამ შიშობს „ღვთის სწორის“- როსტევეან მეფის მომდურების გამო ღმერთმა ბედი არ შეუცვალოს. **ნ. გ.**

414. ვლადიმერ ნორაკიძე

ქართული ეროვნული ხასიათი „ვეფხისტყაოსანის“ მიხედვით

კრებ. „დავით აღმაშენებელი“, თბ., 1990, გვ. 91-90.

როგორც ავტორი წერს, ეროვნული ხასიათი მკვეთრად თავს იჩენს ისეთ ადამიანში, რომელსაც აქვს დამოუკიდებელი მოქმედებისა და გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა.

„ვეფხისტყაოსანში“ პიროვნების თვისებად ქცეული მაღალი ზნეობრივი ღირებულებების მიხედვით მოღვაწეობის განწყობა იმდენად ზოგადია, რომ იგი თავს იჩენს არა მხოლოდ საკუთარი ეთნიკური ან სოციალური ჯგუფების მიმართ, არამედ სხვა ერებთან და მთლიანად კაცობრიობასთან დამოკიდებულებაში. პოემის გმირებს სჯერათ და სწამთ საკუთარი მიზნების მაღალი ღირებულება, განვითარებული აქვთ თავისი ღირსების გრძნობა.

ავტორის დასკვნით, რუსთაველის მიერ წარმოდგენილ ქართულ მოდალურ პიროვნებაში ზნეობრივად დადებითი თვისებები სჭარბობს მანკიერ თვისებებს. **გ. ა.**

415. Теимураз Нуцубидзе

Сюжет классического грузинского эпоса

Автореф. дис. на соиск.уч. степ. канд. филол. наук Тб., 1990, გვ. 25.

დისეტაცია შედგება შესავლისა და ხუთი თავისაგან : I. კლასიკური ქართული ლიტერატურის ზოგადი მიმოხილვა; II. ეპოსის თეორია შუასაუკუნეებრივ აზროვნებაში; III. სიუჟეტის სიმბოლო ქართულ ეპიკურ ძეგლებში; IV. „ამირანდარეჯანიანისა“ და „ვეფხისტყაოსანის“ სიუჟეტების აგების თავისებურებათა შედარებითი შესწავლისათვის; V. ძირითადი დასკვნები.

416.

რას მოგვითხრობს „ვეფხისტყაოსანი“

პოემის პროზაული ვარიანტი დაწერა მამია ებრაღიძემ, რედ. გ. ალხაზიშვილი თბ., „მერანი“, 1990, გვ.192.

ანოტაციაში აღნიშნულია, რომ ტექსტი გადმობეჭდილია პირველი ამოცემიდან (1966 წ.).

417. ნელი საგინაშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ უკანასკნელი გამოცემის ერთი კონიექტურა

„ლიტერატურული საქართველო“, 1990, 21 სექტ. № 38, გვ. 7.

ავტორს „ვეფხისტყაოსნის“ 719-ე სტროფის ბოლო ტაეპის „რული“ („ხმას სცემს ჩანგი ჩაღანასა, მომღერალნი იყვნეს რული“), რომელსაც 1988 წლის გამოცემა გვთავაზობს, ხელოვნურ კონიექტურად მიაჩნია, რამეთუ იგი ვერც ერთი თავისი მნიშვნელობით ლოგიკურად ვერ აშინაარსიანებს ტაეპს. ავტორი ეყრდნობა რა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებს, სადაც დამოწმებულია სიტყვა „სრული“ , თვლის , რომ ეს უკანასკნელი ვარიანტი ყველაზე მეტად ესადაგება ტექსტის შინაარსს, რომელიც დასახელებული სტროფის მეოთხე ტაეპში შეიძლება უნაკლულოს, საუკეთესოს მნიშვნელობით გავიგოთ, ე.ი. **მომღერალთა დასი უნაკლო იყო.**

ავტორს ასევე ხელოვნურად მიაჩნია „ვეფხისტყაოსნის“ ამავე გამოცემის 1006 სტროფის მესამე ტაეპის იკითხვისი „რული“ („მონანი ტურფად მოსილნი წესითა იყვნეს რულითა!“) და სასურველად მიიჩნევს აღდგეს ხელნაწერებსა და ძირითად გამოცემებში დადასტურებული სიტყვა „სრული“ , სადაც ეს უკანასკნელი საუკეთესოს, უნაკლოს მნიშვნელობით უნდა გავიგოთ.

ნ. მ.

418. სერგი სერებრიაკოვი

დროისა და ჟანრის პრობლემისათვის „ვეფხისტყაოსანში“

თბ. , 1990, 166 გვ.

წიგნი წარმოადგენს „ვეფხისტყაოსანში“ ე.წ „ლიტერატურული დროის“ მონოგრაფიული განხილვის ცდას. მოცემულია რუსთაველის მიერ გამოყენებული ტერმინების : **ჟამი, ხანი, დრო** – ვრცელი ანალიზი. ნაშრომის ეს ნაწილი პირველად 1987 წელს გამოქვეყნდა („სამსახეობა დროისა...“ იხ. აქვე, ანოტ. № 253.

მკვლევრის აზრით, დროის მეტაფორიზაცია „ვეფხისტყაოსანში“ იმდენად ძლიერად და საინტერესოდ არის მოცემული, რომ აღნიშნული ნიშან-თვისებების მიხედვით ეს პოემა თანამედროვე რომანის ჟანრს უახლოვდება. რომანის განვითარების ისტორიისა და მისი თემატიკის გათვალისწინებით, „ვეფხისტყაოსანი“ განსაცდელისა და სარაინდო რომანების ჟანრს განეკუთვნება, რომელთაც ავანტიურული დროის უსაზღვრობა, დაუსრულებლობა, თავგადასავალთა უწყვეტი თანმიმდევრობა ახასიათებს. თუმცა რუსთაველის თხზულებაში დრო არ არის მოკლებული რეალურ საზომებს (ისტორიულსა და ბიოგრაფიულს), შეიძლება ითქვას, მას არც „ისტორიული ლოკალიზაცია“ აკლია. როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსანი“ შთაგონებულია თამარის ეპოქის ისტორიული სინამდვილით და ასახავს კიდევ მას.

გ. ა.

418a. რევაზ სირამე

ქართული მწერლობის სამი დიდი ძეგლი

წინასიტყვაობა წიგნისა „მსოფლიო ლიტერატურის ბოზლიოთეკა ბავშვებისათვის“,

ტ. 2, თბ., 1990, გვ. 5-26.

ნაშრომში მოცემულია ზოგადი მიმოხილვა წიგნში დაბეჭდილი თხზულებებისა შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ს.ს. ორბელიანის „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“ და დ. გურამიშვილის „დავითიანი“.

მკვლევრის თქმით, „ვეფხისტყაოსანი“ რენესანსული ადამიანთმცოდნეობაა, რაც გულისხმობს სულითა და ხორციტ სრულყოფილ, ჰარმონიული პიროვნების ჩვენებას. ასეთი პიროვნება იბრძვის თავისი და ახლობელთა ბედნიერებისათვის, რასაც ხანგრძლივი განსაცდელისა და ტანჯვის გზის გავლიტ აღწევს. ამ გზას ნათლად წარმოაჩენს ტარიელის ვეფხისტყაოსნობა. „ვეფხისტყავი თანდათან იქცა არა უშუალოდ ნესტანის სიმბოლოდ, არამედ სიმბოლოდ ტარიელის განცდისა, მისი სევდა-მწუხარებისა ნესტანის დაკარგვის გამო. ... პოემის მიხედვით, ვეფხისტყაოსნობა ტარიელის უბედურებაა. ტარიელს სურს, რომ არ იყოს ვეფხისტყაოსანი“ (გვ. 6-7).

როგორც მკვლევარი წერს, „ვეფხისტყაოსანში“ აირეკლა ქართულ კულტურაში ორი დიდი სამყაროს – დასავლეთისა (ქრისტიანული) და აღმოსავლეთის (უმთავრესად სპარსული) შეხვედრა. პოემაში ისიც კარგად ჩანს, რომ ქართულ კულტურაში იმარჯვებდა ხოლმე „დასავლური“ ნაკადი, ე. ი. ქრისტიანული საწყისი. გ. ა.

419. ალექსი ჭინჭარაული

„ვითქინა“ კაზუსი და „რისხინა“ კონფუზი

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1990, 13 იანვარი, № 5.

წერილი პასუხია მ. თავდიშვილის სტატიაზე („ახ. კომ“. 31.X. 1989: „წამწამებს აფახულებს...“). ავტორი აღნიშნავს, რომ მ. თავდიშვილი არაკეთილსინდისიერად იქცევა, მსჯელობის საბაზად იყენებს მექანიკურ შეცდომას–„ვეფხისტყაოსნის“ 1342-ე (1329) სტროფში „გიშრისა ჭერიტა“-ს ნაცვლად დაბეჭდილია „ბროლისა ჭერიტა“. მკითხველს უმაღავს, რომ მე უფრო ადრეც („მაცნე“ 1973, №2) რუსთველისეულად ვთვლიდი წაკითხვას „გიშრისა ჭერიტა“.

მ. თავდიშვილი ცდება იმაშიც, რომ ჭერიტა მიაჩნია ზმნად: „დაჭერიტ“, „წავლებით“. „ვეფხისტყაოსანში“ ამ შინაარსის გადმოსაცემად იხმარება მჭირ- და ჭირ- ძირი (დანამჭირად 127,2; დაჭირვა 1229,4; იჭირვენ 1399,3; მიჭირავს 304,3 (306,3), ვერ დაიჭირავს 800,1 და სხვა).

გ. ა.

420. არჩილ ხალვაში

უდილადოსა თუ უდიადოსა?

ჟურ. „განთიადი“, ქუთ., 1990, № 8, გვ. 173-175.

წერილი ეძღვნება „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონის –„მინდორსა შიგან სადილად გარდახდეს უდილადოსა“ -შინაარსის გაგებას. ავტორს მართებულად მიაჩნია სიტყვა „უდილადოსა“-ს, შეცვლა

ა. შანიძის მიერ წარმოდგენილი კონიექტურით „უდიადოსა“, ოღონდ ის მცირეს კი არ ნიშნავს, არამედ, პირიქით, დიდს, უდიდესს. იმოწმებს მსგავს გამოთქმებს: „უგმირე“ (= უგმირესი. ქ. ცხ.I, გვ.8); „უსახო სახე“ (ვტ., 893,1); „უბედო ბედი“ (ვტ. 1171,2); „უშვილო შვილი“, ე.ი. უებრო, სწორუპოვარი შვილი (აჭარულ კილოში). გ. ა.

421. შალვა ხიდაშელი

ნეოპლატონიზმის თეორია რუსთველოლოგიაში

(მისი ისტორია და დღევანდელი მდგომარეობა)

თბ., 1990, 152 გვ.

წიგნი შედგება ხუთი თავსაგან :

თ. I- ნეოპლატონიზმის თეორია რუსთველოლოგიაში 1870 წლიდან 1930-იან წლებამდე მეორე ნახევრამდე;

თ. II –ნეოპლატონიზმის თეორია რუსთველოლოგიაში 30-იან და 40-იან წლებში;

თ. III –ნეოპლატონიზმი, მისი ძირითადი იდეები, თავისებურებანი.

თ. IV – „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის ანალიზი მსოფლმხედველობრივი იდეების და მათი ფილოსოფიური წყაროს თვალსაზრისით;

თ. V– ნეოპლატონიზმი ფილოსოფიის საბჭოთა ისტორიაში.

ავტორი შესავალში წერს: ნეოპლატონიზმის თეორიას რუსთველოლოგიაში საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს და ყველაზე დასაბუთებული თეორიაა. ამავე დროს ის ინტენსიური კრიტიკის საგანი იყო 40-იან წლებში. 60-იანი წლებიდან საბჭოთა მეცნიერებაში არსებითად შეიცვალა ნეოპლატონიზმის შეფასება და შესაბამისად, გაიზარდა მისი მნიშვნელობა რუსთველოლოგიაში.

ავტორი აღნიშნავს, რომ ნეოპლატონიზმმა დასრულებული და ჩამოყალიბებული სახე მიიღო ათენის სკოლის მეთაურის პროკლეს (410-485) ნაშრომში „კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი“, რომელიც ქართულად იოანე პეტრიწმა თარგმნა და საკუთარი განმარტებები დაურთო. ფსევდო-დიონისეს შეხედულებანი, იოანე პეტრიწის მოძღვრება და რუსთაველის პოემაში ასახული ფილოსოფიური იდეები შეადგენენ მიმდინარეობას, რომელიც ცნობილია „ქართული ნეოპლატონიზმის“ სახელით.

შ. ხიდაშელი იკვლევს იმ ფილოსოფიურ გარემოს, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობა, განიხილავს „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებულ ცნებებსა და გამოთქმებს: „ერთარსება ერთი“, „უყამო ჟამი“, „მზიანი ღამე“, პოემის ერთ-ერთ ძირითად იდეას–სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების იდეას და ადგენს პოეტის მსოფლმხედველობის უცილობელ კავშირს ნეოპლატონიზმსა და მისი გავლენით ჩამოყალიბებულ არეოპაგიტულ მოძღვრებასთან.

განგებასა და ბედზე მსჯელობისას (გვ.99-100) მკვლევარი აღნიშნავს, რომ 904-ე სტროფში უნდა აღდგეს ხელნაწერების წაკითხვა: „ბედი ცდა და გამარჯვება– ღმერთსა უნდეს, მო-ცა-გხვდების“. შესწორებული წაკითხვა – „ბედი ცდაა“ (ახალ გამოცემებში) არსებითად ცვლის ტექსტის შინაარსს. ბედის დაყვანა ცდაზე, ე.ი. ადამიანურ მცდელობაზე, ბედის უარყოფაა, რაც ძნელად წარმოსადგენია რუსთაველის ეპოქის აზროვნებისათვის.

წიგნის V თავი წარმოადგენს პოლემიკას ზოგიერთ საბჭოთა მეცნიერთან (მათ შორის- ა. გაწერელიასთან), რომელიც ნეოპლატონიზმში მხოლოდ ეკლექტიკას, მისტიკასა და სოფისტიკას ხედავენ და მიაჩნიათ, რომ საქართველოში არც ნეოპლატონიზმი ყოფილა მიღებული და გაზიარებული და არც არეოპაგიტული მოძღვრება. **გ. ა.**

422. გოჩა ჯაფარიძე

ერაყელი მკვლევარი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ

ალმანახი „მწიგნობარი“, 1990, თბ., გვ.160-163.

ავტორი წერს, რომ ერაყში, ქ. მოსულის უნივერსიტეტის ჟურნალში „ალ-ჯამია“ (№ 5) დაიბეჭდა ბაღდადის უნივერსიტეტის პროფესორის ჯალილ ქამალ ად-დინის სტატია „არაბები ძველ ქართულ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში“. ეს საკითხი მან განიხილა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ საფუძველზე. მკვლევრის აზრით, რუსთაველი განიცდიდა აღმოსავლური პოეზიის გავლენას, იმ პოეზიისა, რომელიც განადიდებდა გონიერებას, სიბრძნეს, თავისუფლებას, მამაცობას, გულწრფელობას, მეგობრობას, ნამდვილ სიყვარულს ...,

ქართველებთან და არაბებთან საერთოა მეგობრობის, სიყვარულისა და ტრფობის საფუძვლები. ჯ. ქამალ ად-დინი „ვეფხისტყაოსანს“ არაბი მკითხველისა და მკვლევარის პოზიციებიდან უდგება. ამის საფუძველს მას აძლევდა პოემის ნაწილობრივი „არაბული ფონი“, რომელიც ჭეშმარიტებად მიიჩნია. გ. ა.

1991

423. ზაზა ალექსიძე

ახალი ცნობა „რუვისთაველთა სახლის“ შესახებ

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1991, 5 აპრილი, N14.

მკვლევარი წერს, რომ სინას მთაზე, წმიდა ეკატერინეს წიგნსაცავის ქართული კოლექციის ერთ-ერთ კრებულში (Sin-50), რომელიც, მისი ვარაუდით, X ს-ის პირველი ნახევრისა უნდა იყოს, მოხსენებულია „რუვისთაველთა“ ფეოდალური საგვარეულო, რომელიც აღმოს. საქართველოში, ე. წ. კუხეთის ტერიტორიაზე არსებობდა. ზ. ალექსიძემ გაარკვია, რომ „რუვისთაველთა სახლი“ ქ. რუსთავის მფლობელი ყოფილა და შესაძლებელია, მირიან მეფის ძის, რევის, შთამომავალი იყოს.

მკვლევრის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი შოთა რუსთველი ამ საგვარეულოს წევრია. „რუსთველი“ (ან „რუსთაველი“) არ არის „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის პერსონალური ზედ-წოდება. იგი დამოუკიდებელი საგვარეულოს აღმნიშვნელია, რომელიც არსებობდა, სულ ცოტა, IX-XIII საუკუნეების მანძილზე. რუსთაველთა სახლი ფლობდა კახეთ-კუხეთის რუსთავს და იგი არაფრით იყო დაკავშირებული მესხეთის რუსთავთან.

გამოხმაურება იხ. აქვე, ანოტ. № 426. გ. ა.

424. ია ანთაძე

დროისა და სივრცის პრობლემა „ვეფხისტყაოსანში“

სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად (ხელნაწერის უფლებით), შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, მეცნიერი ხელმძღვანელი – პროფ. მერი გუგუშვილი, თბ., 1991.

ნაშრომი შედგება შესავლისა და ექვსი თავისაგან:

- I. „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული დროის შემეცნებით-შეფასებითი ფუნქცია (გვ. 9-16);
 - II. მხატვრული დრო, როგორც მხატვრული სახის განვითარების პირობა (გვ.17-24);
 - III. „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული დროის კომპოზიციური ფუნქცია (გვ.25-48);
 - IV. „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული სივრცე (გვ.49-66);
 - V. პერსონაჟების სახეთა ინტერპრეტაციისათვის დროისა და სივრცის თვალსაზრისით (გვ.67-86);
 - VI. რიტმი – „ვეფხისტყაოსნის“ ორგანიზაციის ფორმა (გვ.87-133);
- დასკვნა (გვ.134-144).

ნაშრომს ახლავს გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა, 64 ერთეული ქართულ და რუსულ ენებზე. იხ. აქვე ანოტ. № № 425, 473.

425. ია ანთაძე

„ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული სივრცე

ქურ. „მაცნე“, ელს, 1991. № 2, გვ. 43-52.

როგორც ავტორი წერს, „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული სივრცე განუზომლად მეტია იმ რეალურ გარემოზე, რომელსაც პოემის გმირთა ბედი უკავშირდება. თხზულებაში აღწერილი ტყე, მდინარე, ზღვა, მინდორი, მთა, გვირაბი... გარემოს, სივრცის პირობითი ნიშნებია და არა მისი რეალობის, ანუ ინდივიდუალურობის დამადასტურებელი ხატებანი. ასეთი პირობითობა ვრცელდება ქვეყნებზედაც...

ერთიანი, გაკოსმოსურებული სამყარო მოიაზრება მხოლოდ აბსოლუტური დროის წიაღში. შესაბამისად, გარკვეულ სივრცეზე ორიენტაცია გულისხმობს ორიენტაციას დროზე, რადგან არქაულ წარმოდგენებში დრო და სივრცე კი არ უპირისპირდება ერთმანეთს, როგორც შემეცნების შინაგანი და გარეგანი ფორმები, არამედ ქმნის დრო-სივრცულ ერთიანობას.

სივრცის დაყოფა მონაკვეთებად გულისხმობს დროის დანაწევრებას ფაზებად. გეოგრაფიული სივრცე იოლად გარდაიქმნება მითოლოგიურ სივრცედ.

„ვეფხისტყაოსნის“ გმირების მიერ გარეგანი და შინაგანი სივრცის გათავისება ქმნის საკრალურ ველს, რომელშიც დაცულია ცენტრის ფიზიკური შეუღწევადობაც და ზნეობრივი შეუვალობაც.

რუსთაველის თხზულების სივრცეს ქმნის არა მხოლოდ რეალურად გადალახული, ჰორიზონტალური გზა (რომელიც მოგზაურობის, ანუ მოქმედების დასრულების შემდეგ წრიული ხდება), არამედ ვერტიკალური, ვექტორული გზაც, რომელიც გავლილია ფიგურალურად – გმირის სულიერი ცხოვრებით. **გ. ა.**

426. გიორგი არაბული

მცირე შენიშვნა „რუვისთაველთა სახლის“ შესახებ

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1991, 17 მაისი, № 18, გვ. 5.

ავტორი ეხმაურება პროფ. ზ. ალექსიძის წერილს „ახალი ცნობა რუვისთაველთა სახლის შესახებ“ („ლიტ. საქ.“ 1991, N14), რომელშიც განხილული იყო სინას მთის X საუკუნის ერთ-ერთ ხელნაწერში აღმოჩენილი ცნობა „რუვისთაველთა“ ფეოდალური საგვარეულოს შესახებ. ზ. ალექსიძე ამტკიცებდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი შოთა რუსთაველი ამ საგვარეულოდან იყო.

გ. არაბულს დასაბუთებულად არ მიაჩნია ეს მოსაზრება, რადგან:

- 1) რუვისთაველთა საგვარეულო ჩანს კახეთ-კუხეთში, VIII ს-ში და შემდეგ აღარ იხსენიება.
- 2) ზ. ალექსიძის წერილში არაა გაზათილებული შოთა რუსთაველის მესხეთიდან (თორელთა სახლიდან) წარმოშობის თეორია.
- 3) „რუვისთაველთა სახლის“ მოღვაწეობის ხანიდან (VIII ს.) შოთა რუსთაველი დაშორებულია ოთხი საუკუნით და არ ჩანს რეალური საბუთი იმისა, რომ „მესხი“ რუსთაველი კუხეთის „რუვისთაველების“ ჩამომავალია. **ნ. გ.**

427. ალ. ბარამიძე

„ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველების“ გარშემო

ჟურ. „კრიტიკა“, 1991, № 5-6, გვ. 22-31.

მკვლევარი განიხილავს ზ. გამსახურდიას წიგნს – „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება“ (თბ.1991წ.) და დადებითად აფასებს მას, იზიარებს რა ავტორის ძირითად დებულებებს; მაგ, რომ: „ვეფხისტყაოსანი“ ალევორიულ-ეპოტერული თხზულებაა; რომ „ბიბლიური მითი – ცოდვით დაცემისა და მისი საქმით გამოსყიდვის ისტორია – აისახა ნესტანისა და ტარიელის თავგადასავლის ამბით“.

რეცენზენტს ზ. გამსახურდიას „ყველაზე მნიშვნელოვან მიგნებად“ მიაჩნია ქრისტიანული ღვთაების სამებაში სული-წმინდის ფემინური (მდედრობითი) ასპექტის გამჟღავნების ხაზგასმა და მისი დაკავშირება ქართულ ისტორიულ სინამდვილესთან (ჩახრუხადის თამარიანზე დაყრდნობით), რომ თამარი ქრისტიანული ღვთაებრივი სამეულის მესამე (და არა მეოთხე) პირია (გვ.24-25).

რეცენზენტი ეთანხმება წიგნის ავტორს, „რომ „ვეფხისტყაოსანი“ ერთგვარად ორპლანტიანი თხზულებაა, სადაც... შერწყმულია... რეალური და ირეალური (შეფარვითი) ნაკადები.“ (გვ.27).

რეცენზენტი ეხება აგრეთვე „თამარიანისა“ და „აბდულმესიას“ თემატურ-იდეურ საკითხებს (გვ.29-31), რომელთაც სხვადასხვა დროს იკვლევდა ზ. გამსახურდია. **გ. ა.**

428. ალ. ბარამიძე

„ვეფხისტყაოსნის“ დიალოგი

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1991, № 1, გვ. 5-6.

ავტორი წერს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ერთიან მხატვრულ კომპონენტებს მხარს უზამს საუცხოო დიალოგები. ნიმუშად განიხილულია ავთანდილისა და ასმათის დიალოგი მათი პირველი შეხვედრის დროს. აღნიშნულია, რომ სიტყვიერი მსჯელობისას ავთანდილი დამარცხდა, ქალს ვერაფერი ათქმევინა უცხო მოყმის შესახებ; შემდეგ მისი დაშინება სცადა, მოკვლით დაემუქრა; ვერც ამით მიაღწია მიზანს. ბოლოს თავისი მიჯნურობა ახსენა, პატიება სთხოვა და უთხრა: წესია მიჯნურისა შებრალებაო. ამის მოსმენით ასმათს გული მოუბრუნდა ავთანდილისკენ და დახმარებას დაჰპირდა.

მკვლევარი შენიშნავს, რომ რუსთაველმა ამ ეპიზოდით ერთხელ კიდევ მკაფიოდ ცხადყო სიყვარულის ფენომენის ძალა, რაც გამოკვეთილად გასდევს მთელ პოემას. **გ. ა.**

429. დევიდ ბარეტი

რუსთაველი და არაქართველი მკითხველი

ჟურ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1991, № 4, გვ. 160-168.

ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი დ. ბარეტი მსჯელობს იმაზე, თუ რას მიიღებს უცხოელი მკითხველი რუსთაველის თხზულების გაცნობით. მისი აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ მძაფრი და კომპოზიციურად საინტერესოდ აგებული სიუჟეტი, რაც იშვიათია გრძელ პოემებში, აუცილებლად აიძულებს მკითხველს, დაუყოვნებლად წაიკითხოს იგი. მაგრამ „ვეფხისტყაოსანი“ არ არის მხოლოდ ოსტატურად მოთხრობილი თავისთავად საინტერესო

ამბავი. იგი პოემას, რომელსაც ორიგინალური ვერსიფიკაციული წყობა აქვს. ყოველი მთარგმნელისათვის ძნელია არა მარტო სიმბოლურ და მეტაფორულ მხატვრულ სახეთა გადატანა სხვა ენაზე, არამედ სათანადო სალექსო ზომის შერჩევა და საჭირო რითმების მოძებნა.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ პოეზია შუასაუკუნეებში ზეპირი ხელოვნება იყო; თხზულების წაკითხვა-შესრულება თეატრის ადგილს იკავებდა. პოეტი-დეკლამატორის წარმატება დამოკიდებული იყო ლექსის კეთილზომიერებასა და მუსიკალურობაზე.

როგორც ავტორი წერს, რუსთაველის თარგმანის მკითხველი სრულად ვერ იგრძნობს და ვერ გაიგებს იმ მხატვრულ სიმდიდრეს და ღირსებას, რაც ამ ნაწარმოებს ორიგინალში აქვს. მაგრამ ყოველი ახალი თარგმანი ჩვენ გვიღვიძებს სურვილს, გავიგოთ უფრო მეტი არა მხოლოდ ამ თხზულების, არამედ, საერთოდ, საქართველოს ისტორიისა და მისი კულტურის შესახებ.

გ. ა.

430. გისბერტ კულმენს ბეინენი (სამხრეთ აფრიკის უნივერსიტეტი) ვეფხის სიმბოლიკა „ვეფხისტყაოსნში“

გაზ. „მამული“, თბ., 1991, № 9 (მაისი), გვ. 3-4. ინგლისურიდან თარგმნეს და კომენტარი გააკეთეს ქეთ. ვაშაყმაძემ და მაკა ნაჭყებია

მკვლევარი ეყრდნობა ვ. აბაევის განმარტებას, რომ ქართული ტერმინი „ვეფხი“ რუსთაველის ეპიქაში ლეოპარდს აღნიშნავდა და ამ ცნებას (ლეოპარდის თვისებებს და ქცევას) ითვალისწინებს დაყენებულ პრობლემებზე მსჯელობისას. მისი თქმით, პოემაში ვეფხის სახის გამოყენება იმას ნიშნავს, რომ ეს სახე სხვათა გრძნობების არასწორ აღქმას უკავშირდება. რუსთაველის პოემა შეგვიძლია შემდეგნაირად განვმარტოთ: ადამიანში ერთდროულად ძალადობის (ანუ უკონტროლო ქცევის) და კომუნიკაციის (ანუ კონტროლის ქვეშ მოქცეული ქცევის) არსებობა გაანალიზებულია როგორც ადამიანური და ცხოველური თვისებების ერთდროული არსებობა. პოემის გმირი, ტარიელი, თავდაპირველად ვერ აკონტროლებს თავის ვენებებს, საბოლოოდ მაინც იმორჩილებს მათ და ამით ჭეშმარიტად ადამიანი ხდება.

ადამიანის რუსთველური ფილოსოფია თუმცა ნეოპლატონიზმზეა დამყარებული, საოცრად თანამედროვედ ჟღერს ემოციების ფლობის საგანგები ხაზგასმით. გ. ა.

431. რევაზ გაბაშვილი

„დონკიხოტი“ და „ვეფხისტყაოსანი“

ჟურ. „ქართველი ერი“, ბერლინი, 1944, № 10;

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1991, 19 აგვ., № 98; 22 აგვ., N99.

ავტორი წერს, რომ ეს ორი ნაწარმოები ბევრი რამით ჰგავს ერთმანეთს. მაგ., შდრ. „დონკიხოტის“ დასაწყისი: „ესე ამბავი არაბული, ტოლედოში ყოფნისას ნაპოვნი“...; დასათაურებათა სტილი; ორივე თხზულებაში ლაპარაკია სხვადასხვანაირ სიყვარულზე; რეალური და არარეალური ქვეყნების დასახელება; დევებთან ბრძოლა; ქაჯების თილისმები; ნაპოვნი ფოლადის ხმალი.

ორმომი (ჭაში) ჩავარდნილი კაცის ამბავი, „ვეფხისტყაოსანში“ გადმოცემულია, როგორც სახუმარო ანეგდოტი. „დონკიხოტშიც“ არის მსგავსი ეპიზოდი: სანჩო-პანჩო ხაროში ჩავარდა, დონკიხოტი თოკის მოსატანად წავიდა...

ორივე ნაწარმოებში გვხვდება მსგავსი აფორიზმები და ანდაზები. მაგრამ მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაც არის. „ვეფხისტყაოსნის“ გმირები მოქმედებით, სიტყვით, შინაგანი დრამატიზმითა თუ ნაკლით მოგვაგონებენ რეალურ ადამიანებს, „დონკიხოტში“ კი მოცემულნი არიან უფრო სტატიური ტიპები, ხშირად – კარიკატურულნი.

„ვეფხისტყაოსანი“ თავდება გამარჯვებით, დონკიხოტი მარცხდება, მისი ილუზიები აღუსრულებელი რჩება. სიუჟეტისა და სტილის მხრივ „დონკიხოტს“ აუარებელი სუსტი ადგილი აქვს, განსაკუთრებით მეორე ნაწილში. გ. ა.

432. ზვიად გამსახურდია

ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება

თბ, „მეცნიერება“, 1991, 352 გვ., რედაქტორი სარგის ცაიშვილი.

წიგნი შედგება შესავლისა (გვ.3-17) და ხუთი თავისაგან:

- I. ალეგორიული მეთოდის ევოლუცია ანტიურობასა და შუა საუკუნეებში (გვ. 18-63);
- II. შუასაუკუნოებრივი ქალის კულტი და „ვეფხისტყაოსანი“ (გვ. 64-156);
- III. „ვეფხისტყაოსანი“ და წმ. გიორგის კულტი (გვ.157-224);
- IV. „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა სახელების სიმბოლიკა (სიმბოლური ონომატოლოგია) (გვ.225-293);
- V. ჰეროიკული ინიციაცია „ვეფხისტყაოსანში“ (გვ.294-339);

ძირითადი დასკვნები (გვ. 340-342).

წიგნს ერთვის ლიტერატურის სია ქართულ და უცხოურ ენებზე (გვ. 343-349) და რეზიუმე ინგლისურ ენაზე (გვ.350-352).

წიგნში მოცემულია „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის, სიუჟეტისა და მხატვრული სტრუქტურის სიმბოლური და ალეგორიული ინტერპრეტაცია. თანამედროვე მედიევისტისკის მიღწევათა გათვალისწინებით ახლებურად გააზრებულია რუსთაველის მხატვრული აზროვნება და მსოფლმხედველობა, ინიციაციური სიბრძნის ძირითადი იდეები, რომელნიც არეკლილნი არიან „ვეფხისტყაოსანში“ ქართული საღვთისმეტყველო აზროვნებისა და მითოლოგიისათვის დამახასიათებელი ფორმით.

ავტორის აზრით, რუსთაველის პოემაში აირეკლა შუასაუკუნოებრივი ქალის კულტი, რომელიც ღვთისმშობლის, ქალწულ სოფიას (საღვთო სიბრძნის, ანუ სულიწმიდის) რელიგიური კულტის სიმბოლური გამოხატულებაა როგორც დასავლურ კურტუაზულ ლიტერატურაში, ასევე აღმოსავლეთის სუფისტურ პოეზიაში. საქართველოში ქალის რელიგიური თავყვანისცემა გამოვლინდა თამარ მეფის კულტში.

თამარის ალეგორიული სახელები „ვეფხისტყაოსანში“ „ნესთანდარე ჯეჰან (არ არის ქვეყნად) და „თინათინ“ (სარკისეული ანარეკლი ნათლისა) მიგვითითებენ ღვთაების ორ ასპექტზე, დაფარულსა და ცხადქმნილზე, შეუმეცნებელსა და შემეცნებადზე, აგრეთვე ორ საღვთისმეტყველო გზაზე: აპოფატურზე და კატაფატურზე, რომელთა არსიც გადმოცემულია არეოპაგიტულ ტრაქტატებში.

„ვეფხისტყაოსანში“ არეკლილია აგრეთვე წმინდა მხედრის, წმიდა გიორგის კულტი, რომელიც ქართულ ქრისტიანობაში და ფოლკლორში ქრისტეს, შუამდგომელ-მედიატორის დონეზე დგას და მის ატრიბუტებს ატარებს.

მითოლოგიაში ზეციურ პირველკაცს ვარსკვლავიანი ცა მოსავს, როგორც დაწინწკლული ვეფხის ტყავი, რაც სამყაროს, უძრავ ვარსკვლავთა ცის განსახიერებაა. ამიტომ არის ვეფხის ტყავი სიმბოლო ინიციაციისა, საზეო განათლებისა, ქვენა სამყაროზე, ქვენა

ვნებებზე გამარჯვებისა, სულიერი ძალმოსილებისა და სიბრძნისა. ამის გამო ანტიური მითოლოგიის ღმერთები, გმირები და მისტერიათა ქურუმები ატარებენ მას.

ქართულ მითოლოგიაში ქვესკნელის, ქტონური სამყაროს სიმბოლოა ქაჯეთი (ქაჯავეთი), ნეგატიური დემონების საუფლო, რომლის დალაშქრვის შედეგად წმ. გიორგი და სხვა ღვთისმშვილები მოიპოვებენ განმს... „ვეფხისტყაოსანში“ ჰეროიკული ინიციაციის სიმბოლური დრამა მოცემულია ქართული მითოლოგიისათვის დამახასიათებელი სახეების გამოყენებით.

მკვლევრის სიტყვით, „ვეფხისტყაოსანი“ არის ერთგვარი სინთეზი სინკრეტული ეზოტერიზმისა, მოცემული მხატვრულ ენაზე. ავტორის (რუსთველის) მიზანია კაცობრიობის სულიერი განვითარების სხვადასხვა გზების შეჯამება ეზოტერულ-ქრისტიანული მომღვრების საფუძველზე. გ. ა.

433. ზ. გამსახურდია

წერილები, ესეები

თბ., „ხელოვნება“, 1991, 571 გვ.

წიგნში შესულია გამოკვლევები: რუსთველი და ანტონ I (გვ. 46-99); „თამარიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“ (გვ.100-138); რუსთველის ანთროპოლოგიის ერთი პრობლემა (გვ.139-163); „ვეფხისტყაოსნის“ სრულყოფილი გამოცემისათვის (გვ. 164-190).

ნაშრომები გამოქვეყნებული იყო უფრო ადრე. მათი ანოტაციები იხ. პირველი პუბლიკაციების მიხედვით, აქვე №№ 116, 153, 233, 337. გ. ა.

434. გიორგი გამყრელიძე

შოთას „ვეფხისტყაოსანსა“ და მის მკვლევარებზე

ჟურ. „კრიტიკა“, 1991, № 3, გვ. 144-153. გადმოზეჭდილია ჟურ. „კრებულიდან“, ნიუ-იორკი, 1957 წ. (რედ. გივი კობახიძე).

გიორგი (გუგული) გამყრელიძე (1903-1975), უცხოეთში მცხოვრები პოეტი და მკვლევარი, წერს „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემისა და კვლევის შესახებ საქართველოში და უცხოეთში. რუსთველის ბიოგრაფიის კვლევა-ძიების შესახებ აღნიშნავს, რომ შეუძლებელია რაიმე სერიოზული შედეგის მიღწევა დოკუმენტური მასალების უქონლობის გამო. კრიტიკულად განიხილავს პ. ინგოროყვას განზრახვას, ტექსტიდან ამოიღოს როსტევანისა და ავთანდილის ნადირობა-შეჯიბრის დასასრული, ნადირობის შედეგის შეფასების ეპიზოდი, იმ მოტივით, თითქოს ეს უხერხულ მდგომარეობაში აყენებს მეფეს.

ავტორი მადლობით მოიხსენიებს მიხ. წერეთელს, „რომელმაც პოემის ტექსტი გაწმინდა ბევრი არა-რუსთველური ჩანარებისაგან და მრავალი დამახინჯებული ადგილი დამაჯერებლად აღადგინა“, ოღონდ სინანულს გამოთქვამს პოემის შესავლის (პროლოგის) მეტისმეტად შემოკლების გამო“.

გ. გამყრელიძე ეხება აგრეთვე ვ. ნოზაძის „ვტ-ის ფერთამეტყველებას“ და ლადო ბელიაშვილის შრომას „რუსთაველისა და დანტეს იდუმალი“.

მკვლევარი თვლის, რომ დიდი სხვაობანი პოემის ხელნაწერებს შორის უნდა მომდინარეობდეს თვით რუსთაველისეული დედნებიდან, ვარაუდობს რა, რომ ავტორს რამდენჯერმე უნდა გადაეწერა და შეესწორებინა პოემის ტექსტი, ისევე როგორც გოეთემ

მრავალჯერ გაასწორა „ფაუსტი“ და სრულიად შეცვალა მრავალი ეპიზოდი და მოქმედების ადგილიც კი. გ. ა.

435. აკაკი გაწერელია

„რუსთაველი და ქრისტიანობა“

ჟურ. „მნათობი“, 1991, № 3, (გვ. 110-123), № 4 (გვ. 148-160), № 5 (გვ. 119-128).

მკვლევარი ეხმაურება შ. ხიდაშელის წიგნს „ნეოპლატონიზმის თეორია რუსთველოლოგიაში“ (თბ. 1990). იგი „ვეფხისტყაოსანს“ „ქრისტიანობის ბაზაზე წარმოშობილ ქმნილებად“ თვლის და კატეგორიულად ეწინააღმდეგება გავრცელებულ აზრს რუსთაველის ნეოპლატონიკოსობის შესახებ, რომლის დასაბუთებასაც ცდილობს შ. ხიდაშელი ზემოხსენებულ წიგნში.

რუსთაველის მრწამსის გარკვევის მიზნით ა. გაწერელია ანალიზებს ქრისტიანობის უმთავრეს დოგმატებს და „ვეფხისტყაოსანში“ მათი მითითებით ცდილობს დაასაბუთოს რუსთაველის ქრისტიანული მსოფლმხედველობა და, ამასთანავე, მისი ნეოპლატონიკოსად მიჩნევის სრული უსაფუძვლობა. წერილის ავტორი უხვად იმოწმებს ბიბლიას, ქართულ და ბიზანტიურ რელიგიურ ლიტერატურულ ძეგლებს.

ჯერ კიდევ კ. კეკელიძემ მიუთითა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ნახსენები „ერთარსება“ ქრისტიანული ტერმინია და „*emplicite*“ გულისხმობს სამებას. ა. გაწერელიას დაკვირვებით „ერთარსება“ მთელ საქრისტიანო მწერლობაში მუდამ სამებას მიემართება და ხშირად მის გვერდით იხმარება, რაც „საბოლოოდ წყვეტს ტერმინის ქრისტიანულ შინაარსს“: წერილის ავტორი მთელი კატეგორიულობით აცხადებს, რომ ტერმინი „ერთარსება“ „*a priore*“ გულისხმობს სამებას და „მის ინტერპრეტაციას ელინური ასპექტით“ უმართებულოდ მიიჩნევს.

რუსთაველი რომ ქრისტიანია და არა ნეოპლატონიკოსი, ამას, ა. გაწერელიას აზრით, ისიც მოწმობს, რომ მისი მსოფლმხედველობა ემყარება კრეაციონიზმს, ანუ არარაობისაგან სამყაროს შექმნას პიროვნული ღმერთის მხრივ, რაზეც მოგვითხრობს ბიბლია. „კრეაციონიზმი კი რადიკალურად ეწინააღმდეგება პლატონიზმსა და ნეოპლატონიზმს, რადგან ფილოსოფოსთა უპიროვნო ღმერთი სამყაროს შემქმნელი არაა“ (მნათობი, № 3, გვ. 114).

ა. გაწერელია მიუთითებს, რომ რუსთაველის ღმერთი **ზის** („...ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად“), განმარტავს ამ სიტყვის ევანგელურ შინაარსს და აღნიშნავს, რომ ნეოპლატონიკოსთა ღმერთი „არსად არ ზის“, „ღვთაებრივ ნისლში“ ზის მხოლოდ „სამება“.

რუსთაველის ღმერთი „საზღვრების დამსაზღვრელია“ („ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს“). ა. გაწერელიას დაკვირვებით, ამ სიტყვებსაც „ბიბლიასთან და დიონისე არეოპაგელთან მივყავართ... და სიტყვა „საზღვრის“ სხვებთან ძიება რუსთაველის ტაეპის გასაგებად ამაო საქმიანობაა“ (მნათობი № 3, გვ. 115).

მკვლევრის აზრით, „ვეფხისტყაოსანში“ ქრისტე არაპირდაპირ ორჯერ იხსენიება, „რასაც (გარდა ცნებისა „უჟამო ჟამი“) არავინ შეხებია“. იგი გვთავაზობს საკუთარ ანალიზს რუსთაველის ერთი ტაეპისა („უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო“), მიუთითებს, რომ „უფალი უფლებათა“ ქრისტეს პრედიკატია და მომდინარეობს პავლე მოციქულის განთქმული სიტყვებიდან „მეუფე მეუფეთანი და უფალი უფლებათანი“.

ა. გაწერელია უმართებულოდ მიიჩნევს აგრეთვე შ. ხიდაშელის მიერ პლოტინისეული „გრძნობადი სამყაროს სილამაზისა“ და სამყაროს (როგორც კოსმოსის) სილამაზის რუსთაველის „ტურფა საბაღნაროსთან“ დაკავშირებას.

რეცენზენტი ილაშქრებს შ. ხიდაშელის ერთ-ერთი ძირითადი თეზისის – „ვეფხისტყაოსნის“ მზის მიერ „შუქთა ფენისა“ და ნეოპლატონისტური გამოსხივებისა და ემანაციის იდენტიფიკაციის წინააღმდეგ და მიუთითებს „მზეებზე ფენის“ ქრისტიანულ შინაარსზე.

წერილის ავტორს ურთიერთგამომრიცხავად მიაჩნია, ერთი მხრივ, რუსთაველის ნეოპლატონიკისობის მტკიცება შ. ხიდაშელის მიერ და, მეორე მხრივ, მისი განცხადება, რომ რუსთაველის ღმერთი „ქრისტიანული ღმერთი უნდა იყოს“. **ნ. გ.**

436. ალექსანდრე გვახარია

კვლავ „უტევანის“ შესახებ

კრებ. „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო“, თბ, 1991, გვ. 406-411.

მკვლევარი ასახელებს ძველი ქართული მწერლობის ძეგლებს, მათ შორის „ვეფხისტყაოსანს“, რომლებშიც გვხვდება ტერმინი „უტევანი“. ყველგან ის მანძილის საზომი ერთეულია, დაახლოებით 143 ნაბიჯი.

„ვისრამიანის“ ქართულ თარგმანში ეს სიტყვა ოთხჯერ არის გამოყენებული, სადაც მას განსხვავებული მნიშვნელობა აქვს, იხმარება **ისრის** ეპითეტად ან სინონიმად (– „უტევანი ისარი“), რაც შორს სასროლ და დაუცდომელ ისარს გულისხმობს.

ნარკვევს ახლავს რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე. **გ. ა.**

437. ალ. გვახარია

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი ადგილის გასწორებისათვის

ჟურ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1991, № 4, გვ. 154-156.

ალ. გვახარიას შენიშვნით, „ვეფხისტყაოსნის“ 331-ე სტროფის მეოთხე ტაქში (1988 წ. გამოცემა) დადასტურებულ სიტყვათმეკავშირებას „ბროლბალახშეულმან“ არ უდგება -ეულ სუფიქსის არც ერთი ფუნქცია. მისი აზრით, „ბროლბალახშეულმან“ უნდა გასწორდეს ასე: „ბროლბალახშრეულმან“. ამგვარი სიტყვათმეკავშირება გვხვდება „ვისრამიანსა“ („ვარდი ხარ ქაფურრეული“, „ქაფური ვარდრეული“) და თვით „ვეფხისტყაოსანში“ („ყვითელი და შავი ერთგან რეული“, 1457; „ბროლმან ლალსა გარეულმან“, 204).

ა. გვახარიას მიერ შეტანილ გასწორებას მხარს უჭერს ოთხი ხელნაწერი. **ნ. გ.**

438. მარინე დედაბრიშვილი

ხალხური „ტარიელიანის“ საკითხი „ივერიაში“

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1991, № 1, გვ. 38-50.

ავტორი განიხილავს XIX საუკუნის 90-იან წლებში გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ მასალებს ხალხური „ტარიელიანისა“ და რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ურთიერთმიმართების შესახებ. ვრცლად წარმოდგენილი და გაანალიზებულია ალ. ხახანაშვილის წერილები, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის ორიგინალობას ასაბუთებდა იმ დებულებით, რომ რუსთაველმა თავისი თხზულება შექმნა ხალხური „ტარიელიანის“ გამოყენებით.

როგორც მკვლევარი წერს, ამჟამად უკუგდებულია რუსთაველის პოემის ხალხური „ტარიელიანიდან“ წარმოშობის თეორია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანს“ არაფერი აქვს საერთო ქართულ ფოლკლორთან. უეჭველია, რომ რუსთაველი სარგებლობდა ქართული მითოლოგიით, რის კვალიც პოემაში აშკარად ჩანს.

ნარკვევს ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე. გ. ა.

439. მარიამ ევდოშვილი (კარბელაშვილი)

„არ უთქმელობა არ ვარგა...“

ქურ. „ლაშარი“, 1991, № 2. გვ. 122-139.

ავტორი მსჯელობს ხვარაზმშას შვილის მკვლელობის ეპიზოდზე. ცნობილია, რომ ნესტან-დარეჯანი ამ ფაქტს „მართალ სამართალს“ უწოდებს და მკვლევარებიც ცდილობენ, ტარიელს მოხსნან ზნეობრივი პასუხისმგებლობა ამ მკვლელობის გამო. პირველი შეფასება ზნეობრივი თვალსაზრისით ამ ფაქტს მისცა „ხვარაზმელთა ამბის“ ავტორმა. მისი დასკვნით, ხვარაზმელი სასიძო უდანაშაულოა, ხოლო მისი მოკვლა დანაშაულია, ანუ უსჯულობაა.

1930-იან წლებში, რუსთაველის 750 წლისთავის იუბილეს პერიოდში, შეიქმნა ე. წ. „ტარიელის რეაბილიტაციის“ თეორია, რომლის თანახმად, ეს მკვლელობა გამართლებულია სახელმწიფოებრივი ინტერესებითა და პატრიოტიზმით. ამ თეორიას მხარი დაუჭირეს იურისტებმაც და მსჯელობაში ალოგიკურობის მოსახსნელად თვით მსხვერპლი გამოიყვანეს ბრალეულად.

კონფლიქტური სიტუაციიდან ერთადერთ გამოსავლად უდანაშაულო ადამიანის მკვლელობის მიჩნევა სუბიექტურია; იგი ნესტან-ტარიელის პოზიციითაა ინსპირირებული. ნესტანის რჩევა სინამდვილეში სამშობლოს ღალატის ტოლია: ამ მკვლელობით ნესტანი ინდოეთს მოსისხლე მტერს უჩენს ხვარაზმის სახით. ხვარაზმშას მის მკვლელობა არა მინიმალურ, არამედ მაქსიმალურ მსხვერპლს იწვევს.

ეს მკვლელობა დანაშაულია (ცოდვია) ქრისტიანული თვალსაზრისითაც, რაც შეუძლებელს ხდის რუსთაველის ქრისტიანობისა და ჰუმანისტობის მტკიცებას.

წერილის ავტორის აზრით, რუსთაველი არ ცდილობს ნესტანისა და ტარიელის გამართლებას ამ მკვლელობის გამო. ნესტანის „გამორჩევა“ უმაღლესი რანგის რიტორიკაა, აგებული მომგებიან ლოზუნგებზე, სოფიზმებსა და კაზუსტიკაზე, სადაც მაღალი მიზანი ვითომც ამართლებს ამორალურ საშუალებას – უდანაშაულო ადამიანის ვერაგულად მოკვლას.

რუსთაველმა უარყო შემდეგ (XVII ს.) მაკიაველიზმის სახელით ცნობილი დევიზი „მიზანი ამართლებს საშუალებას“, აგრეთვე ნიცშეანობა: რჩეულთა უფლება, განაგონ სხვისი სიკვდილ-სიცოცხლე. ტარიელმა და ნესტანმა დანაშაული ათი წლის ფიზიკური და სულიერი ტანჯვა-წამებით გამოისყიდეს.

რუსთაველის ერთ-ერთ დამსახურება მსოფლიო ლიტერატურის წინაშე სწორედ ესაა, რომ მან გმირის შინაგანი სულიერი განვითარებისა და გარდაქმნის ურთულესი მხატვრული პრობლემა გადაწყვიტა ჯერ კიდევ XII ს-ის მიწურულს. პოემაში არა მარტო სიტუაცია იცვლება, არამედ პერსონაჟების ხასიათი, მორალი და მსოფლმხედველობაც. აქ ხდება გმირის შინაგანი გარდაქმნა და ამაღლება. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა ნესტანის წერილი ქაჯეთის ციხიდან, სადაც ნესტანი ლაპარაკობს საკუთარი სიცოცხლის შეწირვაზე ტარიელისა და სამშობლოს სასარგებლოდ.

წერილის ავტორს მიაჩნია, რომ გადასინჯვას მოითხოვს აგრეთვე ხატალებთან ტარიელის ომის შეფასება, როგორც სამართლიანი ომისა. აქ გათვალისწინებული უნდა იქნას

ივ. ჯავახიშვილისა („ქართული ენისა და მწერლობის...“ 1956, გვ. 17-18) და კ. კეკელიძის (ეტიუდები, X, 1968, გვ. 291-292) თვალსაზრისი, სადაც აღნიშნული ომი მიჩნეულია უსამართლოდ არა მხოლოდ თანამედროვე, არამედ ფეოდალური ეპოქის ზნეობრივი და პოლიტიკური ნორმებითაც. **გ. ა.**

440. თამარ ვაშაკიძე

დერივაციულ სახელთა ოკაზიური წარმოშობის ზოგი საკითხისათვის

„ვეფხისტყაოსანში“

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1991, № 3, გვ. 55-60.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ დადასტურებული დერივაციული ოკაზიური ფორმები ძირითადად ორი სახისაა:

1. მიღებული საწარმოებელ ფორმაციათა მოდიფიკაციის გზით. ამ შემთხვევაში წარმოქმნილ სახელს იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ძირეულ სიტყვას, მაგ., სახელებიდან: ხმა, გზა, ალი იწარმოება: ხმიანი, გზობა, გზეთი, ალობა.
2. მაწარმოებელი ფორმანტები ერთვის ისეთ ფუძეებს, რომელთათვისაც უცხოა ამგვარი აფიქსები, მაგ., მქონებლობის -**იან** სუფიქსით არის წარმოქმნილი: დალატიანსა, სირცხვილიანად; -**ოსან** ფორმანტით: პერანგოსანი, ჭარმაგოსანი, არბარგოსანი.

უქონლობის აფიქსების დართვით მიიღება: უღამოსა, უთამამოსა, უშმაგო, უმისჟამისოდ და მისთ. -**ობა** ფორმანტით იწარმოება აბსტრაქტული სახელები: ბნელობა, ნაზობა, გრძელობა და სხვ.

დანიშნულების სახელებს აწარმოებს სა - ე აფიქსები: საარაკე, სააკვანე, სამუხთალე, საომარე.

ოკაზიური წარმოების ფორმების უმეტესობა გამოყენებულია სარიტმო ერთეულებში და ემსახურება ლექსის სტრუქტურის სრულყოფას.

ნარკვევს ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე. **გ. ა.**

441. ქეთრინ ვივიენი

შოთა რუსთაველი და ქართული ტრადიცია

ჟურ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბ., 1991, № 6, გვ. 192-200.

მკვლევარი წერს: ქართული ტრადიციები უძველესი დროიდან მომდინარეობს. ზოგიერთი მათგანი სათავეს იღებს წარმართობის ხანაში... შოთა რუსთაველმა ფორმა და ჟღერადობა მიანიჭა უძველეს პრინციპებს, რომლებიც დღესაც გზის მანათობელი ვარსკვლავის როლს ასრულებს ქართველი ხალხისათვის. „ვეფხისტყაოსანი“ შუა საუკუნეების ბრწყინვალე პოეტური ნაკადის ორგანული ნაწილია. ზოგიერთი ნიშნით ის უკავშირდება ეპოსის ისეთ ნიმუშებს, როგორებიცაა „პარციფალი“ და „ტრისტანი“. ისინი მოგვითხრობენ კეთილშობილური მისწრაფებების, სახელოვანი ბრძოლების შესახებ. მათში აღწერილია დახვეწილი კურტუაზული სიყვარული და ერთგული რაინდული სამსახური. ისევე როგორც ინგლისში მეფე ართურის ლეგენდებმა, „ვეფხისტყაოსანმაც“ შექმნა ღირსების კოდექსი მომავალი თაობებისათვის.

ავტორი აღნიშნავს, რომ პროვანსული პოეზია ბევრს დაესესხა არაბულ წყაროებს. ქართველი სწავლულებიც იცნობდნენ არაბულ ლიტერატურასა და მეცნიერებას. პოემის ზოგიერთი ეპიზოდი და იდეები ეხმიანება არაბულ და სპარსულ კლასიკურ თხზულებებს – „შაჰნამეს“, „ვისრამიანს“, „ლეილა და მაჯუნს“ და სხვ. **გ. ა.**

442. ვალერიან ზუზბაია

„ნაღის“ განმარტებისათვის „ვეფხისტყაოსანში“

ჟურ. „რიწა“, 1991, № 1, სოხუმი, გვ. 134.

ავტორი წერს: სწორია თეიმურაზ ბაგრატიონის განმარტება (591 სტროფთან – „კლდეთა ნაღი“), რომ კლდეში ბუნებრივი სვეტები და შუა და შუა გასასვლელები იყო. ქანების ასეთი წყობა ვულკანურ წარმონაქმნებში (ანდეზიტი, ბაზალტი, ტრაქიტები, დიაბაზები) გვხვდება. ამას გეოლოგიურ ლიტერატურაში „სვეტისებრი განწევრება“ ეწოდება. **გ. ა.**

443. მურმან თავდიშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ დაფანტული სტროფები

თბ., 1991, 530 გვ., რედაქტორი რ. მიშველაძე.

ანოტაციაში ვკითხულობთ: წიგნი აერთიანებს ყველაფერს, რაც მ. თავდიშვილს რუსთველოლოგიურ საკითხებზე დაუწერია. ძირითადად აქ წარმოდგენილია ნარკვევები პოემის ტექსტის პრობლემებზე. მეცნიერული მსჯელობის საფუძველზე (რუსთველისეული კანონზომიერების მომარჯვებით) აღდგენილია გენიალური ნაწარმოების მრავალი აუცილებელი სტროფი. ავტორის საბოლოო მიზანია, ამ მონოგრაფიულ ნარკვევზე დაყრდნობით გამოსცეს „ვეფხისტყაოსნის“ ახალი, ყველაზე სრული რექსტი.

წიგნის შინაარსი (სარჩევი):

მართალი სიტყვა „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგზე (გვ. 4-59)

„ვეფხისტყაოსნის“ დაფანტული სტროფები (გვ 60-513):

1. „გარდააყარეს გუარი“
2. თორმეტი მონა და ერთი შერმადინ
3. არ არის „უცხო პირად და ტანადო“
4. „მე მარგალიტსა მოგიმკი“
5. რას მიერჩი მას რიტორსა, არ ანებებ მისსა მასა?“
6. „წმინდა რამ აუმღვრევია“
7. პირველსა სიტყვასა მოვიდეთ
8. არ გავრყვნათ შინაარსი
9. „იგი სადმე გაღარიბდეს“
10. „ოდიოგან ვეძებ ამბავთა“
11. „ცნას მიზეზი შენთა წყლულთა“
12. „ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა?“
13. აბანოში რა გინდოდათ?
14. „მზესა აკლდეს ოდენ ვისად“
15. „მუნ სადა ზღვისა ჭიპია“
16. ამბავი დევთა დახოცვისა
17. „მას ვაქებ, ვინცა მიქია“
18. ისევ „წითელი ასი ათასის“ შესახებ
19. „რადლა ვაგრძელებ სიტყვასა“
20. „მუნ ჩემი სასურვალეები“
21. „ყმასა წავჰყვე წამავალსა“
22. „ღმერთო, მზეა და ცად არი“

23. „დედის საშოში ნაყოფი იძრა“
 24. „მუნ ზათქნი იქნებოდიან“
 25. ღვრიდა კი არა, – ღრვიდა
 26. „მართ ვითამცა ძალლი ყეფსა“
 27. რუსთველი და მხატვრობა
 28. თანალმობის ეტიკეტი...
 29. მარგალიტი მტვერში
 30. „არვინ ჩნდეს მუნ მეომარე“ („ინდოხატაელთა ამბის“ პრობლემები)
 31. „ვეფხისტყაოსნისა“ და „ინდო-ხატაელთა ამბის“ ენობრივ-სტილური ერთიანობა
 32. „ინდო-ხატაელთა ამბის“ დაფანტული სტროფები
 33. ეპოლოგისა და პროლოგის გამო
 34. პოემის ინტერპოლატორული სტროფები
 35. გულშავი და ... ყაყაჩო
 36. უცხოური ენის საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“
 37. რუსთველური კანონზომიერებანი და ტექსტის პრობლემა
 38. ღვთისგან არს ყოვლი ხელმწიფე
 39. გრამატიკული ცალმხრივობის შესახებ რუსთველოლოგიაში
 40. მხოლოდ უცილებელი შენიშვნები
 41. სამი ტექსტუალური შენიშვნა
 42. რეპლიკათა არქიპელაგი
- მოსაზრებათა ნამცვრევები (გვ.514-519)
 გასრულდა ესე ამბავი (ბოლოსიტყვის მაგიერ, გვ. 519).
 წიგნს ერთვის დასახელებულ პირთა და განხილულ სტროფთა საძიებლები (გვ. 520-530).
 წიგნში შესული გამოკვლევების ანოტაციები იხ. მათი პირველი პუბლიკაციებიდან (1983-1991 წლებში). გ. ა.

444. მ. თავდიშვილი

ვიკტორ ნოზაძის „მეტყველებანი“

ჟურ. „ცისკარი“, 1991, № 8, გვ. 264-288.

მკვლევარი ზოგადად მიმოიხილავს ვ. ნოზაძის რუსთველოლოგიურ ნაშრომებს: „ფერთამეტყველება“ (ბუენოს აირეასი, 1953-54); „ვარსკვლავთმეტყველება“ და „ბუნებისმეტყველება“ (ერთ წიგნად), (სანტიაგო დე ჩილე, 1957); აღნიშნავს, რომ ვ. ნოზაძე დეტალურად და საფუძვლიანად იკვლევს თითოეული ფერის სიმბოლურ და მხატვრულ გამოყენებას ლიტერატურაში, ფერებთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებს სხვადასხვა ხალხში. ფერებს დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანთა ჩაცმულობაში. აღნიშნულია, რომ „ვეფხისტყაოსანში“ პიროვნებანი, მათი სოციალური მდგომარეობისა და საქმიანობის მიხედვით, სხვადასხვა ფერის სამოსს ატარებენ. განხილულია ტერმინები: ბისონი, ძოწეული, ზეზი, მოლი, შარდი და სხვ.

ვ. ნოზაძე წერს: **სარდის, სარდეს** იყო ლიდის სატახტო ქალაქი მცირე აზიაში, სადაც საუკეთესო ქსოვილებს ამზადებდნენ. ეგვიპტურ ენაზე მას **შარდინა** ერქვა. აქედან წარმოიშვა პოემაში დასახელებული ერთ-ერთი ქსოვილის სახელი შარდი. წიგნში დახასიათებულია ძვირფასი ქვები: ალმასი, ბადახში, იაგუნდი, აყიყი, ფირუზი, გიშერი, და სხვ. ვრცლად განხილულია მარგალიტის, როგორც სამკაულის და, როგორც მხატვრული სახის, სიმბოლოს, მნიშვნელობა.

გამოკვლევაში „ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება“ განხილულია პოემაში ასახული ციური სამყარო, მნათობთა ასტროლოგიური მნიშვნელობა, მათთან დაკავშირებული ცნებები: ზოდიაქო, ეტლი, ბედი, შვიდი და ცხრა ცა, რწმენა მნათობთა ზემოქმედების შესახებ ადამიანთა ყოფა-ცხოვრებაზე და სხვ.

„ვეფხისტყაოსნის ბუნებისმეტყველებაში“ დახასიათებულია პოემაში წარმოდგენილი ფლორა და ფაუნა; მცენარეების, ცხოველების ფრინველების ნიშან-თვისებათა გამოყენება მხატვრულ მეტყველებაში, თხზულების პერსონაჟების ინდივიდუალური სახე-ხასიათების შექმნის მიზნით. გ. ა.

445. მ. თავდიშვილი

ტრადიციული თუ ახლებური?

გაზ. „ერთობა“, 1991, № 21; აგრ. წიგნში – „ვეფხისტყაოსნის ტექსტის საიდუმლოებანი“, თბ., 2000, გვ. 62-69.

ავტორი ეხება აფორიზმის ვარიანტულ წაკითხვებს: „რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს, დაამქნაროსა, იგი წახდების, სხვა მოვა ტურფასა საბადნაროსა“ (35,3). მკვლევარი „წახდების“ ფორმას ახლებურს უწოდებს, თუმცა აღნიშნავს, რომ ის მოულოდნელი არაა, რადგან ხელნაწერთა ნაწილი მხარს უჭერს. ტრადიციულად კი მას მიაჩნია ფრაზა: „იგი წავა და სხვა მოვა...“, რომელიც, მისი თქმით, „ნანინასავით ღვთაებრივია“, იგი წახდების კი უმწეო და უგერგილოა“. იგი წასვლა-მოსვლის ანტონიმური ფორმის უპირატესობის საბუთად იმეორებს თვით პოემის ტექსტიდან ასეთ გამოთქმებს: „უჩინოდ წავლენ-წამოვლენ“; „რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისკენ მიდიან“. გ. ა.

446. მ. თავდიშვილი

გულშავი და... ყაყაჩო

გაზ. „ლიტერატურა და სხვა“, 1991, 2 ნომ. № 7-8.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ყაყაჩო“ „ვეფხისტყაოსანში“ ერთხელ გვხვდება: „მომკალ, ქალსა თავშიშველსა თუ მზე ვითა ეურჩოსა, სული ვარდსა დავამსგავსე, თავ-მოხდილი – ყაყაჩოსა“ (1584,2), მაგრამ ეს მცენარე უნდა იგულისხმებოდეს სხვაგანაც, სადაც პოეტი სიტყვა „შავგულს“ ხმარობს, მაგ.: „თვალ-მარგალიტი ავიღე... მას წელთა შევარტყი, შავგული ვისთვის კვდებოდა“ (1173,4); „გულო, შავგულო, დაბმულხარ...“ (1288,4).

მკვლევრის აზრით, ორფეროვანი ყაყაჩო, ანუ შავგულა, მეტაფორაა იმ პერსონაჟისა, რომელიც გარეგნულად მომხიბლველია, ოღონდ მძიმე ვითარების გამო დანალვლიანებულია და ამიტომ გაგულშავებულია, „შავგულია“. გ. ა.

447. ცირა ინჭკირველი

ქრისტიანული მოტივები „ვეფხისტყაოსანში“

(საქართველოს ეროვნული დროშის ფერთა სიმბოლიზმისათვის)

სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1991, 269 გვ.; აგრ. ავტორეფერატი (რუსულ ენაზე), 28 გვ. ხელმძღვანელი – პროფ. რ. სირაძე. იხ. ანოტ. № 408.

448. ანდრე კარბელაშვილი

ოსკარ მეფე, „ვეფხისტყაოსანი“

და ალექსანდრე ცაგარელი

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1991, 5 აპრ., № 14, გვ. 14.

ავტორი წერს, რომ შვეციის და ნორვეგიის მეფე ოსკარ მეორე მფარველობდა მწერლებსა და მეცნიერებს. მას ჯერ კიდევ გამეფებამდე, 1868 წელს ფილოსოფიის დოქტორის წოდება მიენიჭა.

1889 წელს, სექტემბერში, სტოკჰოლმში გაიმართა ეთნოგრაფთა VIII საერთაშორისო კონგრესი. მისი საპატიო თავმჯდომარე იყო მეფე ოსკარი. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ა. ცაგარელი. მან კონგრესის თავმჯდომარეს გადასცა „ვეფხისტყაოსნის“ ახალი ქართული გამოცემა (1888 წ.).

მეფე ოსკარს წაუკითხავს პოემის მოკლე შინაარსი ფრანგულ ენაზე, მოსწონებია მის დედააზრი და წიგნის ბეჭდვისა და გაფორმების მაღალი დონე. მეფეს წიგნი საკუთარ ბიბლიოთეკაში შეუნახავს, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო საჩუქარი. **გ. ა.**

449. მარიამ კარბელაშვილი

„ყოვლი დამალული საქმე ცხადად გამოცხადდეს“

გაზ. „მამული“, 1991, № 12, (ივნისი) გვ. 3; № 14 (ივლისი), გვ. 3;

ავრ. საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 1991, ტ. 141, № 2.

წერილის ავტორი ჰიპოთეზის სახით აყენებს საკითხს თამარ მეფის ორი მეჭურჭლეთუხუცესის – შოთა რუსთაველისა და ყუთლუ-არსლანის პიროვნებათა იდენტოფიკაციის შესახებ. იგი ჩამოთვლის მეცნიერულ ორიენტორებს, რომლებიც ბადებენ აზრს ამ ორი პიროვნების იგივეობის შესახებ: ორივეს ბიოგრაფია უცნაური იდუმალების ბურუსით არის მოცული; ორივეს საგვარეულოს კვლევამ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და განსხვავებული არგუმენტაციით ისინი ერთსა და იმავე საგვარეულოს (სამძივარ-თორელებს) დაუკავშირა.

წერილის ავტორის განცხადებით, „ვეფხისტყაოსანი“ ფილოსოფიური პოემაა, რომლის შესაცნობად მასალებს წარმოადგენს „ესე ამბავი სპარსული“. მისი აზრით, „სპარსული“ აქ „არა მხოლოდ ეთნიკური, ან ეთნიკურ-რელიგიური, არამედ პოლიტიკური ტერმინია“, რომელიც „საწყისს ანტიკური ისტორიული, მხატვრული და, რაც მთავარია, ფილოსოფიურ-პოლიტიკური ლიტერატურიდან იღებს, სადაც „სპარსული“ პიროვნული ხელისუფალის კანონით შეუზღუდავი მმართველობის სონონიმია, წინააღმდეგ „ათენს ბრძენთა“ დებულებისა სახელმწიფოს მმართველობაში კანონის უზენაესობის შესახებ“.

მკვლევარი მიუთითებს, რომ „საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი სახელმწიფოებრივი მმართველობა სჯობს – საუკეთესო პიროვნებისა, თუ საუკეთესო კანონებისა, დაყენებული და გადაჭრილია არისტოტელეს პოეტიკაში და საკითხი ამ უკანასკნელის – კანონის უზენაესობის სასარგებლოდაა გადაწყვეტილი“. წერილის ავტორის აზრით, „შოთა რუსთაველმა არაბეთის სახით „ათენის ბრძენთა“ საქმეებზე სახელმწიფოს მხატვრული სახე შექმნა“. მისი დაკვირვებით, „ვეფხისტყაოსანში“ ვხვდებით ტერმინებს, რომლებიც არისტოტელეს „პოლიტიკის“ და „ეთიკის“ კონტექსტში პოულობენ განმარტებას (№ 12).

მ. კარბელაშვილს შემთხვევითად არ ეჩვენება ისტორიკოსთა მიერ შოთა რუსთაველის მოუხსენებლობა და ყუთლუ-არსლანის მხოლოდ ერთი ისტორიკოსის მიერ ხსენება, იქაც განმაქიქებელი ეპითეტებით. მისი აზრით, „მასალები რუსთაველის ბიოგრაფიისთვის არა ულმობელი დროის, არამედ ულმობელი იდეოლოგიის მსხვერპლია – ისინი შეგნებულად არის განადგურებული, თუმცა მეტი სიზუსტისათვის, იმდენად განადგურებული კი არაა, რამდენადაც შეგნებულად მიჩქმალული და ტენდენციურად გაშუქებული“. ყოველივე ამის მიზეზი კი, წერილის ავტორის აზრით, შოთა რუსთაველისა და ყუთლუ-არსლანის ის პროგრესული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეთიკურ-პოლიტიკური კონცეფციებია, რომელთა ანალიზის საფუძველზე (სხვა არგუმენტებთან ერთად) მიიჩნია მკვლევარმა ერთ და იმავე პიროვნებად შოთა რუსთაველი და ყუთლუ-არსლანი (№ 14). **ნ. გ.**

450. მალხაზ კობიაშვილი

რუსთველისადმი

მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმში

ჟურ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1991, № 4, გვ. 157-159.

ავტორი წერს, რომ 1991 წ. აპრილის თვეში, ფინეთში, ქ. ტურკუს უნივერსიტეტში ჩატარდა საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმში, რომელიც მიემდგვნა შუა საუკუნეების ქართულ კულტურას, ძირითადად კი შოთა რუსთაველს და მის „ვეფხისტყაოსანს“. ასეთი სიმპოზიუმის ჩატარების იდეა გაჩნდა მას შემდეგ, რაც 1990 წლის ბოლოს „ვეფხისტყაოსანი“ გამოქვეყნდა ფინურ ენაზე. მთარგმნელია მწერალი და მეცნიერი ოლავი ლინუსი.

შეკრებაში მონაწილეობდნენ ცნობილი მეცნიერები და მთარგმნელები სხვადასხვა ქვეყნიდან: აშშ, გერმანია, ჰოლანდია, დიდი ბრიტანეთი, ისრაელი, პოლონეთი, სსრკ; მათ შორის – საქართველოს დელეგაცია სარგის ცაიშვილის მეთაურობით.

ინგლისურ და ქართულ ენებზე წაკითხულ მოხსენებებში წარმოჩენილი იყო თანამედროვე რუსთველოლოგიური მეცნიერების მიღწევები, მისი პრობლემატიკის გამდიდრება ახალი საკვლევადიებო მეთოდებით. **გ. ა.**

451. ქეთევან ლორთქიფანიძე

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის (?) ერთი ადგილის გაგებისათვის

ჟურ. „კრიტიკა“, 1991, № 5-6, გვ. 156-159.

წერილი ეხება „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგის (და არა პროლოგის) ერთ სარიტმო სიტყვას: „ვწერ ვინმე მესხი მელექსე, მე რუსთველისა დამისა (1583,4). ავტორი იცნობს ამ სიტყვის სხვადასხვა დაწერილობას ხელნაწერებსა და გამოცემებში, აგრეთვე მკვლევართა განმარტებებს და აღნიშნავს, რომ ეს სიტყვა პოემის ტექსტში შევიდა თურქულენოვანი სამყაროდან. ლექსემა „dam“ აღიარებულია ინდოევროპულ ფუძედ და ხშირად გვხვდება თურქულ ენებში (ჩადათაური, აზერბაიჯანული, ყირგიზული, თურქული, უიღურული...); გავრცელებულია ანატოლიური თურქულის დიალექტებში.

დამი ნიშნავს : „სახლს“, „ქოხს“, „სადგომს“. ქართულში მას „სახლი“-დან შეიძლება მიეღო „გვარის“ მნიშვნელობა. ამრიგად, მკვლევრის აზრით, სიტყვა „დამი“ სახლის, გვარის მნიშვნელობით „ვეფხისტყაოსანში“ სავსებით დასაშვებია. **გ. ა.**

452. თენგიზ მგელიაშვილი

საქართველოს გეოარქეოლოგია

(ნარკვევები)

თბ., 1991, 169 გვ.

წიგნის პირველ თავში – „მვირფასი და სანახელო ქვეები“ – განხილულია მინერალები და ქანები, რომლებიც გამოიყენება მშენებლობასა და სამკაულების წარმოებაში. უზბეკი მეცნიერის ალ-ბირუნისა და აკად. ა. ფერსმანის შრომებზე დაყრდნობით მოცემულია საკუთრივ მვირფასი ქვებისა და ცალკე – სანახელო ქვების კლასიფიკაცია.

ავტორი აღნიშნავს, რომ ძველი მინერალური ტერმინების კვლევის ერთ-ერთ სიძნელეს წარმოადგენს სინონიმების სიმრავლე. მაგ., სარდიონის შესატყვისად ძველ ქართულ ძეგლებში გვხვდება; აკატე, აქატე, იამანი, აყიყი და სულიმანი. ამათგან აკატი და აქატე შემოსულია ბერძნული ენიდან, სხვები – არაბულიდან.

ქვეთავში – მვირფასი ქვეები შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ (გვ. 31-39) – დაზუსტებულია წითელი იაგუნდის, ყვითელი იაგუნდის, ლალის (ბადახშის), ფაზარის ფიზიკურ-ქიმიური თვისებები და დანიშნულება (ეს ნარკვევი გამოქვეყნებული იყო 1970 წელს, იხ. „რუსთ. ლიტ. ბიბლიოგრაფიის“ IV ტ., ანოტ. № 382). **გ. ა.**

453. რამაზ პატარიძე

მხატვრული მზე „ვეფხისტყაოსნისა“

ჟურ. „მნათობი“, 1991, № 1, გვ. 137-144.

მკვლევარი ეხება „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთ მეტაფორასა და შედარებას, რომლებშიც მზე ფოგურირებს. იგი კვლავ უბრუნდება ადრე განხილულ სტრიქონს: „ცუდი არის სიყვარული, ქვეით კოცნა, მზისა წვერვა“ (698ა). იგი უარყოფს „მზისა წვერვის“ მისეულ განმარტებას, ვინაიდან უფრო სწორად და დასაბუთებულად მიაჩნია გ. არაბულის მოსაზრება, რომლის მიხედვით „მზისა წვერვა“ მზისთვის ცქერას, გადატანით – „მზეზე“ ფიქრს, „მზესთან“ სიახლოვის სურვილს ნიშნავს.

მკვლევარი მიზანშეწონილად თვლის, რომ პოემის ძირითად ტექსტში შევიდეს ხელნაწერების 301 სტროფი: „აწ იმა ყმისა საკრავად ხრმალსმცა ვით მივჰყავ მე ნები“. ასწორებს პირველი ტაქტის რითმას, რაც მისი ჩანართობის ერთ-ერთ საბუთად ითვლებოდა.

810ა – „მე სოფელმან მომამორვა უკეთესსა ჩემსა მზესა“ და 1201ა – ჰგვანდა, ოდეს ლომსა შეჯდეს მზე, მნათობთა უკეთესი. რ. პატარიძის აზრით, ამ ტაქტებში მზის ზედსართავად ხმარებული „უკეთესი“, ნიშნავს ულამაზესს, უმშვენიერესს. ამ განმარტებით მოიხსნება აზრობრივი ტავტოლოგია, რომელიც თითქოს იყო 1201-ის პირველი და მესამე ტაქტის რითმებში. **ნ. გ.**

454. არჩილ სპარსიაშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ „ორბი“

ლიტერატურული აღმანახი „ალაზანი“, № 2, 1991, გვ. 206-216.

წერილის ავტორის მიზანია, გაარკვიოს „ვეფხისტყაოსნის“ „ორბის“ მნიშვნელობა, რომელიც დასტურდება 980-ე სტროფში („მათ ლაშქართა ყოლბსა შუა ორბი სითმე

გარდმოფრინდა...“). მისი აზრით, აქ ორბს არ აქვს ჩვეულებრივი, მარტივი გაგება, იგი მითოლოგემაა. 980-ე სტროფი „რთული სარწმუნოებრივი თუ საწესჩვეულებო შინაარსითაა შეძერწილი, რასაც უთუო კავშირი აქვს ხალხურ შემოქმედებასთან“.

ძველ და ახალ ქართულ მწერლობაში (როგორც ზეპირსიტყვიერებაში, ასევე წერილობით ძეგლებში) ორბის, ანუ არწივის სიმბოლიკა ორ ურთიერთგამომრიცხველ გაგებას შეიცავს: ბოროტს და კეთილს. იგი ხან მარადიული სიჭაბუკის სიმბოლოური სახეა, მასში ჩანს სულისა და სხეულის განჭაბუკების ძალისხმევა, ხან კი (ქართულ ზღაპარში და აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ დადასტურებულ პრომეთეს მითში) არის „ადამიანური სიკეთის, ადამიანში არსებული ასაღორძინებელი ნათელი ძალების დამთრგუნველი ძალა. მისი დამარცხება მისი დამმარცხებლის კეთილი ნაფიქრ-ნააზრევის განხორციელების პრემიულაა“ ... თუ ამ კუთხით შევხედავთ „ვეფხისტყაოსნის“ ხსენებულ ორბს, მაშინ ავთანდილში, რომელიც კლავს მას, დავინახავთ ფრიდონთან მიმავალ არა უბრალო სტუმარს, არამედ ადამიანს, რომელიც სამზეოსა და ზესუნელის, მიწისა და კოსმოსის ისეთ თანაარსებობაზე და ორგანიზაციაზე ფიქრობს, სადაც ბოროტება არ უნდა ჭაჭანებდეს. ავთანდილი თვითონაა საკრალური პიროვნება. მას, სადაც მიდის, სიკეთე მიაქვს. მისთვის სამზეო „ჩემ“ და „სხვის“ ნაწილებად არაა დაყოფილი“. **ნ. გ.**

455. თამარ ტაბიძე

წითელი ფერის სიმბოლიკა „ვისრამიანსა“ და ლასიკური ხანის ორიგინალურ ქართულ ძეგლებში

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1991, № 4, გვ. 40-53.

ნაშრომში წითელი ფერის სიმბოლიკის ანალიზი წარმოდგენილია „ვისრამიანის“ შეპირისპირებით „ვეფხისტყაოსნის“, „ამირანდარეჯანიანის“, „თამარიანის“ და „აბდულმესიანის“ ტექსტებთან. აღნიშნულია, რომ წითელი ფერი გაორებული შინაარსის მატარებელია. ის ხან პოზიტიურად აღიქმება, ხან ნეგატიურად. „ვისრამიანში“ გვხვდება: წითელი ღაწვები და ბაგეები, წითელი სამოსი, წითელი (სისხლნარევი) ცრემლი, წითელი გველეშაპი... წითელი ფერი (სილამაზის ასპერქტით) გამოიხატება ყაყაჩოს, ვარდის, მარჯნის, იაგუნდის ეპითეტებით და მეტაფორებით. „თამარიანსა“ და „აბდულმესიანში“ წითელი ფერი პირდაპირ მოხსენებული არაა; ის გამოიხატება მხოლოდ ძვირფასი ქვების საშუალებით.

„ვეფხისტყაოსანში“ წითელი ძირითადად სამეფო ფერია; მეფის სასახლე „წითელ-მწვანითაა ნაგები“, სამეფო კარავი – „წითლისა ატლასებისა“, „ტახტი ოქროსა, წითლისა მადრიბულისა“.

მკვლევრის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ წითელი ფერის სიმბოლიკას მეტი კავშირი აქვს დასავლურ ტრადიციასთან, სადაც ხალასი წითელი ფერით გადმოიცემა არისტოკრატიული დიდებულებს, სიმდიდრე, ვიდრე შუა საუკუნეების აღმოსავლურ მწერლობასთან, სადაც წითელი ფერი ძირითადად გამოიხატავს პერსონაჟთა გარეგნულ მშვენიერებას, სინატიფეს და სიჯანსაღეს.

ნარკვევს ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე. **გ. ა.**

456. რიმა ფირცხალაიშვილი

კვლავ რუსთველის ბიოგრაფიული პრობლემის გარშემო

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1991, № 1, გვ. 7-37; № 2, გვ. 5-42; აგრ. წიგნად, თბ., 1991.

ნაშრომი გაგრძელებაა ავტორის გამოკვლევისა, რომელიც წიგნად გამოქვეყნდა 1987

წელს („ახალი მასალები შოთა რუსთველის ბიოგრაფიისათვის“). მასში განხილული იყო შოთაძეთა (შოთაშვილთა) გვარის ისტორია და რუსთველთან მისი მიმართების საკითხი. გაირკვა, რომ შოთაძენი საუკუნეთა მანძილზე იყვნენ მხლებელნი და მცველ-მტვირთველნი საქართველოს ისტორიული სეფე ჯვრისა, რომელიც ომებში მეფისა და ლაშქრის წინააღმდეგ იყო. დოკუმენტურად დადასტურდა ისიც, რომ იმავე სეფე ჯვარისმტვირთველნი იყვნენ თორელნი. ამის საფუძველზე მკვლევარი დაასკვნის, რომ შოთაძენი თორელთა ფეოდალური სახლის განაყოფნი არიან.

შოთა რუსთველის მეჭურჭლეთუხუცესობის ორიენტირმა დააკავშირა მისი პიროვნება თორელთა საგვარეულოსთან. ამავე საგვარეული სახლთან აკავშირებს მას სეფე ჯვარისმტვირთველთა – შოთაძეთა – გვარის ისტორიის კვლევა.

წინამდებარე ნაშრომში ავტორი განიხილავს ორ საკითხს:

1. საქართველოს ისტორიული სეფე ჯვარის, ანუ წმიდა გიორგის ნაწილიანი ჯვარის ტიტულაციისა და საბრძოლო ისტორიის საკითხები.
2. თორელთა საგვარეული განშტოებანი და ბარათაშვილთა გვარის წარმომავლობის საკითხი.

ისტორიული დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე ავტორი ადგენს ნათესაურ კავშირს შოთაძეთა, ქავთარიშვილთა და ბარათაშვილთა გვარებს შორის; ასაბუთებს ბარათაშვილების წარმომავლობას თორელთა გვარიდან.

ნარკვევს ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე. გ. ა.

457. ალექსანდრე ფოცხიშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ ზოგი სადავო საკითხის გარშემო

თბ., „მერანი“, 1991, 156 გვ.

წიგნი ეძღვნება რუსთველის ტექსტის ცალკეული ადგილების გაგებასა და რამდენიმე ზოგადი პრობლემის ინტერპრეტაციას. ზოგი გამოკვლევა ადრე იყო გამოქვეყნებული, მაგ., „ქალისა და სიყვარულის პრობლემა „ვეფხისტყაოსანში“ დაიბეჭდა 1966 წელს („ლიტ. საქ“. 17, VI); „კვლავ ქალის კულტისა და სიყვარულის პრობლემის გარშემო“ („მაცნე“, ელს, 1972, № 2) წარმოადგენს ნ. ნათაძესთან პოლემიკას; „უპირველესი რაინდი თუ უპირველესი ვასალი?“ და „შეხვევა „თავისა მრთელისა“ თუ „თივისა მრთელისა?“ დაბეჭდილია „ცისკარში“, 1980, № 12, აგრ. წიგნში ალ. ფოცხიშვილი, წერილები... თბ., 1981, გვ., 164-192; „ვეფხისტყაოსნის“ ახალი საკოლო გამოცემის გამო“ ნაწილი დაიბეჭდა 1988 წ. „სკოლა და ცხოვრება“, № 1, (იხ. ანოტაცია № 309).

„ქმნა მართლისა სამართლისა“ (გვ. 80-103) პირველად ქვეყნდება. ავტორი განიხილავს ვ. აბაშმადის, ივ. სურგულაძის, ე. ხინთიბიძის, ნ. მელიქიშვილის მოსაზრებებს პოემის 537-542 სტროფებში ასახული მსჯელობისა და მოქმედების იურიდიულ და ზნეობრივ მხარეებზე. ალ. ფოცხიშვილის აზრით, ნესტან-დარეჯანის რჩევა: „მიპარვით მოკალ სასიძო...“ იმიტომაა „მართალი სამართალი“, რომ შექმნილ სიტუაციაში „იგი ყველაზე უფრო ოპტიმალური ვარიანტია სამართლიანობის თვალსაზრისით“.

ნარკვევში „ცუდი არის დამზრალისა გასათბობლად წყლისა ბერვა“ ავტორი ცდილობს ამ ტაეპის პირდაპირი შინაარსის ახსნას. მისი აზრით, აქ იგულისხმება „დამზრალის“ (შეცივებული ადამიანის) გათბობა ცხელი წყლით (გვ. 108-110).

წერილში „ვეფხისტყაოსანი“ და ქართული ეკლესია“ (გვ. 111-131) ავტორი უარყოფს ქართველი საეკლესიო პირების მიერ შოთას პოემის ფიზიკური განადგურების ვარაუდს, რაც ევგ. ბოლხოვიტინოვისა და პლ. იოსელიანის დაუსაბუთებელი განცხადების საფუძველზე

სინამდვილედ მიაჩნდათ თ. ჟორდანიას, პ. ინგოროყვასა და ალ. ბარამიძეს. მკვლევრის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ ნაბეჭდი ცალები თუ მართლაც განადგურდა, ეს უნდა მომხდარიყო 1723 წელს, თურქების მიერ თბილისის აღებისა და ვახტანგ VI-ის სტამბის დარბევის დროს.

წერილში „ვეფხისტყაოსანი“ და ნიკო მარი“ (გვ. 131-152) წარმოჩენილია ნ. მარის დიდი დამსახურება ქართული ფილოლოგიური მეცნიერების განვითარებაში, მათ შორის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტოლოგიური და ზოდად-თეორიული პრობლემების გარკვევაში; მხილებულია ნიჰილისტური დამოკიდებულების უსაფუძვლოება, რომელსაც რ. თვარაძე ამჟღავნებს ნ. მარის მოღვაწეობის მიმართ. გ. ა.

458. მარინე ქასრაშვილი

რაინდული იდეალის გენეზისის საკითხისათვის ძველ ქართულ მწერლობაში

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1991, № 4, გვ. 24-39.

ავტორი წერს, რომ ქართულმა ჰაგიოგრაფიულმა ლიტერატურამ შექმნა ეროვნული გმირის სახე, რომელიც იდეალური ადამიანია, გამარჯვებული საკუთარ თავზე, სულიერად ძლიერი და ამაღლებული, სარწმუნოებისა და სამშობლოსათვის თავგანწირული. X-XII საუკუნეების ნათარგმნ ძეგლებში აღწერილია წმინდა მხედართა თავგადასავლები. წმ. გიორგის მებრძოლი სახე იმდენად ახლობელია ქართველისათვის, რომ იგი მოიაზრება, როგორც ეროვნული წმინდანი.

მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი“ და რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ გვიდასტურებენ, რომ ფეოდალური მონარქიის აყვავების ხანაში საქართველოში არსებობდა მძლავრი სარაინდო ინსტიტუტი თავისი წესებით, ჩვევებით, ქცევის ნორმებით. კლასიკურ ხანაში „რაინდის“ მნიშვნელობით იხმარებოდა „ჭაბუკი“ და „მოყმე“. ავტორის აზრით, „მოყმეთა“ წოდებაში უნდა იგულისხმებოდეს ქრისტეს მოყმენი.

საერო მწერლობაში შექმნილი ახალი იდეალური სახე (ჭაბუკი, მოყმე) მჭიდროდ უკავშირდება სასულიერო მწერლობის გმირის იდეალს, მაგრამ საერო მწერლობის მოყმე-რაინდისათვის ამქვეყნიური ცხოვრება ღირებულება და სწორედ იგია ჭეშმარიტების შემეცნების უშუალო წყარო; გმირი ამქვეყნიურ რეალობაში ცხოვრობს და ცდილობს, რომ ის უფრო სამართლიანი და მშვენიერი გახადოს.

ნაშრომს ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე. გ. ა.

459. ალექსანდრე ქუთათელაძე

ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა ზოგიერთი ფაუნური სახელის სწორად გაგებისათვის

წიგნში – „ვაჟას კრებული“, III, (თსუ-ს ვაჟას კაბინეტის გამოცემა), თბ., 1991, გვ. 215-290.

ნარკვევის 217-228 გვერდები უჭირავს ვეფხესა და ჯიქზე მსჯელობას, მათ დახასიათებასა და იდენტიფიკაციას.

ავტორი აღნიშნავს, რომ თანამედროვე ქართული ზოოლოგიური და ლექსიკოგრაფიული ლიტერატურა არასწორად გვაწვდის ჩვენი ფაუნის მრავალი წარმომადგენლის სახელწოდებას, რასაც შეცდომაში შეჰყავს მეცნიერი, მთარგმნელი, მხავარი და ა.შ.

მისი აზრით, „ვეფხისტყაოსანში“ ვეფხად სახელდებული ცხოველი მომცრო ტანის, ხალებიანი ტყავის მქონე მხეცია, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ბინადრობდა და მისი

მოკვლის არა ერთი შემთხვევაა დამოწმებული XIX და XX საუკუნეებშიც. მას შეცდომით თარგმნიან „ტიგრად“ რუსულ და ევროპულ ენებზე. მისი რუსული შესატყვისია „ბარსი“.

„ტიგრი“ ორჯერ და სამჯერ უფრო დიდია ვეფხვზე. მას ხერხემლის გასწვრივ შავი ბეწვი გასდევს და გვერდებზე შავი ზოლები აქვს, ქვემოთ დაშვებული. მას ქართულად **ჯიქი** ეწოდება. საქართველოს ტერიტორიაზე მისი გამოჩენის სამი შემთხვევაა ცნობილი: ერთი კახეთის სამეფოში, ჭარში (ფიფინეთი) მოუკლავთ ჭარელებს და ტყავი ერეკლე მეფისთვის მიურთმევიან. მეორეც ისევ XVII საუკუნეში, ახმეტის მთაში, ტყეში უნახავთ. მესამე სოფ. ლულობის მახლობლად, საკორდისის ხევი მოკლეს 1922 წელს. ისიც ტალიშიდან (აზერბაიჯანიდან) იყო შემოსული. **გ. ა.**

460. გალაქტიონ ღლონტი

შოთა და აკაკი

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1991, 15 ნომბ., № 7. გვ. 12.

ავტორი აღნიშნავს, რომ აკაკი წერეთელი ჭაბუკობიდანვე შთაგონებული იყო რუსთაველის პოემით. პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის დროს, 1862 წელს, საკანდიდატო ნაშრომად წარუდგენია ნარკვევი „რამდენიმე სიტყვა „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალურობის დასაცავად“. შემდეგში იგი კითხულობდა საჯარო ლექციებს და აქვეყნებდა წერილებს „ვეფხისტყაოსნის“ საკითხებზე, სადაც აღნიშნავდა, რომ შოთას თხზულება პოეტური წინასწარმეტყველებაა. მასში გადმოცემულა ქართული სინამდვილე, მთლიანი საქართველოს იდეა და ამ იდეის განხორციელების გზა. აკაკისათვის რუსთაველი სახე-სიმბოლოა საქართველოს სახელოვანი წარსულისა, რომელიც განაპირობებს სასურველ მომავალს.

ტყვეობაში მყოფ ნესტან-დარეჯანს აკაკი მისი დროის საქართველოს სიმბოლოდ მიიჩნევდა, ხოლო ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი სამშობლოს გამათავისუფლებელი მომავალი ქართველი გმირების მისაბამ მაგალითად და შთამაგონებლად მიაჩნდა. **გ. ა.**

461. პალმა შელკენი

მოგონებანი „ვეფხისტყაოსნის“ უბადლო მთარგმნელ ბელა ვიკარზე

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1991, № 3, გვ. 142-150, (უნგრულიდან თარგმნა ივანე იმერლიშვილმა).

წერილში გადმოცემულია ბელა ვიკარის მრავალმხრივი მოღვაწეობა, მათ შორის დიდი დაინტერესება უნგრული ფოლკლორით. აღნიშნულია, რომ ბ. ვიკარმა ექვსი ათასზე მეტი სიმღერა ჩაიწერა სტენოგრაფიული წესით, ხოლო 1906 წელს გამოსცა 600-ფურცლიანი ნაშრომი ორ ტომად – „უნგრული ხალხური სიმღერების შედეგები“.

ბ. ვიკარმა შეისწავლა ფინური ენა და უნგრულად თარგმნა „კალევალა“, რომელიც 1909 წელს გამოსცა უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიამ. მ. ზიჩის თხოვნით და წაქეზებით გადაწყვიტა მან რუსთაველის პოემის თარგმნა და ამ მიზნით 50 წლის ასაკში დაიწყო ქართული ენის შესწავლა.

მოგონების ავტორი იმოწმებს თვით ბ. ვიკარის მონათხრობს: მან ტიტანური შრომა გასწია და ფიქრობდა, რომ უკვე შეისწავლა ქართული ენა, მაგრამ რუსთაველის პოემის თარგმნა რომ დაიწყო, აღმოაჩინა, რომ ძველი ქართულით დაწერილი ტექსტი მისთვის გაუგებარი იყო. გადაწყვიტა დამხმარე მოეძებნა და საქართველოდან მოიწვია ვინმე გიორგი წიკლაური, რომელის ესპერანტოს ენას ფლობდა და ევროპულ ენებზეც ლაპარაკობდა. იგი „ნახევარი წლის

მანძილზე, ყოველდღე ოთხ-ოთხი საათის განმავლობაში ინგლისურ, ფრანგულ და ესპერანტოს ენებზე მაგებიანდა... ქართულ ენაზე დაწერილ საგმირო ეპოსს“.

რვა წლის გულმოდგინე შრომის შედეგი იყო ბელა ვიკარის მიერ რუსთაველის თხზულების თარგმნა, რომელიც 1918 წელს დაიბეჭდა. ბ. ვიკარი თარგმნიდა აგრეთვე გერმანულიდან, ფრანგულიდან, ესტონურიდან, ნორვეგიულიდან. 1945 წელს მას უნდოდა ხელახლა გამოეცა „ვეფხისტყაოსნის“ უნგრული თარგმანი, რაც განუხორციელებელი დარჩა ბ. ვიკარის გარდაცვალების გამო (1945 წ. სექტემბერში). **გ. ა.**

462. როსტომ ჩხეიძე

ნიშანდობლივი დადასტურება

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1991, 17 მაისი, № 20, გვ. 5.

წერილი ეხმაურება ზ. ალექსიძის ნარკვევს „ახალი ცნობა რუვისთაველთა სახლის შესახებ“ („ლიტ საქ.“, 1991, 5 აპრ.). ზ. ალექსიძის მიერ მიკვლეული და განხილული ახალი მასალა წერილის ავტორს პავლე ინგოროყვას დებულებების დამატებით დადასტურებად მიაჩნია შოთა რუსთაველის ბაგრატიონთა ჰერეთის შტოსადმი კუთვნილების თაობაზე (იხ. აქვე ანოტ. №№ 423, 426).

463. სარგის ცაიშვილი

რუსთველოლოგიური ეტიუდები,

„საკარგემოს“ და „საკარგავის“ შესახებ

„ლიტერატურა და ხელოვნება“, 1991, № 4, გვ. 145-153.

წერილის ავტორის მიზანია ტერმინების „ამირბარისა“ და „საკარგემოს“ მნიშვნელობათა გარკვევა. იგი არ იზიარებს „ამირბარის“ ფლოტის სარდლად მიჩნევას. მისი აზრით, მართებულია მეცნიერთა ერთი ნაწილის მიერ ამ ტერმინის სახლთუხუცესად განმარტება. იგი შენიშნავს: „ტარიელის მამას და შემდეგ ტარიელს ფარსადან ინდოთ მეფემ ჩააბარა სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლება, ე. ი. ინდოეთის სინამდვილეში, პოემის მიხედვით, ამირბარობა ითავსებდა ორ სახელოს, ორ თანამდებობას“.

რაც შეეხება „საკარგემოს“, ავტორი უმართებულოდ მიიჩნევს ალ. ბარამიძის მიერ 1958 წელს წარმოდგენილ ამ სიტყვის ახლებურ წაკითხვას, როგორც ეს რიგ ხელნაწერებშია დადასტურებული: „ერთი სამეფო საკარგავად უბოძა ამირბარობა“. ავტორი არ იზიარებს არც ვ. ნოზაძის თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც „საკარგემო“ და „საკარგავი“ სინონიმებია. მისი აზრით, მართებულია ნ. მარისეული განმარტება: „საკარგემო“ – კარგი ყმის შესაფერი, საუკეთესო“, რომელიც გაიზიარა ა. შანიძემ (1957წ.).

ს. ცაიშვილი ასკვნის: „სამოხელეო ტერმინის „საკარგავისაგან“ განსხვავებით, როგორც ჩანს, „საკარგემო“ თვით რუსთველის მიერაა შემოტანილი (იქნებ ხალხური პოეზიის საგანძურიდან) და ნაწარმოებია მისგანვე არაერთგზის მოხსენებული შესიტყვებიდან „კარგი მოყმე“. ამდენად, იგი უფრო ხატოვან ფრაზეოლოგიათა რიგს მიეკუთვნება და, როგორც მოსალოდნელი იყო, არც მიუღია მას გავრცელება ძველ ქართულ იურიდიულ წყაროებში. ხატოვანი გამოთქმა „საკარგემო“ მკვლევრის აზრით, აშკარად რუსთველურია და იგი უნდა დარჩეს „ვეფხისტყაოსნის“ მომავალ გამოცემებში“. **ნ. გ.**

464. ს. ცაიშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ ხატაეთი

ჟურ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1991, № 5, გვ. 194-199.

წერილის ავტორი არ იზიარებს „ვეფხისტყაოსნის“ ხატაეთისა და ჩინეთის გაიგივებას, რაც გვხვდება სამეცნიერო ლიტერატურაში. იგი მიუთითებს რა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ და („რუსუდანანშიც“) ხატაეთი და ჩინეთი ნათლადაა გარჩეული (სხვადასხვა ქვეყნებია), ცდილობს დაადგინოს, თუ რომელი სახელმწიფო ან რა ეთნიკური ჯგუფი იგულისხმება ხატაეთის ქვეყანაში. მისი აზრით, ამის გასაღებს გვაწვდის თვით „ვეფხისტყაოსანი“: ავთანდილთან საუბრისას ტარიელი მის მიერ თავხედობისათვის დასჯილ სამ ძმას, რომელთაც მათივე სიტყვით, სამფლობელოები მოეპოვებათ ხატაეთში, მოიხსენიებს, როგორც თურქებს: „მათ თურქთა მიღმა გამეგო მე არას არ შეწამება“. პოემის ტექსტის ამ ადგილზე დაყრდნობით, აგრეთვე შუა საუკუნეთა აღმოსავლური ისტორიული წყაროებისა და მხატვრული ლიტერატურის ძეგლთა მონაცემების გათვალისწინებით ავტორი ასკვნის, რომ „ხატაეთი უნდა განიმარტოს არა როგორც ჩინეთი ან ჩრდილო ჩინეთი, არამედ, როგორც შუა აზიის თურქულ-მონღოლური მოდემის ხალხებით დასახლებული ქვეყანა, ხოლო 291² ტაეპში: „ქურდნი ვნახენ, რომე თქვენთვის სიტყვა რამე გაემკვახა“, უნდა იკითხებოდეს არა „ქურდნი“, არამედ „თურქნი“.

ნ. გ.

465. ს. ცაიშვილი

დევიდ ლანგის ქართველოლოგიური ღვაწლი

ჟურ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბ., 1991, № 6, გვ. 174-191

ნარკვევში ზოგადად განხილულია დ. ლანგის მოღვაწეობა ქართველოლოგიის სხვადასხვა სფეროში: საქართველოს ისტორია, კულტურა, მწერლობა, ქართული ლიტერატურის განვითარების ეტაპები, „ბალავარიანის“ თარგმნა ინგლისურ ენაზე და სხვ.

აღნიშნულია, რომ დ. ლანგმა რამდენიმე წერილი მიუძღვნა შოთა რუსთაველსა და მის თხზულებას, რომლებშიც ევროპელ მკითხველებს აწვდის ცნობებს რუსთაველის ვინაობის, „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის თარიღის, მისი ჟანრის, ლიტერატურული მოტივებისა და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის იდეების შესახებ.

ავტორი აღნიშნავს, რომ დ. ლანგი იყო „ვეფხისტყაოსნის“ ვენერა ურუმბისეული ინგლისური თარგმანის გამოცემის ერთ-ერთი რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორი. მისი აზრით, რუსთაველი არის „უმადლესი რანგის პოეტური გენია“ და მისი თხზულება ტიპოლოგიური თვალსაზრისით განხილული უნდა იქნას მსოფლიო შედევრების – დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“, ფირდოუსის „შაჰნამესა“ და ნიჰამი განჯელის პოემებთან მიმართებით. გ. ა.

466. [ს. ცაიშვილი]

საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმი

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1991, 31 მაისი, № 22, გვ. 11-12.

გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში ს. ცაიშვილი აღნიშნავს, რომ ფინეთში 1991 წ. აპრილში ჩატარდა ქართველოლოგიური სიმპოზიუმი, რომელიც მოაწვეს ქ. ჰელსინკის, ქ. ტურკუს უნივერსიტეტებმა, ფინეთის აღმოსავლეთმცოდნეობის საზოგადოებამ და ფინეთ-

საქართველოს საზოგადოებამ. სიმპოზიუმზე ერთ-ერთი თემა იყო მწერალ ოლაგი ლინუსის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ ფინური თარგმანის პრეზენტაცია და განხილვა.

მონაწილეთა შორის საგანგებოდ აღნიშნულია დევიდ ბარეტის (ინგლისი, ოქსფორდი) მოხსენება „რუსთაველი და არაქართველი მკითხველი“, რომელშიც განხილული იყო რუსთაველის მსოფლმხედველობა, პოემის ძირითადი საკითხები: სიკვდილ-სიცოცხლე, სიყვარული, მეგობრობა და მოვალეობა, პერსონაჟების ხატვის ოსტატობა და სხვა.

საქართველოდან სიმპოზიუმში მონაწილეობდნენ: ს. ცაიშვილი (ხელმძღვანელი), ე. ხინთიბიძე, რ. სირაძე, გ. ლეჟავა და მ. კობიაშვილი. **გ. ა.**

467. თინათინ ცქიტიშვილი

„მისგან არს ყოველი ხელმწიფე...“

(ნების თავისუფლების პრობლემა „ვეფხისტყაოსანში“)

თსუ ფილოლოგიის ფაკ. სამეცნ. კონფ. თეზისები, თბ., 1991.

ავტორი ფიქრობს, რომ უნდა გადაისინჯოს ტრადიციული გაგება, რომლის მიხედვით „ხელმწიფე“ ნიშნავს მეფეს, ქვეყნის უმაღლეს პატრონს. პროლოგის სადავო ტაეპის შინაარსი მას ასე ესმის: „მისგან (ღვთისაგან) ყოველი (ადამიანი) ხელმწიფეა, მისეული სახით, ღმერთის მსგავსი (ხელმწიფებით, ანუ ნების თავისუფლებით).

468. შოთა ძიძიგური

ნიკო მარის გამონათქვამები რუსთაველისა და მისი ეპოქის შესახებ

ჟურ. „განთიადი“, ქუთაისი, 1991, № 4, გვ. 158-167.

ნიკო მარის გამონათქვამები ამოკრებილია ავტორის ქართულ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე გამოქვეყნებული ნაშრომებიდან. ვრცელი ამონაწერები მოიცავს პერიოდს 1902 წლიდან 1928 წლამდე.

შ. ძიძიგური აღნიშნავს, რომ მასალები დალაგებულია ქრონოლოგიური წესით, რათა წარმოდგენა ვიქონიოთ მეცნიერის შეხედულებათა ევოლუციაზე. წლების განმავლობაში, ახალ-ახალი ფაქტებისა და მასალების აღმოჩენასთან ერთად, ზოგიერთ დასკვნას ახალი გაშუქება ეძლეოდა. ამიტომ გვმართებს, ნ. მარის შეხედულებები გამოვიყენოთ და შევფასოთ მთლიანობაში, ქართველოლოგიის თანდათანობითი განვითარების საფეხურების გათვალისწინებით.

გ. ა.

469. არჩილ ხალვაში

ფსევდოპერსონა შოთა რუსთაველი

ჟურ. „განთიადი“, 1991, № 1, გვ. 188-192.

ავტორის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ჯვრის მონასტერთან დაკავშირება მითია. იგი სასულიერო პირებმა შექმნეს, ხალხს კი მათი სჯეროდა. ჩანაწერი შოთა მეჭურჭლეთუხუცესზე აღაპთა წიგნში შეტანილი იქნა არა მე-13, არამედ გვიან, მე-17 საუკუნეში. ამჟამად არსებობს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ორი ფსევდონიმი: 1. „რუსთველი“, რომელიც მომდინარეობს თვით პოემიდან. 2. „შოთა რუსთველი“, რომელიც მომდინარეობს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ტენდენციური დოკუმენტიდან.

გაჩნდა მესამე სახელი – „შოთა რუსთაველი“, რომელსაც ხმარობენ რიგითი მკითხველები და ოფიციალური პირები.

მკვლევრის აზრით, „იერუსალიმის ჯვრის მინასტერში არსებული პორტრეტი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორისა არაა“; ჩვენ არ ვიცით მისი ნამდვილი სახელი. ამიტომ მოითხოვს, რომ ის იწოდებოდეს „რუსთველად“, როგორც მოხსენიებულია პოემის ტექსტში. გ. ა.

470. ელიზბარ ჯაველიძე

„ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991, 24 მაისი, №102-103, გვ. 3.

რეცენზენტი განიხილავს ზვიად გამსახურდიას წიგნს „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“ (თბ., 1991 წ.) და აღნიშნავს, რომ ავტორმა კვლევის არეში მოაქცია რუსთაველის თხზულების უაღრესად საყურადღებო პრობლემა – მისი ალეგორიულ-სიმბოლური შრე, რომელიც დღემდე შეუსწავლელი იყო. რეცენზენტი შენიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არის შუა საუკუნეების ტიპური ნაწარმოები, რომლის მხატვრული სისტემა მთლიანად ეფუძნება იგივეობის ესთეტიკას. ამოტომაც მისი შესწავლა უნდა მოხდეს ისტორიულ კონტრქსტში, სწორედ იმ დროს გაბატონებული ესთეტიკური პრინციპებისა და ფილოსოფიური კატეგორიების გათვალისწინებით.

მონოგრაფიული ნაშრომის საფუძვლიანი ანალიზის შედეგად, ავტორისეული მთავარი დებულება ასეა წარმოდგენილი: პოემის ალეგორიურ-სიმბოლური პლანი არის ბიბლიური მოდელი სულის დაცემისა, შემდგომ ინიციაციის გზით მისი ზეაღსვლისა და ღვთიურ საუფლოში დაბრუნებისა.

რეცენზენტის თქმით, „შესაშურია მკვლევრის ინტუიციური ალღო, დახვეწილი გემოვნება და მეცნიერული აზროვნების ისეთი ფართო გაქანება, რომელიც ზემთაგონების საფეხურს აღწევს“

იხ აქვე ანოტ, № 432. გ. ა.

1992 წელი

471. ზურაბ ავალიშვილი

შვიდ მნათობთა ლექსი

ჟურ. „სკოლა და ცხოვრება“, თბ., 1992, № 4, გვ. 32-57.

რუბრიკით „საუბრები ქართულ ლიტერატურაზე“ ჟურნალში დაბეჭდილია ერთი თავი ავტორის წიგნიდან „ვეფხისტყაოსნის საკითხები“ (პარიზი, 1931). პუბლიკაციას უძღვის აკად. შ. ხიდაშელის წინათქმა, რომელშიც მოცემულია მოკლე ცნობები ზ. ავალიშვილის შესახებ და აღნიშნულია, რომ მის წიგნში ყურადღებას იმსახურებს შეხედულებანი, რომლებიც ეხება პოეტის მსოფლმხედველობას, ჰუმანიზმს და მის ფილოსოფიურ საფუძვლებს.

მკვლევარი განიხილავს ავთანდილის ვედრებას მნათობებისადმი: „მიმავალი ცასა შესტირს...“ (სტრ. 937-944). მისი თქმით, რუსთაველი საშუალო საუკუნეებში მიღებული პტოლემეს კოსმოგრაფიის შეხედულებას იზიარებდა. ავთანდილის მიმართავაში მნათობთა რიგი წარმოდგენილია დედამიწიდან მათი დაშორების მიხედვით. გამონაკლისი მხოლოდ მზეა – მას მეოთხე ადგილი უნდა დაეჭირა, რუსთაველი კი პირველ ადგილზე აყენებს. შესაძლებელია, ეს ასტრალური აზროვნების გავლენის შედეგი იყოს, რაც მონოთეისტური რელიგიის ერთ-ერთი საყრდენი გახდა; მზე ღვთის სიმბოლოდ, ანუ ხატად იქნა წარმოდგენილი.

საერთოდ, ავთანდილის მიმართავაში მნათობთა ასტროლოგიური ნიშან-თვისებებიც არის გათვალისწინებული.

მკვლევარი ცდილობს, რუსთაველის თვალსაზრისი უფრო თვალსაჩინო გახადოს ნიჰამი განჯელის „შვიდ სურათში“ (ბარამ-გურიანი) მოცემულ ასტროლოგიურ მსოფლმხედველობასთან შედარების შედეგად. სათანადო შეპირისპირების საფუძველზე ზ. ავალიშვილი დაასკვნის, რომ ნიჰამის პოემაში მნათობებთან დაკავშირებული ასტროლოგიური სქოლასტიკა მისტიკური სქოლასტიკაა. მასთან შედარებით, რუსთაველის ლექსი გვევლინება, როგორც წმინდა, უტენდენციო ხელოვნება. მნათობთა ზოგადი სურათით პოეტი მკითხველის წარმოდგენაში მსოფლიო პეიზაჟს ქმნის, რომლის სიდიადე მთელი თხზულების შთაბეჭდილებას ამაღლებს. გ. ა.

471a. ზ. ავალიშვილი

გველი და მთვარე

ჟურ. „სკოლა და ცხოვრება“, თბ., 1992, № 5, გვ. 50-74.

ჟურნალში გადმობეჭდილია ერთი თავი ზ. ავალიშვილის წიგნიდან „ვეფხის ტყაოსანის საკითხები“, (პარიზი, 1931 წ.); იხ. გ. იმედაშვილი, 1957, ანოტ. № 1108.

472. გულჩინა აკოფაშვილი

რაინდობა შუა საუკუნეების საქართველოში

თბ., 1992, 168 გვ.

ნაშრომში განხილულია ქართული რაინდობის ჩამოყალიბება IX-XII საუკუნეთა საქართველოში, როგორც შედეგი ფეოდალური ურთიერთობის მაღალი დონისა. ნაჩვენებია, რომ ქართული რაინდობა აღნიშნულ ეპოქაში საუკეთესო სამხედრო თვისებების მქონე პროფესიონალ მეომართა მრავალრიცხოვან ფენას წარმოადგენდა. დახასიათებულია რაინდული იდეალები, ზნე-ჩვეულებანი, ფიზიკური აღზრდა, სამხედრო აღჭურვილობა, სპორტული შეჯიბრებები.

აღნიშნულია, რომ სამხედრო ფუნქციის მიხედვით ფეოდალ-მეომარნი გამოეყოფიან საზოგადოებას და ცალკე სოციალურ კატეგორიას ქმნიან. საქართველოში მეფის პირად სამხედრო რაზმს ადრე „ტაძრული“ ეწოდებოდა. ტერმინი „რაინდი“ XI-XII საუკუნეებში დასტურდება (პირველად – „ამირანდარეჯანიანში“); მისი შესატყვისებია: ჭაბუკი, ყმა, მოყმე.

წიგნში სხვადასხვა ადგილას დამოწმებულია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი, როგორც აღნიშნული ტერმინების მნიშვნელობის გარკვევის, ისე საბრძოლო იარაღისა და საჭურვლის აღწერის დროს.

VI თავში მოცემულია ქართული და ევროპული რაინდობის შედარებითი დახასიათება.

VI თავში – „ქართული რაინდული კულტურა“ – აღნიშნულია, რომ ქართული რაინდული რომანის აყვავებისა და სიმწიფის ხანას გამოხატავს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. ეს თხზულება უფრო მაღალი საფეხურია („ამირანდარეჯანიანის“ შემდეგ) ქართული რაინდული ლიტერატურის განვითარებაში. მასში მოცემულია რაინდული რომანისათვის დამახასიათებელი ორივე თემა – სამიჯნურო და საგმირო-სათავგადასავლო.

ავტორის აზრით, რუსთაველის პოემა თავისი ფორმით და შინაარსით ნამდვილ რაინდულ რომანს წარმოადგენს. ესაა ნაწარმოები, რომელმაც მთელი სისრულით ახსნა დახვეწილი რაინდული საზოგადოების იდეალები, მისი სულიერი მოთხოვნილებები და ინტერესები.

წიგნს ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე. გ. ა.

473. Ия Антадзе

Проблема времени и пространства в «витязе в барсовой шкуре»

автореферат дис. на соиск. науч. степ. канд. филол. наук. (01.01.03). Тб., 1992, 26 с.

В надзаг. АН Грузии, Институт Грузинской литературы.

იხ. აქვე ანოტ. № № 424, 425.

474. გიორგი არაბული

შოთა რუსთაველის ბიოგრაფია ქართულ მეცნიერებაში

თბ., „მერანი“, 1992, 120 გვ., რედაქტორი სარგის ცაიშვილი.

შინაარსი: რა იცოდნენ XVI-XVIII სს. საქართველოში „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის შესახებ?

ახალი ჰიპოთეზები და ვერსიები XIX-XX სს. მკვლევართა ნაშრომებში (შოთა კუპრი – შოთა რუსთაველი? შოთას ჩახრუხადეობის ვერსია; შოთას თორელობის ვერსია; შოთას ეპისკოპოსობის ჰიპოთეზა; დემნა ბაგრატიონი – რუსთაველი?).

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორის სახელისა და გვარის დაწერილობა.

რას ნიშნავს „რუსთაველი“?

პოეტის სამშობლო შოთას დროს და მის შემდეგ.

შოთა რუსთაველის ვინაობა ზეპირსიტყვიერების მიხედვით.

ცნობები შოთა რუსთაველის მოღვაწეობის შესახებ.

შოთა რუსთაველის მეჭურჭლეთუხუცესობის თარიღი.

რომელი ფეოდალური გვარიდან იყო შოთა რუსთაველი?

შოთა რუსთაველის სურათი ჯვარის მონასტერში.

შოთა რუსთაველი იერუსალიმში.

წიგნს ერთვის დამოწმებული წყაროებისა და გამოყენებული ლიტერატურის სია და შენიშვნები. გარეკანის მეორე და მესამე გვერდებზე დაბეჭდილია მაქსიმე აღმსარებლის, იოანე დამასკელისა და შოთა რუსთაველის ფრესკები იერუსალიმის ჯვარის მონასტრიდან.

წიგნი წარმოადგენს მონოგრაფიულ გამოკვლევას შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის შესახებ. გათვალისწინებული და განხილულია ყველა, მეტნაკლებად მნიშვნელოვანი, ზეპირი გადმოცემა, წერილობითი ცნობა და მოსაზრება, რომლებიც „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობას, მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას შეეხება. სათანადო ადგილი ეთმობა თ. ბაგრატიონის, პ. ინგოროყვას, ს. კაკაბაძის, პ. რატიანის და სხვების ნაშრომებს. ავტორი

დასაბუთებულად თვლის შოთა რუსთველის მესხური წარმოშობის, კერძოდ – მისი თორელთა გვარისადმი კუთვნილების ვერსიას, რომელსაც ერთმანეთისაგან განსხვავებული, მაგრამ ანგარიშგასაწევი არგუმენტებით იცავდნენ: ს. მაკალათია, ი. მეგრელიძე, ი. აბულაძე, ქ. შარაშიძე, მ. ჯანაშვილი, ნ. შოშიაშვილი, ს. ცაიშვილი, რ. ფირცხალაიშვილი და სხვები. ნ. გ.

475. მანანა ახალკაცი

„ვეფხისტყაოსნის“ დადებითი გმირის ბუნებისათვის

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1992, № 1, გვ. 47-61.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირები – ტარიელი და ავთანდილი ზოგ მკვლევარს უნაკლო, იდეალურ პიროვნებად მიაჩნია, მაგ.: „მათი მოქმედება აბსოლუტურად იდეალური მოქმედებაა, მათ რაიმე სისუსტე ან უკმარისობის ნატამალი არ ახასიათებთ“ (ნ. ნათაძე, 1974). „რუსთაველის გმირები ... გაიდევალბულ სახეებს – სიბმლოლებს წარმოადგენენ. მათ მოქმედებაში სიმბოლურად გამოხატულია სიკეთის, ეთიკური სიწმინდისა და ამალლების რაინდული იდეალები...“ (გ. ასათიანი).

განსხვავებულია გ. ნადირაძის შეხედულება. იგი მთავარ პერსონაჟებს დადებით გმირებს უწოდებს, მაგრამ იქვე წერს, რომ მათ ხასიათებში ყველაფერი როდია იდეალური და მისაბადი. ამ აზრს იზიარებს მ. ახალკაცი და პრობლემის გარკვევისათვის პოემის ორ ეპიზოდს განიხილავს: ინდოეთში ზესიმედ მოწვეული ხვარაზშმას მის მოკვლას ტარიელის მიერ და ავთანდილისაგან ჭაშნაგირის „მიპარვით“ მოკვლას. ამის გამო მკვლევარი შენიშნავს, რომ რუსთაველი გმირების ცხოვრებას, მათ ქცევას არ უქვემდებარებს ქრისტიანული ღმერთის ეთიკურ-მორალურ კონცეფციას, რაც მათ მოქმედებას უთუოდ ჩარჩოებში მოაქცევდა. ნაწარმოების საკვანძო მომენტების ასეთ გადაწყვეტითა და გმირების განწყობის ასახვით პოეტს თითქოს სურს აჩვენოს, რომ „ქრისტიანობის აპოლოგეტთა შეგონებების მიუხედავად, ადამიანის წინააღმდეგობრივი ბუნება თავისას მოითხოვს, მისი ცხოვრება თავისი გზით მიდის და ამაში გმირის წარმმართველი განგება და ბედისწერაა“. გ. ა.

476. ალექსანდრე ბარამიძე

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები

ალმ. „მწიგნობარი 91-92“, თბ., 1992, გვ. 125-130.

სტატიაში მოცემულია რუსთაველის პოემის უცხო ენებზე არსებული თარგმანების საცნობარო მიმოხილვა. აღნიშნულია, რომ რუსულ ენაზე ხუთი სრული თარგმანია (კ. ბალმონტის, გ. ცაგარლის, პ. პეტრენკოს, ნ. ზაბოლოცკისა და შ. ნუცუბიძის).

დასავლეთევროპელი მკითხველისათვის „ვეფხისტყაოსანი“ პირველად ფრანგულად თარგმნა მარი ბროსემ. უფრო გვიან გამოქვეყნდა გოირგი გვაზავასა და სერგი წულაძის თარგმანები. გერმანულ ენაზე არსებობს ა. ლაისტის, ჰ. ჰუპერტის, ჰ. ბუდენზიგის, მიხ. წერეთლის, რ. ნოიკომის და ვ. რუიკა-ფრანცის თარგმანები.

ინგლისურ ენაზე პროზით თარგმნეს: მ. უორდროპმა, რ. სტივენსონმა და ქ. ვივიენმა, პოეტურად კი – ვ. ურუშაძემ. 1964 წ. გამოქვეყნდა გ. დე ლა ტორე ბოტაროს ესპანური თარგმანი.

სტატიაში წარმოდგენილია აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ იაპონური, ჩინური, არაბული, სპარსული, ებრაული, ფინური და თურქული თარგმანების მოკლე დახასიათება. გ. ა.

477. მარიამ გელათელი-ჩხეიძე

**„ვეფხისტყაოსანი“,
ქრისტიანული რელიგია და პლატონის ათლანტისი
(ათლანტიდა)**

ქურ. „განთიადი“, 1992, № 7-8, გვ. 176-179.

წერილი შეიცავს დაუსაბუთებელ მოსაზრებებსა და ვარაუდებს, მაგ.: „ამბავი ქაჯეთისა და ზღვათა სამეფოს შესახებ გელათის აკადემიაში ჯერ კიდევ დავითის დროს უნდა ყოფილიყო სპარსულიდან ნათარგმნი“ (გვ. 176). „ხატაეთი ... უნდა იყოს უძველესი კოლხთა მოსაზღვრე, ... შუმერთა სამეფო“ (177), „დევთა დახოცვა კი ნიშნავს ძველ ღმერთთა შეცვლას ახლით, უფრო ჰუმანური და ადმიანური ღმერთებით“(177). „... სამი მნათობი: ფრიდონი (უფროსი ძმა წარსულიდან), არაბი ავთანდილი (აწმყო, მიმანიშნებელი სპარსული კულტურის შემოჭრისა საქართველოში) და ტარიელი (- ქრისტეს სომბოლო) ემონებიან ერთმანეთს და არ არღვევენ მდებრი სამყაროს ჰარმონიას“(178). „ქაჯეთი დაღუპული ათლანტიდის (ათლანტისის) სინონიმია...“(178). „ვეფხისტყაოსანში“ სამყაროს კოსმოგენური ფილოსოფიური გააზრება შემდეგნაირად ლაგდება: 1) სიყვარული (უმალღესი ჭეშმარიტება; 2) უხილავი სამყარო, მარადიული და უსასრულო, მდებრული ბუნების საწყისით; 3) ხილული სამყარო, მარად განახლებული და ცვალებადი, მამრი ბუნების მატარებელი“ (178). **გ. ა.**

478. ანზორ დარცმელიძე

„გამრცვილსა ტანსა“

ქურ. „განთიადი“, 1992, № 5-6, გვ. 160-162.

წერილის ავტორი უარყოფს რა „ვეფხისტყაოსნის“ 122-ე სტროფის პირველ სტრიქონში დადასტურებულ სიტყვა „გამრცვილის“ არსებულ განმარტებას („შიშველი“, „გამხდარი“, „გალეული“, „მითრთოლვარე“) გვთავაზობს ამ სიტყვის შემდეგნაირ გაგებას: „გამრცვილსა ტანსა“ ასე უნდა განიმარტოს: არ ეცვა „მეფეთა სამოსელი, სამეფო ფორმა“. ამ აზრის ნათელსაყოფად მას მოჰყავს 45s სტრიქონი („მისცა სკიპტრა და შემოსა მეფეთა სამოსელითა“). იგი წერს: „შემოსვამდე განა თინათინი შიშველი იყო?.. სწორედ ეს მეფეთა სამოსელი არ ეცვა თინათინს, ე. ი. სამეფო ტანსაცმლის გარეშე დახვდა იგი ავთანდილს, თორემ სხვა მხრივ ჩვეულებრივად ჩაცმული იყო“.

ავტორის აზრით, მისეულ განმარტებას განამტკიცებს სიტუაციის, კონტექსტის გათვალისწინება. ეს იყო სავსებით გასაიდუმლოებული სიტუაცია, სადაც საჭირო არ იყო „მეფეთა სამოსელი“ – ოფიციალური რეგალია. მისი აზრით, აქ „გამრცვილი“ ერთადერთი სიტყვაა, რომელიც გვაუწყებს შეხვედრის არაოფიციალურობას. **ნ. გ.**

479. მარიამ თაბორიძე

ადამიანურობის პრობლემა „ვეფხისტყაოსანში“

*ქურ. „სკოლა და ცხოვრება“, 1992, № 1, გვ. 61-71; აგრ. წიგნში – „ვეფხისტყაოსნის“
ლიტერატურულ-ესთეტიკური ანალიზი სკოლაში“, თბ., გვ. 2000, 163-201.*

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ აისახა ქართველი კაცის ხასიათის თვისებები: სილაღე, სიმართლისა და მოყვასის სიყვარული, მეგობრობის მაღალი ნიჭი, სახელის

მოხვეჭის სურვილი, ამქვეყნიური ბედნიერებისაკენ სწრაფვა – ამ თვისებათა ერთობლიობა არის ადამიანურობის რუსთველისეული იდეალი, რაც მხატვრული სიტყვით გაცხადებულია „ვეფხისტყაოსანში“.

წერილის ავტორის აზრით, თხზულების ყოველი გმირის დახასიათება უნდა მოხდეს ადამიანურობის პრობლემის გათვალისწინებით. გ. ა.

480. მ. თაბორიძე

ბიბლიური პარალელები „ვეფხისტყაოსანში“

ქურ. „სკოლა და ცხოვრება“, თბ., 1992, № 11; აგრ. ავტორის წიგნში – „ვეფხისტყაოსნის“ ლიტერატურულ-ესთეტიკური ანალიზი სკოლაში“, თბ., 2000, გვ. 202-235.

ნარკვევში განხილულია სიტყვიერი თანხვედომის შემთხვევები ბიბლიის წიგნებსა და „ვეფხისტყაოსანს“ შორის, მაგალითად, გამოთქმები: „რომელმან შექმნა სამყარო...“, „ძალი უხილავი“, „უცნაური და უთქმელი“, „უფალი უფლებათა“, „ყოველი დაფარული ... გამოცხადდეს“ და სხვ.

გამოვლენილია აგრეთვე აზრობრივი თანხვედომის მაგალითები, რასაც ვ. ნოზაძე ნათესავ აზრთა ერთობას უწოდებდა. ასეთია სიკეთის მონიზმი („ბოროტსა ძლია კეთილმან...“); სიყვარულის ღვთაებრივი წარმომავლობის რწმენა, მოყვასის სიყვარული და მისი დახმარების ქადაგება.

მკვლევრის თქმით, რუსთაველი საფუძვლიანად იცნობს თეოლოგიას, რაც მას საშუალებას აძლევს ისარგებლოს ბიბლიით, ღრმად ჩაწვდეს ქრისტიანული მოძღვრების არსს. ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან მოხმობილი ბიბლიური პასაჟები რუსთაველის პოემაში ახალ ესთეტიკურ ღირებულებას იძენს და ხელს უწყობს აზრის სიგებადეს და სრულყოფილი მხატვრული სახეების შექმნას. გ. ა.

481. მ. თაბორიძე

მართალი სამართალი „ვეფხისტყაოსანში“

ქურ. „სკოლა და ცხოვრება“, თბ., 1992, № 12; აგრ. ავტორის წიგნში – „ვეფხისტყაოსნის“ ლიტერატურულ-ესთეტიკური ანალიზი სკოლაში“, თბ., 2000, გვ. 216-223.

ავტორი აღნიშნავს, რომ მკვლევართა შორის დავას იწვევს „მართალი სამართლის“ ცნების გამოყენება ხვარაზმშას ძის მკვლელობასთან მიმართებით. უდანაშაულო კაცის მკვლელობა სამართლიანად ვერ იქნებოდა მიჩნეული ვერც ერთი სახელმწიფოებრივი კანონმდებლობით. ხალხის რწმენით, მართალი სამართლის განსჯა მხოლოდ ღმერთს შეუძლია და არა კაცთა მიერ შემუშავებულ კანონებს. ეს ტერმინი რუსთაველამდე არსებობდა და წარმოადგენდა სამართლის განსხვავებულ სახეს – ღვთაებრივი სამართლის აღმნიშვნელ ქართულ იურიდულ ტერმინს (იხ. ივ. ჯავახიშვილი, 1928; ვ. აბაშიძე, 1971).

აფორიზმის მეორე ნაწილის მოტივი (ხმელი ხის განედლება) ასევე ღვთაებრივ სამყაროსთან არის დაკავშირებული. ბიბლიაში გადმოცემულია მოსეს ძმის, აარონის, კვერთხის განედლების ეპიზოდი, როგორც მისი პატრონის სიმართლის ნიშანი.

ნესტანის მსჯელობიდან ჩანს, რომ იგი მისსა და ტარიელის მოქმედების განსჯას ღმერთს მიანდობს და არა ადამიანთა სამსჯავროს. გ. ა.

482. მურმან თავდიშვილი

ტრადიციული თუ ახლებური?

გაზ. „ერთობა“, 1992, 19. დეკ., გვ. 8.

წერილი ეხება „ვეფხისტყაოსნის“ 35-ე ტაეპს. ავტორს არამართებულად მიაჩნია ტაეპის ახლებური ვარიანტი, დადასტურებული პოემის 1988 წ. აკადემიურ გამოცემაში („იგი წახდების, სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“), რომელიც ხელნაწერთა ერთ ნაწილშიც დასტურდება. ავტორის აზრით, არ არის სწორი ახლებური ვარიანტის მომხრეთა არგუმენტი, რომლის თანახმადაც „წახდების“ ძველი სიტყვაა, „წავა“ კი რუსთველის შემდეგდროინდელი. იგი მიუთითებს, რომ ეს სიტყვა დასტურდება მთელ რიგ რუსთველისდროინდელ ქართულ ძეგლებში და თვით „ვეფხისტყაოსანში“. ამიტომ, მისი განცხადებით, ისევ უნდა აღდგეს: „იგი წავა და სხვა მოვა“. **ნ. გ.**

483. მ. თავდიშვილი

„ჩემთან ქედმან მიიქედნეს?“

გაზ. „ერთობა“, 1992, 30. დეკ., გვ. 8.

წერილის ავტორის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ 1988 წ. აკადემიურ გამოცემაში წარმოდგენილი 756-ე ტაეპი – „შენ თუ მოგკლა, სისხლნი შენნი ჩემთან ქედმან მიიქედნეს“ – უნდა გასწორდეს ასე: „შენ თუ მოგკლა, **სისხლნი შენნი შენთან ქედმან მიიქედნეს**“, რასაც მისი მითითებით, მხარს უჭერს ხელნაწერთა ერთი ჯგუფი (სულ 8 ნუსხა).

მ. თავდიშვილის აზრით, სიტუაციის მართებული გაგება ასეთია: „როსტევეანი სოგრატს არწმუნებს: ისეთი ცული ამბავი მითხარი, ისეთი დიდი დანაშაული ჩაიდინე, რომ თუ მოგკლავ, შენი სისხლი სინამდვილეში მე კი არ დამედება, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება, არამედ თვითონვე შენო“. ავტორს მოჰყავს მაგალითები ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლებიდან („ამირანდარეჯანიანი“, „ვისრამიანი“, „რუსუდანიანი“), სადაც მსგავს სიტუაციაში ისეთივე ფრაზეოლოგიური ფორმულა იხმარება. ის აღნიშნავს, რომ ტაეპის გასწორების საკითხი ჯერ კიდევ 1978 წ. წამოუჭრია ი. გიგინეიშვილს.

ავტორის აზრით, მისი გასწორება ტაეპის პოეტიკის მხრივაც გამართლებულია: „ტაეპში ავტორი ალიტერაციის პრინციპსაც იცავს – სტრიქონში **შენ** მეორდება სამჯერად, რაც კეთილხმოვანების, ენამუსიკობის პირველი და უძლიერესი ფაქტორია“. **ნ. გ.**

484. გაიოზ იმედაშვილი

„ვეფხისტყაოსნისა“

და ქართული კულტურის საკითხები

ჟურ. „ცისკარი“, 1992, № 6, გვ. 93-130.

სტატია დაწერილია ალ. ბარამიძის რეცენზიის პასუხად გ. იმედაშვილის წიგნზე „ვეფხისტყაოსანი“ და ქართული კულტურა“ (1968 წ.). ავტორი წერს, რომ რეცენზია ტენდენციურია და დაწერილია იმ მიზნით, რომ წიგნის ირგვლივ ოდიოზური შთაბეჭდილება შექმნას, ამტკიცოს მისი ავტორის უვიცობა, სხვისი აზრების მითვისება, მეცნიერების იგნორირება, უცხოეთში მცხოვრები მკვლევრების ნაღვანის გაზვიადება. რეცენზიაში აშკარად

ჩანს წყენა იმის გამო, რომ ალ. ბარამიძე უფრო ნაკლებად არის დამოწმებული განსახილველ წიგნში, ვიდრე სხვა მკვლევრები.

რეცენზენტის ბრალდებათა საპასუხოდ, გ. იმედაშვილი ვრცლად მსჯელობს ისეთ საკითხებზე, როგორც არის „ვეფხისტყაოსნის“ როლი ქართველთა ეროვნული შეგნებისა და ღირსების გრძნობის განვითარებაში, პოემის სიუჟეტის წარმომავლობის პრობლემა, ტიპებისა და ხასიათების დახატვის ხელოვნება, რუსთველის მსოფლმხედველობა, მისი დამოკიდებულება ქრისტიანულ ეთიკასა და მორალთან და საეკლესიო სქოლასტიკასთან, ქართული რენესანსისა და ქართული კლასიციზმის ცნებები, ტერმინები პოემის ტექსტიდან: „მოცალობა“, „მზიანი ღამე“ და სხვ.

გ. იმედაშვილის დასკვნით, რეცენზენტის ტენდენციური კვალიფიკაციები, ბრალდებანი და დასკვნები არ გამომდინარეობენ სარეცენზიო წიგნში აღძრული საკითხების ობიექტური განხილვისაგან. **გ. ა.**

485. მარიამ კარბელაშვილი

**„უმიროს, პლატონ სიტყვა დამატონ“
(ქართული პარლამენტარიზმის სათავეებთან)
გაზ. „მაშული“, № 5, 1992, წ. მარტი, გვ. 3.**

წერილის ავტორი იზიარებს ივ. ჯავახიშვილის დებულებას ყუთლუ-არსლანის პროგრამის პროგრესულობის შესახებ და ამ პროგრამის ევროპულ ინტერპრეტაციას. მ. კარბელაშვილის აზრით, მკვლევართა ერთი ნაწილის მიერ ყუთლუ-არსლანის პროგრამის აზიურ კონტექსტში განმარტების მიზეზი არის გაუთვალისწინებლობა იმისა, რომ ისტორიულ თხზულებათა, მათ შორის „აზმათა“ ენა სპეციფიკური სისტემაა, კოდიფიცირებულია და მისი ტექსტი მხოლოდ თავისი ეპოქის კონტექსტში განიმარტება.

წერილის ავტორი აკეთებს შემდეგ დასკვნებს: XII საუკუნის მიწურულს ქართველი მეისტორიე იცნობს არისტოტელეს „პოლიტიკას“ – ანტიკური ფილოსოფიის ფუძემდებლურ ძეგლს და ეს ცოდნა არის არა ზერელე, „სკოლური“, არამედ მეისტორიეს თავისუფლად შეუძლია „პოლიტიკის“ პრინციპული დებულების „trias politica-ს“ გადმოცემა სპეციფიკური ტერმინოლოგიით. ამდენად, მეისტორეს სააზროვნო სისტემა პოლიტიკის სფეროში ევროპული (და არა აზიური) ტიპისაა; არისტოტელეს მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ სამეფო კარის ოფიციალური იდეოლოგიისათვის მიუღებელია; საქართველოში არისტოტელეს პოლიტიკურ მოძღვრებაზე დაყრდნობით, ევროპასთან შედარებით, ხუთი საუკუნით ადრე იშვა აბსოლუტისტური სახელმწიფოს სამართლებრივ სახელმწიფოდ გარდაქმნის – „ერთმთავრობის“ „მრავალმთავრობით“ შეცვლის იდეა, რომელიც შემდგომში საფუძვლად დაედო ევროპული ტიპის მონარქიული წყობილების სახელმწიფოებრიობის პროგრესს. ყუთლუ-არსლანის პროექტით, ეს გარდაქმნა მმართველობის ევოლუციური განვითარების გზით უნდა მომხდარიყო.

მ. კარბელაშვილის აზრით, XII ს. საქართველოში ოქროს ხანის იდეოლოგია პლატონის „სახელმწიფოსა“ და „ტიმეოსზე“ არის დაფუძნებული, რასაც, მისი თქმით, მოწმობს იოანე შავთელის სიტყვები: „უმიროს, პლატონ სიტყვა დამატონ“. **ნ. გ.**

486. გურამ კარტოზია

ერთი ზმნის სინტაქსური თავისებურებისათვის „ვეფხისტყაოსანში“

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1992, № 2, გვ. 62-70;

ავრ. ავტორის წიგნში – „ტექსტოლოგიური გამოკვლევები“,
თბ., 2004, გვ. 120-139.

მკვლევარი განიხილავს ცად-/ ცდ- ფუძისაგან ნაწარმოებ ზმნურ ფორმებს და აზუსტებს მათ შინაარსს. მაგ., წინადადებაში – „მას პაემნამდის მოვიცდი“ (849₂) – ზმნა **მოვიცდი** წარმოშობით ორვალენტოვანია (მოიცდის იგი მას; მოიცადა მან იგი). პოემის მოცემული კონტექსტი ნიშნავს: „მას (ავთანდილს) პაემნამდის მოვუცდი“.

„მზისა შუქნი მოიცადენ, ვარდო, ადრე ნუ დასჭკნები!“ (1274₄) ამას ნიშნავს: მზის სხივებს მოუცადე (დაელოდე). ფორმა **მოიცადენ** უნდა ჩაითვალოს ავთენტურად. ხელნაწერებში დაცული ვარიანტი **მოსწრაფენ** კი მეორეულია, გვიანდელი. არც ა. ჭინჭარაულის კონიექტურის – „მზისა შუქნი გაიცადენ“ – მიღებაა აუცილებელი.

„შორით ნახა, მენავენი მოდიოდეს შიგან ზღვასა; **მოიცადნა**, ჰკითხა: ვინ ხართ...“ (965₃) – ნიშნავს: „დაუცადა ავთანდილმა მენავეებს“.

განხილული ფორმების სისწორე და მათი მნიშვნელობის მართებულობა დასაბუთებულია ძველი ქართული საისტორიო და მხატვრული ტექსტებიდან დამოწმებული მაგალითებით. **გ. ა.**

487. გ. კარტოზია

შედარების ერთი თავისებურება „ვეფხისტყაოსანში“

ჟურ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბ., 1992, № 5, გვ. 104-112;

ავრ. ავტორის წიგნში – „ტექსტოლოგიური გამოკვლევები“,
თბ., 2004, გვ. 140-147.

ავტორი განიხილავს შემდეგ კონტექსტს:

„მიიმდერის ხმასა ტკბილსა, არ დასწყევდდის ცრემლთა რუსა,

მისსა ხმასა თანა ხმაცა ბულბულისა ჰგვანდის ბუსა“ (963₃₋₄).

ა. შანიძემ უხერხულად, ანუ არასწორად მიიჩნია ასეთი შედარება: ბულბულის ხმა ბუს ჰგავდაო და სარიტმო სიტყვაში მეორე **ს** ჩაუმატა (ბუსსა). სახელის ფორმა გააზრებულია ნანათესაობითარ მიცემითად და სტრიქონის შინაარსიც თითქოს უფრო ნათელი და გამართული გახდა: ბულბულის ხმა ჰგავდა [ხმასა] ბუსსა (ბუისას).

გ. კარტოზია ფიქრობს, რომ ასეთი გასწორება აუცილებელი არაა; **ბუსა** ამ კონტექსტში სავსებით სწორი წაკითხვაა. მოცემული შედარება თავისთავად გულისხმობს ბულბულის ხმისა და ბუს ხმის მსგავსებას. სხვადასხვა ნიშნის მქონე საგნებისა და მოვლენების შედარების შემთხვევები პოემაში სხვაც გვხვდება, მაგ., „გაზრდილ-გამზრდელთა გაყრასა ჩვენ თავნი დავადარენით“ (646₄), რაც ნიშნავს: გაზრდილ-გამზრდელების გაყრას დავადარე ჩვენი გაყრა. კიდევ: „სიმტკიცე ჰგვანდა ნაჭედსა...“ ნიშნავს: (ნაქსოვი რიდის) სიმტკიცე ნაჭედის (ლითონის) სიმტკიცეს ჰგავდა. კიდევ სხვაგან: „ჯერთ მისი მსგავსი სასჯელი არცა ვის ამზად სმენია“ (847₁) იგულისხმება: მისი (ტარიელის) მსგავსი სასჯელი.

ასეთი სტილური ხერხი ცნობილია მწერლობაში, მას ელიფსისი (ამოვარდნა, გამოტოვება) ეწოდება. **გ. ა.**

488. პარმენ მარგველაშვილი

„რაღა იგი სინათლე, რასაც ახლავს ბნელია“

თბ., გამ. „ნეკერი“, 1992, 96 გვ.

როგორც ავტორი წერს, წიგნში განზრახვით ქმედებათა შუქზე წარმოჩენილია „ვეფხისტყაოსნისა“ და ქართულენოვანი ბიბლიის ზოგიერთი მნიშვნელოვანი გაკვეთილი. განზრახვითი ქმედება მოიცავს გარკვეული მიზნისა და მისი მიღწევისათვის სამოქმედო გზის არჩევას, რისი მაგალითებიც „ვეფხისტყაოსანში“ არის წარმოდგენილი. ერთ-ერთი მათგანია პოეტის მიერ „დასაწყისშივე“ გაცხადებული მიზანი მეფეთა საქებელი თხზულების შექმნისა. მკვლევრის აზრით, პოემის ავტორისა და მისი პერსონაჟების განზრახვით ქმედებათა შედეგი უნდა იყოს კეთილი და უფლისათვის სათნო. ეს გამომდინარეობს ადამიანის დანიშნულებიდან, რომ ესწრაფვოდეს ღმერთთან სიახლოვეს და ჰბაძავდეს მას, რომლის ყოველი განზრახვისა და ქმედების ნაყოფი არის „კეთილი ფრიად“.

რუსთაველის ქების ერთ-ერთი ობიექტია თამარ მეფე, მაგრამ იქვე ახსენებს „ლომს“, რომლის ღირსეულად შექება უფრო ძნელ საქმედ მიაჩნია. მის სახელს არ ამხელს, თუმცა მიაწინებს, რომ ის არის „საზეოდ გამიჯნურებულისა და შემწეს სამაგალითო სახე“ (გვ. 55). ასეთად კი მთავარმოწამე გიორგი კაბადოკიელი ითვლება; „წმიდა გიორგის უდიდესი სასწაული არის მეფის ასულის შეწვენის სასწაული“ (იქვე). ლომი წმიდა გიორგის ერთ-ერთი ეპიტეტი იყო. „მესამე სტროფში წმიდა გიორგის შეფარვითი, მაგრამ მეტად მაღალი ქება ნათქვამი (...), თუმცა იგი თამარის მამას გიორგი მესამესაც მიესადაგება, რაც არ ცვლის საქმის არსს, რადგან მას ხშირად ადარებდნენ წმიდა გიორგის“ (იხ. ვახუშტის „ქართლის ცხოვრება“, გვ., 170).

ნაშრომის 86-92-ე გვერდებზე განხილულია აფორიზმი: „რაღა იგი სინათლე, რასაც ახლავს ბნელია“, რომლის აზრი მკვლევარს მიუღებლად მიაჩნია, რადგან ის „ეწინააღმდეგება რეალობას, მატერიალური სამყაროს ხილულ გამოვლენას“ (ამაზე ავტორის წერილი ადრე დაიბეჭდა . იხ. „ბიბლიოგრაფიის“ IV ტ., ანოტ. № 834). **გ. ა.**

489. მიხეილ მახარაძე

XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული კულტურის

რენესანსული ხასიათის შესახებ

ავტორის წიგნში – „სუსხიანი ბარათები“, ბათუმი, 1992, გვ. 55-60.

ავტორი კრიტიკულად განიხილავს ჯერალდ სტეფანაძის სტატიას – „კულტურისა და აზროვნების საკითხისათვის XII-XIII სს. მიჯნის ქართულ ისტორიოგრაფიასა და პოეზიაში“ (კრებ. „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები“, თბ., 1986). რეცენზენტი აღნიშნავს, რომ ჯ. სტეფანაძე არასწორად იმოწმებს ე. ხინთიბიძის წერილს „ვეფხისტყაოსანში“ ქრისტიანული სამების არსებობის შესახებ. რუსთაველის მიერ ხსენებული „ერთარსება“, ე. ხინთიბიძის აზრით, ქრისტიანული სამების ექვივალენტური ცნება არაა. მისი თქმით, „ტერმინი ერთარსება რუსთაველმა ისე გადააჯაჭვა ტერმინს ერთი, რომ ერთარსება ერთში შეიძლება თვით ქრისტიანული ერთარსების დაპირისპირებაც კი დავინახოთ“.

ჯ. სტეფანაძე უარყოფს XII-XIII საუკუნეების ქართული კულტურის რენესანსულ ხასიათს, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. იგი არ ითვალისწინებს ქართული რენესანსის

შესახებ არსებულ ლიტერატურას და აქედან მომდინარეობს მისი უსაფუძვლო და ნაჩქარევი დასკვნები. გ. ა.

490. [ლევან მენაბდე]

„ვეფხისტყაოსნის“ გამოცემები

ბიბლიოგრაფიული საძიებელი, თბ., 1992, 44 გვ., რედაქტორი ლ. მენაბდე.

საძიებელი შედგენილია თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსთაველის კაბინეტის მეცნიერ თანამშრომელთა ჯგუფის მიერ. იგი ორი ნაწილისაგან შედგება:

I. „ვეფხისტყაოსნის“ ქართული გამოცემები (გვ. 7-16). აქ წარმოდგენილია მოკლე (საანკეტო) მონაცემები (წიგნის ავტორი და სათაური, რედაქტორი, გამოცემის ადგილი და თარიღი, გვერდების რაოდენობა) 72 გამოცემის შესახებ – 1712 წლიდან 1990 წლამდე.

II. „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანებში (გვ. 17-43) დასახელებულია მსოფლიოს ხალხთა ენებზე დაბეჭდილი პოეტური და პროზაული, სრული და არასრული თარგმანები, 1885 წ. (ფრანგული) – 1991 წლის ესტონური და რუსული გამოცემების ჩათვლით.

საძიებელს უძღვის რედაქტორის წინასიტყვაობა (გვ. 3-6). გ. ა.

491. ლ. მენაბდე

ძველი ქართული კულტურის კერები

თბ., 1992.

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორიის გადმოცემისას ავტორი აღნიშნავს, რომ XII საუკუნის 80-იან წლებში დაეხმარა დიდ სავანეს ქართველი მწერალი შოთა რუსთაველი. აზრი, იერუსალიმში რუსთაველის წასვლასა და იქ ცხოვრებაზე, გავრცელებულია როგორც ჩვენს ხალხურ სიტყვიერებაში, ისე სამეცნიერო ლიტერატურაში. XX ს-ის დასაწყისში მიკვლევულ იქნა სვინაქსარი, რომელშიც აღნიშნულია შოთა მეჭურჭლეთუხუცესის სახელზე ალაპის დაწესების ფაქტი, 1960 წელს კი ჯვრის მონასტრის ცენტრალური სამლოცველოს ერთ-ერთ სვეტზე აღმოჩნდა რუსთაველის პორტრეტი წარწერითურთ; მაგრამ პორტრეტის დახატვა და თუნდაც ალაპის დადება ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ პოეტი აუცილებლად ჯვრის მონასტერში ცხოვრობდა და მისი საფლავიც მაინცდამაინც იერუსალიმშია საძიებელი (გვ. 134-135). გ. ა.

492. გაია მურღულია

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“

წიგნში: გ. მურღულია, გ. ალიბეგაშვილი, ვ. მაღლაფერიძე,

„საუბრები ძველ ქართულ ლიტერატურაზე“,

თბ., „განათლება“, 1992, გვ. 144-225.

წიგნის, როგორც დამხმარე სახელმძღვანელოს, დანიშნულების შესაბამისად, გამოკვლევა განკუთვნილია საშუალო სკოლის მოსწავლეებისა და უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის. მასში მოცემულია „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი თემატიკური მოტივების ზოგადი განხილვა. ავტორი ახასიათებს პოემის პროლოგის თეორიულ და მხატვრულ ასპექტებს, კერძოდ – მიჯნურობის კოდექსის თეოლოგიურ და ფილოსოფიურ საფუძვლებს (გვ. 145-16).

შემდეგ ცალ-ცალკე განხილულია პოემის ძირითადი პრობლემები: „მიჯნურობა“ (გვ. 166-187) სადაც დახასიათებული არიან: ტარიელი, ავთანდილი, ნესტან-დარეჯანი, თინათინი, ფატმანი და მათი ურიერთობა.

თავში – „ნათელი „ვეფხისტყაოსანში““ (გვ. 187-194) საუბარია ღვთაებრივ ნათელზე და ადამიანის სწრაფვაზე ნათლიერებისაკენ. ავტორი დაასკვნის: „ნათელი აღნიშნავს ან თავად ღმერთს ან ადამიანის ღვთიურობას. ნათელმოსილი ადამიანი უმაღლეს სიწმინდეს მიღწეული პიროვნებაა. ასეთი კაცი თავად ასხივებს სულიერ ნათელს, რაც მისი სრულქმნილებისა და იდეალურობის მაუწყებელია“ (გვ. 190).

ნაშრომში არის მსჯელობა პრობლემებზე: სიკეთე და ბოროტება „ვეფხისტყაოსანში“ (გვ. 195-206); სამყაროს მთლიანობის პრინციპი (206-213); სამყაროს წინააღმდეგობის პრინციპი (გვ. 213-225).

რუსთაველის თხზულებას მკვლევარი ზოგადად ასე აფასებს: „...ვეფხისტყაოსანი“ ჩვენთვის არ არის მხოლოდ წიგნი ... ის ისეთი წყაროა ჭეშმარიტებისა, რომელიც საკუთარ თავს შეგვაცნობინებს, როგორც კერძო პირს, როგორც ჩვენი ერის შვილს და როგორც კაცობრიობის ნაშიერს. ის არის ქართული შემოქმედებითი გენიის უდიდესი გაცხადება ცივილიზებული სამყაროს წინაშე, ის არის ქართული გენის ერთად თავმოყრილი წარსული, აწმყო და მომავალი“ (გვ. 145). გ. ა.

493. ვიკტორ ნოზაძე

„ერთ-არსებისა ერთისა“

ჟურ. „სკოლა და ცხოვრება“, თბ., 1992, № 6-7, გვ. 52-80.

გადაბეჭდილია ავტორის წიგნიდან „ვეფხისტყაოსანის“ ღმრთისმეტყველება“ (პარიზი, 1963).

ნარკვევში გამოყოფილია შემდეგი ქვესათაურები: 1. ერთარსების საკითხისათვის; 2. ერთისა; 3. სამება წარმართულ რელიგიებში; 4. სამების საკითხი ფილოსოფიაში; 5. ნეოპლატონური სამება; 6. ცნებისათვის „სამება“; 7. ცნებისათვის „სამება ერთარსება“; 8. „ვეფხისტყაოსანის“ ერთ-არსება ერთისა; 9. სამებასთან მზის შედარება; 10. სამება – ერთარსების საკითხი ქრისტიანულ სწავლაში; 11. სამება – ერთარსება ქართულ სასულიერო მწერლობაში; 12. სამება – ერთარსება ძველ ქართულ საერო მწერლობაში; 13. სამება – ერთარსება ქართულ ისტორიულ მწერლობაში; 14. ერთარსება „ვეფხისტყაოსანისა“. გ. ა.

494. ვ. ნოზაძე

წნათელთა სახემან

ჟურ. „სკოლა და ცხოვრება“, თბ., 1992, № 8-9, გვ. 40-64; №10, გვ. 51-68.

გადაბეჭდილია წიგნიდან „ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება“, პარიზი, 1963.

ნაშრომი იყოფა კარებად და პარაგრაფებად:

კარი I. **ნათელი აღმოსავლეთის მსოფლგაგებაში.** განხილულია ნათელის გაგება ინდურ, ჩინურ, ბუდთისტურ, ირანულ, ფეჰლავურ, ზარათუშტიანთა, სემიტურ-ეგვიპტურ, ბერძნულ... რელიგიებში.

კარი II. **ნათელი ფილოსოფიურ-თეოლოგიურ სწავლაში.** გადმოცემულია პლატონის, ფილოს, სტოელთა, გნოსტიკოსთა, პლოტინის, პროკლეს, ბიბლიის ავტორების, კაბალისტების აზრი ნათლის შესახებ.

კარი III. **ნათელი წმიდა მამათა სწავლაში.** (ბასილი დიდი, ეფრემ სირინი, სინესიოსი, გრიგოლ ნაზიანზელი, ავგუსტინუსი, დიონისე არეოპაგელი, სვიმეონი, სქოლასტიკოსები).

კარი IV. **ნათელი ქართულ სასულიერო მწერლობაში** (№ 10).

კარი V. **ნათელი ისლამში** (№ 10, გვ. 51-60).

კარი VI. ვეფხისტყაოსნის ნათელი (№ 10, გვ. 61-68). განხილულია: „ნათელთა სახე“ და „მსახე“; „ერთით მზითა“, „ღმერთმან გული განმინათლა“. **გ. ა.**

495. ვ. ნოზაძე

ღმერთი და მზე

ჟურ. „სკოლა და ცხოვრება“, 1992, № 11, გვ. 33-50.

*გადმობეჭდილია წიგნიდან „ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება“,
პარიზი, 1963.*

ნარკვევში განხილულია ცნებები: „მზიანისა ღამისად“ (გვ. 33-46); „ვის ხატად მზისად გიტყვიან...“ (გვ. 47-50).

496. ნელი რუხაძე

შოთა რუსთაველი სკოლაში

თბ., 1992, რედ. ლ. მენაბდე, 334 გვ.

ნაშრომი მიზნად ისახავს ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებისა და ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა გაცნობიერებასა და ორიენტირებას რუსთაველოლოგიურ მასალაში, რუსთაველის სწავლების სწორი მეთოდების დანერგვას სკოლაში. აქვეა მითითებული საწრეო მუშაობისა და ფაკულტატიური მეცადინეობის მნიშვნელობაზე.

ნაშრომში გათვალისწინებულია არა მარტო პოემის ძირითადი პრობლემეტიკის მეცნიერულ-მეთოდური ანალიზი, არამედ ძირითადი მოტივების – როგორცაა მიჯნურობა, მეგობრობა, პატრიოტიზმი – არსობრივად წარმოდგენა.

ნაშრომში ყველა ძირითადი საკითხი დასმულია რუსთაველის გენიალობის წარმოსაჩენად და შესამეცნებლად. მაგ., მისი შემოქმედების მიმართება ქართულ სინამდვილესთან, რუსთაველის წინამორბედ და მის თანამედროვე ქართველ და უცხოელ ფილოსოფოსთა ნააზრევთან, თეოლოგიასთან. აგრეთვე ნაშრომში წარმოდგენილია საკითხი: რუსთაველი – ქართული რენესანსის მეთაური და მისი მიმართება ევროპულ რენესანსთან.

ავტორი ცდილობს გაკვეთილებად დაყოფის საშუალებით წარმოადგინოს პოემის როგორც ტექსტზე მუშაობა, ისე მისი იდეურ-მხატვრული ანალიზი. წიგნში განხილულია რუსთაველის ბიოგრაფიის საკითხებიც. გაშუქებული მასალა დაფუძნებულია სათანადო მეცნიერულ-მეთოდურ ლიტერატურასა და ავტორის ხანგრძლივ პედაგოგიურ გამოცდილებაზე. **ნ. მ.**

497. ნინო ქაჯაია

ღვაწლმოსილნი

ალმ. „მწიგნობარი 91-92“, თბ., 1992, გვ. 131-141.

სტატიაში წარმოდგენილია კალისტრატე და ნინო სალიების მოღვაწეობა ქართველოლოგიაში, კერძოდ, მათი უანგარო შრომა მიხ. წერეთლის მიერ მომზადებული „ვეფხისტყაოსნის“ ქართული და გერმანული ტექსტების პატრონობასა და გამოქვეყნებაში.

აღნიშნულია, რომ 1975 წელს ნინო სალიამ საკუთარი ხარჯით გამოსცა მ. წერეთლის მიერ აღდგენილი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი. იმავე წელს დაიბეჭდა პოემის გერმანული თარგმანიც, შესრულებული მ. წერეთლს მიერ.

1980 წელს გამოქვეყნდა კ. სალიას ვრცელი ნაშრომი „ქართველი ერის ისტორია“ (ფრანგულ ენაზე), ხოლო 1983 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ კ. სალია აირჩია თავის საპატიო წევრად. **გ. ა.**

498. ვასილ ჩანტლაძე

შოთა რუსთაველის ეკონომიკური შეხედულებები

თბ., „მეცნიერება“, 1992, 304 გვ.

მონოგრაფიაში მოცემულია რუსთაველის ეპოქის ეკონომიკურ-პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობის ზოგადი დახასიათება; შესწავლილია რუსთაველის შეხედულებები სიმდიდრის, შრომისა და მოცალეობის შესახებ; გაანალიზებულია რუსთაველის თვალსაზრისი აღწარმოების საკითხებზე – წარმოება, გაცვლა, განაწილება, მოხმარება; აგრეთვე ფულის, ვაჭრობის, ტრანსპორტისა და სახელმწიფო ფინანსების თაობაზე. ბოლოს განხილულია ზოგიერთი სოციოლოგიური საკითხი, მაგ.: „ვეფხისტყაოსანში“ წარმოდგენილი ქალთა მდგომარეობა, სქესთა შორის ურთიერთობა, მიჯნურობა და ქორწინება; პატრონყმობა და სახელმწიფოს ცენტრალიზაციის პრობლემა.

წიგნს ახლავს ვრცელი რეზიუმეები ინგლისურ და რუსულ ენებზე. **გ. ა.**

499. აპოლონ ცანავა

„ვეფხისტყაოსნის“ მითოლოგიების ეროვნული ძირები

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992, 15 იანვარი, გვ. 4.

როგორც ავტორი წერს, მითოლოგმა ისეთი მეტაფორა-სიმბოლოა, რომელიც მითოსური წარმოდგენების მხატვრულად გადააზრების შედეგადაა შექმნილი. „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური სახე-სიმბოლოები დაკავშირებულია ქართველი ხალხის უძველეს მითოლოგიურ პანთეონთან და კოსმოგონურ წარმოდგენებთან. მაგ.: „ამირანანის“ მითოსური მოდელი პროეცირებულია „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ სტრუქტურაში ფაბულარული ასპექტით; ამირანმა და მისმა ძმებმა მოიტაცეს ყამარი ზღვის გაღმა აღმართული ხთონური სამყაროს კოშკიდან, რომელსაც ქაჯები პატრონობდნენ. შდრ. ნესტანის ტყვეობა ქაჯეთის ციხეში და მისი გამოხსნა ტარიელისა და მისი მეგობრების მიერ.

რუსთაველის პოემის სათაური „ვეფხისტყაოსანი“ მითოლოგიურა და აღებულია ხალხური მითოსური რწმენიდან. ვეფხვი ქართველებში და ბევრ სხვა ხალხში წმინდა

ცხოველად იყო მიჩნეული, მისი ტყავით შემოსვა კი გამორჩეულ, ძლიერ პიროვნებებს შეეძლოთ. ტარიელის მიერ ვეფხვის ტყავის ტარებაც მისი აღმატებულებისა და ძალმოსილების ერთ-ერთი ნიშანია. გ. ა.

500. ალექსი ჭინჭარაული

მხატვრული ტექსტის ენობრივი ანალიზის საკითხები

(„ვეფხისტყაოსნის“ და ვაჟა-ფშაველას თხზულებათა მიხედვით)

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაციის სამეცნიერო მოხსენება, თბ., 1992, 50 გვ.

მოხსენება ქართულ ენაზეა. „ვეფხისტყაოსნის“ ენისა და ტექსტის საკითხები იკავებს 3-44 გვერდებს და შეიცავს შესავალსა და ხუთ თავს. ავტორი შესავალში აღნიშნავს, რომ პოემის ტექსტის განხილვისას მხედველობის არეში აქვს სამი მეცნიერული გამოცემა: 1966 წ. ა. შანიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით; 1974 წ. ნ. ნათაძის მიერ მომზადებული ტექსტი; 1988 წ. – აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის გამოცემა. მათში ასახულია გამომცემელთა პოზიცია ტექსტის მიმართ.

I თავში – „მორფო-ფონოლოგიური მიზეზებით წარმოქმნილი ცთომილებები“ – განხილულია ვარიანტული ფორმები: არაოდეს / არათ ოდეს, სადათ / სადით, ბაგეთა / ბაგეთათ, თვალთა / თვალთათ, რადმცა / რათმცა, არა შესწონს / არად შესწონს და მისთ.; აგრ. გრაფიკული ხასიათის შეცდომები: გიკვირს / მიკვირს, მოვკე / მოკვე, მომიკიდა / მომივიდა და სხვ.

II თავში – „სიტყვათწარმოება“ – დასაბუთებულია ფორმების: თავის-თავ, კუმტ-გვარად, მარტო-ხე, ამისმიერეს, შეგაგუა-რე, ბედით-ვებულსა, არ კიდე-გასათხოელის ავთენტიკურობა.

III თავში – „სადავო ლექსიკურ ერთეულთა ანალიზი და ტექსტის ინტერპრეტაცია“ – წარმოდგენილია ანალიზი და განმარტება სიტყვა-ცნებებისა: ტანაჯორი, გიშრის ჭერი, ბროლის ჭერი, მოსაწევარი, მივსცილდი, რიალი, შეპოვნება, სენები, უკუნაცარი, ლიპი, სიკრეხე, სიხარკე, სადევე, თვალი ვაგე, წავსწყდი, ჟერენ, ვერ მიჰხვდების, რაცა კარგი საეშმაკო, თავის-თავის და სხვ.

IV თავში – „კონიექტურა“ – დასაბუთებულია მართებულობა ფორმებისა და ფრაზებისა: სამართლად ტახტი უჩემოდ არვისად მისახვდომია (564₄), რა დაიჯერო (941₁), არ ბოროტსა არ დაჰბადებს (1491₂), ცეცხლი ცხელია, წა ნელად (1111₂), ათრთვილებს (716₁), ცა მიწყვი მოჰბრუნებოდა (1352₄), ცა მობრუნდა რიხვით ჩემზე (1174₃), მიმიჩნდეს (653₃), საქმეთა საამართა (752₄), მუნა გნახო, მზედვე გსახო (1305₃).

V თავში – „ინტერპოლაცია“ – ავტორი მიუთითებს თავის გამოქვეყნებულ ნაშრომებზე, რომლებიც პოემის ტექსტის გვიანდელ ჩანართებს ეხება. თვით მოხსენებაში წარმოდგენილ მსჯელობაში 1182 („არ ისმენდა მეფისასა, რასა გინდა უბრძანებდა...“) და 1326-ე („ფატმან, უსენ და მონანი ტირან ცრემლითა ცხელითა...“) სტროფების შესახებ მოტანილია მათი სიყალბის, ანუ ინტერპოლაციური წარმომავლობის მაჩვენებელი არგუმენტები. გ. ა.

501. ელგუჯა ხინთიბიძე

„ვეფხისტყაოსანი“ და ევროპული ცივილიზაციის პროცესი

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1992, 1 მაისი, № 16, გვ. 12.

სტატიის დედააზრს თვით ავტორი ასე აჯამებს:

1. XX ს-ის მეორე ნახევრის სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ კაცობრიობის განვითარების დღევანდელ ეტაპზე უკვე დაწყებულია გადაფასება იმ წვლილისა, რომელიც რენესანსულმა ფენომენმა მოიტანა ევროპული ცივილიზაციის პროცესში. იკვეთება გარკვეული ნოსტალგია შუასაუკუნეებისა და თეოლოგიური თუ ირაციონალური აზროვნებისადმი.

2. ეპოქის მსოფლშეგრძნების ამ ახლებური ტენდენციის დონეზე „ვეფხისტყაოსანში“ ის პასაჟები და პოემის იმგვარი ინტერპრეტაცია უფრო მიმზიდველია, რომელიც მეტ კონტაქტს წარმოაჩენს მისტიკურ-ირაციონალურთან.

3. კაცობრიობის ცივილიზაციის პროცესში რუსთველის ადგილის დადგენისას არ უნდა მივჩქმალთ პოემის ამკარა მიმართება რენესანსულ ფენომენტთან. ეს იქნება ტოლფასი ევროპული ქრისტიანული აზროვნების განვითარებაში რუსთველის ადგილის უარყოფისა.

4. „ვეფხისტყაოსანში“ შუასაუკუნეობრივისა და რენესანსულის თავისებური ჰარმონიაა. მასში ეს ორი ფენომენი დაპირისპირების გარეშე ერწყმის ერთმანეთს. გ. ა.

1993

502. გრიგოლ აბაშიძე

რად მიყვარს „ვეფხისტყაოსანი“?

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1993, 7 მაისი, № 19, გვ. 5-6; 9 ივლისი, N 28, გვ. 5.

პირველ წერილში ავტორი ეხება „ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოების, კერძოდ, ე.წ. ინდო-ხატაელთა ამბის ავთენტურობის საკითხს. იგი ითვალისწინებს ვახტანგ მეექვსის, კ. ჭიჭინაძის, ალ. ბარამიძის და შ. ონიანის განსხვავებულ თვალსაზრისებს და დაასკვნის, რომ ამ მონაკვეთის არარუსთველურობის მტკიცებისათვის მყარი საფუძველი არ არსებობს. კათალიკოს-მაწვერელის ხსენების შეუძლებლობა უკვე გაბათილებულია, სტილზე და მხატვრულ დონეზე მსჯელობა კი კრიტიკოსთა გემოვნების საქმეა და ეს ფაქტორი გადაწყვეტი ვერ იქნება.

მეორე წერილში განხილულია ვეფხისტყაოსნის მხატვრული სახე, როგორც სიმბოლო სატრფოსი და სიყვარულისა. ავტორი იმოწმებს ვიკტორ ნოზაძის დაკვირვებას, რომ ქართული „ვეფხისტყაოსანი“ დასავლური შესატყვისის არის „პანთერა“. პროვანსელი ტრუბადურები პანთერას ისევე თვლიან სილამაზის, მშვენიერების სიმბოლოდ, როგორც რუსთველი. აქვე საუბარია „ვეფხისტყაოსანში“ ყალბი სტროფების ძებნით გატაცებაზე, რაშიც ალ. სარაჯიშვილი და მიხ. წერეთელი იჩენდნენ გულმოდგინებას. ასეთ მოქმედებას ვ. ნოზაძე სუბიექტურსა და არამეცნიერულს უწოდებდა.

გ. ა.

503. შალვა ადგიშვილი

რუსთაველის კულტურული მიმართულების საკითხები

ქურ. „განთიადი“, ქუთაისი, 1993, № 3-4, გვ. 126-137.

როგორც ავტორი წერს, საქართველოში XII ს-ის ბოლოს ერთიმეორეს ეტოქებოდა ოთხი ისტორიულად ცნობილი კულტურული მიმართულება: 1) ოფიციალურად გაბატონებული, დასავლეთიდან (ბიზანტიიდან) შემოსული ქრისტიანული კულტურა (მასვე მიეკუთვნება ნეოპლატონიზმი); 2) მაჰმადიანური აღმოსავლეთიდან შემოსული სპარსული ეპიკური მწერლობა; 3) ძველი ბერძნული, წარმართული, კულტურა (მწერლობა, ფილოსოფია); 4) საქართველოში უკვე მე-10 საუკუნეში ჩაისახა იმის მსგავსი კულტურული მოძრაობა, რასაც

დასავლეთში ეწოდება რენესანსი („გრ. ხანძელის ცხოვრება“), XI-XII საუკუნეებში კი წარმოიშვა საკუთრივ ქართული ორიგინალური საერო კულტურა, რომელიც განსხვავებულია დას. რენესანსისაგან.

ამ ნარკვევში ავტორი განიხილავს რუსთაველის ურთიერთობას სპარსულ მწერლობასთან თემატურ-იდეური და პოეტური სტილის მსგავსება-განსხვავების ასპექტით. აღნიშნავს, რომ სპარსულ ეპიკურ ძეგლებს ახასიათებს რომანტიკული ჰიპერბოლიზაცია. მაგ., „შაჰ-ნამეს“ გმირების უპირველეს საქმედ ითვლება დევებთან, ავსულებთან და საშინელ მხეცებთან ბრძოლა. საამი, ზაალი, როსტომი და სხვები ყოველთვის გამარჯვებულნი და უძლეველნი არიან. „ვეფხისტყაოსნის“ გმირებიდან ფიზიკურად ყველაზე ძლიერი ტარიელია, მაგრამ ის ამ გზით წარმატებას ვერ აღწევს ... რუსთაველი უარყოფს ფიზიკური ძლიერების უპირატესობას და ამკვიდრებს გონივრულობის ყოვლისშემძლეობას. ტარიელის მთავარი მიზანი მიიღწევა მხოლოდ ავთანდილის ბრძნული განსჯითა და მოქმედებით.

„ვეფხისტყაოსანში“ დიდი ადგილი ეთმობა **მიჯნურობის თემას**, რომლის აღწერა-დახასიათებაში მკვლევრები მნიშვნელოვან მსგავსებას ხედავენ სპარსულ თხზულებებში წარმოდგენილ მიჯნურობასთან. სინამდვილეში განსხვავება უფრო თვალსაჩინოა: სპარსულ ეპოსში გაბატონებულია მიჯნურობის ერთი კონცეფცია, რომ მიჯნურობა არის სენი, სულიერი ავადმყოფობა, ჭკუაზე შეშლილობა, რომლის შედეგია ადამიანის გაუბედურება. „ვეფხისტყაოსანში“ სხვა სურათები გვაქვს როგორც მიჯნურთა ფსიქოლოგიისა და ქცევის, ისე მათი მოქმედების შედეგის მხრივ.

რას გვიჩვენებს **ბოროტისა და კეთილის დაპირისპირების** საკითხის შედარებითი ანალიზი? რუსთაველისათვის სიკეთე არის ცოდნა, დაფარულის გაცხადება, მტრის ვერაგულ ზრახვათა დროულად გამოცნობა და მათი ჩაშლა. ესაა ბოროტების ძლევისა და სიკეთის დამკვიდრების საიმედო გზა. „შაჰ-ნამეში“ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლის მამოძრავებელი მოტივი არის შურისძიება. კეთილი ერაჯის შთამომავლობა, ერანელები, ებრძვიან ბოროტი თურის შთამომავლებს, თურანელებს, რაც საუკუნეების მანძილზე გრძელდება.

პოეტური სტილის მხრივ, სპარსული თხზულებების დამახასიათებელია მიჯნურთა განცდების ვრცელი აღწერა („ვისრამიანი“, „ლეილ-მაჯუნნიანი“). „ვეფხისტყაოსანი“ მათ უპირისპირდება როგორც ეპიზოდების აღწერის სიმოკლით, ისევე შეყვარებულთა „წერილების“ მოცულობითა და მხატვრული „გაფორმებით“. მკვლევრის თქმით, ადვილი დასანახავია რუსთაველის ტენდენცია, მოხსნას სპარსული ზვიადი რომანტიზმი და მსგავს მასალაზე ააგოს რეალისტური სურათი. ეს არაა მიბაძვა და გავლენა. ეს არის შეგნებული დაპირისპირება, რომანტიკული ენამჭევრობის უგულვებელყოფა და რეალიზმის უპირატესობის აღიარება.

პოემის დასაწყისის **მე-9 სტროფი** („ესე ამბავი სპარსული“...), მკვლევრის აზრით, რუსთაველის დაწერილი არაა. ის ჩამატებულია გვიან, შესაძლებელია, XIII საუკუნეში სარგის თმოგველის მიერ. ამ სტროფში განზრახ არის ჩაწერილი აშკარა სიცრუე (პოემის სიუჟეტის სპარსულობაზე), მკითხველის შეცდომაში შესაყვანად, რათა თხზულებისათვის აეცილებინათ ფიზიკური განადგურება. **გ. ა.**

504. **ჯემალ აფციაური**

„ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის ზოგი საკითხისათვის

„*ურ. „სკოლა და ცხოვრება“*, 1993, № 3-4, გვ. 46-59.

მკვლევარი ეხება პროლოგის მე-9 სტროფს „ესე ამბავი სპარსული...“ აღნიშნავს, რომ: „სპარსულობა“, რამდენადაც ეს პრედიკატი ზოგადი შინაარსის მატარებელია და განსაზღვრულ სიუჟეტურ, თეორიულ-ლიტერატურულ თუ ესთეტიკურ პრინციპებს გულისხმობს,

შესაძლებლობას არ გვაძლევს იგი კონკრეტულ შინაარსამდე დავიყვანოთ, კერძოდ, პოემაში ვეძებოთ სპარსული ყოფითი გარემო, ჩვევები და სხვა ეროვნული ნიშნები (გვ. 47).

„ამბავი არ გულისხმობს რაიმე წერილობით ტექსტს და არც ნათარგმანები – თარგმანს“ (48). მკვლევარი თვლის რომ ინტერპოლაცია: „პირველ თავი, დასაწყისი...“ გამოძახილია პროლოგის აღნიშნული სტროფისა, მაგრამ იგი მხოლოდ „დასაწყისის“ სპარსულობას კი არ ამტკიცებს, არამედ მისი აზრი მთელ პოემას ეხება, ინტერპოლაციორმა „აღნიშნა, რომ პოემის დასაწყის ნაწილში, თავში, პროლოგში, თხზულება სპარსულად ცხადდება, ანუ მისი გენეტიკური კოდი სპარსულია“ (53).

დასკვნა: „ინტერპოლაციორს არ სჯერა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ სპარსული წარმომავლობის თხზულებაა და ამას ირონიული შეფერილობის სტროფით გამოხატავს კიდევ“ (59). გ. ა.

505 ჯ. აფციაური

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის ზოგი საკითხის გააზრებისათვის

თსუ IV რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, ლიტერატურათმცოდნეობა, მოხს. თეზისები, თბ., 1993, გვ., 10-11 (მოგვაქვს შემოკლებით).

პროლოგის ზოგიერთ სტროფში გამოთქმულია თამარისადმი პოეტის (რუსთაველის) სამიჯნურო გატაცება („იგია ჩემი სიცოცხლე...“ და სხვ.), რამაც საფუძველი მისცა ზოგ მკვლევარს, რომ ეს სტრიქონები პიდაპირი მნიშვნელობით გაეგო და რეალურ ფაქტად მიეჩნია. ეს აზრი გაუგებრობად უნდა ჩაითვალოს.

მომხსენებელი აყენებს შემდეგ თეზისს: თამარი პოეტისათვის არის არა მხოლოდ პატრონის, მეფის, არამედ ზოგადად ქალის სახე-ხატება, იდეალი, რომელშიც განსხეულებულია ქალურობის, მდებარეული საწყისის მთელი ხორციელი და სულიერი მშვენიერება. აქედან გამომდინარე, უხერხულობას არ ქმნის ის გარემოება, რომ პოეტი თავს მის მიჯნურად აცხადებს.

თამარის წარმოდგენას ზოგადად ქალის იდეალად ხელს არ უშლის მისი წმინდანობა და ღმრთისწორობა. აქ გათვალისწინებული უნდა იქნას შუა საუკუნეების რელიგიური ცნობიერების ზოგი მომენტი და საკარო პოეზიის ზოგადი პრინციპები. გ. ა.

506. გივი ახვლედიანი

მნიშვნელოვანი რუსთველოლოგიური გამოკვლევა

გაზ. „განათლება“, თბ., 1993, 2 ივლისი, № 22, გვ. 4.

რეცენზია ეხება გიორგი არაბულის წიგნს „შოთა რუსთველის ბიოგრაფია ქართულ მეცნიერებაში“ (თბ., 1992). მასში აღნიშნულია, რომ წიგნის ავტორმა მკითხველს გააცნო შოთა რუსთველის ვინაობის შესახებ არსებული სხვადასხვა მოსაზრება და აჩვენა ის გზა, რომლის გავლით ხდებოდა გენიალური პოეტის დაკარგული და დავიწყებული ბიოგრაფიის აღდგენა.

წიგნში განხილულია აღორძინების ეპოქის მწერალთა ცნობები და ზეპირსიტყვიერი გადმოცემები, აგრეთვე ის ჰიპოთეზები და ვერსიები, რომლებიც XIX და XX საუკუნეებში იქნა წარმოდგენილი თ. ბაგრატიონის, ს. კაკაბაძის, პ. ინგოროყვას, პ. რატიანის და სხვა მკვლევართა მიერ.

მკვლევარი აზუსტებს შოთას მეჭურჭლეთუხუცესობის თარიღს და ვრცლად მსჯელობს პალესტინაში, ქართველთა ჯვრის მონასტერში არსებულ რუსთველის ფრესკასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე.

წიგნის ავტორი დასაბუთებულად მიიჩნევს შოთა რუსთველის მესხური წარმომავლობის ვერსიას და თავის მხრივ უფრო დამაჯერებელს ხდის მას პოეტის თორელთა ფეოდალური სახლისადმი კუთვნილების არგუმენტების დამოწმებით შ. მესხიას, ნ. შოშიაშვილის, რ. ფირცხალაიშვილის, ს. ცაიშვილის ნაშრომებიდან.

რეცენზენტის თქმით, გ. არაბულის წიგნი ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი მეცნიერული კვლევის შედეგია და უდავოდ შეიტანს ჯეროვან წვლილს რუსთველის ბიოგრაფიის აღდგენისა და შესწავლის საქმეში. **ნ. გ.**

507. ალექსანდრე ბარამიძე

ისევ „საკარგავის“ გარშემო

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1993, № 1, გვ. 6-9.

ავტორი აღნიშნავს, რომ „საკარგავი“ რუსთველის ეპოქის კარგად ცნობილი ქართული სოციალური ტერმინია. ის დასტურდება „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებსა და გამოცემებშიც („...უბრძანა...ბოძება მისეულისა სრულისა საკარგავისა..“). ამ ტერმინის ხმარების მართებულობას პოემის სხვა კონტექსტშიც („ერთი სამეფო **საკარგად**, უბოძა ამირბარობა“, 316,1) მკვლევარი ასაბუთებდა 1958 წელს (წიგნში „შოთა რუსთველი“). ასევე დაიბეჭდა პოემის 1966 წლის ვარიანტებიან გამოცემაში. ამ წაკითხვას მხარი დაუჭირეს ნ. ნათაძემ და ა. ჭინჭარაულმა (პოემის სასკოლო გამოცემა, 1974 წ.), შ. მესხიამ, მ. ლორთქიფანიძემ და „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მთავარი რედაქციის მთელმა შემადგენლობამ (იხ. „მაცნე“, ელს, 1975, N 4), აგრ. პოემის 1988 წ. გამოცემა).

განსხვავებული აზრი ჰქონდა აკად. გიორგი წერეთელს. მას ავთენტურად მიაჩნდა ხელნაწერების დიდ უმრავლესობაში არსებული წაკითხვა „საკარგემო“ და ასევე დაიბეჭდა მისი ხელმძღვანელობით მომზადებულ გამოცემაში 1966 წელს. ამავე ვარიანტს უჭერდა მხარს სარგის ცაიშვილიც (ჟურ. „ლიტ. და ხელოვნება“, 1991, N 4).

ალ. ბარამიძეს მიაჩნია, რომ გ. წერეთლისა და ს. ცაიშვილის ვარაუდი სათანადოდ დასაბუთებული არაა და პოემის შემდგომ გამოცემებში ის მიღებული ვერ იქნება. **გ. ა.**

508. ალ. ბარამიძე

ისევ და ისევ „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის გარშემო

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1993, № 2, გვ. 5-9.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის მიმართ სკეპტიკურ დამოკიდებულებას დიდი ხნის ისტორია აქვს. პოემის ეს ნაწილი რუსთველისეული არ არისო, – პირდაპირ განაცხადა დ. კარიჭაშვილმა (1903 წ.). მას მხარი აუბეს კ. კეკელიძემ და ალ. სვანიძემ. მოგვიანებით (1941 წ.) კ. კეკელიძემ არსებითად შეცვალა უარყოფითი შეხედულება პოემის პროლოგზე და გაიზიარა ალ. ბარამიძის თვალსაზრისი.

მაგრამ სკეპტიკური აზრი არ ჩამკვდარა და 1980-იან წლებში მწერალმა თ. ჭილაძემ კვლავ ეჭვქვეშ დააყენა „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის ავთენტურობის საკითხი. ასეთივე

დამოკიდებულება გამოვლინდა ინგლისელი მკვლევრის დევიდ ლანგის ლექციებსა და ნაწერებში.

ალ. ბარამიძეს მიაჩნია, რომ „ვეფხისტყაოსანს“ აუცილებლად უნდა ჰქონოდა ავტორისეული დასაწყისი, ანუ შესავალი, რომელიც ითავსებდა სამ ძირითად ელემენტს: 1. მიმართვა უზენაესი ძალისადმი; 2. ქება მეფე-პატრონთა და მეცენატთა; 3. ცნობები ავტორზე (თავის თავზე) და თავის შემოქმედებაზე. **გ. ა.**

509. ალ. ბარამიძე

ტარიელის ხატაეთში ლაშქრობაზე

(და ზოგ რამე სხვაზე)

გაზ. „მამული“, თბ., 1993, № 24, გვ. 7.

ავტორი აღნიშნავს, რომ მეცნიერული მოღვაწეობის მანძილზე მას რამდენჯერმე მოუხდა „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟის – ტარიელის დაცვა უსაფუძვლო ბრალდებებისა და დამამცირებელი დახასიათებისაგან. მაგ., კ. კეკელიძის სიტყვით, ტარიელი იყო ვერაგი და ლაჩარი, აკლდა მას სიბრძნე და გონება. იუსტ. აბულაძისა და ივ. ჯავახიშვილის აზრით, ტარიელი უხეში დესპოტია. კ. ცინცაძეც უარყოფითად ახასიათებს ტარიელსა და ნესტანს.

ალ. ბარამიძე ფიქრობს, რომ ხატაეთში ტარიელის ლაშქრობის აგრესიად მიჩნევა ისტორიული სამართლიანობის, საერთოდ ისტორიზმის პრინციპების უგულვებელყოფაა. მკვლევარი მართებულად თვლის ტარიელის მიერ ხვარაზმშას ძის მოკვლასაც, რადგან იგი „ობიექტურად წარმოადგენდა იმ უკეთურ ძალას, რომელიც ეღობებოდა ნესტანისა და ტარიელის უმწიკვლო სიყვარულს და დიდ ხიფათს უქმნიდა ინდოეთის სახელმწიფოს მომავალს“.

მკვლევარი აქვე ახსენებს თემურ შავლადის წერილს („მამული“, 1993, N 16), სადაც ასეთივე თვალსაზრისია გამოთქმული, თუმცა საგულვეტელი წყარო დასახელებული არ არის.

გ. ა.

510. ალ. ბარამიძე

სისხლისა და „სისხლის“ გამო

გაზ. „მამული“, თბ., 1993, № 34, გვ.7.

ავტორი ეხმაურება მ. კარბელაშვილის ნარკვევს – ვეფხისტყაოსნის „უსისხლოდ“: ტერმინის იურიდიული და ეთიკური ასპექტები (ქართული მწერლობის საკითხები, თბ., 1993).

მკვლევარი აღნიშნავს: მ. კარბელაშვილი იზიარებს მ. კეკელიას წერილების დებულებას, რომ სტრიქონში: „უსისხლოდ მოვკალ იგი, გლახ, თუცა ხმდა სისხლთა დადენით“ (555,4), იგულისხმება არა ფიზიკური სისხლი, არამედ იურიდიული ტერმინი. ორივეს აზრით, „უსისხლოდ მოვკალ“ ნიშნავს: უდანაშაულოდ მოვკალი, ისე, რომ ჩემი სისხლი არ ემართა.

ალ. ბარამიძეს მიაჩნია, რომ ეს ინტერპრეტაცია მცდარია და, ძირითადად, სწორია ის გაგება, რასაც ტექსტის დამდგენი კომისია გვთავაზობს: „უსისხლოდ მოვკალი, თუმცა საჭირო იყო სისხლის დაღვრა“. ცნებები აქ გამოყენებულია მათი პირდაპირი მნიშვნელობით.

ალ. ბარამიძე ამართლებს ტარიელის მოქმედებას, რადგან მას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. მკვლევრის აზრით, ამ ამბავში დამნაშავეა არა ტარიელი, არამედ ფარსადანი-თავისი ასულისა და შვილობილის წინაშე: „მეფე და დედოფალი აბუჩად იგდებენ ნესტანისა და ტარიელის სასიყვარულო გრძნობებს, ანგარიშს არ უწევენ სამემკვიდრეო უფლებებს...“ **გ. ა.**

511. რევაზ ბარამიძე

რუსთველური ზგერწერის ეროვნული ტრადიციები

გაზ. „მამული“, თბ., 1993, № 20 (ივნისი), გვ. 7.

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთველური ალიტერაცია მუსიკალური ჟღერადობის მწვერვალია და მას შესაბამისი მყარი და მდიდარი საფუძველი ჰქონდა. ამ დებულების არგუმენტებად წერილში დამოწმებულია პარანომაზიული და ალიტერაციული ზგერწერის ნიმუშები იაკობ ცურტაველის, იოანე ბოლნელის, გიორგი მცირეს და იოანე საბანისძის თხზულებების, „ქებათა“ და ქადაგებათა ტექსტებიდან.

მასალის მიმოხილვის შედეგად მკვლევარი დაასკვნის, რომ ადრეულ მწერლობაში შექმნილი პოეტური სახეები თავისებურად შეისისხლხორცა, დახვეწა და სრულყო რუსთაველის პოეტურმა გენიამ. **გ. ა.**

511 a. მიხეილ ბულკათი

მარადისობის დიდი მგზავრი

ჟურ. „განთიადი“, ქუთაისი, 1993, № 1-2, გვ. 165-168.

წერილი ეხება „ვეფხისტყაოსნის“ გიორგი ბესთაუთისეულ თარგმანს ოსურ ენაზე. ავტორი აღნიშნავს, რომ მანამდე უკვე გამოქვეყნებული იყო მუხტარ საულოხთის თარგმანი, რაც უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებდა ახალ მთარგმნელს. გ. ბესთაუთმა ათი წლის შრომა მიუძღვნა რუსთაველის პოემის თარგმნას. მან გამოიყენა ოსური ენის დიალექტები- ირონული, დიგორული, ქსნისა და ჯავის ხეობების მცხოვრებთა კილოები, ოსური ხალხური ზრპრების, მითების და ნართების ეპოსის მდიდარი ლექსიკა. მთარგმნელი შესანიშნავად აღიქვამს ქართული სიტყვის მუსიკას, რამაც განაპირობა რუსთველური მაღალი და დაბალი შაირების პირველსახით აჟღერება ოსურ ტექსტში. **გ. ა.**

512. ალექსანდრე გვახარია

„ვეფხისტყაოსანი“ და აღმოსავლური სამყარო

გაზ. „მამული“, 1993, № 22, ივლისი, გვ. 7.

ავტორის განცხადებით, „ვეფხისტყაოსნის“ სათანადო დონეზე შესწავლა შეუძლებელია მისი წინამორბედი და, განსაკუთრებით, თანადროული დასავლური და აღმოსავლური, კერძოდ, არაბულ-სპარსული მწერლობის გათვალისწინების გარეშე. მისი აზრით, პოემა მშობლიურ ნიადაგზე დაფუძნებული დასავლურ-აღმოსავლური კულტურის ორგანული სინთეზის შედეგია. მწერლობაში იგი გულისხმობს როგორც ფოლოსოფიური ჟანრის, ისე მხატვრული პროზისა და პოეზიის ნიმუშებს, რომელთა ტიპოლოგიური თუ კონტაქტური შეხების წერტილების შესწავლას, მისი თქმით, „ვეფხისტყაოსანთან“ მიმართებით მრავალი საურთიერთო საკითხის გადაწყვეტა შეუძლია. აქ ავტორი უპირველესად გულისხმობს წყაროს საკითხს, ასევე „ვეფხისტყაოსნის“ ჟანრულ კვალიფიკაციას და სხვ.

წერილის ძირითადი ნაწილი ეთმობა „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკას. ავტორი არკვევს პოემაში დადასტურებული რამდენიმე სიტყვის („მზრები“, „ნაღებად“, „დარიჯაგთა“) წარმომავლობას და შეაქვს შესწორება ერთი სიტყვის დაწერილობაში (სიტყვას „ბროლბალახშეულმან“, ცვლის ფორმით „ბროლბალახშრეულმან“). **ნ. გ.**

513. ალ. გვახარია

„ვეფხისტყაოსანში“ ჩართული არაკის ლიტერატურული პარალელები

თსუ IV რესპ. სამეცნ. კონფ. ლიტერატურათმცოდნეობა, მოხს. თეზისები, 1993, გვ. 24; აგრ. გაზ. „მამული“, თბ., 1993, N 31, გვ. 7.

ავტორი მიუთითებს რუსთველის პოემაში არსებული არაკის (ჭაში ჩავარდნილი კაცის შესახებ) სპარსულ პარალელებზე. ერთ-ერთს მან მიაგნო XIV ს-ის სწავლულის ოზაიდ ზაქანის ტრაქტატში. ამავე შინაარსის არაკი თუ ანეგდოტი ყოფილა უფრო გვიანდელ კრებულში „დახოვნამე“: ერთი კაცი ჭაში ჩავარდა. ამის შესახებ შეატყობინეს დახოს (მამასახლისს). მან მოირბინა და ჩასძახა ჭაში: არსად წახვიდე, წავალ თოვს მოვიტან და ამოგიყვანო.

ალ. გვახარია შენიშნავს: არაკის სპარსულ ვარიანტებს აკლია ის მარილი, რაც მას დასრულებულ სახეს აძლევს – ჭაში მყოფის შეპასუხება: „არ გელოდე, სად გაგექცე, სად წავიდე!“ ჯერჯერობით ეს მხოლოდ რუსთველის ტექსტში ჩანს. **გ. ა.**

514. ლაურა გრიგოლაშვილი

„წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელთანა მიწერილი“

გაზ. „მამული“, 1993, № 23 ივლისი, გვ. 7.

წერილის ავტორი განიხილავს ნესტანის მიერ ტარიელისადმი ქაჯეთის ციხიდან გაგზავნილ წერილს. მისი აზრით, ამ წერილში ჩანს ნესტანის პიროვნება. აქ „იშვიათ ჰარმონიულ თანხმოზაშია „ვეფხისტყაოსნის“ გმირი ქალის გრძნობა, გონება და ნება“. ლ. გრიგოლაშვილის აზრით, „ნესტანის წერილის წაკითხვა, მის მხატვრულ შინაარსთან მიახლოება ნაწარმოების მთლიან კონტექსტზე დაყრდნობით თუ მოხერხდება... ქაჯეთიდან მიჯნურისადმი გამოგზავნილი წერილი არის ლირიკული აღსარება, რომლის უკან დგას გმირი ქალი. ნესტანს, – მარტვილოლოგიური ჟანრის თხზულებათა პერსონაჟების მსგავსად, – ციხეში, საპყრობილეში მიუღწევია სრულყოფისათვის“. **ნ. გ.**

515. სესილი გოგიბერიძე

„ვეფხისტყაოსნის“ მეტაფორების ასახვა ინგლისურ თარგმანებში

თსუ IV რესპ. სამეცნიერო კონფერენცია, ლიტერატურათმცოდნეობა, მოხს. თეზისები, თბ., 1993, გვ. 25.

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმნისას ერთ-ერთ სირთულეს წარმოადგენს პოემის ფორმალზე სტილის შენარჩუნება. ამ პრობლემის დაძლევა ინგლისურ ენაზე მთარგმნელები სხვადასხვაგვარად ცდილობენ.

მ. უორდროპი და ვ. ურუშაძე მეტნაკლები სიზუსტით ინარჩუნებენ რუსთველისეულ მეტაფორებს.

თანამედროვე მთარგმნელები – რ. სტივენსონი და ქ. ვივიენი ცდილობენ რუსთველის სამყარო დაუახლოვონ მკითხველის ესთეტიკურ მოთხოვნებს. სტივენსონი ირჩევს პოეტურ სიმბოლოთა კომენტარების მეთოდს. იგი განმარტავს თითქმის ყველა მეტაფორას და სიმბოლოს.

ვივიენის მეთოდი გამომდინარეობს მისივე პოზიციიდან – მორგოს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი ინგლისურენოვანი მკითხველის ცნობიერებას, შექმნას „გასაგები“ და საინტერესო საკითხავი პროზა.

516. მერი გუგუშვილი

რუსთაველის გავლენა ფეშანგის „შაჰნავაზიანზე“

კრებ. „ქართული მწერლობის საკითხები“

(ეძღვნება აკად. ალ. ბარამიძის დაბადების 90-ე წლისთავს),

თბ., 1993, გვ. 165-182.

ავტორი აღნიშნავს, რომ ფეშანგის პოემა „შაჰნავაზიანი“, მხატვრული თვალსაზრისით, სუსტი ნაწარმოებია, მისი ლექსი მდარეა, რითმები – დარიბი. ფეშანგი განიცდის „ვეფხისტყაოსნის“ გავლენას, რაც მეტწილად ეპიგონურია. იგი უხვად დასესხება რუსთაველის ფრაზეოლოგიას, ლექსიკას, რითმებს. ნარკვევში მოტანილია ასეთი სესხებისა და მიბადვის მრავალი მაგალითი.

მკვლევრის თქმით, რუსთაველური ლექსიკისა და ფრაზების სესხების ფაქტები იმდენად თვალსაჩინოა, რომ მათი შედარებითი ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი ხდება ტექსტოლოგიური ხასიათის გასწორებების შეტანა „შაჰნავაზიანის“ დაზიანებულ ან გადაწერის დროს დამახინჯებულ ადგილებში. **გ. ა.**

517. ანზორ დარცმელიძე

ფიქრები ვეფხისტყაოსანზე

თბ., 1993, 200 გვ., რედ. მამია ჩორგოლაშვილი.

ნაშრომში წარმოდგენილია ავტორის თვალსაზრისი „ვეფხისტყაოსანში“ ასახული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ზოგიერთი ასპექტის შესახებ. ნაშრომის ავტორი რუსთაველის პოემას მიიჩნევს XII საუკუნის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ხატად, რომელშიც „ასახულია ამ ეპოქის მთავარ მამომრავებელ ძალთა ურთიერთობა, სოციალური და პოლიტიკური წინააღმდეგობანი, ამ წინააღმდეგობათა დაძლევის გზების ძიებანი“ (გვ. 56). იგი პოემის ცალკეულ ეპიზოდებსა თუ პერსონაჟთა ხასიათებს სწორედ ამ თვალსაზრისით განიხილავს.

ა. დარცმელიძის აზრით, თინათინის მიერ ავთანდილის გაგზავნა უცხო მოყმის მოსაძებნად არის „ბრძოლის დასაწყისი ახალი პოლიტიკური იდეისათვის, სახელმწიფოსა და ქვეყნის მართვის ახალი გზებისა და ავი ენერგიის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი საშუალებების ძიების დასაწყისი“. თინათინს პოლიტიკური მიზანი ჰქონდა – ავთანდილს თავისი გმირობით უნდა დაემტკიცებინა, რომ იგი როსტევეანის „სამამაცოთა ზნეთა“ ნამდვილი მემკვიდრე იყო, და ამით უნდა მოეპოვებინა პოლიტიკური პრესტიჟი. ყოველივე ამას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა თინათინის ხელისუფლებისათვის.

ავტორი შენიშნავს, რომ რუსთაველის მიერ ფარსადანის სამეფოს დახატვით დახასიათებულია ექსპანსიის სამი სახეობა: ანექსია (სარიდანის სამეფოსი), აგრესია (ინდოეთის ომი ხატაელებთან) და პოლიტიკური გავლენის სფეროს გაფართოება (ფარსადან მეფის მიერ ხვარაზმის სამეფოს შემოერთების ცდა). ფარსადანი სამეფოს გაძლიერებას აგრესიული

პოლიტიკით ცდილობს, ამისათვის შვილისა და შვილობილის ბედნიერებაც მსხვერპლად მიქვს; აგრესიით იგი უფრო ამწვავებს შინაგან წინააღმდეგობებს და საბოლოოდ მარცხდება.

რუსთაველის პოზიცია, ნაშრომის ავტორის დასკვნით, კატეგორიულია: იგი გმობს ტირანიას, აგრესიულ საგარეო პოლიტიკას.

ნაშრომის ავტორი ანალიზებს სოფრატის და ავთანდილის სახეებს, ტარიელის მიერ ზვარაზშას ძის მოკვლის ეპიზოდს, გვთავაზობს თავის თვალსაზრისს 122-ე და 1299-ე სტროფების შესახებ. **ნ. გ.**

518. ა. დარცმელიძე

„ვაზირი ბერი სოფრატი...“

ავტორის წიგნში – „ფიქრები ვეფხისტყაოსანზე“, თბ., 1993, გვ. 181-194.

ვაზირი „ვეფხისტყაოსანში“ უმაღლესი ფეოდალური არისტოკრატის წარმომადგენელია. მკვლევრის აზრით, იგი ზოგადი უარყოფითი სახეა ამ არისტოკრატის ერთი ნაწილისა. მის მაგალითზე ჩანს რუსთაველის დამოკიდებულება XII ს-ის საქართველოს დიდმოხელეთა მიმართ.

სიტყვა „ვაზირი“ ქართულ საისტორიო წყაროებში, როგორც მეფის მინისტრის აღმნიშვნელი, გიორგი მესამის დრომდე არ გვხვდება. ისტორიკოსთა ნაშრომების დამოწმებით, მკვლევარი წერს, რომ თავდაპირველად ვაზირად იწოდებოდა მხოლოდ მწიგნობართუხუცესი, შემდეგ დაემატა ამირსპასალარი, მეჭურჭლეთუხუცესი და მანდატურთუხუცესი, თამარის მეფობის ბოლო წლებიდან – ათაბაგი და რუსუდანის მეფობაში – მსახურთუხუცესი. ამრიგად, საბოლოო სახით სავაზირო ექვსი ვაზირისაგან შედგებოდა.

ნარკვევში მოტანილია შ. მესხიას განსხვავებული მოსაზრებაც, რომ თამარის მეფობის შუა წლებამდე „სავაზირო“ არ არსებობდა. სამეფო კარზე ერთადერთი ვაზირი იყო ანტონი მწიგნობართუხუცესი-ჰყონდიდელი. „ვეფხისტყაოსანშიც“ კონკრეტულად ერთი ვაზირი ჩანს – „ბერი სოფრატი“.

ნარკვევის ავტორს მიაჩნია, რომ ვაზირის სახით რუსთაველი ახასიათებს XII ს-ის საქართველოს დიდმოხელეებს, რომელთაც 1177 წელს ცნობილი ორბელთა აჯანყება მოაწყვეს და პოლიტიკური კრიზისი გამოიწვიეს. **გ. ა.**

519. მაკა ელბაქიძე

„ვეფხისტყაოსნის“ სტრუქტურის სპეციფიკისათვის

თსუ IV რესპ. სამეცნიერო კონფერენცია, ლიტერატურათმცოდნეობა, მოხს. თეზისები, თბ., 1993, გვ. 28-29 (მოგვაქვს შემოკლებით).

ნაწარმოების აგებულების ტრადიციულ მოდელში შეტანილი ყოველი სიახლე შემოქმედის ნოვატორობის განმსაზღვრელია. მოხსენებაში ჩამოყალიბებულია „ვეფხისტყაოსნის“ სტრუქტურული მოდელი და კურტუაზულ რომანთან შედარების საფუძველზე წარმოჩენილია მასთან საერთო და განმასხვავებელი ნიშნები.

რუსთაველის პოემას კრეტიენ დე ტრუას რომანებთან საერთო აქვს კომპოზიციის წრიულობა, ერთიანი სიუჟეტური ღერძის არსებობა, ხოლო ორიგინალურია „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის მთლიანობა, თხრობის დინამიკური და უწყვეტი რიტმი, სტრუქტურული ელემენტების ლაკონურობა. **გ. ა.**

520. მ. ელბაქიძე

„ვეფხისტყაოსნის“ ძირითად მოტივთა და კომპოზიციურ ელემენტთა ტიპოლოგიური მიმართებისათვის დასავლეთ ევროპის რაინდულ რომანთან

თსუ შრომები, ტ. 311, ლიტერატურათმცოდნეობა, თბ., 1993, გვ. 54-65.

ავტორის მიზანია გამოავლინოს რუსთაველის პოემის ძირითადი მოტივებისა და კომპოზიციის მსგავსი ელემენტები შუა საუკუნეების დას. ევროპულ რაინდულ რომანებში, კერძოდ, კრეტიენ დე ტრუას შემოქმედებაში, რომელიც ითვლება ახალ ეტაპად ბრეტონული ციკლის რომანების განვითარებაში.

მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს შემდეგ მოტივებზე:

1. **სივრცე და დრო.** ორივე მწერალი სივრცეს განსაზღვრავს მთავარი პერსონაჟის ქცევისა და მოქმედების მიხედვით. კრ. დე ტრუას რომანებში სამოქმედო ასპარეზის ცენტრია მეფე არტურის სასახლე. აქედან იწყებენ საგმირო თავგადასავლებს პერსონაჟები და აქვე ასრულებენ. რუსთაველის პერსონაჟებს ფართო ასპარეზი აქვთ, მაგრამ „მოქმედების განვითარებასთან ერთად ისინი თანდათან ერწყმიან ერთმანეთს და საბოლოოდ არაბეთის სამეფო კარზე იყრიან თავს“.

შუასაუკუნეობრივი წარმოდგენა დროზე მოიცავს სამ მომენტს – ადამიანთა მოდემის დასაწყისს, კულმინაციასა და დასასრულს: დრო ხდება ვექტორული, სწორხაზობრივი და დაუბრუნებელი.

2. **პერსონაჟები.** მოცემულია მთავარი პერსონაჟების შედარებითი დახასიათება.

3. **სიყვარული.** წარმოდგენილია „ვეფხისტყაოსნისა“ და კურტუაზული რომანების „სასიყვარულო კოდექსის“ ძირითადი დებულებები.

4. **მეგობრობა.** ნაჩვენებია რუსთაველური მეგობრობის ქართული ტრადიციული, რელიგიური, ფილოსოფიური და ეთიკური საფუძვლები და მისგან განსხვავებული მოტივები და სიტუაციები კრ. დე ტრუას რომანებში.

5. **ზღაპრულ-ფანტასტიკური სამყარო.** მკვლევრის აზრით, ამ მოტივის ამსახველი თემატიკა უფრო უხვად არის გამოყენებული ევროპულ რაინდულ რომანებში, ვიდრე „ვეფხისტყაოსანში“. ზღაპრულ მოტივთა დამუშავებასა და ინტერპრეტაციაში რუსთაველი რაციონალიზმს აქსოვს, რაც მის თხზულებას მკვეთრად განასხვავებს მისი ეპოქის ევროპული რომანებისაგან.

ნარკვევს ახლავს რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე. **გ. ა.**

521. ხეთისო ზარიძე

„ერთი ამბავი აიწყე...“

თსუ IV რესპუბლიკური სამეცნ. კონფ., ლიტერატურათმცოდნეობა, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1993, გვ. 31; აგრ. გაზ. „მამული“, თბ., 1993, N 27, გვ. 7. იხ. აქვე ანოტ. N 777a.

522. მურმან თავდიშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ ღმრთისმეტყველება“

ჟურნ. „რელიგია“ 1993, № 1-2 (გვ. 76-95), N 3-4 (გვ. 57-89).

წერილში მიმოხილულია ვ. ნოზაძის წიგნი „ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება“. წერილის ავტორი სავსებით იზიარებს რა ვ. ნოზაძის მოსაზრებას პოემის გმირთა და მისი

ავტორის ქრისტიანული აღმსარებლობის შესახებ, მოაქვს მასალა წიგნიდან, რომელშიც ვ. ნოზაძე ასაბუთებს, რომ „ვეფხისტყაოსნის თეოლოგია-ღვთისმეტყველება არის ხალასი ბიბლიურ-ქრისტიანული“ (N 3-4, გვ. 89). წერილის ავტორის მიერ გაზიარებულია ვ. ნოზაძის კრიტიკა იმ მეცნიერთა მიმართ, რომელთაც პოემის გმირებსა და ავტორს მიაწერეს სხვადასხვა რელიგიის აღმსარებლობა, ან ათეისტად მონათლეს რუსთველი.

რეცენზენტი ეხება ანტონ კათალიკოსის მითითებით პოემის დევნა-შევიწროების შესახებ არსებულ მოსაზრებას და გამოთქვამს ვარაუდს: „პოემის წიგნთა დაწვისა და მოსპობის მსგავსი რაღაც, უდავოა, მომხდარა, მაგრამ ვ. ნოზაძეც მართალია- ნუთუ უგანათლებულესი ანტონ ბაგრატიონი პოემის სიდიადეს ვერ ჩასწვდა? აქ რაღაც სხვა საიდუმლო იბადება და აი, ვაყენებ ასეთ მოსაზრებას: ხომ არ იყო პოემისათვის მოწყობილი „აუტოდაფე“ რაღაც ჩარტისტული მოძრაობის მსგავსი რამ? საქმე ისაა, რომ ყურადღებას არავინ აქცევს ერთ გარემოებას – ყველა ცნობა ხაზგასმით მიუთითებს, რომ დაიწვაო ნაბეჭდი წიგნები და არა ხელნაწერები. იქნებ მორწმუნე ქრისტიანებმა ვერ აიტანეს, რომ ვახტანგ მეექვსის რელიგიურ წიგნთა საბეჭდავ სტამბაში ეს საერო-საკარისკაცო და სამიჯნურო პოემა დაისტამბა? ან იქნებ პოემის გადამწერებმა, კალიგრაფებმა მოაწყვეს ნაბეჭდი წიგნების დაწვა, რათა მათ საარსებო საშუალება და ხელობა არ დაჰკარგოდათ?“ (N 2, გვ. 78).

მ. თავდიშვილი არ იზიარებს ზოგიერთი სიტყვის ნოზაძისეულ ახსნას და მიუთითებს სხვათა განმარტებებზე ან გვთავაზობს საკუთარ წაკითხვას.

მ. თავდიშვილი მიუღებლად თვლის ზ. გამსახურდიასეულ ინიციაციის თეორიას, ვინაიდან, მისი აზრით, ეს თეორია აღმოსავლური და კერძოდ, ქართულ-ქრისტიანული ეკლესიებისთვის სრულიად უცნობია. ავტორი განიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე მაგალითს, რომელთაც ზ. გამსახურდია ინიციაციის თეორიასთან აკავშირებს. რეცენზენტი ცდილობს დაასაბუთოს, რომ ამ მაგალითებში საინიციაციო ელემენტების ჩანასახიც არ ჩანს.

ნ. გ.

523. მ. თავდიშვილი

შეწებებული გულების საიდუმლო „ვეფხისტყაოსანში“

ჟურ. „რელიგია“ 1993. № 10-11, გვ. 74-76.

ავტორი ეხება 1293 სტროფის მესამე სტრიქონს

„მე გული შენი ქაღალდად გულსავე ჩემსა ვაწევი“.

ამ სტრიქონის მეტაფორული აზრი გასაგებია: შენი და ჩემი გულები ქაღალდად გამოვიყენე და ზედ ჩვენი მწუხარე გრძნობები დავწერეო. მაგრამ უცნაური ჩანს პირდაპირი გაგებით, – რანაირად წარმოვიდგინოთ გულის დაწებება გულზე ქაღალდად?

აქ საქმე ეხება ქაღალდის დამზადების წესს, რაც შუა საუკ. კუსტარულ საწარმოებში იყო მიღებული. ამის შესახებ არსებობს XII ს-ის მწერალ ჰუბაიმ თიფლისელის ცნობები. უფრო ვრცლად კი განმარტავს რ. მუკმანოვა („ნარკვევები ხელობათა ისტორიიდან XVI ს. სამარყანდსა და ბუხარაში“, 1976). მისი ცნობით, საქაღალდე მასა (ფაფა) ისხმებოდა ორ პრილა საყალიბე დაფაზე, სწორდებოდა, იწურებოდა, შემდეგ იფარებოდა (ცალ-ცალკე) სახამებლის წებოთი და დაფები ედებოდა, ეწებებოდა ერთიმეორეს.

ნესტანის წერილში სწორედ ასეთი შეწებება იგულისხმება (გვ. 74-75). გ. ა.

524. მ. თავდიშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ წვიმის საიდუმლო

ალმ. „ალგეთი“, 1993, № 1-2. აგრ. ავტორის წიგნში – „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის საიდუმლოებანი“, თბ., 2000, გვ. 3-13.

ავტორი აღნიშნავს, რომ სიტყვა-ცნება „წვიმა“ პირდაპირი მნიშვნელობით, როგორც ბუნების მოვლენა, რუსთველის პოემაში მხოლოდ ერთხელ არის ნახსენები, როდესაც გულანშაროდან წასული ავთანდილი ხმელეთზე გადავიდა და ტარიელის სადგომისაკენ გაემართა: „აგრგვინდა ცა და ღრუბელნი ცროდეს ბროლისა ცვართა“ (1324,1).

მკვლევრის აზრით, ეს უბრალო დამთხვევა არაა. ბიბლიის ტექსტში წვიმა ღვთაებრივი კეთილგანწყობილებისა და სიკეთის სიმბოლოა. ავთანდილს სასიხარულო ამბავი მოაქვს ტარიელისთვის და ამ დღიდან მათი მოქმედება წარმატებულია.

ბიბლიის ენციკლოპედიაზე დაყრდნობით ავტორი იმასაც არკვევს, რომ **წყლის წიაღში, სიღრმეში**, შუაგულში ყოფნა აღნიშნავს ტანჯვას, წვალებას; წმიდა, მტკნარი წყალი კი ხსნის, გადარჩენის მანიშნებელია. ამის გათვალისწინებით გასაგები ხდება, თუ რატომ უბრძანებს დავარი ზანგ მონებს, რომ ნესტან-დარეჯანი შორს წაიყვანონ, იქ სადაც „ზღვის ჭიპია“.

მკვლევრის დასკვნით, რუსთველისეული **წვიმა**, ისევე როგორც **ზღვა** (დიდი წყალი) და **წმიდა წყალი**, აირეკლავს ბიბლიურ წარმოდგენებს.

იხ. აგრ. ანოტ. N 360. გ. ა.

525. მურმან თავდიშვილი, შოთა ბარამიძე

პოლემიკა „ვეფხისტყაოსნის“

დაფანტული სტროფების ირგვლივ

თბ., 1993, 38 გვ., რედაქტორი რ. მიშველაძე

ამ ბროშურაში სამი წერილი ეკუთვნის მ. თავდიშვილს, ორი – შ. ბარამიძეს. ისინი გამოხმაურებაა მ. თავდიშვილის რუსთველოლოგიური ნარკვევების გამო ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილებზე.

პირველ სტატიაში „სიმართლე ჩემი ნათელია“ (გვ.3-11) ავტორი უარყოფს ც. კიკვიძის რეცენზიაში („ლიტ. საქართველო“, 1993,18,VI) გამოთქმულ შენიშვნებს. მისი აზრით, „ოფიციალური რუსთველოლოგები“ მ. თავდიშვილს იმიტომ აკრიტიკებენ, რომ მის წიგნში ახალი არგუმენტების მოხმობით დასაბუთებულია კ. ჭიჭინაძის, ნ. ნათაძის, შ. ონიანის და სხვათა „მართებული ხაზი რუსთველოლოგიურ ტექსტოლოგიაში“. აღნიშნავს, რომ მან აღმოაჩინა „რუსთველური კანონზომიერებანი“, რომელთა ბაზაზეც დასაბუთებულია პოემის ათობით სტროფის ავთენტიკურობა. უსამართლობად მიაჩნია, რომ „აკადემიური გამოცემები“ არ ითვალისწინებენ მისგან და „ცალკეულ გამოცემათა“ მიერ თავიანთ უფლებებში აღდგენილ სტროფებს.

მეორე წერილი პასუხია გრ. ფარულავას რეცენზიისა, რომელშიც ავტორი წერდა: „ მე არ მეფულება ქართულ ენაზე დაბეჭდილი მეორე წიგნი, სადაც ეროვნული კულტურისათვის დიდად დამამწვრალ მოღვაწეებს ასეთი ნიჰილიზმით, კიცხვა-გინებით უმასპინძლებოდნენ“ („საქ. რესპუბლიკა“, 1993, 10, VI). მ. თავდიშვილი აღიარებს, რომ „რუსთველოლოგიაში კ. ჭიჭინაძეს აკ. შანიძეზე ათჯერ უფრო დიდ ავტორიტეტად თვლის“, ხოლო გრ. ფარულავას

რეცენზიას ტენდენციურად მიიჩნევს, რადგან იგი არ ახსენებს წიგნის დადებით მხარეებს და იმ ახალ დებულებებსა და დასკვნებს, რომლებიც მრავლად არის სარეცენზიო წიგნში.

მესამე წერილში „დაუჯერებელი უმეცრება“ (გვ. 17-31) მ. თავდიშვილი აკრიტიკებს გრ. ფარულავას წიგნს „მხატვრული სახის ბუნებისათვის ძველ ქართულ პროზაში (თბ., 1982), ძირითადად „ბუნდოვან-სქოლასტიკური“ მსჯელობისა და „სტილური უსუსურობის“ გამო.

შ. ბარამიძე წერილში „რეცენზენტი მოგახსენებთ“ (გვ. 32-36) განმარტავს, თუ რატომ მისცა ვიზა მ. თავდიშვილის წიგნს. მისი აზრით, წიგნის ავტორმა გაარკვია მნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც რუსთველოლოგიაში დგას პოემის ტექსტის შედგენილობასთან დაკავშირებით. მან მიაგნო და დაასაბუთა ოცამდე კანონზომიერება და ისინი მოიმარჯვა რუსთაველის ნამდვილი ტექსტის დასადგენად. ეს მეთოდი სრულიად ახალია ქართულ ტექსტოლოგიაში.

რეპლიკაში „დავთრები დაბნევიათ“ (გვ. 37-38) შ. ბარამიძე მიუთითებს ფაქტობრივ შეცდომებზე, რომლებიც მან შენიშნა ვ. ჩანტლაძის წიგნში „ვეფხისტყაოსნის ეკონომიკური შეხედულებანი“ (თბ., 1992). **გ. ა.**

526. გურამ თევზაძე

ქართული პოეზიის ფენომენი

*ტიპოლოგიური და ვერსიფიკაციული პრობლემების გადაწყვეტა
(სინერგეტიკული მიდგომა), თბ., 1993, 150 გვ., რედ. შ. ძიძიგური.*

ანოტაციაში აღნიშნულია, რომ გ. თევზაძის წიგნში უახლესი მეცნიერული მეთოდოლოგიით (სინერგეტიკა) შესწავლილია ქართული ლექსთწყობის ტიპოლოგია და ვერსიფიკაციული სტრუქტურა. ავტორი ქართულ ლექსს აკუთვნებს სილაბურ ლექსთწყობათა ტიპს, რომელიც თვითორგანიზებადი დინამიკური სისტემაა და ექვემდებარება მისი ევოლუციური განვითარების ზოგად კანონზომიერებებს.

წიგნის ქვესათაურებია: პრობლემის არსის დაზუსტება (გვ. 9-13); კვალიფიკაციის პრობლემის დღევანდელი მდგომარეობა (გვ. 13-30); ზოგადვერსიფიკაციული პრინციპის ჩამოყალიბება (გვ. 30-57); ქართული ლექსთწყობის ტიპოლოგია (გვ. 57-88); ქართული ვერსიფიკაცია (გვ.88-111).

ავტორი აღნიშნავს, რომ დღევანდლამდე არსებობდა ქართული ლექსის კვალიფიკაციის ორი თეორია (სილაბური და სილაბურ-ტონური). ამ პრობლემის განსხვავებული გადაჭრა წამოაყენა **ა. სილაგაძემ** („ლექსმცოდნეობითი ანალიზის პრინციპების შესახებ...“, 1987). მისი ნაშრომი თვისობრივი „ნახტომია“ ქართული ვერსიფიკაციის დარგში, მაგრამ მას არავინ გამოეხმაურა, რაც გაკვირვებას იწვევს. მკვლევარი მსჯელობს ა. სილაგაძის წიგნის როგორც დადებით, ისე სუსტ (ურთიერთგამომრიცხავი დებულებების შემცველ) მხარეებზე (გვ. 14-30) და დაასკვნის, რომ ქართული ლექსის ტიპოლოგიის საკითხი ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არაა.

თვითონ გ. თევზაძე ქართულ ვერსიფიკაციას იკვლევს **სინერგეტიკის** მეთოდით, რომელიც გულისხმობს ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ბუნების სიმრავლეთა ქაოსიდან წესრიგში თვითგადასვლის კანონზომიერებების შესწავლას. მკვლევარს მიაჩნია, რომ მან დაადგინა ქართული პოეზიის ფენომენის უნიკალური ბუნება, რაც გამოიხატება მის ვერსიფიკაციულ სქემებში სხვა სილაბური ტიპის ლექსთწყობისათვის უცნობი სახის სიმეტრიის არსებობასა და რიტმული სტრუქტურის ჰარმონიზაციის დონეში.

წიგნს ახლავს რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე, შენიშვნები და კომენტარები; აგრეთვე პროფ. რ. დუდუჩავასა და მწერალ ე. კვიციანიშვილის რეცენზიები, რომლებიც დადებითად აფასებენ გ. თევზაძის ნაშრომს. **გ. ა.**

527. მაგალი თოდუა

ვეფხვის ნახტომი, ანუ რითი სჯობს რუსთველი შექსპირსა და გოეთეს

ქუთაისი, 1993, 138 გვ., რედაქტორები: ჯ. ა. შანიძე, ა. ბაქრაძე, ა. ნიკოლეიშვილი.

წიგნში განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულისა და სიუჟეტის წარმომავლობის საკითხი. ავტორის აზრით, რუსთველის პოემის ფაბულა ეყრდნობოდა აღმოსავლურ დასთანს, მაგრამ მას დიდად დაშორებულია; ეტყობა, სახეცვლილი და ფაქტობრივად გაქართულებული იყო ის პროზაული თხზულება, რომელიც რუსთველმა ლექსად გარდათქვა. წყარო, რომელიც რუსთველმა გამოიყენა, „ამირანდარეჯანიანის“ ტიპის საფალავნო თხზულება უნდა ყოფილიყო, მასში არსებული სიყვარულის მოტივით, ზებუნებრივი ძალის (გრძნეულების) მქონე პერსონაჟებით.

რუსთველმა დევებისა და ქაჯების ზღაპრული სამყარო გარდაქმნა ახალი ეპოქის მოთხოვნების შესაბამისად და წინ წამოსწია რენესანსული იდეები.

„მანძილი, რომელიც „ვეფხისტყაოსანს“ და მის წინამორბედ მტკნარ ამბავს შორის ძევს, შეუდარებლად მეტია იმ მანძილზე, რომელიც ჰომეროსის, ნიზამის, შექსპირის, გოეთეს ქმნილებებსა და მათ წყაროებს შორის ძლივს შეიმჩნევა. ამიტომ რუსთველის ნახტომი გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე მათი, – იგი ვეფხის ნახტომს ჰგავს...“ (გვ. 128). **წიგნს** ერთვის პირთა სამიებული (გვ. 129-138). **გ. ა.**

528. მარიამ კარბელაშვილი

ვეფხისტყაოსნის „უსისხლოდ“:

ტერმინის იურიდიული და ეთიკური ასპექტები

კრებ. „ქართული მწერლობის საკითხები“ (ემდგენება აკად. ალ. ბარამიძის დაბადების 90-ე წლისთავს), თბ., 1993, გვ. 183-221.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონი: „უსისხლოდ მოვკალ იგი, გლახ, თუცა ხმდა სისხლთა დადენით“ (557,4), მკვლევართა სხვადასხვა ინტერპრეტაციის მიუხედავად, მაინც ბუნდოვანი რჩება. გაუგებარია ერთი ფუძიდან ნაწარმოებ სიტყვათა შემცველი ფრაზების ზუსტი შინაარსი: „უსისხლოდ მოვკალ“ და „ხმდა სისხლისა დენით“.

მკვლევარი ითვალისწინებს ტერმინ „სისხლის“ იურიდიულ მნიშვნელობას და წერს: „**უსისხლოდ** სიტყვის განმარტებაში შემოდის ამ სიტყვის მნიშვნელობის მთელი ის ასპექტი, რომელიც უმძიმეს ზნეობრივ დანაშაულს – დალატით კაცის კვლას გულისხმობს...“ (გვ. 213). „**კარავში მომხდარი ამბავი არის არა უბრალოდ „მოკვლა“, არამედ წინასწარ განზრახული მკვლელობა, ანუ ლიტერატურაში კარგად ცნობილი მოტივი დანაშაულისა და უდანაშაულო მსხვერპლისა“ (გვ. 216).**

ავტორის თქმით, „სისხლის დენა“ როგორც სამართლებრივი ტერმინი, რუსთველის ეპოქის ძეგლებში არ დასტურდება. ამიტომ იგი თვლის, რომ მოცემულ კონტექსტში ეს

გამოთქმა პირდაპირი მნიშვნელობით (სისხლის დაღვრა, ბრძოლა) არის გამოყენებული და მთელი სტრიქონი ასე „ითარგმნება“: უსისხლოდ (უდანაშაულოდ) მოვკალ იგი, თუმცა, განა მართალი ვიქნებოდი, რომ ბრძოლა გამემართა და ხვარაზმშას ძისა და მისი მხლებლების სისხლი დამედგარა? ნუთუ სხვა გამოსავალი არ არსებობდა? მკვლევარს მიაჩნია, რომ უნდა აღდგეს C რედაქციის წაკითხვა: „თუცა ხმდა **სისხლსა დადენით**“ (კითხვითი შინაარსით). შდრ. „**მებნად სისხლსა**“ (ქ. ცხ. I, გვ.15, 223). მისი აზრით, „გლახ“ სიტყვაც ავთენტიკურია და ის ტარიელის სინანულს და სასოწარკვეთილებას გამოხატავს. **გ. ა.**

529. მ. კარბელაშვილი

მედუზას თავი და პერსევსის ფარი

გაზ. „მამული“, თბ., 1993, № 36, გვ. 7.

მკვლევარი ასეთ პარალელს აკეთებს: მითის მიხედვით, პერსევსს უნდა მოეკლა გორგონა მედუზა, თმების ნაცვლად თავზე ასპიტები რომ ახვევია. ათინას რჩევით, პერსევსს საზარელი მედუზასთვის არ შეუხედავს. იგი თავის პრიალა სპილენძის ფარში უშვებდა მის გამოსახულებას და ისე მოჰკვეთა თავი.

ასეთივე „არეკლილი“ სურათი დახატა რუსთაველმა ხვარაზმშას ძის მოკვლის ეპიზოდში, რითაც შექმნა ილუზია, რომ ვერაგული მკვლელობისას კარავში სისხლი არ დაღვრილა...

მკვლევარი იმეორებს ადრე გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ფრაზა „უსისხლოდ მოვკალ“ ტერმინოლოგიური შინაარსისაა და „სისხლის მოპარვას“ ნიშნავს, ანუ ისეთ მკვლელობას, როდესაც მკვლელი არ ჩანს... ეს ვერაგული მკვლელობაა. (იხ. აქვე ანოტ. N 528). **გ. ა.**

530. გურამ კარტოზია

სიმარცხე

ჟურ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბ., 1993, № 1-2, გვ. 204-212;

აგრ. წიგნში - „ტექსტოლოგიური გამოკვლევები“, თბ., 2004, გვ. 148-159.

ავტორი აღნიშნავს, რომ განსახილველი სიტყვა „ვეფხისტყაოსანში“ ერთხელ გვხვდება შემდეგ კონტექსტში:

„ზღვა გავიარეთ, გავედით, შემოგვიტიეს ცხენია,

კვლა შევიბენით, შეიქმნნეს **ომისა სიმარცხენია**.

მუნ მომეწონნეს ფრიდონის სიქველე-სიფიცხენია...“ (614).

აკ. შანიძემ მეორე ტაეპის სარითმო სიტყვა **სიმარცხენი** შეუფერებლად მიიჩნია და მის ადგილას მომდევნო ტაეპიდან **სიფიცხენია** ჩასვა, მესამე ტაეპი კი კონიექტურით („სიქველე-სიმკვირცხენია“) გამართა.

ნარკვევის ავტორი აღნიშნავს, რომ სიტყვა „სიმარცხე“ ქართულ ენაში იხმარებოდა რუსთველამდეც და მის შემდეგაც. ის წარმოებულია „მარცხი“-დან, რომელიც ძველად ზედსართავ სახელად გაიზარებოდა და ბოლოხმოვნთან **მარცხე** ფორმით დასტურდება. ეს სიტყვა (მარცხე) ძველ ქართულ ძეგლებში, საზიანოს, მოუხერხებლის, მარცხიანის გარდა, ძნელს, საძნელოსაც ნიშნავდა. მისგან წარმოებული ზოგადი სახელი „სიმარცხე“ კი „სიმძნელის“, „ძნელობის“ აღმნიშვნელია.

პოემის სადავო წინადადება – „შეიქმნეს ომისა სიმარცხენია“ – ნიშნავს: შეიქმნა ომის სიძნელე, ანუ ომი გაძნელდა, გაძლიერდა, სასტიკი შეიქმნა.

ავტორის დასკვნით, სიმარცხე ამ კონტექსტში სავსებით შესაფერი სიტყვაა და ტრადიციულ ტექსტს შეცვლა-გადაკეთება არ სჭირდება. **გ. ა.**

531. ცოტნე კიკვიძე

გაუგონარი მკრეხელობა

(რამდენიმე შენიშვნა მ. თავდიშვილის წიგნზე)

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1993, 18 ივნისი, № 25, გვ. 5-6.

რეცენზენტი განიხილავს მურმან თავდიშვილის წიგნს „ვეფხისტყაოსნის დაფანტული სტროფები“ (თბ. 1991), აღნიშნავს, რომ წიგნის ავტორი აკრიტიკებს პოემის 1966 წლის საიუბილეო გამოცემას და რუსთველოლოგებს ბრალს სდებს იმაში, რომ ქართველ ხალხს უმაღლეს „ვეფხისტყაოსნის“ ნამდვილ ტექსტს. „დამალულად“ იგი თვლის საიუბილეო გამოცემის გარეთ დარჩენილ სტროფებს, რომლებიც მკვლევართა მიერ გვიანდელ ჩანართებად არის მიჩნეული, და აგრეთვე პოემის ბოლო თავებს, ე.წ. ინდო-ხატაელთა ამბავს.

მ. თავდიშვილს მოაქვს ეს სტროფები და აცხადებს, რომ ისინი მან აღმოაჩინა და დაუბრუნა „ვეფხისტყაოსანს“, რაც სიცრუეა; სადავო სტროფების ხელნაწერებში არსებობა იცოდა ყველა მკვლევარმა, ვინც კი პოემის ტექსტსა და მის გამოსაცემად მომზადებაზე მუშაობდა. მ. თავდიშვილის მიერ დასახელებული თითქმის ყველა სტროფი დაბეჭდილია მ. ბროსეს, ს. კაკაბაძის, კ. ჭიჭინაძის, ნ. ნათაძის და ზოგ სხვა გამოცემებშიც.

მ. თავდიშვილი თვითონ მიიწერს პოემის ტექსტის რამდენიმე გასწორებასა და მთავარი გმირის პრობლემის გარკვევას, რაც მანამდე უკვე გაკეთებული იყო სხვა მკვლევრების მიერ, აგრეთვე შეურაცხყოფელი ტონით აკრიტიკებს ცნობილ რუსთველოლოგებს: ვახტანგ მეექვსეს, კ. კეკელიძეს, ა. შანიძეს და სხვებს. **თ. ნ.**

532. ბეჟან კილანავა

„ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემა

გაზ. „მამული“, 1993, № 19, ივნისი, გვ. 7.

წერილში საუბარია „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის შესახებ. აღინშნულია ის დვაწლი, რომელიც გასწია ვახტანგ მეექვსემ: ხელნაწერებზე ტექსტოლოგიური სამუშაოს ჩატარება, ტექსტის ლექსიკურად გამართვა, პოემის მოკლე რედაქციის შემუშავება; პოლიგრაფიული თვალსაზრისით, გამოცემის მეტად მაღალ დონეზე განხორციელება. წერილის ავტორი მსჯელობს, აგრეთვე, პირველ გამოცემაზე დართული პოემის ვახტანგისეული თარგმანის რაობაზე. იგი ჩამოთვლის რა ვახტანგის, როგორც რუსთველოლოგის დამსახურებებს, აღნიშნავს, რომ ვახტანგ მეექვსემ დაუდო სათავე „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის ორიგინალობის მტკიცებას, პოემის ლექსიკის შესწავლას და საერთოდ – თარგმნას, პოემის წყაროების ძიებას, „ვეფხისტყაოსნის“ ალეგორიულ (მისტიკურ) გაგებას.

აქვე მოკლედაა წარმოდგენილი ვახტანგისეული გამოცემის კვლევის ისტორია. მოხსენიებულნი არიან ის მეცნიერები, რომელთაც დიდი ამაგი დასდეს ვახტანგისეული გამოცემის დედნის რაობის გარკვევის საქმეს. **ნ. გ.**

533. ირინა კილაძე

**პერსონაჟთა გარეგნული აღწერის პოეტიკა „ვეფხისტყაოსნისა“
და „ხოსროვშირინიანის“ მიხედვით**

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1993, № 2, გვ. 51-64.

ავტორის მიზანია, გაარკვიოს ნიჟამი განჯელის „ხოსროვშირინიანისა“ და რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ტიპოლოგიური ურთიერთმიმართება, მხატვრული ენის შედარებითი ანალიზის შედეგად წარმოაჩინოს პოეტური მეტყველების მსგავსება-განსხვავებანი ამ ნაწარმოებებისა.

ორივე თხზულებიდან მოტანილია უხვი მასალა, რომელიც პერსონაჟთა აღწერა-დახასიათებისთვის არის გამოყენებული: 1. მიჯნურისათვის (ზოგადად); 2. სახისათვის; 3. ტანისათვის; 4. თვალისათვის; 5. თმებისათვის; 6. ბაგე-კბილისათვის; 7. წარბ-წამწამისათვის.

მკვლევარი დაასკვნის, რომ მხატვრული სახეები მეტწილად ორივე პოემაში იდენტურია. თვალსაჩინოა განსხვავებაც, რაც ორივე პოეტის ინდივიდუალურ მხატვრულ აზროვნებასა და მეტყველებას ადასტურებს. **გ. ა.**

534. ლევან მენაბდე

შოთა რუსთაველის ძველი პორტრეტები

გაზ. „მამული“, თბ., 1993, № 17 (მაისი), გვ. 7; აგრ. აღმ. „მწიგნობარი 93-94“, თბ., 1995, გვ. 59-67.

ავტორი გვაწვდის ცნობებს სამი პორტრეტის შესახებ, რომელთა იდენტიფიკაცია რუსთაველთან საეჭვო აღარაა.

I. რუსთაველის ფერადი მინიატურა, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ე. წ. ზაზასეულმა ხელნაწერმა შემოგვინახა. ნუსხა გადაწერილია იოსებ სააკაძის (ტფილელის) მიერ XVII ს-ის 60-იან წლებში. 1920-იან წლებში პორტრეტი ხელნაწერიდან ამოიღეს მისი გაყიდვის მიზნით. ამჟამად დაცულია საქ. ხელოვნების მუზეუმში.

ხელოვნებათმცოდნე ე. მაჭავარიანის აზრით, რუსთაველის ეს პორტრეტი დახატულია XVII ს-ში, ხელნაწერის ოქროს ბორდიურებით მორთვის თანადროულად.

II. რუსთაველის ერთი პორტრეტი დაცულია 1646 წ. გადაწერილ „ვეფხისტყაოსნის“ ნუსხაში. მის ავტორად ითვლება პოემის ტექსტის გამამწერი მამუკა თავაქალაშვილი.

III. განსაკუთრებით საყურადღებოა იერუსალიმში, ჯვრის მონასტერში არსებული პორტრეტი, რომელზეც რუსთაველი დახატულია ერისკაცის მდიდრულ სამოსელში. ეს პორტრეტი მიჩნეულია XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე შესრულებულად, ხოლო აღდგენილ-განახლებულია XIV ს-ში ან XVI - საუკუნეში. ამ პორტრეტმა და შოთას სახელზე ალაპის დაწესების ფაქტმა საფუძველი შეუქმნა ვარაუდს შოთა რუსთაველის ჯვრის მონასტერში ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. **გ. ა.**

535. ლ. მენაბდე

შოთა რუსთაველის პორტრეტი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში

გაზ. „მამული“, 1993. № 18, ივნისი, გვ. 7.

წერილის ავტორი მოკლედ მოუთხრობს მკითხველს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში არსებულ რუსთაველის პორტრეტისა და მისი ასომთავრული მინაწერის აღმოჩენისა და

შესწავლის ისტორიას, აღწერს პორტრეტს, აცნობს სხვადასხვა მოსაზრებას პორტრეტის შესრულების თარიღის შესახებ. იგი ეხება აგრეთვე რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში არსებულ ვარაუდს რუსთველის ჯვრის მონასტერში ცხოვრებაზე, იქ გარდაცვალებასა და დაკრძალვაზე. მისი აზრით, „მართალია ამ ვარაუდის ხელაღებით უარყოფა გამართლებული არაა, მაგრამ არც დამადასტურებელი მასალა ჩანს“. რუსთველის პორტრეტის დახატვას და მისთვის ალაპის დადებას იგი არ მიიჩნევს იმის ნიშნად, რომ პოეტი ჯვრის მონასტერში იყო. ამ ფაქტს წერილის ავტორი ხსნის მხოლოდ იმით, რომ თამარ მეფის (1184-1213) მეჭურჭლეთუხუცესი დაეხმარა ჯვრის სავანეს და მთავარ ტაძარს, განაახლა და მოახატვინა იგი, რისთვისაც იერუსალიმს წასვლა სავალდებულო არ იყო. **ნ. გ.**

536. როინ მეტრეველი

„ნიკოფსიიდან დარუბანდის ზღუადმდე“

გაზ. „მათული“, 1993, N 21, ივნისი, გვ. 7.

წერილი წარმოადგენს რუსთველის ეპოქის საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ვითარების მოკლე მიმოხილვას. ავტორი ეხება, აგრეთვე, XI საუკუნის პოლიტიკურ ცხოვრებას, რომელშიც, მისი აზრით, გადგმულია ფესვები რუსთველის ეპოქის საქართველოს სიძლიერისა და აღმავლობისა. იგი წერს: „დიდმა ეპოქამ, პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად მძლავრმა პერიოდმა საქართველოში განაპირობა უმაღლესი დონის, მსოფლიო მასშტაბის, პოეტური და ფილოსოფიური აზროვნების მწვერვალამდე მისული „ვეფხისტყაოსნის“ შექმნა. სწორედ ეს დიდი და მძლავრი პერიოდი რუსთველის ეპოქა.“

წერილს დართული აქვს XIII საუკუნის I მეოთხედის საქართველოს რუკა მოსაზღვრე ქვეყნებითურთ. **ნ. გ.**

537. გურამ ნარსიმე

დემეტრე უფლისწულის აჯანყების თარიღი და

მისი ანარეკლი „ვეფხისტყაოსანში“

გაზ. „რუბიკონი“, თბ, 1993, №№ 26-28.

ავტორი სხვადასხვა წყაროზე (ძირითადად სომხურ ქრონიკებზე) დაყრდნობით აზუსტებს დემეტრე უფლისწულის აჯანყების თარიღს-1176 წლის 11 აპრილს. აჯანყებულნი ლორეს ციხეში გამაგრდნენ 19 ივლისს, ხოლო დემნას (დემეტრეს) და ივანე ორბელის ფიცით დანებება მოხდა 1177 წლის 11 თებერვალს. ეს იყო აჯანყების დასასრული. დამნაშავენი დასაჯეს იმავე წლის 3 მარტს.

ამ ისტორიულ ფაქტებთან „ვეფხისტყაოსანში“ ასახული მოვლენების შეპირისპირებას მკვლევარი ახდენს შემდეგი მიმართებით: 1) პოემაში ტარიელის აჯანყება იმავე დროით უსწრებს წინ თინათინის გამეფებას, რა დროითაც დემეტრეს აჯანყება უსწრებდა თამარის გამეფებას. 2) დემეტრეს აჯანყების დღე, 1176 წ. 11 აპრილი, „ახალი კვირა“ და სააღდგომო დღესასწაულის ნაწილი იყო. „ვეფხისტყაოსანშიც“ ხვარაზმმას მის მოსვლისას ნახსენებია „აღვსების დღე“, მაგრამ არა პოეტური შედარების მიზნით; მკვლევრის აზრით, ამ დროს მართლაც აღდგომა იყო, მაგრამ ეს დღე ტარიელისთვის აღდგომას არ ჰგავდა. „ხვარაზმელი სასიძოს მოკვლისა და მეფისაგან განდგომის დღის დაკავშირება აღდგომის დღესასწაულთან

იძლევა მეორე ქრონოლოგიურ თანხვედრას რეალურ დროსთან – დემეტრე უფლისწულის აჯანყების დაწყების დღესთან“. გ. ა.

538. შალვა ნუცუბიძე

„რუსთაველის თარგმნა არის შენი გადარჩენის პირობა“

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1993, 1 იანვარი, № 1, გვ. 13.

საქართველოს პოლიტპარტიების არქივში დაცულია შ. ნუცუბიძის წერილი აკად. ალ. ბარამიძისადმი, სადაც აღწერილია „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმნის პირობები. შ. ნუცუბიძე წერს, რომ მას თარგმანზე მუშაობა დაწყებული ჰქონდა 1937 წელს, როცა ის მოულოდნელად დააპატიმრეს. მოსკოვში, ლუბიანკის ციხეში მას შესთავაზეს თარგმნის გაგრძელება, გარკვეული დროის შემდეგ კი გაათავისუფლეს პატიმრობიდან იმ პირობით, რომ წელიწადნახევარში დაამთავრებდა მთელი პოემის თარგმნას.

მან თარგმანზე მუშაობა გაათავა 1939 წლის აპრილში და გადასცა სტამბურად ასაწყობად. შემდეგ შეიტყო, რომ ანაწყობის საბოლოო კორექტურას ი. სტალინი კითხულობდა. მას აჩვენეს სტალინის წერილი ბერიასადმი, სადაც აღნიშნული იყო, რომ აქამდე მას საუკეთესოდ მიაჩნდა პოემის პეტრენკოსეული თარგმანი, ახლა კი თვლის, რომ ნუცუბიძის თარგმანი არა მარტო უკეთესია მასზე, არამედ ის თვალსაჩინო ლიტერატურული მოვლენაა. სტალინი იქვე წერდა, რომ არ მოეწონა ერთი სტროფი და სთავაზობდა საკუთარ ვარიანტს. მეორე წერილში სტალინი მიმართავდა გამომცემლობის დირექტორს: „მე მოვიტხოვ, ჩემი სახელი არ იყოს მოხსენიებული „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობაში!“ გ. ა.

539. შერმადინ ონიანი

ინდო-ხატაელთა ამბის ტექსტის ერთი ადგილის დადგენისათვის

კრებ. „ქართული მწერლობის საკითხები“ (ედგენება აკად. ალ. ბარამიძის დაბადების 90-ე წლისთავს), თბ., 1993, გვ. 221-227.

ავტორს მიაჩნია, რომ პოემის 1596-ე სტროფის პირველი სტრიქონი-„მუნა მყოფსა ყველაკასა შეეკერა, ჩვენცა, შავი“ – ხელნაწერებში დამახიჯებულია (რაც გამოცემებში მეორდება). XIX ს-ის ერთ ხელნაწერში არსებული წაკითხვის („შეგვიცვა ჩვენცა შავი“) საფუძველზე იგი ასე ასწორებს სტრიქონს: „მუნ ნამყოფსა ყველაკასა შეგვიცვია ჩვენცა შავი“, რაც ნიშნავს: ჩვენც ყველას იქ (ინდოეთში) ნამყოფს შავები მოგვიხვევია (გლოვის ნიშნად). გ. ა.

540. [რუსთაველის კაბინეტი]

რუსთაველის გვერდი

გაზ. „მათული“, თბ., 1993, № 12 (აპრილი), გვ. 7.

წერილში გადმოცემულია ზოგადი ცნობები შოთა რუსთაველისა და მისი თხზულების – „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. აღნიშნულია, რომ რუსთაველი XII ს-ის საქართველოს პირმშოა, რომ მან შემოქმედებითად აითვისა ადრინდელი ხანისა თუ მისი დროის ქართული მწერლობის მონაპოვარი, წინ წასწია მხატვრული აზროვნება და მეტყველება, დაგვიხატა თავისი ეპოქის რთული და მრავალფეროვანი საზოგადოებრივი ცხოვრება. „ვეფხისტყაოსანმა“ უდიდესი

გავლენა მოახდინა მომდევნო ხანის ქართულ ლიტერატურაზე და, საერთოდ, ქართველთა სულიერ ფორმირებაზე.

აღნიშნულია ისიც, რომ გაზეთის რედაქციამ და თბილისის სახ. უნივერსიტეტის რუსთაველის კაბინეტმა გადაწყვიტეს თავიანთი წვლილი შეიტანონ „ვეფხისტყაოსნის“ შემდგომ პოპულარიზაციაში. ამიერიდან გაზეთის ყოველ ნომერში დაიბეჭდება „რუსთაველის გვერდი“, რომელიც მკითხველებს მიაწვდის ძველსა და ახალ მასალებს რუსთაველსა და მის პოემაზე. (სტატია ხელმოუწერელია). **გ. ა.**

541. [რუსთაველის კაბინეტი]

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები

გაზ. „მაშული“, თბ., 1993, № 13 (აპრილი), გვ. 7.

სტატიაში დახასიათებულია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ხელნაწერული ცალების შექმნისა და გავრცელების ტრადიცია. აღნიშნულია, რომ დღევანდლამდე მოაღწია პოემის 160-ზე მეტმა ნუსხამ, რომელთაგან მხოლოდ 40-მდე ხელნაწერია პირველ ბეჭდურ გამოცემაზე ადრინდელი, სხვები კი ნაწილობრივ ან მთლიანად გადაწერილია 1712 და 1841 წლების გამოცემებიდან.

სტატიაში ვეცნობით ზოგიერთი ნუსხის, მაგ., ე. წ. „ზაზასული“, „ბეგთაბეგისული“ და სხვ. თავისებურებასა და თავგადასავალს.

აღნიშნულია, რომ გვერდი მოამზადა თსუ-ს რუსთაველის კაბინეტმა. **გ. ა.**

542. [რუსთაველის კაბინეტი]

„ვეფხისტყაოსნის“ გამოცემები

გაზ. „მაშული“, თბ., 1993, № 14 (აპრილი), გვ. 7.

წერილში მოცემულია ცნობები „ვეფხისტყაოსნის“ ქართულ გამოცემებზე, დასაბეჭდად მათი მომზადების პირობებზე და სტროფულ შედგენილობაზე პირველი, 1712 წლის გამოცემიდან 1988 წლის (აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის) გამოცემამდე. იქვე დაბეჭდილია 1712, 1888, 1937 (საიუბილეო), 1963 (მ. წერეთლის რედ.) და 1966 (აკ. შანიძისა და ა. ბარამიძის) გამოცემების სატიტულო გვერდების ფოტოები. (სტატია ხელმოუწერელია). **გ. ა.**

543. [რუსთაველის კაბინეტი]

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები

გაზ. „მაშული“, თბ., 1993, № 15 (აპრილი), გვ. 7.

სტატია გადმოგვცემს ცნობებს „ვეფხისტყაოსნის“ უცხო ენებზე თარგმნისა და მთარგმნელების შესახებ. აღნიშნულია, რომ რუსთაველის თხზულების ტექსტი ნაწყვეტების ან პროზაული და შემოკლებული თარგმანების სახით მხოლოდ XIX საუკუნის 30-40-იან წლებიდან გახდა ცნობილი რუსულ, უკრაინულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე. სრული პოეტური და ორიგინალთან მიახლოებული თარგმანები შეიქმნა 1937 და 1966 წლების რუსთაველის იუბილეებისათვის მზადებასთან დაკავშირებით და მის შემდეგ, XX ს-ის 70-იან, 80-იან წლებში.

აღნიშნული თარგმანების შესახებ ბევრი რეცენზია და გამოკვლევა გამოქვეყნებული როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე, მაგრამ თარგმანების ფილოლოგიური და იდეურ-მხატვრული ანალიზი ჯერ კიდევ არაა სათანადო დონეზე. აუცილებელია ყველა თარგმანის გულმოდგინედ გაცნობა და მეცნიერულად შესწავლა. გ. ა.

544. ნელი საგინაშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ უკანასკნელ გამოცემათა ერთი კონიექტურის თაობაზე

ლიტერატურათმცოდნეობა, რესპ. სამეცნიერო კონფერენცია, თსუ, 14-16. VI. 1993, თსუ. მოხს. თეზისები, თბ., 1993, გვ. 49-50.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ 856-ე სტროფში სარიტმო სიტყვა „გავადადრო“ (ი. ლოლაშვილის კონიექტურა) შეუფერებელია ამ კონტექსტისათვის. სასურველად მიაჩნია, მომავალ გამოცემებში აღდგეს ტრადიციული წაკითხვა „გავაადრო“.

545. რევაზ სირაძე

„ვეფხისტყაოსანი“ ვითარცა მხატვრული სახე

გაზ. „მამული“, თბ., 1993, № 26, გვ. 7.

ავტორი აღნიშნავს, რომ მკითხველის შთაბეჭდილებაში ტარიელი შემოდის ვეფხისტყაოსნობით, როცა ჯერ კიდევ უცნობია, თუ რას ნიშნავს მისი ვეფხისტყაოსნობა. შემდეგ ირკვევა, რომ ვეფხისტყაოსნობა ტარიელის უბედურებაა. მას სურს, რომ არ იყოს ასეთი. პოემის სიუჟეტის განვითარება ტარიელის ვეფხისტყაოსნობის დაძლევის ნიშნით წარიმართება.

მკვლევრის აზრით, ვეფხის ტყავი, როგორც სახე-სიმბოლო, ნესტანის პიროვნებასაც მოიცავს. სათაურში პოემის ორი მთავარი პერსონაჟი ჩანს. აქ ორპლანიანი სიმბოლიზებაა... ვეფხვის სიმბოლიკა ძველი დროის მრავალ უცხოურ ნაწარმოებში ჩანს, მაგრამ რუსთაველთან ეს სახე არ უნდა ჩაითვალოს მთავარ ალეგორიად. ვეფხისტყაოსნობა, ვითარცა ღრმა სულიერი განცდების გამოხატულება, წმინდა რუსთაველური სახეა. გ. ა.

546. ლალი ურდულაშვილი

მზის კულტი ქართულ წარმართულ რელიგიაში

(ვ. ნოზაძის „ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველების“ მიხედვით)

ლიტმცოდნეობა, IV რესპ. სამეცნ. კონფ. თეზისები, 1993, გვ. 55-56;
ავრ. კრებ. „ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები“, XIX, თსუ, ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია, თბ., 1993, გვ. 41-46.

ნაშრომი წარმოადგენს მოკლე რეფერატს ვ. ნოზაძის წიგნის მიხედვით.

აღნიშნულია, რომ წარმართობის ხანაში მზე ღმერთად მიაჩნდათ. მზის თაყვანისცემა სოფლის მეურნეობის, კერძოდ, მიწათმოქმედების ერთ-ერთ ძირითად დარგად გახდომის შედეგად დაიწყო. იგი მდებდრობითი სქესის არსებად ჰყავდათ წარმოდგენილი.

ქრისტიანულ რელიგიაში მზე არ არის ღმერთი. მზე და სხვა მნათობნიც ყოვლის შემოქმედმა ღმერთმა შექმნა. ქრისტიანულ მწერლობაში მზე გამოყენებულია როგორც მხატვრული სახე, პოეტური სიმბოლო სიკეთისა, ბრწყინვალებისა, შშენიერებისა. გ. ა.

547. გურამ ფანჯიკიძე და სხვ.

გამომცემელთა საყურადღებოდ!

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1993, 9 ივლისი, № 28, გვ. 2.

საქართველოს მწერალთა კავშირის „კლასიკური მემკვიდრეობის ტექსტის დამდგენი კომისიის“ წევრები აფრთხილებენ სახელმწიფო და კომერციულ გამომცემლობებს, არ დაბეჭდონ „ვეფხისტყაოსნის“ ე. წ. აკადემიური ტექსტი (თბ., „მეცნიერება“, 1988 წ.), კერძოდ, არ გაიმეორონ ამ გამოცემის მათთვის მიუღებელი წაკითხვები: „იგი წახდების“, „სხვაგან ქნის მისი გონება“, „ქვე მკრდამდის გასაპოხელად“, „განგება“, სწორად მოჰკლავს“, „საწოლის მეკრე“ და სხვ.

მიმართვის ავტორები ურჩევენ გამომცემლებს, რომ აღნიშნული წაკითხვები შეცვალონ ე. წ. „ქართველიშვილის“ გამოცემაში (თბ., 1888წ.) არსებული ვარიანტებით.

მიმართვას ხელს აწერენ „კომისიის“ წევრები: გ. ფანჯიკიძე, რ. მიშველაძე, გრ. აბაშიძე, ნ. გრიგალაშვილი, კ. იმედაშვილი, ა. კალანდაძე, ზ. კალანდია, ე. კვიციანიშვილი, მ. ლებანიძე, დ. მჭედლური, შ. ნიშნიანიძე, თ. წივწივაძე, ჯ. ღვინჯილია, ვ. ჯავახაძე, გრ. ჯულუხიძე. გ. ა.

548. მერაბ ლაღანიძე

მოლარიზე ავთანდილი

გაზ. „მაგული“, 1993, № 25, გვ. 7.

ავტორი აღნიშნავს, რომ სამეფო კარსა და თავის ქვეყანას მოცილებული ავთანდილი ახალ, მკითხველისათვის მანამდე უცნობ თვისებებსა და შეძლების უნარს ავლენს. იგი აღმზრდელს (როსტევეანს) ჯაბნის არა მარტო ნადირობაში, არამედ ფიქრისა და საქმის ბოლომდე მიყვანაში, სიბრძნეში, პლატონისა და მოციქულთა მოძღვრების ღრმა ცოდნასა და მათი სიტყვის საქმედ ქცევაში.

ავთანდილი იტანჯება სამკვიდროს გარეთ ყოფნით, მაგრამ სურვილზე მაღლა მოვალეობა დაუყენებია, რადგან მას, თავდადებული სიყვარულის მოციქულს, სატრფოსა და მეგობრის წადილის ასრულება დაუსახავს მიზნად. გ. ა.

549. ვახტანგ ყაველაშვილი

რუსთაველის წინასწარმეტყველებანი, ანუ მართლა აიღებენ თუ არა კრემლს

თბ., 1995, 24 გვ.

ბროშურის ავტორს მიაჩნია, რომ შოთა რუსთაველი იყო წმინდანი და წინასწარმეტყველი, მან თავის პოემაში ჩააქსოვა საიდუმლო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მოხდებოდა საქართველოში (და კავკასიაში) XX საუკუნის ბოლოს. ინდოეთში ტარიელის ქმედებანი გულისხმობს ზვიად გამსახურდიას მდგომარეობასა და მოქმედებას 1991-92 წლებში. ფრიდონი იგივე ჯოჰარ დუდაევი, რომელიც ეხმარება ზ. გამსახურდიას და იმუქრება, რომ კრემლს ააფეთქებს (გვ.13-14). „დარეჯანის, ანუ აფხაზეთის მიტაცება ხდება ტარიელის (=ზვიადის) მეფობიდან განდევნის შემდეგ“ (გვ.11).

ავტორი იმოწმებს ადგილებს იოანეს გამოცხადებიდან და ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველებიდან, სადაც თითქოს, საქართველოში მომხდარი უბედურებანი იგულისხმება (გვ. 17-20). გ. ა.

550. თემურ შავლაძე

„...ჩვენგან არ დასათმონია...“

გაზ. „მამული“, თბ., 1993, № 16 (მაისი), გვ. 7-8.

წერილში საუბარია იმაზე, რომ ნესტანმა და ტარიელმა ფარსადან მეფესთან შეუთანხმებლად, მისი ნებართვის გარეშე დაგეგმეს და განახორციელეს საომარი მოქმედება მეზობელი, ყოფილი მოხარკე ქვეყნის, ხატაეთის წინააღმდეგ.

შემდეგ ავტორი გადმოგვცემს თავის ვარაუდებს იმის თაობაზე, თუ რატომ არ ჩაერია ფარსადანი ტარიელისა და რამაზ მეფის კონფლიქტში, ან რამ აიძულა იგი უგულვებელეყო ტარიელის კანონიერი უფლება ინდოეთის სამეფო ტახტზე და რატომ მოიწვია ზესიძედ და ქვეყნის პატრონად ხვარაზშმაჰის შვილი.

ვარაუდები სუბიექტურია და სათანადო არგუმენტებს მოკლებული, ამიტომ წერილის ავტორის პოზიციაც არაა თვალსაჩინოდ გამოკვეთილი. **გ. ა.**

551. თინათინ ცქიტიშვილი

**შოთა რუსთველის მსოფლმხედველობრივი სისტემის
ერთი ასპექტისათვის**

*თსუ IV რესპ. სამეცნიერო კონფერენცია, ლიტერატურათმცოდნეობა,
მოხს. თეზისები, თბ., 1993, გვ. 72-73 (მოგვაქვს შემოკლებით).*

ავტორის აზრით, რუსთველის მსოფლმხედველობითი სისტემის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა ადამიანის ნების თავისუფლება. ეს პრობლემა განიხილება იუდეველთა მოძღვრებაში და ანტიკურ ფილოსოფიაში. ქრისტოლოგია თავისუფალი ნების საკითხს მოიაზრებს ქრისტიანული ჰუმანიზმის ფარგლებში.

რუსთველი იზიარებს თეოლოგიურ თვალსაზრისს, რომ ადამიანს თავისუფალი ნება ღმერთისაგან აქვს ნაბოძები, ყოველი ადამიანი უფლისაგან ხელმწიფედ არის გაჩენილი. მომხსენებელი ვარაუდობს, რომ ეს შინაარსი დევს პოემის „დასაწყისის“ სტრიქონში: „მისგან არს ყოველი ხელმწიფე სახითა მისმიერთა“. **გ. ა.**

552. თამაზ ჭილაძე

პირველად იყო სიტყვა

თბ., 1993.

წიგნის 308-446 გვერდებზე დაბეჭდილია ავტორის ნარკვევი „ვეფხისტყაოსანზე“ – „ვარდის ფურცლობის ნიშანი“, რომელიც პირველად 1983 წელს გამოქვეყნდა. იხ. აქვე, ანოტ. № 102.

553. ალექსი ჭინჭარაული

„არ, უთქმელობა არ ვარგა...“

ქურ. „განთიადი“, ქუთაისი, 1993, № 9-10, გვ. 174-180.

I. მკვლევარი გვიანდელ ჩანართად მიიჩნევს „ვეფხისტყაოსნის“ 1378-ე სტროფს: „შეეკაზმა ფრიდონ, შეჯდა, შეკაზმული გამოვიდა...“ არგუმენტებად დასახელებულია:

- 1) სუსტი რითმა;
- 2) ეს სტროფი იმეორებს 74-ე სტროფის ლექსიკას და რითმას.
- 3) სტროფში შეუფერებლად, ანუ უადგილოდ არის ნახმარი ზმნა „გამოვიდა“; მოცემულ კონტექსტში ფრიდონი, მხლებლებთან ერთად, მინდორშია და საიდანღა უნდა გამოვიდეს? 4) უფუნქციოდ გამეორებულია წინა სტროფის ფრაზა: „ხმა შეიქმნა, შეიყარნეს“, რაც უაზრო ტავტოლოგიას ქმნის. 5) სიტყვა „ზარადები“ ნახმარია „მუზარადის“ მნიშვნელობით, რაც შეცდომაა. 6) სიტუაციისათვის შეუფერებელია: „იგი მზენი მოეგებნეს“, სწორი იქნებოდა: „მიეგებნეს“, რასაც ინტერპოლატორი არ იცავს.

II. ალ. ჭინჭარაულს ყალბად მიაჩნია 260-ე სტროფიც: „იმა მოყმისა ამბავი არსადა არ იპოვნების...“, შემდეგ მიზეზთა გამო:

- 1) ფორმა „იპოვნების“ არარუსთველურია; პოემაში წარიანი ფორმები დასტურდება მხოლოდ მასდარსა (პოვნა) და მისგან ნაწარმოებ თურმეობითებში. სწორია ზოგი ხელნაწერის წაკითხვა „იპოვნის“, მაგრამ ის რითმას არღვევს. პოემის ენობრივი ნორმის დარღვევაა აგრეთვე „არსადა“.
- 2) ნუსხათა უმეტესობაში დაცული წაკითხვა „არვისგან დაიჯერების“ აზრობრივად შესაფერისია, მაგრამ რითმას არც ის ეწყობა. ამიტომ სცადეს მისი შეცვლა კონიექტურით „არვისგან დაიხსოვნების“.
- 3) ყოვლად უადგილო და უაზროა მეოთხე სტრიქონი: „დადუმდი, ვარდსა ნუ აზრობ, ცრემლითა ნუ ითოვნების“. ავთანდილი კმაყოფილია დიალოგის სასიკეთოდ შემობრუნებით, ის აღარ ტირის; ამიტომ „ცრემლით დათოვნაზე“ ლაპარაკი აქ ზედმეტია.
- 4) სადავო სტროფი არ შეიცავს ტექსტისათვის საჭირო რაიმე ცნობას.

განხილულ სტროფებში არსებული ენობრივი და აზრობრივი გადახვევები რუსთაველის მიმბაძველთა სტილს ახასიათებს. **გ. ა.**

544. ალ. ჭინჭარაული

კიდევ ერთი ნაყალბევი სტროფი

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1993, 25 ივნისი, № 26, გვ. 11.

მკვლევარი „ვეფხისტყაოსნის“ სტროფს: „აქა მათ ზანგთა მონათა მზე მოიყვანეს ნავითა, კბილ-თეთრი, ბაგე-ბალახში, სახედავითა შავითა...“ (1019, პოემის 1988 წ. გამოცემით) გვიანდელ ჩანართად მიიჩნევს შემდეგ გარემოებათა გამო: 1) ამ სტროფში მოცემული ინფორმაცია არავის სჭირდება, ეს ყველაფერი ნათქვამი აქვს ფრიდონს ტარიელისათვის, ტარიელს – ავთანდილისათვის და, კვლავ, ფრიდონს – ავთანდილისათვის. ეს იცის მკითხველმაც, ამდენად, იგი ზედმეტია. 2) სწორედ იმ ადრე ნათქვამის სიტყვიერ მასალას იმეორებს ინტერპოლატორი. 3) არ შეიძლება რუსთაველისეულ კომპოზიტ-ეპითეტებად მივიჩნიოთ „კბილ-თეთრი“ და „ბაგე-ბალახში“; ისინი პოემაში არც გვხვდება, ამ სტროფის გარდა. 4) „სახედავი“ თვალის მნიშვნელობით არც „ვეფხისტყაოსანში“ და არც სხვა ტექსტებში დასტურდება. საერთოდ, სიტყვა „შავი“ პოემაში არ არის ნახმარი თვალეზის აღსანიშნავად.

სადავო სტროფი მიმბაძველის ტიპური კომპილაციაა, რის საბაზიც მას მისცა წინა სტროფის სტრიქონმა: „ფრიდონ უამბობს ამბავსა მის მნათობისა ტყვისასა“. **გ. ა.**

555. ალ. ჭინჭარაული

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან

(„მცნებელი“ თუ „მცეზნელი“)

გაზ. „ლიტ. საქ.“, 1993, 17 სექტ. N 38.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ 1281, 3: „რასცა ოდენ ხარ **„მცნებელი“**, – იუსტ. აბულაძემ შეცვალა მცეზნელი-თ და მას ხელოვნური ფორმა უწოდა (1914; 1926). ასევე დაბეჭდა ნ. ნათაძემაც და პოეტურ ლიცენციად მიიჩნია (1992, გვ. 413).

მცეზნელი არც ხელოვნური ფორმაა და არც პოეტური ლიცენცია. იგი სრულიად კანონზომიერად არის წარმოებული **ცეზნა**-დან, (= ცოდნა, ცნობა, გაგება), რაც იხმარება პეტრე იბერის შრომის ევრემ მცირისეულ თარგმანში: „ვერ ძალ-უც მას არა შეძლება და არა ცეზნა“ (პ. იბ. 78,28), აგრეთვე ამონიოს ემესელის თხზ.-ში (17,15; 99,11). შდრ. საპირისპირო: **უცები**.

მცნებელი „ვეფხისტყაოსნის“ აღნიშნულ კონტექსტში მიუღებელი ფორმაა. **მცნება** არის ტერმინი, რომლის მნიშვნელობაა: პირობა, წესი, ალთქმა, განჩინება. **გ. ა.**

556. არჩილ ხალვაში

სიტყვა ამადარი „ვეფხისტყაოსანში“

ქურნ. „განთიადი“, ქუთაისი, 1993, № 11-12, გვ. 173-174.

მკვლევრის აზრით, პოემის დასაწყისში ხმარებული „ამადარი“ ან „ამა დარი“ ავტორისეული სიტყვის დამახინჯებული ფორმებია. მისი ვარაუდით, რუსთველს ეწერა: „ვიქ საქმესა ამად არი“. სიტყვა **არი** უარყოფითი ნაწილაკის „არა“-ს ვარიაციული ფორმაა. სტრიქონის შინაარსი მკვლევარს ასე ესმის: „მე, რუსთველი, ხელობით (საქმიანობით) სხვა რამეს ამიტომ არ ვაკეთებ, რომ ჯარების სარდლისათვის ვხელობ და ვკვდებიო. **გ. ა.**

557. ელგუჯა ხინთიბიძე

შუასაუკუნეობრივი და რენესანსული „ვეფხისტყაოსანში“

თბილისი, 1993.

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს მონოგრაფიას, სადაც „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული სტრუქტურის საკვანძო ელემენტების ანალიზის საფუძველზე ავტორი ცდილობს განსაზღვროს რუსთველის ადგილი შუასაუკუნეების რელიგიურ-ფილოსოფიური და ლიტერატურული აზროვნების განვითარების პროცესში.

ნაშრომში შესულია გამოკვლევები „ვეფხისტყაოსანზე“, რომლებიც ავტორმა რუსთველზე თავისი პირველი მონოგრაფიის („მსოფლმხედველობითი პრობლემები ვეფხისტყაოსანში“) გამოქვეყნების შემდეგ დაწერა. ამ წიგნში „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული სტრუქტურის მსოფლმხედველობითი პრობლემატიკიდან რამდენიმე ახალი თემაა დამუშავებული, კერძოდ, რუსთველის ბიბლიურ სიმბოლიკასთან მიმართების ზოგიერთი საკითხი („სიძისა“ და „ქორწილის“ სიმბოლიკა) და შუასაუკუნეების სქოლასტიკის ზოგი პრობლემის ანარეკლი პოემაში (მოძღვრება არსებობის მიზეზთა შესახებ). ასევე ავტორის მიერ აქ უფრო სრულად გაშუქებულია „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი მსოფლმხედველობითი მოტივები (მეგობრობა და სიყვარული, არისტოტელური ნაკადი, ტიპოლოგიური მიმართებანი ევროპულ აზროვნებასთან – შუასაუკუნეობრივი და რენესანსული „ვეფხისტყაოსანში“).

ავტორი თავის კონცეფციას შემდეგნაირად აყალიბებს: „რუსთველის მსოფლმხედველობა წარმოადგენს მრავალსაუკუნოვანი ქართული ქრისტიანული რელიგიურ-ფილოსოფიური და ლიტერატურული აზრის კანონზომიერ განვითარებას და დაგვირგვინებას. მასში ეროვნული ფესვების ბაზაზე ასახულია აღმოსავლური და დასავლური კულტურულ-მსოფლმხედველობითი ტენდენციები: მაღალგანვითარებული ქართული ლიტერატურული აზროვნების ნიადაგზე ქრისტიანული რელიგიის მსოფლალქმაში შემოტანილია XII-XIII საუკუნეების ინტელექტუალურ წრეებში უაღრესად პოპულარული ანტიკურ-ბერძნული, კერძოდ ნეოპლატონური და არისტოტელიანური, ფილოსოფიური ელემენტები. მსოფლიო ცივილიზაციის პროცესში რუსთველის მსოფლმხედველობითი ფენომენი ტიპოლოგიურად შეესაბამება ქრისტიანული აზროვნების განვითარების ეტაპს გვიანდელი შუასაუკუნეების დასავლეთ ევროპაში. „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლმხედველობითი პრობლემატიკა გვიანდელი შუასაუკუნეების პრობლემატიკაა, ხოლო მისი რუსთველური გადაწყვეტა უახლოვდება რენესანსის ეპოქის აზროვნებას. ტრადიციული ქრისტიანული იდეალი – კეთილი და მოწყალე შემოქმედის მარადიულობის, სულის უკვდავებისა და გარდაცვალების შემდეგ ამ უსასრულო ღვთაებასთან შეერთების რწმენა – რუსთველის შემოქმედებაში ჰარმონიულად ერწყმის ამქვეყნიური რეალობის ფასეულობის შემეცნებას, ადამიანური სამყაროს სილამაზეში დარწმუნებას, ადამიანური გონებისადმი ნდობის გამოცხადებას. რუსთველი, როგორც პოეტი და მოაზროვნე, შუასაუკუნეებისა და რენესანსის მიჯნაზე დგას“. **ნ. მ.**

558. ე. ხინთიბიძე

**„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენისათვის
(კონიექტურების შესახებ)**

გაზ. „მამული“, თბ., 1993, № 37, გვ. 7.

ავტორი მსჯელობს პოემის ორ კონტექსტზე, სადაც ხელნაწერებში არსებული, თითქოს არასწორი, წაკითხვები შეცვლილია კონიექტურებით.

1. ...დაალება, დაალურჯა, მედგრად პირნი მოუქუშნა“. 1988 წლის გამოცემაში ტექსტი ასეა შეცვლილი: „მედგრად პირნი **მოუქლუშნა**“ და ასეა ახსნილი: „სასტიკად დაუგლიჯა სახე“.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ „ქლუშვა“ ზმნა და ამ ძირიდან ნაწარმოები სიტყვები არ დასტურდება ძველ ქართულ მწერლობაში, ამიტომ ეს გასწორება უმართებულოა.

2. ინდოეთში მოწვეული სასიძო, ხვარაზმშას ძე, მობრძანდა: „მოვიდა სიძე, გარდახდა, **დღე ჰგვანდა არ აღვსებისა**“.

1951 წლისა და შემდგომ გამოცემებში იბეჭდება: „**დღე, ჰგვანდა, არს აღვსებისა**“. ასეთი გასწორება კატეგორიულად მიუღებელია, ვინაიდან ის ამახინჯებს პოეტის მსოფლმხედველობრივ წარმოდგენას და მის დამოკიდებულებას აღწერილი მომენტისადმი. **გ. ა.**

1994

559. ანზორ აბჯანდაძე

„ვეფხისტყაოსანი“ და მისი ავტორი

თბ., 1994, 229გვ.

წიგნი წარმოადგენს ავტორის მიერ რუსთველოლოგიურ პრობლემებზე სხვადასხვა დროს დაწერილი ნარკვევების კრებულს. ავტორი მსჯელობს შოთა რუსთველის ვინაობასთან

დაკავშირებულ საკითხებზე, „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში წარმოდგენილ მიჯნურობის თეორიაზე, ძველქართულ სახელმწიფო სამართალთან „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის კავშირზე. წიგნში ვხვდებით, აგრეთვე, „ვეფხისტყაოსნის“ მთელ რიგ ტაეპთა, სტროფთა, სიტყვათა ახლებურ წაკითხვებსა და გასწორებებს.

ა. აბუანდაძე იზიარებს პ. რატიანის მიერ გამოთქმულ შეხედულებას შოთა რუსთველის ეპისკოპოსობისა და შემდეგ გაერისკაცების შესახებ. მაგრამ მიუღებლად თვლის ამ შეხედულების დამტკიცების პ. რატიანისეულ გზას და გვთავაზობს თავისას. იგი პოემის მონაცემებისა და XII საუკუნის დასასრულის საქართველოს კონკრეტული ისტორიული ვითარების, ამავე ეპოქის სოციალურ-კულტურული გარემოს ამსახველი დოკუმენტების შეპირისპირების საფუძველზე აყალიბებს ასეთ ჰიპოთეზას: „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი არის თამარზე გამიჯნურებული ერთ-ერთი დიდგვარიანი ქართველი დიდებული, რომელიც ახალგაზრდობის წლებში გიორგი რუსზე თამარის დაქორწინებით გამოწვეული სულიერი კრიზისის გამო აღიკვეცა ბერად. გარკვეული დროის შემდეგ იგი გახდა რუსთავის ეპისკოპოსი და მიიღო ზედწოდება „რუსთველი“. ეპისკოპოსად ყოფნისას მას სთხოვეს თამარის ქების შექმნა. პოემაზე მუშაობამ რუსთველში ააღორძინა საერო სულისკვეთება და „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის შემდეგ დაუბრუნდა საერო მოღვაწეობას.

ერთ-ერთი წერილი ეხება „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში წარმოდგენილ მიჯნურობის თეორიას. ავტორი განიხილავს ნ. ნათაძის, ზ. გამსახურდიას, ე. ხინთიბიძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს ამ საკითხზე და ცდილობს დაასაბუთოს ამ შეხედულებათა უსაფუძვლობა. ტერმინების ახლებური წაკითხვის საფუძველზე ასკვნის, რომ 20-21-ე სტროფების პირველ ექვს ტაეპში საუბარია პოემის იდეალურ გმირთა მიჯნურობაზე, ხოლო ორ ტაეპში კი დაბალ სიყვარულზე, რომელსაც რუსთველი „ქვენა ხელობას“ უწოდებს.

ა. აბუანდაძე „ინდო-ხატაელთა ამბავს“ რუსთველისეულად მიიჩნევს. იგი ეხება აგრეთვე პროლოგთან დაკავშირებულ საკითხებს. მისი აზრით, პროლოგი დაწერილია პოემის შექმნის შემდეგ. მკვლევარი 28-31-ე სტროფებს ჩანართად მიიჩნევს და 27-ე სტროფის თავდაპირველ ადგილს ვარაუდობს მე-20 და 21-ე სტროფებს შორის. **ნ. გ.**

560. იაკობ ახუაშვილი

ხურსიძე-ხურციძედან რუსთველამდე

რედ. – შ. თევდორაძე, თბ., 1994, 56 გვ; აგრ. ავტორის სტატია - „ვინ იყო შოთა ხურსიძე?“

გაზ. „გეიკო ექსპრესი“, 1994, 1-31 მარტი.

მკვლევარი გადმოგვცემს ისტორიას ძველი ფეოდალური სახლის, ჩორჩანელების გვარისას, რომლისგანაც წარმოიშვა ჯაყელთა და ხურსიძეთა საგვარეულოები. გიორგი ჩორჩანელის მატერიალური დახმარებით აშენდა ზარზმის მონასტერი, რომელსაც შემდეგ ხურსიძეთა საგვარეულო პატრონობდა. XIII საუკუნის შუა წლებში აშენებული ზარზმის ეკლესიის სამრეკლოს წარწერაში მოხსენიებულნი არიან: აღმაშენებელი გაბრიელ ხურსიძე, მისი დედა, „პატრონისა ივანეს ასული“, გულადამ ყოფილი, გაიანე და მამა შიო – შოთა ყოფილი.

ზ. ჭიჭინაძეს მიაჩნდა, რომ გაბრიელის მამა შიო, ერისკაცობაში შოთა ხურსიძე, იყო „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი, იგივე შოთა რუსთველი.

ზეპირი გადმოცემით ცნობილი იყო, რომ ცხოვრების ბოლო პერიოდში „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ბერად აღკვეცილა. ამ ფაქტს ზ. ჭიჭინაძე თავისი მოსაზრების მთავარ არგუმენტად თვლიდა; მისი მტკიცებით, XII-XIII საუკუნეებში და შემდეგაც სამცხეში მცხოვრებ დიდებულ გვარისშვილთაგან, რომლებიც ბერად შედგნენ, არც ერთს შოთა ან შიო არ რქმევია, დასახელებული შოთა ხურსიძის გარდა.

ხურსიძეთა გვარის მაღალი ავტორიტეტისა და სათანადო განსწავლულობის გათვალისწინებით, ზ. ჭიჭინაძის მოსაზრება ი. ახუაშვილს ანგარიშგასაწევ ვერსიად მიაჩნია.

გ. ა.

561. ნაირა გელაშვილი

**ღია წერილი გაზეთ „ივერია-ექსპრესის“ მთავარი რედაქტორის მოადგილეს ზურაბ გაიპარაშვილს
გაზ. „ივერია-ექსპრესი“, თბ., 1994, 27 აგვ., № 32, გვ. 1,3.**

წერილის ავტორი საუბრობს ქართულ საზოგადოებაში არსებულ ტრადიციულ სტერეოტიპებზე. ნაციონალისტურ მითოსზე, ქართველთა განსაკუთრებული „გენეტიკური კოდისა“ და ე. წ. ისტორიული მისიის შესახებ. აღნიშნავს, რომ ამჟამად არსებულ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში ქართველებმა ვერ შეძლეს ყალბი მითებისა და აჩრდილებისაგან თავის დახსნა და სიმართლისათვის თვალის გასწორება. ამის ერთ-ერთ მაგალითად დასახელებულია ის, რომ ქართველ მკვლევართა მიერ „ლამის წმინდანებად, იდეალურ გმირებად არიან შერაცხილნი რუსთაველის პერსონაჟები, ავტორის მიერ უხვად რომ არიან „დაჯილდოებულნი“ ადამიანური, ხშირად კი მიმე ნაკლოვანებებით. თვით ისეთი სამარცხვინო დანაშაულიც კი, როგორცაა მიმინარე სტუმრის მალულად მოკვლა – ან გმირობადაა აღქმული, ან არაფრადაა ჩაგდებული...“ (გვ.3). **გ. ა.**

562. ალექსანდრე გვახარია

**„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან
(ნაღები)**

*კრებ. „ქართული წყაროთმცოდნეობა“, VIII, თბ., 1994, გვ. 126-131;
აგრ. გაზ. „ახალი განათლება“, 2000, № 32.*

გამოკვლევა ეხება სიტყვა „ნაღებ“-ის ეტიმოლოგიასა და მნიშვნელობას „ვეფხისტყაოსანში“: „ხელსა ხრმლითა დავეკოდე, წყლულად მიჩნდა არნაღებად“. ავტორის აზრით, „ნაღები“ მომდინარეობს არაბულ-სპარსული სიტყვიდან „ნაკიბ - ნაყიბ - ნაყებ“, რაც ნიშნავს „გამხვრეტს, გამჭოლს; ხვრელის გამყვანს“, ხოლო სამედიცინო ტერმინოლოგიაში იხმარება „მძიმე ჭრილობის, შემავალი ჭრილობის“ აღსანიშნავად.

მოცემულ კონტექსტში „ნაღებ“-ზე „არ“ ნაწილაკის დართვა მას წყლულის (მსუბუქი ჭრილობის) სინონიმად აქცევს.

ტაეპი ასე უნდა დაიწეროს: „ხელსა ხრმლითა დავეკოდე, წყლულად მიჩნდა, არ ნაღებად“ და განიმარტოს: „ხელში ხმლით დაჭრილი ვიყავი, მსუბუქი ჭრილობა იყო, არა მძიმე.“

563. ალ. გვახარია

კიდევ ერთხელ „სარაჯის“ შესახებ „ვეფხისტყაოსანში“

*ჟურ. „მაცნე“, ელს, 1994, № 1-4, გვ. 5-12;
აგრ. – ალ. გვახარია, „ნარკვევები...“, I, თბ., 1995, გვ. 134-144.*

ავტორი არკვევს სიტყვა „სარაჯის“ მნიშვნელობას შემდეგ კონტექსტებში: „მეფემან სახლი ააგო ... პირსა ბაღჩა და საბანლად სარაჯი ვარდის წყლისა“ (326_ა); მრავლად იყო სარაჯები ვარდის წყლისა აბანოსა (340_ა).

მისი დასკვნით, ეტიმოლოგიურად „სარაჯი“ მოდის არაბ.- სპ. „სარინჯ“ ან მის ვარიანტ „საპრიჯ“-იდან (სარიჯი → სარაჯი). შესაძლებელია, პოემის თავდაპირველ ტექსტში არაბულის შესატყვისი „სარიჯი“ ყოფილიყო, როგორც იკითხება ბევრ ხელნაწერში. **სარიჯი** ან **სარაჯი** ნიშნავს წყლის ღია აუზს, საბანელს. პოემაში საუბარია ვარდის წყლით ავსებულ აუზზე, რომელიც სასახლის ეზოში (ბაღჩაში) იყო საგანგებოდ მოწყობილი.

340-ე სტროფის რუსთველისეულობა კი საეჭვოა. ის გვიანდელი დანამატი უნდა იყოს. აქ ჩნდება ახალი ტერმინი „აბანო“ და „სარაჯები“ (მრავლ. რიცხვში), რომელთა შესახებ ვრცლად მსჯელობს ალ. ჭინჭარაული (1982, გვ. 59-61). **გ. ა.**

564. კორნელი დანელია

„გასრულდა ესე ამბავი“

ანუ პოლემიკის დასასრული „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის წარმომავლობაზე

გაზ. „ლიტ საქართველო“, 1994, 22 ივლისი, № 29, გვ. 11-12.

სტატია წარმოადგენს რეცენზიას პროფ. მაგალი თოდუას წიგნზე „ვეფხის ნახტომი, ანუ რითი სჯობს რუსთველი შექსპირსა და გოეთეს“ (ქუთ., 1993).

რეცენზენტს მიაჩნია, რომ წიგნის ავტორმა გადაწყვიტა რუსთველის თხზულების ფაბულის პრობლემა. მისი თქმით, მიუხედავად „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის მეტად დიდი ტრანსფორმაციისა, მ. თოდუას წიგნში პირველად ყველაზე საფუძვლიანად და მასშტაბურად არის განხილული რუსთველის პოემის ფაბულის საკითხი არა მარტო აღმოსავლურ, არამედ ანტიკურ და, საერთოდ, მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის ისტორიის ფონზე და მასალობრივად წარმოგენილია ნამსხვრევ-ნარჩენები იმ „სპარსული ამბის“ ფაბულისა, რომლითაც უნდა ესარგებლათ რუსთველსა და სპარსულ თხზულებათა ავტორებს.

მ. თოდუა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ინდურ „რამაიანას“, უზბეკურ ფოლკლორულ თხზულებას „ბატირ-არსლანს“, „ვეფხისტყაოსანსა“ და ონანა მდივნის „ბარამგულიჯანიანს“ საერთო აღმოსავლური წყარო ასაზრდოებს.

რეცენზენტის თქმით, მ. თოდუას მიერ მოტანილი არგუმენტები გვარწმუნებს იმაში, რომ რუსთველის დროისათვის ქართულად არსებულა სამიჯნურო-საგმირო შინაარსის პროზაული ფაბულა, რომელიც რუსთველს გამოუყენებია. **გ. ა.**

565. მურმან თავდიშვილი

ობოლი მარგალიტის საიდუმლო

„ვეფხისტყაოსანში“

„მამული, ენა, სარწმუნოება“ (ამავე სახელწოდ. პოლიტ. მოძრაობის გაზეთი), 1994, № 1 (16-31 მარტი), გვ. 3.

როგორც ავტორი წერს, „ვეფხისტყაოსანში“ მარგალიტს სხვადასხვა ფუნქცია აქვს. ის არის მეტაფორა სიწმინდის, უმანკოების, ცრემლის, ძღვენის, სიტყვისა და კბილისა; არის შეუღლების სიმბოლო და პირობა. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს რაობის საკითხი „ობოლი მარგალიტისა“, რომელიც, მკვლევრის აზრით, სიდიდით არის გამორჩეული, უსწორო, უტოლო.

საერთოდ, სიდიდის მხრივ მარგალიტის ოდენობა ქანაობს ყაყაჩოს თესლსა და მუხუდოს მარცვალს შუა; იშვიათად არის ბლის ან მტრედის კვერცხის ოდენიც (ვ. ნოზაძე). „ვეფხისტყაოსანში“ ნახსენებია ბატის კვერცხისოდენა მარგალიტიც, რაც მკვლევარებს პოეტურ ჰიპერბოლად მიაჩნიათ. მ. თავდიშვილი ამტკიცებს, რომ ეს ჰიპერბოლა არაა და შესაძლებელი ყოფილა ასეთი მარგალიტის რეალურად არსებობა. იგი იმოწმებს XII ს-ის თბილისში მცხოვრები არაბი მწერლის ჰუბაიმის ნაშრომს „ხელობათა აღწერილობა“, რომელიც რუსულად გამოიცა 1976 წ. (მოსკოვი, „ნაუკა“). მასში მოცემულია ხელოვნური მარგალიტის დამზადების წესი: წვრილი მარგალიტი უნდა დანაყონ (დაფხვნან), აზილონ სხვადასხვა ქიმიურ ხსნარებში, ჩაახსნან მინის ჭურჭელში და ცეცხლზე გაახურონ. ცხელი ნაზავი ცომის გუნდას დაემსგავსება. ის ხელის გულებით უნდა დაამრგვალონ სასურველი ზომის ბურთულებად, შემდეგ მოათავსონ თევზის ნაღვლის ბუშტში, ჩააბრუნონ თევზის მუცელში, რომელიც უნდა ამოიკეროს. თევზი ღუმელში უნდა შეიწვას. რომ გაგრილდება, მარგალიტი ამოიღონ და გარეცხონ მარილნარევი სადაფის ხსნარით.

მკვლევარი ფიქრობს, რომ პოემის დასაწყისში ხმარებული გამოთქმა „ხელისხელ საგოგმანები“ სწორედ ობოლი მარგალიტის დამზადების ამ წესს გულისხმობს. **გ. ა.**

566. მ. თავდიშვილი

აკაკი გაწერელია

ავტორის წიგნში - „დაუკარგავი სახელები“ (ესეები), თბ., 1994, გვ. 7-16.

ესეისტურ ნარკვევში ავტორი წერს, რომ ქართული პოეტიკა, როგორც სისტემური სამეცნიერო დისციპლინა, აკაკი გაწერელიას ვერსიფიკაციური ნაშრომების გამოქვეყნებით შეიქმნა. მათ შორის უმთავრესია „ქართული კლასიკური ლექსი, VII-XVIII სს.“ (1953წ.) ამ წიგნში მკვლევარმა დაადგინა ქართული ლექსის ბგერათა სიმდიდრე, მისი სილაბურ-ტონურობა; დადგენილია აგრეთვე, რომ მასში დაცულია არა მარტო მარცვალთთანაბრობის პრინციპი, არამედ ტაეპის შიგნით ძლიერი და სუსტი მომენტების (მახვილთა) ფაქიზი მონაცვლეობაც.

ამ წიგნის ძირითად დებულებებს დაუპირისპირდა აკად. გ. წერეთლის თვალსაზრისი, წარმოდგენილი მის ნაშრომში „მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში“ (1973), სადაც ავტორი „ვეფხისტყაოსნის“ მაგალითზე ამტკიცებს, რომ ქართული ლექსი არის არა სილაბურ-ტონური, არამედ სილაბური, ე. ი. მხოლოდ მარცვალთა ოდენობაზე აგებული, ვინაიდან ქართულ აქცენტუაციას მკაცრი მახვილი (ტონი) არ გააჩნია.

გ. წერეთლის საპასუხოდ ა. გაწერელიამ გამოაქვეყნა წიგნი „ვეფხისტყაოსნის პოეტიკის ზოგიერთი საკითხი“ (1974 წ.) და წერილები: „აუცილებელი განმარტებანი“ (1975 წ.), „რიტმისა და მეტაფორის სწორი გაგებისათვის“ (1976 წ.). ამ ნაშრომებში მკვლევარი ასაბუთებს, რომ „მხატვრული ფორმა ენობრივ მასალას თავისი მიზნების შესაბამისად ამუშავებს.“ აქედან გამომდინარეობს შემდეგი დებულებაც: ჩვეულებრივი სიტყვათმახვილის ცნება არაა მეტრული მახვილის იდენტური ცნება; რომ ცალკე სიტყვის მახვილიანობის თვისება სხვაა, ხოლო სხვაგვარი ხდება ეს თვისება რიტმულ ინერციაში. ა. გაწერელია ამკვიდრებს ე. წ. „ქორეული ინერციისა და „დაქტილური ინერციის“ ცნებებს, რომლებიც მნიშვნელოვანია მეტრის გაგების განსაზღვრისათვის. **გ. ა.**

567. მ. თავდიშვილი

„ვეფხისტყაოსნის საზოგადოებათმეტყველება“

ქურ. „განთიადი“, ქუთაისი, 1994, № 9-12, გვ. 161-176.

რეცენზენტი განიხილავს ვიკტორ ნოზაძის ამავე დასათაურების წიგნს, რომელიც სანტიაგო დე ჩილეში დაიბეჭდა 1958 წელს, ვრცლად მსჯელობს მასში წარმოდგენილ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ურთიერთობებზე (პატრონ-ყმობა) და ტერმინებზე: პატრონი, ყმა, მონა, ვაზირი, ჭაშნაგირი, ლაშქარი, ზანგი, ბაზარი, ვაჭართუხუცესი, დიდვაჭარი, მეკობრე, ამხანაგი, მეგობარი, მოყვარე, მომძე, ძმადნაფიცვი, მიჯნურობა, ზენაარი, სისხლი, უსისხლოდ მოკვლა, ტირილის არსი „ვეფხისტყაოსანში“ და, ზოგადად, ძველ აღმოსავლურ და ევროპულ მწერლობაში.

რეცენზენტი ეთანხმება ვ. ნოზაძის ძირითად დებულებებს და აღნიშნავს, რომ წიგნის ყველა დასკვნა ერთ ფოკუსში იყრის თავს: „ვეფხისტყაოსანი არის ქართულ ნიადაგზე წარმოშობილი რომანი“. **გ. ა.**

568. გურამ კარტოზია

სხვათა სიტყვის ნაწილაკი

„ვეფხისტყაოსანში“

ქურ. „მაცნე“, ელს, 1994, № 14, გვ. 115-121; აგრ. ავტორის წიგნში

„ტექსტოლოგიური გამოკვლევები“, თბ., 2004, გვ. 171-179.

ავტორის დაკვირვებით, -ო ნაწილაკი უფრო ხშირად ტაეპის ბოლოს, სარიტმოდ სიტყვასთან იხმარება. ის დაერთვის არსებით სახელს, ზედსართავს, ნაცვალსახელს, ზმნას,

ზმნიზედას. ტაეპის შიგნით კი -ო ნაწილაკი ზმნას (ზმნა-შემასმენელს) დაერთვის. გამონაკლისი ამ წესიდან სულ რამდენიმე შემთხვევაა.

სხვათა სიტყვის ნაწილაკის უჩვეულო ადგილას დასმა, რაც რუსთველის ენის დამახასიათებელი სტილისტური ხერხია, გვიანდელი ხანის გადამწერებისათვის გასაგები აღარ იყო და ბევრი ასეთი ადგილი რიგ ხელნაწერში „გასწორებული“ ანუ გადაკეთებულია. ეს სწორებანი ნაბეჭდ გამოცემებშიც აისახა. მკვლევარს მოჰყავს ზოგიერთი ნიმუში, მაგ.:

„სევდად მეცა კაცთა ნახვა, ცეცხლი უფრო გავიალე,
არ მივეო ახლოს შეყრად, თავი ჩემი შევიწყალე“ (268ზ).

ორიოდე ხელნაწერსა და ზოგ გამოცემაში „არ მივეო“ შეცვლილია: არა მიველ, ან არ მიუელ (არ მიუვე, არ მიუველ);

„ბრძანე, ვისროლოთ, **ნუ იქო** შედრევილობა-კლებასა“ (68ზ).

ორ ხელნაწერში გვაქვს „ნუ იქ“, ხოლო სასკოლო გამოცემაში „ნულა იქმ“ (კონიექტურა). ასეთი „გასწორებები“ საჭირო არაა.

ავტორის აზრით, უმართებულოა მიმართვის ფორმის ხალხური მეტყველების ტრადიციიდან მომდინარედ მიჩნევა შემდეგ კონტექსტში: „მათ რა ნახეს, შემოჰყვივლეს: „... ჰე, **ასმათო**, მოგივიდა მოწყალეა ღმრთისა ზენით“ (1352). პირთა სახელებზე წოდებითი ბრუნვის ნიშნის დართვა არც ძველ ქართულს და არც ახალ სალიტერატურო ქართულს ახასიათებს. „**ასმათო**“-ში ბოლოკიდური **ო** სხვათა სიტყვის ნაწილაკია და არა წოდებითის ნიშანი. გ. ა.

569. გ. კარტოზია

დღემდე გამოვლილი გზა

გაზ. „კავკასიონი“, 1994, 2 ნომბერი; აგრ. ალმანახი „მწიგნობარი“ – 95-96, თბ., 1996, გვ. 13-22 (სათაურით: „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე მუშაობა გრძელდება).

წერილში გადმოცემულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიისა და მისი მთავარი რედაქციის მუშაობის ისტორია მისი შექმნიდან (1962წ.) 1990-იან წლებამდე; დახასიათებულია კომისიის მუშაობის პრინციპები და მის მიერ მომზადებული და გამოქვეყნებული გამოცემები „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისა, აგრეთვე მის შესახებ არსებული საცნობარო-ბიბლიოგრაფიული და მეცნიერულ-კრიტიკული ლიტერატურისა. გ. ა.

570. ნელი საგინაშვილი

„ვეფხისტყაოსნის“

ტექსტის გასწორების ერთი შემთხვევის თაობაზე

„ნობათი“ (ქურ. „ცისკრის“ დამატება), 1994, № 3-4, გვ. 71-80.

წერილის ავტორი განიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ 256-ე სტროფს („იმა მოყმისა ამბავი ..“). იგი მიუღებლად მიიჩნევს როგორც კ. ჭიჭინაძის მიერ შემოთავაზებულ გასწორებას (სარიტმო სიტყვის შეცვლას სიტყვით „არ იცნობების“), ასევე ი. გიგინეიშვილის კონიექტურას – პირველი სარიტმო სიტყვის „**იპოვნების**“ შეცვლას სიტყვით „იპოვნების“ და მეორე სარიტმო სიტყვის „**დაიჯერების**“ შეცვლას იკითხვისით „დაიხსოვნების“, რომელიც გაიზიარა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენმა კომისიამ („ვეფხისტყაოსნის“ 1988 წ. გამოცემა). ნ. საგინაშვილის აზრით, უნდა აღდგეს სტროფი იმ სახით, რა სახითაც დასტურდება ხელნაწერებსა და გამოცემათა უმრავლესობაში.

წერილის ავტორი მიუღებლად თვლის ტექსტისადმი ი. გიგინეიშვილის მიდგომას – კონიექტურის გამოყენებას სრული რითმის დამკვიდრების მიზნით, რის საფუძველზეც არამართებულად იქნა შეცვლილი სტროფის პირველი და მეორე სარიტმო სიტყვები. გ. ა.

571. თამარ ტაბიძე

**„ვისრამიანი“ და კლასიკური ხანის ქართული ორიგინალური მწერლობა
(ფერის მხატვრული ფუნქცია)**

*სადისერტაციო მაცნე ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად,
თბ., 1994, შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

სადისერტაციო ნაშრომში ფერი გაანალიზებულია, როგორც ნაწარმოების მხატვრული სტრუქტურის მნიშვნელოვანი ელემენტი, როგორც ერთიანი, მთლიანი სისტემა, რომელსაც დიდი როლი ენიჭება მწერლისა და მთარგმნელის მიერ მხატვრული ამოცანის შესრულებაში.

ქართულ თარგმანთან ერთად შრომაში შესწავლილია „ვის ო რამინის“ სპარსული ტექსტი და მისი მონაცემები შედარებულია „ვეფხისტყაოსნის“, „ამირანდარეჯანიანის“, „აბდულმესიანისა“ და „თამარიანის“ ფერით სისტემებთან.

ნაშრომის პირველ თავში – ფერის რაობა და მისი შესწავლის ისტორია – განხილულია ფერის, როგორც ფიზიკური სუბსტანციის შესწავლის ისტორია და ფერის პრობლემა თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში.

მეორე თავში გაანალიზებულია ფერის მხატვრული ფუნქცია „ვის ო რამინში“, „ვისრამიანში“ და ორიგინალურ ქართულ ძეგლებში. თითო ფერი განხილულია ცალკე პარაგრაფში. აღნიშნულია, რომ **შავი ფერი** არის გლოვის, უბედურების, შიშის, სიკვდილის მიმანიშნებელი და თანამყოლი. ამავე დროს, შავი თვალ-წარბი, წვერ-ულვაში და თმა სილამაზის ნიშანია აღმოსავლეთში. ორივე ეს პლანი იკვეთება „ვისრამიანში“, „ვეფხისტყაოსანსა“ და სხვა მხატვრულ ტექსტებში.

თეთრი ფერი გამოხატავს სილამაზეს, სათნოებას, სიმართლეს, ამაღლებულობას, სიხარულს, სიმდიდრეს. სითეთრის, ფიზიკური სილამაზის აღსანიშნავად „ვის ო რამინში“ გამოყენებულია: რძე, თოვლი, ქაფური, მარმარილო, ვერცხლი, მარგალიტი, ბროლი. „ვისრამიანში“ ხსენებულია აგრეთვე ბროლისაგან დამზადებული საგნები (ჭიქა, ჯამი). „ვეფხისტყაოსანში“ ბროლი მხოლოდ მხატვრული ფორმით გვხვდება და მას ესთეტიკურ-ვიზუალური ფუნქცია აქვს.

წითელი ფერი მკვეთრი დუალიზმით გამოირჩევა: წითელი - სიცოცხლის, ქორწინების და ზეობის სიმბოლო; წითელი ფერის სამოსს ატარებდნენ ბიზანტიელი და რომაელი მეფეები. მეორე მხრივ, წითელი ავადმყოფობის და სიკვდილის სიმბოლოცაა. „ვისრამიანში“ წითელი ფერის ძირითადი ფუნქციაა გადმოსცეს სხეულისა და ნაკვების სილამაზე და სიჯანსაღე. ასევეა „ვეფხისტყაოსანშიც“, – პერსონაჟების მშვენება ხშირად გამოიხატება ვარდისა და ლალის მეტაფორებით. ლალი გამოხატავს აგრეთვე მეფეთა წარჩინებულობას, სიუხვეს (ლალისთვლიანი გვირგვინი, სამეფო ტახტი, ძღვნად გაცემული ლალის თვლები და სხვ.).

ნაშრომში დახასიათებულია აგრეთვე მწვანე, ყვითელი და ლურჯი ფერების სიმბოლური შინაარსი და მათი გამოყენების პირობები დასახელებულ მხატვრულ თხზულებებში.

იხ. აგრ. ანოტაციები № № 380, 381, 455. **გ. ა.**

572. ნოდარ ჭოლოკავა

„ამბავიც თვითონ გააკეთა...“

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1994, 2 სექტ., № 35, გვ. 11.

სტატიის ავტორი იმეორებს ადრე თეზისების სახით გამოთქმულ მოსაზრებას, რომ „ამბავი სპარსული („ვეფხისტყაოსნის“ დასაწყისში) ჟანრული სახეობის მნიშვნელობის მქონე გამოთქმა და მხოლოდ თემატურ მოტივებზე მითითებას მოიცავს (სამიჯნურო და საგმირო მოტივები) და ცდილობს უფრო დამაჯერებლად დაასაბუთოს ის არისტოტელეს პოეტიკის დამოწმებითა და „ამირანდარეჯანიანში“ გამოყენებული გამოთქმის „სპარსეთის ამბავის“ შინაარსის გარკვევით. **გ. ა.**

573. მიხეილ ალაგიძე

„ვეფხისტყაოსნის“ ფაბულა – სიუჟეტის პრობლემა

ჟურ. „განთიადი“, ქუთ., 1995, № 3-4, გვ. 143-149.

სტატია ეხება მაგალი თოდუას წიგნს „ვეფხის ნახტომი...“ (1993) და მისივე თარგმანს პოემა-რომანისა „ვისრამიანი“ (ცნობილისაგან განსხვავებული ვარიანტი XVIII ს-ის პოეტის ნამი ესფაჰანისა).

რეცენზენტს ანგარიშგასაწევად მიაჩნია შ. ნუცუბიძის მოსაზრება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი ემყარება ქართული თხზულების „ამირანდარეჯანიანის“ ჩონჩხს, ანუ სპარსულ ამბავს – ფაბულას; მ. თოდუას წიგნს კი სადავო პრობლემის გადაწყვეტად მიიჩნევს და დასკვნაში წერს; „შოთა რუსთველმა, გენიოსთა წესისამებრ, გამოიყენა, ანუ სპარსული პოეზიის მიბადებით დაამუშავა (გააქვს) ჯერჯერობით უცნობი წარმომავლობის პროზაული ფაბულა, რაზეც აიგო „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი“. **გ. ა.**

574. გიორგი არაბული

სტუმარ-მასპინძლობის ეტიკეტი**„ვეფხისტყაოსნის“ ერთი ეპიზოდის მიხედვით**

კრებ. „ფილოლოგიური ძიებანი“ (ეძღვნება გ. კარტოზიას დაბადების 60 წლისთავს), თბ., 1995, გვ. 11-18.

ავტორი განიხილავს პოემის 1076-ე სტროფს („ყმა ვაჭრულად იმოსების, არ ჩაიგვამს არას მისსა, ზოგჯერ უხმის ფატმან მისსა, ზოგჯერ იყვის ფატმანისსა ...“) და მას ეპიზოდისათვის აზრობრივად შეუფერებლად თვლის. შინაარსობრივი შეუთავსებლობა ვლინდება შემდეგში: ავთანდილს არ ჰქონდა ფატმანის მიწვევის საბაზი და არც მათი ინტიმური ურთიერთობის დამწეები (ინიციატორი) ყოფილა. წინა (1072) და მომდევნო (№1078-1084) სტროფებიდან ვიცით, რომ ფატმანს პირველი ნახვისთანავე მოეწონა ავთანდილი, შემდეგ კი „სიყვარული მეტისმეტი მოემატა, ცეცხლებრ სწვიდა“(1078). ავთანდილმა ამის შესახებ არაფერი იცოდა (1085-1086). ფატმანმა სატრფიალო წერილი გაუგზავნა და პასუხი რომ მიიღო, შეხვედრის დრო და ადგილი დაუნიშნა. მანამდე კი ისინი მხოლოდ ერთხელ შეხვდნენ პირისპირ, ავთანდილის ოფიციალური ვიზიტის დროს.

მკვლევრის აზრით, აღნიშნული სტროფი გვიანდელი კომპილაციაა; ის თხრობის ლოგიკურ თანამიმდევრობას არღვევს და პერსონაჟთა ურთიერთობას ყალბ დეტალს უმატებს.

ნ. გ.

575. ალექსანდრე ბარამიძე

რუსთველის მოუღწეველ თხზულებათა შესახებ

კრებ. „ფილოლოგიური ძიებანი“, თბ., 1995, გვ. 19-22.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს უეჭველად უნდა ჰქონოდა სხვა მხატვრული თხზულებანიც, რაზეც მინიშნება არის პოემის დასაწყისში, მაგრამ მათ ჩვენამდე არ მოუღწევიათ. გამოთქმული იყო ვარაუდი (ანტონ კათალიკოსი, მიხ. წერეთელი, ი. ლოლაშვილი, კ. გრიგოლია), რომ შოთა რუსთველი იყო ავტორი თამარ მეფის ისტორიის ერთ-ერთი ვერსიისა. ეს ვარაუდი ჯერჯერობით არც დამტკიცებულია და არც მთლიანად უარყოფილი.

რუსთველს მიეწერება აგრეთვე ხალხში გავრცელებული აფორისტული სტროფი „ფილოსოფოსნი შემოკრბეს ...“ მას ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა შერმადინ ონიანმა და სტროფი შოთა რუსთველის დაწერილად მიიჩნია.

ალ. ბარამიძის აზრით, ამ დასკვნის გაზიარება შეუძლებელია თუნდაც იმის გამო, რომ რუსთველი არ იტყოდა შაირის მეორე ტაეპის ზოგადი ხასიათის დებულებას – „პატრონი ყმასა რითა სჯობს ...“ გ. ა.

576. დევიდ ბარეტი

„ვეფხისტყაოსანი“: რამდენიმე შენიშვნა და კითხვა

David Barrett, (Oxford), *VEPXISTQAOSANI: a few notes and queries*

კრებ. „ფილოლოგიური ძიებანი“ (ედღენება გურამ კარტოზიას დაბადების 60 წლისთავს) თბ., 1995, გვ. 23-35.

ავტორი განიხილავს პოემის „დასაწყისს“ (პროლოგი) და გამოთქვამს შენიშვნებს მასში მოცემული დებულებების შინაარსსა და შესაძლებელ (სავარაუდო) ეტიმოლოგიურ წყაროებზე. მკვლევრის აზრით, პირველი სტროფი მსოფლმხედველობრივად ემყარება ბიბლიის შესაქმნის წიგნს.

II სტროფი არის ფილოსოფიური განმარტება სახისა და ტანის ცნებებისა (ტან-ში იგულისხმება ადამიანის სხეული).

III სტროფი კომპლიმენტია თამარის მეუღლის მიმართ.

V სტროფში: „მიბრძანეს მათად საქებრად...“ ქების ობიექტი გამოკვეთილი არაა, და ა.შ. (შენიშვნები და კითხვები შეეხება, აგრეთვე პროლოგის სხვა სტროფებში გამოყენებულ აზრობრივი დატვირთვის მქონე სიტყვებს, ცნებებსა და ტერმინებს).

577. ვინფრიდ ბოედერი

სტროფის სტრუქტურა და ტექსტის კოჰეზია რუსთაველთან

Winfried Boeder (Universität Oldenburg): *Strophenstruktur und Textkohäsion bei Rustaveli*

კრებ. „ფილოლოგიური ძიებანი“ (ედღენება გურამ კარტოზიას დაბადების 60 წლისთავს) თბ., 1995, გვ. 37-55.

წერილში დასმულია ზოგადი პრობლემა: რა ქმნის ტექსტის კოჰეზიურობას (შინაგან მთლიანობას) და „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით განხილულია პოემის სტროფების რამდენიმე სტრუქტურული მახასიათებელი: აფორიზმის ადგილი სტროფის შედგენილობაში; სტროფის სტრუქტურული მახასიათებლები (უცხო მოყმის ნახვის ეპიზოდის მიხედვით); ტექსტის სემანტიკური ფრაგმენტაცია და ტექსტობრივი კოჰეზია, კერძოდ, სემანტიკური, ან ლექსიკური გამეორება (ავთანდილის ანდერძის მიხედვით); ტექსტობრივი კონტინუიტეტი (უწყვეტობა) და დისკონტინუიტეტი (წყვეტადობა) პოემის ტექსტში.

578. თინათინ ბოლქვაძე

პოეტური პარალელიზმი „ვეფხისტყაოსანში“

(ლინგვისტურ-ტიპოლოგიური კვლევა)

ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1995.

იხ. წიგნის ანოტაცია, აქვე № 652.

579. ალექსანდრე გვახარია

„ვისრამიანის“ ლექსიკის საკითხები. I. დოსტაქანი

ავტორის წიგნში – „ნარკვევები ქართულ-სპარსული ლიტერატურული

ურთიერთობის ისტორიიდან“, I, თბ., 1995, გვ. 186-192.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ სიტყვა „დოსტაქანი“ ქართულ მწერლობაში ყველაზე ადრე გვხვდება „ვისრამიანში“ (ფორმით: სადოსტაქნოდ) და „ვეფხისტყაოსანში“ (ორჯერ, სტრ. 482₁ და

1154). შემდეგ იხსენება „შაჰ-ნამეს“ ქართულ ვერსიებში, ნ. ციციშვილის „ბარამგურიანში“ და სხვაგანაც.

ტერმინი მოდის სპარსული სიტყვიდან „დუსთგანი“, ან მისი პარალელური ფორმიდან „დუსთჟამ“. პირველის შედგენილობაა: დუსთ (მეგობარი) + განი (სუფიქსი). მეორეში „ქამ“ ნიშნავს სურვილს. სპარსულში ამ კომპოზიტებს რამდენიმე მნიშვნელობა აქვთ: 1) სატრფო, მეგობარი; 2) განსაკუთრებული საღვინე სასმისი, დიდი თასი; 3) ღვინის სმა მეგობრებში.

ქართულ ტექსტებში „დოსტაქანი“ ნიშნავს ძვირფას საღვინე სასმისს, რომელიც მეტწილად ლითონისაა და მორთულია ძვირფასი ქვებით (ლალი, ზურმუხტი და სხვ.). **გ. ა.**

580. ალ. გვახარია

„იოსებზილიხანიანის“

ანონიმური ვერსიის ლექსიკოლოგიური საკითხები

ავტორის წიგნში - „ნარკვევები ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან“, I, თბ., 1995, გვ. 84-94.

ამ ნაშრომში, სხვა უცხოურ სიტყვებთან ერთად, ავტორი განმარტავს „ნობათს“ ასეთ კონტექსტში: „გვერც უსხდიან მხეველები, არ ეძინისთ **ნობათითა**,“ რაც ნიშნავს: **რიგს, ჯგერს, შენაცვლებას**. აღნიშნავს, რომ ამავე მნიშვნელობით იხმარება „ნობათი“ „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ სტრიქონებში: „აწ ნობათი ხელობისა მომხვდომია, მით ვარ ხელად“ (9304); „დღისით და ღამით მოყმენი ნობათსა არ დასცდებიან“ (13013). **გ. ა.**

581. ალ. გვახარია

აკად. შ. ნუცუბიძე

და აღმოსავლური რენესანსის ზოგიერთი საკითხი

თსუ შრომები, ტ. 317 (ფილოსოფია), თბ., 1995, გვ. 140-146.

როგორც ავტორი წერს, აღმოსავლური რენესანსის იდეას საფუძველი ჩაეყარა ადამ მეცის წიგნის „ისლამის რენესანსის“ გამოქვეყნებით (1922 წ.). 1947 წელს დაიბეჭდა შ. ნუცუბიძის მონოგრაფია „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი.“ მეცნიერთათვის კარგა ხანს უცნობი იყო მოსკოველი ირანისტის კ. ჩაიკინისა და მისი კოლეგის იური მარის საარქივო მასალა. მასში აღმოჩნდა პირადი წერილები (1933 წ.), რომლებშიც კ. ჩაიკინი დაბეჯითებით იცავდა ირანული რენესანსის იდეას, რომელიც ეყრდნობოდა ი. მარის მიერ შირვანის ლიტერატურული სკოლის წარმომადგენლების – ნიზამისა და ხაყანის (XII ს.) შემოქმედების შესწავლას, კერძოდ, მათ ტიპოლოგიურ და კონტაქტურ კავშირებს ქართულ საერო მწერლობასთან.

მათგან დამოუკიდებლად აქეთკენ წარმართა ყურადღება შ. ნუცუბიძემაც. მის უმთავრეს დამსახურებას წარმოადგენს შირვანის პოეტური სკოლის თავისებურებათა ახსნა თანადროულ ქართულ საერო მწერლობასთან მჭიდრო კავშირით.

ნაშრომს ახლავს რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე. **გ. ა.**

582. სესილი გოგიბერიძე

„ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანები

სადისერტაციო მაცნე ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომისა, თბ., 1995, 27 გვ.

მაცნე ქართულ ენაზეა, ახლავს რეზიუმე ინგლისურ ენაზე (გვ.26). დისერტაციის დაცვა შედგა 1995 წლის 27 ოქტომბერს, თსუ-ს ლიტერატურის დარგის სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს სხდომაზე.

სადისერტაციო მაცნე შედგება შესავლისა და სამი თავისაგან:

I. „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ თარგმანებში შინაარსობრივი ასახვის ადეკვატურობა: ა) მსოფლმხედველობრივ დებულებათა ადეკვატური ასახვა (გვ. 9-12); ბ) რენესანსული პიროვნება და „ვტ-ის“ საზოგადოება ინგლისურ თარგმანებში (გვ.13-15).

II. პოეტური სტილისტიკის ზოგიერთი საკითხი (გვ.16-19).

III. ინგლისელ მთარგმნელთა დიფერენცირებული მიმართების მიზეზები და მიზნები (ქრონოლოგიური ასპექტის გათვალისწინებით, გვ. 20-24).

დასკვნა (გვ.25). იხ. აქვე ანოტაციები № № 583,584. გ. ა.

583. ს. გოგიბერიძე

„ვეფხისტყაოსნისადმი“ ინგლისელ მთარგმნელთა დიფერენცირებული მიმართების მიზეზები და მიზნები

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1995, 10-17 თებ., № 7.

ავტორი აღნიშნავს, რომ თარგმანის თეორიაში არსებობს ეკვივალენტურობის ორი ტიპი: ფორმალური და დინამიკური. პირველში ყურადღება უპირატესად გამახვილებულია თვით ინფორმაციაზე, მის ფორმასა და შინაარსზე; მეორე პრინციპით შესრულებულ თარგმანში კი მთავარია ინფორმაციასა და მკითხველს შორის დინამიკური კავშირის დამყარება.

მ. უორდროპი ერთგულებას იჩენს ტექსტისადმი. იგი ცდილობს შეინარჩუნოს დედნის შინაარსი და დაიცვას მისი ფორმაც.

ვ. ურუშაძე დიდ თავისუფლებას იჩენს „ვეფხისტყაოსნის“ მთელი რიგი პასაჟების მიმართ, რაც განპირობებულია მისი ამოცანით – შექმნას პოემის პოეტური თარგმანი.

რ. სტივენსონმა პროზით თარგმნა რუსთაველის თხზულება. მისი თარგმანის სტილი აშკარად განსხვავდება მ. უორდროპის სტილისაგან. რ. სტივენსონის მიზანი თანამედროვე მკითხველისათვის გასაგები თარგმანის შექმნაა, ამისთვის ურთავს ვრცელ კომენტარებს.

ქ. ვივიენი კიდევ უფრო შორს მიდის, რაც ქვესათაურშიც ჩანს: „თავისუფალი თარგმანი, პროზად“. მისი ერთ-ერთი ნიშანდობლივი ელემენტია თავისუფალი მიდგომა „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური ენის მიმართ. იგი საჭიროდ არ მიიჩნევს მეტაფორების გადათარგმნას და ამჯობინებს, ესა თუ ის გამოთქმა მოარგოს თანამედროვე ინგლისელის შეჩვეულ და გასაგებ ფრაზეოლოგიას. ქ. ვივიენი აერთიანებს რამდენიმე სტროფს და მათ მოკლე შინაარსს გადმოსცემს.

მკვლევრის დასკვნით, ბოლო სამ ინგლისურ თარგმანში ხდება ევოლუცია დინამიკური ეკვივალენტურობის პრინციპის სასარგებლოდ. გ. ა.

584. ს. გოგიბერიძე

მსოფლმხედველობრივ დებულებათა ადეკვატური ასახვა

„ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ თარგმანებში

თსუ ფილოლოგიის ფაკ. სამეცნიერო სესია, 1995 წ., 22-25 მაისი, მოხს. თეზისები, თბ., გვ. 31 (მოგვაქვს შემოკლებით).

1. ფილოსოფიურ-რელიგიური დებულებები სპეციფიკური კატეგორიაა და უცხო ენაზე მათი თარგმნის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ზუსტ აზრობრივ შესაბამისობას.

2. „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელები სხვადასხვგვარად გაიაზრებენ ღვთაების განსაზღვრებას. ამ მიმართებით განხილულია რამდენიმე სტროფისა და გამოთქმის თარგმანი („ერთსა მიჰხედეს საზიაროდ ...“, „იტყვის: ჰე, მზეო ...“, „ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს ...“).

3. წარმოდგენა მნათობთა სისტემაზე მნიშვნელოვანია პოეტის მსოფლმხედველობის გაგებისათვის. განხილულია მზის სახის ასახვის ადეკვატურობა, „ძალნი ზეციერი“ და სხვ.

4. ინგლისელი მთარგმნელებისათვის პრობლემებს ქმნის „უსახო სახის“, „ტომისა და გვარის“, „ნივთისა და ვალის“ გაგება და ზუსტად თარგმნა.

5. ფილოსოფიურ-რელიგიური და სხვა სპეციალური ტერმინების თარგმნისას რ. სტივენსონი და ქ. ვივიენი ცდილობენ მოარგონ ინგლისურ ენას მისთვის უცხო გამოთქმები ისე, რომ არ დაიკარგოს აზრის სიღრმე. გ. ა.

585. მაკა ელბაქიძე

„მეფე-პატრონის“ მხატვრული სახის გაგებისათვის „ვეფხისტყაოსანში“

თსუ ფილოლოგიის ფაკ. სამეცნიერო სესია, 1995 წ. 22-25 მაისი, მოხს. თეზისები, თბ., გვ. 44 (მოგვაქვს შემოკლებით).

შუა საუკუნეების დას. ევროპულ კურტუაზიულ რომანში უზენაესი სიუჟერენის, მონარქის მხატვრული სახე გამოყოფილია პერსონაჟთა საერთო სისტემიდან და აღჭურვილია სპეციფიკური ფუნქციებით. თანამედროვე მედიევისტულ შიშულშავა ფუნქციურ კატეგორიათა მოდელი (1. სუბიექტი, 2. ობიექტი, 3. წარმგზავნი, 4. ადრესატი, 5. მოწინააღმდეგე, 6. დამხმარე). ამ მოდელის მიხედვით, რაინდული რომანების მთავარი პერსონაჟი - მეფე არტური ითავსებს წარმგზავნისა და ადრესატის ფუნქციებს.

„ვეფხისტყაოსანში“ **თინათინს** მეფედ დალოცვის შემდეგ სამეფო ატრიბუტებთან ერთად ენიჭება ყველა ის ფუნქცია, რაც მეფე-პატრონს უნდა გააჩნდეს. თინათინი და არა ყოფილი მონარქი, როსტევანი, არის წარმგზავნიც და ადრესატიც. გ. ა.

586. თამარ ერისთავი

„ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები, ანუ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის მეორე განზომილება

გამომც. „ნეკერი“, თბ., 1995, 95 გვ.

იხ. პირველი პუბლიკაციის (ჟურ. „განთიადი“, 1988, №1) ანოტაცია, აქვე № 275.

587. ხეთისო ზარიძე

„მზე მნათობთა უკეთესი“

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1995, 20-27 იანვ., №3, გვ. 5.

ავტორი წერს; „ვეფხისტყაოსნის“ 1197-ე სტროფის რითმაში ორჯერ გამოყენებულია სიტყვა **„უკეთესი“**. ტავტოლოგიის აცილების მიზნით ზოგიერთ ხელნაწერსა და გამოცემაში მესამე სტრიქონის სართიმო სიტყვად შეუტანიათ: უზეშთესი, უტურფესი ან უნათლესი.

მკვლევრის აზრით, „უკეთესის“ შეცვლა სხვა სიტყვით აუცილებელი არაა. როგორც ვ. ნოზაძე წერს, ლომის ბურჯში (ეტლში) შესული მზე მშვენიერია, რადგან ის მაშინ აჩვენებს თავის ბრწყინვალეებასა და ძალას. მველ ქართულში „უკეთესს“ აქვს მეთაურის, უფროსის მნიშვნელობაც („ამირანდარეჯანიანი“). პოემის მოცემული კონტექსტი სწორედ ამას გულისხმობს: ცხენზე მჯდარი ნესტანი ისეთი მშვენიერი იყო, როგორც ლომის ბურჯში მყოფი მნათობთა დასის მეთაური მზე. ამით ტავტოლოგია აცილებულია და მხატვრული სახეც სრულყოფილია. გ. ა.

588. ხ. ზარიძე

არეოპაგეტიკა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტსა და კომპოზიციაში

თსუ ფილოლოგიის ფაკ. სამეცნიერო სესია, 1995 წ. 22-25 მაისი, მოხს. თეზისები, გვ. 48-49 (მოგვაქვს შემოკლებით).

შ. ნუცუბიძემ დაამკვიდრა თვალსაზრისი, რომ დიონისე არეოპაგელის ფილოსოფიურ-რელიგიური მოძღვრება ჩანს „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიციაშიც. კერძოდ, ქაჯეთის დამბობამდე თხრობის წარმმართველია ბოროტებასთან მომავალი ბრძოლისადმი მზადება.

ქაჯების დამარცხების შემდეგ კი სიკეთის „არსებაგრძელობის“ მოტივი დომინირებს, რაც გამართა გარდაცვალებამდე გრძელდება.

მოხსენების ავტორი ფიქრობს, რომ ეს თვალსაზრისი ზუსტი არაა; ბოროტების ძლევის შესაძლებლობაზე მსჯელობა იწყება უკვე ნესტანის ადგილსამყოფელის დადგენიდან და რეალურად ცხადდება ქაჯეთის ციხის აღებითა და ნესტანის გათავისუფლებით.

„ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტისა და კომპოზიციის კონცეპტუალური მთლიანობის მიღმა რჩება ე. წ. „ინდო-ხატაელთა ამბავი“. მის ავტორს (გამგრძელებელს) ვერ გაუგია რუსთაველის პოემის აღნაგობა და მას აზრობრივად საწინააღმდეგო დანამატით ავსებს. ამიტომ ვერ ხერხდება „ვეფხისტყაოსნთან“ ამ მონაკვეთის უეჭველი შეთავსება. **გ. ა.**

589. ბ. ზარიძე

სად დავსვით წერტილი?

(„ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტისა და კომპოზიციის საკითხები კ. კეკელიძის წერილებში)

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1995, 21-28 ივლისი, № 29, გვ. 6.

მკვლევარი წარმოგვიდგენს კ. კეკელიძის თვალსაზრისს, რომელიც მან გამოთქვა კ. ჭიჭინაძისეული რედაქციის განხილვის დროს, 1934 წელს. მეცნიერის დასკვნა ასეთი იყო: „პოემის სიუჟეტური რკალი იხურება იქ, სადაც ორი შეყვარებული წყვილი [...] მიზანს აღწევს და საძიებელ მიჯნურს უერთდება, ესე იგი, არაბეთში“.

ბ. ზარიძე ამ დებულების გამყარებას ცდილობს დამატებითი არგუმენტებით. მისი აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ წრიული კომპოზიციის პრინციპით შექმნილი თხზულებაა. პოემის სიუჟეტი იწყება არაბეთში, თინათინ-ავთანდილის ურთიერთობითა და მოულოდნელად იქ უცხო მოყმის გამოჩენით, ხოლო სიუჟეტური რკალი იხურება გამარჯვებული გამირების იმავე ქვეყანაში დაბრუნებით. „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი თემაა სიყვარული და მეგობრობა და არა ინდოეთის სამეფო ტახტის მემკვიდრეობის პრობლემა. **გ. ა.**

590. მურმან თავდიშვილი

რითმისწინა გახმოვანების რუსთველური სისტემა

საქ. მეცნ. აკადემიის ლიტერატურისმცოდნეობის რესპ. საკოორდ. საბჭო,
შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტ., სამეცნ. კონფერენცია,
თეზისები, თბ., 1995, გვ. 26, (მოგვაქვს შემოკლებით).

1. მომხსენებელს მიაჩნია, რომ მან აღმოაჩინა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის პოეტოკური კანონზომიერება: სარიტმო სიტყვების წინ დგას ერთი და იგივე ხმოვანი, რაც ლექსის კეთილხმოვანებას აძლიერებს, მაგ., 1283-ე სტროფში: მშვენიერთა პირითა; რათაცა ჭირითა; ვითა გამირითა; სწრაფითა ხშირითა.

2. აღნიშნულ კანონზომიერებაზე დაყრდნობით სტრიქონში: „როშაქ მონაა, თავადი მონისა ბევრისათისა“ (1218ა) სარიტმო სიტყვები შეიძლება შეიცვალოს ხელნაწერთა უმეტესობაში დაცული ვარიანტით: ბევრ-ათისისა. აგრეთვე, 25ა სტრიქონის დაბოლოება „მტლამი-მტლუში“ უნდა გასწორდეს ასე: მტლამა-მტლუში. **გ. ა.**

591. მ. თავდიშვილი

იდუმალი აღმოსავლეთი

ჟურ. „რელიგია“, 1995, № 1-3, გვ. 107.

ავტორი ცდილობს ახსნას უჩინარი აზრი ერთი სტრიქონისა: „აღმოსავლითკენ წადიო, პირსა იარე ზღვისასა“ (944) .

ბიბლიის ენციკლოპედიაში აღნიშნულია, რომ „აღმოსავლეთი არის ადგილი, სადაც შეიძლება მოიპოვო საიდუმლო ცოდნა (ესაია, II, 6). ამასთანავე, წმინდა წიგნების მიხედვით, „აღმოსავლეთად“ იწოდება იესო ქრისტე.

ტარიელის ამ თხოვნაში მინიშნებულია, რომ აღმოსავლეთში ავთანდილი ნესტანის საიდუმლოს გაარკვევს და თანაც ღვთაებისაკენ, ქრისტესაკენ ივლის, მისი ნათელი გაუადვილებს გზის სიძნელეს.

მკვლევრის ვარაუდით, ეს მომენტი კიდევ დაფიქსირდა 947-ე სტროფში: „ერთი **აღმა**, ერთი **ჩაღმა**, უგზოდ მივლენ შამბთა ეჯით,“ - აღმოსავლეთისკენ მიმავალი ავთანდილი **აღმა** მსვლელია, ხოლო საპირისპირო მხარეს მიმავალი ტარიელი - **ჩაღმა** მსვლელი. **გ. ა.**

592. გურამ თევზაძე

შალვა ნუცუბიძე და აღმოსავლეთის რენესანსის პრობლემები

თსუ შრომები, ტ. 317 (ფილოსოფია), თბ., 1995, გვ. 158-167.

ავტორი აღნიშნავს, რომ შ. ნუცუბიძის მეცნიერული მოღვაწეობის ერთ-ერთი მიზანი იყო აღმოსავლეთის რენესანსის ორიგინალური თეორიის საშუალებით ქართული კულტურის ადგილის გარკვევა საკაცობრიო კულტურაში. ნაშრომში წარმოდგენილია შ. ნუცუბიძის უწყვეტი და ნაყოფიერი მუშაობა ამ მიმართულებით, დაწყებული 1939 წლიდან, როდესაც პირველად იქნა დაყენებული „რუსთაველისა და აღმოსავლეთის რენესანსის“ პრობლემა მეცნიერის მოხსენებაში.

შ. ნუცუბიძე იკვლევდა ნეოპლატონიზმისა და „არეოპაგტიკის“ როლს აღორძინების მომზადებასა და განხორციელებაში.

რენესანსთა სიმრავლის შ.ნუცუბიძისეული თეორია, აღორძინების კულტურის საერთო კანონზომიერებასთან ერთად, მის რეგიონალურ სპეციფიკასაც ითვალისწინებს. ქართული რენესანსის თავისებურება, მისი აზრით, ის იყო, რომ მისი „იდეოლოგიური ფუძემდებელი“ იოანე პეტრიწი რენესანსული მოძრაობის სათავეში იდგა. ქართულ ხელოვნებაში აღორძინება ქართულ ფილოსოფიურ ლიტერატურას ემყარება. ეს განვითარება გვირგვინდება რუსთაველით, რომელმაც შექმნა „აღმოსავლური და მსოფლიო რენესანსის უდიდესი ძეგლი“.

ნარკვევს ერთვის რეზიუმე რუსულ და გერმანულ ენებზე. **გ. ა.**

593. მარიამ კარბელაშვილი

„ვეფხისტყაოსანი“, როგორც ფილოსოფიური რომანი

საქ. მეცნ. აკადემია, ლიტერატურისმცოდნეობის რესპ. საკოორდ. საბჭო,

შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტ. სამეცნ. კონფერენცია,

თეზისები, თბ., 1995, გვ. 30-31.

1. რუსთაველოლოგიურ ლიტერატურაში „ვეფხისტყაოსანი“ კვალიფიცირებულია როგორც: „რომანტიკული პოემა“, „ლირიკული ეპოსი“, „ეპიკურ-რომანტიკული პოემა“, „სათავგადასავლო-საგმირო ეპოსი“, „ნაციონალურ-რომანტიკული ეპოსი“, „საგმირო და კურტუაზიული ეპოსის ზღვარზე მდგარი თხზულება“, „რომანი, თანამედროვე წარმოდგენით“ და ა.შ.

2. „ვეფხისტყაოსანი“ მეტ-ნაკლებად შეიცავს ყველა აქ ჩამოთვლილ ჟანრულ სახეობას, რამდენადაც ეს განსაზღვრებანი მის ფორმასა და სტილს შეეხება. ამ განსაზღვრებებში თხზულების ჟანრული რაობა კვალიფიცირებულია მისი დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით.

3. „ვეფხისტყაოსნის“ ჟანრის განსაზღვრა უნდა მოხდეს მისი **არსებითი ნიშნის** მიხედვით, როგორც ეს წარმოდგენილია შ. ნუცუბიძის ნაშრომებში.

4. „ვეფხისტყაოსნის“, როგორც ფილოსოფიური თხზულების არსი ადრევე იყო განჭვრეტილი ვახტანგ მეექვსის, ანტონ კათალიკოსის, დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის მიერ.

5. იმის გათვალისწინებით, რომ „ვეფხისტყაოსანი“ სარაინდო რომანის ფორმით დაწერილი ფილოსოფიური შინაარსის პოემაა, შესაძლებელია მისი ჟანრი განისაზღვროს, როგორც ფილოსოფიური რომანი.

594. გურამ კარტოზია

და კავშირის თავისებური ხმარებისათვის „ვეფხისტყაოსანში“

*საქ. მეცნ. აკადემია, ლიტერატურისმცოდნეობის რესპ. საკოორდ. საბჭო,
შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტ. სამეცნ. კონფერენცია,
თეზისები, თბ., 1995, გვ. 29.*

1. „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთ კონტექსტში კავშირი და მართებული პაუზის მაგივრობას ეწევა, მაგ.: „სადაა ჩემი მოყვარე, და ვისთვის ცრემლი მდენია“ (13262).

2. „მე დავახვედრო ესე მზე, და მისთვის დამზადებული“ (11812).

აქ და განკერძოებულ განსაზღვრებას (მისთვის დამზადებული) აკავშირებს პირდაპირ ობიექტთან (მზე).

3. „ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა“ (201). და კავშირი აქაც პაუზის ბადალია, დანართს (ტომი გვართა ზენათა) აკავშირებს სინტაგმასთან - „მიჯნურობა პირველი“.

იხ. აგრ. ანოტ. № 791.

595. ზურაბ კიკნაძე

„ვა, სოფელო ...“

*კრებ. „ფილოლოგიური ძიებანი“ (ედღვნება გურამ კარტოზიას
დაბადების 60 წლისთავს), თბ., 1995, გვ. 99-106.*

ავტორი ეხმაურება ვ. კუპრავას წერილს „გვაქვს თუ არა ღირსეულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი?“ (ჟურ. „კრიტიკა“, 1988, №3). ზ. კიკნაძე პასუხობს, რომ ასეთია ბორის გაპონოვის მიერ შესრულებული ებრაული თარგმანი, რომელიც თელ-ავივში დაიბეჭდა 1969 წელს. (იხ. რეცენზიის ანოტაცია, ბიბლიოგრაფიის IV ტ., № 650). ავტორი თავის მოსაზრებას ასაბუთებს ერთი სტროფის (802: „თუ საწუთრომან დამამხოს ...“) თარგმანის განხილვით და იქვე აღნიშნავს, რომ ამ სტროფის თარგმანი გამონაკლისი არ არის. „უფრო მეტიც: იქ, სადაც რუსთველი თვლემს, მთარგმნელი ფხიზლობს, ის ქმნის ახალ დედანს თავის ენაზე. (...) თუ ძველი ებრაული ენის აღდგენა ისრაელის ახლად შექმნილი სახელმწიფოს სახალხო ენად სასწაული იყო, გაპონოვმა გაიმეორა ეს სასწაული, როცა თავის თავში გააღვიძა ეს ენა.“ გ. ა.

596. ოთარ მიქაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ორი სათავიდან *თბ., „განათლება“, 1995, გვ. 40.*

ანოტაციაში ვკითხულობთ, რომ პოეტ ოთარ მიქაძის წიგნში განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებიდან მომდინარე ერთერთის საპირისპირო ვარიანტები, რომელთაგან უმრავლესობა გაუაზრებლადაა მოხვედრილი პოემის ბეჭდურ გამოცემებში.

თვით წიგნის სათაური გამოხატავს ავტორის ვარაუდს, რომ ჯერ კიდევ რუსთაველის სიცოცხლეში შეიქმნა პოემის ორი რედაქცია: „პირველის სათავე, შესაძლოა, სწორედ ის ეგზემპლარი იყო, რომელიც თამარისადმი მიუძღვნია (= მიურთმევია - გ. ა.) შოთას. მეორე სათავე იწყება პოეტის მიერ საბოლოოდ გაწეული რედაქციიდან“ (რაც შეასრულა იერუსალიმში წასვლამდე, ანუ XIII ს-ის 20-იან წლებამდე).

ავტორი განიხილავს პოემის ბეჭდურ (1966 წ. საიუბილეო, 1974 წ. ნ.ნათაძის და 1988 წ. ტექსტის დამდგენი კომისიის) გამოცემებში არსებულ პარალელურ წაკითხვებს, მაგ.: ლექსთა ... ვლენა || ლექსთა ... ლევნა; იგი წავა და || იგი წახდების; რა დამგემო || რად დამგემო; კაცნი მოდიოდეს თუ მოვიდოდეს; დაიჯერების, დაიხსოვნების თუ მოიგონების; შუბი ახე, თუ ნები ვახე; დღე ... არაღვსებისა, თუ არს აღვსებისა; რად დაღორდენ თუ რად დაღონდენ; იშოვებს თუ იშოვნის და მისთ.

ავტორი თავისი გემოვნებით არჩევს „უკეთეს“ წაკითხვებს და არ ითვალისწინებს რუსთაველის ეპოქის ენობრივ ნორმებს. მისი აზრით, ე. წ. „ინდო-ხატაელთა ამბავი“ განუყოფელი ნაწილია „ვეფხისტყაოსნისა“, მაგრამ აკადემიურ გამოცემაში ბევრი რამ ჯერ კიდევ დასაზუსტებელია ... ამ მხრივ საყურადღებოა ნათაძისეული ვარიანტი პოემის ამ ნაწილისა.

გ. ა.

597. ნელი საგინაშვილი

კონიექტურები „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებში

სადისერტაციო მაცნე ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომისა, თბ., 1995, 24 გვ., ახლავს მცირე რეზიუმე ინგლისურ ენაზე.

ავტორი განიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებში იუსტ. აბულაძის, ვ. ჭიჭინაძის, პ. ინგოროყვას, ი. გიგინეიშვილის, ი.ლოლაშვილის მიერ შეტანილ, ხელნაწერებისაგან განსხვავებულ წაკითხვებს და დაასკვნის, რომ ხელნაწერებში დადასტურებული იკითხვისების გათვალისწინება საშუალებას იძლევა, უარი ვთქვათ კონიექტურებზე.

მკვლევარი ძირითადად მსჯელობს პოემის 1988 წლის გამოცემაში დაბეჭდილ კონიექტურებზე:

1. „ხმას სცემს ჩანგი ჩაღანასა, მომღერალნი იყვნეს **რულნი!**“ ასეა: H 2074, აბ. (1914), ჭიჭ.(1934) და სხვ.

მკვლევარი სასურველად თვლის, აღდგეს: **სრულნი** (უნაკლოს მნიშვნელობით, გვ. 6-8). „მონანი ტურფად მოსილნი წესითა იყვნეს **რულითა!**“ (1006), კონ. იუსტ. აბულაძისა.

ნ. საგინაშვილის აზრით, უნდა აღდგეს: **სრულითა** (=საუკეთესო, უნაკლო, გვ.8).

2. 256: „თვით თუ არ გითხრობს, არ ითქმის, არვისგან **დაიხსოვნების** (ი.გიგინეიშვილი). უნდა აღდგეს: „არვისგან **დაიჯერების**“ (გვ. 9-11).

3. 856: „არ ვინანი გარდასრულსა, ბრძენთა სიტყვა **გავადადრო**(ი.ლოლაშვილი). უნდა იყოს: **გავაადრო** (=მაღლე შევასრულო, გვ.11-12).

4. 882: „... არცა მცალს სმენად **ამისად**“ (პ.ინგოროყვა).

უნდა აღდგეს: ხელნაწ. წაკითხვა: **მაგისად** (გვ. 13-14).

5. 1036: „მარტო მნახეთ, ვით შევება, ვით ვიხმარნე ლომნი **მხარნი**“ (ვ.ჭიჭინაძე).

უნდა აღდგეს ხელნაწ. წაკითხვა: „ლომნი **მკლავნი**“ (გვ. 15-18).

6. 1050: „შენგან ვართ გამაგრებულნი, ჩვენ ვიცით ჩვენი **ფრდილობა**“ (ი.გიგინეიშვილი, ი.ლოლაშვილი).

ნ. საგინაშვილს მიაჩნია, რომ უნდა აღდგეს: **ფლიდობა** (= უძლურება, უვარგისობა). **გ. ა.**

598. ჯემალ ცერცვაძე

მიზნის მიღწევის ერთი ხერხის ინტერპრეტაციისათვის

„ვეფხისტყაოსანში“

საქ. მეცნ. აკადემია, ლიტერატურისმცოდნეობის რესპ. საკოორდ. საბჭო, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტ. სამეცნ. კონფ., თეზისები, თბ., 1995, გვ. 29-30.

1. „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი პერსონაჟები აუცილებლობის შემთხვევაში მოქმედებენ. შუა საუკუნეებში კლასიკურ ნორმად ქცეული პრინციპის მიხედვით - „მიზანი ამართლებს საშუალებას.“

2. ასეთია მკვლევართა მიერ არაერთგზის განხილული ფაქტი ტარიელის მიერ სარაინდო კოდექსის უხეში დარღვევისა – უდანაშაულო ხვარაზმშას ძის მიპარვით მოკვლა.

3. ქართველ მკვლევართა ყურადღების მიღმა დარჩა ავთანდილის მიერ ჭაშნაგირისა და მისი მცველების დახოცვა.

4. ეს ფაქტები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მოგვიანო ხანის ე.წ. „მაკიაველის პრინციპი“, როგორც მოქმედების ნორმა, ბევრად ადრეა გამოყენებული „ვეფხისტყაოსანში“.

იხ. აგრ. ანოტ. № 626.

599. ალექსი ჭინჭარაული

კიდევ ერთი ჩართული სტროფი „ვეფხისტყაოსანში“

კრებ. „ფილოლოგიური ძიებანი“, თბ., 1995, გვ. 183-188.

ავტორი ეხება 1120-ე სტროფს: „მე და უსენი შვილითურთ ...“ მკვლევრის აზრით, ამ სტროფის სიყალბეს ადასტურებს მისი ფაქტობრივი და სტილური შეუსაბამობანი:

1. უადგილოა უსენის ხსენება ამ ეპიზოდში, აგრეთვე: სხვა დროს უსენ რვაჯერ დასტურდება სახ. ბრუნვის ფუნქციით და მხოლოდ აქ არის „უსენი“.

2. ფაქტობრივ მდგომარეობას არ შეეფერება ფორმა **შვილითურთ**. ფაქტმანს ერთი კი არა, რამდენიმე შვილი ჰყავს.

3. სინტაქსურად და ფაქტობრივად არაზუსტია: „სისხლთა იმისთა **დაღვრევა დავიქადენით**“ (ზმნაში ობიექტი უნდა იყოს მხოლ. ფორმით). ასევე არასწორი ფორმაა „დაღვრევა“ (დაღვრის მაგიერ).

4. ზედმეტია მიმართვა: „თქვენ სმენად დაემზადენით“, – ფაქტმანს ხომ უკვე დაწყებული აქვს თხრობა!

მკვლევრის დასკვნით, აღნიშნული ფაქტობრივი და ენობრივი უზუსტობანი ადასტურებს ამ სტროფის ნაყალბეობას. **გ. ა.**

600. ნოდარ ჭოლოკავა

დავუჯეროთ ვახტანგ მეექვსეს!

(„ამბავი სპარსული“-ს და „ამბავნი უკვდავებისა სწორანის“-ს ურთიერთმიმართება)

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1995, 18. IV; საქ. მეცნ. აკადემია, საქ. რესპ. განათლების სამინისტრო, ლიტერატურის თეორიის, ისტორიისა და ფოლკლორის საკოორდ. საბჭო; თბილისის დამოუკიდებელი ინსტიტუტი „რიტორიკა“, სამეცნ. კონფერენცია, თბ., 1995წ. 15-16 მაისი, თეზისები, გვ. 20 (მოგვაქვს შემოკლებით).

„ამბავი სპარსულის“ შეპირისპირება ფაქტმანის სიტყვებთან – „ამბავნი უკვდავებისა სწორანი“ – საშუალებას იძლევა ნათელყოფილ იქნეს „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის პრობლემა.

ფაქტმანის მიერ მოსმენილი „ამბავნი“ თავისი რეალური მნიშვნელობით აღნიშნავს ტარიელ-ნესტანისა და ავთანდილ-თინათინის სამიჯნურო ამბებს მთლიანობაში. ეს იგივეა, რაც პოემის დასაწყისში ხსენებული „ამბავი სპარსული“.

გამოთქმაში „ამბავი სპარსული“ პრედიკატი, მსგავსად XII ს-ის ევროპულ მწერლობაში დამკვიდრებული ტერმინისა „რომანული მოთხრობა“, მიუთითებს იმაზე, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ჟანრული სახეობის მიხედვით ემსგავსება IX-XI საუკუნეების სპარსულენოვან ეპიკურ ქმნილებებს, რომელთა თემატიკა სამიჯნურო-სადევგმირო ხასიათისაა. **გ. ა.**

601. შალვა ხიდაშელი

შალვა ნუცუბიძე

ოსუ შრომები, ტ. 317 (ფილოსოფია), თბ., 1995, გვ. 124-131.

ავტორი წერს, რომ შ. ნუცუბიძის აღმოსავლეთის რენესანსის თეორია მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი აღმოჩნდა. მან მეცნიერთა ფართო ყურადღება მიიპყრო.

რაც დრო გადის, ამ თეორიას უფრო მეტი და მეტი მომხრე უჩნდება. შ. ნუცუბიძის მიერ დამუშავებული თეორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარე, რომელიც მას აძლევს სისრულეს და დამთავრებულ სახეს, რენესანსის ფილოსოფიური საფუძვლების კვლევაა. შ. ნუცუბიძე უწყვეტივ იცავდა აზრს, რომ რენესანსის ფილოსოფიურ საფუძველს დასავლეთშიც და, კერძოდ, საქართველოშიც ნეოპლატონიზმი წარმოადგენდა.

შ. ნუცუბიძის თქმით, რუსთაველის პოემა წარმოადგენს არა მხოლოდ ქართული რენესანსისა და რენესანსული ჰუმანიზმის მწვერვალს, არამედ მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლს და აღმოსავლური რენესანსის, როგორც ევროპის გარეთ არსებულის, ფაქტობრივად დამადასტურებელ ერთ-ერთ კულტურულ მოვლენას.

ნაშრომს ახლავს რეზიუმე რუსულ და გერმანულ ენებზე. **გ. ა.**

602. აკაკი ხინთიბიძე

ნახევარხმოვანი ა „ვეფხისტყაოსანში“

საქ. მეცნ. აკადემია, ლიტერატურისმცოდნეობის რესპ. საკოორდ. საბჭო, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტ., სამეცნ. კონფ. თეზისები, თბ., 1995, გვ. 28 (მოგვსჯეს შემოკლებით).

1. „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთ გამოცემაში (1966, 1988) შორისდებულებში გამოყენებულია ნახევარხმოვანი ა (ვაა, ჰააჰაა).

2. ა იხმარებოდა ხუცურ დამწერლობაში. საერო წიგნები, საბუთები და სხვ. XI საუკუნიდან იწერებოდა მხედრულით, რომელსაც ხუცურიდან ა არ გადაჰყოლია, ამიტომ რუსთაველის ტექსტში მისი არსებობა არაა მოსალოდნელი.

3. რუსთაველისთვის მისაღებია ვა ფორმა: „ქვე-ქვე მითქვამს იდუმალ ვა“ (400ა); „რა მოგმორდე, ათასჯერ ვა“ (794ა).

4. „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში, რომლებშიც ვაი და ჰაი ფორმები ზოგჯერ უმარცვლო ა-ს გულისხმობს, იმდროინდელია, როცა ა აღდგა მხედრულ დამწერლობაში. **გ. ა.**

603. ელგუჯა ხინთიბიძე

შ. ნუცუბიძის აღმოსავლური რენესანსის თეორია

და რუსთაველის მსოფლმხედველობა

ოსუ შრომები, ტ. 317 (ფილოსოფია), თბ., 1995, გვ. 132-139.

ავტორის აზრით, რუსთაველის შემოქმედება თავისებური სინთეზია აღმოსავლური და დასავლური კულტურულ-მსოფლმხედველობითი ტენდენციებისა, განხორციელებული ქართული ეროვნული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვანი განვითარების ბაზაზე. ნაშრომის დედააზრს ავტორი ასე აჯამებს: რუსთაველის მსოფლმხედველობა დგას ქრისტიანული აზროვნების განვითარების მაგისტრალურ ხაზზე და თავისი საერთო ხასიათით შეესაბამება საზოგადოებრივ-ფილოსოფიური და ლიტერატურული აზრის განვითარებას გვიანდელი შუასაუკუნეების, ანუ რენესანსის წინარე ეპოქის ევროპაში. რუსთაველის რენესანსული ელემენტი სწორედ ევროპული და ქრისტიანული ტიპისაა. ამ ელემენტს რუსთაველის პოემაში აღმოსავლური შეიძლება ეწოდოს მხოლოდ გეოგრაფიული თვალსაზრისით.

ნაშრომს ახლავს რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე. **გ. ა.**

604. ია ანთაძე**დასავლური და აღმოსავლური ცნობიერება
„ვეფხისტყაოსანში“***ქართ. ლიტ. ინსტ. სამეცნ. სესია (XXVI), თეზისები, 1996, გვ. 32.*

„ვეფხისტყაოსანი“ გადმოგვცემს მსოფლადქმისა და ცხოვრების აღმოსავლურ წესს იმ მხატვრული ფუნქციით, რომელიც მინიჭებული აქვს ინდოეთსა და მის მკვიდრს ტარიელს, ხოლო მსოფლადქმისა და ცხოვრების დასავლურ წესს წარმოგვიდგენს არაბეთისა და მისი მკვიდრის – ავთანდილის – მხატვრული ფუნქციით.

„ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული სამყაროს დარღვეული ჰარმონიის აღდგენა შესაძლებელი ხდება აღმოსავლური მისტიკისა და დასავლური ეთიკის შეერთებით, მათი ერთობლივი ძალისხმევით.

605. ვალერი ასათიანი**ანტიკური და ბიზანტიური ტრადიციები ძველ ქართულ მწერლობაში***თბ., 1996.*

წიგნის ერთი თავი ასეა დასათაურებული: რუსთველი და ანტიკურობა. პლატონური და ნეოპლატონური „ვეფხისტყაოსანში“. არისტოტელიზმის ანარეკლი „ვეფხისტყაოსანში“. ადამიანის ანტიკური იდეალის აღორძინება რენესანსულ აზროვნებაში და „ვეფხისტყაოსანში“ (გვ.142, 165).

დასახელებული პრობლემების განხილვის შედეგებს თვით ავტორი ასე აჯამებს ზოგადი დასკვნის სახით: XI-XII საუკუნეების ქართული საზოგადოებრივ-ფილოსოფიური და ლიტერატურული აზროვნების ერთი ძირითადი წყარო ხდება ანტიკური ლიტერატურა და ფილოსოფია. მასთან მიმართება თავის აპოგეას აღწევს „ვეფხისტყაოსანში“: რუსთველის პოემაში ბერძნული ლიტერატურა და ფილოსოფია თვისებრივად ახალ დონეზეა გააზრებული და გამოყენებული ... რუსთველი ელინური აზროვნების აპოლოგეტი და მისი გამგრძელებელია.

„ვეფხისტყაოსანში“ მწყობრადაა გამოვლენილი ადამიანის ანტიკური იდეალის ახლებური აღორძინება და მის საფუძველზე ახალი, ჰუმანისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების ტენდენცია.

ძველი ქართული მწერლობა კარგად იცნობს ჰომეროსის „ილიადასა“ და „ოდისეას“, თუმცა მათთან „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი ტიპოლოგიური მსგავსება არ აიხსნება ჰომეროსის შემოქმედების უშუალო გავლენით რუსთველის პოემაზე (გვ.305-307). **გ. ა.**

606. გიორგი არაბული**ლოგიკური ჰიპოთეზები***გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1996, 29.XI – 6. XII, № 48, გვ. 13.*

წერილი ეხება ა. აბჯანდაძის წიგნს „ვეფხისტყაოსანი და მისი ავტორი“ (თბ., 1994). რეცენზენტი აღნიშნავს წიგნში განხილული პრობლემების მნიშვნელობას (ესენია: ავტორის ვინაობა და გვარ-წოდება, მისი ურთიერთობა ეკლესიასთან, შოთა რუსთველის ფრესკა ჯვრის მონასტერში და მისი წარწერა, მიჯნურობის რუსთველური თეორია, პოემის შესავლის სტროფთა რიგითი თანამიმდევრობის საკითხი და სხვ.).

რეცენზენტი ა. აბჯანდაძის წიგნს საყურადღებო გამოკვლევად მიიჩნევს და მას დადებით შეფასებას აძლევს, იქვე მიუთითებს ზოგიერთ ნაკლზე, რაც შეინიშნება შოთას

მეჭურჭლეთუხუცესობის თარიღის, ჯვრის მონასტერში რუსთველის ფრესკასთან წარწერის გაკეთების მოტივისა და მისი შინაარსის კვლევაში. **ნ. გ.**

607. გაია ბენიძე

ზოგი რამ „ვეფხისტყაოსანზე“

ქურ. „განთიადი“, ქუთ. 1996, № 7-8, გვ.176-183.

სტატია იწყება „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობის შესახებ დილეტანტური წერილებისა და მოსაზრებების განქიქებით, მაგრამ კრიტიკის მთავარი სამიზნენი პროფესიონალი რუსთველოლოგები არიან. ავტორის თქმით, ყველაზე მძიმე ცოდვები ტექსტის დამდგენი კომისიის წევრებზე მოდის: „ისინი თავს უფლებას აძლევენ, არა მარტო ცალკეული სიტყვები და ფრაზები შეცვალონ ტექსტში, არამედ მთელი სტროფები და თავებიც კი ამოიღონ“ (გვ.176), (ახსენებს 1986 წ. გამოცემას).

სტატიის ავტორს უკვირს, თუ რა აქვს დასაწუნი და უარსაყოფი პოემის ადრინდელ გამოცემებში არსებულ სტროფებს: „ქედსა გარდავდეგ, ლომ-ვეფხი მოვიდეს ორგან რებულნი...“ (908); „მან უთხრა: წადით, დაკარგეთ მუნ, სადა ზღვისა ჭიპია...“ (581); „მოვიდიან შესამკობად ყოვლნი არსნი სულიერნი...“ (968).

მისი აზრით, უნდა შეიქმნას „ვეფხისტყაოსნის“ დაცვის საზოგადოება „და ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ მაქსიმალურად შეიკვეცოს ტექსტის მსწორებელთა უფლებები“ (გვ. 183). **გ. ა.**

608. ალექსანდრე გვახარია

გრძელი რეპლიკა მოკლე წერილზე

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1996, 6-13 სექტ., № 36.

ესაა პასუხი გრ. ჭინჭარაულის წერილზე „ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფის შესახებ“ (ლიტ. საქ., 1996, № 28), რომელიც ეხება ჩანართად მიჩნეულ სტროფს „მეფემან ბრძანა: „ვინ არის ...“ (84,1).

ა. გვახარია აღნიშნავს, რომ ეს სტროფი პოემის ძირითად ტექსტში შეიტანეს: ს. კაკაბაძემ (1927წ.), კ. ჭიჭინაძემ (1934წ.), ნ. ნათაძემ (1974წ.). ტექსტში მის შეტანას მოითხოვს მ. თავდიშვილი („ვეფხისტყაოსნის დაფანტული სტროფები“, 1991) და იჩემებს ამ სტროფის „აღდგენის“ პრიორიტეტს (იხ. ც. კიკვიძე, გაუგონარი მკრეხელობა, „ლიტ. საქ.“, 18. 06. 93., №25).

აღნიშნულია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემის მთავარი რედაქციის წევრებს გ. კარტოზიასა და ც. კიკვიძეს ეს სტროფი ძირითადი ტექსტის კუთვნილებად მიაჩნიათ.

ამავე წერილის ბოლოს მინაწერი ეხება ჯ. ცერცვაძის წერილს „დაუფარავი რეალობა“ („ლიტ. საქ.“, 1996, № 32 (9-12 აგვ.). **გ. ა.**

609. ოლეგ გოლიაძე

**„ვეფხისტყაოსნის“ ლიტერატურული ეტიკეტისათვის
(ტარიელი)**

ქართ. ლიტ. ინსტიტუტის სამეცნიერო სესია (XXVI), თეზისები, 1996, გვ. 35-36.

მოხსენებაში დასაბუთებული იქნება შემდეგი თეზისები:

1. „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირი ტარიელია. მისი გრძნობების, ცხოვრებისეული პერიპეტეიების გადმოცემით იკვეთება რუსთველის შემოქმედებითი მანერა, რაც შემდგომში ლიტერატურულ ნორმად, ეტიკეტად გვევლინება.

2. ტარიელი და სხვა გმირები ქმნიან თავისებურ ეთიკურ სამყაროს, რომელიც, „ვისრამიანთან“ და „ლეილმაჯუნთან“ მსგავსების მიუხედავად, ავითარებს, აყალიბებს სრულიად ახალ თვისებრიობას, რაც ქმნის რუსთველის ინდივიდუალურ პოეტურ გარემოს.

610. ბორის დარჩია

ყუთლუ-არსლანი და რუსთაველი
„დილის გაზეთი“, თბ., 1996, 7 დეკ., № 220, გვ. 11.

ავტორი აღნიშნავს, რომ 1990-92 წლებში გამოქვეყნდა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის მარიამ კარბელაშვილის ნარკვევები: „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი „ოქროს ხანის“ საქართველოს ისტორიის კონტექსტში (საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 1990, № 2), „ყოველი დამალული ...“ და სხვ. (გაზ. „მამული“, 1991, № 12; № 14; 1992, № 5). ამ ნაშრომებში მკვლევარი ამტკიცებს, რომ მეფე გიორგი III-ის მეჭურჭლეთუხუცესი, ქართული პარლამენტარიზმის იდეის ფუძემდებელი ყუთლუ-არსლანი და „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი შოთა რუსთაველი ერთი და იგივე პიროვნებაა. მ. კარბელაშვილის გამოკვლევა მთლიანად გამოქვეყნებული არაა და ჯერჯერობით არ ვიცით, დაამტკიცებს თუ ვერა ავტორი მის მიერ დაყენებულ ჰიპოთეზას. **გ. ა.**

611. ნ. ერქომაიშვილი

„რუსთაველი“, მხოლოდ „რუსთაველი“
გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1996, 13-20 სექტემბერი, გვ. 15.

ავტორი ეხმაურება ვ. კუპრავას წერილს („კრიტიკა“, 1989, №3). მისი აზრით, ვ. კუპრავას მიერ ფორმა „რუსთაველის“ ეჭვქვეშ დაყენება არაა მართებული. იგი სწორად მიიჩნევს ფორმა „რუსთაველს“ და იმოწმებს მ. ჯავახიშვილის მოსაზრებას, რომლის თანახმად, ფორმა „რუსთაველი“ ლექსის მეტრმა შემოიტანა. წერილის ავტორი ასკვნის: „გენიოსმა პოეტმა, იმისათვის, რომ არ დაერღვია თექვსმეტმარცვლიანი სალექსო ტაეპი, თავისი ფსევდონიმიდან გაწირა ერთ-ერთი ხმოვანი“. **ნ. გ.**

612. ხვთისო ზარიძე

„წვიმის საიდუმლო“, თუ გაუხსნელი მეტაფორა?
გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1996, 3-10 მაისი, № 18, გვ. 10.

ავტორი ეხმაურება მ. თავდიშვილის სტატიას (ალმანახი „ალგეთი“, 1993, № 1-2), სადაც გულანშაროდან ავთანდილის დაბრუნების დროს ხსენებული წვიმა („აგრგვინდა ცა და ღრუბელნი ცროდეს ბროლისა ცვართა“) ბუნების მოვლენად, რეალურ წვიმად არის გაგებული. ბ. ზარიძეს მიაჩნია, რომ ამ პასაჟში პირობითად გამოხატულია ავთანდილის სულიერი მდგომარეობა – ის ააღელვა ტარიელთან შეხვედრის მოახლოებამ და ატირდა სიხარულისაგან, ე. ი. რუსთაველი აქ ნამდვილ წვიმაზე კი არა, ავთანდილის სიხარულის ცრემლზე საუბრობს. **გ. ა.**

613. ხ. ზარიძე

ვეფხის ტყავის სიმბოლიკა „ვეფხისტყაოსნის“
სიუჟეტსა და კომპოზიციაში
ქართ. ლიტ. ინსტ-ის სამეცნიერო სესია (XXVI), თეზისები, 1996, გვ. 31.

1. ვეფხის სიმბოლიკა ახსნილია ორგვარად: ა) ვეფხი – ნესტანის სიმბოლო და ბ) ვეფხისტყაოსნობა, როგორც ტარიელის სულიერი მდგომარეობის გამოხატულება.
2. სხვა გაგებით ეს სიმბოლიკა დაკავშირებულია პოემის სიუჟეტურ და კომპოზიციურ წყობასთან. პოემის სიუჟეტის მიზანია: ა) ამოხსნას არაბეთში გამოჩენილი უცხო მოყმის ვინაობა; ბ) მოხსნას მისი ვეფხისტყაოსნობა, რადგან ეს ტრაგიკული ყოფაა მისთვის.

3. ტარიელის ტრაგიკული ყოფის მოხსნა იწყება ავთანდილის დაბრუნებით გულანშაროდან, – ნესტანის ამბის გაგების შემდეგ ტარიელი იხდის ვეფხის ტყავს და რაინდულად იმოსება (ე. ი. იცვლება მისი სულიერი მდგომარეობა).

614. მურმან თავდიშვილი

რუსთველოლოგიური შენიშვნები

გაზ. „ტყუილ-მართალი“, თბ., 1996, № 1-2, გვ. 6.

ავტორი მსჯელობს სტრიქონის შინაარსზე, რომელშიც ტარიელი თავის ჭაბუკობას იხსენებს: „ვბურთობდი და ვნადირობდი, ვით კატასა ვხოცდი ლომსა“ (325⁴). აქ ლომთან შეპირისპირებულია კატა (შინაური ცხოველი), რაც ვ. ნოზაძეს გაუმართლებლად მიაჩნდა, რადგან მუსლიმანურ ქვეყნებში კატა წმინდა ცხოველად იყო მიჩნეული და მის მიმართ ასე უდიერად მოქცევას რუსთაველი არ დაუშვებდაო. მისი აზრით, პოემის ავთენტიკურ ტექსტში უნდა ყოფილიყო **ყატა**, როგორც ეწოდება უდაბნოს ქათამს არაბულ ენაზე.

მ. თავდიშვილი ფიქრობს, რომ შესაძლებელია ხელნაწერებში დაცული წაკითვა (კატასა) ავტორისეული, ანუ მისი ქრისტიანული თვალსაზრისის გამოხატველი იყოს. საქმე ისაა, რომ ნეტარი ავგუსტინეს დროიდან კატა გრძნეულად, ჯადოქრად, ავსულთა საბუდრად ითვლებოდა, რის გამოც ქრისტიანულ ქვეყნებში გავრცელდა კატის სიძულვილი და მისი მოკვლა სასიკეთო საქმედ იქნა მიჩნეული.

ამავე წერილში საუბარია არაჩვეულებრივ თვისებებზე ტარიელის ცხენისა, რომელიც „ზღვათა შიგან იხვსა ჰგავს და ხმელთა ზედა შევარდენსა“. მკვლევრის აზრით, ასეთი დახასიათება ფანტასტიკის სფეროს არ განეკუთვნება. ისტორიიდან ცნობილია, რომ კარგად გაწვრთნილ ცხენებს უძნელესი დაბრკოლებების დაძლევა შეეძლოთ. **გ. ა.**

615. გურამ თევზაძე

ქართული ლექსწყობის კომპიუტერული კვლევის სათავეებთან

თბ., 1996, 122 გვ.

წიგნის რედაქტორი ნ. ნაკუდაშვილი „წინასიტყვაობაში“ წერს: ქართული ლექსის რიტმული სტრუქტურის მათემატიკური მოდელის შექმნა შესაძლებელს ხდის ვერსიფიკაციული კვლევის კომპიუტერიზაციას. წიგნის ავტორი გვთავაზობს ქართული ლექსის კომპიუტერული კვლევის ერთ-ერთ მოდელს (მანქანური ალგორითმი შედგენილია ბეისიკის საპროგრამო ენაზე).

აპ. სილაგაძისაგან განსხვავებით („ლექსმცოდნეობითი ანალიზის პრინციპების შესახებ“, 1987წ.), გურამ თევზაძე აღიარებს ქართული ლექსის რიტმულ სტრუქტურაში სამმაგი სეგმენტური სქემის არსებობას (გვ. 3).

წიგნის 75-82 გვერდებზე მოცემულია გ. ტაბიძისა და შოთა რუსთაველის სარიტმო ერთეულთა განაწილების ცხრილები. **გ. ა.**

616. მარიამ კარბელაშვილი

რუსთაველის პოემა და „ევროპოცენტრიზმის“ პრობლემა საბჭოთა პერიოდის შედარებით ლიტერატურათმცოდნეობაში

ქართ. ლიტ. ინსტ. სამეცნიერო სესია (XXVI), თეზისები, 1996, გვ. 28-29.

1. XX ს-ის 20-იან წლებში აღინიშნა, რომ „ვტ“-ს ფუძემდებლურ იდეათა თვალსაზრისით „შედარებით მახლობელი პარალელები ... დასავლეთ ევროპაში შეიძლება დაეძებნოს“ (ნ. მარი).

2. საბჭოთა პერიოდში კრიტიკის საგნად იქცა ე. წ. „ევროპოცენტრიზმი“. „ვეფხის-ტყაოსანს“ გეოგრაფიული პრინციპით განიხილავენ და მუსლიმური ირანისა და აზერბაიჯანის

სპარსულენოვანი რომანული ეპოსის ტიპს აკუთვნებენ (ვ. ჟირმუნსკი, ნ. კონრადი, ვ. შიშმარევი, ე. მელეტინსკი).

3. დადგა დრო, საბოლოოდ გადაილახოს „ვეფხისტყაოსნის“ „სპარსულობის“ უსაფუძვლო თეორია და, როგორც ქრისტიანული კულტურის ნიადაგზე აღმოცენებული ნაწარმოები, იგი განხილულ იქნეს მისთვის ბუნებრივი და ორგანული დასავლეთევროპული ტიპის ლიტერატურის კონტექსტში.

617. მ. კარბელაშვილი

„ვეფხისტყაოსანი, როგორც მეტაფორა

გაზ. „მამული“, 1996, ოქტომბერი, გვ. 3-4.

ვეფხის ტყავით შემოსილი ტარიელი უნდა წარმოვიდგინოთ ბიბლიურ კონტექსტში. ცხოველის ტყავი იყო პირველი სამოსელი, რომლითაც ღმერთმა ადამი და ევა შემოსა სამოთხიდან განდევნის წინ. ამიტომ ტყავის „კაბა“ ცოდვილი ადამიანის სამოსელია, რაც ბიბლიური სიმბოლური გააზრებით, პირველსახეა ქრისტესი, რომელმაც კაცობრიობა თავისი სიწმინდით შემოსა... ხვარაზმას შვილის მკვლელობა ის ცოდვაა, რომელიც აწამებს ტარიელს და ნესტანს. ისინი მონანიების გზით აღწევენ სულიერ აღორძინებას. ეს მთელი კაცობრიობის გზაა ცოდვის ქმნიდან და მონანიებიდან – ღვთაებრივ ყოვლისმომცველ სიყვარულამდე, როგორც რუსთაველის ჰუმანისტური იდეალი. **გ. ა.**

618. კონსტანტინე კაპანელი

შოთა რუსთაველი

ავტორის წიგნში – „ქართული სული ესთეტიკურ სახეებში“, თბ., 1996, გვ. 65-98.

ნაშრომი შედის განყოფილებაში: „ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისი.“ მისი მეოთხე თავის სათაურია: ფეოდალიზმის და კაპიტალიზმის პირვანდელი ორგანიზაცია საქართველოში, შოთა რუსთაველი.

მკვლევარი „ვეფხისტყაოსანს“ განიხილავს XII საუკუნის საქართველოს, ეგვიპტის, ირანისა და შუა აზიის ქვეყნების ეკონომიკური, პოლიტიკურ-იდეოლოგიური და კულტურული მდგომარეობისა და პროგრესული ცვლილებების ფონზე. ნარკვევის თემატიკა მონიშნულია ქვესათაურებით: სოციალური წრე; „ვეფხისტყაოსნის“ არქიტექტონიკა; რუსთაველის პოეტიკა; სიყვარული რუსთაველის გაგებით; „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულა; კლასები და სოციალური კულტურა „ვეფხისტყაოსანში“; რუსთაველის იდეოლოგია; რუსთაველი, როგორც ბრძენი და ფსიქოლოგი; რუსთაველის მეტყველება.

როგორც მკვლევარი წერს, „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი არ არის ვიწრო ნაციონალური; მთელი პოემა თავისი გმირებით და ეგზოტიკით დაძლევა ეთნოგრაფიული კარჩაკეტილობისა და პროვინციალიზმისა. გმირები ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად წარმოადგენენ ფეოდალური კულტურის, მორალისა და სილამაზის განსახიერებას.

ნაშრომი პირველად 1928 წელს გამოქვეყნდა და, როგორც ერთ-ერთ ადრინდელ რუსთაველოლოგიურ ნარკვევს, ზოგადი, მიმოხილვითი სტილი აქვს.

(ვრცლად იხ.: გ. იმედაშვილი, რუსთაველოლოგიური ლიტერატურა, 195 (№1088). **გ. ა.**

619. ზურაბ კიკნაძე

„მო, დავსხდეთ ტარიელისთვის...“

გაზ. „კავკასიონი“, 1996, 29 ივნისი, № 113; ლიტერატურული ჩანართი – „არილი“, გვ. 2.

როგორც ავტორი წერს, ტარიელის გასაჭირი მისი ბავშვობიდანვე იწყება. განსაკუთრებით ორჭოფული ხდება მისი მდგომარეობა იმის შემდეგ, რაც მამამისი თავის

სამეფოს ინდოეთის გაერთიანებულ სახელმწიფოს მიუერთებს. მკვლევრის თქმით, ტარიელის პიროვნულ ტრაგედიაში უკუფენილია ინდოეთის სამეფო კარზე მიღებული „მართალი სამართლის“ მანკიერი პოლიტიკა. ამ პოლიტიკის შედეგია მხეცქმნილი ტარიელი. მისი ხსნა, – აღდგენა დროთა კავშირისა, არაბეთიდან უნდა მოვიდეს, რადგან არაბეთი მაგალითია, ის წესრიგიანი ქვეყანაა და ჭეშმარიტების სამეფოა. ავთანდილის სიბრძნე დაიხსნის ნესტანს და აიყვანს ტარიელს კუთვნილ ტახტზე, აღუდგენს მას დავიწყებულ უფლისწულობას. გ. ა

620. რამაზ კობიძე

ერთი რუსთველოლოგიური საკითხის გამო

ქართ. ლიტ. ინსტიტუტის სამეცნიერო სესია (XXVI),
1996, თეზისები, გვ. 33-34.

ავთანდილისა და თინათინის ცხოვრების დევიზია: „რაც არა გწადდეს, იგი ქმენ.“ ისინი პირად ბედნიერებას გაურკვეველი მომავლისათვის სდებენ და ავთანდილი უცხო მოყმის სამებრად მიეშურება.

რადიკალურად საწინააღმდეგოა ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ცხოვრების დევიზი: „ჰკითხე ასსა, ჰქმენ გულისა.“

ამ ორი პოზიციის ერთიანობა ქმნის „ვეფხისტყაოსნის“ პათოსს, აპირობებს სიუჟეტის განვითარებას, ხსნის და აყალიბებს ხასიათებს.

621. ზურაბ ლავრელაშვილი

„ესე ამბავი სპარსული ...“

(„ვეფხისტყაოსანი“ და ეროვნული ეპოსი)

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1996, 23-30 აგვისტო, გვ. 5-6.

ავტორი ცდილობს გაარკვიოს, თუ რომელ კულტურას ეკუთვნის „ვეფხისტყაოსანი“, – დასავლურსა თუ აღმოსავლურს? რაგვარი მსოფლმხედველობა აისახა მასში, – ევროპული თუ სპარსული? ვინ არის პოემის ავტორი – „შმაგი მიჯნური თუ მონანიე ასკეტი?“

ავტორი კრიტიკული აზრის ცალმხრივობად მიიჩნევს იმას, რომ „რუსთველოლოგია არა მხოლოდ „ვეფხისტყაოსანს“, არამედ ქართულ ლიტერატურას მთლიანად ევროპულს უწოდებს.“

მისი აზრით, არანაირი „ევროპული“ ან „ზოგადკაცობრიული“ კულტურა არ არსებობს. რომელიმე ერს შეუძლია მიიღოს და შეისისხლხორცოს მხოლოდ სხვა ერის მიერ შექმნილი ცივილიზაცია და არა კულტურა, რადგან თავისი არსით ცივილიზაცია უსულო, უპიროვნო, კოსმოპოლიტურია, ხოლო კულტურა ღრმად პიროვნული და სულიერია. სწორედ კულტურა ქმნის საკუთარი მსოფლმხედველობის იდუმალ ენას, ბოლომდე გასაგებს მხოლოდ მისთვის, ვინც სულიერად ამ კულტურას ეკუთვნის.

ავტორის აზრით, რუსთველმა თავის მსოფლმხედველობას სპარსულ ამბავზე შეთხზულ ქმნილებაში შეასხა ხორცი, რაც „ჩვენი თავმოყვარეობისათვის მეტისმეტად მომწყვლელი აღმოჩნდა.“ ეს გულნაკლულობა ეროვნული, ქართული ეპოსის წყურვილით არის გაჩენილი.

ავტორს მიაჩნია, რომ რუსთველის პოემა, ოფიციალურ მესიანიზმის იდეასთან დაპირისპირების მიუხედავად, მაინც მთლიანად მესიანური სულისკვეთებისაა; მისი აღნაგობა, სული, მისწრაფება და მსოფლადქმა მესიანისტურია და ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება მიჯნურობის, როგორც სამყაროს უზოგადესი კოსმიური რელიგიის გაგებას. გ. ა.

622. გუბაზ მეგრელიძე

„ვეფხისტყაოსანი“ ხელოვნებაში

გაზ . „მამული“, 1996, ოქტომბერი, № 467, გვ. 6.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სასცენო წარმოდგენის პირველ ცდად მიჩნეულია მ. ზიჩის მიერ დადგმული „ცოცხალი სურათები“, რომლებიც 10 ეპიზოდს ასახავდა. 1885 წელს კომპოზიტორმა იპოლიტოვ-ივანოვმა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტზე ოპერის შექმნა დაიწყო, მაგრამ ვერ დაასრულა.

1901 წელს პეტერბურგში გამოიცა როსტომ მყინვარის ლიტერატურულ-სცენური კომპოზიცია „ვეფხის ტყავი“, 15 სურათად. მასში იყო რუათველის პორტრეტი და 5 ილუსტრაცია.

დ. არაყიშვილმა დაწერა ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“, რომელიც იდგმებოდა 1919 და 1923 წლებში. 1936 წელს კოტე მიქაბერიძემ გადაიღო ფილმი „ქაჯეთი.“ 1946 წელს მონტე-კარლოში ქორეოგრაფმა სერჟ ლიფარმა დადგა ბალეტი „შოთა რუსთაველი“.

1964 წელს უზბეკეთის დრამისა და კომედიის თეატრში დაიდგა ტურსუნ გაბიროვის სამმოქმედებიანი პიესა „სამი გოლიათი“, შექმნილი „ვეფხისტყაოსნის“ მოტივებზე.

1966 წელს ბათუმის თეატრმა გონიოს ციხის გალავანზე ღია ცის ქვეშ დადგა ფ. ხალვაშის „რუსთაველი.“ გ. ა.

623. შერმადინ ონიანი

ინდო-ხატაელთა ამბის ერთი სტროფის გარშემო

ქართ. ლიტ. ინსტიტუტის სამეცნიერო სესია (XXVI), 1996, თეზისები, გვ. 34-35.

1614-ე სტროფი: „ბრძენთა ვინმე მასწავლელმან ...“ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყენებულია იმის დასამტკიცებლად, რომ ინდო-ხატაელთა ამბავი არ ეკუთვნის შოთა რუსთაველს. ფიქრობენ, რომ ამ სტროფში ციტირებულია „ვეფხისტყაოსანი“, როგორც სხვა თხზულება (მ. მახათაძე, ა. ბარამიძე).

ეს შეხედულება უნდა უარვყოთ. სტროფში არაა ციტირებული „ვეფხისტყაოსანი“. ის რუსთველისეულია ისევე, როგორც ინდო-ხატაელთა მთელი ამბავი.

624. ქეთევან ტრაპაიძე

ძვირფას ქვათა სიმბოლიკა „ვეფხისტყაოსანში“

ქართ. ლიტ. ინსტიტუტის სამეცნიერო სესია (XXVI), 1996, თეზისები, გვ. 32-33.

I. ძვირფას ქვებს რამდენიმე ფუნქცია აქვთ: 1. ისინია საშუალება პერსონაჟთა სიმდიდრისა და გულუხვობის, სამეფო კარის ბრწყინვალეების გადმოსაცემად. 2. პატიოსანი თვლების მეშვეობით არის შექმნილი მეტაფორები პერსონაჟთა გარეგნული მშვენიერებისა და სულიერი მდგომარეობის გამოსახატავად. 3. ძვირფასი ქვები გამოიყენება მაგიური ძალის სიმბოლოდ.

II. განსხვავებული დატვირთვა აქვს მარგალიტს. მარგალიტი აღმოსავლურ მწერლობაში ეწოდება ლამაზ, მოხდენილ სიტყვას, ამბავს. „ვეფხისტყაოსანში“ მარგალიტი არის თინათინის სახის განმასახიერებელი. მისეული მარგალიტის მძივი ავთანდილისათვის „სიცოცხლის ნიშანია.“

625. ეკა ქორიძე

„ვეფხისტყაოსანი“ და ფოლკლორი

ჟურ. „ცისკარი“, 1996, № 5-6.

იხ. აქვე ანოტ. № 749.

626. ჯემალ ცერცვაძე

დაუფარავი რეალობა

(მიზნის მიღწევის ერთ-ერთი საშუალება „ვეფხისტყაოსანში“)

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1996, 9-16 აგვისტო, გვ. 11.

ავტორი თვლის, რომ პოემის ღრმა ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ-შინაარსობრივ-მხატვრული მხარეები თითქმის შეუსწავლელია, ხოლო ზოგიერთი მათგანი კი სრულიად მივიწყებული. ამიტომ თავის კვლევის ობიექტად აყენებს მიზნის მიღწევის ხერხ-საშუალებათა პრობლემას, მის რუსთველურ თვალთახედვასა და გადაწყვეტას.

ავტორის აზრით, კლასიკური, შუასაუკუნეობრივი თეზა, სანუკვარი მიზნის მიღწევა რომ ყოველგვარ საშუალებას ამართლებს, კეთილსაც და ბოროტსაც, მრავალჯერ და მრავალფეროვნადაა არეკლილი რუსთაველის პოემაში.

ავტორის შენიშვნით, არ არის საჭირო იმის დაფარვა, რომ პოემის ავტორის მიერ მიზნის მიღწევისათვის გამოყენებული და გამართლებულია ყოველგვარი ხერხი და საშუალება, იქნება ეს ტარიელის, ნესტანის, ავთანდილისა თუ პოემის სხვა დანარჩენ გმირთა ქმედებანი.

ამგვარად, „გვიანდელი ხანის ე.წ. „მაკიაველური პრინციპი“ – „მიზანი ამართლებს საშუალებას“, სრული ფორმითაა გამოყენებული ჯერ კიდევ შოთა რუსთაველის პოემაში. ჯ. ცერცვაძე ფიქრობს, რომ ამ პრობლემის ეთიკურ-ზნეობრივ ასპექტში გადატანა-განხილვა, ან ეპოქალური სამართლებრივი საბუთების კვლევა-ძიება გმირთა გამართლება-გამტყუვნების მიზნით სწორი არ არის. **ნ. მ.**

627. ლადო ჭელიძე

ისტორიული სინამდვილის ასახვა

„ვეფხისტყაოსანში“

ქართ. ლიტ. ინსტ. სამეცნიერო სესია (XXVI), თეზისები, 1996, გვ. 29-30.

1. „ვეფხისტყაოსანში“ ასახულია ის ისტორიული ეპოქა, რომელშიც დაიწერა იგი. პოემაში აისახა თამარ მეფის ცხოვრების ორი ეპიზოდი: მისი გამეფება გიორგი III-ის მიერ („ამბავი როსტევან არაბთა მეფისა“) და თამარის გათხოვება („ამბავი ტარიელისა“).

2. ინდოეთის სამეფოში მთელი სიმწვავით დგება ქალის გამეფებისა და მეფის ასულის გათხოვების პრობლემები. არაბეთთან შეპირისპირებით პრობლემების გაორებული სახით წარმოდგენა პოეტური ალეგორიის მეშვეობით სრულად ავლენს ავტორისეულ სათქმელს, შეფარვით გვიჩვენებს იმ მწვავე პოლიტიკურ სიტუაციას, რომელიც დამახასიათებელი იყო მისი ეპოქის საქართველოსთვის. **გ. ა.**

628. გრიგოლ ჭინჭარაული

„ვეფხისტყაოსნის“

ერთი სტროფის შესახებ

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1996, 12-19 ივლისი, № 28, გვ. 10.

ავტორი აყენებს საკითხს „ვეფხისტყაოსნის“ ძირითად ტექსტში აღდგენის შესახებ ერთი სტროფისა, რომელიც გამომცემელ-რედაქტორთა უმეტესობის მიერ ჩანართად არის მიჩნეული:

„მეფემან ბრძანა, ვინ არის უცხო პირად და ტანადო?
უბრძანა ერთსა მონასა: „წადი ფიცხლად და ჯანადო,
უთხარ, გიბრძანებს, ვერ გიცნობ, ჩემთა ლაშქართა თანადო,
ვინცა ხარ, მოდი წინაშე შენ ჩემად მონაყვანადო!“

ამ სტროფის შემდეგ ლოგიკური იქნება როსტევანის მონის მიმართვა უცხო მოყმისადმი: „გიბრძანებსო“ და ავტორის რემარკაც: „ესე მეფისა ბრძანება ერთხელ კვლა ჰკადრა მონამან.“

წერილის ავტორის აზრით, სადავო სტროფის შესახებ გადამწყვეტი სიტყვა რუსთველოლოგებმა უნდა თქვან.

(იხ. გამომხატურება, აქვე, ანოტ. № 608) გ. ა.

629. ლევან ჭრელაშვილი

**ასკეტიზმი და თეიმურაზ პირველის თხზულებათა
ტექსტოლოგიურ-ლიტერატურისმცოდნეობითი საკითხები**
*ქართ. ლიტ. ინსტიტუტის სამეცნ. სესია (XXVI), 1996,
თეზისები, გვ. 81-83.*

1. თეიმურაზ I-ის თხზულებათა ლექსიკონში „ლაყაფი“ განმარტებულია, როგორც „უსარგებლო საუბარი“. სულხან-საბას, თ. ბაგრატიონის და სხვათა ცნობით, იგი აღნიშნავს „მეორე სახელს“, „ქებას“, მეტსახელს, „თიკუნს“. თეიმურაზი უმეტესად ამ შინაარსით იყენებს „ლაყაფს.“

2. მკვლევრის აზრით, „ლაყაფი“ ანტიკური პერიოდის რეალიზმის შემოქმედებითი მეთოდია, რაც „სიბრძნე-სიცრუისა“-ს და რუსთველის „მეფარვით ქებით“ დაწერილ თხზულებას გულისხმობს.

3. ეს მოსაზრება ემყარება თეიმურაზის „გაზაფხულ-შემოდგომიანის“ ტექსტოლოგიურ-კომპოზიციურ და აზრობრივ ანალიზს.

630. გ. ჯავახიშვილი

რუსთაველის ორი პორტრეტი
გაზ. „მამული“, 1996, ოქტომბერი, № 467, გვ. 3.

ავტორი აღწერს შოთა რუსთაველის ორ პორტრეტს, რომლებიც საქ. ეროვნული მუზეუმის ფონდ-საცავებში ინახება. ერთ-ერთს აწერია მხატვრის გვარი **ტარიელაშვილი** და თარიღი - 1893. მეორის ავტორი უცნობია. პორტრეტები გარეგნულად ერთმანეთს წააგავს (ტიპაჟი, კომპოზიცია და სხვ.), ხოლო ორივე ჰგავს მეფე ერეკლეს ასულის თეკლას კუთვნილ ხელნაწერში ჩართულ მინიატურას.

სტატიის ავტორი ვარაუდობს, რომ აღნიშნული პორტრეტების ავტორები ხელმძღვანელობდნენ დასახელებული ხელნაწერის მინიატურის კომპოზიციური გადაწყვეტით.

გ. ა.

631. მარინე ჯაიანი

დავით ჩქოტუას რუსთველოლოგიური ძიებანი
*ქართ. ლიტ. ინსტიტუტის სამეცნიერო სესია (XXVI),
1996, თეზისები, გვ. 37-38.*

1. დ. ჩქოტუას ნაშრომს ეწოდება „რუსთაველის პოემის გმირები და მათი მსოფლმხედველობა“ (პუბლიკაცია ს. ჯანაშიასი, ქართულად თარგმნა ა. გვახარია).

დ. ჩქოტუას დასკვნით, „ვეფხისტყაოსანი“ ამჟღავნებს მემკვიდრეობით კავშირს როგორც „ამირანდარეჯანიანთან“, „ვისრამიანთან“, ისე ქართულ ხალხურ ეპოსთან. მკვლევარი მსჯელობს პოემის მხატვრული ენისა და სილამაზის კულტის რუსთველური გაგების შესახებ.

2. ნაშრომის მეორე ნაწილი „ვეფხისტყაოსნის“ გმირების მსოფლმხედველობასა და თვით ავტორის ფილოსოფიურ შეხედულებებს ეხება.

632. გიორგი არაბული

პოეტის მიზანი – ქალის ძაგება?

გაზ. „კალმასობა“, 1997, № 6, გვ. 4.

წერილი ეხება „ვეფხისტყაოსნის“ 1077-ე სტროფს: „სჯობს სიშორე დიაცისა...“ ავტორი აღნიშნავს, რომ ეს სტროფი, არაპირდაპირი გზით, პიროვნების დაუსახელებლად, ფატმანის ხასიათისა და მისი ქცევის ზნეობრივი შეფასებაა. მაგრამ, სინამდვილეში, რუსთველის მიერ აღწერილი ფატმანი, როგორც პოემის პერსონაჟი, ასეთ მკაცრ ბრალდებას არ იმსახურებს. მით უმეტეს, ეს არ შეიძლება იყოს რუსთველის ზოგადი თვალსაზრისი ქალის შესახებ.

წერილის ავტორის აზრით, სადავო სტროფში მოცემული ინფორმაცია შეუფერებელია რუსთველის მსოფლმხედველობისა და მისი პოემის ტექსტისათვის. სტროფი ზედმეტია კომპოზიციური თვალსაზრისითაც, – მისი კატეგორიული აზრი განპირობებული არაა წინასწარი რაიმე მოქმედებით, ან მსჯელობით და არც შემდგომი მოქმედებით მართლდება. ამიტომ ის ინტერპოლაციად უნდა ჩაითვალოს. **ნ. მ.**

633. მ. არეშიძე

მაჯან – ძირის ეტიმოლოგიისათვის

კრებ. „ეტიმოლოგიური ძიებანი“, VI, თბ., 1997, გვ. 20-24.

სულხან-საბას მიხედვით, **მაჯანისა** და **მაჯნას** სინონიმებია: ძაბუნი, მედადი, ექთი, ცული. **დამაჯნება**, **გამაჯნება** გვხვდება ქართული ენის დიალექტებში (ლექს., ხევს.).

მაჯანს და **მემაჯანს** დ. ჩუბინაშვილი და იუსტ. აბულაძე არაბულიდან შემოსულად თვლიან. არაბული maġan (maġana) მნიშვნელობებია: უხეშობა, უღირსებობა, უსირცხვილობა, ხუმრობა > maġġān:

1. უსირცხვილო, მოურიდებელი, 2. უფასო, სამაგიეროს გარეშე, 3. მასხარა.

არაბულიდან ნასეხებ ამ სიტყვას ქართულში გაფართოებია სემანტიკა: უხეში > ძლიერი > მომრევი, მამაბუნებელი, დამჩაგვრელი. **გ. ა.**

634. მანანა ახალკაცი

ესე ამბავი სპარსული ...

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1997, № 1-4, გვ. 49-52.

ავტორის მიზანია გაარკვიოს, „ვეფხისტყაოსნის“ ამბავში (ფაბულასა და სიუჟეტში) საამქვეყნო მიჯნურობა იგულისხმება თუ საღმრთო სიბრძნის გადმოცემა, ალეგორიულად ასახული „მიჯნურობა პირველი“, ანუ საღმრთო მიჯნურობა?

ზ. გამსახურდიას „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველებაზე“ დაყრდნობით მკვლევარი დაასკვნის, რომ პოეტი თხზულებაში აქსოვს ამსოფლიური მიჯნურობის მეშვეობით ღვთაებრივი მიჯნურობის წვდომის შესაძლებლობის აზრს, რასაც ალეგორიული მეტყველების გამოყენებით ახერხებს.

„ამბავი სპარსული“, მისი აზრით, ზოგადად უცხოურს, არაქართულს ნიშნავს და არა კონკრეტულად სპარსულ თხზულებას ან ფაბულას. **გ. ა.**

635. ალექსანდრე ბარამიძე

ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან,

IX, თბ., 1997, 394 გვ., რედ. ალ. გვახარია.

კრებულში დაბეჭდილი რუსთველოლოგიური ნაშრომებიდან ორის („ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობისთვის“ და „იძულებითი პასუხი“) ანოტაცია შეტანილია „ბიბლიოგრაფიის“ IV წიგნში (№№ 192, 361).

სხვა ნარკვევების ანოტაციები იხ. აქვე, №№ 111, 151, 190, 230, 393, 395, 636-644.

636. ალ. ბარამიძე

შალვა ღლონტი,

„ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის საკითხები“

(თბ., 1961, 517 გვ., მანქანაზე ნაბეჭდი)

წიგნში – ალ. ბარამიძე, „ნარკვევები...“, IX, თბ., 1997, გვ. 209-298.

რეცენზიაში მოცემულია შ. ღლონტის საკვალიფიკაციოდ წარდგენილი ნაშრომის განხილვა-შეფასება. აღნიშნულია, რომ გამოკვლევა ეძღვნება რუსთველოლოგიის აქტუალურ და სპეციფიკურ პრობლემას, რომელშიც შედის: ვეფხისტყაოსნის ლექსიკური შემადგენლობის საკითხი; პოემის მხატვრული ენის მასალობრივი ხასიათი; სტრუქტურულ-ფუნქციური მხარე და სხვ. ნაშრომში ცალკეა გამოყოფილი პოემაში იშვიათად ნახმარი სიტყვები.

რეცენზენტის თქმით, შ. ღლონტი მთელი შრომის მანძილზე ავლენს ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის მასალობრივად ორგანულ კავშირს რუსთველამდელი და მის დროინდელი ქართული მწერლობის ძეგლების (მათ შორის ნათარგმნის) ენასთან; ამასთან ერთად, ასაბუთებს რუსთველის მხატვრული ენის სამაგალითო ორიგინალობასა და სრულყოფილებას.

ალ. ბარამიძე გამოთქვამს რამდენიმე კრიტიკულ შენიშვნას სადისერტაციო ნაშრომში არსებულ ზოგიერთ მსჯელობასა და მოსაზრებაზე, დასკვნაში კი აღნიშნავს, რომ დისერტანტი იმსახურებს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭებას.

(რეცენზია დაწერილია 1962 წელს. პირველად დაიბეჭდა აქ დასახელებულ კრებულში, 1997წ.).

გ. ა.

637. ალ. ბარამიძე

„მთლიანი ვეფხისტყაოსნის პრობლემა“

წიგნში – ალ. ბარამიძე, „ნარკვევები...“, IX, თბ., 1997, გვ. 114-118.

წერილი ეხება შ. ნუცუბიძის მოსაზრებას „ვეფხისტყაოსნის“ ორი (ავტორისეული) რედაქციის შესახებ. ამ ვარაუდის მიხედვით, რუსთველის პოემის ძირითადი (პირველადი) ტექსტი, გამსჭვალული პანთეისტური მატერიალიზმის სულისკვეთებით, დაწერილია საქართველოში. ამის გამო დაისაჯა პოეტი და იძულებული გახდა გადახვეწილიყო სამშობლოდან. მან თავი შეაფარა იერუსალიმში ჯვრის მონასტერს. იქ პოეტს ნაწარმოებში ჩაურთავს ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი განწყობილების გამომხატველი სტროფები და დაუწერია პოემის ბოლო თავები (ინდო-ხვარაზმელთა ამბავი, გმირების ანდერძები, მათი გარდაცვალება ...).

შ. ნუცუბიძის ვარაუდით, მთლიანი, „ვეფხისტყაოსანი“ 2006 სტროფისაგან შედგება. მან თვითონ თარგმნა მიმატებული თავების ტექსტი რუსულად და „მთლიანი ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანი გადასცა ალ. ბარამიძეს სარედაქციოდ და გამოსაქვეყნებლად.

(წერილი პირველად დაიბეჭდა როგორც დანართი (ბოლოსიტყვა) წიგნისა – შ. ნუცუბიძე, შრომები, ტ. VII, რუსთაველის შემოქმედება, თბ., 1980, გვ. 569-573). გ. ა.

638. ალ. ბარამიძე

**ელგუჯა ხინთიბიძე, „მსოფლმხედველობითი პრობლემები
ვეფხისტყაოსნის მხატვრულ სისტემაში“**

(*თბ., 1970, 475 გვ., მანქანაზე ნაბეჭდი წიგნში – ალ. ბარამიძე, „ნარკვევები ...“
IX, თბ., 1997, გვ. 344-346.*)

რეცენზენტი აღნიშნავს, რომ ე. ხინთიბიძის მონოგრაფია სოლიდური მეცნიერული გამოკვლევაა. იგი საყურადღებო წვლილია როგორც ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში, ისე რუსთველოლოგიაში. ავტორი დაკვირვებით იკვლევს „ვეფხისტყაოსნის“ რიგ რთულსა და სადავოდ ქვეულ ტექსტოლოგიურ საკითხებს, აგრეთვე მიზნად ისახავს გაარკვიოს რუსთველის ძირითადი მსოფლმხედველობრივი პრობლემები. ე. ხინთიბიძე ასაბუთებს, რომ რუსთველი ავითარებს და აღრმავებს XI-XII საუკუნეების მოწინავე ქართული აზროვნების ტრადიციებს.

რეცენზენტის აზრით, ე. ხინთიბიძის ძირითადი დებულება ისაა, რომ რუსთველის თხზულებაში გარკვევით იგრძნობა არისტოტელეს ეთიკისა და ქრისტიანული მორალის თავისებური სინთეზი. რენესანსული განწყობილება განსაზღვრავს რუსთველური სიყვარულის ბუნებასა და ხასიათს, რომელიც არსებითად განსხვავდება შუა საუკუნეთა ევროპული რაინდული სიყვარულის რეგლამენტირებული პირობითობისაგან.

რეცენზენტს მიაჩნია, რომ დისერტანტი აჭარბებს ასტროლოგიური ცოდნის მეცნიერული მნიშვნელობის შეფასებაში, აგრეთვე – არისტოტელური ნაკადის თაობაზე რუსთველის აზროვნებაში. **გ. ა.**

639. ალ. ბარამიძე

ვახტანგ კუპრავა,

„დიდი მგოსნის აღსარება და მისი თარგმანები“

(*რუსთველოლოგიური მიგბანი, თბ., 1984, მანქანაზე ნაბეჭდი 159 გვ.)
წიგნში – ალ. ბარამიძე, „ნარკვევები ...“, IX, თბ., 1997, გვ. 199 - 208.*)

ესაა წინასწარი რეცენზია გამოსაცემად წარდგენილი ვ. კუპრავას წიგნისა, რომლის თემატიკა ქვესათაურებში ასეა მოცემული: 1. ვინ არის ტარიელი? 2. „ვეფხისტყაოსანი“ არის სიყვარულის ეპოპეა. 3. დიდი მგოსნის აღსარება და მისი თარგმანები. 4. რას ევედრება ღმერთს რუსთველი? 5. „ესე ამბავი სპარსული“. 6. როგორ უნდა განიმარტოს და ითარგმნოს სათაური – „ვეფხისტყაოსანი“? 7. ვის ეტრფის რუსთველი და გვიმხელს თუ არა იგი თავის ვინაობას? 8. „ხელმან ვარდი რად იხელთა ...“

რეცენზენტის აზრით, წიგნის ჟანრი მთლად ნათელი არაა. თვით ავტორის თქმით, „წიგნი მეტწილად მეცნიერული კვლევა-ძიების, ხან კიდევ ლიტერატურული ნარკვევის სახით გამოხატავს ავტორის შეხედულებებსა და გულისტკივილს იმის გამო, რომ არაქართველ მკითხველთა ფართო წრემ „ვეფხისტყაოსანი“ გაიცნო ფრიად დაქვეითებული პოეტური ფორმით და ნირშეცვლილი შინაარსით“.

ვ. კუპრავა არ უთითებს მის მიერ გამოყენებულ წყაროებს, არ ასახელებს და არ იმიწმებს არც ერთ ქართველ მკვლევარს. ასე გამოდის, თითქოს მისი აღმოჩენა იყოს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ სიყვარულის ეპოპეაა. მცდარია მისი მოსაზრება, რომ რუსთველის სამიჯნურო მრწამსი „იყო უძლიერესი მეხის გავარდნა ქრისტიანობის ცაზე“. ვ. კუპრავას მთავარი მიზანია, შეამოწმოს რუსულ და გერმანულ ენებზე არსებული „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანების რაობა. თარგმანების ტექსტებს იგი უდარებს ამ ტექსტების მისეულ გაგება-გაზრებას და დასკვნებიც ამის მიხედვით გამოაქვს. ტექსტის კუპრავასეული გაგება კი ხშირად სადავოა და ზოგჯერ – მიუღებელიც.

რეცენზენტის დასკვნით, ვ. კუპრავას წიგნის გამოცემის საკითხი უნდა გადაწყდეს გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინების კვალობაზე. **გ. ა.**

640. ალ. ბარამიძე

დიმიტრი ბენაშვილის მონოგრაფიის გამო

წიგნში – „ნარკვევები ...“, IX, თბ., 1997, გვ. 208 - 209.

ავტორი აღნიშნავს, რომ დ. ბენაშვილმა ნაშრომი „სახისა და ხასიათის პრობლემა ვეფხისტყაოსანში“ 1952 წელს წარადგინა საკვალიფიკაციოდ (სადოქტოროდ). რეცენზენტებად გამოყვეს კ. კველიძე და ალ. ბარამიძე. ორივემ უარყოფითად შეაფასა იგი, როგორც სადისერტაციო ნაშრომი, რადგან დ. ბენაშვილი აყენებდა, მაგრამ ვერ ასაბუთებდა თავის კონცეფციას „ვეფხისტყაოსანზე“. მან ხელი აიღო დისერტაციის დაცვაზე, ოღონდ ითხოვა მისი ბეჭდურად გამოქვეყნება. „სახელგამმა“ ალ. ბარამიძეს სთხოვა წიგნის რედაქტორობა. იგი დათანხმდა, „რადგან დამაკმაყოფილებლად თვლიდა მის საერთო სამეცნიერო-ლიტერატურულ დონეს“. **გ. ა.**

641. ალ. ბარამიძე

აკაკი შანიძე – რუსთველოლოგი

წიგნში – „ნარკვევები ...“, IX, თბ., 1997, გვ. 145 - 152.

როგორც ავტორი წერს, აკაკი შანიძე გამოჩენილი რუსთველოლოგი. იგი, უწინარეს ყოვლისა სწავლობდა რუსთველის პოემის ენისა და ტექსტის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. ა. შანიძემ გარკვია „ვეფხისტყაოსნის“ პირველი, 1712 წლის, ბეჭდური გამოცემის რაობა, მისი წყაროების საკითხი, მოამზადა მისი ახალი გამოცემა და სათანადო გამოკვლევისა და კომენტარების დართვით დაბეჭდა 1937 წელს.

რუსთველოლოგიური ლიტერატურის მნიშვნელოვანი შენაძენია ა. შანიძის ხელმძღვანელობით მომზადებული „ვეფხისტყაოსნის სიმფონია“ (1956 წ.) და ნარკვევების კრებული – „ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხები“ (1966 წ.). უაღრესად დიდია ა. შანიძის წვლილი „ვეფხისტყაოსნის“ 1966 წლის მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემის მომზადებაში. პოემის ძირითად ტექსტს დართული აქვს ვარიანტული წაკითხვები ხელნაწერებიდან და ბეჭდური გამოცემებიდან. **გ. ა.**

642. ალ. ბარამიძე

ბორის დარჩია, ვეფხისტყაოსნის რედაქციები

და მათი ურთიერთმიმართება

„ხვარაზმელთა ამბის“ მიხედვით

(ხელმძღვანელის მოკლე დასკვნა)

წიგნში – „ნარკვევები ...“, IX, თბ., 1997, გვ. 350 - 351.

ავტორის აზრით, ბ. დარჩიამ დაადგინა, რომ „ხვარაზმელთა ამბის“ შემცველი ხელნაწერთა რედაქციული ჯგუფები არსებითად ეთანხმება თვითონ ვეფხისტყაოსნის ძირითადი ამბის ხელნაწერთა რედაქციული ჯგუფების ნაირსახეობას. მან დაასაბუთა, რომ „ხვარაზმელთა ამბის“ AB რედაქციული ჯგუფით შემონახული ვრცელი ტექსტი პირველადია, ხოლო D რედაქციის ნუსხეებში არსებული უფრო მოკლე, და ამბის განვითარების მხრივ უკეთ გამართული ტექსტი რედაქციული გადაკეთების შედეგია და წარმოშობით მეორეა.

საერთოდ, ბ. დარჩიას ნაშრომი საყურადღებო ტექსტოლოგიური გამოკვლევაა. (დასკვნა დაწერილია 1967 წელს). **გ. ა.**

643. ალ. ბარამიძე

**ერთი რუსთველოლოგიური ნაშრომის
რუსული ვარიანტის გამოქვეყნების გამო**
წიგნში – „ნარკვევები“, IX, თბ., 1997, გვ. 165 – 172.

ავტორი აღნიშნავს, რომ მწერალ თამაზ ჭილაძის ნარკვევი „ვარდის ფურცლობის ნიშანი“ 1986 წელს შემოკლებულად დაიბეჭდა რუსულ ენაზე („Лит. Грузия, № 7,8), ხოლო სრული თარგმანი დაიბეჭდა მწერლის თხზულებების II ტომში (თბ., 1987) და იმავე წელს – მოსკოვშიც. რუსულ თარგმანში ამ ნაშრომს **ესე** ეწოდება.

როგორც რეცენზენტი წერს, თ. ჭილაძეს გაუთვალისწინებია მისი ნარკვევის ქართული გამოცემის მიმართ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები და ზოგიერთი მცდარი მოსაზრება და დებულება აღარ შეუტანია რუსულ თარგმანში, მაგრამ სადაო და საკამათო მაინც ბევრი რამ არის.

იხ. აქვე ანოტ.: № 110. **გ. ა.**

644. ალ. ბარამიძე

ვენორი ქვაჩახიას მონოგრაფიის გამო
წიგნში – „ნარკვევები ...“, IX, თბ., 1997, გვ. 192 -198.

ესაა რეცენზია ვ. ქვაჩახიას ნაშრომზე „ვეფხისტყაოსნის“ სადუმლო ანუ ანდერძი რუსთაველისა“ (281 გვ., 1980 წ.). რეცენზენტი აღნიშნავს, რომ, ვ. ქვაჩახიას მოსაზრებით, ვეფხისტყაოსანი „დაშიფრული“ მხატვრული ძეგლია, რომელშიც „გასაიდუმლოებული“ შინაარსია ჩაქსოვილი. ეს „საიდუმლო“ ისაა, რომ ფარსადანის სამეფო კარი (მისი ოჯახი) ზოროტების ბუდეა. ინდოეთის სამეფო კარის ამბებში კი „შეფარვით“ თამარ მეფის ისტორიაც არის გამოვლენილი ... მინიშნებელია თამარის გათხოვების გარემოება; ნესტანის თავგადასავალში არეკლილია „თამარის პოეტიზირებული სახე“.

რეცენზენტის დასკვნით, ვ. ქვაჩახია დამარწმუნებლად ვერ ასაბუთებს კონცეფციას „ვეფხისტყაოსნის“ დაშიფრვის თაობაზე. ამის მიუხედავად შესაძლებლად მიაჩნია მისი ნაშრომის ბეჭდური სახით გამოქვეყნება. **გ. ა.**

645. [თ. ბარბაქაძე]

„ვეფხისტყაოსანი“ მოსწავლეთათვის
წიგნი შეადგინა და წინასიტყვაობა დაურთო ვილოლ. მეცნ. კანდიდატმა
თამარ ბარბაქაძემ თბ., 1997, 192 გვ.

შემდგენელი წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რომ წიგნი წარმოადგენს „ვეფხისტყაოსნის“ თხრობით ვარიანტს, რომელიც დაწერილია ნ. ნათაძის სასკოლო გამოცემაზე დაყრდნობით. იგი ცდილობს გადმოსცეს რუსთაველის პოემის ადექვატური შინაარსი თანამედროვე სალიტერატურო ენითა და სტილით.

წიგნში „შესავლის“ (პროლოგის) გარდა არის 63 სათაური და „დასასრული“, ადგილ-ადგილ მოტანილია რუსთაველის სტროფებიც, თანდართული „თარგმანებით“. **გ. ა.**

646. ეთერ ბასილაშვილი

„მარგალიტი წყობილი“
გაზ. „კალმასობა“, 1997, № 11, გვ. 3; № 12, გვ. 5.

წერილის ავტორის მიზანია, წარმოაჩინოს: ზმები, აკროსტიქ-მეზოსტიქები და კრიპტოგრამები, რომლებიც, მისი აზრით, არსებობს „ვეფხისტყაოსანში“ და რომელთა

არსებობაც ამტკიცებს, რომ პოემაში შეფარვით არის თქმული თამარ მეფისა და დავით სოსლანის ამბავი.

მკვლევარს მოჰყავს სტრიქონები, რომლებშიც იგი ამოიკითხავს ზმაში შეფარულ თამარ მეფისა და დავით სოსლანის სახელებს (თამარი: „ცრემლსა ვი-თა მარ-გალიტსა“, 159; 1433,4 „ცეცხლი-თა მარ-თ ახალითა“; დავით: „შავი ცხენი სა-დავით-ა ჰყვა ლომსა და ვით-ა გმირსა“, „გონება და ანუ ენა გამოთქმი-და ვით-ა ვისი“, 841. ნ. გ.

647. როლანდ ბერიძე

„ჩემი აწ ცანით ყველამან“

გაზ. „კალმასობა“, 1997, 3-17 ივნისი, № 1.

მკვლევარი ეხება „ვეფხისტყაოსნის“ მე-19 სტროფის დასაწყისს „ჩემი აწ ცანით ყოველმან“ (როგორც იბეჭდება გამოცემაში). აღნიშნავს, რომ ხელნაწერში იკითხება „ყუელამან“ ან ყველამან“. შეცდომა მომდინარეობს „ვეფხისტყაოსნის“ 1712 და 1841 წლების გამოცემებიდან. ვახტანგის გამოცემაში დაბეჭდილია „ყოველმან“, რაც კორექტურული შეცდომა უნდა იყოს. ბროსეს გამოცემაში გაასწორეს ასე: ყოველმან, რაც დამკვიდრდა შემდგომ გამოცემებში.

აუცილებელია მიღებულ იქნას ხელნაწერების წაკითხვა ყწელამან. „ყველაი“ (ყუელაი) და „ყუელაკაი“ ბუნებრივი ფორმაა „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ეპოქის ქართული ენისათვის.

გ. ა.

648. რ. ბერიძე

რას უნდა ნიშნავდეს „ვის ალი“?

გაზ. „კალმასობა“, 1997, № 5, გვ. 2-3.

წერილი ეხება „ვეფხისტყაოსნის“ 1292-ე სტროფის ერთი სტრიქონის პუნქტუაციასა და შინაარსის გაგებას: „მისმანვე ცრემლმან დაუვსის, ვის ედებოდა, ვის, ალი“. მეორე „ვის“ მიჩნეულია ნაცვალსახელის გამეორებად და ამიტომ გამოყოფილია მძიმეებით; შინაარსი: ვისაც (ტანჯვის) ალი ედებოდა, მას ამ ალს მისივე ცრემლი უქრობდა (ნ. ნათაძე, 1974, გვ. 414).

მკვლევარი ფიქრობს, რომ მეორე „ვის“ ნაზმნარი არსებითი სახელია ნათესაობით ბრუნვაში, მისი ფუძეა „ვა“ (= ვამ, ვაება). ნახევარტაეპის აზრი იქნება: „ვისაც ედებოდა ვაების ალი“. აქვე, „ედებოდა“-ს ნაცვლად უნდა დაიბეჭდოს ხელნაწერების ვარიანტული წაკითხვა „ედებოდის“, რაც სტრიქონის ალიტერაციულ ფონს აძლიერებს. სტრიქონი ასე უნდა გაიმართოს: „მისმანვე ცრემლმან დაუვსის, ვის ედებოდის ვის ალი“. გ. ა.

649. რ. ბერიძე

„ამბავი სამი მეაბჯრისა“

გაზ. „კალმასობა“, 1997, № 10, გვ. 5.

წერილის ავტორის მიზანია დაადგინოს „ვეფხისტყაოსნის“ მე-200 სტროფის პირველი ტაეპი – „ჩვენ ვიახლენით სამთავე სამნივე მეაბჯრენია“. იგი „ვეფხისტყაოსნის“ ნუსხეებში შემონახულ ნაირკითხვათა და კონიექტურათა შორის მისაღებად თვლის წაკითხვას – „სამნი მეაბჯარენია“. ნ. გ.

650. ზაურ ბიძინაშვილი

სიმართლე რუსთველისა და თამარ მეფის შესახებ

საგამომცემლო ფირმა „ხატი“, 1997, 201 გვ., რედაქტორი გიორგი მელუავა.

ავტორისეული ანოტაცია: წინამდებარე წიგნში საუბარია იმის შესახებ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ არც ერთი სტროფი, სათაურიდან მოყოლებული, დღემდე არ არის

წაკითხული. ავტორი ამტკიცებს, რომ წიგნის სათაურია „ვეფხის ტყაოსანი“, ე.ი. იგი იწერება ცალ-ცალკე და აღნიშნავს ორ გმირს – ტარიელსა და ნესტან-დარეჯანს; „ვეფხისტყაოსანი“ კი ერთი ცალკე მდგომი გმირი – ტარიელია. გაანალიზებ ითიმავე წყაროებისა, რომლებსაც რუსთველოლოგია იყენებს, ავტორი ამტკიცებს, რომ რუსთველი არ არის თამარის თანამედროვე შემოქმედი და აქედან გამომდინარე, უსაფუძვლოა მისი, როგორც თამარის სამეფო ხელისუფლების მეჭურჭლეთუხუცესის არსებობა.

მკითხველი დარწმუნდება, რომ თვითმყოფად ქართულ სამეფო კარს, იქ ირანელთა გაბატონებამდე, მითუმეტეს თავისი ძლიერების აპოგეაში – თამარის მეფობის დროს არ ჰყოლია არავითარი კარის პოეტები. ამდენად, უსაფუძვლოა რუსთველის მიჩნევა თამარის კარის პოეტად და მის მიერ მეფეთა განსადიდებლად ქება-ხოტბათა თხზვის მტკიცება. „ვეფხისტყაოსანი“ საკრალური ნაწარმოებია, იგი არის „შაირის“ ფორმით გამოთქმული იგავი, „შაირი“ კი არის იგავთპოეზია.

წიგნი რვა თავისაგან შედგება. I თავში – **რა არის „სპარსული“ და რა არის „ქართული“ „ვეფხისტყაოსანში“** (გვ. 3-30) – ავტორი ამტკიცებს, რომ „სპარსი“ და „სპარსული“ სულაც არ არის მაინცა და მაინც ირანული, როგორც ამას რუსთველოლოგები ფიქრობენ. „სპარსი“ ქართული ისტორიული წყაროებით ნიშნავს წარმართს, არაქრისტიანს, ასეთი შინაარსი აქვს ამ ტერმინს „ვეფხისტყაოსანშიც“ (გვ. 8). ... ხოლო „ქართული“ არის „სპარსულის“ საწინააღმდეგო, ანუ ქრისტიანული (გვ. 13). „შაირობა“, რუსთველური მცნებით, არის იგავური აღმსარებლობითი მეტყველების გალექსილი, მხატვრული ფორმა, მხატვრული ხერხი (გვ.27).

II თავში – **„რუსთველი და ვინმე მესხი“** (გვ. 31-59) – ავტორი წერს, რომ რუსთველოლოგები ამაოდ ამტკიცებენ რუსთველის მესხურ წარმომავლობას; ეპილოგის ტაეპში ფრაზა „რუსთველისა დამისა“ არ ნიშნავს რუსთველის გვარს (სახელს) ან რუსთველის თემს; უნდა წავიკითხოთ: „რუსთველისა და მისა“, ინტერპოლატორი ამბობს: „ვწერ ვინმე მელექსე, მე, მიწა ცუდი რუსთველისა და ღმრთისა“ (გვ. 53).

III თავში – **დავით სოსლანის აღმოჩენა „ვეფხისტყაოსანში“** (გვ. 61-73) – ავტორი მსჯელობს იმაზე, რომ უსაფუძვლოა პროლოგის მე-3 სტროფის „ლომში“ იგულისხმებოდეს დავით სოსლანი, ხოლო ეპილოგის სტროფში „დავითის ქნანი ვითა ვთქვენე ...“ უნდა წავიკითხოთ: „დავითის ქნარი“ (როგორც ზოგიერთ ხელნაწერსა და გამოცემაშია). აქ ბიბლიური მეფე დავითი იგულისხმება.

IV თავი – **თამარის მეჭურჭლეთუხუცესები და რუსთველი** (გვ. 74-102) – ეძღვნება იმის მტკიცებას, რომ 1190-იანი წლებიდან 1245 წლამდე მეჭურჭლეთუხუცესის სახელს მფლობელი იყო ყვარყვარე ჯაყელი.

V თავში – **„საბუთები“ რუსთველის დაბადებისათვის** (გვ. 103-110) – ავტორი ამტკიცებს: როგორც თამარის, ასევე რუსთველის დაბადების წლებიც რუსთველოლოგიურ მეცნიერებას დათარიღებული აქვს თვითმიზნური გათვლებით და იგი შესაძლებელ რეალობას არ შეესაბამება.

VI თავში – **ჯვრის მონასტრის აღდგენა მიზგიითიდან** (გვ. 111-144) – მკვლევარი ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებით განიხილავს მონასტრის მხატვრობას და დაასკვნის: „იერუსალიმის ჯვრის ქართული მონასტრის არც ერთი ფენის მხატვრობა და არც ერთი დეტალიც კი არ შეიძლება შესრულებული იყოს XIV ს-ის დასაწყისზე ადრე“.

VII თავში – **შავთელი, ჩახრუხამე, თმოგველი და რუსთველი** (გვ. 145-151) – ავტორი აღნიშნავს, რომ „აბდულმესიას“ და „თამარიანში“ თამარ მეფე გარდაცვლილად მოიხსენიება. რუსთველი კი მათი შემდგომი დროის მოღვაწეა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქრისტიანული რჯულით იკრძალება ცოცხალთათვის ოდა-ქებათა შესხმა. ამის საფუძველზე ავტორი დაასკვნის, რომ „არავითარი კარის პოეტები, მეხოტბეები, ქართველ მეფეებს არ ჰყოლიათ“ (გვ. 150).

VIII თავში – **რას მეტყველებენ „ვეფხისტყაოსნის“ მე-3 და მე-4 სტროფები** (გვ. 152-200) – ავტორი ამტკიცებს, რომ ცნებები: „ლომი“, „შუბი“, „ფარი“, „შიშმერი“, საკრალური მნიშვნელობის სიმბოლოებია, მე-4 სტროფში კი გამოთქმულია თამარ მეფის სიკვდილით გამოწვეული დიდი სინანული. გ. ა.

651. ზ. ბიძინაშვილი

გადატრიალება რუსთველოლოგიაში

გაზ. „პერსონა“, 1997, № 1,2; 1998, №1.

წერილებში წარმოდგენილია ადგილები ავტორის წიგნიდან „სიმართლე რუსთველისა და თამარ მეფის შესახებ“, თბ., 1997. წერილების სათაური და ქვესათაურები („რუსთველს თვალითაც არ უნახავს თამარ მეფე“, „ვეფხის ტყაოსნის“ არც ერთი სტროფი წაკითხული არ არის“) თავისთავად მეტყველებს ავტორის დიდ ამბიციურობასა და პრეტენზიაზე, მართლაც „გადატრიალება“ მოახდინოს რუსთველოლოგიაში, მას მიაჩნია, რომ ლიტერატურის ისტორიკოსების მიერ არასწორად არის გაგებული რუსთველის ვინაობა და მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა. როგორც ზ. ბიძინაშვილი წერს, „რუსთველი არ არის თამარის თანამედროვე შემოქმედი და, აქედან გამომდინარე, უსაფუძვლოა მისი, როგორც თამარის სამეფო ხელისუფლების მეჭურჭლეთუხუცესის არსებობა.

პოემის მე-8 სტროფის წაკითხვაში: „მე, რუსთველი ხელობითა ...“ „ხელობა“ ნიშნავს არა შმაგობას ან გიჟობას, არამედ თანამდებობას, ძველი ორთოგრაფიით – ჯელობას („პერსონა“, 1997, № 1).

ავტორი არ ეთანხმება რუსთველოლოგების აზრს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ სამიჯნურო-საგმირო პოემა და მე-9 სტროფში ნახმარი ტერმინის „სპარსულის“ საკუთარი ინტერპრეტაციით ცდილობს ამ თხზულების ჟანრის დადგენას. აღნიშნავს, რომ „სპარსი“ და „სპარსული“ ნიშნავს „არა მხოლოდ ირანელს, არამედ წარმართს და წარმართულს, ხორციელი ცხოვრების მოტრფიალეს, მიწიერი ყოფის ტრფიალს“, ხოლო „ქართული“ ნიშნავს ქრისტიანულს. „ვეფხისტყაოსანი“ ალეგორიული ჟანრის ნაწარმოები, ანუ იგავია. პოემაში იგავი გადმოცემულია შაირის ფორმით; შაირი არის გალექსილი ღვთაებრივი შეგონების იგავი, სადაც სურათები დახატულია საერო ცხოვრებიდან, ანუ ცხოვრებისეულ სურათებში ძვეს ღვთაებრივი შთაგონება“ („პერსონა“, 1997, № 2).

რუსთველოლოგების მტკიცებით, რუსთველი დაბადებულია XII ს-ის 60 ან 70-იან წლებში. 1192-93 წლებში კი ის თამარ მეფეს გაუგზავნია იერუსალიმში ჯვრის მონასტრის რესტავრაციისათვის. ამ დროს რუსთველი 23-25 წლის ჭაბუკი იქნებოდა. ფრესკაზე კი ის ღრმად მოხუცებული ჩანს. ავტორის აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ დაიწერა მაშინ, როცა თამარის ეპოქა უკვე ისტორიულ წარსულად იყო ქცეული“ („პერსონა“, 1998, № 1). გ. ა.

652. თინათინ ბოლქვაძე

პოეტური პარალელიზმი „ვეფხისტყაოსანში“

თბ., 1997, 146 გვ.

ანოტაციაში აღნიშნულია, რომ წიგნი თავისი თეორიული მიზანდასახულობითა და შინაარსით მხატვრული ტექსტის ანალიზის ურთულეს ასპექტებს წარმოაჩენს. თემა ღრმა და მრავლისმომცველია, იგი სწვდება უფართოეს პრობლემებს, თეორიულით დაწყებული და ტექსტოლოგიური თუ მთარგმნელობითი საკითხებით დამთავრებული.

წიგნის შინაარსი ასეთია: შესავალი – ენის პოეტური ფუნქციის შესახებ (გვ. 10-16). საკითხის შესწავლის ისტორია (გვ. 17-26).

I ნაწილი, თავი I – ლექსიკური პარალელიზმი „ვეფხისტყაოსანში“ (სემანტიკა და სტრუქტურა; სიტყვათველი და პოეტური გრადაცია; სინონიმური რიგი და გამეორება (გვ. 27-50).

თავი II – უცხო სიტყვის შემცველი სინონიმური წყვილები პოემაში (გვ. 51-65).

თავი III – კონტრასტული პარალელიზმი (გვ. 66-73).

II ნაწილი, თავი I – ფრაზეოლოგიური გავრცობა (გვ. 74-83).

თავი II – სტროფი როგორც მეტყველების ფუნქციური ნაწილი (გვ. 84-92).

თავი III – რუსთველის პოეტური თეორია და ეთოსის საკითხი „ვეფხისტყაოსანში“ (გვ. 93-101).

დანართი – პარალელიზმი როგორც პოეტური მოდელი (გვ. 102-113).

წიგნს ახლავს რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე (გვ. 114-119), დამოწმებული ლიტერატურის სია (გვ. 120-131), სიტყვათა (ტერმინთა), პირთა და საგნობრივი საძიებლები (გვ. 132-143). **გ. ა.**

653. თ. ბოლქვაძე

კონტრასტული პარალელიზმი „ვეფხისტყაოსანში“

თსუ ფილოლოგიის ფაკ. ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები, თბ., 1997, გვ. 71-78.

ავტორი აღნიშნავს, რომ კონტრასტულ პარალელიზმს „ვეფხისტყაოსანში“ **არ** – ნაწილაკიანი კონსტრუქცია ქმნის (ამ ნაწილაკს პოემაში სხვა ფუნქციაც აქვს). მაგალითები:

„სხვასა მხარსა გაემართა, მათი ჭირი არ განკურნა“ (94);

„უბრძანა; „მახლავ რად არა, რად მელი მოყვანებასა“ (106);

„ახლოს დამისვა, მალღრსა აქამდის არღირსებული“ (541).

კონტ. პარალელიზმის მეორე სახეში სტრიქონის ერთ ნაწილში დადებითი ფორმით გამოთქმული აზრი მეორე ნაწილში უარყოფითი ფორმით გადმოიცემა, მაგ.:

„მაგრა რათგან დამარჩინე, არ გამოსჩნდი ჩემად მკლველად“ (418);

„ამით უფრო დამაწყულულა, არა წყულულთა მიაქიმდა“ (522);

„იგი სახლი გაანათლეს, არ ნათელი შეაღამეს“ (1540).

654. გუსტავო დე ლა ბოტარო

„ვეფხისტყაოსანი“ და მისი მკვლევარი

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1997, № 9, 28 თებ.-7 მარტი., გვ. 23.

ნარკვევი წრმოადგენს ვიქტორ ნოზაძის წიგნის „ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება“ (1957, სანტიაგო დე ჩილე) წინასიტყვაობას. (ესპანურიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ). თვით გ. დე ლა ბოტარომ (ჩილელი მწერალი და მეცნიერი) ესპანურად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“. ავტორი აღნიშნავს ვ. ნოზაძის წიგნის ღირსებებს, შემდეგ მოკლედ ეხება „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემებს და წერს: ეს პოემა „ნამდვილი სარაინდო რომანია“, რომ იგი მნიშვნელოვანი ცდაა აღმოსავლეთის დასავლეთთან შერწყმისა... „წარმოსახვის სიდიადე და პოეტური მომხიბლველობა, სპარსული ზღაპრის ფანტაზიასთან შერწყმული, პოემის ტექსტს ამსგავსებენ ზღაპრულ ხალიჩას, სადაც ერთმანეთს ეწვნიან უნატიფესი ნაყმები“. **გ. ა.**

655. შალვა გაბესკირია

ვეფხისტყაოსნის ლექსიკიდან

კრებ. „ეტიმოლოგიური ძიებანი“, VI, თბ., 1997, გვ. 58-71.

ავტორი ეხება სიტყვა **ბარგის** მნიშვნელობას. მას თვლის სპარსული barg-ისა და თურქული bark-ის კონტამინაციის შედეგად მიღებულად. ავტორის აზრით „ვეფხისტყაოსანში“ საქონლის, ტვირთის გარდა ეს სიტყვა ადამიანებსაც (მხლებლებს, მსახურებს) გულისხმობს. აქედან გამომდინარე, **არ – ბარგოსანი** (1355) უნდა ნიშნავდეს: მარტო, ვინმეს გარეშე.

მკვლევარი ეხება აგრეთვე 1058-ის წაკითხვას: „**მე სავაჭროსა დავიწყებ, ჩავიცვამ ჯუბაჩობასა**“. აჩვენებს, რომ **ჯუბაჩობა** არის ხელობა, ტანსაცმლის ოსტატობა, ან ტანსაცმლით ვაჭრობა, ამიტომ მიუღებელია შესიტყვება „ჩავიცვამ ჯუბაჩობასა“ და უნდა აღდგეს ხელნაწერთა უმრავლესობაში დაცული წაკითხვა: „**მე სავაჭროსა ჩავიცვამ, დავიწყებ ჯუბაჩობასა**“. **გ. ა.**

656. ალექსანდრე გვახარია

კიდევ ერთხელ „ნაზარდი სოსანის“ გამო

გაზ. „კალმასობა“, 1997, 30 დეკ., № 13, გვ. 4.

ალ. გვახარია ეხმაურება გაზ. „კალმასობის“ ფურცლებზე (№ 7, 1997, გვ. 5) მურად მთვარელიძის გამოქვეყნებულ წერილს – „იგი ნაზარდი სოსანი“. იგი იზიარებს მ. მთვარელიძის აზრს, რომ „სოსანი“ „ვეფხისტყაოსანში“ ხის მნიშვნელობით უნდა იქნეს გაგებული და შენიშნავს, რომ თავად მას აქვს გამოთქმული ანალოგიური აზრი ათი წლის წინ გამოქვეყნებულ წერილში – „ლექსიკოლოგიური ძიებანი“ (საიუბილეო კრებული – „აკაკი შანიძე – 100“, თბ., 1987, გვ. 192).

ნ. გ.

657. ნიკო გოგოჭური

„ვეფხისტყაოსნის“ სასკოლო გამოცემის

მართებულად განმარტებისათვის

„საქართველოს მოამბე“, წმ. ილია მართლის (ჭავჭავაძის) სახელობის
სალიტერატურო ჟურნალი, 1997, № 2, გვ. 115-128.

ავტორმა 1988 წელს („კრიტიკა“, № 3) დაბეჭდა შენიშვნები „ვეფხისტყაოსნის“ სასკოლო გამოცემის (1986 წ.) განმარტებების შესახებ. რედაქტორმა – ნ. ნათამეძე საპასუხო წერილში („კრიტიკა“, 1988, № 5) კრიტიკოსის შენიშვნები და მოსაზრებები უსაფუძვლოდ მიიჩნია და „ვეფხისტყაოსნის“ შემდგომ გამოცემებში იგივე განმარტებები დაბეჭდა.

წინამდებარე წერილში ნ. გოგოჭური ცდილობს თავისი თვალსაზრისის დაცვას უფრო ვრცელი არგუმენტებით. მსჯელობა ეხება ტერმინებსა და გამოთქმებს: მოცალოება, ნების დამართება, სადაგება (ასადაგეს), აცორვებს, არ გაშვებული ხეზითა, გამოსრულობა, ბედი, განგება, ჟამი და სხვ.

გ. ა.

658. ოლეგ გოლიაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ლიტერატურული ეტიკეტისათვის

(ავთანდილი – იდეალური გმირი)

ჟურ. „კლდეკარი“, გორი, 1997, № 2, გვ. 175-184.

მკვლევარი ცდილობს წარმოაჩინოს პოემის ერთ-ერთი გმირის, ავთანდილის სახე-ხასიათისა და სახე-იდეის შექმნის მწერლური საშუალებანი. ამ პერსონაჟის ორიგინალური ნიშან-თვისებები ჩანს მის აზროვნებასა და მოქმედებაში. ავთანდილის მსოფლმხედველობის ძირითადი თეზისები ანდერძში ყალიბდება. მისი აზრით, ადამიანი უზადო ზნეობით უნდა შეემსგავსოს უფალს, ცხოვრების აზრი სრულყოფისაკენ სწრაფვა უნდა იყოს, რაც სულზე ზრუნვით, მარადიულ სამყოფელში მისი დამკვიდრებისათვის მზადებით მიიღწევა.

წერილის ავტორი ეთანხმება იმ მკვლევრებს, რომელნიც ამტკიცებენ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირების ზრახვა-ქმედებანი ეფუძნება არისტოტელესეულ ეთიკურ წანამძღვრებს. გმირთა სრულყოფილებას ქმნის დადებით ნიშან-თვისებათა ერთობლიობა. ესენია: გარეგნული მშვენიერება, სამხედრო საქმეთა ცოდნა და პატრონის სამსახური, სიუხვე და ქველმოქმედება, მორალი, გრძნობათა სიძლიერე, სისპეტაკე და სილადე.

ამ მხრივ რუსთაველი თავისი ეპოქის პროგრესულ აზროვნებას აღრმავებს და ადამიანის შინაგანი სამყაროს ხატვით რენესანსული აზროვნების დონეზე დგას. გ. ა.

659. ნანა დანელია

„უნიშნო“ ვნებითის წარმოებისათვის „ვეფხისტყაოსანში“

თსუ ფილოლოგიის ფაკ. ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები, თბ., 1997, გვ. 10-17.

ავტორი წერს: „უნიშნო“ ვნებითები უძველეს გარდაუვალ დინამიკურ ზმნებად ითვლება, აწმყოში –ი ან –ებ-ი დაბოლოებით. მაგრამ არც –ი და არც –ებ-ი არ შეიძლება იყოს ამ ტიპის ვნებითის ნიშანი: –ი იმიტომ, რომ ის მხოლოდ აწმყოში მწკრივში ვლინდება; –ებ-ი კიდევ იმიტომ, რომ ასეთი დაბოლოება ნიშნად ვნებითებსაც აქვს აწმყოში. „ვეფხისტყაოსანში“ უნიშნო ვნებითი ზმნების რაოდენობა შეზღუდულია. ესენი მეტწილად ის ფუძეებია, რომლებიც ენის ლექსიკის ძირითად ფენას, ბირთვს ქმნიან. ესენი მხოლოდ ზმნური ძირებია, მაგ.: დგომა (დგებოდა, დგებიან ...); დნობა (დადნების, დადნეს ...); კრთომა (კრთების, ჰკრთომია ...); ღრობა (ღრებოდა); შრობა (შემშრების); ძლომა (გაძლების, ძლებოდეს); ცთომა (ცთების, მცთარვარ).

რთული ტიპის უნიშნო ვნებითის არც ერთ ზმნას (ბნედა, დრკომა, კრება, შრტომა, წყრომა, ცვთომა, წყდომა) პოემაში არ მოეპოვება პარალელური პრეფიქსიანი წარმოება (იბნიდება, იშრიტება, იდრიკება ... ტიპისა), რაც ადასტურებს ამ უკანასკნელის აშკარა გვიანდებლობას.

ნარკვევს ახლავს რეზიუმე ინგლისურ ენაზე. გ. ა.

660. მურმან თავდიშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ წვიმისა და ბალახის რელიგიური გაგებისათვის

თსუ ფილოლოგიის ფაკ. სამეცნიერო სესია, 1995წ., 22-25 მაისი, მოხს. თეზისები, გვ. 49-50; აგრ. ჟურ. „რელიგია“, თბ., 1997, № 10-11-12, გვ. 95-103.

ავტორი განმარტავს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილი გაზაფხულის წვიმა („აგრგვინდა ცა და ღრუბელნი ცროდეს ბროლისა ცვართა“, 1324, 1) არაა მეტაფორა, როგორც ხ. ზარიძეს ჰგონია, არამედ რეალური წვიმა, რომელიც ტარიელის სადგომთან (დევთა ქვაბოვანთან) ავთანდილის მიახლოებას დაემთხვა. „ბიბლიის ენციკლოპედიაზე“ დაყრდნობით, მკვლევარს მიაჩნია, რომ ეს წვიმა ღვთის კეთილგანწყობის მაცნეა, მისი მადლის გარდამოსვლის სიმბოლო და მაუწყებელი. ასეთი ნიშანი პოემის გმირებს მეორედ ჰქონდათ, როცა დევთა განმსაცავი გახსნეს და სამი ხელი უიშვიათესი აბჯარი ნახეს (თქვეს: „ესე ნიშნად გვეყოფის, ვართო კარგითა ბედითა ...“, 1366); მესამედ კი, როდესაც გმირები ქაჯეთის გზას ადგანან, „მათ სამთა შვიდნი მნათობნი ჰფარვენ ნათლისა სვეტითა“ (1403). აქ უკვე ღვთაებრივი „ნათლის სვეტია“ ჩამოშვებული, ღვთის კეთილგანწყობილების ნიშნად.

მკვლევრის აზრით, სადავო ეპიზოდში ხსენებულ მწვანესაც (მწვანვილი, მდელო) რელიგიური შინაარსი აქვს: საღვთო წერილისა და მითოლოგიის მიხედვით, ბალახი, მდელო ადამიანის სხეულის სიმბოლოა. ინდური ეპოსის „რამაიანას“ ერთი თავი ეძღვნება წვიმის რელიგიურ დანიშნულებას. წვიმა შუამავალია ზეცასა და ქვეყანას, ღმერთსა და ადამიანს შორის. გ. ა.

661. მ. თავდიშვილი

ერთი საგულისხმო არგუმენტიც

გაზ. „კალმასობა“, 1997, № 2, გვ. 6-7.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ 1515-1517 სტროფები (ვ. ჭიჭინაძის გამოცემით) მხოლოდ მეოთხე რედაქციის ორ ხელნაწერში დასტურდება. ამის მიუხედავად ისინი პოემის ორგანულ ნაწილად მიაჩნიათ ვ. ჭიჭინაძეს, გ. პეტრიაშვილსა და ნ. ჭოლოკავას. მათს მოსაზრებებს მ. თავდიშვილი უმატებს ახალ (მისი აზრით, მნიშვნელოვან) არგუმენტს აღნიშნული სტროფების რუსთველოლოგიის მხარდასაჭერად. ესაა შემდეგი: 1514-ე სტროფში ნათქვამია: ... გამოემართა ტარიელ, გამყრელნი ცრემლსა ღვრიდესა ... / ფატმანის ცრემლთა შედენით თვით ზღვაცა გაადიდესა. რაკილა პოეტმა ფატმანი ახსენა, რაღაც სათქმელი კვლავ დარჩენია. სწორედ ეგ სათქმელია მოცემული საკამათო სამ სტროფში:

1515. ფატმან ავთანდილს თვალითა ტკბილითა შემხედველია ...

1516. კვლა ფატმან ჰკადრა სამთავე სიტყვები დასათხოველი ...

1517. ტარიელ ბრძანა: „ჰე, ფატმან, ჩემთვის ხარ კარგის გულითა ...

კრიტიკოსის აზრით, ეს სტროფები ბოლომდე ასრულებენ ფატმანის პორტრეტს. გ. ა.

662. მარიამ კარბელაშვილი

„დღე აღვსებისა“ ბიბლიური პარალელით

და რამდენიმე შენიშვნით

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1997, № 1-4, გვ. 28-48.

ავტორი უარყოფს ვ. კველიძის კონიექტურის – „დღე, ჰგვანდა, არს აღვსებისა“ – საჭიროებას და ცდილობს დაასაბუთოს ხელნაწერთა წაკითხვის („დღე ჰგვანდა არ აღვსებისა“) ავთენტიკურობა. მისი აზრით, ამას ტარიელი იმიტომ ამბობს, რომ წითელი (სისხლის ფერი) გამოსლვათა წიგნში (12,23; 13,3) ისრაელის ძეთა სიცოცხლის გარანტიაა, – მათ ღმერთი იფარავს. წითელ კარავში მყოფი ხვარაზმშას ძე კი ღმერთისგანაც განწირულია და კაცთაგანაც. ამიტომ არ ჰგვანდა ეს დღე წმიდა პასექის დღეს, რომელიც შემდგომში აღვსების (აღდგომის) დღესასწაულად გაფორმდა. უნდა დაიბეჭდოს: „დღე ჰგვანდა არ – აღვსებისა ...“ (სამწერტილით, რადგან წინადადება დაუმთავრებელია, აკლია „დღესა“).

ნარკვევს ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე (გვ. 47-48). გ. ა.

663. გურამ კარტოზია

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის ენობრივი ასპექტები

ავტორეფერატი დისერტაციისა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1997, 40 გვ. (ხელნაწერის უფლებით).

დისერტაციის დაცვა შედგა 1997წ. 28 ივნისს, ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ავტორეფერატი ქართულ ენაზეა (გვ. 3-34), ახლავს რეზიუმე გერმანულად (გვ. 35-40). ნაშრომში წარმოდგენილია დაკვირვებანი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე. კრიტიკულად არის განხილული ცალკეული წაკითხვები, ზოგი მათგანი უარყოფილია და შემოთავაზებულია ახალი

წაკითხვები; განხილულია რუსთველის ენის ზოგი საკითხი, გათვალისწინებულია „ვეფხისტყაოსნის“, როგორც პოეტური ნაწარმოების, ლექსიკურ-გრამატიკული და სტილისტიკური თავისებურებანი.

ავტორეფერატის შინაარსი და თემატიკა:

I თავი. მორფოლოგია-სინტაქსის საკითხები.

1. ნასახელარ ზმნათა წარმოება (უჩუმოდა, არ უდიდოდა, არ უმხნეოდა, მიდამოდა, არას ეჯდა; შემეცნება, და-ცა-იდოს, ენამუსიკობა, ემარე, მინა).
2. ერთი ზმნის სინტაქსური თავისებურება („მზისა შუქნი მოიცადენ“ და მისთ).
3. და კავშირის თავისებური ხმარებისათვის.

II. თავი. სტილისტიკის საკითხები.

1. რუსთველური პარონომაზია;
2. შედარების თავისებური კონსტრუქცია;
3. სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკის ხმარების თავისებურება და სხვ.

III თავი. ლექსიკა, რამდენიმე სიტყვის ანალიზი (მოსალბე, სიმარცხე, სირინო, უცხოსუცხო).

დასახელებულ საკითხებზე გამოქვეყნებული ნარკვევების ანოტაციები იხ. „რუსთვ. ლიტ. ბიბლიოგრაფიის“ IV და წინამდებარე ტომებში. გ. ა.

664. გ. კარტოზია

ერთი ნასახელარი ზმნა „ვეფხისტყაოსანში“

წიგნში – „გიორგი როგავას“ (საიუბილეო კრებული), თბ., 1997, გვ. 75-82.

წერილში განხილულია სტრიქონი:

„ავთანდილ, მისმან მხსენებმან, ლაწვი ცრემლითა მინამან“ (686, 3).

მკვლევარი აღნიშნავს, რომ სართიმო სიტყვის (მინამან) ტრადიციული გაგება („დანამა“, „დაასველა“) უხერხულობას იწვევს, ბოლოკიდური ნ მორფოლოგიურად უფუნქციო დანართად ჩანს. ამიტომ ზოგი მკვლევარი ამ სიტყვას პოეტური თავისუფლების მაგალითად მიიჩნევს.

მისი აზრით, აქ ორი სიტყვა გვაქვს: **მინა მან**, სადაც **მინა** მხოლოდითი რიცხვის მესამე პირის ფორმაა, წყვეტილში დასმული ნასახელარი ზმნისა. „ლაწვი ცრემლითა მინა მან“ ნიშნავს: მან ლაწვი ცრემლით გაამინა (მინად აქცია), ე.ი. გააფერმკთალა, გააუფერულა.

ტაეპის საწყისი სიტყვა (ავთანდილ) ზმნასთან **მინა** უშუალოდ შეწყობილი არ არის; ის სახელობით ბრუნვაში დასმული სახელია და წინადადებაში ცალკე დგას: „ავთანდილი, მან, მისმა მხსენებელმა, ლაწვი ცრემლით მინა (დამინა, გაამინა)“. გ. ა.

665. გ. კარტოზია

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი აფორიზმის გაგებისათვის

გაზ. „კალმასობა“, 1997, № 5, გვ. 3.

872-ე სტროფის II –III ტაეპებს მკვლევარი განიხილავს როგორც ერთ რთულ წინადადებას:

„ხამს მამაცი მამაცური, სჯობს რაზომცა ნელად ტირსა,
ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა“.

„უნდა“ ზმნა ორვალენტოვანია (უნდა მას იგი) და აქ ნიშნავს: „მართებს“. აფორიზმის აზრი ასე უნდა გავიგოთ: „მამაკაცი ვაჟკაცური უნდა იყოს, ჯობია, რაც ნაკლებად იტირებს, გაჭირვებაში მას გამაგრება ისე მართებს, როგორც ქვიტკირს (სხვანაირად: გაჭირვებაში მამაკაცი ქვიტკირით უნდა გამაგრდეს)“.

გ. ა.

666. ცოტნე კიკვიძე

„ვეფხისტყაოსნის“ ბოლო გამოცემა

გაზ. „კალმასობა“, 1997, № 4, გვ. 2.

რეცენზია ეხება „თანავარსკვლავედის“ სერიით დაბეჭდილ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს (თბ., 1997), რომლის შემდგენელნი და გამომცემელნი არიან ჯანსუღ ღვინჯილია და ვახტანგ ჯავახაძე. ტექსტი გადმობეჭდილია 1966 წლის საიუბილეო გამოცემიდან, რომელსაც ემატება კიდევ ორი თავი, ე. წ. „ინდო-ხატაელთა ამბავი“. გამომცემელნი აღნიშნავენ, რომ ახალ გამოცემაში შეცვალეს რამდენიმე სიტყვის დაწერილობა. ასეთი შესწორება სულ ხუთია. რეცენზენტი მათ ცალ-ცალკე განიხილავს და აღნიშნავს, რომ არც ერთი გასწორება მისაღები არაა. იმასაც მიუთითებს, რომ 1966 წლის საიუბილეო გამოცემა უკვე განვლილი ეტაპია პოემის ტექსტის დადგენის მხრივ. მის შემდეგ რამდენიმე განსხვავებული გამოცემა დაიბეჭდა, რომლებშიც ბევრი რამ გასწორდა როგორც სტროფულ შემადგენლობაში, ისე სიტყვა-ფორმების დაწერილობაში. სასურველი იყო მათი გათვალისწინება, რის შედეგადაც ქართველი მკითხველი „ვეფხისტყაოსნის“ უფრო სრულყოფილ ტექსტს მიიღებდა.

გ. ა.

667. ც. კიკვიძე

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისათვის

გაზ. „სალიტერატურო გაზეთი“, 1997, აგვისტო, № 14, გვ. 10.

წერილის პირველი ნაწილი ეხება სტრიქონს: „ამილახორო, მოასხი რემა, ჯოგი და ცხენია“ (54,2). მკვლევარი განიხილავს ბეჭდურ გამოცემაში წარმოდგენილ ვარიანტებს: რემა, ჯორი და ცხენია (ი. აბულაძე, პ. ინგოროყვა); რემა, ჯოგადა ცხენია (მ. წერეთელი); რემა-ჯოგი და ცხენია (ნ. ნათაძე) და აღნიშნავს, რომ უნდა აღდგეს ტრადიციული წაკითხვა: რემა, ჯოგი და ცხენია. აქ დასახელებული სიტყვა-ცნებები სინონიმებია და ცნებათა გამეორების ასეთ სტილს რუსთველი სხვა შემთხვევებშიც იყენებს.

წერილის მეორე ნაწილში ავტორი განიხილავს 619-ე სტროფს: „ლაშქარნი ფრიდონს მეფედ და მიხმობდეს მეფეთმეფობით ...“ მოაქვს მისი ჩანართობის დამადასტურებელი ფაქტობრივი და სტილისტური მაგალითები.

გ. ა.

668. მანანა კობაიძე

„ვეფხისტყაოსნის“ ხევა ტერმინისათვის

კრებ. „ეტიმოლოგიური ძიებანი“, VI, 1997, 118-122.

ავტორის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ 13s სტრიქონში: „ლექსთა გრძელთა №თქმა და ხევა“ – წარმოდგენილია მასდარი იმ ზმნისა, რომლისგანაც არის ნაწარმოები ფორმები: სახიობა და მახიობელი||მახეობელი.

ი. აზულაძე ამ ფუძეების ძირად გამოყოფს ხე||ხი ფორმას. მ. კობაიძის აზრით, ხე||ხი მიღებულია ხევ- || → ხიგ- ფუძისაგან -ოზ თემისნიშნის წინ გ-ს დაკარგვის შედეგად. თვითონ ხეე||ხივ ფუძეში -ევ სუფიქსი ჩანს: სა-ხ-ივ-ოზ-ა → სახიოზა; მა-ხ-ევ-ოზ-ელ-ი||მა-ხ-ივ-ოზ-ელ-ი → მახეოზელი||მახიოზელი.

სახიოზისა და მახეოზელის ამოსავალი ზმნა უნდა იყოს **ი-ხევ-ს**, რომლის მასდარიც **ხევა** „ვეფხისტყაოსანში“ სიმღერას, გალობას უნდა ნიშნავდეს.

შეიძლება ამ ზმნის ფორმა იყოს 7084 -შიც: „რა სჯობს, რა კაცმან გიშერი ..., ვად მოყვარისა გაყრილსა, ახი ოს ეყოს, **ახიოს** (ზოგ ხელნაწერსა და გამოცემებში სიტყვა გაყოფილია: **ახი ოს**). **ახიოს** აქ უნდა ნიშნავდეს ხმით ტირილს, ოღონდ „ხიოზა“ ამ შემთხვევაში მწუხარებისა იქნებოდა. (შდრ. აქვე ანოტ. № 672). **გ. ა.**

669. ტიტე მარგველაშვილი

ქართული ეპიკური პოემა „ვეფხისტყაოსანი“

ოსტუ შრომები, ტ. 323 (ლიტერატურათმცოდნეობა), თბ., 1997, გვ. 156-165.

ბერლინის უნივერსიტ. პროფ. ტ. მარგველაშვილის სტატია პირველად გამოქვეყნდა ჟურნალში „გეორგიკა“, ლონდონი, 1936 წ., ოქტომბერი. (ქართულად თარგმნა მ. ელბაქიძემ).

ნარკვევში ერთმანეთან შედარებულია რუსთაველის თხზულება და ძველი შუმერული ეპოსი „გილგამეში“, მოძებნილია ამ ნაწარმოებთა საერთო მოტივები. ასეთია: სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა; ტირილი; მეგობრობა-ძმადნაფიცობა; პატივმოყვარეობა (სახელის ძიება); ცხოველის ტყავით შემოსვა; ქალის დახმარებით დამეგობრება და მიზნის მიღწევა და სხვ.

მკვლევრის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი მოდის სადღაც სამხრეთიდან, სადაც ის თანდათანობით ჩამოყალიბდა. ვარაუდი, რომ „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი არის მხოლოდ ერთი გენიოსი პოეტის შემოქმედების ნაყოფი, მიუღებელია. ქართული პოემის ფაბულა, აღმოცენებული იაფეტურის კულტურის არეალიდან, საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა სემიტთა და ინდოევროპელთა წიაღში, რათა მოგვიანებით მემკვიდრეობით გადასცემოდა კავკასიელ იაფეტთა შტოს – ქართველებს.

ნაშრომს ახლავს რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე. **გ. ა.**

670. მურად მთვარელიძე

„იგი ნაზარდი სოსანი“

გაზ. „კალმასობა“, 1997, № 7, გვ.5.

წერილის ავტორის ყურადღებას იქცევს „ვეფხისტყაოსნის“ 72-ე სტროფის პირველ სტრიქონში დადასტურებული სიტყვა „სოსანი“, რომელიც „ვეფხისტყაოსანზე“ დართულ ლექსიკონებში განმარტებულია, როგორც მინდვრის ყვავილი, შრომანი. მ. მთვარელიძე მიუღებლად თვლის „ვეფხისტყაოსნისეული“ „სოსანის“ ამგვარ განმარტებას და მისაღებად მიაჩნია ალ. ღლონტის მიერ შედგენილი „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონის“ II ტომში დადასტურებული განმარტება: „სოსანი – განსხეპილი, ან ბუნებრივად სწორი, უტოტო ხე“. მისი თქმით, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ რუსთველი ავთანდილის ტანის

სილამაზეზე, სისწორეზე, პოემაში რამდენჯერმე ამახვილებს ყურადღებას და ყველგან ადარებს მას ხეს – საროს. **ნ. გ.**

671. გიორგი ნადირაძე

ლიტერატურული ნარკვევები

შემდგენელი და რედაქტორი მ. ნადირაძე, თბ., 1997, 177 გვ.

წიგნში, სხვა ნარკვევებთან ერთად, დაბეჭდილია „**ვარდის სიმბოლიკა ვეფხისტყაოსანში**“ (გვ. 135-149), რომელიც გამოქვეყნებული იყო ადრე (გაზ. „ლიტ. გაზეთი“, 1955, № 13; აგრ. წიგნში – „რუსთაველის ესთეტიკა“, 1958; იხ. ანოტაციები №№ 2392, 2585).

რუსთაველის მსოფლმხედველობის მართებული შესწავლისათვის (გვ. 150-157), დათარიღებულია 1953 წლით და წარმოადგენს კრიტიკას პ. ინგოროყვას თეორიისა რუსთაველის მანიქველობის შესახებ. მკვლევარი აღნიშნავს, რომ პ. ინგოროყვას არგუმენტები თვითნებური და უსაფუძვლოა (კუპრი - კვიპარი, „მანის ფერი“ და მისთ.). მანიქიზმი წარმოიშვა ახ. წ. III ს-ში. იგი ეკუთვნის გნოსტიკური რელიგიების სისტემას და თავის თავში აერთიანებს ზოროასტრიზმს, ქალდეურ-ბაბილონური და ქრისტიანული სარწმუნოების ელემენტებს. პ. ინგოროყვა ვარაუდობს, რომ რუსთაველი იცნობდა და იზიარებდა ე. წ. „განახლებული“ მანიქიზმის პრინციპებს, რომელიც არსებობდა VIII-IX ს-ის ბაღდადის ხალიფატში.

კრიტიკოსის აზრით, მანიქიზმის იდეების ექსპორტი XII ს-ის საქართველოში დაუსაბუთებელია, ზოგადად კი რუსთაველისა და მანიქიზმის მსოფლმხედველობათა შორის სრული ანტაგონიზმი და შეუთავსებლობაა.

ახალი გამოკვლევა რუსთაველზე (გვ. 158-161) – არის მოკლე რეცენზია შ. ნუცუბიძის წიგნზე „რუსთაველის შემოქმედება“ (1958 წ., რუსულ ენაზე). რეცენზენტი კონკრეტული მაგალითებით აჩვენებს, რომ შ. ნუცუბიძე ტენდენციურად თარგმნის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს რუსულად და შემდეგ ამ თარგმანზე აშენებს საკუთარ თეორიას რუსთაველის არეოპაგიტკური თვალსაზრისისა და მატერიალისტური პანთეიზმის შესახებ.

რეცენზია დათარიღებულია 1959 წ. 14-16 თებერვლით. **გ. ა.**

672. ზურაბ სარჯველაძე

ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა

კრებ. „ზურაბ ჭუმბურიძე“, თსუ, 1997, გვ. 125-130.

ავტორი განიხილავს „**ხევა**“ სიტყვის გამოყენების შემთხვევებს ძველ ქართულში და „ვეფხისტყაოსნის“ მე-13 სტროფში ამ სიტყვის მნიშვნელობის სავარაუდო ვარიანტებს.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ არსებობდა ტერმინი „ტყავისმხეველი“, რომლის მეორე ნაწილი **დამმუშავებელს, მკაზმავს** აღნიშნავდა (ძველ ქართულშივე მას ენაცვლება „მეპრატაკე“). როგორც ჩანს, XI-XII საუკუნეთა სამხრეთ საქართველოს მეტყველებაში **მხეველი** ჯერ კიდევ იხმარებოდა **მკაზმავის** მნიშვნელობით. შოთა რუსთაველიც, შესაძლოა **ხევა** ზმნას **კაზმვის, გამშვენიერების** შინაარსით იყენებდეს. „ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა“ უნდა ნიშნავდეს: ეპიკური ნაწარმოების (პოემის) გამოთქმას და სათანადოდ კაზმვას (გაწყობას). **გ. ა.**

673. ლალი ურდულაშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ მზე ვიკტორ ნოზაძის რუსთველოლოგიურ გამოკვლევებში

ოსუ შრომები, ტ. 323, თბ., 1997, გვ. 36-49.

მკვლევარი დაყენებულ პრობლემას განიხილავს ძირითადად ვ. ნოზაძის წიგნის „ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება“ (1957 წ.) მიხედვით. აღნიშნულია, რომ მზის მხატვრული სახის პრობლემა მრავალ საინტერესო ასპექტს მოიცავს. ვ. ნოზაძე იკვლევს მზის ასტროლოგიური და ასტრონომიული თვალსაზრისებით ფუნქციონირების შემთხვევებს „ვეფხისტყაოსანში“ და საბოლოოდ ადგენს, რომ ქრისტიანულ-რელიგიური ასპექტით ღმერთი არის ყოვლისშემძლე და ყოვლისმომცველი. იგი არის მზის და საერთოდ, სამყაროს შემოქმედი. ხოლო მზე არის „მზიანი ღამის“ „უჟამო ჟამის“, „ერთარსება ერთის“ (ანუ ღმერთის) ხატი. თავისთავად მზე, რუსთაველის მსოფლგაგებით, ღმერთი არ არის.

ნარკვევს ახლავს რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე. გ. ა.

674. ლეონ ფირცხალავა

ამირანის მითისა და „ვეფხისტყაოსნის“ ურთიერთკავშირი

გაზ. „კალმასობა“, 1997, № 8, გვ. 5 – № 11, გვ. 4-7.

წერილის ავტორის მიზანია გამოავლინოს „ვეფხისტყაოსნისა“ და ამირანის მითის ურთიერთკავშირი ფაბულურ ელემენტთა ურთიერთშეფარდებით, სიუჟეტთა მსგავსებისა და ტიპოლოგიური პარალელების გავლების, გმირთა სამყაროს, მათი ფუნქციისა და როლის თავისებურებათა დადგენის, პერსონაჟთა სახელების სემანტიკური მნიშვნელობის განსაზღვრის შედეგად. მისი თქმით, ამირანის მითისა და „ვეფხისტყაოსნის“ გმირები რიცხვითი დამთხვევის გარდა (ორივეგან სამებაა) ერთმანეთს შეესაბამებიან თავიანთი ფუნქციითა და როლით: ამირანს შეესაბამება ტარიელი, უსუპს – ავთანდილი, ბადრის – ფრიდონი).

ამ დებულებათა შესამაგრებლად მოტანილი, ვითომ იდენტური, ნიშანთვისებები არაზუსტია და დამაჯერებლობას მოკლებული. ერთად-ერთი, რის გაზიარებაც შეიძლება, ესაა ბადრისა და ფრიდონის ცხენების მსგავსება, მათი განსაკუთრებული თვისებებით.

მთავარი გმირები (ტარიელი და ამირანი) სწორედ ამ ცხენებზე ამხედრებულნი მიემგზავრებიან საცოლე-მიჯნურის მოსაყვანად, ამ ცხენებით გადაიან ზღვას. მეცნიერი ყამარისა და ნესტან-დარეჯნის სახეებს შორისაც ხედავს მსგავსებას ფუნქციური თვალსაზრისით – ისინი ამირან-ტარიელის ინსპირატორები არიან. ნ. გ.

675. ციცილო ქვათაძე

„სასკოლოდ“ განწირული რუსთაველი

გაზ. „იბერია-სპექტრი“, თბ., 1997, № 225, გვ. 4.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ე.წ. „სასკოლო გამოცემაში“ შეტანილი ბევრი „ჩასწორება“ გაუგებრობას იწვევს. მისთვის უსაფუძვლო ჩანს ასეთი ცვლილებები: აწ მე მწადს – აწე მწადს; რა მინა – რადინა; შადი – შართი; ცათამდის – ა ცამდის; მსწრომელი – მსტრომელი; სხვათა, კაცთა ნათესავსა – სხვასა კაცთა ნათესავსა და სხვ.

ც. ქვათაძეს უეჭველ შეცდომად მიაჩნია სტრიქონის – „ყმა წავიდა, სახლად ჩადგეს მზისა წვერნი“ – შინაარსის ასე გადმოცემა: ყმა (ავთანდილი) რომ წავიდა, სარკმელში მზემ შეანათაო. ამ სტრიქონის ნამდვილი აზრი ხომ ესაა: ავთანდილი წავიდა, მზეც ჩაიწვერა, სადამო დადგა.

ც. ა.

676. რამაზ ღამბაშიძე

**მასალები „ვეფხისტყაოსნის“
გეოგრაფიული გარემოს შესახებ**
ჟურ. „მაცნე“, ელს, 1997, № 1-4, გვ. 53-60.

ავტორი მიმოიხილავს ამ საკითხზე არსებულ ლიტერატურას და აღმოსავლეთ აფრიკის ქვეყნების (სომალი, კენია, ტანზანია) გეოგრაფიული მდებარეობისა და ეთნიკური ნიშნ-თვისებების ანალიზის გზით აყენებს პოემაში დასახელებული ქვეყნების ქალაქებისა და სხვა პუნქტების ლოკალიზაციის ახალ ვერსიას.

მისი აზრით, მისაღებია ლ. მარუაშვილის შეხედულება ტარიელის ქვაბთა მდებარეობის შესახებ (სომალში, ადენის ყურის სამხრეთ სანაპიროზე). მულაზანზარის პროტოტიპად რუსთაველს აღებული უნდა ჰქონდეს კუნძული სოკოტრა, ხოლო ზღვათა სამეფო ივარაუდება აფრიკის აღმოსავლეთ სანაპიროზე, კლიმანჯაროს პროვინციაში. ქაჯთა სამეფოდ პოეტი, ალბათ, გულისხმობდა სივრცეს თეთრი ნილოსის სათავეებიდან, ვიქტორიის ტბის რეგიონის გავლით, მასაის ველის ჩათვლით.

ნარკვევს ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე. გ. ა.

677. აპოლონ ცანავა

**მითოსური განძისა და სასწაულმოქმედი
იარაღების მეტაფორიზება „ვეფხისტყაოსანში“**

გაზ. „საქ. რესპუბლიკა“, 1997, № 90 (20/IV).

ეს წერილი ნაწილია ავტორის ციკლისა „საუბრები ქართულ მითოლოგიაზე“. მითოსური რწმენის მიხედვით, ე.წ. „კულტურული გმირები“ (გილგამეში, ამირანი, მითრა, ზოროასტრი, წმ. გიორგი) ამარცხებენ ბოროტ ძალებს (ვეშაპებს, დევებს, ქაჯებს...) და ხთონური სამყაროდან გამოაქვთ საყოფაცხოვრებო ფასეულობათა ეტალონები და საბრძოლო იარაღები.

ვეშაპებისა და მათი მემკვიდრეების - დევების, ქაჯების სამყოფელი ხთონური სამყარო მიჩნეულია ეტალონური საგანძურისა და მითოსური საბრძოლო იარაღების შექმნის ადგილად. ეს მითოსური წარმოდგენები გარკვეული მხატვრული პრინციპით მეტაფორიზებულია რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“. მაგ., ამირანის ხმალი, თორღვას „მცურავი ჯაჭვი“, კოპალასა და წმ. გიორგის ლახტი (საგმირო) მეტაფორიზებულია იმ ეპიზოდებში, სადაც ტარიელი და ავთანდილი დევების ქვაბში იპოვიან საკვირველმოქმედ აბჯარს, - ჯაჭვი = მუზარადებს, ხმლებს, რომლებიც განსაკუთრებულ შემთხვევაში უნდა იქნეს გამოყენებული.

ხთონური განძისა და საბრძოლო იარაღის მეტაფორიზება ვეფხისტყაოსანში მიუთითებს რუსთაველის სისხლხორცეულ კავშირზე ეროვნულ-მითოლოგიურ წარმოდგენებთან. გ. ა.

678. ლია წერეთელი

ანტონ I - ის „სამი სტილი“ და რუსთაველი

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1997, № 5 (31 / I – 7/II), გვ. 14.

ავტორი იმოწმებს ზ. გამსახურდიას გამოკვლევას „ანტონ I და რუსთაველი“, სადაც დასაბუთებულია, რომ რუსთაველი და ანტონ I ერთი საღვთისმეტყველო ფილოსოფიური სკოლის წარმომადგენლები არიან, კერძოდ, აღმოსავლური ეკლესიის მისტიკურ-საღვთისმეტყველო სკოლისა, რომლის მამამთავარია დიონისე არეოპაგელი.“

მკვლევარის აზრით, ანტონ I რუსთაველის თავყვანისმცემელია, უდიდეს ღვთისმეტყველთა რანგში მოიხსენიებს მას.

სტილის მიხედვით თხზულებათა დაყოფა სამ სახედ შეეხება სასულიერო ტექსტებს. პირველში შედის სვინაქსარი და აპოკრიფული მოთხრობები, მეორეში - საღმრთო წერილის უმეტესი ნაწილი, რომელსაც აქვს „რჩეულსიტყვაობა“ და „ტკბილსიტყვაობა“, მესამეს უფრო სრულად აქვს „რჩეულსიტყვაობა“ და გასაგებია მხოლოდ „მეცნიერთათვის“. ანტონ I რუსთაველს, „გამომთქმელსა მეფის თამარის ცხოვრებისა“, მესამე სტილის მწერლებს მიაკუთვნებს, როგორებიც არიან: დიონისი, ბასილი კესარიელი, გრიგორი ნოსელი, ეფრემ სირიელი, იოანე პეტრიწი, მეფე დავითი (აღმაშენ.), ეფრემი, არსენი და სხვა.

სხვადასხვა სტილის განსაზღვრისას ანტონ I ძირითადად მხითარ სებასტიელის გრამატიკას მიჰყვება, მხოლოდ მესამე სტილის დახასიათებისას შორდება მას და მაგალითებიც უმეტესად ქართველ ღვთისმეტყველთა თხზულებებიდან მოჰყავს.

რუსეთში ყოფნის დროს ანტონ I-მა შეისწავლა სხვადასხვა ენის სახელმძღვანელოები, ენათმეცნიერთა შრომები და „ქართული გრამატიკის“ მეორე გამოცემაში „სამი სტილის“ თეორია აღარ შეიტანა, რადგან დარწმუნდა, რომ თხზულებების წმინდა ენობრივ - გრამატიკული დაყოფა ვერ დაიტევდა დიდი საღვთისმეტყველო შინაარსის ლიტერატურის ანალიზს. გ. ა.

679. ალ. ჭინჭარაული

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან

(„შე-ფლობა“ თუ „შე-ფრობა“?)

კრებ. „ზურაბ ჭუმბურიძეს“,

თსუ, 1997, გვ. 183 -190.

ავტორი განიხილავს „შენაფლობი“ და „ვერშეფრობილი“ სიტყვების ხმარების სათანადო კონტექსტებს „ვეფხისტყაოსანში“. აღნიშნავს, რომ ძველ ქართულში **შეიფლობს** ან **შეაფლობს** ზმნები არ არსებობს და ეს განსაზღვრულია **ფლობს** – ფუძის სემანტიკით, – იგი არ საჭიროებს და ვერც იგუებს **შე** - პრეფიქსს.

მკვლევრის აზრით, ორივე შემთხვევაში უნდა დაიბეჭდოს **ფრობ** - ფუძის გამოყენებით:

„მთვარისა მსგავსი შვენებით, მზისაგან ვერშეფრობილი“ (324,3).

ხელნაწერებში არსებობს სხვაგვარი წყობაც: „მთვარისა მსგავსი, მზისაგან შვენებით

ვერშეფრობილი“, მაგრამ მკვლევარს მიაჩნია, რომ ამ სტრიქონში ნათქვამია: ნესტანი **შვენებით მთვარის მსგავსი** და მზისაგან ვერშეფრობილი (უჯობნელი) იყო.

ნარკვევს ახლავს რეზიუმე გერმანულ ენაზე. გ. ა.

680. ნოდარ ჭოლოკავა

თანამედროვე რუსთველმცოდნეობის შესავალი

თბ., 1997, 142 გვ. (წიგნს არ ახლავს პოლიგრაფიული გამოცემისათვის საჭირო რეკვიზიტები),
წიგნში დაბეჭდილია ავტორის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული წერილები
და საჯაროდ წაკითხული მოხსენებები:

მხატვრული პორტრეტი „ვეფხისტყაოსანში“ - პირველად 1969 წელს დაიბეჭდა (იხ. „რუსთ. ლიტერატურა“, IV, ანოტ. № 351). „ამბავი სპარსული“ „ვეფხისტყაოსანში“, მოხსენების თეზისები (დათარიღებულია 1993 წლით): რამდენადაც გამოთქმა „ესე ამბავი სპარსული“ პოემის დასაწყისშია გამოყენებული, მოსალოდნელია, რომ მას ჰქონდეს ლიტერატურულ-თეორიული ტერმინის შინაარსი. XII საუკუნეში მსოფლიო მწერლობაში მკვიდრდება ორი ახალი ტერმინი: „რომანული მოთხრობა“ (იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი...) და მეორე - „ამბავი სპარსული“, რაც გულისხმობს იმდროინდელ სპარსულენოვანი ქვეყნების მწერლობაში პოპულარულ ეპიკურ სახეობას, რომელსაც ახასიათებს სამიჯნურო და საგმირო მოტივების წინა პლანზე წამოწევა. „სპარსულ ამბავში“ ძირითად თემატურ ნიშნად იგულისხმება ისეთი ტიპოლოგიური ნიშნები, რითაც „ვეფხისტყაოსანი“ ემსგავსება IX–XII საუკუნეების სპარსულენოვან ეპოსს. პოეტი საგანგებოდ მიუთითებს იმაზე, რომ მას პოეზიის აღნიშნული ტიპოლოგიური მოტივები ქართულად აქვს გააზრებული, ანუ „ნათარგმანები“.

ამავე დებულებებს აყენებს ავტორი შემდეგ მოხსენებებსა და წერილებში: **„სპარსეთის ამბავი“** (მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი“) და **„ამბავი სპარსული“** („ვეფხისტყაოსანი“) (1994 წ.); **„ამბავიც თვითონ გააკეთა...“** (1994 წ.); **სიტყვა „ნათარგმანების“ გაგებისათვის** (1997 წ.); **დავუჯეროთ ვახტანგ მეექვსეს!** (1995 წ.); **„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა პროტოტიპები: „ვეფხისტყაოსანი“ – „ოქროს ხანის“ ქართული სინამდვილის სარკე.** (1997 წ.).

წიგნი სრულდება ნარკვევით **„ვეფხისტყაოსნის შექმნის თარიღისათვის“**. ამ თარიღად მკვლევარი 1188 წელს ვარაუდობს. გ. ა.

681. ნ. ჭოლოკავა

გვკარნახობს სიუჟეტის ლოგიკა

გაზ. „კალმასობა“, 1997, № 2, გვ., 6.

„ვეფხისტყაოსნის“ კ. ჭიჭინაძისეული გამოცემის 1515 – 1517 -ე სტროფები ავტორს ძირითადი ტექსტის ნაწილად მიაჩნია. მისი სიტყვით: „ვეფხისტყაოსნის ფაბულის ლოგიკას თუ გავითვალისწინებთ, აღნიშნული სტროფები უცილობლად რუსთველისეულად უნდა ჩაითვალოს. ტექსტიდან მათი ამოღებით ზიანდება ნაწარმოების მხატვრული ქსოვილი, განსაკუთრებით კი – ფატმანის მხატვრული სახე.“ გ. ა.

682. აკაკი ხინთიბიძე

პოეტიკა და ტექსტოლოგია

(რამდენიმე დაკვირვება „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე)

საქ. ლიტ. მცოდნ. აკადემია, შრომები, I, თბ., 1997, გვ. 268 -288; აგრ. გაზ. „კალმასობა“, 1997, №3.

ნაშრომში განხილულია რიტმის, რითმისა და ეფონიის საკითხები. საანალიზოდ გამოყენებულია „ვეფხისტყაოსნის“ 1988 წლის გამოცემა. ავტორი მსჯელობს ძირითადი

მეტრული წყობიდან გადახვევის შემთხვევაზე: „მეფე ცოტათ მოგეგების, ვის მჭვრეტნი ვერ გელევიან...“ (433-1), (ასეა ხელნაწერთა და გამოცემათა უმეტესობაში). ტაეპის პირველი ნახევარი გასწორდა ასე: „მეფე ცოტათა გეგების“ (პ. ინგოროყვა, მ. წერეთელი). ავტორს დასაშვებად მიაჩნია შერეული შაირის დატოვება, ვიდრე მისი უნიფიცირება (გვ. 269-270).

ცეზურა და გადატანა: „ნახეს, უცხო მოყმე ვინმე ჯდა მტირალი წყლისა პირსა“ (83). ავტორი თვლის, რომ სტრიქონის დანაწევრება უფრო მიზანშეწონილია ამგვარად: „ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა“. აქ გრამატიკული პაუზა ცეზურას ემთხვევა.

86-ე სტროფში კი: „იგი ტირს და არა ესმის მისგან, გაუუმეცარდა“ პუნქტუაცია ასევე უნდა დარჩეს, რადგან სხვაგვარად – „მისგან გაუუმეცარდა“ – გრამატიკულად არასწორია. (გვ. 274-275).

ავტორი საგანგებოდ განიხილავს ნახევარხმოვან – **ე**-ს ხმარებას პოემის ზოგიერთ ბოლოდროინდელ გამოცემაში (ვაფ, ჰაფ –ჰაფ...) და აღნიშნავს: „არავითარი არგუმენტი არ არსებობს იმის დამადასტურებლად რომ რუსთველი ვაფ ფორმას წერდა. ის კი ნათელია, რომ მისთვის ვა ფორმა მისაღები იყო. ეს უწინარეს ყოვლისა რითმიდან ჩანს“. დამოწმებულია 240, 410, 603, 612, 704, და 1141 სტროფების რითმები (გვ. 276). მკვლევრის აზრით: „რუსთველი არა თუ არ გამოიყენებდა **ე**-ს, არამედ ვერ გამოიყენებდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მხედრულ დამწერლობას ხუცურიდან **ე** არ გადაჰყოლია...“ (გვ. 278).

მკვლევარი ეხება პოემის არაზუსტი რითმების გასწორების შემთხვევებს, მაგ., მე-10 სტროფში ემხრობა **ლენა** -ს შეცვლას **ვლენა** სიტყვით, აგრეთვე 1276 -ე სტროფში **მცნებელის** შეცვლას **მცებნელით**. მაგრამ, მისივე თქმით, „ზოგჯერ იძულებული ვართ რითმის უზუსტობას დავუჭიროთ მხარი“. მაგ., 946-ე სტროფში ეჭვს იწვევს „მოეხვინეს“ ფორმის რუსთველისეულობა. აქ უნდა აღდგეს ხელნაწერებში დაცული წაკითხვა „**მოეხვივნეს**“.

ზუსტი რითმის ჰარმონია დარღვეულია 1118-ე სტროფში: ძღვენისა – ჩვენისა – ებნისა – დგენისა. **ებნისა** სიტყვის შესაცვლელად მოტანილი ვარიანტები „ენისა“ ან „სმენისა“ კონტექსტისათვის აზრობრივად შეუფერებელია, ამიტომ ზუსტი რითმის მიღება ვერ ხერხდება (გვ. 281-284).

ალიტერაციისა და ასონანსის ხერხის გათვალისწინებით მკვლევარი უპირატესობას ანიჭებს შემდეგ წაკითხვებს: „გონიერსა მწვრთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდეს“ (901); „ჭირი ბევრჯელ ვაათასე, ხლინი ჩემი ვაერთხელი“ (545); „ვა, კარგი თავი უებრო დავკარგე დავაშავითა“ (761); რუსთველისეულად მიაჩნია: „**იგი წახდების**, სხვა მოვა...“ (35), იმის მიუხედავად, რომ კეთილხმოვანების (ალიტერაციის) მხრივ უკეთესია: „იგი წავა და სხვა მოვა“ (285- 287). **გ. ა.**

683. გიორგი ჯავახიშვილი

პროტოტიპების ლექსიკონი

ბათუმი, 1997, 102 გვ.

ავტორი აღნიშნავს, რომ პროტოტიპების გამოყენება ძირითადად ახალი ქართული ლიტერატურის ნაყოფად მიაჩნიათ, მაგრამ ცნობილია, რომ პროფ. დავით ჩუბინაშვილმა და შემდეგ პოეტმა აკაკი წერეთელმა მიუთითეს „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების შესაძლო ისტორიულ წინარე სახეებზე, ანუ პროტოტიპებზე. ლექსიკონში დასახელებული არიან პოემის პერსონაჟები და მათი სავარაუდო პროტოტიპები:

ავთანდილი – ზაქარია მხარგრძელი (ა. წერეთელი).

დავარი – რუსუდანი, თამარ მეფის მამიდა.

თინათინი – მეფე თამარი.

ნესტან – დარეჯანი – მეფე თამარი.

როსტევეანი, ფარსადანი, სარიდანი – მეფე გიორგი მესამე.

სოგრატო (ვაზირი) – ჭიაბერი, გიორგი მესამის მანდატურთუხუცესი (დ. ჩუბინაშვილი, ა.წერეთელი).

ტარიელი – ა) თვით ავტორი (რუსთაველი); ბ) დემნა ბაგრატიონი; გ) დავით სოსლანი.

ხვარაზმზას მე - ანდრია ზოგოლუბსკი (გიორგი რუსი); (დ. ჩუბინაშვილი). გ. ა.

1998

684. გიორგი არაბული

ზოგიერთი მოსაზრება „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის შესახებ

„ახალი ქართული გაზეთი“, 1998, № 16 (11. VIII), გვ. 3-6; № 52 (22. IX), გვ. 1-4;

აგრ. აღმ. „კარიბჭე“, III, თბ.-ფოთი, 2000, გვ. 174-185.

ავტორი განიხილავს პოემის „დასაწყისის“ სტროფული შედგენილობის მდგომარეობას ხელნაწერებსა და გამოცემებში და ცდილობს აღადგინოს ავთენტურთან მიახლოებული ტექსტი. ნარკვევში აღნიშნულია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გამომცემელ-რედაქტორები (მ. წერეთლისა და პ. ინგოროყვას გარდა) პოემის პროლოგს ბეჭდავენ 31, 32 ან 33 სტროფის მოცულობით (ხელნაწერთა I რედაქციის მიხედვით), რაც ფაქტობრივად ასახავს ტექსტის მდგომარეობას XVII ს-ის დასაწყისში. ასეთი მიდგომით უგულვებელყოფილია პოემის ტექსტის ცვლილება, შეესება და გადაკეთება XIII-XVI საუკუნეთა განმავლობაში.

მკვლევრის აზრით, ყველაზე მეტი შეესება განუცდია მიჯნურობის თეორიის შემცველ ნაწილს. ნაბეჭდ გამოცემებში „მიჯნურობისა“ და „მოყვრობის“ განმარტება 14 სტროფს მოიცავს (№11, 20-32). ამათგან მას გვიანდელ დანამატად მიაჩნია № 24, 25, 29, 30, 31 სტროფები (სასკოლო გამოცემით). 24-25 სტროფების ლიტონი შინაარსი და პრიმიტიული სტილი, მკვლევრის აზრით, შეუფერებელია რუსთაველის პოეტურ-მხატვრული მეტყველებისათვის. ისინი წარმოადგენენ 20-23 და 26-27 სტროფების მხატვრულად უსუსურ გამეორებას.

29-30-31 სტროფებში კი შეცვლილია მსჯელობის საგანი (თემა), – მიჯნურობის მაგიერ სხვა ურთიერთობა, „აშიკობა“ ანუ ვულგარული საყვარლობა იგულისხმება. ამ სტროფებში ქალისა და მამაკაცის სიყვარული გამოცხადებულია სამარცხვინო საქმედ. ასეთი თვალსაზრისი კი არ შეიძლება რუსთაველს ეკუთვნოდეს. **ნ. მ.**

685. შუქია აფრიდონიძე

ფიცილის ფორმულების გამომხატველი სახელ-ზმნური მიმართვები

„ვეფხისტყაოსანში“

ფილოლოგიის ფაკ. და თსუ ფილიალების I სამეცნიერო სესია, თეზისები, თბ., 1998, გვ. 15-17.

„ვეფხისტყაოსნის“ ფიცილის ფორმულებში გამოყენებულია კუთვნილებით ნაცვალსახელებთან შერწყმული სახელები „მზე“ და „თავი“ (ჩემმან / შენმან / მისმან-მზემან / თავმან).

ერგატიულ კონსტრუქციებში ელიპტირებულ ზმნად ივარაუდება „იცოდეს“.

დაცულია ერგატიულ-დატიური კონსტრუქციების დიფერენცირებული ფუნქციები. სახელთაგან გვხვდება მხოლოდ „ღმერთო“, ზმნათაგან კი კავშირებითის ფორმათა გვერდით – იმპერატივის „მომკალ“ ფორმაც.

...ღმერთო, ვერა მავნეს (4424); ... შენ ინდოეთს, ღმერთო, ხანი ვერა დაჰყო! (5261).

მეფეო, ესე თათბირი, მომკალ, ვინ დამიწუნოსა (7951).

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში მიმართვის არც ერთი – არც სახელური და არც ზმნური ფორმა ამ ფუნქციით არ იხმარება. გ. ა.

686. შ. აფრიდონიძე

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა სახელები:

სტატისტიკა და სტილისტიკა

კრებ. „ქართველური ონომასტიკა“, I, თბ., 1998, გვ. 80-87.

ნაშრომში მოცემულია „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა სახელების ანალიზი მათი გამოყენების სიხშირისა და სტილისტურ-ორთოგრაფიული ფორმების ცვალებადობის მიხედვით. მსჯელობა ეხება სახელებს: ავთანდილი, ტარიელი, ტარია, ფრიდონ, ასმათ, ფატმან, როსტევან, თინათინ, ნესტან-დარეჯან, უსენ, შერმადინ, ფარსადან, დავარ, როშაქ, სოგრატ, უსამ, როსან, დულარდუხტ, სარიდან, ჭაშნაგირ, მელიქ-სურხავი. გ. ა.

687. თამარ ბარბაქაძე

„ვეფხისტყაოსანი“ – კ. გამსახურდიას

„დიდოსტატის მარჯვენის“ კომპოზიციური საფუძველი

(თეზისები განსჯისათვის)

გაზ. „კალმასობა“, 1998, № 2, გვ. 10.

როგორც ავტორი წერს, სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია ე.წ. „სიუჟეტის სესხებისა“ და „სიუჟეტის გაუცხოების“ ხერხები. ეპოქაში ამგვარი საყრდენი როლი შეიძლება დაეკისროს კომპოზიციას, რომელიც მწერალს დაეხმარება ჩანაფიქრის მხატვრულ სრულყოფაში.

„დიდოსტატის მარჯვენის“ თავების რაოდენობა (61) თითქმის ემთხვევა „ვეფხისტყაოსნის“ მოცულობას (63 თავი). „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიცია ეფუძნება შემდეგ სიუჟეტურ ქარგას: დაკარგვა – ძიება – პოვნა. ორივე ნაწარმოებში სიუჟეტის მნიშვნელოვანი ნაწილია ნადირობა: „ვეფხისტყაოსანში“ – უცხო მოყმის გამოჩენა და მისი გაუჩინარება; „დიდოსტატის მარჯვენაში“ – მამამზე ერისთავის გაუჩინარება. იქვე – ავაზებით ნადირობა და ქალის ალეგორიული წარმოსახვა ავაზის მხატვრული სახის მეშვეობით.

„ვეფხისტყაოსანში“ ბოროტება ქაჯეთის ციხის სახით არის დაკონკრეტებული; კ. გამსახურდია ასეთად ქორსატეველას ციხეს სახავს, რომლის დამბობა საქართველოს გაერთიანების დასაწყისად აღიქმება. გ. ა.

688. ოლეგ გოლიაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ლიტერატურულ-თეორიული საკითხები

თბ., 1998, 42 გვ.

ნაშრომში წარმოდგენილი და განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ ის ლიტერატურულ-თეორიული საკითხები, რომელნიც საკუთრივ პოემის ლიტერატურულ კანონებს, წესებს, ეტიკეტს მიემართება. ნარკვევი პოპულარული ხასიათისაა, განკუთვნილია სტუდენტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის. ამის გამო ავტორი ეყრდნობა და ითვალისწინებს ცნობილ რუსთველოლოგთა მოსაზრებებს.

პოემის ლიტერატურული ეტიკეტის რაობის წარმოჩენისათვის მკვლევარი განიხილავს თხზულების ფრაზეოლოგიურ ნორმებს, მსოფლმხედველობას, ფილოსოფიურ კონცეფციას, ალუზიებს, ფიქციებს, ჩუქება-ბოძებას, ესთეტიკურ კანონზომიერებებს და სხვ. (გვ. 5-14).

ცალკე სათაურებით არის გამოყოფილი: ტარიელი – ვეფხისტყაოსანი რაინდი (გვ.15-23); ფიქციები „ვეფხისტყაოსანში“ (გვ. 24-28); ავთანდილი – იდეალური გმირი (გვ. 29-40). „გამოყენებულ ლიტერატურაში“ (გვ.41-42) დასახელებულია 24 ავტორის ნაშრომები. **გ. ა.**

689. ნანა გონჯილაშვილი

**„ვეფხისტყაოსნის“ სიმბოლიკისათვის
(მარგალიტი, „თვალი ერთი“ და სამკლავე)**

*ფილოლოგიის ფაკ. და თსუ ფილიალების I სამეცნიერო სესია,
თბ., 1998, თეზისები, გვ. 33-35.*

თინათინი ავთანდილს მარგალიტს ატანს („ქალმან მისცა მარგალიტი“). მარგალიტი ქრისტეს სიმბოლოა. „მეფე ქალი მოყმეს თითქოს ქრისტეს სუფევას ატანს, სიყვარულის სიკეთისა და სიბრძნის სიმბოლოს“... „თინათინის მკლავსა ნაბამი მარგალიტი მისი სულიერების ნაწილია... ამგვარი ძღვენით თინათინი თითქოს თავის სახებას აფუძნებს ავთანდილის ცნობიერებაში.“

პოემის ფინალში ნესტანმა თინათინს ავთანდილის ხელით გაუგზავნა „ერთი თვალი“, რაც აქ ქრისტიანულ მოძღვრებას უნდა გულისხმობდეს, ვითარცა „ბალავარიანში“ ქრისტიანული სარწმუნოების სიმბოლო – თვალი პატიოსანი.

ნესტანისგან ნაჩუქარი სამკლავე ტარიელისათვის „უსახო სახეა“, სიცოცხლეა, „ყოველგვარ ამქვეყნიურზე ამაღლებაა. იგი ესთეტიკური რაობაა. მასში წამყვანია ის აზრი, რომ მისი ხატება და სიყვარული ზეციერებისაკენ ისწრაფვის“.

690. მერი გუგუშვილი

ვუკოლ ბერიძის რუსთველოლოგიური ნააზრევი

კრებ. „ლიტერატურული ძიებანი“, XIX, თბ., 1998, გვ. 190-199.

ნარკვევში მოცემულია ვ. ბერიძის რუსთველოლოგიური მოღვაწეობის ზოგადი განხილვა და შეფასება. ყურადღება მახვილდება ცალკეულ პრობლემებზე, რომელთაც ვ. ბერიძე იკვლევდა. ასეთებია: „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის საკითხი, „და“ კავშირის ხმარება სტროფის მეოთხე ტაეპის დასაწყისში, ტირილის მოტივი, პოემის მთავარი გმირი, რუსთველის ლექსის მეტრი და რიტმი, პოემის პროლოგის სტროფული შედგენილობა, რუსთველის თეორიული თვალსაზრისი პოეზიაზე, „ვეფხისტყაოსნის“ დასასრული და ე.წ. ინდო-ხატაელთა ეპიზოდის საკითხი და სხვ.

აღნიშნულია ვ. ბერიძის დიდი წვლილი პოემის 1937 წლის საიუბილეო გამოცემის მომზადებაში და, საერთოდ, მისი დამსახურება რუსთველოლოგიაში, როგორც ერუდირებული, კვალიფიციური და დიდი შემოქმედებითი ენერჯის მქონე მკვლევრისა. **გ. ა.**

691. ლ. დათაშვილი და სხვები

კომპაქტდისკი „შოთა რუსთველი“

ჟურ. „ქართული ლიტერატურა“, თბ., 1998, № 2, გვ. 119-120.

ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ საქრთველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალურ ინსტიტუტში და განათლების სამინისტროს თბილისის ინფორმატიკის სასწავლო-მეთოდურ ცენტრში „მზიური“ მომზადდა პირველი კომპაქტდისკი ქართულ ლიტერატურაში „შოთა რუსთველი“. მასში წარმოდგენილია ოთხი თავი: რუსთველის

ბიოგრაფია, რუსთველის თხზულებანი, რუსთველი ლიტერატურასა და ხელოვნებაში, რუსთველი და XX საუკუნის საქართველო.

კომპაქტდისკი ბიოგრაფიული ცნობების გარდა მოიცავს ფოტო, აუდიო და ვიდეო მასალას რუსთველზე, ინფორმაციას მისი ორივე იუბილეს შესახებ.

ავტორები არიან: ლალი დათაშვილი, ფატი ფირუაშვილი, მაია ჯალიაშვილი. პროგრამისტია თეიმურაზ მდინარაძე, დიზაინერი – მალხაზ ინჯგია. **გ.ა.**

692. მაკა ელბაქიძე

სიყვარულის და პოეზიის ურთიერთმიმართებისათვის „ვეფხისტყაოსანსა“ და შუა საუკუნეების ევროპულ ლიტერატურაში

*ფილოლოგიის ფაკ. და თსუ ფილიალების I სამეცნიერო სესია, თეზისები,
თბ., 1998, გვ. 42-44.*

შუა საუკუნეების ლიტერატურაში ჩამოყალიბდა პრინციპი, რომ პოეზია და მიჯნურობა ურთიერთკავშირშია, რომ სიყვარული ადამიანს ანიჭებს პოეტური შემოქმედების უნარს, რომელიც სატრფოს საქებრად უნდა იყოს მიმართული (ბერნარდ ვენტადორელი, მე-12 საუკ.); რომ შეყვარებულს ტრფობის მხოლოდ ერთი ობიექტი უნდა ჰყავდეს; მეტრფე სატრფოს უნდა ემსახუროს და სანაცვლოდ არაფერი მოითხოვოს.

იგივე აზრია „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის მე-18 სტროფში:

„ხამს მელექსე ნაჭირვებსა მისსა ცუდად არ აბრკობდეს,
ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშიკობდეს.
ყოვლსა მისთვის ხელოვნობდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს,
მისგან კიდე ნურა უნდა, მისთვის ენამუსიკობდეს.“

ეს დამთხვევა აიხსნება იმ ეპოქაში ჩამოყალიბებული ლიტერატურული გემოვნებისა და ტენდენციების მსგავსებით.

693. თამაზ ვასაძე

პერსონაჟები - ცოცხალი ადამიანები

ჟურ. „ქართული ლიტერატურა“, თბ., 1998, № 1, გვ. 45-50.

ავტორის მიზანია გარკვეოს „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი პერსონაჟის ქცევის მოტივაცია. მაგ.:

1) ძლიერი მონარქი სარიდანს რატომ ამბობს ნებაყოფლობით უარს ძალაუფლებაზე და რატომ გადასცემს თავის ქვეყანას ფარსადანს? ამის მიზეზად თქმულია: „ხალვა მოსძულდა“ – განმარტება: „მარტობა მობეზრდა“ ზუსტი არაა. ეს გამოთქმა შეიძლება ამგვარად გავიგოთ: სარიდანს მობეზრდა ხალვათად, უზრუნველად, უქმად ყოფნა; მის შესაძლებლობებს მცირე ქვეყნის მასშტაბი არ შეეფერება და სურს მოიპოვოს უფრო დიდი, გაშლილი სივრცე – „სრული ინდოეთი“ – თავისი მხედრული პოტენციის და ღირსების გამოსავლენად.

2) პრობლემატურია ინდოეთის სამეფო კარზე მომხდარი ტრაგედიის მიზეზები; რატომ არ სურს ფარსადანს ნესტანისა და ტარიელის დაქორწინება, რატომ იწვევს სასიძოდ ხვარაზმშას ძეს? მკვლევრის აზრით, ამის მიზეზი ისაა, რომ ფარსადანი ხედავს, ძალაუფლებისაკენ როგორ ძლიერად ილტვიან ნესტანი და ტარიელი, რომელიც ხატაელებთან ომიდან გამარჯვებული და სახელმძღვანელო დაბრუნდა. ფარსადანი შემფოთებულია იმით, რომ ტარიელის და ნესტანის სიყვარულს მალე წინ ვედარაფერი აღუდგება, რაც მისთვის რეალური ძალაუფლების დაკარგვას მოასწავებს. ამიტომ გადაწყვეტს საჩქაროდ მოიწვიოს ხვარაზმეელი უფლისწული ზესიძედ, რომელიც მისთვის უცხო გარემოში ფარსადანს საფრთხეს ვერ შეუქმნის.

ფარსადანის სახე ცბიერი პოლიტიკოსის იშვიათი სიფაქიზით შესრულებული სახეა. იგი თვალსაჩინოდ ასახიერებს „სიცრუეს და ორპირობას“, რაც სახელმწიფოსთვის ყოველთვის არ იძლევა სასიკეთო შედეგს. **გ. ა.**

694. ხვთისო ზარიძე

„ბრძენი დივნოს გააცხადებს“...

კრებ. „ლიტერატურული ძეგანი“, XIX, თბ., 1998, გვ. 216-228.

ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ სიკეთის ძლევა მოსილებს დ. არეოპაგელისეული იდეა განსაზღვრავს „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის განვითარებას და მის დასასრულსაც. შ. ნუცუბიძემ განსაზღვრა (მონიშნა) პოემის ის დიდი ნაწილი (112-ე სტროფიდან 1486-მდე), სადაც ჩანს არეოპაგეტულ აზრთან შეფარდებული მოქმედების დინამიკა. მაგრამ შემდეგ, წერილში „მთლიანი ვეფხისტყაოსნის პრობლემა“ თვითონვე დაარღვია ლოგიკით მიგნებული ჭეშმარიტება და სიკეთისა და ბოროტების პერმანენტული ცვალებადობის თეორია აღიარა.

არეოპაგეტული იდეის განვითარების მხრივ პოემის სიუჟეტში გამოიყოფა სამი მომენტი:

1) პერსონაჟთა განწყობილების მკვეთრი სასიკეთო ცვლილება. ეს იმის შემდეგ ხდება, როდესაც გმირები ნესტანის ადგილსამყოფელს გაიგებენ და მისი გამოხსნის იმედი გაუჩნდებათ. ხასიათის ცვლილება (სიხარულის დაბრუნება, სიცოცხლისა და ბრძოლის სურვილი) განსაკუთრებით ტარიელს ეტყობა.

2) რწმენა, რომ განგების კეთილი ნება პოემის გმირების მფარველია და ყველა დაბრკოლებას დაძლევს.

3) სიკეთისა და სამართლიანობის გამარჯვება უნდა იყოს პოემის კომპოზიციური შემკვერელი.

ქაჯეთის ციხის გატეხისა და ნესტანის გათავისუფლების შემდეგ გმირები მულღაზანზარში დაბრუნდნენ, იქედან კი არაბეთში გაემგზავრნენ. ამ ქვეყნის ჰარმონიული განვითარების ბუნებრივი პროცესი შეფერხებული იყო უცხო მოყმის უეცარი გამოჩენით და მის ძებნასთან დაკავშირებული ამბებით. ახლა კი, ავთანდილის დაბრუნებით ყველამ გაიხარა, მეფემ ის თინათინის მეუღლედ და „მეფედ“ აღიარა. „პოემის დასასრული დასაწყისს დაემთხვა პარალელიზმის იმ კანონის მიხედვით, რაც წრიული კომპოზიციით აგებული თხზულებისათვის არის დამახასიათებელი. „ინდო-ხატაელთა ამბავი“ კი მის გარეთ დარჩა, როგორც კონცეპტუალურად უცხო და მიუღებელი ამ მთლიანობისათვის“ (გვ. 227). **გ. ა.**

695. ხ. ზარიძე

ორი საფეხური და ერთი წრე

(ვეფხისტყაოსნის სიმბოლიკა

„ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტსა და კომპოზიციისაში)

გაზ. „ლიტ საქართველო“, 1998, 3-10 ივლისი, № 27, გვ. 5.

როგორც ავტორი წერს, ვეფხი, როგორც სიმბოლო, ნესტანს მიემართება და გარკვეული ტრანსფორმაციის შემდეგ ტარიელის სიმბოლოც ხდება. პოემაში ამ სიმბოლოს სიუჟეტურ-კომპოზიციური ფუნქციაც აქვს. არაბეთში ტარიელი გამოჩნდა როგორც ვეფხის ტყავით შემოსილი უცნობი მოყმე, რამაც აღძრა მისი ვინაობისა და ასე უცნაურად შემოსვის მიზეზის გარკვევის სურვილი. სიუჟეტის განვითარების კვალდაკვალ მკითხველი გეზულობს, რომ ვეფხისტყაოსნობა ტარიელის ტრაგიკული მდგომარეობის ერთ-ერთი ნიშანია. პოემის პერსონაჟების მოქმედება მიმართულია ამ მდგომარეობის დაძლევისაკენ. მათი მცდელობა წარმატებით სრულდება და არაბეთში ტარიელის მეორედ გამოჩენით ხდება პოემის დასაწყისში დამდგარი პრობლემის გადაჭრა - თინათინისა და ავთანდილის ქორწინება.

მკვლევრის აზრით, ეს გახლავთ დასაწყისისა და დასასრულის პარალელიზმი, რაც წრიული კომპოზიციით აგებული თხზულებების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია.“ **გ. ა.**

696. ბ. ზარიძე

„კოკასა შიგან რაცა დგა“
გაზ. „კალმასობა“ 1998, № 8, გვ. 9-10.

წერილი წარმოადგენს მ. თავდიშვილთან ავტორის დავის გაგრძელებას „ვეფხისტყაოსნის“ 1328-1329 სტროფების მეტაფორული შინაარსის გამო. ავტორი იმეორებს 1996 წ. 3 მაისის „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ სადავო სტროფებში დახატული სურათი ნამდვილ, რეალურ გაზაფხულს კი არ გულისხმობს, არამედ რუსთველი პირობითობას მიმართავს „პერსონაჟთა სულიერი გაზაფხულის საჩვენებლად“. 1329-ე სტროფში („აგრგვინდა ცა და ღრუბელნი ცროდეს ბროლისა ცვართა“) ნამდვილი წვიმა კი არაა, არამედ ეს ავთანდილის ტირილის, მისგან დადენილი ცრემლის მეტაფორული ასახვაა.

ბ. ზარიძის სიტყვით, უსამართლოა მ. თავდიშვილის ბრალდება, თითქოს მას ეთქვას, რომ ავთანდილი ზღვიდან კონტინენტზე ზაფხულში, ივნისის მესამე დეკადაში, სარატანზე მზის გადაჯდომისას გადადის. ამ სტროფში დრო მხოლოდ პირობითია, – „აქ არც მარტია, არც აპრილი, არც მაისი და არც ივნისი“. გ. ა.

697. მურმან თავდიშვილი

„ფიცი მწამს, ბოლო არ მაკვირვებს“
გაზ. „კალმასობა“, 1998, № 10, გვ. 9-10.

ავტორი პასუხობს ბ. ზარიძის წერილს („კალმასობა, 1998, №8), რომლიც ეხებოდა „ვეფხისტყაოსნის“ 1328-1329 სტროფების შინაარსის გაგებას.

მ. თავდიშვილის თქმით, ბ. ზარიძეს არასწორად ესმის მეტაფორა „ბროლის ცვარი“, რომელიც ზოგჯერ ცრემლსაც აღნიშნავს, მაგრამ სადავო სტროფში ნამდვილად წვიმა იგულისხმება, რადგან პირდაპირი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ, როგორც ბუნების მოვლენა („აგრგვინდა ცა და ღრუბელნი ცროდეს...“).

ავტორის აზრით, უმართებულოა „მოწურვილ იყო ზაფხული“-ს ბ. ზარიძისეული გაგება, – „ზაფხული იდგა“. სინამდვილეში ეს გამოთქმა ნიშნავს: მოახლოებულ იყო ზაფხული“. „მოწურვილ იყო“ ეკუთვნის არა მარტო „ზაფხულს“, არამედ „ეტლის ცვალებას მზისაგან“ და სარატანის ზოდიაქოში გადასვლას. მოახლოებული იყო ზაფხული და მზის გადაჯდომა სარატანზე, რაც 23 ივნისს ხდება. „ამ დროს მაისის ყუყუნა წვიმაც წამოვიდა“. გ. ა.

698. მ. თავდიშვილი

**რითმისწინა გახმოვანების რუსთველური სისტემა
და სპარსული პოეზია**

ფილოლოგიის ფაკ. და თსუ ფილიალების I სამეცნიერო სესია, თეზისები,
თბ., 1998, გვ 48-49.

რუსთველი ცდილობს საკატრენო სარიტმო კლაუზულას წინ დაუხვედროს ერთი, ორი ან მეტი ერთნაირი ხმოვანი და ამით რითმის ევფონია გააძლიეროს. ასეთი გახმოვანება, რომელიც საერთოა ოთხივე ტაეპისათვის, შეადგენს 25 პროცენტს, 3 ტაეპისთვის – 31 პროცენტს და ორი ტაეპისთვის – 36 პროცენტს.

ასეთივე ხერხი გამოყენებულია სპარსულ პოეზიაში, კერძოდ, ხაყანი შირვანელის (1120-1190) ერთ-ერთ ყასიდაში (იხ. ა. გვახარია, ნარკვ. ქართ.-სპარსული ლიტ. ურთ. ისტ., 1995, გვ. 127).

699. ინგა კალაძე

შუა საუკუნეების ეპიკური პოემის პროლოგი და „ვეფხისტყაოსნის“ ჟანრი

აღმოსავლეთმცოდნეთა მეორე საერთაშორისო კონფერენცია, თეზისები, ქუთაისი, 1998, 11-14 ივნისი.

მოხსენება ეხება „ვეფხისტყაოსნის“ ჟანრის დეფინიციას. უარყოფილია მოსაზრებანი „ვეფხისტყაოსნის“ „სარაინდო“, „სამიჯნურო-სარაინდო“ რომანად ან, „რომანტიკულ-გმირულ“ პოემად მიჩნევის შესახებ. ავტორის აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ სავსებით თავსდება შუა საუკუნეების სამიჯნურო რომანის ჟანრულ სქემაში. მასში საგმირო მოტივი მხოლოდ რუდიმენტის სახით არსებობს.

„ვეფხისტყაოსნის“ ჟანრის ასეთ დეფინიციას ადასტურებს ეპიკური პოემების პროლოგის ანალიზიც. განხილულია ნიჰამი განჯელის პოემების პროლოგები, სადაც მოცემულია სიყვარულის გრძნობის თეორიული განსჯა. რუსთაველის პოემა პირველი თხზულებაა ნიჰამის შემდეგ, რომლის პროლოგში ასე ვრცლად განიხილება მიჯნურობის თეორია. ეს ორიენტაციას გვაძლევს თხზულების ჟანრზე.

700. ცოტნე კიკვიძე

რეპლიკა

გაზ. „კალმასობა“, თბ., 1998, № 12, გვ. 3.

რეპლიკა დაწერილია მ. კარბელაშვილის ნარკვევის პასუხად („მაცნე“, 1997, № 1-4). ავტორი ადასტურებს თვალსაზრისს, რომ აუცილებელია კონიექტურა: „**დღე, ჰგვანდა, არს აღვსებისა**“, რადგანაც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისათვის მიუღებელია არ-ნაწილაკიანი წარმოება კონკრეტული სახელწოდებებიდან; არ შეიძლება: არწავრობობა, არშობა, არაღდგომა, არაღვსება.

ამრიგად, როგორც სიტყვათწარმოების მხრივ, ისე სინტაქსურად დაუშვებელია ასეთი წინადადება: „დღე ჰგვანდა არაღვსებისა“.

(შდრ. ჟურ. „ბალავარი“, 1988, № 1, გვ. 83-84). **გ. ა.**

701. ც. კიკვიძე

კიდევ ერთი წარუმატებელი მცდელობა

ჟურნ. „ქართული ლიტერატურა“, თბ., 1998, № 2, გვ. 89-93.

ავტორი განიხილავს თამარ ბარბაქაძის მიერ შედგენილ და გამოცემულ წიგნს „ვეფხისტყაოსანი მოსწავლეთათვის“ (თბ. 1997), რომლის დანიშნულება ყოფილა პოემის აზრობრივად რთული ადგილების გაგების გაადვილება. რეცენზენტის აზრით, დასახელებული წიგნი ამ დანიშნულებას ვერ შეასრულებს, ვინაიდან მასში პოემის სტროფების შინაარსი ძალიან მოკლედ არის გადმოცემული, არაა ახსნილი სპეციფიკური ტერმინები და ცნებები, არც მხატვრული სახეები (მეტაფორები, სიმბოლოები და სხვ). წიგნში გვხვდება ფაქტობრივი შეცდომები და არასწორი განმარტებები. **გ. ა.**

702. ც. კიკვიძე

მნიშვნელოვანი გამოკვლევა „ვეფხისტყაოსნის“ პოეტურ ენაზე

გაზ. „კალმასობა“, 1998, № 1, გვ. 5-6.

ავტორი განიხილავს თ. ბოლქვაძის წიგნს „პოეტური პარალელიზმი „ვეფხისტყაოსანში““ (თბ., 1997), აღნიშნავს, რომ საკვლევი პრობლემა აქ შესწავლილია მისი ფუნქციის თვალსაზრისით, თანაც პოეტური პარალელიზმის ფაქტები კვალიფიცირებულია თანამედროვე ზოგადი პოეტიკის დონეზე. რეცენზენტი ჩერდება წიგნში მოტანილ მაგალითებზე და ადასტურებს თითქმის ყველა მათგანის კვალიფიკაციის მართებულობას; ვრცლად განიხილავს

„ხევა“ სიტყვის მნიშვნელობას ძველ ქართულში და არ ეთანხმება წიგნის ავტორს (და ზ. სარჯველაძეს) „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში ხმარებული ამ ზმნის შინაარსის გაგებაში.

რეცენზენტის დასკვნით, თ. ბოლქვაძის წიგნი მონოგრაფიული ხასიათის გამოკვლევაა, სადაც ამომწურავადაა შესწავლილი პოეტური პარალელიზმის ფუნქცია „ვეფხისტყაოსანში“, ნაჩვენებია, რომ სტროფის სემანტიკურ ორგანიზაციას პარალელიზმის პრინციპი განაპირობებს.

გ. ა.

703. ზურაბ კიკნაძე

„მართალი სამართალი“

თსუ ფილიალების I სამეცნიერო სესია, თეზისები, თბ., 1998;

ავრ. – ჟურ. „ცისკარი“, 1998, № 10, გვ. 105-107.

„მართალი სამართალი“ ორჯერ გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“ და ორივეჯერ მას ნესტანი ახსენებს. პირველად – ხვარაზმელი სასიძოს მოკვლის განზრახვის გამართლებისთვის, მეორედ კი – ქაჯეთის ციხიდან გამოგზავნილ წერილში.

ნესტანი და ტარიელი უცხო სასიძოს მოკვლას „მართალი სამართლის“ აღსარულებლად თვლიან, მაგრამ ეს მათი პოზიციაა და შეუძლებელია, რომ ავტორი (რუსთველი) მათ თანაუგრძობდეს და ამართლებდეს. „გამომეზინა უცხოელი უფლისწულის სახით განტევიების ვაცი, რომლის სისხლს ბრალი უნდა ჩამოეწმინდა რეალური დამნაშავესათვის. მაგრამ სინამდვილეში ამას აკეთებენ მკლევარნი (აბაშიძე, სურგულაძე, ხინთიბიძე...), მათ ვერ გაურჩევიათ ერთმანეთისგან პოემის ავტორი და პოემის გმირი, რომელსაც მინიჭებული აქვს შეცდომის უფლება“ (106).

რეალური დამნაშავე ფარსადანია... მისმა ბრალმა გამოიწვია ნესტანის ბრალი, ნესტანის ბრალმა – ტარიელის ბრალი. ყველამ თავის წილ ბრალზე აგო პასუხი... შეუძლებელია, პოემის ავტორი დასტურს სცემდეს იმ მოქმედებას, რომელსაც, ხსნის ნაცვლად, დიდი უბედურება და განსაცდელი მოაქვს გმირებისათვის. ავტორი ამ აქტის შეფასებას ტარიელის აღიარებით გვიცხადებს: „უსისხლოდ მოვკალ იგი, გლახ, თუცა ხმდა სისხლისა დენით“. დამაჯერებელია ალ. ფოცხიშვილის განმარტება: „მოვკალ ისე, რომ დანაშაულისათვის პასუხი არ მიგია, სისხლი არ გადამიხდია“. ტრაგიკული განცდის გამოხატულებას ხედავს ნ. ნათამეც („ვეფხ. ფილოსოფ. მოტივები“, გვ. 100).

მეორე შემთხვევაში ნესტანი წერს: „ცან სამართალი მართალი გულისა გულსა მივა რად“. ეს სტრიქონი არაა ნათელი (ბოლომდე, უცდომრად გასაგები), ის კი ცხადი უნდა იყოს, რომ „მართალი სამართალი“ იურიდიული სფეროდან გულის, განცდის სფეროში ინაცვლებს... ნესტანი თითქოს ამბობს: „აჰა, გაიგე რა ყოფილა მართალი სამართალი, ეს გულთა ურთიერთობა ყოფილა; ერთადერთი სიმართლე და სამართლიანობა ის არის, რასაც ერთი გული მეორეს ეტყვის...“

ნესტანის წერილში იგრძნობა სინანული სამართლის სახელით ჩადენილი აქტის გამო... ერთადერთი სინანულის ცრემლებია, რომელთაც ნამდვილად გაანედღეს გამხმარი ხე. გ. ა.

704. ლადო კოტეტიშვილი

საექიმო იდეები „ვეფხისტყაოსანში“

თბ., 1998, 3-22 გვ. რედაქტორი ნ. კოტეტიშვილი

წიგნაკს შესავლად ერთვის პროფ. მ. გუგუშვილის წინასიტყვაობა (გვ. 3-5), სადაც მოცემულია ლ. კოტეტიშვილის ამ ნაშრომის ზოგადი მიმოხილვა და შეფასება.

ნ. კოტეტიშვილის ნარკვევში „მამაჩემი – ლადო კოტეტიშვილი“ (გვ. 5-8) წარმოდგენილია ექიმ ლადო კოტეტიშვილის ცხოვრების გზა. მისი საექიმო და მეცნიერული მოღვაწეობა.

თვით გამოკვლევაში: საექიმო იდეები „ვეფხისტყაოსანში“, ავტორს მიზნად დაუსახვს იმის გამორკვევა, ჰქონდა თუ არა რუსთაველს ექიმური ცოდნა. კვლევის შედეგად ავტორი დაასკვნის, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ზედმიწევნით არის მოცემული ის არაბულ-ქართული

ექიმურ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, რომელიც გავრცელებული იყო იმდროინდელ საქართველოში. პოემაში ასახულია XII-XIII ს. ქართული მედიცინის მთავარი მომენტები, რაც ნაჩვენებია ამავე საუკუნის საქიმო წერილობით ძეგლში „წიგნი სააქიმოი“. გამოკვლევაში არის მსჯელობა მზის სიმბოლიკაზე, ვეფხის ტყავის სიმბოლიკაზე, სხვადასხვა დაავადების ხასიათსა და მათი მკურნალობის საშუალებებზე. **გ. ა.**

705. შალვა მარკოზაშვილი

გამოჩენილი რუსთველოლოგი

(ს. იორდანიშვილის დაბადების 100 წლისთავისათვის)
„სალიტერატურო გაზეთი“, თბ., 1998, ნოემბერი, № 19, გვ. 9.

სტატიაში ზოგადად შეფასებულია სოლომონ გიორგის ძე იორდანიშვილის მოღვაწეობა რუსთველოლოგიაში. დასახელებულია, რომ მისი საკანდიდატო დისერტაციის თემა იყო „ვეფხისტყაოსნის ბალმონტიესული თარგმანი“. მასვე ეკუთვნის საყურადღებო გამოკვლევები პოემის ხელნაწერებსა და ტექსტის საკითხებზე.

ს. იორდანიშვილმა რუსულ ენაზე სიტყვასიტყვით თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, რაც აუცილებელი სამაგიდო წიგნი გახდა უცხო ენებზე პოემის მთარგმნელთათვის. 1936-37 წლებში იგი იყო რუსთაველის საიუბილეო კომისიის მდივანი, ადგენდა სამუშაო სხდომების ოქმებსა და ანგარიშებს, რომლებშიც სპეციალისტებისათვის ძვირფასი მასალაა დაცული. მანვე, ელისაბედ ორბელიანთან ერთად, ფრანგულ ენაზე ლექსად გადათარგმნა რუსთაველის პოემა, აგრეთვე რედაქცია გაუკეთა მ. უორდროპისეულ ინგლისურ თარგმანს. **გ. ა.**

706. გიორგი მჭედლიშვილი

რუსთაველისა და მისი ეპოქის ისტორიული პრობლემები

ჟურ. „საქართველო“, № 3, თბ., 1998, გვ. 65-75; აგრ. ავტორის წიგნში –
შუა საუკუნეების ქართული პოლიტიკური აზრი და „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 2000, გვ. 6-17.

ავტორი აღნიშნავს, რომ XII-XIII საუკუნეების საქართველოს ოფიციალური ისტორიკოსები (თამარ მეფის ცხოვრების ავტორები, ჟამთააღმწერელი და სხვ.) არ იძლევიან სახელმწიფოს იმდროინდელი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ურთიერთობების ობიექტურ სურათს. ისინი ყოველმხრივ ამართლებენ და ხოტბას ასხამენ სამეფო ხელისუფლების იდეოლოგიასა და მოქმედებას, ბუნწად და ბუნდოვნად საუბრობენ ოპოზიციურად განწყობილ ჯგუფებსა თუ პიროვნებებზე (მაგ., ლიპარიტ ორბელიანი, ყუთლუ არსლანის დასი, დემნა უფლისწული და მისი მხარდამჭერნი).

ამ ნაკლის შესავსებად აუცილებელია სხვა წყაროების, მათ შორის „ვეფხისტყაოსნის“ გამოყენება. აღიარებულია, რომ რუსთაველის თხზულება თავიდან ბოლომდე ალეგორიას წარმოადგენს. პოემა, როგორც მხატვრული ნაწარმოები, შეიცავს ცხოვრებისეულ მოვლენებს ავტორის წარმოსახვაში. ის შექმნილია დიდი მოაზროვნის მიერ, რომელსაც მხატვრული სიტყვით შეეძლო გადმოეცა მძვინვარე ეპოქის დუდილი. **გ. ა.**

707. რამაზ პატარიძე

„წიგნსაცა აგრე სწერია“

(ფატმანის ერთი გაუგებარი გამონათქვამის გამო)

გაზ. „ლიტ, საქართველო“, 1998, 22-29 მაისი, № 21, გვ. 5

ავტორი ცდილობს სწორი გააზრება მოუძებნოს ფატმანის სიტყვებს, ჭაშნაგირის სიკვდილის შემდეგ კმაყოფილი ქალი რომ ამბობს:

„აწ ამას იქით ვნატრიდე ჩემსა ეტლსა და წერასა,
აღარ ვიშიშვი სიკვდილსა, ჰაი, ჩავიჭერ ქვე რასა!“

ჩავიჭერ სათავისო ქცევის ზმნაა. მთელ ფრაზას ასე განმარტავენ: სხვა საფრთხეში რაღაც ჩავვარდები (თ. ზაგრატიონი), ან: რა საქმეში ვიყავი ჩავარდნილი! (ა. ჭინჭარაული). მკვლევრის თქმით, ორივე განმარტება ვარაუდია, ამიტომ ჩნდება სურვილი უფრო ზუსტი შინაარსის მიგნებისა, რის შესაძლებლობას ხელნაწერებში არსებული ვარიანტული წაკითხვა იძლევა; ნუსხების უმრავლესობაში სტრიქონის მეორე ნახევარი ასე იკითხება: „ჰაი, ჰაი, ქვე ჩავიჭერ ასა“.

მკვლევარი ვარაუდობს, რომ ბოლო სიტყვა ასა არის იგივე **ჰასა**, საბას განმარტებით – **ილაო**, ნაწლავის გამონასკვის ტკივილი, „სენი კოლინჯი“. „თუ ფატმანის უდიერ ქცევას და უხამსსა და უხეშ საუბარს, ზოგჯერ ბილწისტყვაობასაც გავიხსენებთ, ეს გამონათქვამიც უადრესად ფატმანისეულია: რაკი ჭაშნაგირი მოიკლა, სიკვდილისა აღარ ეშინია, საკუთარი სხეულის მომაკვდინებელი სენი მოიშორა – მყრალი ნაწლავი მოიკვეთა...“

ავთანდილი კი ჭაშნაგირს „მოყვარე მტრად“ თვლის და ფატმანს ეუბნება: „წიგნსაცა აგრე სწერია: მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია..., ნუღარ იშიშვი იმისგან, აწ იგი მკვდართა ფერია“. **გ. ა.**

708. ნესტან სულაგა

„მსგავსია ედემს ზრდილისა“

კრებ. „კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა“, თბ., 1998, გვ. 5-9.

პოემის გმირთა რჩეულობას ადასტურებს ისეთი მეტაფორები, როგორებიცაა: „ედემის ხე“, „ედემს ნაზარდი ალვა“, „მსგავსია ედემს ზრდილისა“... მათ ღრმა, სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭებათ, ...“ტარიელი საკუთარ თავს „ედემს ზრდილად“ ცოდვის ჩადენამდე მიიჩნევს“ (7).

სიმბოლო ადამიანისა – ხე, უმეტესად ალვა, არის ღვთის მიერ საუკეთესო ადგილზე დანერგილი... მეტაფორა უძველესია... ქრისტიანულ მწერლობაში „ედემს ზრდილი“, „ედემის ნერგი“ სამოთხეში დამკვიდრებულ ადამს, ჯერ უცოდველს გულისხმობს (7).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 715-ე სტორფი (ვინ გუშინ ედემს...). იგი სიმბოლურია და ალეგორიულიც. „ედემს ნაზარდი ალვა“ სიცოცხლის ხეს გულისხმობს, იგი ადამს ბედნიერ ცხოვრებას უქადდა და უკვდავს ხდიდა...

ადამმა დაკარგა სამოთხე და მას წილად ხვდა სიკვდილი. ედემს ზრდილი ალვის ხის მეტაფორა მიანიშნებს გმირის ლტოლვას სრულყოფილებისაკენ, სწრაფვას პირველსახესთან მიმსგავსებისა (8). **გ. ა.**

709. ნინო ტონია

„ღმერთის მტერობა“ „ვეფხისტყაოსანში“

ჟურ. „კლდეკარი“ (გორი), 1998, № 1, გვ. 200-214.

წერილის ძირითად დებულებებს ავტორი ასე გადმოსცემს: რუსთაველის პოემაში პერსონაჟების ორი კატეგორიაა წარმოდგენილი:

1. „ღმრთისა მტერნი“ (ზოგადად), აგრეთვე: უსენი, ჭაშნაგირი, ოსტა-სრა.
2. ღმრთის ნების აღმსრულებელნი არიან: ავთანდილი, როსტევანი, თინათინი, ასმათი, ფატმანი, ტარიელი.
3. „ღმრთის მტერობა“, როგორც ტერმინი, წმინდა წერილისეული რემინისცენციაა პოემაში; მას ტერმინის მნიშვნელობა აქვს და არა უბრალო შესიტყვებისა.
4. „ღმრთის მტერობა“ ისეთივე პრობლემურ სახეს იღებს პოემაში, როგორსაც მიჯნურობა, მეგობრობა, კაცთმოყვარეობა.
5. „ღმრთის მტერობის“ იდეის მართლმადიდებლური პოზიციით გაანალიზება რუსთაველის ქრისტიანულ აღმსარებლობას კიდევ ერთხელ ადასტურებს. **გ. ა.**

710. გრივერ ფარულავა

**„სიბრძნის დარგი
საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი“**

ჟურ. „ქართული ლიტერატურა“, თბ., 1998, № 2, გვ. 3-29.

ნარკვევში განხილულია ხელოვნება და ლიტერატურა, როგორც მშვენიერების წვდომისა და განცდის ფენომენი და წყარო მისგან მიღებული სიამოვნებით ტკბობისა. „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის სტორფს „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“... მკვლევარი შემდეგ კომენტარს ურთავს: პირველი სტრიქონის „სიბრძნე“ არ ნიშნავს ამა სოფლის სიბრძნეს, მიწიერი სინამდვილის მეცნიერულ კანონზომიერებათა ცოდნას; აქ იგულისხმება სიბრძნე ზემთასოფლისა, ღვთაებრივი სიბრძნე. პოეტური შთაგონება მისგანაა ბიძგმიცემული. იგი მშვენიერების ფორმით ზნეობრივ ღირებულებათა ხიბლს გვინერგავს, სწორად ცხოვრების სიბრძნეს მიგვასწრავებს.

რაკი პოეზია ღვთაებრივი სინათლისკენ გვიკავავს გზას, იგი ღვთაებრივია და საღმრთოდაა გასააზრებელი („გასაგონი“). პოეზია დიდი სარგებლობის მომტანია. ერთი მხრივ, სულიერი განწმენდის, ზნეობრივი ამაღლების გზით იგი მოკვდავს უკვდავებისკენ უკავავს გზას; მეორე მხრივ, ჩვენი მიწიერი ცხოვრების გაუკეთესებასაც შეეწევა („აქაცა ეამების“), რაკი სიკეთისაკენ მიგვაქცევს, მოყვასის თანადგომისაკენ გვიბიძგებს, საზოგადოებრივ ჰარმონიას ეხმარება... (გვ. 10-11). **გ. ა.**

711. რიმა ფირცხალაიშვილი

**„ვეფხისტყაოსნის“
ეპილოგის ერთი ცნების გაგებისათვის**

კრებ. „ლიტერატურული ძიებანი“, XIX, თბ., 1998, გვ. 200-215.

გამოკვლევა ეხება რუსთველის პოემის დასასრულში ხმარებული ტერმინის „საკამათებლად“ შინაარსსა და თხზულების სიმბოლურ-ალეგორიული გაგებისთვის მის მნიშვნელობას. ავტორი აღნიშნავს, რომ ეს წაკითხვაა დაცული ხელნაწერთა დიდ უმრავლესობაში და ავთენტურად უნდა ჩაითვალოს. ყოველგვარი ცდა ნაბეჭდ გამოცემებში მისი შეცვლისა სიტყვებით „მოსახმარებლად“, „საქებარებლად“, „საკუმარებლად“, ან „სახუმარებლად“ – მიუღებელია.

სიტყვას „კამათი“ (კამათობა) ძველ ქართულში ორგვარი მნიშვნელობა ჰქონდა: 1) აზრების გამოთქმა-შეპირისპირება, ცილობა, პაექრობა; 2) გართობა. „საკამათებელი“ იქნებოდა 1) სადავო, საცილებელი, ასახსნელი ანუ იგავი – ალეგორიულად განსამარტებელი; 2) გასართობი. სტრიქონში „ესე ამბავი გავლექსე მე მათად საკამათებლად“ ორივე მნიშვნელობა შეიძლება ვიგულისხმოთ, მაგრამ, მკვლევრის აზრით, რუსთველმა სიტყვა „საკამათებლად“ პირველი მნიშვნელობით იხმარა, რაც მიუთითებს თვით პოემის სიმბოლურ-ალეგორიულ არსზე. ამას მოწმობს XVI ს-ის მოღვაწის სვიმეონ შოთაძის მიმართვა წმიდა გიორგისადმი: „დასაბამითგან გხლებივართ, ქებით ვართ მოკამათენი“. სვ. შოთაძე, მცველი და მხლებელი მეფისა და ლაშქრის წინსაძღოლი წმ. გიორგის ნაწილიანი ჯვრისა, შთამომავალი, ან მოგვარე შოთა რუსთველისა (თორელისა) „ქებით მოკამათეობას“ გაიაზრებს, როგორც რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“, ისე თავისი ოდის მიზნობრიობად“. სვიმეონ შოთაძე „მოკამათედ“ მოიხსენიებს რუსთველსაც და თავისთავსაც (თვით ტერმინიც აღებულია „ვეფხისტყაოსნის“ დასასრულიდან). როგორც ჩანს, სვ. შოთაძე „ვეფხისტყაოსნის“ არსს ალეგორიულად აღიქვამდა, სწორედ წმ. გიორგის კულტთან მიმართებაში, და ეს გარემოება აძლევდა მას საფუძველს თავისი ოდა (შესხმა წმ. გიორგისა) მიზნობრიობის თვალსაზრისით „ვეფხისტყაოსანთან“ შეეფარდებინა (გვ. 209). **გ. ა.**

712. თენგიზ ჩხაიძე

„ვეფხისტყაოსნის“ გმირთა ზნეობრივი პრობლემის გაგებისათვის

„სალიტერატურო გაზეთი“, თბ., 1998, ნოემბერი, № 19, გვ. 8-9.

სტატია არის გამოხმაურება ნაირა გელაშვილის წერილზე („ივერია-ექსპრესი“, 1994, 27 აგვ.), რომელშიც გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართულ ფილოლოგიაში იდეალურ გმირებად არიან აღიარებულნი ტარიელი და ნესტან-დარეჯანი, რომელთაც სამარცხვინო დანაშაული ჩაიდინეს – მძინარე სტუმარი, ხვარაზმშას ძე მოკლეს.

სტატიის ავტორი წერს, რომ მოვლენები დიალექტიკურ ერთიანობაში უნდა განვიხილოთ და პერსონაჟების მოქმედება ისე შევაფასოთ. ნესტანის წინაშე უღმობელი დილემა იდგა: მას ან ტარიელის სიყვარულზე უნდა ეთქვა უარი, რაც მისთვის სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა, ან სხვა, უცხო და უცნობი ადამიანი უნდა გაეწირა სასიკვდილოდ. მან მეორე გზა აირჩია. ნების თავისუფლების ამ ფორმით გამოხატვა ბუნებრივია რენესანსული იდეოლოგიისათვის.

მკვლევრის თქმით, რუსთაველის პოემის გმირთა იდეალურობა იმ ძირითადი ნიშნით უნდა განისაზღვროს, რომ ისინი ზნეობას, სიქველეს, ადამიანურ ღირსებას მაქსიმალური ზომით განასახიერებენ, იმ ზომით, რომლის მიღწევაც აქ, ამქვეყნიურ ცხოვრებაში არის შესაძლებელი. **გ. ა.**

713. აკაკი ხინთიბიძე

ოცმარცვლიანი სტროფი „ვეფხისტყაოსანში!“

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1998, № 1-4; ჟურ. „მნათობი“, 1998, № 5-6, გვ. 100-107.

მკვლევარი ეხება 773-ე სტროფის (შეკრა წითელი ასი ათასი) საზომისა და ავტორობის საკითხს. მისი აზრით, ეს სტროფი პოემის ძირითად ტექსტს ეკუთვნის, ოღონდ თავიდან ის 16-მარცვლიანი უნდა ყოფილიყო. ამის მტკიცებისათვის გასათვალისწინებელია შემდეგი: ანტიკური ხანის პოეტიკაში საზომთა შერევა აკრძალული იყო. ასევე, სპარსული ლიტერატურის კლასიკურმა ხანამ (X-XVს)არ იცის ერთსა და იმავე პოეტურ თხზულებაში სალექსო საზომთა და ფორმათა ცვალებადობის შემთხვევები (დ. კობიძე).

რუსთაველის პოემის ამ ადგილზე საზომის გამოცვლის აუცილებლობა არ არსებობდა (რ. ფირცხალაიშვილი, ალ. ჭინჭარაული). მკვლევარის ვარაუდით, ამ სტროფში საზომის შეცვლა ასე მოხდა: სტროფის მიხედვით შეიქმნა ე.წ. „ციციშვილების სიმღერა“ – „შეესვათ წითელ-წითელი ასი ათასი“, რომლის ტექსტი 20-მარცვლიანია. „შაირის გადაკეთება ფისტიკაურად სიმღერის ჰანგის მეშვეობით უნდა მომხდარიყო“ (105). შემდეგ კი ეს გადაკეთებული სტროფი პოემის ტექსტში ჩართო ნაწილი ციციშვილმა, ცნობილმა ინტერპოლატორმა. **გ. ა.**

714. ა. ხინთიბიძე

დაბალი შაირიდან მაღალზე გადასვლის ხელოვნება

„ვეფხისტყაოსანში“

გაზ. „კალმასობა“, 1998, გვ. 8.

სტროფების ურთიერთშედარების საფუძველზე ა. ხინთიბიძე ასკვნის: „დაბალს შენაცვლებული მაღალი შაირი შინაარსობლივად მასზეა დამოკიდებული. გადასვლას მკაცრად ორგანიზებული ხასიათი აქვს, – მაღალი შაირის პირველი სტრიქონი დაბალი შაირის ბოლო სტრიქონის დაზუსტებას, განვრცობას, განმარტებას წარმოადგენს... შინაარსობრივი სიმაგრეებით განმტკიცებული კავშირი შაირთა წყვილის მუსიკალურ და მხატვრულ სახელობრივ დაპირისპირებაში გადადის. ამ მხრივ მაღალი შაირი ანტიპოდი დაბალი შაირისა. მისი რიტმი უფრო სწრაფია და დინამიკური, რითმები შიდარებით შევსებული და მუსიკალური, ამასთანავე, ზმნური – მოქმედების გამაძლიერებელი.

შაირთა ეს ოპოზიცია, რომელიც დაპირისპირებულთა ერთიანობაში გადადის, სრული ბუნებრივობით, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე მიჰყვება სიუჟეტის მსვლელობას, სრულყოფილად წარმოგვიდგენს პერსონაჟთა ხასიათებს, ამბებს, სიტუაციებს. **ნ. გ.**

715. ვალერი ხინთიბიძე

რენესანსულის შესახებ „ვეფხისტყაოსანში“

ფილოლოგიის ფაკ. და თსუ ფილოლოგიის I სამეცნ. სესია, თეზისები,
თბ., 1998, გვ. 149-150.

ზოგადი განსაზღვრით, რენესანსის მთავარი ნიშანია შუა საუკუნეებში გაუქმებული ანტიკური სამყაროსაკენ მიბრუნება. მაგრამ ანტიკურობაშიც მსოფლგაგება, ესთეტიკა და ხელოვნება ერთგვაროვანი არ იყო. „თამარიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“ ერთი ეპოქის ძეგლებია. მაგრამ პირველი ქრისტიანობის ტენდენციას იზიარებს და არისტოტელეს დიდ ავტორიტეტად თვლის, რასაც ყოველნაირად ახალისებდა ქრისტიანული ეკლესია.

„ვეფხისტყაოსანში“ საპირისპიროს დანახვა შეიძლება: აქ პოემის ფილოსოფიურ საფუძველს ქმნის პლატონური და განსაკუთრებით ნეოპლატონური ნააზრევი. პოემის ეთიკური მონიზმი – სამყაროში სიკეთის არსებობისა – დიონისე არეოპაგელის მოძღვრებიდანაა განვითარებული.

1999

716. გიორგი ავალიანი

ფიქრები „ვეფხისტყაოსნის“ ირგვლივ

გამომც. „ქართლი“, 1999, 62 გვ.

ავტორის თქმით, წიგნი განკუთვნილია როგორც დამხმარე სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების ფილოლოგიის სპეციალობის სტუდენტებისათვის, აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკით დაინტერესებულ პირთათვის.

მკვლევარი მსჯელობს პოემის პროლოგისა და ეპილოგის შინაარსსა და მნიშვნელობაზე. დაუსაბუთებლად და მიუღებლად მიიჩნევს პ. ინგოროყვასა და ზოგი სხვა მკვლევრის მოსაზრებას, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებენ ამ ნაწილების რუსთველისეულობას.

წიგნის 22-24 გვერდებზე დაბეჭდილია თეზისები მოხსენებისა – „მერან“ სიტყვის ფუნქცია „ვეფხისტყაოსანსა“ და საშუალოქართულში. ავტორის დაკვირვებით, ქართული ენის განვითარების ადრეულ პერიოდში სიტყვა **მერანი** ცხენის სინონიმად არ წარმოგვიდგება. ის გამოიყენება როგორც მსაზღვრელი (ზედსართავი) სიტყვებთან: მხედარი, ჯეირანი, შიკრიკი და სხვ. ყველგან ის არის „სწრაფმავალის“ სინონიმი.

„ვეფხისტყაოსანში“ ამ სიტყვის შემცველ კონტექსტებს მკვლევარი ასე გაიაზრებს:

1. „ტაიჭი მიუქს მერანსა“ – მერანს, ანუ სწრაფად მიმავალ მხედარს, ტაიჭი (კარგი ცხენი) მიუქრის, ესე იგი, ჭენებით მიჰყავს.

2. „ზედა ჯდა შავსა ტაიჭსა, – მერანი რამე შავია“, ასე უნდა გავიგოთო: შავ ტაიჭზე იჯდა მერანი, ანუ სწრაფად მიმავალი შავი სახის მხედარი-მოყმე.

ავტორის დასკვნით, სიტყვა „მერანი“ XIX საუკუნეში ნ. ბარათაშვილის ლექსის გავლენით გადაიქცა არსებით სახელად და „განსაკუთრებული თვისებების მქონე ცხენის“ აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულად.

წიგნში განხილულია აგრეთვე „საზოგადოებრივ-სოციალური ჰარმონია ვეფხისტყაოსანში“ (გვ. 35-37) და „აფორიზმების როლი ვეფხისტყაოსანში“ (გვ. 38-62). **გ. ა.**

717. გიორგი არაბული

ომონიმური რითმის ისტორიისათვის ქართულ ლექსში

ი. ჯავახიშვილის სახ. თსუ, საქ. მეცნ. აკად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტ., თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი, გაერთიანებული სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი აკად. გიორგი წერეთლის დაბ. 95 წლისთავისადმი. თეზისები, თბ., 1999, გვ. 5-6; აგრ. კრებ. „ლიტერატურული ძიებანი“ (ქართული ლიტ-ის ინსტ.), XXI, თბ., 2000, გვ. 410-423.

XI-XVIII საუკუნეების ქართული პოეზიის ვერსიფიკაციული ასპექტით განხილვის საფუძველზე ავტორი აკეთებს შემდეგ დასკვნებს:

1. ომონიმური ბოლორიტმა, როგორც გაცნობიერებული ვერსიფიკაციული ხერხი, ქართულ მწერლობაში დამკვიდრდა XVII საუკუნეში, „მაჯამის“ პოეტური ჟანრის გაჩენასთან ერთად.

2. ჩახრუხადის „თამარიანში“ არსებული ე. წ. მაჯამურიტიანი სტროფები (№ 78, 79) ამ თხზულების ავტორს არ ეკუთვნის. ისინი გვიანდელი ჩანართებია და აზრობრივად იმეორებენ ხოტბის ძირითადი ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთს XVI-XVII საუკუნეების სამწერლო ენითა და სტილით.

3. სერიოზული საფუძველი არსებობს „ვეფხისტყაოსნის“ ე. წ. „მაჯამური“ სტროფების არარუსთველურობის მტკიცებისათვის:

ა) მათი გამოყენება ისეთი ვერსიფიკაციული სიახლეა, რომელიც რუსთველის პოეტურ სტილს არ შეეფერება.

ბ) არც ერთ მათგანს თხზულების ტექსტში არ შეაქვს ისეთი ინფორმაცია, სიუჟეტისათვის ფაქტობრივი ღირებულება რომ ჰქონდეს.

გ) ზოგი „მაჯამური“ სტროფის (მაგ., 137 – „ერთგან დასხდეს...“; 493 – „თუცა მიგდის ღვარი ცრემლთა...“; 1022 – „რად სიცხე გულსა...“) შინაარსი მოცემული კონტექსტისათვის შეუფერებელია, ზოგიც (მაგ., 301 – „კაცმან ვით პოვოს...“) ზედმეტი მრავალსიტყვაობით აფერხებს თხრობას და აზრის ლოგიკურ გაგრძელებას. **ნ. მ.**

718. მაცვალა გაჩეჩილაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი

გაზ. „კალმასობა“, 1999, № 6, გვ. 12-13.

წერილი ეხება ვეფხისტყაოსნის პროლოგის მე-16 სტროფში გამოყენებულ შედარებას:

„მეორე ლექსი ცოტაი, ნაწილი მოშაირეთა...“

ვამსგავსე მშვილდი ბედითი ყმაწვილთა მონადირეთა.“

ავტორი არასრულყოფილად თვლის რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში არსებულ განმარტებას და ცდილობს დააზუსტოს გამოთქმების „ბედითი მშვილდი“ და „ყმაწვილი მონადირე“-ს შინაარსი.

ავტორის აზრით, „ყმაწვილი მონადირე“ არ ნიშნავს დამწყებ და გამოუცდელ მონადირეს, მისი წარუმატებლობის მიზეზია უვარგისი მშვილდი. ამ „ბედით“ (უვარგის), მშვილდთან არის შედარებული „მეორე (ცოტა) ლექსის“ ავტორის მცირე ნიჭი, რომელიც პოეტს ვერ აძლევს დიდი თხზულების შექმნის შესაძლებლობას. **გ. ა.**

719. ალექსანდრე გვახარია

გიორგი წერეთელი – „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკის მკვლევარი

სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილ აკად. გიორგი წერეთლის დაბადების 95 წლისთავისადმი. მოხს. თეზისები, თბ., 1999, გვ.12.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ გ. წერეთლის ინტერესთა თვალსაწიერი „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ მოიცავდა მის ტექსტოლოგიას, ვერსიფიკაციას, ლექსიკოლოგიას და სხვ. გამოქვეყნებული აქვს ნარკვევები პოემის ლექსიკაზე: **ჭრელი; უსასყიდლო; მარგალიტი; ყმა; ღონის აგება („ქმნას, რა ღონე აგების“); დამართოს ნები; უქმნეს სადარნო.** მოხსენებაში განხილულია აღმოსავლური ენებიდან მომდინარე ლექსიკური ერთეულების (რუბი, შერი, მიშერი, მინა, მიჯნური, სევდის მუფარახი, ბალახში) გ. წერეთლისეული განმარტებანი.

720. ნანა გონჯილაშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე პარადიგმული სახე

კრებ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბ., 1999, № 2, გვ. 58-85.

იხ. აქვე ანოტ. № 689.

721. თამაზ ვასაძე

იდეალური და რეალური

გაზ. „კალმასობა“, 1999, № 1, გვ. 6; № 2, გვ. 2,7.

წერილში საუბარია რუსთველის შემოქმედებით მეთოდზე, სინამდვილის მხატვრული გაზვიადების პათოსისა და უკიდურესი რეალიზმის თანაარსებობაზე. „რეალიზმში“ ავტორი გულისხმობს იმას, რომ „სამყაროს რუსთაველისეულ მხატვრულ განმარტებაში გადამწყვეტი მიშენელობა ენიჭება სრულიად არაამაღლებული რეალობის ტენდეციებს“. მაგ., ნესტანისა და ტარიელის ამაღლებული სიყვარულის განხორციელებისათვის აუცილებელი ხდება უცხო სასიძოს, ხვარაზმშას ძის მოკვლა. ტარიელი ამას აკეთებს, რასაც რუსთველი ცოდვად და დანაშაულად არ უთვლის. ახალი ფასეულობების – პიროვნების თავისუფლებისა და თავისუფალი სიყვარულის დამკვიდრებისათვის აუცილებელია ადამიანური მსხვერპლი, ქრისტიანულ და რაინდულ მორალთან შეუთავსებელი ქმედება.

ასევე იქცევა ავთანდილი გულანშაროში, „ის ცრუობს, ატყუებს ფატმანს და იყენებს მას თავისი იდუმალი მიზნის მისაღწევად, ღალატობს თინათინს, – იძულებით, მაგრამ მაინც, არღვევს იდეალური მიჯნურობის მკაცრ კოდექსს, ჩადის „სიძვის“ ცოდვას ... შემდეგ კლავს ჭაშნაგირს ვერაგულად!“ საერთოდ, ავტორის აზრით, გულანშარო მდარე, არარაინდული სამყაროა და ავთანდილიც „გულანშაროს სტილით“ მოქმედებს ... „ნესტანის და ტარიელის ბედი, ანუ მაღალი, რაინდულ-არისტოკრატიული, მიჯნურული ფასეულობების ბედი წყდება ვაჭართა სამეფოში, ამ ბიწიერ, ანტირაინდულ და ანტიმიჯნურულ სინამდვილეში დანერგილი ქცევის წესის გამოყენებით“. **გ. ა.**

722. თ. ვასაძე

ტექსტის სწორად წაკითხვისათვის

გაზ. „კალმასობა“, 1999, № 5, გვ. 7.

ესაა პასუხი ალ. ფოცხიშვილის კრიტიკულ შენიშვნებზე თ. ვასაძის წერილის გამო („კალმასობა“, 1999, №4). ავტორი არ იზიარებს ოპონენტის შენიშვნებს და ცდილობს, პოემის ტექსტიდან სათანადო რეალიების მოშველიებით განამტკიცოს თავისი თვალსაზრისი. გ. ა.

723. ხვთისო ზარიძე

„შეზღვა ხამს შეუზღველსა“

თსუ ფილოლოგიის ფაკ. და თსუ ფილიალების II სამეცნიერო სესია, 1999, 15-17 აპრილი.

მუშაობის გეგმა და მასალები, თბ., გვ. 47-49.

მოხსენების რეზიუმეში აღნიშნულია, რომ სამაგიეროს გადახდას „ვეფხისტყაოსანში“ კარგად მოფიქრებული სიუჟეტურ-კომპოზიციური ფუნქცია აკისრია. ეს მოტივი პოემაში მეგობრობას ემყარება, რასაც სტიმულს თავიდანვე ტარიელი აძლევს. იგი ეხმარება ფრიდონს ბიძამვილებთან ბრძოლაში, შემდეგ კი – ავთანდილს სატრფოს დავალების შესრულებაში. თვითონაც მეგობრების დახმარებით ახერხებს ნესტან-დარეჯანის დახსნას. ამის შემდეგ ავთანდილთან ერთად მიდის არაბეთში და საბილოდ უზრუნველყოფს თინათინთან ავთანდილის ქორწინებას, რაც ფაქტობრივად, მის გამეფებას ნიშნავს.

„ვეფხისტყაოსანი“ სიუჟეტშივე წარმოქმნილ მოტივთა განვითარებით იკვრება და ასევე ლოგიკურად დასაწყისისა და დასასრულის პარალელიზმით მთლიანდება. სხვა ნაკადებით ორგანიზებული თავები კი აღნიშნული მთლიანობის გარეთ რჩებიან. გ. ა.

724. ვალერიან ზუხბაია

ბუნება „ვეფხისტყაოსანში“

თბ., 1999, 30 გვ.

ბროშურა შედგება ქვეთავებისაგან:

- 1) ბუნება „ვეფხისტყაოსანში“;
- 2) ძვირფასი ქვები „ვეფხისტყაოსანში“;
- 3) ოქრო „ვეფხისტყაოსანში“;
- 4) ორგანული ბუნება. მცენარეები „ვეფხისტყაოსანში“;
- 5) ფრინველები „ვეფხისტყაოსანში“;
- 6) ცხოველთა სამყარო „ვეფხისტყაოსანში“;
- 7) ბუნების სურათები.

ნაშრომი სქემატურია და მეცნიერული თვალსაზრისით – მცირემნიშვნელოვანი. ძირითადი ადგილი ეთმობა პოემის ტექსტის ციტირებას ან ზოგად ცნობებს, მაგ.: „ძვირფასი ქვები პოემაში მოხსენებულია 200-ჯერ ...; ბროლი – 50 -ჯერ, მარგალიტი – 33-ჯერ, ლალი – 27-ჯერ, გიშერი – 25-ჯერ“ და ა. შ.

ავტორი ეხება ძვირფასი ქვების სახელწოდებების სიზუსტეს (ან მცდარობას) რუსულ ენაზე. აღნიშნულია, რომ საქართველოში არჩევდნენ მარგალიტის სხვადასხვა სახეს: ჭიოტა – მცირე ზომისა, წვრილი; ხოშორი – საშუალო ზომისა; ობოლი – დიდი მარგალიტი (გვ.16).

ოქროს ფულის აღმნიშვნელი ტერმინი იყო „დრაჰკანი“. ხმარებაში ყოფილა ბიზანტიური ოქროს ფული – პერპერა. ოქროს ფულს აღნიშნავდა ქართული ტერმინი – „წითელი“ (გვ.21). **გ. ა.**

725. მაგალი თოდუა

„... ბულბულის თესლთა კვნიტითა“
(„ვეფხისტყაოსანის“ ერთი ტაეპის წაკითხვისა და გაგებისათვის)
გაზ. „ლიტ. საქართველო.“ 1999, № 35. გვ. 14

წერილი ეხება „ვეფხისტყაოსანის“ 282-ე სტროფის მეოთხე სტრიქონს: ვით იადონი, არ მოჰკვდე, ბულბულოს თესლთა კვნიტითა. სიტყვა „ბულბულოს“ ხელნაწერებში ენაცვლება „ბუმბულო“, „ბუნბურო“, ან „ბულბული“.

ავტორი განმარტავს, რომ სპარსულში „ბოლბოლ“ („ბულბულ“), მაგალობელი ფრინველის გარდა, ეწოდება აგრეთვე მცენარის ერთ სახეობას. ესაა ბალახი ისპანახების ოჯახიდან, რომლის ორი სახეობა გავრცელებულია ირანში. „ვეფხისტყაოსანში“ მოხსენიებულია ეს მცენარე, რომელსაც რქმევია „ბულბული“. მის თესლს ჭამს თურმე იადონი. „ვეფხისტყაოსანის“ ტექსტში (დასახ. სტროფში) უნდა დავწეროთ სწორედ ამ ფორმით „ბულბულის“ და არა „ბულბულოს“ ან „ბუნბუროს“. **გ. ა.**

726. ინგა კალამე

სიყმე და მოცალოება „ვეფხისტყაოსანში“
სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი აკად. გიორგი წერეთლის დაბადების 95 წლისთავისადმი. მოხს. თეზისები, თბ., 1999, გვ. 14.

„ვეფხისტყაოსანის“ პროლოგში დახასიათებული მიჯნურის აუცილებელ ნიშან-თვისებათა შორის ორი ნიშანი – **სიყმე** და **მოცალოება** იწვევს აზრთა სხვადასხვაობას. გვთავაზობენ ამ ცნებათა ორ-ორ გაგებას: **სიყმე**: ა) რაინდობა, ბ) ახალგაზრდობა; **მოცალოება**: ა) მოცლილობა, თავისუფალი დროის ქონა, ბ) შესაფერისობა, ჯუფთობა.

რუსთაველის მახლობელი და წინარე ეპოქის აღმოსავლეთისა და დასავლეთის ისტორიულ-კულტურული კონტექსტის გათვალისწინება საფუძველს გვაძლევს უპირატესად, ე.ი. ავტორისეულად მივიჩნიოთ ამ მცნებათა შემდეგი გაგება: **სიყმე** = ახალგაზრდობა; **მოცალოება** = ჯუფთობა, შესაფერისობა. მოცალოების ასეთი გაგება შუა საუკუნეების თეორიულ ნააზრევში უკავშირდება პლატონის ცნობილ თეორიას ანდროგინების შესახებ.

727. გურამ კარტოზია

ზოგი მეშველზმნიანი ფორმისათვის „ვეფხისტყაოსანსა“
და რუსთაველისდროინდელ სხვა ძეგლებში

სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი აკად. გიორგი წერეთლის დაბადების 95 წლისთავისადმი, მოხს. თეზისები, თბ., 1999, გვ. 14-15;
ავრ. ჟურ. „ენათმეცნიერების საკითხები“, თბ., 2000, № 1, გვ. 50-57.

„ვეფხისტყაოსანსა“ და სხვა ძეგლებშიც -ავ და -ამ თემის ნიშნიან გარდამავალ ზმნათა თურმეობითი პირველის I-II პირის ფორმები ძველი ქართულის ნორმის შესაბამისად – მეშველი

ზნის გარეშე – არის წარმოდგენილი. ასევე ძველი ნორმით (უმემკვიდრეობა) იწარმოება საშუალო გვარის ზმნათა აწმყოს I-II პირის ფორმები.

2. ნაშრომში განხილულია რუსთველისდრონდელ თხზულებათა გამოცემებში შენიშნული გადახვევები ამ წესიდან, რომლებიც მკვლევარს ტექსტის გვიანდელი სწორების შედეგად მიაჩნია, და შემოთავაზებულია მართებული, პირვანდელად სავარაუდო წაკითხვები.

728. კონსტანტინე კვაჭანტირაძე

„ვეფხისტყაოსნის“

აღქმისათვის ბელორუსიაში

თსუ ფილოლოგიის ფაკ. და თსუ ფილიალების II სამეცნიერო სესია, 1999, 15-17 აპრილი, მუშაობს გეგმა და მასალები, გვ. 66-69.

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთველისადმი ინტერესი ბელორუსიაში გაძლიერდა 1930-იან წლებში. 1937 წელს პოეტის იუბილესთან დაკავშირებით დაიბეჭდა ვ. გოლცევის ნარკვევი რუსთაველის შემოქმედებაზე.

ჟურნალის „პოლიმია რევალუცი“ მთელი ნომერი (1937, № 8) მიძღვნილია შოთა რუსთაველისადმი. მასში დაბეჭდილია პოემის ცალკეული თავების თარგმანები, ა. ბარამიძის და დ. ჯანელიძის სტატიები და სხვა მასალები. ბელორუსულ ენაზე პოემის თარგმნა დაიწყო მიკოლა ხვედოროვიჩმა, რაც მხოლოდ 1966 წლისათვის დაასრულა (ა. ზვონაკთან ერთად). **გ. ა.**

729. ცოტნე კიკვიძე

და მაინც: „ჰადჰად, ჩავიჭერ ქვე რასა!“

გაზ. „კალმასობა“, 1999, ივლისი-აგვისტო, № 6, გვ. 11,16.

ავტორი უპასუხებს რ. პატარიძეს, რომელმაც „ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტრიქონი ასეთი ცვლილებით წარმოადგინა: „აღარ ვიშიშვი სიკვდილსა, ჰაი, ქვე ჩავიჭერ ასა“ (1206,4).

ც. კიკვიძე ამტკიცებს, რომ უნდა დარჩეს ტრადიციული წაკითხვა: „ჰადჰად, ჩავიჭერ ქვე რასა!“ რადგან: 1) არაა სწორი რ. პატარიძის ცნობა, თითქოს ეს წაკითხვა ხელნაწერთა მცირე ნაწილში იყოს. 2) ჩავიჭერ სათავისო ქცევის ფორმა კი არ არის, არამედ ი-ნიანი ვნებითა. 3) ჰასა, საბას განმარტებით, სენია და არა ნაწლავი. ავტორს აქვს სხვა შენიშვნებიც რ. პატარიძის წერილის მიმართ. **გ. ა.**

730. ირინა კილაძე

მიჯნურობა ნიზამის „ხოსროვშირინიანისა“ და რუსთველის

„ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით

ჟურ. „მაცნე“ (ელს), 1999, № 1-4, გვ. 89-98.

ნაშრომში წარმოდგენილია ორივე ავტორის თეორიული შეხედულებები მიჯნურობის შესახებ და მათი მხატვრული ასახვა გმირთა განცდებსა და მოქმედებაში. მოცემულია

შეპირისპირება სამიჯნურო მოტივებისა, როგორცაა: სიყვარულის აღმოცენება, ველად გაჭრა, წუხილი განშორების გამო, მიჯნურის სამსახური და სხვა. გ. ა.

731. რუსუდან კუსრაშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ პავლე ინგოროყვასეული გამოცემები

(ტექსტოლოგიური ანალიზი)

კრებ. „ლიტერატურული ძიებანი“, XX (ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი),
თბ., 1999, გვ. 336-344.

ავტორი განიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ 1953 და 1970 წლების გამოცემებს, რომელთა ტექსტი დადგენილია პ. ინგოროყვას მიერ. პირველ გამოცემაში რედაქტორს პოემის ტექსტი მოცულობის მხრივ არ შეუცვლია. ოღონდ ბოლო თავების, ე.წ. ინდო-ხატაელთა ამბის, სტროფები აღნიშნულია ორი ვარსკვლავით (**), როგორც გვიანდელი დამატება. რედაქტორული გასწორებანი შეეხო მეტწილად სარიტმო სიტყვებს, ტავტოლოგიის აცილების ან ზუსტი რიტმის მიღების მიზნით.

1970 წლის გამოცემა მნიშვნელოვნად განსხვავდება ყველა ადრინდელი გამოცემისაგან პირველ რიგში სტროფული შედგენილოს მხრივ. პოემის პროლოგი („შესავალი“) შემცირებულია 15 სტროფამდე; უარყოფილია ე.წ. ინდო-ხატაელთა ამბავი, როგორც გვიანდელი დანართი; პოემის ცენტრალურ ნაწილშიც გამოტოვებულია რამდენიმე სტროფი. ამ გამოცემის ტექსტი შეიცავს 1528 სტროფს, რაც 141 სტროფით ნაკლებია 1937 წლის გამოცემასთან შედარებით.

პ. ინგოროყვამ შეცვალა პოემის ცალკეული თავების სათაურებიც. ძველ გამოცემებში არსებული 65 სათაურიდან მან გამოტოვა 31 და პოემა დაყო 34 თავად, სათანადო სათაურებით.

აღნიშნული ცვლილებების განმარტება და დასაბუთება მოცემულია წიგნში დაბეჭდილ ნარკვევში „ვეფხისტყაოსნის“ შესავალი და ბოლო-თქმა (გვ. 409-459). გ. ა.

732. გივი ლომიძე

ესთეტიკური იდეალის ეროვნული თავისებურება

კრებ. „ლიტერატურული ძიებანი“ (ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი), XX,
თბ., 1999, გვ. 375-381.

ავტორი აღნიშნავს, რომ ესთეტიკური იდეალი და მისი ეროვნული თავისებურება არ არის მუდმივი, უცვლელი, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული ზოგადი ნიშნების ერთობლიობა. იგი ისტორიული მოვლენაა, როგორც თვით ერი და ცვალებადობის კანონს ემორჩილება.

შოთა რუსთაველის ესთეტიკური სამყარო, რომელშიც წარმოსახულია უმაღლესი ადამიანური თვისებანი – მეგობრობა, სიყვარული, რაინდობა, ინტერაცონალიზმი და ჰუმანიზმი, გვაცვიფრებს თავისი იდეალურობით. პოეტის ესთეტიკური მრწამსი გამოიხატა იმაში, რომ იგი ქმნის ამ იდეალიზირებულ სინამდვილეს, რომელშიც აირეკლა იმდროინდელი ქართული ესთეტიკური იდეალები, მაგრამ არა მკვეთრ რეალისტურ, ემპირიულ ცხოვრებისეულ ფორმაში, არამედ რომანტიკულ-იდეალიზებული სახით. გ. ა.

733. ხვთისო მამისიმედიშვილი

ლალი-ლახტიანი იახსარი და „ვეფხისტყაოსნის“ ავთანდილი

თსუ ფილოლოგიის ფაკ. და თსუ ფილიალების II სამეცნ. სესია, 1999, 15-17 აპრილი. მუშაობის გეგმა და მასალები, გვ. 75-76; აგრ. თსუ სიღნაღის (კახეთის მხარის) ფილიალი, პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა II სამეცნ. სესია, 1999, 9-11 ივნისი, ქ. სიღნაღი, მოხსენებათა მასალები, გვ. 62-67.

როგორც ავტორი წერს, რუსთაველი ავთანდილს დაახლოებით ისეთივე ეპითეტებითა და ფუნქციური ნიშან-თვისებებით ამკობს, როგორც ხუცეს-ხევსბერთა საკულტო ტექსტებში სატომო ღვთაება იახსარი მოიხსენიება. მისი ეპითეტებია „ლალი“ (= ამაყი, მამაცი) და „ლახტიანი“. ამ იარაღით ებრძვის ის დევებს, რომლებიც ადამიანებს მტრობენ და ჩაგრავენ.

მკვლევრის თქმით, ავთანდილი მოგზაური რაინდია. ის ებრძვის ბოროტ ძალებს, მეკობრეებს, ქაჯებს. პოეტი მას ხშირად ახსენებს „ლალის“ ეპითეტით, ხოლო „ლახტი“ მისი ერთ-ერთი საბრძოლო იარაღია. **გ. ა.**

734. თენგიზ მგელიაშვილი

ძოწი და გრანატი

ქურ. „მაცნე“, ელს, 1999, № 1-4, გვ. 228-240

გამოკვლევაში მოცემულია დასახელებული ძვირფასი ქვების მინერალოგიური ნიშან-თვისებები, მათი არასწორი განმარტებისა და სახელწოდებათა აღრევის (არასწორი გაიგივების) შემთხვევები ქართულ ლექსიკონებში.

ავტორი იზიარებს სხვა მკვლევარების განმარტებას, რომ **ძოწი** იგივე მარჯანია. ის მინერალური წარმონაქმნია, უმეტესად წითელი ფერისა (ლათინურად – „კორალო“). იყენებენ სამკაულების, – ბეჭდების, მძივების და საიუველირო ნივთების დასამზადებლად. ცნობილია აგრეთვე შავი მარჯანი (უფრო – არაბეთის ქვეყნებში).

გრანატიც წითელი ფერისაა. ის ეკუთვნის ალმანიდისა და პიროპის მინერალების ჯგუფს. **პიროპოს** ბერძნულად ცეცხლის მსგავსს ნიშნავს. ეს მინერალი მართლაც ასხივებს, ანათებს სიბნელეში. მას ძველ ქართულ ძეგლებში **ანთრაკი** ეწოდება, ეს სახელიც ბერძნულიდან („ანფრაქსი“) მოდის, სადაც ის ნაკვერჩხალს ნიშნავს.

735. ტიტე მოსია

ოქსიმორონი „მზიანი ღამის“ პრობლემატიკა

თბ., 1999, 128 გვ., რედ. ო. ჭურღულია

ნაშრომში გაანალიზებულია ოქსიმორონის ტიპის სახე-ფიგურის „მზიანი ღამის“ გარშემო დაგროვილი სამეცნიერო ლიტერატურის მასალები.

წიგნი შედგება ორი თავისაგან:

I. პოლემიკა „მზიანი ღამის“ გარშემო (გვ. 3-75);

II. „მზიანი ღამის“ სიმბოლიკის გაგებისათვის (გვ. 76-124)

მკვლევარი განიხილავს ღვთაების სახე-სიმბოლოებს ქრისტიანულ სასულიერო მწერლობაში და დაასკვნის, რომ რუსთაველის პოეტურ სამყაროში „მზიანი ღამე“ გააზრებულია ქრისტეს სიმბოლოდ, მის მხატვრულ სახედ. **გ. ა.**

736. გიორგ მჭედლიშვილი

**ბრძოლა ხელისუფლებისათვის XII ს- ის საქართველოში
და რუსთაველის პოლიტიკური მოძღვრება**

საისტორიო აღმანახი „კლიო“ № 5, თბ., 1999, გვ. 42-60; აგრ. ავტორის წიგნში - შუა საუკუნეების ქართული პოლიტიკური აზრი და „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 2000, გვ. 55-80.

ავტორის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის ერთ-ერთი მიზეზი ეპოქის სულისკვეთებაა. პოემაში დახატულია ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოს სურათი. მასში აღწერილი ყველა სახელმწიფო ფორმის მხრივ მონარქულია. პოლიტიკური წყობილების სხვა ფორმა რუსთაველის თხზულებაში წარმოდგენილი არ არის. პოეტი გაერთიანებული და ძლიერი სახელმწიფოს მომხრეა. მისი აზრით, ქვეყნის მეთაური უნდა სარგებლობდეს სრული ნდობით და პატივისცემით; ის უნდა იყოს წესრიგის წარმომადგენელი, რომლის გარეშე ქვეყნის დაცვა და მისი წინსვლა შეუძლებელია. რუსთაველი გმობს სეპარატიზმს. ურჩი ვასალის დამორჩილებას ის უდიდეს პატრიოტულ საქმედ თვლის.

იმის მიუხედავად, რომ მეფე ღვთის ნებით მოვლენილი და შეუზღუდველი უფლებების მქონეა, მისდამი კრიტიკული დამოკიდებულება პოემაში მაინც იგრძნობა. რუსთაველისათვის ყველა მეფე ერთნაირი არ არის. ინდოეთის მეფის კარზე დატრიალებულმა ტრაგედიამ დაგვანახა, თუ რა უარყოფით შედეგს იწვევს ქორწინების საკითხში ფეოდალური ეპოქის ტრადიციის განუხრელი დაცვა. დრომოჭმული წესის ერთბაშად დასაძლევად საკმარისი არ აღმოჩნდა არც ტარიელის ვაჟკაცობა და მეფური ჩამომავლობა, არც ნესტანის მაღალი მდგომარეობა, არც მათი ურთიერთსიყვარული.

შოთა რუსთაველმა სწორად განჭვრიტა მისი დროის შეზღუდულობანი და უაღრესად მოწინავე იდეა წარმოადგინა, რომელიც სცილდება ფეოდალიზმის ფარგლებს და ჰუმანურობით რენესანსის იდეებს უკავშირდება. მისი აზრით, სახელმწიფოს მეთაური უნდა იყოს განათლებული და სამართლიანი, რათა სწორად წარმართოს ქვეყნის უსაფრთხოება და ქვეშევრდომთა კეთილდღეობა. **გ. ა.**

737. გ. მჭედლიშვილი

**შოთა რუსთაველის მეჭურჭლეთუხუცესობის საკითხი XII-XIII ს- ის
საქართველოს პოლიტიკური ისტორიის დადგენისათვის**

კრებ. „კულტურის ისტორიის საკითხები“, VI, თბ., 1999, გვ. 49-55; აგრ. ავტორის წიგნში - შუა საუკუნეების ქართული პოლიტიკური აზრი და „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 2000, გვ. 82-91.

ავტორი ვარაუდობს, რომ შოთა რუსთაველი მეჭურჭლეთუხუცესი შეიძლება და გამხდარიყო 1189 წლიდან, ამ თანამდებობიდან აბულ-ასანის გადაყენების შემდეგ. მკვლევრის აზრით, შოთა იყო აქტიური პოლიტიკური მოღვაწე და მეფის ხელისუფლების ოპოზიციონერთა ჯგუფს (გიორგი რუსის მომხრეებს) ეკუთვნოდა. (ამის დამამტკიცებელი საბუთები და მოტივები ნარკვევში დასახელებული არაა). ხელისუფლებისათვის ბრძოლაში თამარის მხარდამჭერთა გამარჯვების შემდეგ რუსთაველი „დათრგუნვილ ოპოზიციონერთა შორის“ მოხვედრილა და სამშობლოდან გაუძევებიათ, - 1192 წელს ფორმალურად, როგორც დესპანი, გაუგზავნიათ იერუსალიმში, საიდანაც საქართველოში აღარ დაბრუნებულა.

ამრიგად, მკვლევრის დასკვნით, შოთა რუსთაველის მეჭურჭლეთუხუცესად ყოფნა 1189-1191 წლებით განისაზღვრება. **გ. ა.**

738. გ. მჭედლიშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი – პროლოგი თუ სხვა რამ?!

კრებ. „კულტურის ისტორიის საკითხები“, VII, თბ., 1999, გვ.125-137; აგრ. ავტორის წიგნში – შუა საუკუნეების ქართული პოლიტიკური აზრი და „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 2000, გვ.108-123.

ავტორი იზიარებს ს. ქვარიანის, ნ. დუმბაძისა და თ. ჭილაძის თვალსაზრისს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი (ე.წ. „დასაწყისი“) დაწერილია მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც თხზულება გავრცელდა და ხელისუფლებამ და სამღვდელოებამ მასში „აღმოაჩინეს“ მრუშობისა და სიძვის აპოლოგია, უღმერთობა და არსებული პოლიტიკური წყობისადმი კრიტიკული დამოკიდებულება. პროლოგი არის პოეტის ახსნა-განმარტება და თავისმართლება, რომ მას საზოგადოებრივი ზნეობისა და სახელმწიფოს მეთაურთა საწინააღმდეგო არაფერი განუზრახავს და არც დაუწერია.

მკვლევრის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორმა სწორედ თავის საზოგადოებაში აღმოაჩინა დესპოტიზმი, როგორც პოლიტიკურ-სოციალური, ასევე მორალურ-ეთიკური ფენომენი, გამოაცხადა ის ბოროტებად და დაუპირისპირა მას თავისუფალი ადამიანის პიროვნება. რუსთაველის ბრძოლა მეფის წინააღმდეგ უკეთესი მეფის სახელით, – დიდი რენესანსული იდეა, ანუ „ოცნება იდეალურ მმართველობაზე,“ – ნებით თუ უნებლიეთ, გალაშქრება იყო არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ. **გ. ა.**

739. ნინო ნაკუდაშვილი

არქეტეპული მოტივები „ვეფხისტყაოსანში“

(ხვარაზმელი სასიძოსა და ფატმანის არქეტეპისათვის)

კრებ. „ლიტერატურული ძიებანი“, XX, თბ., 1999, გვ. 216-220.

ნაშრომის ძირითადი აზრი ისაა, რომ ეპოსის ფაბულა მითიდან და საკულტო წეს-ჩვეულებებიდან იღებს სათავეს, ეპოსის პერსონაჟები კი ნაყოფიერების ღვთაებათა რეპრეზენტანტები არიან თავიანთი ორეულებით. კერძოდ, „ვეფხისტყაოსანში“ ტარიელის ორეულია ხვარაზმელი სასიძო, რომლის მოკვლა ტარიელის მიერ სიმბოლურად ასახავს გაზაფხულის გამარჯვებას ზამთარზე.

ფატმანი კი თინათინის ფარსული რედუბლიკანტია. მისი არქეტეპი ნაყოფიერების ქალღმერთის სტადიალური რეირკარნაცია – აფროდიტე-პორნაა. ფატმანი იგივე თინათინია, ოღონდ კულტურის სხვა სტადიაზე. **გ. ა.**

740. მაია ნაჭყებია

ბაროკოს ნაკადი „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებებში

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1999, №1-4, გვ. 99-106.

ნაშრომში განხილულია ტარიელისა და ავთანდილის ანდერძები, აგრეთვე მათი გარდაცვალებისა და გლოვა-დატირების ამსახველი მომენტები. (ავტორი მსოფლმხედველობრივ სხვაობას ხედავს ტარიელის პირველ ანდერძსა და სხვა ანდერძებს შორის).

ავტორის აზრით, დამატებათა ეს ციკლი ქართულ სინამდვილეში აღმოცენებული ახალი ლიტერატურული მიმართულების ანთოლოგიაა. „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებებში

აისახა ბაროკოს სტილისათვის დამახასიათებელი ტენდენციები: ჰარმონიის რღვევა, ჰარმონიულის შეცვლა დისჰარმონიულით, სილამაზისა – სიმახინჯით. აღნიშნულ ტექსტებში აისახა ევროპული ლიტერატურისთვის ცნობილი მოტივები: „ცხოვრება სიზმარია“, „ცხოვრება ჩრდილია“, რაც ასახავს ჰუმანისტური, რენესანსული იდეალების კრახს და ადამიანს ჩააგონებს ამსოფლური ცხოვრების „სიცრუეს“, „უხანობას“, „სიავეს“, „წამიერებას“, „ფლიდობას“, „ცუდობას“ (ამაობას), „მიუნდობლობას“. **გ. ა.**

741. დავარ ომიაბე

„ნისთ დარ ჯეჰანი“ სპარსულ ფოლკლორში

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1999, № 1-4, გვ. 165-171.

ერთ-ერთ არაბული ზღაპრს მიხედვით, **ნესთარ-ჯეჰანი** არის ფერია, მითიური არსება (გ. წერეთელი, 1938). სხვა წყაროში „ნისთ ანდარ ჯეჰანი“ სელჯუკი სულთნის ცოლის სახელია (კ. ჩაიკინი). ეს სახელი – ნესტან-დარეჯანი – ჰქვია რუსთველის პოემის ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟს. ეს სიტყვა ირანული წარმოშობისაა და სპარსულ ენაზე ნიშნავს: „არ არის ქვეყანაზე“ (იგულისხმება – მსგავსი სილამაზისა).

ამ სიტყვის აზრობრივი მნიშვნელობა განსხვავებულია სპარსულ ზღაპარში „ბუ ალი სინა“.

აქ „ნისთ დარ ჯეჰანი“ არის დევი, მამრობითი სქესისა, რომელიც გამოირჩევა ცოდნით და მაქციობის (გარეგნობისა და თვისების შეცვლის) ხელოვნებით.

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟის სახელი ნესტან-დარეჯანი წარმოშობით სპარსულია და ის გმირ ქალს ახასიათებს არა მხოლოდ როგორც შეუდარებელი სილამაზის ასულს, არამედ როგორც იშვიათი ცოდნისა და სიბრძნის მქონე პიროვნებასაც, ანუ ყოველმხრივ შემკულ პირს, რომლის მსგავსი არ არის ქვეყანაზე. **გ. ა.**

742. რამაზ პატარიძე

[ისევ რუსთაველზე]

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1999, 8-15 იანვარი., №2, გვ. 5.

სარედაქციო ინფორმაციაში გადმოცემულია შინაარსი რ. პატარიძის მოხსენებისა, რომელიც ავტორმა მწერალთა კავშირის სააქტო დარბაზში წაიკითხა. მან საზოგადოებას გააცნო პოემის „წინათქმის“ (პროლოგის) აღდგენილი ტექსტი (რ. პატარიძე მიიჩნევს, რომ ხელნაწერებსა და გამოცემებში პროლოგის სტროფების თანმიმდევრობა აღრეულია).

მისი აზრით, პროლოგში რუსთაველი გვამცნობს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არის ამბავი ტარიელისა და ქება თამარ მეფისა. შეფარულად იმასაც გვეუბნება, რომ ტარიელი დემნა უფლისწულის მხატვრული განსახიერებაა. **გ. ა.**

743. მერაბ რობაქიძე

რას ნიშნავს „შედრეკილობა-კლება“ „ვეფხისტყაოსანში“

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1999, №1-4, გვ. 107-109.

ძველი ქართული ფილოლოგიური, თეოლოგიური და ფილოსოფიური ტექსტების მონაცემების მიხედვით ავტორი ადგენს 68-ე სტროფში ნახმარი გამოთქმის „შედრეკილობა-

კლების“ მნიშვნელობას. **შედრეკილობა** შიშის ემოციური გამოვლინებაა: შეწუხება, ტანჯვა, უკანდახევა. **კლება** ანუ ნაკლებობა გულისხმობს სიკეთისა და ღვთიური მადლის დეფიციტს ადამიანში. კლება, ნაკლებობა, სიმოკლე თავისი ხასიათით უძღურება, „ვენება“, „ბოროტება“, იგი მოიაზრება „სიკეთესთან“ მიმართებით, რომლის არსება „გრძელია“. „კლების“ ანტონიმური ცნებაა, „უკლებლობა“; „სიკეთე და უკლებლობა შენი ერთობ გააცხადე“ (777,2). აქ „უკლებლობა“ ტოლფასია „სიკეთისა“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ **კლება** მოიაზრება როგორც „ბოროტების“ შინაარსის მქონე სიტყვა.

ავტორის დასკვნით, „შედრეკილობა-კლება“ მოცემულ კონტექსტში ნიშნავს პიროვნების გულში შიშის განცდას, რაც ადამიანის სისრულის შელახვაა, შემცირება ანუ „კლება“ და „განლევია“. **გ. ა.**

744. ტიტე სულაბერიძე

სამეტყველო ეტიკეტი და „ვეფხისტყაოსანი“

თსუ ფილოლოგიის ფაკ. და თსუ ფილიალების II სამეცნიერო სესია, 1999, 15-17 აპრილი.

მუშაობის გეგმა და მასალები, გვ. 140-141.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საუბარში სიტყვების შერჩევა, ზომიერება, აზრიანობა, ზოგადად – სამეტყველო ეტიკეტის დაცვა, რაც დაკავშირებულია უფროს-უმცროსობის, პატივისცემისა თუ ტოლ-სწორობის გამოხატვასთან. სიტუაციის შესაფერისად გამოყენებულია მიმართვის ფორმები: „უბრძანებს“, „მოახსენებს“, „ჰკადრებს“, „ეტყვის“ და სხვ. **გ. ა.**

745. ნესტან სულავა

„ლოცვა ავთანდილისა“

კრებ. „ლიტერატურული ძიებანი“, XX, თბ., 1999, გვ. 201-215.

გამოკვლევა ეხება „ვეფხისტყაოსნის“ 807-810 სტროფებს. როგორც ავტორი წერს, „ლოცვა ლიტურგიკული ღვთისმსახურების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. ამავე დროს, მხატვრულ ნაწარმოებში გმირის შინაგანი მონოლოგია, რომლითაც მთელი სიდიადით წარმოჩნდება როგორც მისი სულიერი სამყარო, ისე მიმართება ღმერთთან-უზენაეს არსებასთან, გარესამყაროსთან, საკუთარ თავთან“ (გვ. 201). „ვეფხისტყაოსანი, როგორც შუა საუკუნეების ქართული ქრისტიანული კულტურის საუკეთესო გამოხატულება, ასახავს თავისი ეპოქის ლიტერატურულ და თეოლოგიურ ტრადიციებს“... (205).

ავთანდილის ლოცვა ქრისტიანული ღმერთისადმი მიმართული, რასაც ლოცვაში მოხმობილ საღვთო სახელებზე დაკვირვებაც ცხადყოფს... ამ ლოცვაში დასტურდება როგორც არსობრივი, ისე ჰიპოსტასური სახელები ღმერთისა. ავთანდილი მიმართავს როგორც სამება ერთარსებას, ისე მამა ღმერთს, ძე ღმერთსა და სული წმიდას, თუმცა მათ პირდაპირ არ ასახელებს (გვ. 207). ავთანდილი ღმერთს უწოდებს „უცნაურს“, „უთქმელს“, „უფალს უფლებათა“. „უცნაური“ და „უთქმელი“ IV ს-დან ქრისტიანულ საღვთისმეტყველო ლიტერატურაში დამკვიდრდა, როგორც ღმერთის შეუცნობლობისა და აღუწერელობის გამომხატველი სახელი. ასევე „უფალი უფლებათა“ ღმერთის სახელია ძველ აღთქმაში (II შჯ. 10,17), ხოლო ძე ღმერთია ახალ აღთქმაში (I ტიმ. 6,15; 17,14).

„ავთანდილის ლოცვის“ ქრონოტოპული გააზრება ქრისტიანულია. აქ თვით ღმერთია დროც და სივრცეც. ღმერთისადმი მიმართვებში არეკლილია კოსმოგონიური ჟამი და სივრცე

(„მაღალი ღმერთი ხმელთა და ცათაო“, „რომელი ჰვლობ ქვენათ ზესა“). ღმერთი დროითი და სივრცული განზომილებების მიღმა დგას, იგი მარადიულია, ყოველივეს შემოქმედია. მის წინაშე მდგომი ავთანდილი, როგორც მიკრო-კოსმოსი, მისწრაფვის სრულყოფილებისაკენ... ის თავისი ლოცვით ჭეშმარიტებას, ამაღლებულსა და მშვენიერებას ეძიებს, რაშიც ღმერთის შეწვევისა და წყალობის იმედი აქვს“ (გვ. 213-214).

746. დენიზა სუმბაძე

„ვეფხისტყაოსანი“ და ეკლესია

წიგნში – „მიდმოგონებანი სამთავროს დედათა მონასტერზე“ თბ., 1999, გვ. 19-40.

მკვლევარი ახსენებს ტიმოთე გაბაშვილის აზრს შოთა რუსთაველზე, რომ „ესე იყო მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან განჰრყუნა ქრისტიანობა“... მას სარწმუნოდ მიაჩნია ცნობაც ანტონ კათალიკოსის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ნაბეჭდი ცალების დაწვისა და მტკვარში გადაყრის თაობაზე. მკვლევარს მიაჩნია, რომ ეკლესიის ცნობილ მოღვაწეთა შეხედულება რუსთაველის პოემაზე მართმადიდებლურ-ეკლესიური შეხედულებაა და არა პიროვნულ-ტენდენციური. ანტონ კათალიკოსის უკან მთელი ეკლესიურ-ეთიკური დოგმატიკა დგას. ამ დოგმატიკამ აკრძალა კონკრეტული ადამიანური სიყვარული, რომელიც ავთანდილ-თინათინობას გულისხმობს. მისი მოთხოვნით ადამიანს განურჩევლად უნდა ჰყვარებოდა ყველა მოყვასი. სიყვარულის ამ ყოვლადობაში უფლის, იესო ქრისტეს სიყვარული მოიაზრებოდა.

რუსთაველი უპირისპირდება ასეთ დოგმატურ აზროვნებას. მისი „ვეფხისტყაოსანი“ არის ისეთივე „ღვინოჲ ახალი თხიერთა შიგან ძუელთა“, ისეთივე „განმხეთქი ეკლესიური ეთიკური ნორმებისა ჩვენში, როგორც დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი ამბავი“ ევროპული სინამდვილისათვის. ამიტომ ებრძვის რუსთაველს ორთოდოქსი ქრისტიანი ანტონ კათალიკოსი.

გ. ა.

747. სიმონ ტაკაშვილი

„კრავნი კრავთა ვერ უწოდდეს“

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1999, 19-26 ნომბ; № 47, გვ.16.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტურად დამამთავრებელი სტროფის მესამე სტრიქონი ასე უნდა იკითხებოდეს: „ავის მქნელნი დააშინეს, კრავნი კრავთა ვერ უწოდდეს“.

მისი თქმით, კრავს სჩვევია სხვა კრავის დედა გამოწოვოს, თავის ტოლს ულუფა წაართვას. რუსთაველმა ის აზრი ჩააქსოვა ამ სტროფში, რომ პოემის გმირებმა წესრიგი და სამართლიანობა დაამყარეს, მათ ქვეყნებში აღნიშნული მცირე დანაშაულიც აღარ ხდებოდა.

სხვა ვარიანტები: „კრავი ცხვარსა ვერ უწოდდეს“, ან : „კრავნი ცხვართა ვერა სწოდდეს“- ბუნდოვანი, უაზრო და უარსაყოფია. **გ. ა.**

748. ალექსანდრე ფოცხიშვილი

სწორად შენიშნული რეალობა და ... მცდარად წაკითხული ტექსტი

გაზ. „კალმასობა“, 1999, № 4, გვ. 9-10.

ეს წერილი გამოხმაურებაა თ. ვასაძის „იდეალურისა და რეალურის“ მიმართ („კალმასობა“, 1999, № 1-2). ავტორის აზრით, თ. ვასაძემ სწორად შენიშნა, რომ რუსთაველი

გმირებს ხატავს ჩვეულებრივი ადამიანური პოზიციებიდან, რომ მათთვის არაფერი ადამიანური გასაკვირი და გაუგონარი არაა, მაგრამ არ ეთანხმება თ. ვასაძეს პოემის ზოგიერთი ადგილის ინტერპრეტაციასა და გმირების მოქმედების მოტივირებაში. მაგ. ტარიელის ნათქვამში: „მით ვტიროდი, მომეგონა მე, გლახ, ჩემი წარმწყმედელი“ (292) – „წარწყმედელად“ ფარსადანი კი არ იგულისხმება, არამედ ნესტან-დარეჯანი.

თ. ვასაძე წერდა, რომ ფარსადანმა იცოდა ტარიელისა და ნესტანის სიყვარულის შესახებ, „შეგნებულად გაწირა ეს სიყვარული და ამით, არსებითად, მკვლელობის პროვოცირება მოახდინა“. ალ. ფოცხიშვილი ამბობს, რომ ამის დამადასტურებელი ფაქტები პოემაში არ არის. ოპონენტი ვრცლად განიხილავს ცოდვისა და მონანიების საკითხს პოემაში და სტრიქონს: „უსისხლოდ მოვკალ იგი, გლახ, თუცა ხმდა სისხლის დადენით“ ასე განმარტავს: „უსისხლოდ მოკვლა“ ნიშნავს: „დანაშაულისთვის სისხლი არ გადამიხდია, პასუხი არ მიგია, თუმცა ვალდებული ვიყავი ასე მოვქცეულიყავი, – პასუხი მეგო „სისხლის დენით“, ანუ გადამეხადა იმდენი სისხლი, რაც მოკლულს სდიოდაო.

ავთანდილის მიერ ჭაშნაგირის მკვლელობის ეპიზოდში რუსთველის რემარკაზე: „ესე მიკვირს სისხლი მათი ასრე ვითა მოიპარა“ (1117) ალ. ფოცხიშვილი წერს: „ვფიქრობ, აქაც ლაპარაკია გადაუხდელ, შერჩენილ, მოპარულ სისხლზე, მოკლულის წინაშე დანაშაულის გამოსასყიდად რომ უნდა გადაეხადა ავთანდილს და არ გადაუხდია“. გ. ა.

749. ეკა ქორიძე

„ვეფხისტყაოსნისა“ და „ტარიელიანის“ ურთიერთმიმართება

თბ., 1999, გვ. 160.

მონოგრაფია შედგება 4 თავისაგან:

- I. საკითხის კვლევის ისტორია;
- II. „ვეფხისტყაოსნთან“ „ტარიელიანის“ მსგავსებისა და წარმომავლობისათვის;
- III. პერსონაჟები;
- IV. მოტივების ტრანსფორმაცია.

ავტორი პრობლემას განიხილავს ფოლკლორისტი მიხეილ ჩიქოვანის წიგნში – „ხალხური ვეფხისტყაოსანი“ (თბ., 1937) – დაბეჭდილი ზეპირსიტყვიერი ვარიანტების ანალიზისა და თვით მკვლევრის, მ. ჩიქოვანის, არგუმენტებისა და დასკვნების კრიტიკული შეფასების საშუალებით.

ე. ქორიძე დასაბუთებულად უარყოფს მ. ჩიქოვანის თვალსაზრისს, თითქოს „ვეფხისტყაოსანზე“ ადრე არსებობდა მითოლოგიურ-საგმირო ეპოსი „ტარიელიანი“ და რუსთაველმა ის გამოიყენა თავისი თხზულების საფუძვლად. გ. ა.

750. ამირან ცამციშვილ-ფიცხელაური

უახლესი ისტორიული შტუდიები

თამარსა და შოთაზე, XII-XIII სს.

გამომც. „გეოგონდი“, თბ., 1999, გვ. 59; რედ. ვაჟა ეგრისელი.

ანოტაციიდან: „ნაშრომში წარმოჩენილია მეფე თამარის და შოთას სენსაციური, მაგრამ სარწმუნო დოკუმენტური ბიოგრაფია...“ (გვ. 3).

დასკვნა: „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი არის შოთა – იოანე დადიანი ჯავახეთიდან, საფარელ-ანჩელი, ამირახორ მანდატურთუხუცეს-ყოფილი, ქართლის მიტროპოლიტი, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი (1206-10), მწიგნობართ-უხუცეს-ჰყონდიდელი (1208-13),

მუფე-მეფე (1210-13), გელათის წინამძღვარი, პატრონთ საფლავის მწირველი ზალდასტანი, მგოსანი, მწიგნობარი, ოქრომჭედელი პროტოსპათარი (1160-1249), (გვ. 30).

იქვეა სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ნარკვევების ნუსხა:

1. რუსთველი სიბრძნის ტბა არის ... „კომუნისტი“, 6. III. 88.
2. რუსთველის ვინაობა და ფრესკა გელათში, თბ., 1989, 67 გვ.
3. ფრესკაზე რუსთველი თუ დავით ნარინი? გაზ. „ქუთაისი“, 2, VIII, 85.
4. Портрет – Шота руставели?, „Советский музей“, 1987, № 6.
5. არის თუ არა შოთა რუსთველი იოანე დადიანი. „ქუთაისი“, 22, VIII, 90, „თუთარჩელა“ 1992, № 4.
6. გზას ნუ მივცემთ ცრუ მეცნიერებას ... („თუთარჩელა“ 1993, №5).
7. კიდევ ერთი ვარაუდი (რუსთველის ახალ პორტრეტზე), „დროშა“, 1993, № 4.
8. შოთა რუსთველის ვინაობა - სადაურობა და სამოხელეო მოღვაწეობა, (გაზ. „ქუთაისი“, 1996, ოქტომბერი, № 115-116; №119-120).
9. შოთა და თამარ მეფენი გელათში განისვენებენ. (გაზ. „გეიკო-ექსპრესი“, 25. VI-25.VII, 1996, №11).
10. უახლესი ცნობები რუსთველზე, კრებ. „აია“, 1997, № 2, გვ.81-101.
11. ინტერვიუ შოთა რუსთაველზე, (გაზ. „მესამე ათასწლეულის“ კორესპ. რ. ზარნაძეს, 1999, № 6, გვ. 9). **გ. ა.**

751. კახაბერ ჭეიშვილი

ვიქტორ კერნზახი – ქართული პოეზიის მთარგმნელი

თსუ ფილოლოგიის ფაკ. და თსუ ფილოლოგიის II სამეცნ. სესია, 1999, 15-17 აპრილი.

მუშაობის გეგმა და მასალები, გვ. 162-164.

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ვ. კერნზახის მიერ რუმინულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ 1956 წელს გამოიცა ბუქარესტში, ხოლო განმეორებით – 1966 წელს, დიდი ტირაჟით. მთარგმნელს ხელთ ჰქონდა ს. იორდანიშვილის მიერ შესრულებული პწკარედი და შ. ნუცუბიძის თარგმანი რუსულ ენაზე, იყენებდა აგრეთვე გ. გვაზავას ფრანგულ თარგმანს. ვ. კერნზახმა წარმატებით დაძლია ენობრივი და ვერსიფიკაციული სიმძნელები, რაც იმის საწინდარი გახდა, რომ თარგმანი კარგად მიეღო რუმინულ ლიტერატურულ საზოგადოებას.

გ. ა.

752. ალექსი ჭინჭარაული

„ვეფხისტყაოსნის“ ორი სტროფის ენობრივი ანალიზის ცდა

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1999, №16 (16-26 აპრილი), გვ. 7.

ავტორი ეხება სიტყვა **იჩქითს** 414-ე და 1246-ე სტროფებში. ეს სიტყვა ზმნიზედის ფორმით **იჩქითად** ნახმარია „ამირანდარეჯანიანში“, „ქილილა და დამანაში“ და სხვ. **იჩქითი** ნიშნავს: მყისი (საბა), ანაზდი (ნ. ჩუბინ.); ანაზდი, ერთბაში, უეცარი, მოულოდნელი (დ. ჩუბინ.).

„ვეფხისტყაოსანში“ ასე იბეჭდება: „**მოწყალება იჩქითია, ღმრთისა ამაღ არა მკვირსა,**“ რასაც მკვლევარი აზრობრივ შეცდომად თვლის, რადგან: „მოწყალება ყოველთვის არა არის იჩქითი, მყისი ან ანაზდეული“... მიუღებელია აგრეთვე მძიმის გადატანა „ღმრთისა“-ს შემდეგ, რადგან ამით სტრიქონის მეორე მუხლი „ტყდება“.

უნდა დაიბეჭდოს: 1). აწ რასაც მე მალღრსებ, ხორციელი არვინ ღირს-ა, რადგან „ხორციელი“ აქ ნიშნავს ადამიანს და არა „ცხოველს“ (ყოველივე ცოცხალს). 2). „მოწყალეობა იჩქითია, ღმრთისა ამაღ არა მკვირსა“, = ღმერთმა მოწყალეობის, ანაზდად, მოულოდნელად გაცემა იცის, ამიტომ (მისგან) ეს გასაკვირი არაა.

12464 – „წყალობა შენი იჩქითად არს ჩვენი გარდმომფენელი“ ასე უნდა გასწორდეს: „წყალობა შენი იჩქითი არს ჩვენზედ გარდმომფენელი“. აქაც საუბარია ღმერთის წყალობა – იჩქითობაზე, წყალობის ღვთისმიერობაზე და არა მის როგორობაზე. გ. ა.

753. ალ. ჭინჭარაული

„შეკაფულნი“ თუ „შეკაზმულნი“ ?

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1999, № 35, გვ. 14.

მკვლევარი ეხება „ვეფხისტყაოსნის“ 14163-ის წაკითხვას „გზანი დახედეს შეკაფულნი, შვიდეს და გაძვრეს ხერელსა...“ აღნიშნავს, რომ სიტყვა „შეკაფულნი“ მხოლოდ 4 ხელნაწერშია, 16-ში კი მას ცვლის „შეკაზმულნი“ და ამტკიცებს, რომ ავტორისეული ეს მეორე წაკითხვაა. „შეკაზმული“ აქ გამზადებულს (გახსნილს) ნიშნავს.

ვარიანტი „შეკაფულნი“ კი გაჩენილი უნდა იყოს „ვეფხისტყაოსნის“ სხვა ეპიზოდში ნახმარი გამოთქმის ანალოგიით: „ესე ქვაბნი ... დევთა შეეკაფნეს“ (657,1). „კაფვა“ ქაჯებთან ბრძოლაშიც არის ნახსენები: „სამგნითვე კართა შესჯარნეს, ჭირი არ ნახეს კაფისა“, მაგრამ აქ მებრძოლების კაფვაზეა საუბარი, გზის (გვირაბის) შეკაფვა კი ამ კონტექსტში აზრობრივად გაუმართლებელია. ამიტომ უნდა ვწეროთ და დავბეჭდოთ „შეკაზმულნი“. გ. ა.

754. ალ. ჭინჭარაული

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან

ჟურ. „ბურჯი ეროვნებისა“, 1999, № 3-4, გვ. 21.

მკვლევარი იძლევა რამდენიმე წაკითხვის გასწორებას: 409,4: „მოდი, სჯობს მანდა ტირილსა, საქმესა ზედით ვებულსა“. შესიტყვება „ზედით- ვებული“ კომპოზიტია და დევისით უნდა დაიბეჭდოს. ის „ტირილის“ განმარტებაა, ე.ი. „ტირილი“ ამაო (უსარგებლო) და სამწუხარო(სავებო) საქმეა. 12242-3: „წაგვიყვანა მონა ასი, ყველაკაი მისგან რჩევით, დღისით, მზისით ვმეკობროდით, ღამეთაცა ვიყვნით თევით.“ ავტორისეული უნდა იყოს წაკითხვა: შიგან რჩევით (ასეა შვიდ ხელნაწერში).

დღისით-მზისით კომპოზიტია და ნიშნავს : დღის სინათლეზე. გადატ. – აშკარად, ცხადად. ცალკე ცნება „მზისით“ არ არსებობს, ამიტომ მისი მძიმით გამოყოფა არ არის სწორი.

გ. ა.

755. ნოდარ ჭოლოკავა

რუსთაველი – მსოფლიოს უდიდესი პოეტი

თბ., 1999, 140 გვ. (წიგნს არ ახლავს პოლიგრაფიული საგამომცემლო რეკვიზიტები).

წიგნის პირველ ნაწილში – „ამბავი სპარსული“ (გვ. 5-30). განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის საკითხი. პოემის დასაწყისის მე-9 სტროფის შინაარსის არასწორმა გაგებამ, ავტორის აზრით, მკვლევართა შორის დაამკვიდრა მცდარი წარმოდგენა რუსთაველის

თხზულების ფაბულის უცხოური (სპარსული) წარმომავლობის შესახებ. ნაშრომის ავტორი ამტკიცებს, რომ „ამბავი სპარსული“ ეპოსის ერთ-ერთ ჟანრზე მითითებას გულისხმობს და ფაქტობრივად, სამიჯნურო ამბავს ნიშნავს. ის ისეთივე ლიტერატურული ტერმინია, როგორც „რომანული მოთხრობა“, რომელიც XII საუკუნეში გავრცელდა ევროპული ქვეყნების მწერლობაში. გამოთქმას „ამბავი სპარსული“ პოეტი იყენებს თავის თხზულებაში რეალური ამბების „შეფარვის“ მიზნით.

მეორე ქვესათაურში – „შოთა რუსთაველის ცხოვრების გზა“ (გვ. 31-46) – მკვლევარი ვარაუდობს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი მომსწრე და თვითმხილველია XII ს-ის 80-იან წლებში საქართველოს სამეფო კარზე მომხდარი მოვლენებისა: თამარის მეფედ კურთხევა, ძალდატანებით მისი ქორწინება რუსეთიდან ჩამოყვანილ უცნობ უფლისწულზე, შემდეგ მასთან განქორწინება და შეუღლება დავით სოსლანთან. მკვლევრის აზრით, რუსთაველი პოემას თამარს უძღვნის და მისივე ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მომენტების გათვალისწინებით აყალიბებს მის ფაბულას და კომპოზიციასაც. მისი აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ დაწერილია თამარის მეორე ქორწინებამდე, სახელდობრ 1188 წელს.

ნაშრომის მესამე ნაწილში (გვ.47-137), რომლის სათაური წიგნის საერთო სათაურს ემთხვევა, ავტორი ცდილობს წარმოაჩინოს რუსთაველის შემოქმედებითი მეთოდი, მისი ინდივიდუალობის დამახასიათებელი მხარეები, პერსონაჟთა სახე-ხასიათების ხატვის სტილი. იგი აღნიშნავს, რომ მთავარი გმირების გარეგნული დახასიათებისათვის რუსთაველი ისეთ მხატვრულ ხერხებს იყენებს, რომლებიც შემდეგ ხელოვნებისა და ლიტერატურის კლასიკური ნიმუშების მიხედვით განაზოგადა და ჩამოაყალიბა ლესინგმა (XVIII ს).

მკვლევრის თქმით, რუსთაველი მტკიცედ იცავს არისტოკრატიული ესთეტიკის პრინციპებს, რაც გულისხმობს მეფეების და მათი ოჯახის წევრების ჩვენებას იდეალიზებული სახით. ყველა მეფე და უფლისწული პოეტს წარმოდგენილი ჰყავს მომხიბლველი გარეგნობის მქონედ. ერთადერთი გამონაკლისია ხვარაზმშას ძე, რომელსაც პოეტი უარყოფითად ახასიათებს. ტარიელის ნათქვამში: „ იგი ყმა ვითა წვა, **ზარ-მაც** თქმად ენით“, მკვლევარი **ზარ-მაც** სიტყვას **მედგარის** სინონიმად თვლის, რაც თავი მხრივ გულისხმობს: ბოროტს, ცუდს, გამოუსადეგარს, მშიშარას, და ფიქრობს, რომ ხვარაზმელი უფლისწული ტარიელს სწორედ ასეთად მიაჩნია (გვ. 109-110; 127-128).

მკვლევრის დასკვნით, „ვეფხისტყაოსანი“ ეროვნული ნაწარმოებია, რაც იმაში გამოიხატება, რომ პოემის გმირების უმრავლესობას XII ს-ის ქართულ სინამდვილეში პროტოტიპები მოეძებნებათ. ისინი ქართული ხასიათის მქონენი და ქართული წეს-ჩვეულებებისა და ზნეობრივი პრინციპების დამცველნი არიან.

წიგნს ახლავს რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე. **გ. ა.**

756. ეთერ ხარაბაძე

ტარიელი – სამყაროს სასიცოცხლო გზით მატარებელი ღვთაება

და მასზე მუშაობა სკოლაში

თბ., 1999, 68 გვ.

წიგნის ანოტაციაში ავტორი წერს: „ვეფხისტყაოსანი საღმრთო მანარმოებია. იგი ისევე შეუცნობელია, როგორც კოსმოსი. მის უღრმეს შრეებში ღვთაებრივი სიბრძნეა ჩასაიდუმლოებული. ყოფნა-არყოფნის მძიმე წუთებში ქართველი კაცი მას აპყრობდა თვალს. მისგან გარდმოდენილი ღვთაებრივი ნათელი იფარავდა განსაცდელისაგან. ასე იყო, ასეა ახლაც

და ასე იქნება მარად. წარმოდგენილი შრომა ნაწარმოების ქვემო შრეებში შედარებით ერთგვარი ცდაა, (ხოლო) მასში ჩასაიდუმლოებული საიდუმლოს გაცხადება ღმერთის ნებაა“. **გ. ა.**

757. გიორგი ჯულაყიძე

**ქართული იდეოლოგიის საფუძვლები შოთა რუსთაველის
„ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით**

თბ., 1999, 48 გვ.

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველის მიერ მხატვრულ ფორმებში გადმოცემული ღრმა იდეოლოგიური საფუძვლები ადამიანის, როგორც საზოგადოების უმაღლესი მიზნის, ერთიანი სახელმწიფოს, ეკონომიკური წყობის, სხვადასხვა ფენის ურთიერთდამოკიდებულების, რელიგიის, სიყვარულისა და ზნეობრიობის შესახებ დღესაც გასათვალისწინებელია პოეტისთვის თუ სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებში.

მკვლევრის აზრით, „ვეფხისტყაოსანში“ გადმოცემულია ერთიანი, ცენტრალიზებული, ძლიერი სახელმწიფოებრიობის იდეა. თხზულების იდეოლოგიურ ხერხემალს წარმოადგენს მტკიცე მეგობრობა ადამიანებს, სხვადასხვა ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის.

ნაშრომში განხილულია პოემაში აღწერილი სოციალური ურთიერთობა, ქალის როლი საზოგადოებაში, ეკონომიკური წყობა, საბაზრო ურთიერთობები, რელიგიური და ზნეობრივი ასპექტები. **გ. ა.**

2000

758. გიორგი არაბული

პოეზია – სიბრძნის დარგი

გაზ. „კალმასობა“, 2000, № 2, გვ., 14; აგრ. აღმანახი „კარიბჭე“, III, 2000, გვ. 185-191.

წერილში განხილულია რუსთაველის თვალსაზრისი პოეზიაზე, მის სახეებსა (ყანრებსა) და დანიშნულებაზე. ავტორის აზრით, რუსთაველი პოეტურ ნაწარმოებებს ორი პრინციპით განასხვავებს; ფორმალურად, – მოცულობის მიხედვით, გამოიყოფა „გრძელი ლექსი“ – ეპიკური თხზულება და „ცოტა“, ანუ მოკლე ლექსი (ლირიკა). თემატურ-შინაარსობრივი პრინციპით განირჩევა სიბრძნის შემცველი თხზულებები (ღვთაებათა სადიდებელი ჰიმნები, მითურ, ისტორიულ და წმინდა მოწამეთა ხოტბები) და საყოფაცხოვრებო ლექს-სიმღერები, რომელთაც პოეტი „ცოტა ლექსის“ კატეგორიაში გულისხმობს.

მკვლევრის ვარაუდით, პროლოგის მე-17 სტროფი, რომელშიც საუბარია „მესამე ლექსზე“, ანუ მესამე სახის პოეზიაზე, გვიანდელი ჩანართია. მასში დასახელებული ლექსები, რომლებიც განკუთვნილია „სანადიმოდ...“, სააშკოოდ, სალალოდ“, თავისთავად იგულისხმება „ცოტა ლექსში“, რომელსაც პოეტი მე-16 სტროფში ახასიათებს და მას ყმაწვილი მონადირის უვარგის მშვილდს ადარებს.

მე-17 სტროფის არარუსთაველისეულობას ადასტურებს აგრეთვე მისი შინაგანი აზრობრივი წინააღმდეგობა (ალოგიკურობა) და ვერსიფიკაციული გაუმართაობა, – პირველ სტროქონში არეულია დაბალი და მაღალი შირის მეტრული წყობა. **გ. ა.**

759. გ. არაბული

ხელნაწერები და მეცნიერთა კონიექტურები

გაზ. „ახალი განათლება“, 2000, 7-13, XII, № 37, გვ. 6.

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთველის სტროფების აბსოლუტური უმრავლესობა გაწყობილია ზუსტი რითმებით. იშვიათად გვხვდება არაზუსტი რითმები (ათად – აკვთად; ელობა – ერობა და მისთ). პოემის ტექსტის მკვლევარნი და გამომცემლები ზოგჯერ ცდილობენ ასეთი რითმების „გასწორებას“; ზუსტი რითმის შექმნის მიზნით ტექსტში შეაქვთ ისეთი ფორმები ან ახალი სიტყვები, რომლებიც პოემის ხელნაწერებში არ დასტურდება. ასეთი მოქმედება ყოველთვის არაა მიზანშეწონილი და გამართლებული. ამის მაგალითად წერილში განხილულია ორი კონიექტურა.

1. პოემის 33-ე სტროფში არის სამმარცვლიანო რითმა, რომელსაც ქმნის სიტყვები: ასული / დასული/ და სული / ასული. პირველ სტრიქონში გვაქვს ფრაზა: **ოდენ მარტო ასული**, რომელიც უცვლელად მეორდება ხელნაწერებში და ასევე იბეჭდებოდა გამოცემებშიც 1953 წლამდე. ამ წელს გამოქვეყნდა პოემის ტექსტი პ. ინგოროყვას რედაქციით, რომელშიც დაიბეჭდა: „ოდენ **მარტოდ** ასული“. ამ გასწორებით **მარტო** (რიცხვითი სახელი „ერთი“, რომელსაც ამ კონტექსტში ზედსართავის ფუნქცია აქვს), შეიცვალა ზმნიზედით (**მარტოდ**). ამან გამოიწვია აზრის გაბუნდოვანება, რითმის სრულყოფის თვალსაზრისით კი, რაიმე გაუმჯობესება არ მომხდარა.

2. ტარიელი ამბობს: „მამა მომიკვდა, მოვიდა დღე სიკვდილისა მისისა, ... ერთგულთა შექმნეს ვაება, მტერთა – ხსენება იშისა“ (332). პირველი სტრიქონის სართიმო სიტყვა შეიცვალა კონიექტურით: „**ვიშისა**“ (დღე სიკვდილისა, ვიშისა). წერილის ავტორის აზრით, ეს ცვლილებაც გაუმართლებელია, რადგან: ა) „დღე სიკვდილისა მისისა“ მყარი გამოთქმა და რითმის მცირე უზუსტობა მისი შეცვლის საფუძველს არ იძლევა. ბ) სიტყვა „**ვიში**“ მწუხარების შინაარსით ქართულ ტექსტებში XVII საუკუნეზე ადრე არ დასტურდება და, ამდენად, რუსთველის თხზულებისათვის შეუფერებელია. **ნ. მ.**

760. გ. არაბული

სადაური იყო ავტორი „ამირანდარეჯანიანისა“?

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2000, 5 სექტ., № 240, გვ. 4.

მკვლევარს დაუშვებლად მიაჩნია „ვეფხისტყაოსნის“ დასასრულის ბოლო სტროფში სართიმო სიტყვის **ხონელსა** შეცვლა **ხომელსა** ფორმით. ასეთი ცვლილება მოხდა ნ. ნათამის მიერ რედაქტირებული „ვეფხისტყაოსნის“ ე. წ. სასკოლო გამოცემებში, აგრეთვე ამავე თხზულების აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მთავარი რედაქციის მიერ მომზადებულ 1988 წლის გამოცემაში.

ასეთი შესწორებისათვის ტექსტოლოგიური საფუძველი არ არსებობს; პოემის ოც ნუსხაში იკითხება **ხონელსა**, მხოლოდ ერთში (C⁴) გვაქვს **ხომელსა**, ისიც აზრობრივად დამახინჯებულ კონტექსტში: „ამირან დარეჯანისძე მოსეს აქებდა ხომელსა“, ე. ი. პერსონაჟი აქებდა თურმე თხზულების ავტორს(?!). სტრიქონის შინაარსის ასეთი აბსურდულობა მიანიშნებს გადამწერის მექანიკურ შეცდომაზე.

მეორეც, – ლიტერატურული ტრადიციით „ამირანდარეჯანიანის“ ავტორის გვარი თუ ზედწოდებაა **ხონელი** და მისი შეცვლის უფლება არავის აქვს უეჭველი წერილობითი დოკუმენტის გარეშე. **გ. ა.**

761. რევაზ ბარამიძე

დაკვირვებები მოტივებისა და დეტალების ოსტატობაზე

„ვეფხისტყაოსანში“

კრებ. „შოთა რუსთაველი“, I, (ქართული ლიტერატურის ინსტ.),
თბ., 2000, გვ. 167-184.

ავტორი აანალიზებს პოემის სამ თავს: „ავთანდილისაგან მის ყმის ძებნად წასლვა“, „ამბავი ავთანდილისა, ასმათს რომ ეუბნების ქვაბშიგან“ და „შეყრა ტარიელისა და ავთანდილისა“.

მკვლევრის დაკვირვებით, დეტალების ასახვაში რუსთაველი იყენებს რეალისტურ პრინციპს. ეს მჟღავნდება მოქმედების დროისა და სივრცის უადრესად კონკრეტულად წარმოდგენაში, რაც ამა თუ იმ ფაქტის უშუალოდ და რელიეფურად აღქმის საშუალებას იძლევა.

წერის რეალისტური მანერა ბუნების სურათების ასახვაშიც ვლინდება. ნიმუშად მოტანილია დევთა ქვაბოვანის აღწერა: „დღისით ვლეს და სადამოჟამს გამოუჩნდეს დიდნი კლდენი...“

მკვლევარი აღნიშნავს, რომ რეალისტური სტილით არის წარმოდგენილი ავთანდილისა და ასმათის პირველი შეხვედრა, რომლის აღწერაში სანიმუშოდ თვალსაჩინოა სურათის ფერწერული პლასტიკურობა, საუბრის ექსპრესიულობა და დრამატული სიმძაფრე, აგრეთვე პერსონაჟების ქცევის ფსიქოლოგიური სიღრმე და მოტივირება.

ხასიათის ფსიქოლოგიური გახსნის მხრივ საყურადღებოა ავთანდილისა და ტარიელის შეხვედრა; მათი ქცევა გამართლებულად და დამაჯერებლად არის წარმოდგენილი. **გ. ა.**

762. ქეთევან ბეზარაშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ საღვთო სიყვარული და „ტურფა საჭვრეტელი“

(წერილი პირველი)

კრებ. „შოთა რუსთაველი“, I, (ქართული ლიტერატურის ინსტ.),
თბ., 2000, გვ. 107-131.

ნარკვევში განხილული პრობლემები გამოყოფილია ქვესათაურებით:

1. საღვთო ალეგორია შუა საუკუნეების თხზულებებში;
2. მშვენიერების, ჭვრეტისა და სიყვარულის გაგება ბიზანტიური ესთეტიკის მიხედვით;
3. მშვენიერების, ჭვრეტის, სიყვარულის ცნებები რუსთაველთან;
4. მშვენიერების, ჭვრეტისა და სიყვარულის ცნებების ურთიერთკავშირი პატრისტიკულ ლიტერატურასა და ავთანდილის ანდერძში.

ავტორი აღნიშნავს, რომ გრძნობადი ტკბობიდან სულიერი ტკბობისაკენ სწრაფვა მშვენიერების მაღალი დონეების ხილვით ქრისტიან მოაზროვნეთა საერთო ტენდენციად იქცა. სულიერი, ღვთაებრივი მშვენიერების ჭვრეტა-შემეცნება უმაღლეს იდეალად იქნა დასახული. ცნობილია, რომ საღვთო სიყვარული რუსთაველთან იწოდება „პირველ მიჯნურობად“.

„პირველი“ ნიშნავს უმთავრესს, უზენაესს, რაც განასხვავებს მას ამქვეყნიური მიჯნურობისაგან. „მიჯნურობა პირველი“ ისეთივე ცნებაა, როგორც „სიბრძნე პირველი“ (საღვთო სიბრძნე). ავთანდილის ანდერძი და ლოცვა საღვთო სიყვარულის ჰიმნებია, სადაც მოციქულთა და წმიდა მამათა სიყვარულის მოძღვრება სრულყოფილად არის წარმოდგენილი. **გ. ა.**

763. როლანდ ბერიძე

ფანტასტიკური ხილვის მშვენიერი ნიმუში

კრებ. „შოთა რუსთაველი“, I, (ქართული ლიტერატურის ინსტ.),
თბ., 2000, გვ. 299-307.

ნარკვევში განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტრიქონი, რომელიც ნაბეჭდ გამოცემებში ორნაირად იკითხება:

1. დავხოცეთ მხეცი, მფრინველი **არცა** ზე გარდაგვფრენია.
2. დავხოცეთ მხეცი, მფრინველი, **რაცა** ზე გარდაგვფრენია.

მკვლევარი ავთენტურად მიიჩნევს მეორე ვარიანტს, რომელიც სხვადასხვა რედაქციის ხელნაწერებშია დაცული. მისი აზრით, მონადირეთა თავზე გადამფრენად მხეცეები იგულისხმება და ამ პოეტური პირობითობის გამო სტრიქონს „ფანტასტიკური ხილვის მშვენიერ ნიმუშს“ უწოდებს. **გ. ა.**

764. ზაჩანა ბრეგვაძე

„დიონოსი ბრძენი ეზროს“

კრებ. „მნემე“ (Μνήμη), ეძღვნება ალ. ალექსიძის ხსოვნას, თბ., 2000, გვ. 56-62.

სტატია ეძღვნება „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონს: „ამ საქმესა მემოწმების დიონოსი ბრძენი ეზროს...“ (175,1). მკვლევარი წერს: „დიონოსი ბრძენი“ დიონისე არეოპაგელია, მაგრამ გასარკვევია „ეზროსის“ ვინაობა. დაუსაბუთებელია მისი იდენტიფიკაციის ცდა როგორც ეზრა წინასწარმრტყველთან, ასევე XII ს-ში ესპანეთში მცხოვრებ ამავე გვარის ორ ებრაელ პოეტთან.

მკვლევრის ვარაუდით, რუსთაველის **ეზროს** იგივეა, რაც ბერძნული პანთეონის სიყვარულის ღმერთის (ეროსის) და თვით სიყვარულის სახელი – **ეროსი**, რაც ბიზანტიურ ბერძნულში გამოითქმოდა როგორც **ეზროს**. ამრიგად, სადავო სტრიქონის აზრი ასე უნდა გვესმოდეს: „ამ საქმეს მიმოწმებს ბრძენი დიონისე, სიყვარულო“. **გ. ა.**

765. ალექსანდრე გვახარია

ავთანდილ გადინადირა...

ალმ. „მწიგნობარი“, თბ., 2000, გვ. 251-258.

წერილი არის რეცენზია ეკა ქორიძის მონოგრაფიაზე „ვეფხისტყაოსნისა“ და „ტარიელიანის“ ურთიერთმიმართება (თბ., 1999).

ავტორი აღნიშნავს, რომ ე. ქორიძემ წარმატებით გაართვა თავი დასახულ მიზანს. პროფესიონალიზმი ჩანს საკითხის დასმასა და გადაწყვეტაში, არგუმენტების მოხმობაში, მოტივების განხილვასა და მათი ტრანსფორმაციის ჩვენებაში, პერსონაჟთა შეპირისპირებით დახასიათებაში. მ. ჩიქოვანის არც ერთი საბუთი არ არის უყურადღებოდ დატოვებული.

მაქსიმალურადაა გამოყენებული ფოლკლორული მასალა იმის დასადასტურებლად, რომ შოთას პოემა „ტარიელიანის“ მიმართ პირველადია. გ. ა.

766 ალ. გვახარია

„ვეფხისტყაოსნის“ აღმოსავლური კომენტარები

გაზ. „ახალი განათლება“, 2000, № 30, 31, 32; 36.

„კომენტარები“ გამიზნულია, ქართული ლიტერატურის მასწავლებელთა დამხმარე მასალად, ამიტომაც მსჯელობა პოპულარული ხასიათისაა და განტვირთულია სამეცნიერო ლიტერატურის დეტალური მითითებისაგან. განმარტებულია: „დასაწყისის“ (პროლოგის) დანიშნულება შუა საუკუნეების ეპიკურ თხზულებებში; ცნებები და გამოთქმები: გვრდემლი ტყვიისა, მიჯნური, მაზრები, ხარგა, სათის რუბები, ჭაში ჩავარდნილი კაცის არაკი, „სულთა ვჰყიდდი გულისათვის...“, ნადები; საკუთარი სახელები: რამინი, ვისი, როსტომი, კაენი (კაისი), სალამანი და სხვ. გ. ა.

767. ალ. გვახარია

„ვეფხისტყაოსნის“ აღმოსავლური ლექსიკიდან

(მახალი, ნასი, ხლა)

კრებ. „შოთა რუსთაველი“, I (ქართული ლიტერატურის ინსტ.), თბ., 2000, გვ. 262-271.

სიტყვა **მახალი** „ვეფხისტყაოსანში“ ერთხელ გვხვდება: „დასხდეს, შეიქმნა პურობა, გაამრავლებდეს მახალსა“ (1008,1). ძველ ქართულ ტექსტებში მახალი ნიშნავს ხურჯინს, აზგას. ს. კაკაბაძემ და იუსტ აბულაძემ ეს სიტყვა არაბულ-სპარსული **მაქალ**-იდან მომდინარედ მიიჩნიეს, რაც საჭმელს, ხორაგს, საკვებს აღნიშნავს.

ალ. გვახარია იზიარებს ამ ვარაუდს და მოცემულ კონტექსტში მასალის განმარტებას „საჭმლის, ხორაგის“ ნმიშვნელობით მისაღებად თვლის.

2) ალ. გვახარიას აზრით, **ნასი** უნდა იყოს არაბულ-სპარსული **ნაჰს** („უბედური, მოღუშული, საცოდავი“). აქედან ვ-ს ჩამატებით მიღებული ჩანს **ნავსი** („ცუდის მანიშნებელი, თარსი“). **თვალად ნასი** იქნება შესახედავად საცოდავი, უშნო, დაბღვერილი.

3) **ხლა**: „ვამ მართებს მისსა გაყრილსა, შავი ხლა თავსა ხლებია“ (994,4). მკვლევრის ვარაუდით, **ხლა** მიღებულია არაბულ-სპარსული **ჰოლა**-დან („ტანსაცმელი, მოსასხამი“), ჰ-ს გადასვლა ხ-ში ხშირად ხდება (აჰმაყ – ახმახი, მუჰთალ – მუხთალი...) სპარსულ **ჰოლას** შეეძლო მოეცა ქართულს **ხოლა**, რომელიც შემდეგ **ხლად** იქცა. „შავი ხლა თავსა ხლებია“ გლოვის აღმნიშვნელი მეტაფორაა და უკავშირდება შავი სამოსით ან ნაჭრით („ხილბანდი“) თავის წაკვრას, მორთვას, მოზურვას. გ. ა.

768. ნანა გონჯილაშვილი

„ყაზაჩა და ერთი რიდე“

კრებ. „შოთა რუსთაველი“, I, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბ., 2000, გვ. 57-76.

ავტორი განმარტავს, რომ **ყაზაჩა** ეწოდებოდა ძირითადად ქალთა სამოსს, ქსოვილის მოკლე, გარე მოსასხამს. „ვეფხისტყაოსანში“ ის კაცის სამოსადაც არის დასახელებული.

რიდეს სხვადასხვა დანიშნულება და ფუნქცია აქვს:

1. მამაკაცთა სამოსელის ნაწილი, თავსაბურავი;
2. ქალთა თავსაბურავი;
3. რიდე – საჩუქარი;
4. რიდე – სიმბოლო.

ტარიელის მიერ ხატაეთიდან მოტანილი ძვირფასი ყაბაჩა და რიდე ნესტანისათვის მისი ამადლებული სიყვარულის ისეთივე სიმბოლოური მოწმობაა, როგორც ნესტანისეული სამხრე (სამკლავე) ან თინათინისგან ავთანდილისთვის ნაჩუქარი მარგალიტის მძივი.

აღნიშნულ ყაბაჩასა და რიდეს ნესტანი მოუცილებლად ატარებდა მძიმე და ფათერაკიანი თავგადასავალის მანძილზე. ბოლოს კი, ინდოეთში დაბრუნების შემდეგ, ისინი ავთანდილის ხელით გაუგზავნა თინათინს არაბეთში.

რაკი ეს ფაქტი ხდება ე. წ. ინდო-ხატაელთა ამბის შემდეგ, მკვლევარს მიაჩნია, რომ ამით ერთხელ კიდევ დასტურდება პოემის ამ თავების რუსთველისეულობა. გ. ა.

769. დომინიკ გოტიე-ელიგულაშვილი
ინდოევროპული სამი ფუნქცია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“

*კრებ. „პარიზის საერთაშორისო კოლოკვიუმი“ (მასალები),
 თბ., 2000, გვ. 43-48 (ფრანგულ ენაზე).*

770. მერი გუგუშვილი
სასულიერო საზოგადოების დამოკიდებულება „ვეფხისტყაოსნისადმი“
კრებ. „შოთა რუსთაველი“, I, (ქართული ლიტერატურის ინსტ.), თბ., 2000, გვ. 239-261.

ავტორი აღნიშნავს: XIX საუკუნის მწერლობში (პლ. იოსელიანი, ზ. ჭიჭინაძე, ალ. ხახანაშვილი) გვხვდება ცნობები იმის შესახებ, რომ სასულიერო საზოგადოება უარყოფითად იყო განწყობილი „ვეფხისტყაოსნისადმი“ და ფიზიკურადაც კი გაუნადგურებიათ მისი პირველი ბეჭდური გამოცემის ნაწილი. ასეთი ბრალდება გამოთქმულია სახელდობრ XVIII ს-ის მოღვაწის ანტონ I კათალიკოსის მიმართ.

მ. გუგუშვილი განიხილავს მკვლევართა მოსაზრებებს სავარაუდო დევნის მიზეზების თაობაზე და დაასკვნის: ჩვენამდე მოღწეული ცნობების საფუძველზე არ მტკიცდება, რომ სასულიერო საზოგადოება სდევნიდა „ვეფხისტყაოსანს“ და არც მისი ფიზიკურად განადგურების ფაქტი მტკიცდება დოკუმენტურად.

XX ს-ის დასასრულს მკვლევარმა დენიზა სუმბაძემ გააცოცხლა პლ. იოსელიანისა და ზ. ჭიჭინაძის შეხედულებანი და კვლავ დაადანაშაულა ანტონ I; მაგრამ, როგორც ითქვა, დასახელებულ მწერალთა მოსაზრებანი მეცნიერულად არგუმენტირებული არაა, დ. სუმბაძეს კი რაიმე ახალი, მნიშვნელოვანი საბუთი არ წარმოუდგენია. გ. ა.

771. მ. გუგუშვილი
„ვეფხისტყაოსანი“ და სასულიერო საზოგადოება

ჟურ. მნათობი“, 2000, № 5-6, გვ. 114-117.

ავტორი სადავოდ მიიჩნევს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას სასულიერო წრის წარმომადგენლების მხრივ „ვეფხისტყაოსნის“ დევნისა და განადგურების შესახებ.

საეკლესიო იდეოლოგიის წარმომადგენელთაგან პოლემიკა არ გასცილებია თეორიული ბჭობის ფარგლებს. ეს თხზულება საეკლესიო პირთაგან კრიტიკას იმსახურებდა როგორც სამიჯნურო ნაწარმოები, რომელიც ამქვეყნიურ ცხოვრებას ხატავს მიმზიდველად. ამრიგად, პოემის კრიტიკა ეხება მის ზნეობრივ მხარეს.

აზრი „ვეფხისტყაოსნის“ ფიზიკური განადგურების შესახებ გაჩენილი უნდა იყოს ალა მაჰმად ხანის 1795 წლის შემოსევის შემდეგ, როდესაც გაიძარცვა და დაიწვა თბილისი.

ცნობილი ინტერპოლაციური სტროფი „პირველ თავი დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად...“ თუმცა რუსთველის პოემას სასულიერო პირთათვის ზნეობის გამყვანელად თვლის, ის არ შეიცავს მოწოდებას მისი ფიზიკურად განადგურების შესახებ. გ. ა.

772. ბორის დარჩია

„მარგალიტის“ ერთი სიმბოლური მნიშვნელობა „ვეფხისტყაოსანში“

კრებ. „შოთა რუსთაველი“, I, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბ., 2000, გვ. 132-153.

ავტორი განიხილავს სტრიქონს: „მარგალიტი არვის მიჰხვდეს უსასყიდლოდ, უვაჭრელად“ (163,3) და მის თაობაზე არსებულ კრიტიკულ ლიტერატურას. მკვლევრის საბოლოო დასკვნები ასეთია:

1. დედნისეულია და სწორია აფორიზმის ტრადიციული ტექსტი – „მარგალიტი არვის მიჰხვდეს უსასყიდლოდ, უვაჭრელად“.
2. მართებული არ არის ილ. აბულაძის, ივ. გიგინეიშვილის, გ. წერეთლისა და სხვათა მიერ ამ აფორიზმის შინაარსის განმარტებანი, რომლებიც რეალურ ვითარებას – მარგალიტის მოპოვებას ემყარება.
3. სარწმუნო არაა ვახტანგ მეექვსის თვალსაზრისი, თითქოს აღნიშნული აფორიზმის შემცველი სტროფის მეორე სტრიქონში დასახელებული მიჯნურობა („რა მიჯნური ველთა რბოდეს...“) ქრისტიანული მისტიკური ხასიათისა იყოს. იგი აღმოსავლურ ლიტერატურულ ტრადიციას ასახავს და მისგან მომდინარეა.
4. სამგეროდ, გასაზიარებელია „მარგალიტის მისეული ახსნა. ეს აფორიზმი მართლაც უნდა ეფუძნებოდეს სახარებასა (მათე, 13,45-46) და ქრისტიანულ თეოლოგიურ ლიტერატურაში გავრცელებულ „მარგალიტის“ იმ ალეგორიულ მნიშვნელობას, რომელიც ცათა სასუფეველს, სამოთხეს გამოხატავს.
5. დასაშვებია ისიც, რომ ეს მხატვრული სახე წარმომოხმობით აღნიშნულ ალეგორიას ეყრდნობოდეს, მაგრამ რუსთველი მას გადატანითი აზრით, ზოგადად, ბედნიერების, ნეტარების მნიშვნელობით იყენებდეს. გ. ა.

773. ფარშიდ დელშადი

„ვეფხისტყაოსნის“

ორი სამოხელეო ტერმინი

თსუ ფილოლოგიის ფაკ. ახალდაზრდა მეცნიერთა შრომები, IV, თბ., 2000, გვ. 159-168.

ავტორი წერს, რომ რუსთაველის თხზულება მან მ. ჟორდანიას ინგლისური თარგმანით გაიცნო. შემდეგ დაუკავშირდა ჯ. გიუნაშვილს (საქართველოს ელჩს ირანში), რომლისგანაც

მიიღო „ვეფხისტყაოსანის“ ვ. ურუშაძის ინგლისური, ნ. ხალილის არაბული, ა. ათჰამის ტაჯიკური და შ. ნუცუბიძის რუსული თარგმანები. მათი გამოყენებით გააკეთა პროზაული სპარსული თარგმანი და 1998 წელს დაიცვა დისერტაცია, რომელშიც განხილული იყო რუსთაველის მსოფლმხედველობა, პოეტიკა, ქალის კულტი, სპარსული ეპოსის გავლენა ქართულზე და სხვა საკითხები.

წინამდებარე სტატიის ავტორი მსჯელობს სამოხელეო ტერმინებზე: „ჭაშნაგირი“ და „ამირბარი“. დაასკვნის, რომ **ჭაშნაგირი** სპარსული ტერმინია, რაც „გემოს გამსინჯველს“ ნიშნავს და სწორედ ამ მნიშვნელობითაა ნახმარი ქართულშიც. ორივე ენაში ის სამეფო კარზე არსებული თანამდებობის აღმნიშვნელია.

ამირბარი არის: 1. მეფის უახლოესი ადამიანი, რომელსაც უფლება აქვს (იარაღით) შევიდეს მეფის სასახლეში; 2. თანამდებობის პირი, რომელიც უფლებამოსილია გასცეს ბრძანებანი და აქვს ვაზირთა ვაზირის თანამდებობა.

სტატიას ახლავს რეზიუმე ინგლისურ ენაზე. **გ. ა.**

774. ლ. ელიავა

ფერების მეტაფიზიკა რუსთაველთან

თბილისის ს.-ს. ორბელიანის სახ. პედ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. VII, თბ., 2000, გვ. 83-89.

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველი ფერს იყენებს როგორც პერსონაჟის გარეგნობისა და გუნება-განწყობილების გადმოსაცემად, ასევე საგნების დახასიათებისთვის. პოეტისათვის ფერი სიმბოლოა გრძნობისა და აზრის სიცხადის საჩვენებლად. როდესაც მას სურს გამოხატოს ადამიანის სულის რომანტიკული განწყობილება, მიმართავს იისფერს. რუსთაველს უმშვენიერეს კომპოზიციად მიაჩნია შავისა და ყვითლის შეხამება, რაც ამარტისა და ზაფრანის ფერს იძლევა. ეს ფერი აფექტისა და ბრძოლის სიმბოლოა. ვეფხის ტყავი არის ჭადრაკული ფონი ყვითლისა და შავისა, რაც ადამიანის ფსიქიკაში იწვევს მოკრძალებისა და პატივისცემის გრძნობას.

კონტრასტული ფერები – თეთრი და შავი, ანდა ბროლისფერი გიშრისფერთან – გამოყენებულია რელიეფურად ასათვისებელი სილამაზის დასახტად. **გ. ა.**

775. ლ. ელიავა

ქალის საკრალური კულტი რუსთაველთან

თბილისის ს.-ს. ორბელიანის სახ. პედ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. VIII, თბ., 2000, გვ. 155-161.

მკვლევრის აზრით, ქალის კულტი უკავშირდება სულიწმიდას, რომელიც გაგებულ იყო, როგორც მდებდრობითი ასპექტი. ეს თვალსაზრისი უფრო განამტკიცა ღვთისმსობელ მარიამისადმი თაყვანისცემამ. შემდგომ ეტაპზე მოიაზრება წმინდა სოფიას სახე, როგორც სულიწმიდისა და ღვთისმშობლის სიმბოლო. „ვეფხისტყაოსანი“ ალეგორიულად გადმოსცემს ბიბლიურ კონცეფციას მამის, ძისა და სულიწმიდის მიერ კაცობრიობის ხსნის შესახებ.

სულიწმიდის მოვლინებას ისტორიულად რუსთაველი ხატავს თამარ მეფის სახეში, რომელიც ახორციელებს თეოკრატიულ სოციალურ იდეალს საქართველოს სამეფოს

განმტკიცებით და, რომელიც მოწოდებულია დაიცვას და განავრცოს ქრისტეს სჯული, რათა აზიაროს კაცობრიობა უზენაეს ღვთაებრივ იდეალს.

სტატიაში არის მსჯელობა ქალ პერსონაჟთა სახელების სიმბოლიკაზე (თინათინი, ნესტანი, დავარი, ფატმანი). ნარკვევს ეტყობა ზ. გამსახურდიას ნაშრომების გავლენა, თუმცა ავტორი მათ არ იმორწმებს და არ უთითებს. **გ. ა.**

776. ლუარსაბ ვარდანაშვილი

შოთა რუსთაველის დაბადების თარიღის გამო

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ თბ., 2000, 13-14 აგვ., № 218-219, გვ. 8.

ავტორი წერს: ქართულ მატრიანეებში აღნიშნულია, რომ მეფე გიორგი მესამემ 1178 წელს თავის თანამმართველად დაადგინა 12 წლის ასული – თამარი. ამ ცნობის მიხედვით, თამარის დაბადების თარიღად ითვლება 1166 წელი. მკვლევარს მიაჩნია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ შოთა რუსთაველის ავტობიოგრაფიული ნაწარმოებია და ტარიელის პიროვნებაში იგი თავისთავს გულისხმობს. ტარიელი კი ამბობს: მე ხუთი წლისა ვიყავი, დედოფალი (ნესტან-დარეჯანის დედა) რომ დაორსულდაო. ე. ი. შოთა დაბადებული ყოფილა 1161 წლის იანვარში. **გ. ა.**

777. ხვთისო ზარიძე

„ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიცია

კრებ. „შოთა რუსთაველი“, I, ქართული ლიტერატურის ინსტ., თბ., 2000, გვ. 77-99.

ავტორი წერს: რუსთაველოლოგიაში დღევანდლამდე გადაუწყვეტელია, თუ „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიციური აგებულება როგორ უნდა განვიხილოთ, – არაბეთის ამბებისა თუ ინდოეთის ამბების მიხედვით? ინდოეთის სამეფო კარისა და იქაური პერსონაჟების ამბავს პოემის მთავარ ნაწილად მიიჩნევენ: კ. ჭიჭინაძე, ა. ბარამიძე, პ. რატინი, შ. ონიანი და სხვები. მკვლევართა მეორე ჯგუფი – (ს. კაკაბაძე, კ. კვეციანი, იუსტ. აბულაძე, კ. ცინცაძე, დ. ქუმსიშვილი...) პოემის კომპოზიციას არაბეთის ამბების, კერძოდ, როსტევეან-თინათინ-ავთანდილის ურთიერთობის მიხედვით განსაზღვრავს.

არსებობს მეასამე თვალსაზრისი, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ორივე ქვეყნის ამბავი თანაბარფლებიანია და პოემას ორი მთავარი გმირი ჰყავს – ტარიელი და ავთანდილი (მ. კარბელაშვილი).

ბ. ზარიძე იზიარებს აზრს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი „დაკარგვა-მეზნა-პოვნის“ მოტივს ემყარება, მაგრამ ეს ჩანს არა მხოლოდ „ინდოეთის ამბავში“; „დაკარგულის“ მოძებნის პრობლემა დგება არაბეთის სამეფო კარზეც, – ავთანდილი მიდის გაუჩინარებული უცხო მოყმის მოსაძებნად, შემდეგ კი მასვე (ტარიელს) ენაცვლება ნესტანის მეზნაში. ბოლოს ორივენი, ნესტანთან ერთად არაბეთში ბრუნდებიან. იქ ტარიელი გამოდის ავთანდილის დამხმარედ და მის შუაგად როსტევეან მეფესთან, რითაც გარანტირებული ხდება ავთანდილ-თინათინის ქორწინება. „ყოველივე ეს კი კომპოზიციურად იმით არის საყურადღებო, რომ ამით პოემაში დასაწყისისა და დასასრულის სიმეტრიულობა იკვეთება. [...] პოემა დასრულდა იმითვე, რითაც დაიწყო“ (გვ. 96-97). **გ. ა.**

777a. ბ. ზარიძე

„ერთი ამბავი აიწყე...“

კრებ. „ლიტ. ძიებანი“, XXI, თბ., 2000, გვ. 188-202.

ავტორი აღნიშნავს, რომ „აღორძინების“ ეპოქის ქართველი მწერლები იცნობდნენ „ვეფხისტყაოსნის“ ვრცელ ხელნაწერებს, მაგრამ ისიც იცოდნენ, რომ ეს თხზულება რუსთველს დაუმთავრებელი დარჩენია და ეს ნაკლი შემდეგ სხვებს შეუვსიათ ბოლოში მიმატებული თავებით.

ავტორის მსჯელობა მიმართულია იმის დასამტკიცებლად, რომ ე. წ. „ინდო-ხატაელთა ამბავი“ არაა რუსთველისეული ტექსტის ნაწილი და რუსთველის კომპოზიციური ჩანაფიქრით ის არც ივარაუდებოდა; პოემის სიუჟეტში პირველხარისხოვანია არაბეთის ამბავი, „ტარიელის პირველი გამოჩენით ირღვევა ამ ქვეყანაში ჩვეულებრივი ყოფის რიტმი, საწყისი ეძლევა თინათინ-ავთანდილის მანამდე გაუმქდავენებელ ურთიერთობას და მისი (ტარიელის) მოსვლით არაბეთში და მათ საქმეში ჩარევით სრულდება იგი...“

ბ. ზარიძის აზრით, „ვეფხისტყაოსანს“ ე. წ. წრიული კომპოზიცია აქვს. ქაჯების დამარცხებით და მთავარი პერსონაჟების არაბეთში დაბრუნებით განხორციელებულია მთავარი დევიზი: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“. თავის დროზე ვახტანგ VI-მ სწორად გადაწყვიტა რუსთველის პოემის ტექსტის მოცულობის პრობლემა. **გ. ა.**

778. რამაზ ზარნაძე

„ზოგსა აქვს საღმრთო სიახლე...“

გაზ. „განათლებული ივერია“, თბ. 2000, № 8-9, გვ. 7-9.

რედაქციის წინათქმაში აღნიშნულია, რომ რ. ზარნაძე მუშაობს წიგნზე – „ესე ამბავი გავლექსე მე მათად საკამათებლად“, ანუ რას ამბობს შოთა რუსთველი „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგსა და ეპილოგში“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილი მცირე ნაწილია ამ წიგნიდან. მასში მოცემულია პოემის პროლოგის ერთი სტროფის ახლებური ანალიზი.

წერილის ავტორის თქმით, „ვეფხისტყაოსანი“ არის სიმბოლური აზროვნების ურთულესი ნიმუში და იმ სტროფებში, სადაც „დაბრკოლების ქვები“ გვხვდება, არის უდიდესი დატვირთვა და ღრმა აზრი. პროლოგის 22-ე სტროფში სიმბოლური სახეები არ არის, მასში არსისადმი პოეტის პირადი დამოკიდებულებაა გადმოცემული:

მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა,
მით, რომე შმაგობს მისისა ვერ-მიხვდომისა წყენითა;
ზოგსა აქვს საღმრთო სიახლე, დაშვრების აღმაფრენითა,
კვლა ზოგთა ქვე უც ბუნება კეკლუცთა ზედა ფრფენითა.

მკვლევრის აზრით, 1-3-ე სტრიქონებში ნათქვამი ვაჟსაც ეხება და ქალსაც, ე.ი. ორივე შეიძლება იყოს დასახელებულ ქმედებათა სუბიექტი. მეოთხე სტრიქონში კი, ნ. ნათამის განმარტებით, მხოლოდ ვაჟი იგულისხმება: „იგი ლამაზ ქალებს ეარშიყება“. სტრიქონთა შორის ასეთი აზრობრივი გამიჯნვა მოულოდნელია და საეჭვო ჩანს.

პეტრე იბერიელის (ფსევდო დიონისე არეოპაგელი) იერარქიების გათვალისწინებით, მკვლევარს დასაშვებად მიაჩნია მეოთხე სტრიქონის აზრის ასე გადმოცემა: ხოლო ზოგს კი უძვეს ბუნება, საღმრთო საუფლოში იყოს ამქვეყნიური ცხოვრებიდან განდგომით, ლამაზთა, მიწიერ

მშენიერებათა დატევებით, ზევიდან ფრენით. სტრიქონში საუბარია სულიერ ამაღლებაზე, საღმთო საუფლოში ყოფნაზე, „მისტიური ექსტაზის“ მეოხებით ამქვეყნიურ მშენიერებათა ზევიდან „ფრენაზე“. გ. ა.

779. ლალი ზაქარაძე

შალვა ხიდაშელი – რუსთველოლოგი

ჟურ. „ლიტერატურული აჭარა“, ბათუმი, 2000, № 6, გვ. 83-87.

ავტორი აღნიშნავს, რომ შ. ხიდაშელის რუსთველოლოგიურ ნაშრომებში განხილულია რუსთაველის მსოფლმხედველობის ფილოსოფიური საფუძვლები, აგრეთვე – მისი ეთიკური შეხედულებანი, სიყვარულისა და ლექსის თეორია და სხვ. მკვლევრის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი განალიზებულია რუსთაველის ეპოქის ძირითად მსოფლმხედველებრივ იდეებთან ისტორიული და ლოგიკური კავშირების გათვალისწინებით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შ. ხიდაშელის მიერ „მზიანი ღამისა“ და „უჟამო ჟამის“ ცნებათა ანალიზი, სადაც დამაჯერებლადაა ნაჩვენები ამ სინტაგმების ფილოსოფიური ბუნება და მათი კავშირი ნეოპლატონიზმთან. გ. ა.

780. მარიამ თაბორიძე

„ვეფხისტყაოსნის“

ლიტერატურულ-ესთეტიკური ანალიზი სკოლაში

თბ., 2000, გვ., 367.

ავტორი გვთავაზობს „ვეფხისტყაოსნის“ ლიტერატურულ-ესთეტიკური ანალიზის მეთოდოლოგიურ სისტემას. იგი განიხილავს ნაწარმოების ძირითად პრობლემებს, მათ ესთეტიკურ ღირებულებას, ისტორიულად ჩამოყალიბებულ მხატვრულ ტრადიციებს, რომლებიც წარმოაჩენს ქვეყნის საერთო კულტურულ აღმავლობას XI-XII საუკუნეების საქართველოში და საფუძვლად ედება შოთა რუსთაველის თხზულებას.

წიგნი შედგება „წინასიტყვისა“ და 8 თავისაგან.

I თ. – რუსთველოლოგიის განვითარების ძირითადი ტენდენციები (გვ. 12-30);

II თ. – პროლოგი (გვ. 31-51);

III თ. – ეპოქა შემოქმედებითი თავისუფლებისა (კულტურა; „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობა, გვ.52-94);

IV თ. – „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე მუშაობის ფორმები (გვ. 95-162);

V თ. – ადამიანურობის პრობლემა „ვეფხისტყაოსანში“ (გვ. 163-210);

VI თ. – ბიბლიური პრობლემები „ვეფხისტყაოსანში“ (გვ. 202-235);

VII თ.– რუსთაველის ენა როგორც ესთეტიკური ფენომენი (მეტრი და რითმა, ალიტერაცია, სათაურის გააზრება, ფერი, ვარდის სიმბოლიკა, „მზიანი ღამე“, გვ. 236-309).

VIII თ. – რენესანსული კულტურა და „ვეფხისტყაოსანი“ (გვ. 310-344).

წიგნს ახლავს რეზიუმეები რუსულ და ინგლისურ ენებზე. გ. ა.

781. ბიძინა თავაძე

Viva Historia,

ანუ როგორ გადააქციეს „ვეფხისტყაოსანი“ ოსურ ეპოსად

გაზ. „საქართველო“, თბ., 2000, 9-15 მარტი, № 4, გვ. 3, 4, 6.

ავტორი გვაუწყებს, რომ 1994 წელს სანკტ-პეტერბურგის სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის

ასოციაცია „ირ“-ის გრიფით დაიბეჭდა ყაზბეგ ჩელეხსათის 600-გვერდიანი წიგნი „ოსეთი და ოსები“ (30 000 ტირაჟით), რომელიც საქართველოს ისტორიის არნახული გაყალბება, შებღალვა და თავდაყირა დაყენებაა. წიგნის სამეცნიერო პასუხისმგებელი რედაქტორია ლუდვიგ ჩიბიროვი. ამ „ნაშრომს“ ავრცელებენ სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციაზე მთელ მსოფლიოში. მხოლოდ ქართველმა მეცნიერებმა არაფერი იციან ამის შესახებ, ან – იციან და ხმას არ იღებენ.

დასახელებულ წიგნში, სხვა მრავალ სიცრუესთან ერთად, ქართველთა სულიერი საგანძური – „ვეფხისტყაოსანი“ გამოცხადებულია ოსურ ეპოსად, მის ავტორად კი – დავით სოსლანი. ქართული არქეოლოგიის ძეგლები – შულავერის, სამგორის, წიწამურის, თირის, ბრილის და სხვა სამარხები თუ განძები გამოცხადებულია ოსების წინაპრების კუთვნილებად.

გ. ა.

782. მურმან თავდიშვილი

„ვეფხისტყაოსნის“

ტექსტის საიდუმლოებანი

(რუსთველოლოგიური ეტიუდები),

თბ., 2000, 353 გვ., რედაქტორი რ. მიშველაძე

მიმართვაში „მკითხველისადმი“ ავტორი წერს: „წიგნში შეტანილია ნარკვევები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ მოხვდა „ვეფხისტყაოსნის“ დაფანტულ სტროფებში“ (1991). ეს გახლავთ გამოკვლევები პოემის დაფანტულ სტროფებზე და იმგვარი სტატიებიც, რომელთა მიზანია ცალკეულ ადგილთა გაგების დაზუსტება, ტექსტოლოგიურ საკითხთა ჩემული გადაწყვეტა“.

წიგნში დაბეჭდილია: „ვეფხისტყაოსნის“ წვიმის საიდუმლო; „ბრძანების კანონზომიერება“ რუსთველისა და კრეტიენ დე ტრუას რომანებში; ზოგი ბიბლიური მოტივი „ვეფხისტყაოსანში“; „ვეფხისტყაოსნის“ „ვალი“ და ორი სადავო სტროფი; ხატათ ლაშქარი და მისი ხანი; ტრადიციული თუ ახლებური? ჩემმან ქედმან მიიქედნეს? უაუგოსა თუ აუგიანსა? თავის ტარება თუ თავისა ტერება? გრამატიკა თუ პოეტიკა? სახლი თუ კოშკი? საყოფი თუ სამყოფი? „ანუ ყიდონ“ კი არა, „ან გაყიდონ“, ზესა და ზესია; „დაბეჭდული“ თუ „დაბეჭდილი“? მუსლიმანური აღმოსავლეთი და „ვეფხისტყაოსანი“; რითმისწინა გახმოვანების რუსთველური სისტემა; ზ. გამსახურდია, როგორც მკვლევარი რუსთველოლოგი და სხვ.

წიგნს ერთვის პირთა და განხილულ სტროფთა საძიებლები.

აღნიშნული წერილები გამოქვეყნებული იყო სხვადასხვა დროს (1992-1999 წწ.) და ანოტირებულია პირველი პუბლიკაციებიდან. **გ. ა.**

783. რევაზ თვარაძე

„სიბრძნის დარგი“ და „ამაოდ დაშვრა“

კრებ. „ლიტ. ძიებანი“, XXI, 2000, გვ. 182-187.

ავტორი წერს, რომ საღვთო წერილისა და პლატონის „დიალოგების მიხედვით, „სიბრძნე“ კაცობრიულ ცოდნას კი არ ნიშნავს, არამედ – ზესთასოფლურს, ღვთაებრივ ცოდნას, რაც დიონისე არეოპაგელთან მოიცავს სიკეთის, ჭეშმარიტების, მშვენიერებისა და სიყვარულის ღვთაებრივ ერთყოფას. რუსთველისეული „სიბრძნის“ ცნებაც პლატონისა და დიონისე არეოპაგელის მოძღვრებათა გარეშე ვერ მოიაზრება. რუსთველის ესთეტიკური კონცეფცია გამორიცხავს მწერლობის „საეროდ“ და „სასულიეროდ“ განყოფის შესაძლებლობას. ასეთი გაყოფა გვიან მოხდა (კერძოდ როდის? – გასარკვევია). სავსებით უდავოა, რომ მე-17 საუკუნეში „საერო“ მწერლობას კატეგორიულად მიჯნავენ „საღვთოსაგან“ (გვ.183).

„საერო“ მწერლობა (პოეზია) მოიაზრება ფუჭ, ამაო, სულის მავნებელ საქმედ. „საერო“ ერთობ ხშირად „სპარსულთან“ იყო გაიგივებული. ამ კონტექსტში უნდა აიხსნას ანტონ კათალიკოსის გამოთქმა შოთას მიმართ: „ამაოდ დაშვრა“.

რუსთველის მსოფლმხედველობის შესაგნობად ორი წინაპირობა ივარაუდება: ქრისტიანული არსების არა მხოლოდ საეკლესიო, არამედ რელიგიურ-ფილოსოფიური გააზრება და ანტიკური სიბრძნის, უწინარეს ყოვლისა, პლატონის მოძღვრების საფუძვლიანი ცოდნა. „აღორძინების“ ხანის საქართველოში კი ანტიკურ კულტურასთან კავშირი გაწყდა და რელიგიურ-ფილოსოფიური ცოდნის დონეც დაქვეითდა. ამის გამო დაიკარგა პოეზიის „საღვთო“ ღირებულებაც. **გ. ა.**

784. „იდიოტი“

რუსთველი – სუფია?!

გაზ. „ახალი განათლება“, თბ., 2000, 7-13 დეკ., გვ. 7.

ინკოგნიტო ავტორი „იდიოტის“ ფსევდონიმით წარუდგა გაზეთის რედაქციას და სატელეფონო საუბარში გააცნო თავისი ახალი ვერსია „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორის შესახებ. მისი აზრით, „ვეფხისტყაოსანში“ თვალსაჩინოა სუფიური სიმბოლიკა და უამრავი ტექნიკური ტერმინი. ეს პოემა ლიტერატურული მისტიფიკაციის შედეგია.

როგორც „იდიოტი“ ამბობს, მიჩნეულია, რომ სუფიზმი ისლამის ერთ-ერთი სექტაა, მაგრამ თვით სუფიები ამ აზრს არ იზიარებენ. ეს არის ადამიანთა გარკვეული ჯგუფებისათვის ერთადერთი მისაღები აზროვნებისა და ცხოვრების წესი, რომლისთვისაც არ არსებობს არც გეოგრაფიული და პოლიტიკური საზღვრები, არც ეთნიკური, რელიგიური და სოციალური ჩარჩოები, ყველა სუფია ერთმანეთის მოყვასი, ძმა და მეგობარია. სუფიზმი, თავისი არსით, ანტიდოგმატური მოძღვრებაა, სუფია ვერ იქნება ორთოდოქსალური აღმსარებელი ერთი რომელიმე რელიგიისა, ამიტომ სუფიები იდევნებოდნენ ყველა ფორმალური რელიგიის მიერ, როგორც მწვალებლები, ერეტიკოსები. აზრი, რომ რუსთველი სუფიაა, არ გამორიცხავს მის ქრისტიანობას და არც მის ქართველობას. „ვეფხისტყაოსანი“ შეგვიძლია წავიკითხოთ, როგორც სარაინდო-სასიყვარულო რომანი, ასევე მეორენაირად – სუფიური ცნებებისა და სიმბოლოების გათვალისწინებით. **გ. ა.**

785. სოლომონ იორდანიშვილი

რეცენზია მუხტარ შავლობოვისეულ „ვეფხისტყაოსნის“ ოსურ თარგმანზე

*კრებ. „შოთა რუსთაველი“, I, (ქართული ლიტერატურის ინსტ.),
თბ., 2000, გვ. 329-399.*

რეცენზიას წინ უძღვის ლალი იორდანიშვილის მოკლე წინასიტყვაობა, რომელშიც აღნიშნულია, რომ მ. შავლობოვის თარგმანი დაიბეჭდა 1943 წელს სტალინში, ხოლო ს. იორდანიშვილის რეცენზია დაწერილია 1944 წელს. ის არ გამოქვეყნებულა და ინახებოდა მკვლევრის პირად არქივში.

რეცენზენტი წერს: „მთარგმნელს არამც თუ ვერ დაუძლევია მხატვრული მხარე პოემისა, სიტყვიერი და მხატვრულ-სახეობრივი თავისებურებანი დედნისა, მისი ლექსის ჰარმონია და ლაკონურობა ორიგინალისა მეტრულ ჩარჩოებში, არამედ მას ვერ დაუცავს დედნის ტექსტთან მაქსიმალური სიახლოვეც კი. [...] თქვენ ვერ ნახავთ მთელი პოემის მანძილზე (1669 სტროფი), რომ ერთი სტროფი მაინც ოთხსავე სტრიქონს ერთნაირი დაბოლოებით აჟღერებდეს, ვერ ნახავთ სამ და მრავალმარცვლიან რუსთველურ რითმებს, შეგხვდებათ მხოლოდ ორმარცვლიანი რითმები, ისიც უფრო მეჩხრად, და უფრო მოჭარბებით – ერთმარცვლოვანი...“

რეცენზიაში აღნიშნულია, რომ პოემის ოსურ თარგმანში „ვეფხის“ შესატყვისად გამოყენებულია სიტყვა, რომელიც ფოცხვერს ნიშნავს. ასევე არასწორია „ლომის“ შესატყვისად „ჭარანქ“-ის ხმარება. მითითებულია აგრეთვე შეცდომები ძვირფასი ქვების სახელების თარგმნასა და აფორიზმების შინაარსის გადმოცემაში ოსურ ენაზე. **გ. ა.**

786. ინგა კალაძე

სიყმე და მოცალეობა „ვეფხისტყაოსანში“

*კრებ. „შოთა რუსთაველი“, I, (ქართული ლიტერატურის ინსტ.),
თბ., 2000, გვ. 272-284.*

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში (გამოკვლევები, კომენტარები, ლექსიკონები...) წარმოდგენილი ტერმინების ორ-ორი მნიშვნელობაა მოცემული: **სიყმე** = 1) რაინდობა, 2) ახალგაზრდობა; **მოცალეობა** = 1) მოცილობა, თავისუფალი დროის ქონა, 2) შესაფერისობა, ჯუფთობა.

მკვლევარი განიხილავს გ. იმედაშვილის, კ. დანელიას, ე. ხინთიბიძის მოსაზრებებს სადავო ტერმინებზე და დაასკვნის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში ისინი გააზრებულ უნდა იქნას, როგორც **ახალგაზრდობა** და **მეწყვილეობა** (შესაფერისობა).

იხ. აქვე ანოტ. № 726. **გ. ა.**

787. მარიამ კარბელაშვილი

რუსთველოლოგია XX – XXI საუკუნეთა მიჯნაზე:

XX ს-ის პრობლემები და XXI ს-ის პერსპექტივები

*კრებ. „შოთა რუსთაველი“, I, (ქართული, ლიტერატურის ინსტიტუტი),
თბ., 2000, გვ. 5-40.*

როგორც ავტორი აღნიშნავს, XX საუკუნეში აღმოჩნდა, რომ რუსთველოლოგიის მეცნიერულ სკოლას ორი ფუძემდებელი ჰყავს: მეფე ვახტანგ VI და აკად. ნიკო მარი. მათ სახელებთან რუსთველოლოგიის კარდინალური პრობლემებია დაკავშირებული.

„ვეფხისტყაოსნის“ დასაბეჭდად მომზადებისას ვახტანგ VI-ის წინაშე დადგა პრინციპული საკითხი, თუ რას ნიშნავდა დასაწყისის მეცხრე სტროფში ნათქვამი: „ესე ამბავი სპარსული...“. ვახტანგმა დაასკვნა, რომ ეს იყო ლიტერატურული მისტიფიკაცია, ანუ ამბის გაუცხოების მწერლური ხერხი და განაცხადა: რუსთაველმა ამბავიც თვითონ გააკეთა და ლექსადაც იმისთვის უბნობს,... სპარსის ლექსის ბაძხედ რომ სთქვა, სპარსული ამბავი ქართულად ვსთარგმნეო.

ეს იყო „ვეფხისტყაოსნის“ ეროვნულობის, ქართულობის აღიარება. XIX ს-ის ბოლოს (1890წ.) ნ. მარმა წამოაყენა ახალი თეორია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნილია სპარსულიდან. არგუმენტები:

- 1) რუსთაველი თვითონ ამბობს, რომ მან სპარსული ამბავი (პროზაული თხზულება) თარგმნა ლექსად;
- 2) „ვეფხისტყაოსანი“ შინაარსითაც „სპარსულია“: მასში არაქართული გარემოა აღწერილი და უცხო პერსონაჟები არიან.

მარის თვალსაზრისი ემყარებოდა ერთი მხრივ რწმენას, რომ აუცილებლად აღმოაჩენდა სპარსულ წყაროს; მეორე მხრივ – იმპერიული იდეოლოგიით გაჯერებულ „სესხების თეორიას“. ნ. მარმა ლიტმცოდნეობითი პრობლემა ყოფით, პრაგმატულ სიბრტყეში გადაიტანა, რითაც მისი პროფანაცია და ვულგარიზაცია მოახდინა. მან რუსთაველოლოგიურ თეორიას არამეცნიერული კატეგორია – რწმენა დაუდო საფუძვლად. ეს XX ს-ის უდიდესი სოფიზმია, რომელმაც უმძიმესი კვალი დააჩნია რუსთაველოლოგიას.

შემდგომში ნ. მარმა ამ თემაზე კატეგორიული გამოთქმები შეარბილა, მაგრამ ძირითადი თეზისი არ შეუცვლია. ნ. მარის ფსევდომეცნიერული თეორიის ერთ-ერთი ნაწილია რუსთაველის აღმსარებლობის საკითხი. ვახტანგ VI-ის საპირისპიროდ, იგი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს მუსლიმად მიიჩნევდა, რის გაბათილებასაც ცნობილ რუსთაველოლოგთა დიდი ენერგია მოხმარდა.

მკვლევრის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ანალიზის სფეროში კვლავ გადაულახავ სოფიზმად რჩება ტარიელის მიერ ხვარაზმელი სასიძოს მკვლელობის თანამედროვე ინტერპრეტაცია. მხოლოდ სამმა პიროვნებამ: კ. ცინცაძემ, კ. კეკელიძემ და ვ. ნოზაძემ პრინციპულად უარყვეს ტარიელის რეაბილიტაციის თეზა.

ნარკვევის ავტორი ეთანხმება დასახელებულ მეცნიერებს იმაში, რომ ტარიელის მოქმედება იყო წინასწარგანზრახვით ჩადენილი მკვლელობა და მისი (ტარიელის) და წესტანის უდანაშაულობის მტკიცებაზე ახლა მაინც უნდა ავიღოთ ხელი. გ. ა.

788. მ. კარბელაშვილი

რუსთაველოლოგია და პროფესიონალიზმი

სიტყვა რუსთაველის პოეტური ენის დასაცავად

(ბ-ნ ცოტნე კიკვიძის „რეპლიკის“ პასუხად, „კალმასობა“, 1998, № 12).

გაზ. „კალმასობა“, 2000, № 4,6,7,8,9; 2001, № 1.

ამ ვრცელ წერილში მსჯელობაა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის დღევანდელ მდგომარეობაზე, რაც, ავტორის აზრით, ერთი კონკრეტული ფრაზის გამო გამართულ პოლემიკაში აისახა. საუბარი ეხება 552-ე სტროფის ფრაზას: „**დღე ჰგვანდა არ აღვსებისა**“. ეს წინადადება გრამატიკულად არასწორ გამოთქმად იქნა ჩათვლილი და კ. კეკელიძემ შეიტანა კონიექტურა: „**დღე ჰგვანდა არს აღვსებისა**“. მ. კარბელაშვილი იცავს ხელნაწერებში არსებულ

წაკითხვას („მაცნე“, ელს, 1997, № 1-4), ც. კიკვიძე კი მის ენობრივ და აზრობრივ გაუმართავობაზე მიუთითებს („კალმასობა“, 1998, № 12).

მ. კარბელაშვილი აღნიშნავს, რომ რუსთველოლოგიის დღევანდელი დონე – განსაკუთრებით ტექსტის დადგენის მეთოდების მხრივ – არ შეესაბამება ფილოლოგიური მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნებს; რომ „რეპლიკაში“ თვალსაჩინოდ აისახა დღევანდელი რუსთველოლოგიური მეცნიერების კრიზისი და სტაგნაცია (კალმ. № 4).

სადავო ფრაზაში, ავტორის აზრით, გამოყენებულია პოეტური სინტაქსის ერთ-ერთი ხერხი – ელიპსისი; „დღე ჰგვანდა არ აღვსებისა“ სიტყვის (საზღვრულის) გამოტოვებით აგებული ფრაზაა, რასაც მიხვდა კ. ჭიჭინაძე და შეავსო იგი ნაგულისხმევი საზღვრულით: „დღე ჰგვანდა არ-აღვსებისა (დღესა)“. ამის იდენტურად აგებული ფრაზებია: „შავსა აუდვა ლაგამი“ (225ა); „ძილპირამდის სიხარულსა სიხარული ჰგვანდა ვერა“ (484).

ავტორის აზრით, „დღე ჰგვანდა არ აღვსებისა“ პოეტური ფრაზაა და არა უბრალო „წინადადება“ ჩვეულებრივი გაგებით. იგი პოეტური სინტაქსის კანონებით უნდა იქნას შესწავლილი. „დღევანდელი რუსთველოლოგიის საბედისწერო შეცდომა სწორედ ისაა, რომ პოეტური ენის სპეციფიკა სრულიად უგულებელყოფილია...“ (კალმასობა, № 9). **გ. ა.**

789. დონარა კარიჭაშვილი

დავით კარიჭაშვილის მეცნიერული ღვაწლი

ალმ. „მწიგნობარი“, თბ., 2000, გვ., 60-70; აგრ. თსუ ფილოლ ფაკ.

ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები, IV, თბ., 2000, გვ. 199-204.

ავტორის მიზანია წარმოადგინოს საზოგადო მოღვაწისა და რედაქტორ-გამომცემლის დავით კარიჭაშვილის დამსახურება ძველი ქართული ლიტერატურის კვლევაში. კერძოდ, მის, როგორც რუსთველოლოგის შესახებ ავტორი წერს: დ. კარიჭაშვილმა მოამზადა „ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკული ტექსტი, რომელიც წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გამოსცა 1903 და 1920 წლებში. წიგნის წინასიტყვაობაში გამოკვეთილია მკვლევარ-რედაქტორის პოზიცია პოემის ტექსტოლოგიურ საკითხებზე. მისი აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ ორიგინალური ქართული თხზულებაა, რომლის „პირვანდელი სხეული“ შენახულია ვახტანგისეულ გამოცემაში. პოემის პირვანდელ სახეს დართვია პროლოგი და ეპილოგი, შედგენილი სხვადასხვა დროს სხვადასხვა პირთა მიერ. მისთვის მიუმატებიათ აგრეთვე გაგრძელებები და ანდერძები.

ნარკვევის ავტორის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ დ. კარიჭაშვილისეული გამოცემები წინ გადადგმული ნაბიჯი იყო რუსთველოლოგიაში. **გ. ა.**

790. გურამ კარტოზია

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან

(უცხოსუცხო)

კრებ. „შოთა რუსთაველი“, I, ქართ. ლიტ. ინსტ. თბ., 2000, გვ. 285-298.

ნარკვევში განხილულია ერთი ფრაზის მნიშვნელობა სხვადასხვა კონტექსტში: „ვამ, რად დაგწვევენ, **უცხომ უცხო** რად მოგვიდევ ცეცხლებრ ალი“ (969ა). ხაზგასმული სიტყვები ხელნაწერებში გვხვდება სხვადასხვა დაწერილობით: უცხომ უცხო, უცხოს უცხომ, უცხოს უცხო.

მკვლევარი ფიქრობს, რომ ავტორისეული უნდა იყოს უცხოსუცხო (ერთ სიტყვად), რაც ნიშნავს: უცხოზე უცხო, ძლიერზე ძლიერი.

სხვა შემთხვევებშიც: „მაგრა უჯდა უცხოს უცხო, არ ბაგენი აუბარნა“ (242₂); „მან მუგო: უცხოს უცხო აგრე ვითა შეგიყვარდი“ (663₁) – ეს შესიტყვება კომპოზიტად (უცხოსუცხო) უნდა გავიგოთ „სრულიად უცხოს“ მნიშვნელობით.

სტრიქონში – „მე, **უცხოს, უცხო** მანატრა მოსმენა სანატრელისა“ (996₁) – მკვლევრის აზრით, სრულიად უცხოსათვის სანატრელ ამბავზე არის საუბარი და გამოთქმა ასე უნდა შეიცვალოს: „მე, **უცხოსუცხოს**, მანატრა მოსმენა სანატრელისა. სხვა კონტექსტში: „**უცხო უცხოთა** ადგილთა საძებრად იარებოდა“ (178₃) კომპოზიტი უნდა გვქონდეს: უცხო-უცხოთა, რაც იმ აზრს გამოხატავს, რომ ავთანდილი სხვადასხვა უცხო (უცნობ) ადგილებში დადიოდა. **გ. ა.**

791. გ. კარტოზია

და კავშირის თავისებური ხმარებისათვის

„ვეფხისტყაოსანში“

კრებ. „ლიტ. ძიებანი“, XXI, 2000, გვ. 215-220.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ და, საერთოდ, ქართულ ენაში **და** მაერთებელი კავშირია, აერთებს ერთგვარ წევრებს (შერწყმულ წინადადებაში) ან წინადადებებს (რთულ თანწყობილ წინადადებაში). **და** კავშირი ძველ ქართულში მაქვემდებარებლის ფუნქციითაც გამოიყენებოდა (ენაცვლებოდა რომ, რაათა კავშირებს).

როგორც ჩანს, რუსთველის ენაში და კავშირს კიდევ ერთი უცნობი ნიუანსი ჰქონდა: მაერთებელი პაუზის ფუნქციას ასრულებდა, რასაც წერაში მძიმე ან ტირე შეესაბამება. ასეა მაგალითად, მე-20 სტროფის პირველ ტაეპში:

„ვთქვა მიჯნურობა პირველი **და** ტომი გვართა ზენათა,“

ეს იგივეა, რაც, „ვთქვა მიჯნურობა პირველი, ტომი გვართა ზენათა,“ ან „ვთქვა მიჯნურობა პირველი – ტომი გვართა ზენათა“.

ასეთივე ფუნქცია აქვს **და** კავშირს შემდეგ ტაეპებში:

„მე დავახვედრო ესე მზე, **და** მისთვის დამზადებული“ (1181₂);

„სადაა ჩემი მოყვარე **და** ვისთვის ცრემლი მდენია“ (1326₂);

გასცუდებოდეს მკლავნი **და** მისნი სიამაყენია (190₃). **გ. ა.**

792. გ. კარტოზია

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან

(შესამოსელი)

პროფ. შხია ანდრონიკაშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2000, მოხს. თეზისები, გვ. 40. (მოგვაქვს სრულად).

„ვეფხისტყაოსანში“ (კერძოდ, „ინდო-ხატაელთა ამბავში“) **შემოსა** (შეიმოსს, შეიმოსა) ზმნა „სამხიარულო ტანსაცმლის ჩაცმას“ ნიშნავს და შინაარსობრივად უკავშირდება „შავის ახდას“ (ე. ი. „სამგლოვიარო ტანსაცმლის გახდას“). (შდრ. „დედოფალმან შეიმოსა, შავი ძაძა აიხადა“, 1633,1). იმავე ეპიზოდში **შესამოსელი** „სამხიარულო ტანსაცმლის“ მნიშვნელობით არის

ნახმარი („ქალმან დედასა შესტირნა: „ჰად, ჰად, რაღა ვქნა დედაო! შესამოსლითა დაგაგდე, აწ შოსანსა გხედაო“, 1627, 1-2). რიგ ხელნაწერებსა და გამოცემებში იკითხება: „...წითელ-ყვითლითა დაგაგდე“. ეს წაკითხვა, ისევე, როგორც ზოგი წესის „წითელ-მწვანითა დაგაგდე“, გვიანდელი გადაკეთებაა, რაც „შესამოსლის“ ზემოაღნიშნული მნიშვნელობის გაუთვალისწინებლობითა და ტაეპში „შოსან“ სიტყვის არსებობით უნდა იყოს შეპირობებული.

793. გ. კართოზია

**ზოგი მეშველზმნიანი ფორმისათვის „ვეფხისტყაოსანსა“
და რუსთაველისდროინდელ სხვა ძეგლებში**

ჟურ. „ენათმეცნიერების საკითხები“, თბ., 2000, გვ. 50-57.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ -ავ და -ამ თემისნიშნის ზმნებში მეშველი ზმნა არ იხმარება, მაგ.: თუცა არ მიცნობ, გინახავ (283ა); ვისგან შეუცავ სევდასა (703ა); შენ რომე დაუწვავ ალთა (635ა) და სხვ.

ამის გათვალისწინებით, ფორმა: **მოუკლავარ** თინათინის სურვილსა და სიყვარულსა (151) არაავთენტუკურად იქნა მიჩნეული და შეიცვალა ერთადერთ ხელნაწერში არსებული წაკითხვით **„მე მოუკლავ...“** (1966 და 1988 წლების გამოცემებში). **გ. ა.**

794. მანანა კვატაია

ვიქტორ ნოზაძის

„ვეფხისტყაოსნის ფსიქოლოგიისმეტყველება“

*„ლიტერატურული ძიებანი“, XXI (ქართული ლიტერ. ინსტიტუტის კრებული),
თბ., 2000, გვ. 459-466.*

გამოკვლევა ერთვის ვ. ნოზაძის ნაშრომის ერთი ნაწილის პუბლიკაციას, რომელიც მოამზადა მ. კვატაიამ და დაბეჭდილია იქვე, გვ. 466-503. მკვლევრის ვარაუდით, ეს ვ. ნოზაძის ერთ-ერთი ბოლოდროინდელი (1970-იანი წლების) ნარკვევია. მისი ხელნაწერი ინახებოდა მეცნიერის პირად არქივში, რომელიც გ. შარაძემ ჩამოიტანა თბილისში.

მ. კვატაია აღნიშნავს, რომ ვ. ნოზაძის გაგებით, ფსიქოლოგია არის მეცნიერება სულიერი ცხოვრების ფაქტებისა და კანონების შესახებ. მეცნიერი ეყრდნობა ვ. იერუზალემის კლასიფიკაციას, რომელიც ფსიქოლოგიას სამ დარგად ყოფს: 1. ფსიქოლოგია ცნობისა; 2. ფსიქოლოგია გრძნობისა; 3. ფსიქოლოგია ნებისა, ნებელობისა.

ცნობის (შემეცნების) ფსიქოლოგიაში კი გამოიყოფა: 1) შეგრძნება და აღქმა; 2) წარმოდგენა, ოცნება; 3) აზროვნება და ენა.

ვ. ნოზაძე ცდილობს გაარკვიოს, თუ რომელი წყაროთი სარგებლობდა რუსთაველი ფსიქოლოგიურ ცნებათა ხმარებისას (ბიბლიური, პლატონის, არისტოტელეს, პლოტინის, ნემესიოს ემესელის თუ სხვათა).

ნაშრომში განმარტებულია სხვადასხვა ფსიქოლოგიური განწყობის გამომხატველი ცნებები და სიტყვები: ამო, ამება, ლხინი, ხელოვანი, წყენა, წუხილი, მქისი, კაემანი, ნაღველი, დაღრეჯა, შური, დაზო, ქუში, კუმტი, წყალობა, მოყვინება და სხვა. **გ. ა.**

795. ზურაბ კვიციანი

ქართული სიტყვა: ლიტერატურული მემკვიდრეობის ასპექტები

კრებ. „პარიზის საერთაშორისო კოლოკვიუმი“ (მასალები), თბ., 2000, გვ. 82-87.

მოხსენების II ნაწილში – „საერო ლიტერატურა“ – ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველის პოემა გმობს წუთისოფლის აქტუალურ სახეს. პერსონაჟები იხედებიან მის მიღმა და მათი მოწოდებაა მისი ძლევა. ამ ძლევაში ღმერთი დგას ადამიანის გვერდით. ერთ მხარეს – სატანა და წუთისოფელი, მეორე მხარეს – ღმერთი და ადამიანი. ყველაფერი მთავრდება, როცა უქმდება „ამ სოფლის მთავრის“ მეუფება და მყარდება სიკეთის მეუფება. პოემის დასასრულს ესქატოლოგიური ქორწილი აღნიშნავს ახალი ადამიანური არსებობის დასაწყისს და ამგვარად ხორციელდება პოემის დევიზი: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.

პოემაში უმაღლეს სულიერ და ეთიკურ ღირებულებებს რაინდები იცავენ და ამკვიდრებენ რეალობაში... (გვ. 83-84). **გ. ა.**

796. ნორა კოტინოვი

სიტყვათწარმოების რუსთველური მოდელები და

„ინდო-ხატაელთა ამბის“ ავთენტიკურობის საკითხი

კრებ. „შოთა რუსთაველი“, I, (ქართული ლიტერატურის ინსტ.),

თბ., 2000, გვ. 100-106.

ავტორი განიხილავს „ვეფხისტყაოსანში“ მეტყველების სხვადასხვა ნაწილიდან (არსებითი სახელი, ზედსართავი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, თანდებული...) ზმნური ფორმების წარმოქმნის მოდელებს, აგრეთვე – თხზულების სტილისტურ თავისებურებებს: პრევერბის გამეორება, ტმესი, პარონომაზია, სინტაქსისა და რიტმის დიქოტომია, საყრდენთანხმოვნიათი რითმები და სხვ.

მკვლევრის დასკვნით, სიტყვათწარმოების ყველა მოდელი თანაბრადაა გამოყენებული პოემის მთელ ტექსტში „ინდო-ხატაელთა ამბის“ ჩათვლით, რაც ერთ-ერთი დამატებითი არგუმენტია ამ ბოლო თავების რუსთველურობის მტკიცებისათვის. **გ. ა.**

797. გოჩა კუჭუხიძე

რუსთველი და თეიმურაზი

„კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა“

(ქართული ლიტ. ინსტ. კრებული), № 3, თბ., 2000, გვ. 59-63.

ავტორის აზრით, სწორი არაა ქართული ლიტერატურის სპეციალისტების მიერ აღიარებული თვალსაზრისი, თითქოს თეიმურაზ I თავის ლექსებს რუსთველის შემოქმედებაზე მაღლა აყენებდა.

თეიმურაზმა იცოდა, რომ ნამდვილ პოეზიაში „საღმრთო სიბრძნე“ უნდა ყოფილიყო, მაგრამ მის დროს ამ სიბრძნის მომხმენი და გამგები არავინ ყოფილა, ამიტომ დაუწყია პოეტს გასართობი „სალაყბო“ ლექსების წერა, როგორებიცაა „მაჯამა“, „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“ და მისთ.

ავტორის თქმით, თეიმურაზი აღიარებდა რუსთველის მაღალ პოეტურ ნიჭს და ხშირად იმოწმებდა მის აზრებს, სტრიქონებს. **გ. ა.**

798. ანზორ ლორთქიფანიძე

შოთა რუსთაველი და „მესხი მელექსე“ ერთი და იგივეა

ჟურ. „ლიტერატურული აჭარა“, ბათუმი, 2000, № 9, გვ. 63-72.

ნარკვევში განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ დასასრულის სტრიქონი: „ვეწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა“, მისი ვარიანტული წაკითხვები, მათი კომენტარები და ინტერპრეტაციები.

მკვლევარი მართებულად მიიჩნევს წაკითხვას: „მე რუსთველისა დამისა“, ეთანხმება მწერალ ნ. დუმბაძეს, რომ მედუდუკეთა დასტაში **დამი** მეორე ხმას, ანუ იგივე **ბანს** ნიშნავს, მაგრამ, მისი აზრით, მოცემულ კონტექსტში „რუსთველისა დამისა“ „რუსთველის ჰანგზე მომღერალს“ კი არ უნდა ნიშნავდეს, არამედ თვითონ შოთას ფსევდონიმს, ანუ მეორე გვარს, რომელიც მის სადაურობაზე, წარმომავლობაზე მიგვითითებს (გვ. 69). მკვლევრის მსჯელობით, „რუსთველი“ პოეტის „დამია“, ანუ მეორე წოდება, რომელიც ცვლის მის გვარს. იგი დასკვნაში წერს: „რუსთველისა დამისა“ ნიშნავს „რუსთველის ზედწოდებისას“ და შოთა რუსთველი და მესხი მელექსე ერთი და იგივეა“ (გვ. 72). **გ. ა.**

799. ლევან მენაბდე

რუსთველის აღმსარებლობისა და „ვეფხისტყაოსნის“

ბიბლიური წყაროების შესწავლის ისტორიიდან

კრებ. „შოთა რუსთაველი“, I, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბ., 2000, გვ. 185-207.

ნარკვევი ნაწილია მონოგრაფიული ნაშრომისა „შოთა რუსთველი და მსოფლიო ლიტერატურა“. მასში გამოვლენილია „ვეფხისტყაოსნის“ ბიბლიური წყაროები (გამონათქვამები, შეხედულებანი, მოტივები და სხვ.), გაანალიზებულია ქართული ლიტერატურათმცოდნეობის მიერ დღეისათვის შემუშავებული დასკვნითი დებულებანი ამ საკითხზე. ავტორი განიხილავს კ. კეკელიძის, ს. იორდანიშვილის, კ. ცინცაძის, ვ. ნოზაძის, ბ. გაპონოვის, ზ. გამსახურდიასა და სხვა მკვლევრების ნაშრომებსა და მოსაზრებებს აღნიშნული პრობლემის ირგვლივ. **გ. ა.**

800. მურად მთვარელიძე

„მათ რუკა დაუწერია“

გაზ. „კალმასობა“, 2000, № 1, გვ. 7.

წერილი ეხება „ვეფხისტყაოსნის“ 2862-ის – „მოგნახეს, გმებნეს ყოველგან, მათ რუკა დაუწერია“ – შინაარსს და სიტყვა „რუკა“-ს მნიშვნელობის დადგენას. ლექსიკონებში „რუკა“ ამ კონტექსტში განმარტებულია, როგორც ბრძანება ან წერილი.

ავტორის აზრით, ნაცვალსახელი „მათ“ გულისხმობს არა როსტევანს, არამედ მის მიერ უცხო მოყმის სამებრად გაგზავნილ მონებს. რაკი ასეა, ტერმინი „რუკა“ მეფის რაიმე წერილს (ბრძანებას) არ უნდა გულისხმობდეს. აქ ტერმინი „რუკა“ მის ძირითად მნიშვნელობას გამოხატავს, – როსტევანის მონებს შეუდგენიათ რუკა, რის მიხედვითაც უნდა მოემებნათ უცხო მოყმე. **გ. ა.**

801. გიორგი მჭედლიშვილი

შოთა რუსთაველი და ქართველთა ჯვარის მონასტერი იერუსალიმში

კრებ. „კულტურის ისტორიის საკითხები“, VIII, თბ., 2000, გვ. 116-122.

ავტორის ვარაუდით, შოთა რუსთაველს იდეურ-მსოფლმხედველობრივი უთანხმოება ჰქონია თამარის სამეფო კარის მაღალი თანამდებობის პირებთან. ის იძულებული გამხდარა დაეტოვებინა მეჭურჭლეთუხუცესობა და გადახვეწილიყო პალესტინაში. მკვლევრის თქმით, ჯვარის მონასტერში შოთა მივიდა როგორც ქრისტიანი, მაგრამ არა როგორც „ღვთისმცოდნის“ მიმდევარი, არამედ როგორც წარმომადგენელი ქართული ეკლესიისა და სახელმწიფოს შიგნით არსებული პროგრესული მოძრაობისა, რომელმაც დასაბამი მისცა ახალ, ჰუმანისტურ მოძღვრებას.

ჯვარის მონასტერში მთავარი ტაძრის ერთ-ერთ სვეტზე რუსთაველის სურათის მოთავსება ცნობილ კომპოზიციაში, მისივე ნების გათვალისწინებით მომხდარა; მაქსიმე აღმსარებელთან შოთას აკავშირებდა საშობლოდან დევნილობა (მაქსიმე, ბიზანტიიდან გაძევებული, საქართველოში, ლაზიკაში ცხოვრობდა). იოანე დამასკელისგან კი რუსთაველი დავალებული იყო მისი თხზულებით „წყარო ცოდნისაჲ“, რომელიც გასაღებს წარმოადგენს ისეთი გამოთქმებისა და ტერმინების გასაგებად, როგორებიცაა: ნათელი, უცნაური და უთქმელი, უსახო სახე, უჟამო ჟამი, ბუნება-ზიარი და სხვ. **გ. ა.**

802. გ. მჭედლიშვილი

შუა საუკუნეების ქართული პოლიტიკური აზრი და „ვეფხისტყაოსანი“

თბ., 2000, 240 გვ.

წიგნი შედგება ხუთი თავისაგან:

- I. რუსთაველისა და მისი ეპოქის ისტორიული პრობლემები;
- II. ძალაუფლების ანატომია XI-XII საუკუნეების საქართველოში;
- III. კონსტიტუციური უფლებებისათვის ბრძოლა რუსთაველის ეპოქის საქართველოში და „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის პოლიტიკური მოძღვრება.
- IV. რუსთაველის ბიოგრაფიის ზოგიერთი საკითხი და პოემა „ვეფხისტყაოსანი“ თანადროული საქართველოს პოლიტიკური ისტორიის სწორი გაგებისათვის;
- V. „ვეფხისტყაოსნის“ წინააღმდეგ ბრძოლის იდეური მოტივები შუასაუკუნეების ქართულ საზოგადოებაში.

ახლავს დასკვნა (გვ. 170-187), გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა (გვ. 188-217) და რეზიუმე ინგლისურ ენაზე (გვ. 218—237).

წიგნში შესული ნარკვევები დაბეჭდილია საისტორიო მეცნიერულ ჟურნალებში, ძირითადად 1998-1999 წლებში. იხ. აქვე ანოტაციები №№ 706, 736, 737, 738. **გ. ა.**

803. მერაბ რობაქიძე

პიროვნების „სისრულის“ აღმნიშვნელი ცნებები „ვეფხისტყაოსანში“

ჟურ. „მაცნე“ (ფილოსოფ. სერია), 2000, № 1-2, გვ. 1-8.

1. ავტორი აღნიშნავს, რომ ცნება „მრთელი“ გვხვდება გარდა ფიზიკურისა, შინაბუნების „სიმრთელის“ გამოსახატავად. ასეთია მაგ. „გულის სიმრთელე“: „მე მოვახსენე: პატრონო, გული

აწ უფრო **მრთელია**“ (356). აქ მისი „ემოციური გადავარდნა“ დაძლეულია და პიროვნება „გამართლებულია“. ან: „**გამიმრთელდა გული წყლული**, ახლა დავჯე ცეცხლთა შრეტად“ (11194).

„სიმართლის“ ცნება პოემაში უკავშირდება „ჭემმარიტების“ სემანტიკას., მაგ.: „...საქმე ქაჯეთისა გამაგონე უფრო **მრთელად**“ (2453). აქ იგულისხმება ამბის სრულად, უნაკლულად გაგება; „გვირგვინი ... **იაგუნდისა მრთელისა**“ (14383), „მრთელი იაგუნდი“ აქ ნიშნავს ნამდვილ, ჭემმარიტ, წმინდა იაგუნდს; „...რა ვნახე, რა მესმის, არსმცა ამისი **მრთელობა**?!“ (13604); „ავთანდილ უთხრა: „ნუ გეშის, ეგე ამბავი **მრთელია**“ (13611). აქ იგულისხმება: ნამდვილობა, ჭემმარიტება; სწორი, მართალი.

2. არაერთხელ გვხვდება პიროვნების დახასიათება „**სრულის**“ ნიშნით. მას აქვს ფიზიკური, ზნეობრივი ან სოციალური „სისრულის“ შინაარსი. მაგ.: „ცნობასრული, არა მთრვალი“ (13113); „თქვენმცა გული ამათთვის სრულია“ (13232). „სრული გული“ აქ გახარებულს და მორალურად კმაყოფილს აღნიშნავს.

3. „**სავსე**“-ს ცნება გვევლინება პიროვნების შინაბუნების მახასიათებლად. ზოგჯერ აღნიშნულია ფიზიკური „სისავსეც“, როგორც მშვენიერების, გარეგნული სრულყოფილების სინონიმი.

ავტორი მიუთითებს, რომ ადამიანის „სისავსის“ ცნება უკავშირდება სიხარულს, ხოლო ამ „სისავსის“ რღვევა – მწუხარებას, მაგ.: „ღმერთმან გული განმინათლა... აწ ეგრე ვარ გავსებული, წინას ვიყავ ვითა მცხრალი“ (14362.3). **გ. ა.**

804. მ. რობაქიძე

„ვეფხისტყაოსნის“

ორი ადგილის ინტერპრეტაციისათვის

ჟურ. „კავკასიის მაცნე“, № 2, 2000, გვ. 250-253.

1. ვერა გვარგო, **მოგვიმატენ, ჭირნი ჭირთა მოგვისავსენ** (1953).

ავტორის აზრით, გამოცემებში დაბეჭდილია არასწორი წაკითხვა „მოგვიმატენ“. უნდა იყოს „**მოგვიმატვივენ**“, როგორც ზოგიერთ ხელნაწერსა და გამოცემაშია.

აგრეთვე „ჭირნი ჭირთა“ ერთი ლექსიკური ერთეულია და ნიშნავს **ჭირთა ჭირს**, ანუ უკიდურეს გასაჭირს. „**მოსავსება**“ არის მომატება, შევსება, ამოვსება. „**ჭირის ამოვსება**“ ნიშნავს პიროვნული **სისრულის** მინიჭებას, დარღვეული მთლიანობის გაწონასწორებას, ნუგეშისცემას (გვ. 250,251).

2. ნესტანის „ჭირისა“ და ორი სიკვდილის შესახებ.

„მე რომ **მჭირს**, კმარის, ნუ მომკლავს ამისითავე სწორითა:

მას მკვდარსა ვნახავ, მოკვდები მე **სკვდილითა ორითა**“ (1290).

ავტორი ფიქრობს, რომ **ერთი სიკვდილი** – ნესტანის მძიმე სულიერი ტკივილებია, გამოწვეული სატრფოსთან დაშორებითა და იმ ტანჯვა-წვალებით, რომელიც მან გამოიარა. მისი მდგომარეობა სიკვდილის ტოლფასია. ტარიელი თუ დაიღუპება ქაჯებთან ბრძოლაში, ეს ნესტანისთვის **მეორე** სულიერი სიკვდილი იქნება. ნესტანი არ ლაპარაკობს და არც გულისხმობს საიქიო სიკვდილს. ორივე „სიკვდილი“ ამქვეყნიური **სულიერი სიკვდილია**. ორივე შემთხვევაში მას სიმბოლური შინაარსი აქვს. (გვ. 252-253). **გ. ა.**

805. მ. რობაქიძე

„ჰკადრა ქება სრულსა სრული“

ჟურ. „მნათობი“, 2000, № 11-12, გვ. 120-124.

„ვეფხისტყაოსნის“ 729³-ისა („მიეგება, თაყვანისცა, ჰკადრა ქება სრულსა სრული“) და სხვა კონტექსტების მიხედვით, ავტორი ცდილობს „სრული კაცის“ ცნების დაზუსტებას. მისი აზრით, „სრული კაცის იდეალი, უპირველეს ყოვლისა, არის ზნეობრივი, რითაც პოემის გმირები განასახიერებენ ახალ ადმიანებს, ახალი ეპოქის შვილებს. ასეთი პიროვნების შესატყვისია „ხოტბა სრული“: „უსამ იყო ქარავენისა უხუცესი, კაცი ბრძენი, მოახსენა ხოტბა სრული, დალოცა და უქნა ზნენი“ (1030²).

„სრულის“ ცნება მოიცავს ფიზიკურ და სულიერ ღირსებებს. ავთანდილი არის „ყმა სოფლისა ხასიათი, ჯავარსრული, მრავალწყალი“ (693³); ტარიელი „ხმელთა მზეა“, „მოახლეთა სალხინო“, „სიცოცხლე“ და „სულთა მდგმელი“ (1007).

ავტორის დასკვნით, ადამიანის სწრაფვა სისრულისაკენ – არის მისი სულიერი ამაღლება, შინაგანი ლტოლვა ღვთაებრივი „სისავსისაკენ“. **გ. ა.**

806. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი

მარგალიტი წყობილი, ყრმათათვის ამბად გარდათქმული მერი გუგუშვილის მიერ, თბ., 2000, 92 გვ.

807. შოთა რუსთაველის პოემა

„ვეფხისტყაოსანი“

ზღაპრად გარდათქმული და დასურათებული ირაკლი კახაძის მიერ, თბ., კომპანია ჯი-ეი-თი, 2000.

წიგნის გვერდები დაუნომრავია, გარეკანის მეორე გვერდზე ერთვის მხატვარ გია ბულაძის ანოტაცია: „ირაკლის ნახატები და ილუსტრაციები, თავისი ექსპრესიით და მხატვრული ტემპერამენტით, თავისუფალი, უშუალო ინტერპეტაციის პათოსით უდავოდ უნიკალური მოვლენაა „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრირების ისტორიაში; მესამე გვერდზე ექიმ ქეთევან ნემსაძის შემდეგი მინაწერია: „ირაკლი კახაძე უნიჭიერესი ბავშვია, რომელმაც ბავშვური უშუალობით გამოხატა ქართველი ერის ნიჭიერება, ზღაპრად მოგვითხრო და ლამაზი ფერებით დაგვიხატა „ვეფხისტყაოსანი“. **გ. ა.**

808. ნელი საგინაშვილი

მიხეილ წერეთელი – რუსთველოლოგი

გაზ. „ახალი განათლება“, 2000, № 34-35.

წერილში გადმოცემულია მიხ. წერეთლის ხანგრძლივი მუშაობა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შესწავლასა და დადგენაზე. აღნიშნულია, რომ 1938 წელს მას დასაბუქდად მომზადებული ჰქონდა პოემის მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტი დამატებებით (ჩანართებით),

ვარიანტებითა და შენიშვნებით, რომლის გამოქვეყნება, ისიც ნაწილობრივ, მხოლოდ 1963 წელს შესძლო.

მიხ. წერეთელმა გააკეთა „ვეფხისტყაოსნის“ გერმანული თარგმანი პროზად, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ, 1975 წელს დაიბეჭდა პარიზში ნინო სალიას თაოსნობით. მანვე განახორციელა 1977 წელს პოემის ქართული ტექსტის გამოცემა, რომელსაც ახლავს ხელნაწერებისა და გამოცემების ვარიანტები, აგრეთვე მიხ. წერეთლის კომენტარები „ზოგ წარყვნილ და ზოგ მწელად გასაგებ ადგილათათვის“. წიგნის მეორე ნაწილში დაბეჭდილია ყალბად მიჩნეული სტროფები და მათი ვარიანტები.

მიხ. წერეთლის პროზაული გერმანული თარგმანი გამოყენებულ იქნა პწკარედის მოსამზადებლად, რომლის საფუძველზე ჰერმან ბუდენზიგმა გააკეთა „ვეფხისტყაოსნის“ ახალი პოეტური თარგმანი. გ. ა.

809. ვაჟა სამსონიძე

მესხური რეალიები „ვეფხისტყაოსანში“

ახალციხე, 2000, 114 გვ.

წიგნს ახლავს რედაქტორის – შოთა ლომსაძის წინასიტყვაობა (გვ. 5-6). წიგნში დაბეჭდილ ნარკვევებში ავტორი ეხება რუსთველოლოგიის სხვადასხვა პრობლემას: რუსთველის ვინაობას, პოემის სიუჟეტის ორიგინალობის საკითხს, თხზულების ტექსტის ლექსიკური მასალის მნიშვნელობის გარკვევა-დაზუსტებას.

ნარკვევი „გუნზათიანი მონასტერი“ და მოსე ხონელი (გვ. 7-29) პირველად გამოქვეყნდა 1982 წელს (იხ. აქვე, ანოტ. № 51)

„ვწერ ვინმე მესხი მელექსე...“ („ვეფხისტყაოსნის“ ავტორის სადაურობისათვის, გვ. 30-45), მკვლევრის აზრით, ამ სტროფის ავტორი შოთა რუსთველი არაა, მაგრამ მასში არის მითითება იმაზე, რომ პოემის ავტორი წარმოშობით მესხი იყო.

„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები...“, ამ სტროფში, როგორც მკვლევარი წერს, გამოყენებულია „ამბის“ გაუცხოების ხერხი; პოეტმა რეალურად არსებულ გმირებს ქართული სახელები გამოუცვალა, ხოლო მათი მოქმედება გაიტანა საქართველოს გარეთ – არაბეთში, სპარსეთში, ინდოეთში...

წიგნში ცალ-ცალკე მოკლე ნარკვევები ეძღვნება სიტყვა-ცნებებსა და ტერმინებს: ხელი (ხელობა), ნა (ნაი, ნეი), დავსხლიტოთ, დავწვიპოთ, გაბასრული, ბასრობა, ერთსახე (ერცახე), ტანაჯორი, საჭოჭმანები, ნიჭი (სანიჭარი), კოტა, დაგება, პაშტა, მჭელი (ჭელი), ნობათი, შვევეთილი, შამათი, სივაჟისა მოგებული, ხელ-მანდილი, სადარნო (ამ უკანასკნელზე იხ. ანოტაცია № 810). გ. ა.

810. ვ. სამსონიძე

„სადარნო“

(„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან)

ვაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, ახალციხე, 2000, № 9 (სექტემბერი), გვ. 8.

ავტორი აღნიშნავს, რომ „სადარნო“ მიღებულია დარან სიტყვიდან, რაც შემოსულია აღმოსავლური (არაბულ-თურქულ-სპარსული) ენებიდან. დარანი ნიშნავს ბუნებრივ ან ხელოვნურად შექმნილ მიწისქვეშა სიღრმეს, რომელსაც თავმესაფრის, ძვირფასეულობისა და

ქონების შესანახის დანიშნულება აქვს. დარნები მესხეთის ყველა სოფელში ჰქონიათ. ზოგან მოწყობილი იყო საქონლის ბოსელი და ეკლესია-სალოცავიც კი. ასეთი სახიზარ-თავშესაფრები აღწერილი აქვთ: ივ. გვარამაძეს, ბ. ტაბიძეს, ი. მაისურაძეს და სხვებს. სამცხე-ჯავახეთში რამდენიმე ადგილას დასტურდება ტოპონიმი **დარანეთი**. „ვეფხისტყაოსანში“ ხსენებული **სადარნო** სახელდახელო სამზირო-სათვალთვალოა, ანუ საბუსუნო (იხ. საბა).

1328-ე სტროფის გამო: „მოწურვილ იყო ზაფხული... ვარდის ფურცლობის ნიშანი...“ – მკვლევარი შენიშნავს: მესხეთში ვარდი სწორედ ზაფხულში იშლება და იფურჩქნება და არა გაზაფხულზე. **გ. ა.**

811. იოსებ სანიკიძე

მემედ აბაშიძე და „ვეფხისტყაოსანი“

*ჟურ. „ლიტერატურული აჭარა“, ბათუმი,
2000, № 3, გვ. 140-143.*

წერილში აღნიშნულია, რომ მ. აბაშიძე ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნე იყო „ვეფხისტყაოსნისა“ და მის ავტორს „მსოფლიო გენიად“ მიიჩნევდა.

რუსთაველის 750 წლისთავის იუბილესათვის მზადების პერიოდში მ. აბაშიძეს უცდია გაეკეთებინა „ვეფხისტყაოსნის“ თურქული თარგმანი, მაგრამ განზრახულის განხორციელება არ დასცალდა: 1937 წლისათვის მას თარგმნილი ჰქონია პოემის ორი მესამედი. ამ წელს იგი დააპატიმრეს და თარგმანის ხელნაწერიც დაიკარგა.

სტატიაში განხილულია აგრეთვე მ. აბაშიძის 1916 წ. გამოქვეყნებული წერილები, რომლებშიც წარმოდგენილია მისი პოლემიკა გიორგი გვაზაფასთან „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების რელიგიური მრწამსისა და მსოფლმხედველობის თაობაზე. **გ. ა.**

812. ნესტან სულავა

განგების რუსთველური კონცეფცია

(პირველი ნაწილი)

კრებ. „შოთა რუსთაველი“, I (ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი), თბ., 2000, გვ. 208-230.

ნარკვევში განხილულია **განგების** პრობლემა ანტიკურ ფილოსოფიასა და ქრისტიანულ საღვთისმეტყველო ლიტერატურაში; წარმოდგენილია პლატონის, პლოტინეს, წმინდა მამების – ფილონ ალექსანდრიელის, ნემესიოს ემესელის, ბასილი კესარიელის, გრიგოლ ნოსელის, იოანე პეტრიწისა და სხვების მოსაზრებანი განგების რაობისა და არსის შესახებ. მკვლევარს გარკვეული კორექტივები შეაქვს „ვეფხისტყაოსანში“ ხსენებული განგების მოსე გოგიბერიძისა და ვიქტორ ნოზაძისეულ განმარტებებში. **გ. ა.**

813. ლამარა ტატიშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ გადამწერნი

თბილისი-კოპენჰაგენი, 2000, 324 გვ.

წიგნი იწყება „წინათქმით“ (გვ. 5-54), სადაც მოცემულია „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების შესწავლისა და პოემის ტექსტის ბეჭდური გამოცემების ისტორია. შემდეგ

წარმოდგენილი არიან პოემის გადამწერნი: მამუკა თავაქარაშვილი, იოსებ თბილელი, ბეგთაბეგ თანიაშვილი – მარტიროზაშვილი, პაპუნა ბებურიშვილი, სულხან-საბა ორბელიანი, ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილი, გასპარა ბაღდასარაშვილი, მანანა ზედგინიძე, იოანე ლარაძე, დიმიტრი სააკაძე, ბირთველ თუმანიშვილი, იოანე იაღლაშვილი, მოსე ყორღანოვი, პეტრე ქებაძე და სხვები.

გადმოცემულია თითოეული მათგანის ბიოგრაფია, მუშაობის სტილი და მათ მიერ გადაწერილი ნუსხების თავგადასავალი. ბოლოს (გვ. 304-311) მოცემულია ცნობები იმ ნუსხების შესახებ, რომელთა გადამწერნი უცნობნი არიან.

წიგნს ერთვის მითითებული ლიტერატურის სია. (გვ. 312-322). **გ. ა.**

814. თამარ უკლება

ინფინიტიური კონსტრუქციები „ვეფხისტყაოსანში“

თსუ ფილოლოგიის ფაკ. ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები, IV, თბ., 2000, გვ. 228-234.

ავტორი აღნიშნავს, რომ ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისი თავისებურ სინტაქსურ კონსტრუქციას ქმნის. ქართულში იგი სხვა ენათა ინფინიტივის როლს ასრულებს. ძველ ქართულში ინფინიტივი ენაცვლება ქვემდებარესა და პირდაპირ დამატებას, ზოგჯერ უბრალო დამატება ან მიზნის გარემოებას.

„ვეფხისტყაოსანში“ ინფინიტივი გვხვდება: პირდ. დამატების ფუნქციით (მე **დამიწყო** ცეცხლმან **შრეტად**; დურაჯთა **მითხრა მიტანად** ქალისა); უბრალო დამატების ფუნქციით (არ ღირს ვარო პირსა **ჭვრეტად**); მიზნის გარემოების ფუნქციით (გარდავხედით **მოსვენებად**).

ინფინიტივთან შეწყობილი სახელი ზოგჯერ შეთანხმებულია მასთან ბრუნვაში („მდურვად მისად“; „ძლევად მტერთად“).

სტატიას ახლავს რეზიუმე ინგლისურ ენაზე. **გ. ა.**

815. რიმა ფირცხალაიშვილი

ამიკვის ბარელიეფის წარწერაში მოხსენებულ

შოთას ვინაობისათვის

კრებ. „შოთა რუსთაველი“, I, (ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი), თბ., 2000, გვ. 41-56.

ავტორი წერს, რომ სოფ. ამიკვის (ალგეთის ხეობაში, მანგლისის ახლოს) ტაძრის ბარელიეფზე გამოსახულია ოთხი პიროვნება: შოთა, გამრეკელი, ბეშქენი და ვარაზ-ბაკური. ასომთავრული წარწერა მათი მოხსენებით თარიღდება მიახლოებით XII საუკუნით. დადგენილია, რომ შოთა და გამრეკელი არიან თორელთა გვარიდან. იკორთის ტაძრის წარწერის საფუძველზე მკვლევარი ადგენს ბეშქენის ვინაობას. ირკვევა, რომ ბეშქენი სურამელთა საგვარეულოდან არის, რომელიც ქართლის ერისთავი ყოფილა 1171 წლიდან. ცნობილია კიდევ ერთი პირის – გამრეკელ თორელის გარდაცვალების თარიღი, – 1191 წელი. რამდენადაც ამიკვის ბარელიეფის წარწერაში ოთხივე პიროვნება ცოცხლებად არიან მოხსენებულნი, მკვლევარი ამ წარწერის თარიღს 1171-1191 წლებით განსაზღვრავს. რაკი წარწერის მიხედვით შოთა თანამედროვეა ერისთავ ბეშქენ სურამელისა და ამირსპასალარ გამრეკელ თორელისა, დგინდება, რომ ის არის XII ს-ის ბოლო ოცდაათწლეულის მოღვაწე, თამარ მეფის ეპოქის ისტორიული პირი.

მკვლევრის დასკვნით, მოცემული ქრონოლოგია, რეგიონი, ტიტული (ერისთავი), გვარ-წოდება (თორელი) გვაძლევს საფუძველს, რომ აძიკვის წარწერაში მოხსენებული შოთა პოეტ შოთა რუსთველად ვაღიაროთ. **გ. ა.**

816. რ. ფირცხალაიშვილი

ინდო-ხატაელთა ამბავი – „ვეფხისტყაოსნის“ მოუკვეთელი ნაწილი

კრებ. „ლიტ. ძიებანი“, XXI, 2000, გვ. 203-214.

ავტორი ცდილობს დაასაბუთოს, რომ ხელნაწერებში არსებული ტექსტი ე. წ. ინდო-ხატაელთა ამბისა პოემის ავტორს, რუსთველს ეკუთვნის და სხვა ტექსტის თანაბარი უფლებით უნდა დაიბეჭდოს „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებში.

ამის დამადასტურებელ არგუმენტებად ავტორს მოჰყავს შემდეგი:

1) XV- XVI საუკუნეთა მიჯნის მოღვაწე სვიმეონ შოთაძეს ხელთ ჰქონია პოემის ისეთი ხელნაწერი, რომელიც შეიცავდა სადავო თავებს.

2) ამ ეპიზოდში აღწერილი მეორე ომი ტარიელისა ხატაელთა წინააღმდეგ აუცილებელია იდეური თვალსაზრისით. ინდოეთზე ხატაელთა თავდასხმით გაცხადებულია რამაზ მეფისა და მისი „ხუთასი ვაზირის“ აგრესიულ-დამპყრობლური განზრახვა. ამის ჩვენების გარეშე ტარიელის პირველი ომი ხატაელთა წინააღმდეგ კარგავს სამართლიანობის სახეს და ჩრდილი ადგება როგორც გამირთა ზნეობრიობას, ისე ინდოეთის სამეფოს ზნეობრივ პრესტიჟსაც.

3) სადავო ეპიზოდში გამოყენებულია რუსთველისთვის დამახასიათებელი სიმბოლურ-პოეტური ხელწერა. ესაა **ქედის**, სიმაღლის დეტალის მხატვრული ფუნქციით გამოყენება. ამ ხერხს რუსთველი მაშინ მიმართავს, როცა მნიშვნელოვანი ამბავი უნდა დაიწყოს ან დიდი საიდუმლო უნდა გაცხადდეს. ინდო-ხატაელთა ამბავიც ასე იწყება:

„ქედსა ზედა გარდმოადგა მეტად დიდი ქარავანი...“.

მკვლევარი R¹ ხელნაწერის მიხედვით ტექსტს ასე ასწორებს:

„ქედსა ზედა გარდმოადგა ქარავანთა თაოსანი...“

ამ ვაჭრებთან საუბრით შეიტყვეს პოემის გამირებმა ინდოეთში მომხდარი უბედურება რეალურად და დეტალურად.

მთის სიმბოლიკა „ვეფხისტყაოსნისა“ ბიბლიური სამყაროდან არის ამოზრდილი. იგი ღვთიური ნების შეცნობას უკავშირდება. შეუძლებელია, რომ ეს ბიბლიური წვდომა რუსთველის დონეზე გაეთავისებინა რომელიმე ინტერპოლატორს. **გ. ა.**

817. გრეტა ჩანტლამე-ბაქრაძე

„ვეფხისტყაოსანი“ ესპანურ და ბასკურ ენებზე

ჟურ. „ლიტერატურული აჭარა“, ბათუმი, 2000, № 6, გვ. 75-77.

სტატიაში აღნიშნულია, რომ 1945 წელს მოსკოვის უნივერსიტეტის დოცენტმა ხოსე ანტონიო დიკომ ესპანურად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“. უფრო სრულყოფილი თარგმანი კი ეკუთვნის ჩილეელ მწერალს გუსტავო-ალფრედო დე ტორე ბოტაროს (1964 წ.). გ. ბოტარომ არ იცოდა ქართული, მისი თარგმანი ემყარება მ. უორდროპის ინგლისურ თარგმანს.

1999 წ. გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი ბასკურ ენაზე, რომელიც შეასრულა ბასკოლოგმა და ქართველოლოგმა შაბიერ კინტანამ. იგი 20 წლის მანძილზე მუშაობდა ამ თარგმანზე, თუმცა რუსთველის პოემის ბასკურ ენაზე ლექსად განწყობა მაინც გაუჭირდა.

ამიტომ თარგმნა ის პროზაულად „ყმაწვილთა წასაკითხად“. გამოცემას ახლავს მთარგმნელის შესავალი წერილი, სახელთა სამიებელი და განმარტებანი. გ. ა.

818. თინათინ ცქიტიშვილი

კვლავ „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ადგილის წაკითხვისათვის
(„იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“)

პროფ. მზია ანდრონიკაშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფ. მასალები, თბ., 2000, გვ 77-79.

ავტორი აღნიშნავს, რომ პოემის 1966 და 1988 წლების გამოცემებში „იგი წავა“ შეცვლილია ხელნაწერების უმეტესობაში დაცული წაკითხვით „იგი წახდების“, რასაც აქვს წასვლის, დაკარგვის, დაღუპვის მნიშვნელობები.

მკვლევარს გაუმართლებლად მიაჩნია ეს ცვლილება, რადგან „იგი წავა და სხვა მოვა“ უკეთესი პოეტური ფრაზაა შინაგანი რითმისა და ასონანსის მხრივ. მისი აზრით, ეს გამოთქმა წარმომავლობით უკაშირდება „ეკლესიასტეს წიგნის“ შემდეგ ადგილს: „ნათესავი წარვალს და ნათესავი მოვალს და ქუეყანაჲ ჰგიეს უკუნისამდე“. გ. ა.

819. იზოლდა წაქაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ყარაბაღული ვარიანტის
(Q 279) ხელნაწერი ლექსიკონი

კრებ. „შოთა რუსთაველი“, I, (ქართული ლიტერატურის ინსტ.), თბ., 2000, გვ. 308-317.

ავტორი აღნიშნავს, რომ დასახელებული ხელნაწერი გადაწერილია ყარაბაღში 1826 წელს უცნობი კალიგრაფის მიერ. მას ახლავს ვრცელი ლექსიკონი, რომელშიც შედის 581 სალექსიკონო ერთეული. მათგან 170 მისი საკუთრებაა, ე. ი. მხოლოდ მასშია განმარტებული და სხვა ნუსხების ლექსიკონებში არ გვხვდება.

მკვლევრის ვარაუდით, ამ ლექსიკონის ძირითადი ნაწილი მომდინარეობს რომელიღაც ძველი ხელნაწერიდან. გარკვეულ ნაწილში მისი ავტორი სარგებლობს ვახტანგ VI-ის კომენტარებით, მაგრამ ზოგადად დამოუკიდებელი სახე აქვს. იგი ერთ-ერთი ყველაზე ვრცელი ლექსიკონია და ხასიათდება ზუსტი და ამომწურავი განმარტებებით. გ. ა.

820. მიხ. წერეთელი

მცირე რამ „ვეფხისტყაოსნისათვის“

კრებ. „შოთა რუსთაველი“, I, (ქართული ლიტერატურის ინსტ.), თბ., 2000, გვ. 321-328.
პუბლიკაციას ახლავს გ. შარაძის წინასიტყვაობა (გვ. 318-321).

მ. წერეთლის ეს ნარკვევი პირველად გამოქვეყნდა გაზეთში „თეთრი გიორგი“, პარიზი, 1938, № 6, (102). იხ. „რუსთველოლოგიური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლოგრაფიის“ II ტ. გვ. 339, ანოტ. № 91.

821. ალექსი ჭინჭარაული

„ვეფხისტყაოსნის“

საჩანგდაფენი-სა და ერთი ჩანართი სტროფის შესახებ

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 2000, 18-24 აგვისტო, გვ. 12.

წერილი ეხება 1444-ე სტროფის ერთ ფრაზას: „უთქვენოდ მყოფთა არ გვინდან ნიშატნი საჩანგდაფენი“. როგორც ავტორი აღნიშნავს, ასეთია ხელნაწერების ძირითადი წაკითხვა, მაგრამ გამოცემებში, 1712 წლიდან 1966 წლამდე იბეჭდებოდა ნიშატნი (ან ნიშაგნი) ნაჩანგდაფენი და აზრობრივად ეს ფორმა უფო შესაფერისია. შესიტყვება „ნიშატნი საჩანგდაფენი“ (საჩანგდაფო, სიხარული, ლხინი) რუსთველისეული არაა, –

1) იგი არ ხმარობს ფორმებს: საბარბითო, საბუკო, სადაბდაბო, სანობო, სატაბლაკო, საქოსო, საჩანგო და მისთ.

2) ქართულში არ არის შესიტყვებები: საჩონგურო ლხინი, საგიტარე მხიარულება და ა. შ. მუსიკალური ინსტრუმენტია ლხინისა და ნიშატისათვის განკუთვნილი და არა პირუკუ.

3) ნიშატნი საჩანგდაფენი-ს გასამართლებლად იმოწმებენ 148-ე სტროფის გამოთქმას: „სიხარულსა სადაფოსა“, მაგრამ ეს სტროფი ერთ-ერთი ინტერპოლატორის შეთხზულია და, შესაბამისად, აღნიშნული ფრაზაც არარუსთველურია. ამ სტროფის სიყალბეს ადასტურებს მასში ნახმარი გამოთქმები: „სიხარული შიგან გახდა სამეფოსა“; „მღვენსა ... იეფოსა“; „არ მოსცთების სიხარულსა სასწრაფოსა“.

ნა-ჩანგ-დაფენი სამშემადგენლიანი კომპოზიციითა. ნა (სპ. – ლერწამი, სალამური, სტვირი) სამუსიკო ინსტრუმენტია ისევე, როგორც ჩანგი და დაფი. ისინი საზეიმო ვითარების გასამდიერებლად, მის ხაზგასასმელად იხმარება. ასეთივეა სხვა კონტექსტები: „გაბედითდა სიხარული, ჩადანა და ჩანგი ტკბილი“; „კვლა გაგრძელდა ნადიმობა, ბარბითი და ჩანგთა ჟღერა“.

სადავო სტრიქონი ასე უნდა დაიბეჭდოს: „უთქვენოდ მყოფთა არ გვინდან ნიშატნი, ნა-ჩანგ-დაფენი“. გ. ა.

822. კობა ხარაძე

„ვეფხისტყაოსნის“

გეოგრაფიული სამყარო

გაზ. „ციცინათელა“, 2000, № 38, გვ. 7.

ავტორის აზრით, პოემაში ჩანს, რომ რუსთაველს ფართო და ღრმა გეოგრაფიული ცოდნა ჰქონია. „ვეფხისტყაოსნის“ სივრცობრივი ფონი შეესაბამება ცნობილი ქვეყნების – არაბეთის, ინდოეთის, ხვარაზმისა და მათი ხალხების XII ს-ის დამდეგის სინამდვილეს. მისი არაბეთი აბასიდების ხალიფატია, ინდოეთი – ამ ქვეყნის ისლამიზებული ნაწილის პოლიტიკური გაერთიანება; ხვარაზმი – ხორეზმის სამეფო, ხოლო ხატაეთი – ჩრდილო ჩინეთი.

იქვე მოცემულია პოემის პერსონაჟთა მოგზაურობის მარშრუტები. დევთა (შემდეგ ტარიელის) ქვაბოვანი და მულღაზანზარი აღნიშნულია აფრიკის აღმ. სანპიროზე, ხოლო ზღვათა სამეფო და ქაჯეთი – კუნძულ მადაგასკარზე. გ. ა.

823. ლაშა ხეცურიანი

რიტორიკა „ვეფხისტყაოსანში“

„კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა“
(ქართული ლიტ. ინსტ-ის კრებული), № 3, თბ., 2000, გვ. 64-73.

ავტორი წინასწარ აღნიშნავს, რიტორიკის (მჭევრმეტყველების) ადგილსა და როლს ანტიკურ და შუა საუკუნეების მწერლობასა და ორატორულ ხელოვნებაში. მისი თქმით, „ბიზანტიაში გავრცელებული იყო რიტორიკის მრავალი თეორია, როდესაც არ არსებობდა პოეტიკის თეორიული კონცეფცია“ (გვ. 66).

„ვეფხისტყაოსანში“ თავმოყრილია მთელი გამოცდილება ქართული სიტყვიერი და სამწერლო ხელოვნებისა. ავტორი იმოწმებს რიტორიკული მეტყველების მრავალ ნიმუშს პოემიდან, მაგ.: „რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს, დაამჭნაროსა, იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“ (35); „რაღა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?!“ (36); „ბრძენი! ვინ ბრძენი, რა ბრძენი! ხელი ვითა იქმს ბრძნობასა!“ (886).

რიტორიკის ერთ-ერთი პრინციპის მიხედვით: „ყოველი სიტყვა ან უნდა ამტკიცებდეს (ჩვეულებრ. სტილი), ან აფერადებს იმას, რაც დამტკიცებულია (საშუალო სტილი), ან უნდა იტაცებდეს მსმენელს (მაღალი სტილი)“, (ფენელონი). სხვა ავტორის აზრით, ორატორის მთავარი მიზანი ჭეშმარიტების ახსნა კი არა, დამარწმუნებლობაა (კორაქსი).

ავთანდილი არწმუნებს ტარიელს: „სჯობს ასმათისა არ ლევა, მაგა სამხრის (არ) ლევასა (897). ამავე თვალსაზრისითაა განხილული „ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის თათბირი და გამორჩევა“ (537-544 სტროფები).

ავტორი გამართლებულად თვლის ამ საკითხის განხილვას, რამდენადაც რუსთველის ეპოქის ხელოვნებათმცოდნეობაში არ არსებობდა ცნება „პოეტიკა“ „სუფთა“ სახით. შესაძლოა, რუსთველი იყო სწორედ ის, ვინც პირველმა მისცა პოეზიის (შაირობის) თეორიული პრინციპები იმ დროის ქრისტიანულ აღმოსავლეთს (გვ. 72). გ. ა.

824. თამარ ხვედელიანი

დავარის სახის ინტერპრეტაციისათვის

კრებ. „შოთა რუსთაველი“, I, (ქართული ლიტერატურის ინსტ.), თბ., 2000, გვ. 154-166.

მკვლევრის აზრით, პიროვნული ტრაგიზმით გამორჩეული დავარი „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი შთამბეჭდავი პერსონაჟია. იგი გათხოვილი იყო ქაჯეთში, სადაც შეიძინა ღრმა და ყოვლისმომცველი ცოდნა, მაგრამ დაქვრივდა და დაბრუნდა ინდოეთში, ძმის – ფარსადან მეფის კარზე. მას იქ მეფის ასულის, ნესტან-დარეჯანის აღზრდა დააკისრეს.

ივარაუდება, რომ დავარი კარგად ასრულებდა აღმზრდელის მოვალეობას, მაგრამ გავიდა წლები და მოხდა მოულოდნელი ამბავი: ნესტანმა და ტარიელმა განიზრახეს სასიძოდ მოწვეული ხვარაზმშაპის ძის მოკვლა. ტარიელმა მოკლა სასიძო, რამაც გამოიწვია ფარსადანის განრისხება. მან ერთ-ერთ დამნაშავედ დავარი მიიჩნია და მას მოკვლით დაემუქრა. დავარი მიხვდა, რომ მას სხვათა დანაშაულისა თუ შეცდომის გამო სჯიდნენ და ვიდრე თავს მოიკლავდა, ნესტანზე იყარა ჯავრი – თავის მსახურებს გადასცა უკვალოდ დასაკარგავად.

თ. ხვედელიანი არ იზიარებს დავარის მიმართ გამოთქმულ დაუსაბუთებელ ბრალდებას, თითქოს იგი იყო ქაჯეთის ფარული აგენტი, რომელსაც უნდოდა ინდოეთის სახელმწიფოს განადგურება.

თხზულებაში მისთვის განკუთვნილი როლის მიხედვით, მკვლევარი დავარის სახეში ბერძნული მითიდან ჰელიოსის ასულის, კირკეს (ცირცეას) ორეულს ხედავს. გ. ა.

825. თ. ხვედელიანი

კონსტანტინე ჭიჭინაძე – რედაქტორი

*„კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა“ (ქართული ლიტ. ინსტ-ის კრებული),
№ 3, თბ., 2000, გვ. 74-78.*

წერილი ეხება კ. ჭიჭინაძის ტექსტოლოგიურ მუშაობას „ვეფხისტყაოსნის“ სტროფული შედგენილობის მხრივ. ავტორი ამართლებს და იწონებს კ. ჭიჭინაძის მოქმედებას: „მისი, როგორც მკვლევარი-რუსთველოლოგის დიდი დამსახურება სწორედ ისაა, რომ სათანადო საბუთებზე დაყრდნობით პოემის ტექსტს დაუბრუნა „ინდო-ხატაელთა ამბავი“, როგორც პოემის სრულყოფილებიანი შემადგენელი ნაწილი. გარდა ამისა, თავის გამოცემაში აღადგინა 38 ჭეშმარიტად რუსთველური სტროფი“ (გვ. 77). გ. ა.

826. [თ. ხვედელიანი]

„ვეფხისტყაოსნის“ ძირითად გამოცემათა (1966-1996 წწ.) ვარიანტები

გამოსაცემად მოამზადა თამარ ხვედელიანი, რედაქტორი – ცოტნე კიკვიძე, თბ., 2000, 280 გვ.

წიგნი მომზადდა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში. საყრდენ (ძირითად) ტექსტად აღებულია პოემის 1988 წლის (ტექსტის დამდგენი კომისიის) გამოცემა. მასთან შეპირისპირებით წარმოდგენილია 1966 წელს და მის შემდეგ, 1996 წლამდე დაბეჭდილი ყველა მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემის კითხვა-სხვაობანი, ზოგიერთი უმნიშვნელო ორთოგრაფიული სხვაობის გარდა.

წიგნი განკუთვნილია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტოლოგიურ პრობლემებზე მომუშავე სპეციალისტებისათვის. გ. ა.

827. ელგუჯა ხინთიბიძე

რუსთველოლოგია

(სალექციო კურსის თეზისები და ლიტერატურა)

თბ., 2000, 48 გვ.

ბროშურა გამიზნულია სტუდენტი ახალგაზდებისათვის, რომლებიც უმაღლეს სკოლაში ისმენენ რუსთველოლოგიის კურსს. შესავალში (გვ. 3-8) მოცემულია ზოგადი მითითებები სალექციო კურსის ჩატარების თაობაზე. აღნიშნულია, რომ რუსთველოლოგია კრიტიკულად შეისწავლის „ვეფხისტყაოსნის“ კვლევის ისტორიასა და თანამედროვე მდგომარეობას. აქედან გამომდინარე, სალექციო კურსი არ წარმოადგენს პოემის იდეურ-მხატვრული ანალიზისა და რუსთველის ვინაობასთან დაკავშირებული პრობლემების უშუალო კვლევას.

ბროშურაში დასახელებულია სალექციო პრობლემები და მათში შემავალი თემატიკა. ყოველი თემის შემდეგ მითითებულია სათანადო მეცნიერული ლიტერატურა. მაგ.:

I. რუსთველოლოგიური მეცნიერება (I.1. პოემის შესავალთან დაკავშირებული მეთოდური საკითხები; I.2. რუსთველოლოგები; I.3. ბიბლიოგრაფია).

- II. ტექსტოლოგიური საკითხები (II.1. პოემის ხელნაწერები და რედაქციები; II.2. გამოცემები; II.3. „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებანი; II.4. პოემის ტექსტის დადგენის ძირითადი პრინციპები და სიმნელები; II.5. თარგმანები).
- III. „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი და ეპილოგი (III.1. პროლოგის ზოგადი მიმოხილვა; III.2 სტროფული ანალიზი; III.3. შაირობის თეორია; III.4. მიჯნურობის თეორია).
- IV. ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები (IV.1. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი; IV.2. დაწერის დრო; IV.3. პოემის ფაბულის წყაროს საკითხი).
- V. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები და იდეურ-თემატური მოტივები.
- VI. რუსთაველის მსოფლმხედველობა, მისი თეოლოგიური და ფილოსოფიური წყაროები .
- VII. „ვეფხისტყაოსნის“ ესთეტიკა და პოეტიკა.
- VIII. რუსთაველის ადგილისათვის ევროპული ცივილიზაციის პროცესში. გ. ა.

828. ე. ხინთიბიძე

**ძველი ბერძნული სააზროვნო სტილის ერთი ნიმუში
ძველ ქართულ მწერლობაში**

კრებ. „შოთა რუსთაველი“, I (ქართული ლიტერატურის ინსტ.), თბ., 2000, გვ. 231-238.

მკვლევარი განიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში გამოყენებულ ტერმინს „მოცალობა“, რომელიც, მისი აზრით, ეთიკურ-ფილოსოფიური ცნებაა და „ვეფხისტყაოსნში“ შემოსული ანტიკური ფილოსოფიური ნაკადის ორგანული ელემენტია. ის ბერძნული ἠσχαλίη || τχιλα-ის შესატყვისია ძველ ქართულ ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ძეგლებში და ნიშნავს ზრუნვას, მეცადინეობას, გონების მიმართვას რაიმეს შესამეცნებლად ან მოსაპოვებლად. გ. ა.

829. ზაზა ხინთიბიძე

**კომპოზიციური პარალელიზმი ჰომეროსის ეპოსსა და
შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“**

ალმ. „მწიგნობარი“, თბ., 2000, გვ. 172-182.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ილიადას“ და „ოდისეას“ კომპოზიციური ორგანიზაცია, ჰომეროლოგთა უმეტესობის აზრით, ემყარება ე. წ. სტრუქტურულ სიმეტრიას. პროფ. ე. ხინთიბიძეს მიაჩნია, რომ თხზულების პრობლემემატიკის მხატვრული გადაწყვეტის რეალიზაციის პროცესში შ. რუსთაველი უახლოვდება ევროპულ რენესანსულ აზროვნებას. რაკი რენესანსის ერთ-ერთ საფუძვლად ანტიკურობის კვლავ „აღმოჩენა“ ითვლება, წერილის ავტორი შესაძლებლად მიიჩნევს ჰომეროსისა და რუსთაველის თხზულებების კომპოზიციური აგებულების ურთიერთშედარებას.

კვლევის შედეგად იგი რამდენიმე დასკვნას წარმოგვიდგენს:

1. ჰომეროსის ეპოსში დაფიქსირებული კომპოზიციური პარალელიზმი ხასიათდება სიმეტრიულობით. რუსთაველის პოემაში კი კომპოზიციური პარალელიზმი ასიმეტრიულია.
2. ჰომეროსის ეპოსის კომპოზიციური პარალელიზმი, რომელსაც სტრუქტურული სიმეტრიის ფორმა აქვს, ფაქტობრივად უფუნქციოა და წარმოადგენს ერთგვარ ლიტერატურულ ნორმას.

რუსთაველთან კომპოზიციური პარალელიზმი, როგორც სცენური, ასევე სტროფული, უმეტესწილად, კონკრეტული ფუნქციის მქონეა.

3. კომპოზიციური პარალელიზმი ჰომეროსის პოემების ტექსტს მთლიანად მოიცავს, თუმცა გვიანდელ ნაწილებში. მაგ., „ილიადას“ X სიმღერაში, სტრუქტურული სიმეტრია მაკრო დონეზე უკვე დარღვეულია. „ვეფხისტყაოსნის“ სცენური პარალელიზმი ემყარება ავთანდილისა და ტარიელის მოქმედებათა მსგავსებას, ამდენად პოემის სხვა ეპიზოდები სისტემის გარეთაა დარჩენილი.

4. „ვეფხისტყაოსანი“ უნდა ჩაითვალოს გვიანი რენესანსისა და მისი შემდგომი პერიოდის ევროპული ე. წ. მრავალპლანიანი რომანების წინამორბედად. **გ. ა.**

დამატება

1. ალ. ბარამიძე, ალ. გვახარია

სინამდვილე თუ მისტიფიკაცია?

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1976, №1, გვ. 169–171

ავტორები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებას არაბისტ თ. შუმოვსკის წიგნში „არაბისტიკის ზღვასთან“ (მოსკოვი, 1975), დაფიქსირებულ ფაქტზე, რომ XV ს-ის უცნობი შირვანელი პოეტის, ატალაჰ არანის, ლექსების კრებულში მოხსენიებულია „რუსთაველის ლექსი“. (ამ ცნობას ქართულ პრესაში პირველად გამოეხმაურა დ. აბაშიძე, – იხ. „ბიბლიოგრაფიის“ IV ტ., ანოტ. № 687).

წერილის ავტორებს საეჭვოდ მიაჩნიათ შუმოვსკის წიგნში გადმოცემული ამბავი შირვანელი პოეტის „დივანის“ თაობაზე, რასაც აღრმავებს პროფ. ა. ბოლდირევის მოსაზრებაც, რომ პოეტ ატალაჰ არანის ისტორია ლიტერატურული მისტიფიკაციაა. **გ. ა.**

2. А. М. Беленицкий

О двух образных вырожениях в поэме Шота Руставели

„Витязь в барсовой шкуре“

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1978, № 2, გვ. 55–57.

პირველი კომენტარი ეხება ნესტან-დარეჯანის სახის მეტაფორულ დახასიათებას, რომელსაც ტარიელი ასე გამოხატავს: „შეიქმნა პირითა მინა-ვარდითა“ (324). პოემის რუსულ ენაზე მთარგმნელი პ. პეტრენკო ამ მხატვრულ სახეს გადმოსცემს ფრაზით: „роза из стекла“. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ორიგინალში გამოყენებულია სიტყვა **მინა**: „მინის ვარდი“ ან, უფრო ზუსტად – „ვარდისფერი მინა“. **მინას** კი შუა საუკუნეების მწერლობაში აქვს არა შუმის (стекло), არამედ მინანქრის (ემალის) მნიშვნელობა.

მკვლევარი იმოწმებს XI ს-ის სწავლულის ალ-ბირუნის ნაშრომს, სადაც აღნიშნულია, რომ კეთდებოდა სხვადასხვა ფერის მქონე მინანქარი, რომელთაგან ზოგი გამჭირვალე რჩება,

თუ ის მზადდება ყვითელი და მწვანე ფერის საღებავების შერევით, სხვა ფერებში კი მისი გამჭირვალობა იკარგება.

მკვლევარი განმარტავს აგრეთვე აფორიზმის შინაარსს: „გასტეხს ქვასაცა მაგარსა გვრდემლი ტყვიისა ლბილისა“ (5,4). აქ ხსენებული „მაგარი ქვა“ ალმასია. მისი დამუშავების წესიც აღწერილია ალ-ბირუნის წიგნში. ალმასს დაფარავდნენ ტყვიის გარსით და შემდეგ მსუბუქად ურტყამდნენ ჩაქუჩს. ასე გატყდებოდა ის რამდენიმე ნაწილად.

მინერალოგ გ. ლემლეინის ცნობით, XVI ს-ის სომხურ მინერალოგიურ თხზულებაში აღწერილია შემდეგი ტექნოლოგია: დასამუშავებელ ალმასს დაფარავენ სანთლით, შეახვევენ 12 ფენა ქაღალდში და მასზე ჩაქუჩის დარტყმით ანაწევრებენ. შემდეგ ყველაფერს ჩაყრიან ცხელ წყალში, სადაც სანთელი გადნება, ალმასის ნატეხები კი ჭურჭლის ძირზე ილექება. გ. ა.

3. 3. К. Гамсахурдиа

Вопросы мировоззрения Руставели

(В связи с англ. переводами „Вепхистკаосани“)

Автореф. дис. на соиск. учен. степени канд. филол. Наук,

Тб., 1973, 22 стр.

იხ. მისივე: „ვეფხისტყაოსანი ინგლისურ ენაზე“, თბ., 1984, ანოტ. აქვე № 115.

4. Иван Гигинеишвили

Основные проблемы языка и Критики текста поэмы

Шота Руставели „Вепхистკаосани“

Автореф. дис. на соиск. учен. степени докт. филол. наук,

Тб., 1975, 86 стр.

დისერტაცია დაწერილია ქართულ ენაზე და შედგება რვა თავისაგან. მასში განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში სიტყვათა მორფოლოგიური შეწყობის, სტროფში წინადადებათა სინტაქსური ურთიერთობის, ზმნებში პირის ფორმების აღრევის, მრავლობითი რიცხვის წარმოების, სამოხელეო ტერმინების მნიშვნელობის და სხვა საკითხები.

იხ. ავტორის ამავე დასათაურების წიგნის (1975 წ.) ანოტაცია, ბიბლიოგრაფიის IV წიგნი, № 635. გ. ა.

6

5. ვ. გურგენიძე

„ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავისადმი მიძღვნილი

საიუბილეო დღეები თბილისში

(მწერალთა პლენუმის მასალები)

კრებ. „საისტორიო მოამბე“ (საქ. სსრ. მინისტრთა საბჭოსთან არს.

მთავარი საარქივო სამმართველო) ტ. 37–38, 1978, გვ. 251–322.

პუბლიკაციის წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ შ. რუსთაველის პოემის დაწერიდან 750 წლისთავისადმი მიძღვნილი საკავშირო მწერალთა V პლენუმი ჩატარდა თბილისში, რუსთაველის თეატრში, 1937 წლის 24-29 დეკემბერს.

შემდეგ დაბეჭდილია პ. პავლენკოს მოხსენება (გვ. 255-262), ნ. ტიხონოვის მოხსენება (გვ. 262-278). ნაწყვეტები პ. ტიჩინას და იბრაგიმ მირზას მისალმებებიდან (გვ. 278-280), ნაწყვეტი ი. ჯავახიშვილის მოხსენებიდან (გვ. 280-286), აკად. ვ. სტრუვეს სიტყვა (გვ. 286-287), პროფ. ლუპოლის სიტყვა (გვ. 287-290); ნაწყვეტები: ი. სელვინსკის, პ. ანტოკოლსკის, ვ. შიშმარევის, ა. ისაკიანის, ლინკოვის (ბელორუს.), შ. მანურას (თათართა რესპ.), კ. ჭიჭინაძის, მ. ბაჟანის, ჯ. ალტაუზენის, ნ. ზაბოლოცკის, ს. ვურლუნის, ნ. ზარიანის, ვ. გოლცევის სიტყვებიდან (გვ. 290-322). სიტყვებისა და მოხსენებების ტექსტები დაბეჭდილია რუსულ ენაზე. **გ. ა.**

6. **Мария Карбелашвили**

Вопросы исторической классификации рукописей

„Вепхистკაოსანი“

Автореф. дис. на соиск. учен. степ. канд. филол. наук,

Тб., 1974, 22 გვ.

დისერტაცია დაწერილია ქართულ ენაზე. „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების შესწავლის საფუძველზე ავტორი ადგენს, რომ ისინი იყოფა ოთხ რედაქციულ ჯგუფად. დისერტაციაში მოცემულია თითოეული რედაქციული ჯგუფის ნუსხების ორთოგრაფიული და სტილისტიკური დახასიათება.

იხ. ავტორის ამავე დასათაურების წიგნის (1977 წ.) ანოტაცია, ბიბლიოგრაფიის IV წილნი, № 750, აგრ. № 589. **გ. ა.**

7. [გურამ კარტოზია]

„ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის

დამდგენ კომისიაში

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1974, №3, გვ. 197-208.

ამ სათაურით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1974 წლიდან იბეჭდებოდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მთავარი რედაქციის მუშაობის ამსახველი მასალა ოქმების სახით. ოქმებს ადგენდა და დასაბუქდად ამზადებდა კომისიის სწავლული მდივანი გურამ კარტოზია.

პუბლიკაციის შესავალში დასახელებულია რუსთაველის თხზულების ტექსტის დამდგენი კომისიისა და მისი მთავარი რედაქციის შემადგენლობა, წარმოდგენილია კომისიის მუშაობის პრინციპები და მოკლე ანგარიში იმ საქმიანობისა, რომელსაც კომისიის თანამშრომლები და მთავარი რედაქცია ეწეოდნენ 1963-1973 წლებში; მოცემულია აგრეთვე ნუსხა პოემის ძირითადი ხელნაწერებისა და ბეჭდური გამოცემებისა, რომლებიც გამოიყენებოდა აკადემიური ტექსტის დადგენისათვის. შემდეგ დაბეჭდილია ოქმების ტექსტი 1973 XII-დან (მანამდე მთავარი რედაქციის სამუშაო ოქმები არ იწერებოდა) – 1974, 22. II-მდე. მომდევნო სხდომების ოქმები გამოქვეყნდა „მაცნეს“ შემდეგ ნომერებში: 1975, №№ 1, 3, 4; 1976, №№ 1, 3, 4; 1977, № 34; 1978, № 1-4; 1979, № 1-4; 1980, № 4. **გ. ა.**

8. **Н. С . Махатадзе**

Проблемы Руствелологии

(Социальный ареал; военный мир в русских переводах; отголосок в литературе XIII в; эпоха Возрождения относительно генезиса)

Автореф. дис. на соиск. учен. степ. док. филол. наук, Тб., гос. унт., 1973, 64 стр.

ავტორეფერატი შეიცავს 64 გვერდს. მასში მოცემულია შინაარსი დისერტაციის შემდეგი თავებისა:

- I. „ვეფხისტყაოსანში“ ასახული სოციალური სინამდვილე;
- II. რუსთველური ომის სამყარო პოემის რუსულ თარგმანებში;
- III. რუსთველის პოემის გამოძახილი XIII ს– ის რუსულ ლიტერატურაში;
- IV. აღორძინების ეპოქა და რუსთველის პოემის გენეზისის საკითხი.

დისერტაციის დაცვის პროცედურა ჩატარდა თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოზე 1974 წლის 15 მარტს.

9. **ლევან მენაბდე**

რუსთველი ევროპის ქვეყნებში

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1979, № 4, გვ. 5-14.

ნარკვევში მოცემულია ზოგადი მიმოხილვა ევროპის რამდენიმე ქვეყანაში დაბეჭდილი მასალებისა რუსთველისა და მისი თხზულების შესახებ, აგრეთვე აღნიშნულია იქაური მწერლებისა და ჟურნალისტების მონაწილეობა პოეტის 1937 და 1966 წლების საიუბილეო ღონისძიებებში. დასახელებულია ჟ. გარიტის (ბელგია), რ. ალბერტის, ხ. პაჩეკოს, შ. კინტანას (ესპანეთი), ჰ. ფოგტის, ე. კიელანდის (ნორვეგია), ჰ. ლაქსნესის (ისლანდია), ნ. ბორის, ჰ. შერფიგის (დანია), ე. კაუპილას (ფინეთი) და სხვების წერილები და ნარკვევები, გამოქვეყნებული ძირითადად 1960– იან, 70– იან წლებში. **გ.ა.**

10. **შერმადინ ონიანი**

ვახტანგ VI – ის რუსთველოლოგიური ნააზრევი

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1976, № 1, გვ. 7-24.

როგორც ავტორი წერს, ვახტანგ VI–ის მოღვაწეობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემას, რაც მან განახორციელა 1712 წელს. ამ გამოცემას ერთვის ვახტანგის „თარგმანი“, ანუ განმარტება რუსთველის თხზულებისა. მასში წარმოდგენილია ვახტანგის თვალსაზრისი პოემის სიუჟეტის, რუსთველის მსოფლმხედველობის, მიზანდასახულებისა და სხვა საკითხებზე. „თარგმანში“ პოემა მიჩნეულია „სადმართო და საერო“ ნაწარმოებად, რომელშიც „სადმართო მიჯნურობა“ ასახული. ამით ის გათანაბრებულია სასულიერო ხასიათის ძეგლებთან.

„ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტს ვახტანგ VI ორიგინალურად, რუსთველის მიერ შეთხზულად მიიჩნევს („ამბავიც თვითონ გააკეთა“...). ვახტანგი დაუპირისპირდა კლერიკალურ თვალსაზრისს, რომლის მიხედვით პოემა მდაბალი ზნეობის ამსახველად „სამეძაოდ“ იყო

გაგებული. ვახტანგის აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ წმინდა ნაწარმოებია, „რიტორისა და ბრძენ მეცნიერისა კეთილად ნამუშავეი“.

ვახტანგის „თარგმანი“ პოლემიკური ხასიათის ნაშრომია, მასში საგანგებოდ წინა პლანზე არის წამოწეული თხზულების „საღმრთო ხასიათი“; მისი ავტორი „ქრისტიანი“ ფილოსოფოსია.

ვახტანგ VI არის პირველი მკვლევარი, რომელმაც სპეციალური ნაშრომი დაწერა და მრავალმხრივ განიხილა „ვეფხისტყაოსანი“. **გ. ა.**

11. რამაზ პატარიძე

ავთანდილის „ყოვლი საჭაბუკო“

ჟურ. „ცისკარი“, 1979, № 5, გვ. 134–138.

ავტორი განიხილავს ავთანდილის მეორე სტუმრობის ეპიზოდს ფატმანთან: ჭაშნაგირის მკვლელობის მომდევნო დილას ავთანდილი აზანოში წავიდა. ფატმანმა „უძღვნა მრავალი კაბა, ყაბაჩა, რიდები, ... ტურფა პერანგი, წმიდები“ (სტრ. 1243, 1966 წ. საიუბილეო გამოც.), (იგულისხმება, რომ ეს ვაჭართა უხუცესის შესაფერი ტანსაცმელია).

მაგრამ ავთანდილმა ისინი არ ჩაიცვა და თქვა:

„საქმე ჩემი გავაცხადო ამა დღესა,“ ... მას დღე ყოვლი საჭაბუკო შეიმოსა ტანსა მხნესა“ და ასე წარუდგა ფატმანს სადილისათვის გაწყობილ სუფრასთან. ფატმანმა „ნახა, გაუკვირდა ვაჭრულისა უმოსელად“ (1244, 1245). მომდევნო სტროფში კვლავ ხსენებულია ფატმანის გაკვირვება, მაგრამ ავთანდილმა არაფერი უპასუხა, ე. ი. თავისი განზრახვა არ შეასრულა. პურისჭამამ ასეთ გაურკვეველ ვითარებაში ჩაიარა და ავთანდილი ქარვასლაში დაბრუნდა. სადამოხანს (იმავე დღეს) მან თავისთან მიიწვია ფატმანი და მამინ გაუმხილა ნამდვილი ვინაობა (1249–1250).

მკვლევარი ფიქრობს, რომ ამ ეპიზოდში ზედმეტია 1246 („ფატმან მისსა შვენებასა მეტისმეტად ჰკვირდებოდა...“) და 1248 („ფატმან მივიდა...“) სტროფები, ისინი გვიანდელი ჩანართებია და ამოღებულ უნდა იქნას პოემის ძირითადი ტექსტიდან. **გ. ა.**

12. Реваз Сирадзе

Развитие литературно–эстетической мысли в древнегрузинской литературе (V–XVIII вв.)

Автореф. дис. на соиск. учен. степ. док. филол. наук. Тб., 1975, 56 стр.

დისერტაცია დაწერილია ქართულ ენაზე. მის IV ნაწილში – „მხატვრული აზროვნების საკითხები რენესანსის ეპოქის ძველ ქართულ ლიტერატურაში“ რუსთაველის შემოქმედების გათვალისწინებით განხილულია პიროვნების რენესანსული იდეალის განვითარება და მისი თეორიული წანამდღვრები (VIII თავი) და „გამონაგონის სიბრძნე“ (IX თავი).

ამავე საკითხებზე ავტორის გამოქვეყნებული ნაშრომების ანოტაციები იხ. „რუსთვ. ლიტ. ბიბლიოგრაფიის“ IV წიგნში, №№ 501, 763. **გ. ა.**

13. ნესტან სულავა

„ვეფხისტყაოსნის“ მსოფლმხედველობის საკითხები
(„ვეფხისტყაოსნისა“ და სასულიერო პოეზიის ზოგიერთი პარალელი)
ჟურ. „მაცნე“, ელს, 1976, № 2, გვ. 19–34.

ნაშრომში კვლევის საგანია ის, თუ რამდენად არის დამოკიდებული რუსთაველის მიერ წარმოდგენილი უზენაესი არსება, ღმერთი, ჰიმნოგრაფთა შემოქმედებაში ასახულ ღმერთზე, რა ნიშნებით ემსგავსებიან ისინი ერთმანეთს და რაშია მათ შორის განსხვავება.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ „ფსალმუნის“ მიხედვით, ღმერთი არის ხილული და უხილავი სამყაროს შემქმნელი. სამყაროში იგულისხმება, პირველ რიგში, ცა და ციური სხეულები (მზე, მთვარე და ვარსკვლავები), შემდეგ კი დედამიწა ყოვლითურთ, „რად არს მას შინა“.

სამყაროს შემოქმედად გაიაზრა ღმერთი აგრეთვე ქრისტიანულმა სასულიერო მწერლობამ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ბიბლიური ღმერთი არის ერთპიროვანი და ერთგვამოვანი, ქრისტიანული ღმერთი კი – წმიდა სამება, სამჰიპოსტასიანი შემოქმედი.

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი სტროფის მიხედვით, ღმერთის შემოქმედების ნაყოფია სამყარო – ზეცა, უძრავი ცა და ვარსკვლავები, მნათობები, აგრეთვე დედამიწა, მისი სულიერი და უსულო არსებანი.

პოემის გმირების აზრით, ღმერთი არის „უცნაური და უთქმელი“ – (შეუცნობელი და ენით გამოუთქმელი), „უფალი უფლებათა“ (მეუფეთა მეუფე), სიყვარულისა და სიკეთის მომავლინებელი. ეს ეპითეტები ფართოდ გავრცელებული იყო ქრისტიანულ მწერლობაში და მზა ფორმულების სახით გადავიდა საერო ლტერატურაში.

ნარკვევში გამოყენებული და დამოწმებულია ამ პრობლემის თაობაზე არსებული ნაშრომები და მოსაზრებები: თ. ბაგრატიონის, მ. გოგიბერიძის, ე. ხინთიბიძის, ი. ლოლაშვილის, ზ. გამსახურდიას, შ. ხიდაშელის და სხვ. **გ. ა.**

14. **Н. Сулава**

Руставели и древнегрузинская духовная поэзия

*Автореф. дис. на соиск. учен. степ. кандидата филол. наук,
Тб., 1977, 27 с.*

დისერტაცია დაწერილია ქართულ ენაზე და შედგება ხუთი თავისაგან.

I თ. – ქართული კლასიკური ლიტერატურა და ჰიმნოგრაფია;

II თ. – ღვთაებრივი იერარქია ძველ ქართულ სასულიერო პოეზიასა და „ვეფხისტყაოსანში“;

III თ. – სიცოცხლისა და სიკვდილის პრობლემა სასულიერო პოეზიასა და „ვეფხისტყაოსანში“;

IV თ. – ადამიანის მიმართება ღმერთთან ძველ ქართულ პოეზიასა და „ვეფხისტყაოსანში“;

V თ. – მხატვრული სახეები (პოეტური ასახვის ხელოვნება) ჰიმნოგრაფიასა და „ვეფხისტყაოსანში“.

იხ. ავტორის გამოქვეყნებული ნაშრომების ანოტაციები ბიბლიოგრაფიის IV წიგნში, №№ 671, 725, 849. **გ. ა.**

15. **ოთარ ურიდია**

**„ვეფხისტყაოსნის“ მეორე გამოცემასთან დაკავშირებული
ზოგიერთი საკითხის დაზუსტებისათვის**

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1976, № 4, გვ. 23–40.

ავტორი აღნიშნავს, რომ 1826 წელს ყოფილა ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ ხელახლა გამოცემის ცდა. თეიმურაზ ბაგრატიონს პეტერბურგის საცენზურო კომიტეტში წარუდგენია პოემის პირველი გამოცემის საკუთარი ეგზემპლარი და უთხოვია მისი დაბეჭდვის ნებართვა. წინასწარი განხილვისათვის წიგნი გადაუგზავნეს საგარეო საქმეთა სამინისტროს აზიის დეპარტამენტს, სადაც თარჯიმანმა ნიკოლოზ ჩუბინაშვილმა დაწერა რეცენზია და დასაბეჭდ ტექსტში შეიტანა 200–მდე შესწორება.

მაშინ ეს წიგნი არ დაბეჭდილა. 30–იან წლებში მარი ბროსეს ინიციატივით კვლავ დაიწყო პოემის ახალი გამოცემის ტექსტის მომზადება. მასში მონაწილეობდნენ: მ. ბროსე, დ. ჩუბინაშვილი და ზ. ფალავანდიშვილი. 1837 წელს ნ. ჩუბინაშვილს პოემის პირველი გამოცემის საკუთარი ცალი გადაუცია ძმისწულის – დავითისათვის. ივარაუდება, რომ ახალი ტექსტის მომზადებისას იყენებდნენ ამ ჩასწორებულ წიგნს. რედაქტორებს ხელთ ჰქონიათ აგრეთვე ვახტანგის გამოცემის გიორგი ავალიშვილისეული ცალი, ისიც – მფლობელის მიერ ალაგ-ალაგ ნასწორები. მათ ჰქონიათ სხვა ნუსხაც, პირველი გამოცემიდან გადაწერილი და ნაწილობრივ შევსებული ხელნაწერებიდან პეტრე ქეზაძის მიერ.

„ვეფხისტყაოსნის“ მეორე გამოცემა დაიბეჭდა 1841 წელს. მისი ტექტი 50 სტროფით მეტია პირველ გამოცემაზე. დამატებული სტროფებიდან 4 შეტანილია თ. ბაგრატიონის წარდგინებით, დანარჩენი კი პ. ქეზაძის ხელნაწერიდანაა შერჩეული. **გ. ა.**

16. **[დ. ქუმსიშვილი] დ. ი. კუმსიშვილი**

Некоторые проблемы руствелологии

Автореф. дис. на соиск. учен. степ. док. филол. наук. Тб., 1978, 40 с.

დისერტაცია დაწერილია ქართულ ენაზე და შედგება ექვსი თავისაგან.

I თავში მოცემულია „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის ანალიზი;

II თავი ეძღვნება კომპოზიციის საკითხებს:

1. პოემის პროლოგი;
2. მოქმედების ერთიანობა;
3. მოქმედების განვითარების გარემო;
4. მოქმედების მიმდინარეობის დრო პოემაში.

III თავში განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ ჟანრული თავისებურებანი.

IV თავში განხილულია მხატვრული სახის პრობლემები პოემაში.

V თავი ეძღვნება პოემის სიუჟეტისა და თემატიკის კავშირს საქართველოს ისტორიულ სინამდვილესთან.

VI თავში ავტორი აყენებს ზოგიერთი ტერმინის შინაარსისა და უცხო ენებზე მათი თარგმნის საკითხს.

იხ. ბიბლიოგრაფიის IV წიგნი, № 260. **გ. ა.**

17. **Г. С. Шарадзе**

Теимураз Багратиони

(Жизнь и творчество)

Автореф. дис. на соиск. учен. степ. док. филолог. наук. Тб., 1975, 40 с.

დისერტაცია შედგება ორი ნაწილისაგან:

1. თემურაზ ბაგრატიონის ცხოვრების გზა;
2. თ. ბაგრატიონის შემოქმედებითი მოღვაწეობა. მასში შედის:
 - I თავი – თ. ბაგრატიონი და ძველი ქართული ლიტერატურის საკითხები.
 - II თავი – თ. ბაგრატიონის მთარგმნელობითი მოღვაწეობიდან.
 - III თავი – თ. ბაგრატიონის მხატვრული შემოქმედება.
 - IV თავი – თ. ბაგრატიონი როგორც ლექსიკოგრაფი.
 - V თავი – თ. ბაგრატიონი – ბიბლიოგრაფი და კოლექციონერი.დასკვნებში აღნიშნულია, რომ:
 1. თ. ბაგრატიონი ძველი ქართული მწერლობის ავტორიტეტული მკვლევარია. მან გაარკვია ბევრი საკვანძო საკითხი როგორც სასულიერო, ისე საერო ლიტერატურისა.
 2. მრავალფეროვანია მისი ორიგინალური მხატვრული შემოქმედება (დრამები, პოემა, ლექსები). მანვე თარგმნა ქართულად ევროპული და აღმოსავლური ლიტერატურის ბევრი ნიმუში.
 3. განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის თ. ბაგრატიონს ქართული ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის ისტორიაში.
 4. თ. ბაგრატიონი იყო პირველი ქართველი მეცნიერი, რომელიც აირჩიეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრად. ეს მოწმობდა ქართველოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერული დისციპლინის დამკვიდრებას. **გ. ა.**

18. **С. Цаишвили**

Разгадка портрета Руставели

გაზ. „Заря Востока“, 1973, 15. 04. № 89, с. 2.

გაზეთის რედაქციის თხოვნით, პროფ. სარგის ცაიშვილი აკეთებს კომენტარს ამავე გაზეთის 77- ე ნომერში დაბეჭდილ ბ. კანდელაკის წერილზე „რუსთაველის პორტრეტის საიდუმლო“, რომელშიც საუბარია 1872 წელს სანკტ-პეტერბურგში, ჟურნალ „ილუსტროვანაია გაზეტაში“ გამოქვეყნებულ სურათზე – წარწერით „შოთა რუსთაველი“.

ს. ცაიშვილი აღნიშნავს, რომ ამ სურათის ირგვლივ ამჟამად „საიდუმლო“ არაფერია და ბ. კანდელაკს შეცდომაში შეჰყავს მკითხველი. დასახელებულ სურათს რუსთაველთან რომ საერთო არაფერი აქვს, ეს გარკვეულია ა. ცაგარლის, გ. იმედაშვილის და ს. კაკაბაძის მიერ. სურათზე გამოსახულია ირანის შაჰი ჰუსეინი (1694–1722 წწ.) სათანადო სამოსითა და რეგალიებით. **გ. ა.**

19. **Р. С. Хведелидзе**

Руставели в украинской литературе

*Автореф. дис. на соиск. учен. степ. кандидата филол. наук,
Тб., гос. унив. 1972.*

ავტორეფერატი შედგება 22 გვერდისაგან. აღნიშნულია, რომ დისერტაციაში განხილულია უკრაინელი ავტორების წერილები, გამოკვლევები და მხატვრული ნაწარმოებები, მიძღვნილი რუსთაველისადმი XIX საუკუნიდან ჩვენ დრომდე; აგრეთვე მოცემულია „ვეფხისტყაოსნის“ უკრაინული თარგმანების ანალიზი. **გ. ა.**

20. **Э.Г. Хинтибидзе**

**Мировоззренческие проблемы в художественной
системе „Вепхисткаосани“**

Автореф. дис. на соиск. учен. степ. доктора филол. наук, Тб., 1971, 38 с.

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლისა და ოთხი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი, სადაც განხილულია ასტროლოგიური მსოფლმხედველობის კვალი რუსთაველის პოემაში, აერთიანებს ოთხ თავს: პირველში ახსნილია გამოთქმა „მთვარის მოვანების“ შინაარსი; მეორე თავია – ავთანდილის „ძალნი ზეციერნი“; მესამე – „ვეფხისტყაოსნის კრონოსი“; მეოთხე – „ნესტანის შვიდი და ცხრა ცა“.

ავტორის დასკვნით, რუსთაველის მიერ წარმოდგენილი კოსმოლოგიური მოდელი ემყარება სამყაროს ასტროლოგიურ აღქმას.

ნაშრომის მეორე ნაწილში განხილულია უზენაესი არსების მიმართება ქრისტიანულ ღმერთთან.

მესამე ნაწილია – „ეთიკის ძირითადი პრობლემები ვეფხისტყაოსანში“. აქ განხილულია „მართალი სამართლის“ ცნება და ტერმინი – „მოცალეობა“.

მეოთხე ნაწილში – „რუსთაველის ადგილისათვის შუასაუკუნეებრივი აზროვნების ისტორიაში“ – მოცემულია შემდეგი პრობლემების ანალიზი:

1. რუსთაველის წინა ეპოქის ქართული აზროვნების ხასიათი;
2. არისტოტელეს ფილოსოფია და მოსაზრუნი შუასაუკუნეებრივ აზროვნებაში;
3. ასტროლოგია – შუა საუკუნეების მეცნიერება;
4. ადამიანი – ახალი აზროვნების ქვაკუთხედი.

ავტორის აზრით, „ვეფხისტყაოსანში“ წარმოდგენილი რელიგიური რწმენა პრინციპულად ემიჯნება ორთოდოქსულ ქრისტიანულ დოგმატიკას. მათგან რუსთაველი ცნობს და აღიარებს მხოლოდ იმ დოგმებს, რომლებიც გვიანი შუა საუკუნეების აზროვნებამ „დაამტკიცა“ ლოგიკური გზით (ღმერთის არსებობა, სულის უკვდავება და სხვ.). **გ. ა.**

ავტორთა საძიებელი
(რიცხვი უჩვენებს სტატიის ნომერს)

- აბაევი ვ. 1.
აბაშიძე გრ. 502.
აბაშიძე ი. 364.
აბაშმაძე ვ. 330, 388.
აბუანდაძე ა. 559.
ადამოვიჩოვა ა. 330.
ადეიშვილი შ. 265, 503.
ავალიანი გ. 188, 716.
ავალიანი ს. 2.
ავალიშვილი ზ. 471, 471a.
აკოფაშვილი გ. 472.
ალავიძე მ. 573.
ალექსიძე ზ. 423.
ალექსიძე ლ. 389.
ალიევა დ. 63, 106, 107.
ალხაზიშვილი გ. 148.
ანთაძე ი. 332, 390, 391, 424, 425, 473, 604.
ანთაძე მ. 34.
ანდრონიკაშვილი ნ. 33, 108, 331.
არაბული გ. 64, 65, 392, 426, 474, 574, 606, 632, 684, 717, 758, 759, 760.
არეშიძე მ. 633.
ასათიანი გ. 266.
ასათიანი ვ. 605.
აფრიდონიძე შ. 685, 686.
აფციაური ჯ. 226, 504, 505.
ახალკაცი მ. 475, 634.
ახვლედიანი გ. 506.
ახუაშვილი ი. 560.
- ბანცაძე მ. 333.
ბარამიძე ალ. 3, 66, 67, 68, 109, 110, 111, 149, 150, 151, 151a, 189, 190, 226, 298, 229, 230, 264, 267, 268, 269, 393, 394, 395, 427, 428, 476, 507-510, 575, 635-644; დამ. 1.
ბარამიძე რ. 511, 761.
ბარამიძე შ. 525.
ბარბაქაძე თ. 645, 687.
ბარნოვი გ. 112.
ბარეტი დ. 429, 576.
ბასილაშვილი ე. 646.
გიგინეიშვილი ო. 118.
გოგიბერიძე ს. 515, 583, 584.
გოგოჭური ნ. 272, 657.
გოლიაძე ო. 306, 609, 658, 688.
- ბახტრიონელი ლ. 4.
ბეილი ჰ. 334.
ბეპიევა ნ. 306.
ბეზარაშვილი ქ. 762.
ბეინენი გ. 430.
ბელენიცი ა. დამ. 2.
ბენიძე გ. 607.
ბერიძე რ. 152, 152a, 270, 271, 335, 647-649, 763.
ბესტავაშვილი ა. 113.
ბინიაშვილი მ. 5.
ბიძინაშვილი ზ. 650, 651.
ბოდერი ვ. 577.
ბოლქვაძე თ. 578, 652, 653.
ბოტარო გ. 654.
ბრაგინსკი ი. 310.
ბრეგვაძე ბ. 764.
ბუაჩიძე კ. 114.
ბულკათი მ. 511a.
- გაბაშვილი ვ. 231.
გაბაშვილი რ. 431
გაბესკირია შ. 336, 655.
გაგულაშვილი ი. 153.
გამსახურდია ზ. 35, 35a, 36, 115, 116, 154, 232, 233, 234, 337, 396, 397, 432, 433; დამ. 3.
გამსახურდია ს. 191.
გამყრელიძე გ. 434.
გაფრინდაშვილი ბ. 37.
გაჩეჩილაძე მ. 718.
გაწერელია ა. 6, 7, 69, 192, 435.
გელათელი-ჩხეიძე მ. 477.
გელაშვილი ნ. 561.
გელოვანი ა. 117.
გვახარია ა. 70, 235, 338, 339, 436, 437, 512, 513, 562, 563, 579, 580, 581, 608, 656, 719, 765-767; დამ. 1.
გიგინეიშვილი ი. 340; დამ. 4.
ზაქაიძე ლ. 779.
ზედგინიძე ნ. 350.
ზუხბაია ვ. 40, 442, 724.

გონჯილაშვილი ნ. 689, 720, 768.
გოჩელაშვილი ო. 398, 399.
გოცირიძე მ. 37a, 119, 155, 236, 400.
გრიგოლაშვილი ლ. 226, 514.
გოტიე-ელიგულაშვილი დ. 769.
გურგულია ბ. 8.
გუგუშვილი ლ. 341, 342, 401.
გუგუშვილი მ. 38, 71, 72, 237, 343,
402, 516, 690, 770, 771.
გურგენიძე ვ. 403; დამ. 5.

დათაშვილი ლ. 691.
დანელია კ. 564.
დანელია ნ. 659.
დარსაველიძე ნ. 238.
დარჩია ბ. 39, 156, 239, 404, 610, 772.
დარცმელიძე ა. 478, 517, 518.
დაუშვილი თ. 273.
დგებუაძე დ. 306.
დედაბრიშვილი მ. 274, 344, 438.
დელშადი ფ. 773.
დუმბაძე ნ. 119a.

ებრალიძე მ. 416.
ევდოშვილი (კარბელაშვილი) მ. 439.
ელბაქიძე მ. 345, 406, 519, 520, 585, 692.
ელიავა ლ. 774, 775.
ენუქაშვილი რ. 193.
ერისთავი თ. 275, 586.
ერქომაიშვილი ნ. 611.

ვადაჭკორია ნ. 346.
ვარდანაშვილი ლ. 347, 776.
ვასაძე თ. 693, 721, 722.
ვასაძე შ. 157.
ვაშაკიძე თ. 440.
ვივიენი ქ. 120, 441.
ვოლგასტი ზ. 310.

ზარიძე ხ. 158, 348, 349, 521,
587, 588, 589, 612, 613, 694-696,
723, 777, 777a.
ზარნაძე რ. 778.
კეკელიძე კ. 197-199, 226.
კენჭოშვილი ნ. 79, 243.
კვატაია მ. 794.
კვაჭანტირაძე თ. 286.
კვაჭანტირაძე კ. 728.
კიკვიძე ც. 287-290, 531, 666,
667, 700-702, 729.
კილანავა ბ. 125, 226, 244, 532.

თაბორიძე მ. 479, 480, 481, 780.
თავაძე ბ. 781.
თავდიშვილი მ. 73, 276- 278,
351-358, 407, 407a, 443-446,
482, 483, 522-525, 565-567,
590, 591, 614, 660, 661, 697,
698, 782.
თევზაძე გ. 526, 592, 615.
თევზაძე ი. 194.
თვარაძე რ. 41, 159, 160, 783.
თოგოშვილი ნ. 279.
თოდუა მ. 74, 527, 725.
თურნავა ს. 359.
თუშიშვილი მ. 240.

„იდიოტი“ 784.
იმედაშვილი გ. 360, 484.
ინწკირველი დ. 75.
ინწკირველი ც. 408, 447.
იორდანიშვილი ნ. 121.
იორდანიშვილი ს. 409, 785.

კაკაბაძე მ. 76.
კალანდარიშვილი მ. 361.
კალაძე ი. 122, 699, 726, 786.
კანდელაკი ბ. 42, 123, 362.
კაპანელი კ. 618.
კარბელაშვილი ა. 448.
კარბელაშვილი გ. 151.
კარბელაშვილი მ. 9, 43, 77,
78, 124, 162, 195, 241, 242, 280,
281, 363, 364, 405, 410, 449,
485, 528, 529, 593, 616, 617,
662, 787, 788; დამ. 6.
კარიჭაშვილი დ. 789.
კარტოზია ბ. 282, 365.
კარტოზია გ. 10, 283, 486, 487,
530, 568, 569, 594, 663-665,
727, 790-793; დამ. 7.
კახაბრიშვილი ც. 284.
კახაშვილი გ. 378.
კახიძე მ. 285.
კეკელია მ. 11, 163.
მახათაძე ნ. დამ. 8.
მახარაძე აბ. 411a.
მახარაძე მ. 167, 489.
მახარაძე ს. 247.
მგელიაშვილი თ. 452, 734
მეგრელიძე ი. 50, 86, 368.
მეგრელიძე გ. 622.
მელიქიშვილი დ. 247a.

კილაძე ი. 533, 730.
კიკნაძე ვ. 80.
კიკნაძე ზ. 81, 595, 619, 703, 795.
კობაძე მ. 668.
მეფისაშვილი რ. 296.
კობიაშვილი მ. 450.
კობიძე დ. 82.
კობიძე რ. 620.
კოტეტიშვილი ლ. 704.
კოტეტიშვილი ნ. 220.
კოტინოვი ნ. 796.
კუპრავა ვ. 245, 292, 366.
კუსრაშვილი რ. 731.
კუჭუხიძე გ. 797.

ლავრელაშვილი ზ. 621.
ლევიაშვილი ა. 293.
ლევიაშვილი ს. 293a. 736-738, 801, 802.
ლეჟავა გ. 164, 246.
ლოლაშვილი ი. 126, 226.
ლომაშვილი ჯ. 126a.
ლომიძე გ. 732.
ლომიძე თ. 44.
ლომოური ნ. 127.
ლორთქიფანიძე ა. 798.
ლორთქიფანიძე ქ. 451.
ლოსევი ა. 310.

მამაცაშვილი მ. 201.
მამისთვალიშვილი ს. 733.
მამულაშვილი მ. 128.
მარგველაშვილი თ. 202.
მარგველაშვილი პ. 84, 488.
მარგველაშვილი ტ. 669.
მარდალეიშვილი ვ. 165.
მარკოზაშვილი შ. 705.
მარსაგიშვილი მ. 411.
მარუაშვილი ლ. 367.
მახათაძე მ. 85, 226.
პავლიაშვილი ს. 252.
პაიჭაძე გ. 15.
პატარიძე რ. 16, 47, 48, 453, 707, 742; დამ. 11.
პეტრიაშვილი გ. 17.
პოტაპოვი ს. 90.

ქალუ გ. 373.
ქორდანია ს. 18, 49.

რატიანი პ. 49a, 252a.
რობაქიძე გრ. 374.

მელიქიშვილი ნ. 248.
მენაბდე დ. 306.
მენაბდე ლ. 12, 87, 88, 129, 168, 173, 203, 226, 249, 250, 294, 295, 306, 412, 473, 490, 491, 534, 535, 799; დამ. 9.
მეტრეველი ე. 264.
მეტრეველი რ. 536.
მთვარელიძე მ. 670, 800.
მიქაძე თ. 596.
მიშველაძე რ. 291, 297, 297a, 369.
მოსია ტ. 735.
მრელაშვილი ლ. 376.
მსუქნიშვილი ნ. 169.
მურდულია გ. 298, 492.
მშველიძე ა. 12a.
მჭედლიშვილი გ. 370, 706.
მჭედლიძე გ. 13, 14.

ნადარეიშვილი გ. 204, 413.
ნადირაძე გ. 671.
ნათაძე ნ. 170-172, 205, 299, 310.
ნაკუდაშვილი ნ. 739.
ნარსიძე გ. 537.
ნაცვლიშვილი პ. 371.
ნაჭყეზია მ. 740.
ნიკოლეიშვილი ა. 300.
ნიჟარაძე შ. 45.
ნიშნიანიძე შ. 301.
ნოზაძე ვ. 493, 494, 495.
ნორაკიძე ვ. 206, 372, 414.
ნუცუბიძე თ. 415.
ნუცუბიძე მ. 302.
ნუცუბიძე შ. 538.

ომიაძე დ. 741.
ონიანი შ. 46, 89, 130, 539, 623; დამ. 10.
ონიანი ჯ. 251.
ტონია ნ. 709.
ტრაპაიძე ქ. 624.

უავტორო 83, 133.
უკლება თ. 814.
ურდულაშვილი ლ. 546, 673.
ურიდია თ. დამ. 15.

ფანჯიკიძე გ. 93, 547.
ფარულავა გ. 226, 710.
ფილინა-რამიშვილი მ. 176.
ფირუაშვილი ფ. 691.

რობაქიძე მ. 743, 803-805.
როგავა ე. 375.
როხაძე მ. 303.
რუგომელი ა. 207, 208.
რუსთაველი შ. 91, 304, 305,
806, 807.
რუსთაველის კაბინეტი 540, 543.
რუხაე ლ. 307.
რუხაძე ნ. 496.
რუხაძე ტ. 226.

საგინაშვილი ნ. 417, 544, 570, 597, 808.
სამსონიძე ვ. 51, 809, 810.
სანიკიძე ი. 811.
სანიკიძე ლ. 376, 377.
სარჯველაძე ზ. 92, 672.
სერებრიაკოვი ს. 174, 253, 418.
სილაგაძე ა. 209, 210, 210a, 254,
255, 256.
სილაგაძე ჯ. 211.
სირაძე რ. 52, 131, 212, 226, 418a,
545; დამ. 12.
სიხარულიძე ზ. 308.
სლიენიაკი დ. 175.
სპარსიაშვილი ა. 378, 454.
სტეფნაძე ჯ. 213.
სტივენსონი რ. 132.
სტოვბუნი ი. 19.
სულაბერიძე ტ. 744.
სულავა ნ. 708, 745, 812; დამ. 13, 14.
სუმბაძე დ. 746.
სურგულაძე ა. 379.
ტაბიძე თ. 380, 381, 452, 571.
ტაკაშვილი ს. 747.
ტატიშვილი ლ. 813.
ჩანტლაძე ვ. 498.
ჩანტლაძე-ბაქრაძე გ. 817.
ჩილაჩავა რ. 136, 136a, 219.
ჩიქოვანი გ. 99, 178, 179, 220.
ჩხაიძე თ. 317, 712.
ჩხეიძე რ. 462.

ცაიშვილი ს. 24, 55, 100, 137,
138, 180, 221-223, 264, 269, 318,
385, 463-466; დამ. 18.
ცაიშვილი სოლ. 139, 140, 181, 224,
225, 260.
ცამციშვილი ა. 181a, 261, 750.
ცანავა ა. 25, 56, 101, 499, 677.
ცერცვაძე ჯ. 57, 598, 626.
ცქიტიშვილი თ. 182, 467, 551, 818.

ფირცხალავა ლ. 674.
ფირცხალაიშვილი რ. 134,
214, 257, 456, 711, 815, 816.
ფოცხიშვილი ა. 20, 309, 457, 748.

ქასრაშვილი მ. 458.
ქაფიაშვილი ი. 177.
ქაჯაია ნ. 497.
ქვათაძე ც. 311, 675.
ქვაჩახია ვ. 21.
ქვლივიძე მ. 376.
ქორიძე ე. 625, 649, 749.
ქსოვრელი გ. 258.
ქუთათელაძე ა. 459.
ქუმსიშვილი დ. 312; დამ. 16.
ქურდაძე შ. 313, 313a.

ღამბაშიძე რ. 676.
ღაღანიძე მ. 548.
ღვინჯილია ჯ. 94.
ღლონტი ა. 314, 382.
ღლონტი გ. 460.

ყაველაშვილი ვ. 549.

შადური ვ. 95, 306.
შავლაძე თ. 550.
შათირიშვილი გ. 315.
შაიშმელაშვილი ს. 316,
383, 384.
შანიძე ა. 96, 97, 215.
შარაძე გ. 22, 23, 53, 98, 135
216-218, 226, 259; დამ. 17.
შატბერაშვილი გ. 54.
შელკენი პ. 461.
ჭინჭარაული გრ. 628.
ჭოლოკავა ნ. 262, 572, 600,
680, 681, 755.
ჭრელაშვილი ლ. 629.
ჭუმბურიძე ზ. 104.
ჭურღულია ო. 306.

ხალვაში ა. 420, 469, 556.
ხალვაში ფ. 143.
ხარაბაძე ე. 756.
ხარაძე კ. 822.
ხეცურიანი ლ. 813.
ხვედელიანი თ. 824-826.
ხვედელიძე რ. დამ. 19.
ხიდაშელი შ. 26-28, 144, 145,
310, 326, 327, 421, 601.

ცხადაძე ქ. 226.

ძიმიგური შ. 268.

ძნელაძე რ. 58.

ძოწენიძე ლ. 343.

წაქაძე ი. 141, 819.

წაქაძე ნ. 202, 227, 319.

წერეთელი ლ. 678.

წერეთელი მ. 820.

ჭავჭავაძე ზ. 142.

ჭეიშვილი კ. 751.

ჭელიძე ლ. 627.

ჭილაძე თ. 102, 522.

ჭინჭარაული ა. 59, 60-62, 103, 183,

184, 320-325, 386, 419, 500, 553-555,

599, 678, 752-754, 821.

ხინთიბიძე ა. 29-31, 602, 682, 713.

ხინთიბიძე ე. 32, 146, 185, 186,

188, 226, 328-330, 501, 557,

558, 603, 827, 828; დამ. 20.

ხინთიბიძე ვ. 715.

ხინთიბიძე ზ. 263, 829.

ჯავახიშვილი გ. 105, 630, 683.

ჯაველიძე ე. 187, 470.

ჯაიანი მ. 631.

ჯალაღვილი მ. 691.

ჯაფარიძე გ. 387, 422.

ჯგუბურია მ. 376.

ჯიდალავეი ნ. 147.

ჯიშკარიანი ნ. 187a.

ჯულაყიძე გ. 757.

ჯულუხიძე გ. 376.

საგნობრივ-თემატიკური საძიებელი

(ციფრი უჩვენებს სტატიის ნომერს)

1. „ვეფხისტყაოსნის“ ქართული გამოცემები; ინფორმაცია, რეცენზიები მათ შესახებ: 39, 67, 134, 189, 196, 214, 264, 269a, 278, 288, 291, 297, 304, 305, 337, 338, 354, 532, 542, 666, 731; დამ. 15.
2. „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული გარდათქმა: 117, 121, 359, 416, 645, 806, 807.
3. ლიტერატურა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანებისა და მთარგმნელების შესახებ: 5, 8, 12, 12a, 23, 35, 35a, 37, 37a, 57, 66, 83, 87, 88, 99, 108, 115, 118, 119, 132, 136, 136a, 143, 147, 153, 155, 157, 161, 164, 165, 176, 178, 179, 194a, 198, 205, 220, 246, 249, 250, 274, 292, 331, 346, 359, 400, 429, 461, 466, 476, 511a, 515, 538, 543, 582, 583, 584, 595, 751, 785, 811, 817.
4. „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები (აღწერილობა, რედაქციები და გადამწერები): 104, 105, 125, 137, 218, 241, 403, 541, 813, 819.
5. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობა –
 - ა) ბიოგრაფია: 13, 24, 49a, 51, 98, 133, 180, 181a, 245, 257, 261, 275, 296, 372, 392, 410, 423, 426, 449, 456, 474, 560, 586, 610, 650, 737, 750, 776, 781, 815;
 - ბ) რუსთაველი და ჯვრის მონასტერი იერუსალიმში: 123, 469, 474, 491, 801.
6. შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობის წყაროები და რელიგიური აღმსარებლობა: 2, 26, 28, 36, 104a, 116, 145, 167, 180, 268, 326, 327, 409, 671, 784, 827.
7. „ვეფხისტყაოსნის“ ფილოსოფიური მოტივები: 172, 213, 493, 779.

8. „ვეფხისტყაოსანი“ და ეკლესია: 116, 190, 370, 435, 457, 746, 770, 771.
9. „ვეფხისტყაოსნის“ ლიტერატურული ჟანრის პრობლემა: 71, 373, 593, 616, 699.
10. „ვეფხისტყაოსნის“ სტროფული შედგენილობა (ჩანართი ტექსტები):
60, 61, 64, 72, 170, 183, 184, 267, 276, 278, 283, 294, 303, 314, 317, 324, 355, 356, 358, 382, 384, 407a, 500, 525, 553, 554, 574, 599, 608, 628, 632, 637, 661, 667; დამ. 11.
11. „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი და კომპოზიცია: 78, 85, 124, 588, 589, 637, 694, 695, 723, 777, 777a, 829.
12. „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი („დასაწყისი“): 84, 352, 505, 508, 576, 600, 684, 738, 742, 778.
13. „ვეფხისტყაოსნის“ დასასრულისა და გაგრძელებათა საკითხები: 46, 89, 109, 407, 623, 796, 816.
14. „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულისა და სიუჟეტის წყაროების პრობლემა:
9, 43, 96, 122, 244, 344, 374, 401, 504, 527, 573, 621, 650, 651, 669, 680, 755, 787.
15. საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ალეგორიული ანარეკლი „ვეფხისტყაოსანში“:
4, 14, 94, 191, 537, 627, 683, 706, 736, 755.
16. „ვეფხისტყაოსნის“ თემატიკა –
ა) ქალის კულტი და მიჯნურობა: 20, 154, 206, 432, 492, 775.
ბ) ტახტის მემკვიდრეობის პრობლემა: 248, 330, 398, 517, 550.
გ) სოციალური ურთიერთობა და საგარეო პოლიტიკა: 458, 472, 498, 517, 518, 567, 618, 757.
დ) „სისხლი“ და „მართალი სამართალი“: 11, 163, 195, 388, 439, 457, 481, 483, 510, 528, 529, 598, 626, 703, 712, 748.
17. პერსონაჟები:
21, 81, 263, 313, 345, 439, 475, 492, 509, 514, 548, 561, 585, 619, 631, 658, 686, 688, 693, 739, 824, 827.
18. „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის სიმბოლურ-ალეგორიული ასპექტები:
78, 84, 181, 185, 186, 201, 233, 234, 242, 371, 396, 432, 470, 634, 651, 762, 784, 795.
19. „ვეფხისტყაოსნის“ ენის საკითხები –
ა) რუსთაველის ენა და სტილი – 24, 45, 58, 59, 97, 193, 211, 337, 353, 376, 377, 440, 445, 487, 500, 568, 594, 602, 609, 652, 653, 659, 663, 682, 685, 727, 782, 788, 791, 814, 818.
ბ) „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკა: ეტიმოლოგია და კომენტარი – 54, 65, 69, 70, 182, 217, 222, 225, 227, 230, 235, 238, 240, 243, 251, 258, 277, 282, 284, 287, 289, 293, 299, 309, 311, 319, 321, 328, 334, 336, 339, 343, 357, 394, 405, 419, 420, 436, 437, 442, 451, 463, 482, 486, 493, 500, 507, 530, 547, 555, 556, 562, 563, 579, 580, 629, 633, 647, 655, 656, 657, 664, 670, 672, 707, 711, 716, 719, 725, 726, 729, 743, 764, 766, 767, 773, 786, 790, 792, 793, 794, 798, 800, 803, 804, 805, 809, 810, 828.
გ) ტექსტის აზრობრივ-ლოგიკური გასწორებანი: 62, 64, 73, 92, 103, 152a, 184, 197, 207, 223, 229, 273, 290, 316, 320, 322, 323, 587, 648, 658, 679, 747, 752, 753, 754, 790, 821.

დ) კონიექტურები: 185, 417, 500, 544, 558, 570, 597, 700, 759, 760, 788.

20. „ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკა –

ა) პოეზიის თეორია, ესთეტიკა: 52, 63, 266, 618, 688, 710, 721, 732, 755, 758, 761, 762, 823, 827.

ბ) ტექსტის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი: 6, 18, 194, 351, 577, 652, 658, 702, 748.

გ) საგანთა და ცნებათა სიმბოლიკა: 64, 77, 156, 201, 418a, 430, 502, 545, 613, 689, 735, 745, 768, 772.

დ) ფერის მხატვრული ფუნქცია: 68, 380, 381, 444, 455, 571, 774.

ე) ტროპები: 16, 18, 34, 47, 48, 49, 446, 453, 533, 612, 708, 718; დამ. 2.

ვ) აფორიზმები: 91, 204, 389, 665.

21. ვერსიფიკაცია, მეტრი და რითმა: 7, 29, 30, 31, 44, 74, 152, 171, 175, 192, 208, 209, 210, 210a, 255, 256, 270, 271, 335, 399, 443, 526, 566, 590, 615, 682, 698, 713, 714, 717.

22. ბიბლია და „ვეფხისტყაოსანი“: 195, 281, 408, 427, 480, 488, 524, 557, 617, 660, 662, 745, 799.

23. „ვეფხისტყაოსანი“ და ქართული ფოლკლორი: 1, 378, 438, 674, 677, 733, 749.

24. „ვეფხისტყაოსანი“ და ძველი ქართული მწერლობა: 116, 141, 158, 360, 458, 511, 516, 678, 797; დამ. 13.

25. „ვეფხისტყაოსანი“ და ძველი ბერძნული და ბიზანტიური მწერლობა: 32, 126, 145, 159, 160, 280, 329a, 363, 364, 421, 485, 605, 783, 801, 829.

26. „ვეფხისტყაოსანი“ და შუა საუკუნეთა დასავლეთ ევროპის ლიტერატურა: 33, 75, 120, 139, 140, 188, 329, 396, 406, 431, 441, 501, 519, 520, 557, 692, 740.

27. „ვეფხისტყაოსანი“ და არაბულ-სპარსული პოეზია: 63, 82, 106, 107, 503, 512, 513, 533, 730; დამ. 1.

28. ნეოპლატონიზმი; აღმოსავლური რენესანსის პრობლემა და „ვეფხისტყაოსანი“: 131, 146, 212, 310, 329, 379, 435, 489, 501, 581, 592, 603, 715.

29. „ვეფხისტყაოსანი“ და ახალი ქართული ლიტერატურა: 76, 80, 395, 402, 411a, 460, 687.

30. შოთა რუსთაველი საზღვარგარეთულ პერიოდიკაში: 12, 87, 88, 120, 179, 249, 250, 295, 359, 361, 375, 412, 422, 450, 465, 728; დამ. 9.

31. „ვეფხისტყაოსნის“ გეოგრაფიული ფონი: 367, 676, 822.

32. დრო და სივრცე „ვეფხისტყაოსანში“: 174, 247a, 253, 332, 348, 349, 390, 391, 418, 424, 425.

33. კოსმოგრაფია, ასტროლოგია და ასტრონომია „ვეფხისტყაოსანში“: 2, 93, 169, 444, 471, 673.

34. განგება, ბედი, „საწუთრო“, „ფათერაკი“: 6, 298, 312, 413, 694, 812.

35. მითოლოგია და ფანტასტიკა „ვეფხისტყაოსანში“:
1, 25, 56, 77, 78, 101, 162, 232, 432, 499, 677, 739, 741.

36. ცხოველთა სამყარო „ვეფხისტყაოსანში“: 126a, 180, 366, 444, 454, 459, 614, 724.
37. ტანისამოსი, სამკაული და ძვირფასი ქვები: 40, 302, 452, 478, 565, 624, 724, 734, 768.
38. მონოგრაფიული შრომები რუსთაველსა და „ვეფხისტყაოსანზე“ და რეცენზიები მათზე:
28, 46, 102, 110, 112, 113, 127, 137, 142, 144, 149, 172, 187, 187a, 228, 247, 252a, 443, 474, 506, 522,
531, 559, 564, 606, 636, 638, 639, 640, 642, 643, 644, 650, 654, 749, 765, 782, 802.
39. დისერტაციები, ავტორეფერატები:
155, 219, 224, 254, 415, 424, 447, 473, 500, 571, 578, 663; დამ. 3, 4, 6, 8, 12, 14, 16, 17, 19, 20.
40. კრებულები რუსთაველოლოგიური თემატიკით: 64, 173, 180, 215, 827.
41. ბიბლიოგრაფიული კრებულები: 173, 306, 490, 826.
42. რუსთაველი და „ვეფხისტყაოსანი“ ხელოვნებაში (მხატვრობა, თეატრი და მუსიკა):
17, 42, 80, 252, 534, 535, 622, 630; დამ. 18.
43. „ვეფხისტყაოსნის“ სწავლება საშუალო სკოლაში: 177, 298, 313a, 492, 496, 691, 756, 780.
44. რუსთაველისეულად მიჩნეული თხზულებები: 129, 168, 202, 203, 216, 411, 575.
45. რუსთაველოლოგები და რუსთაველოლოგიის ისტორია:
3, 10, 15, 22, 38, 41, 50, 53, 55, 67, 86, 100, 150, 166, 199, 200, 226, 237, 239, 259, 318, 342, 379,
393, 404, 434, 468, 569, 601, 641, 690, 705, 787, 789, 794, 808; დამ. 5, 7.
46. გეოგრაფიული და ეთნიკური სახელები: 79, 122, 162, 173, 204, 243, 368, 464, 741, 760.
47. იშვიათად ხმარებული სიტყვები და ტერმინები:
ალეზა (ვუაღეთ) – 196; ალქატი – 54; ბულბული, ბუნბული – 725; გამრცვილი – 478;
დაცარვა, ცარვა (უკუნაცარი) 54; ეზროს – 764; მოლი – 126, 182; ფაზარი, ფაზარ-ხუთო – 238;
ქაჯი / ქუჯი – 122, 162; ქნის (სხვაგან ქნის მისი გონება) – 92; ჩარყავი – 240; ხაფი – 227; ხევა
– 668, 672, 702.

სარჩევი

წინასიტყვა	3
რუსთველოლოგიური ლიტერატურა ანოტირებული ბიბლიოგრაფია (1981-2000 წწ.)	
1981 წელი	5
1982 წ.	17
1983 წ.	29
1984 წ.	48
1985 წ.	65
1986 წ.	83
1987 წ.	100
1988 წ.	114
1989 წ.	143
1990 წ.	167
1991 წ.	182
1992 წ.	205
1993 წ.	220
1994 წ.	245
1995 წ.	252
1996 წ.	263
1997 წ.	272
1998 წ.	293
1999 წ.	305
2000 წ.	322
დამატება	354
ავტორთა საძიებელი.....	363
საგნობრივ-თემატიკური საძიებელი	367